# ტფილისის უნივერსიტეტის
# მოამბე

**ИЗВЕСТИЯ**
**ТИФЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА**

**BULLETIN**
**DE L'UNIVERSITÉ DE TIFLIS**

# IX

ტფილისი
1929

# ОГЛАВЛЕНИЕ


стр.

А. Вачейшвили. Учение Kelsen'a о праве и государстве . . . . 1

А. Амиранашвили, К истории развития греческого эротического романа . . . . . 95

А. Чикобава. Чем представлен в древне-грузинском морфологический объект, стоящий в имен. пад. множ. числа . . . . . 107

* А. Барамидзе, К датировке интерполяций поэмы „Человек в тигровой шкуре" . . . . . . . 120

* М. Гогиберидзе, Проблема предмета познания . . . . . 131

* Т. Джандиери, К биологии „мацони" (грузинской простокваши) 157

* К. Кекелидзе, Иеремия Ивер . . 187

* Н. Джапаридзе, Материалы для феноанализа овцы „каракуль" . . . 199

* В. Купрадзе, Об определении функций Green'a, Naumann'a и Klein'a для некоторых простых областей 218

* С. Данелия, Проблема Ксенофана . . 241

* Г. Гамбарашвили, О выборе способа лечения фибромиомы матки . 249

** Б. Гогоберидзе, К диагнозу haematometr'a в придаточном роге матки . . . . 276

* А. Челашвили, О работе простого и пружинного яссов . 284

* К. Марджанишвили, О числе делителей . . . . 291

* Н. Акинфиев, Внутреннее давление и уравнение состояния . . 299

* А. Шанидзе, Грузинские рукописи в Граце . . 310


# SOMMAIRE


page

* A. Valchéichvili, Kelsen et sa théorie du droit et de l'État . . . . 1

A. Amiranaschwili, Zur Entwickelungsgeschichte des griechischen erotischen Romans . . . . . 95

* A. Tchicobava, Par quoi est représenté l'objet morphologique mis au nominatif pluriel dans l'ancien géorgien . . . . . . . . . 107

* A. Baramidzé, Tentative de dater les interpolations du poème „L'homme à la peau de tigre" . . . . . . . . . 120

* M. Goguibéridzé, Problème de l'objet de la connaissance . . . . . 131

* Th. Djandiéri, Conditions biologiques du „matzoni" (lait caillé géorgien) . 157

* K. Kékélidzé, Jérémie d'Ibérie . . . 187

* N. Djaparidzé, Matériaux pour la phénoanalyse de la brebis „caracule" 199

* V. Koupradzé, Définition des fonctions de Green, Neumann et Klein pour quelques domaines simples . . . 218

* S. Danélia, Problème de Xénophane . 241

* G. Gambaraschvili, Choix du traitement du fibromiome de l'uterus . . 249

* B. Gogobéridzé, Sur le dignostic de l'hématomètre dans la corne supplementaire de l'uterus . . . . . . . . 276

* A. Tchrélachvili, Action des „drilling jars" simples et à ressorts . . . 284

K. Mardschanischwili, Über die Anzahl der Teiler . . . . . 291

N. Akinfieff, Innendruck und Zustandsgleichung . . . . 299

* A. Chanidzé, Manuscrits géorgiens à Gratz . . 310


---

Одною звездочкою (*) отмечается заглавие, которое является переводом заглавия оригинала, а двумя звездочками (**) указывается, что в переводе дано и особое резюмэ.

Le titre marqué d'un astérisque (*) est une traduction du titre original; deux astérisques (**) montrent que l'article original est résumé en une traduction spéciale.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


**ალ. ვაჩეიშვილი,** Kelsen-ის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე 1

***ა. ამირანაშვილი,** ბერძნული ეროტიული რომანის განვითარების ისტორიისათვის . . . . 99

**ჩიქობავა,** რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში . 107

**ალ. ბარამიძე,** ვეფხის-ტყაოსნის „პლასტების“ დათარიღებისათვის . 120

**მ. გოგიბერიძე,** შემეცნების საგნის პრობლემა . . . 131

**თ. ჯანდიერი,** მაწვნის ბიოლოგიური პირობები . 157

**კ. კეკელიძე,** იერემია იბერიელი . . 187

**ნ. ჯაფარიძე,** მასალები კარაკულის ცხვრის ფენოანალიზისათვის . . 199

**ვ. კუპრაძე,** Green-ისა, Neumann-ისა და Klein-ის ფუნქციების განზღვრა ზოგიერთი მარტივი არისათვის 218

**ს. დანელია,** ქსენოფანეს პრობლება . . . . 241

**გ. ლამბარაშვილი,** წამლობის წესის ამორჩევისათვის საშვილოსნოს ფიბრომიომის დროს . . . . . . . . . 249

**ბ. ღოღობერიძე,** საშვილოსნოს დამატებით რქაში haematometr-ის დიაგნოზისათვის . . . . . . 276

**ა. პრელაშვილი,** უბრალო იასისა და ზამბრიანი იასის მუშაობის გამოკვლევა : : 284

***კ. მარჯანიშვილი,** გამყოფთა რიცხვის შესახებ . . 291

****ნ. აკინფიევი,** შინაგანი წნევა და მდგომარეობის განტოლება 299

**ა. შანიძე,** ქართული ხელნაწერები გრაცში . 310


---

ერთი ვარსკვლავი (*) აღნიშნავს, რომ სათაური წარმოადგენს ორიგინალის სათაურის თარგმანს; ორი ვარსკვლავი (**) კი გვიჩვენებს, რომ გამოკვლევას თან ახლავს საგანგებო რეზიუმეს თარგმანი.

დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის განკარგულებით.

ბეჭდვა დამთავრდა 15 აპრილს 1929 წელს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პრ. № 91

მთავარლიტი № 510. შეკვეთა № 693. ტირაჟი 500.

## ႠႪ· ႥႠႩႤႨႸႥႨႪႨ·

# KELSENის მოძღვრება სამართალსა და სახელმწიფოზე.

## თ ა ვ ი I.

### KELSENის მოძღვრების მდგომარეობა თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში.

თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში Kelsenის მოძღვრებას უკავია თავისებური ადგილი. მის მიერ წამოყენებული სამართლისა და სახელმწიფოს თეორია იმდენად განსხვავდება მიღებულ და გაბატონებულ მიმართულებათაგან, რომ ბუნებრივად განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს; მას თავისებური თვალსაზრისი შეაქვს იურიდიული პრობლემების დამუშავებაში; იგი ცდილობს აღმოაჩინოს მეთოდოლოგიური შეცდომები თვით იმ თეორიებში, რომლებიც სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებულად იყვნენ მიჩნეულნი და თითქმის უდავო ავტორიტეტით სარგებლობდენ. Kelsenი იკვლევს იურიდიული მეცნიერების ყველა მთავარ საკითხებს; ობიექტური სამართლის შინაგანი აგებულობა, უფლებისა და მოვალეობის დამახასიათებელი თვისებანი, მათი კავშირი ობიექტურ სამართალთან, სახელმწიფოს ბუნება, პიროვნება იურიდიული მნიშვნებობით— ყველა ეს ძირითადი პრობლემა Kelsenის თეორიაში ორიგინალურ მნიშვნელობასა და შინაარსს ღებულობს.

მთავარი საკითხი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც Kelsenის თეორიის საფუძველი, არის საკითხი იურიდიული ნორმის შინაგანი ბუნების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებულია მისი მოძღვრების სხვა ელემენტები; Kelsenის თეორია წარმოადგენს ერთ ლოღიკურ მთლიანობას, რომლის გამოსავალი წერტილი უნდა ვეძიოთ იურიდიული ნორმის ცნებაში; მისი სისტემის ყველა ლოღიკური ძაფი შეერთებულია ერთ ადგილას; ეს არის იურიდიული ნორმის ცნება. ამიტომ, თუ გვსურს გავიგოთ მისი თავისებურება, გარკვეულად წარმოვიდგინოთ ის თვისებანი, რომლებითაც ეს თეორია სხვა მიმართულებათაგან განსხვავდება, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ იგი დამყარებულია იურიდიული ნორმის ცნებაზე; Kelsenი იძლევა ნორმის შემადგენლობის ანალიზს და ამ ანალიზის საშუალებით აეითარებს მთელ თავის სისტემას.

სამართლის თეორიაში გაბატონებულია შეხედულება, რომელიც იურიდიულ ნორმას სთვლის იმპერატივად; იმპერატივი, როგორც ავტორიტეტის ბრძანება, მიმართულია ინდივიდისადმი და მოითხოვს მისგან განსაზღვრულ ყო-

ფაქცევას; ეს შეხედულება გულისხმობს, ერთის მხრივ, მბრძანებელ სუბიექტს, ხოლო მეორეს მხრივ, ინდივიდებს, რომლებიც ამ ბრძანებას ემორჩილებიან; იგი გულისხმობს, რომ ნორმა იმპერატივის სახით ახდენს გავლენას ინდივიდზე, ე. ი. იწვევს მასში ფსიქიურ აქტს, რომლის საშუალებითაც სამართალი აღწევს თავის პრაქტიკულ მიზანს, ხორციელდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ამგვარად ნორმას მიეწერება მოტივაციური მნიშვნელობა; ეს თეორია გავრცელებულია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში. Kelsen-ი უარჰყოფს ამ თეორიას; მისი აზრით, იურიდიული ნორმა იმპერატივი არაა; იურიდიული ნორმა არის მსჯელობა; როგორც მსჯელობა, იგი უახლოვდება ბუნებრივ კანონს; მაგრამ ბუნებრივი კანონი გამოხატავს მიზეზობრივ დამოკიდებულებას მოვლენებს შორის; იურიდიული ნორმა კი გამოხატავს ვალდებულებას (Sollen); ამით უკვე მოცემულია ის ძირითადი თვისება, რომლითაც სამართლის მეცნიერება განსხვავდება ბუნებისმეტყველებისაგან. ბუნებისმეტყველებას აინტერესებს ის, რაც არსებობს რეალურ ქვეყანაში; მისი სფეროა არსი (Sein). სამართლისა კი არ იკვლევს არსს; იგი ყოველთვის მიმართულია ვალდებულებაზე. ვალდებულების მომენტი ახასიათებს სხვა ნორმატიულ დისციპლინებსაც, მაგალითად, ეთიკას; მაგრამ ეთიკის დარგში ვალდებულება არსისაგან მკაფიოდ გამოყოფილი არაა; ზნეობრივ მოვლენებში, მიუხედავად იმისა, რომ ზნეობაც ვალდებულებაზეა დამყარებული, მაინც არსებობს უტყუარი კავშირი ვალდებულებასა და ფაქტიურ პროცესებს შორის; ეს კავშირი აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზნეობას აქვს განსაკუთრებული ხასიათი: იგი ავტონომიური ბუნებისაა.

ზნეობის ავტონომიური თვისება გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზნეობრივი ნორმისა და ნებისყოფის შინაარსი ერთიდაიგივეა: ადამიანი თავისუფლად მიისწრაფის იმისაკენ, რასაც მოითხოვს ნორმა. ნებისყოფისა და ნორმის შინაარსის იგივეობა ნიშნავს, რომ ორივეს აქვთ ერთი და იგივე მიმართულება; ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ზნეობის სფეროში ვალდებულებისა და არსის მომენტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სხვა ბუნებისაა სამართალი; სამართალს ახასიათებს ჰეტერონომიული თვისება; როდესაც ვლაპარაკობთ იურიდიულ ნორმაზე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ნორმაში გამოხატული ვალდებულება განსხვავდება იმ სუბიექტის ნებისყოფისაგან, რომელიც მას ასრულებს; იურიდიული ნორმა არ გამომდინარეობს სუბიექტის ნებისყოფიდან, როგორც ზნეობაში, არამედ გარედან არის მიმართული მის ნებისყოფისადმი; მაშასადამე, სამართლის ჰეტერონომობა ნიშნავს, რომ იურიდიული ნორმა ობიექტური ხასიათისაა, რომ იგი ინდივიდისაგან დამოუკიდებელია. სამართლის დარგში ვალდებულებისა და ნებისყოფის შინაარსი იდენტური არაა; აქედან Kelsen-ს გამოჰყავს დასკვნა, რომ თუმცა სამართალი, როგორც ნორმატიული მეცნიერება, სხვა ნორმატიულ დისციპლინებს ენათესავება იმ მხრივ, რომ აწესებს ვალდებულებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მათგან იმით განსხვავდება, რომ იურიდიულ ნორმაში გამოთქმული ვალდებულება წმინდა ფორმალური ბუნებისაა, ე. ი. თავისუფალია ყველა იმ ელემენტისაგან, რომლებიც ეკუთვნიან არსის სფეროს.

ამგვარად Kelsenის მოძღვრება დამყარებულია ვალდებულებისა და არსის განსხვავებაზე. ეს განსხვავება Kelsenმა გადმოიტანა ფილოსოფიიდან და გამოიყენა სამართლის ბუნების გამორკვევის საკითხში; თვითონ Kelsenი აღნიშნავს, რომ მისი სისტემა დამყარებულია ვალდებულებისა და არსის ძირითადი წინააღმდეგობის პრინციპზე და ამ მხრივ ენათესავება Kantის ფილოსოფიას[1]; მეორეს მხრივ, Kelsenი მიუთითებს იმ ანალოგიაზე, რომელიც უახლოვებს მის მიერ წამოყენებულ მოძღვრებას Husserlის თეორიას: როგორც Husserlი ფილოსოფიის დარგში ერთმანეთს უპირისპირებს ლოგიზმსა და ფსიქოლოგიზმს, ისე სამართალში Kelsenმა ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ კვლევა-ძიებას დაუპირისპირა წმინდა იურიდიული თეორია[2]; ამნაირად ზოგადი ფილოსოფიური წინააღმდეგობის პრინციპი გამოყენებულია სამართლის დარგში და, მაშასადამე, იურიდიული საკითხები დაუკავშირდენ საერთო ფილოსოფიის პრობლემებს.

Kelsenის თეორიას აქვს ფორმალური ხასიათი; ეს უნდა იქნეს გაგებული იმ მნიშვნელობით, რომ Kelsenი უარჰყოფს სამართლის დარგში იმ მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ბუნებისმეტყველებას ეკუთვნიან; ასეთია კაუზალური მეთოდი, რომელიც იკვლევს მოვლენებსა და მათ დამოკიდებულებას მიზეზისა და შედეგის თვალსაზრისით; Kelsenი კაუზალურ მეთოდს უთანასწორებს ტელეოლოგიურ მეთოდს, რადგანაც უკანასკნელიც იკვლევს ფაქტების დამოკიდებულებას; ორივე მეთოდი არსებითად ემსახურება ერთდაიმავე მიზანს; ორივე შეისწავლის ფაქტიურ სინამდვილეს; ამ მოსაზრებით Kelsenი უწოდებს მათ *ექსპლიკატიურ*, ე. ი. *ამხსნელ* მეთოდებს. ექსპლიკატიური მეთოდი ყოველთვის შეისწავლის, *ხსნის* ფაქტიურ დამოკიდებულებებს; სამართლის დარგში იგი არ გამოდგება, ვინაიდან სამართალი არ წარმოადგენს ფაქტიურ დამოკიდებულებათა სფეროს; სამართალი წმინდა ვალდებულების ქვეყანაა და, რასაკვირველია, მას უნდა ექნეს თავისი საკუთარი მეთოდი. ამ სამართლის განსაკუთრებულ მეთოდს Kelsenი უწოდებს *ნორმატიულს* და უპირისპირებს მას *ექსპლიკატიურ* მეთოდს. ექსპლიკატიური მეთოდის საგანია ფაქტიური პროცესების შესწავლა და მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევა; ამ მეთოდით სარგებლობენ, მაგალითად, სოციოლოგი და ფსიქოლოგი, როდესაც ისინი იკვლევენ კოლექტიურისა ან ინდივიდუალური ფსიქიკის მოვლენებს; იურისტს კი არასოდეს არა შეუძლია იხელმძღვანელოს ექსპლიკატიური მეთოდით; იურისტის მიზანს ფაქტების ახსნა არ შეადგენს; მისი მიზანი ფორმალური ხასიათისაა და ამიტომაც მეთოდიც, რომლითაც იგი სარგებლობს, უნდა იყოს ფორმალური, ე. ი. ნორმატიული.

ნორმატიული მეთოდი იკვლევს იმ დამოკიდებულებას, რომელიც მოცემულია თვით იურიდიულ ნორმაში. იურიდიული ნორმა, როგორც აღნიშნული

---

[1]) „Darum gehen die „Hauptprobleme" von dem fundamentalen Gegensatze zwischen Sollen und Sein aus, den Kant.... gleichsam erst entdeckt hatte". Hauptprobleme der Staatsrechtslehre. Zweite Aufl. 1923. Vorrede. VI.

[2]) „So tritt schon in den" „Hauptproblemen" der Gegensatz zwischen der reinen Rechtstheorie und der psychologisch-soziologischen Spekulation in Parallele zu dem allgemeinen Gegensatz zwischen Logismus und Psychologismus, so wie er in Husserls „Logischen Untersuchungen" klassisch dargestellt wurde". ib. IX.

იყო, თავისი ლოღიკური ფორმით წარმოადგენს მსჯელობას; ამ მსჯელობაში ანალიზი არკვევს ორ ელემენტს: განსაზღვრულ ფაქტიურ შემადგენლობას (Tatbestand) და სუბიექტს, რომელთაც Kelsenის ტერმინოლოგიით ეწოდება ვალდებულების ობიექტი და ვალდებულების სუბიექტი; ამ ორ ელემენტს შორის არსებობს თავისებური დამოკიდებულება, რომელიც სრულებით არ ემსგავსება კაუზალურ ან ტელეოლოგიურ დამოკიდებულებას; რომელიმე გარეგან მდგომარეობას ნორმა უკავშირებს განსაზღვრულ სუბიექტს; ამ კავშირს Kelsenი უწოდებს ჩ ა თ ვ ლ ა ს.[1]; ჩათვლა, მაშასადამე, არის თავისებური კავშირი ვალდებულების სუბიექტსა და ობიექტს შორის, რომელიც მყარდება ნორმის საშუალებით; ჩათვლა დამყარებულია მხოლოდ ვალდებულებაზე, ნორმაზე.

ჩათვლა ყოველთვის გულისხმობს ნებისყოფასა და პიროვნებას, ვინაიდან პიროვნებას ჩაეთვლება მხოლოდ ის, რაც მას ჰსურდა. როგორ უნდა გავიგოთ ნებისყოფა? ამ საკითხის დაყენებით ჩვენ ვუახლოვდებით Kelsenის თეორიის იმ პუნქტს, რომელიც დიდ ინტერესს წარმოადგენს. Kelsenი უყურებს სამართალს, როგორც ფორმალურს, ნორმატიულ მეცნიერებას და გამოჰყოფს სამართლის დარგიდან ყველაფერს, რაც კი რეალობის ნიშანს ატარებს; ამრიგად, სამართლიდან გამორიცხულია არსი მთელი თავისი მრავალფეროვანი შინაარსით, მაშასადამე, ფსიქიური ცხოვრების ფაქტებიც და მათ შორის, ნებისყოფაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, Kelsenი მაინც ხშირად სარგებლობს ნებისყოფის ცნებით; ჩათვლის ცნებას, რომელსაც Kelsenმა მიანიჭა ფართო მნიშვნელობა და გამოიყენა სამართლის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი სახელმწიფო სამართალში, იგი უკავშირებს ნებისყოფას; ამიტომ შესაძლოა დასკვნა, რომ ეს თითქოს წინააღმდეგობაა; მაგრამ ნამდვილად აქ წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს. როდესაც Kelsenი ამტკიცებს, რომ ჩათვლა გულისხმობს ნებისყოფას, მას ნებისყოფა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით არ ესმის; ნებისყოფა Kelsenს წარმოდგენილი აქვს, როგორც იურიდიული ცნება, ე. ი., როგორც ნორმატიული შემეცნების საშუალება. ამიტომ, თუ კი ჩვენ ვხედავთ, რომ Kelsenი საერთოდ იურიდიული პიროვნებისა და კერძოდ სახელმწიფოს პიროვნების შინაარსს ეძებს ნებისყოფაში, ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ პიროვნების კონსტრუქციაში ნებისყოფა მას წარმოდგენილი აქვს არა ფსიქოლოგიური, არამედ მხოლოდ ნორმატიული მნიშვნელობით.

Kelsenი ასხვავებს ნებისყოფის ორგვარ მნიშვნელობას: ნებისყოფას, როგორც ფსიქიურ პროცესს და ნებისყოფას, როგორც იურიდიულ კონსტრუქციას. მისი აზრით, პირველი მნიშვნელობით ნებისყოფა სამართლის დარგში არ გამოდგება. თუმცა იურისტები ხშირად სარგებლობენ ამ ცნებით, მაგრამ, რომ დავუკვირდეთ მათ თეორიებს, დავრწმუნდებით, რომ სინამდვილეში ეს თეორიები გულისხმობენ არა რეალურ ფსიქიურ აქტს, არამედ სხვა რამეს, სახელდობრ ნებისყოფის ნორმატიულ ცნებას. Kelsenის შრომის ის ადგილი, სადაც იგი იძლევა თანამედროვე იურიდიულ თეორიებში მიღებულ ნებისყოფის კრიტიკას, წარმოადგენს დიდ ინტერესს და შეიძლება ითქვას, რომ კიდეც რომ

[1]) Ib. 72.

უარვყოთ Kelsenის მოძღვრების მთავარი დებულებანი, ეს კრიტიკა თავის ღირებულებას მაინც არ კარგავს. მართლაც, ნებისყოფის ცნება, გაბატონებული სამართლის მეცნიერებაში, ნამდვილ ფსიქიურ აქტს არ გამოხატავს; ამის დასამტკიცებლად შესაძლოა მოყვანილ იქნეს მრავალი მაგალითი; მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ იმ ფაქტებს, რომლებსაც გვაძლევს სისხლის სამართალი, სადაც საერთოდ აღიარებულია, რომ დანაშაულობა დამყარებულია ნებისყოფაზე და ამავე დროს პასუხისმგებლობა მიღებულია იმ შემთხვევებშიც, როდესაც არა თუ ნებისყოფა, არამედ არავითარი ფსიქიური კავშირი დანაშაულებრივ შედეგთან არ არსებობს (გაუფრთხილებლობის შემთხვევაში); შესაძლოა აგრეთვე მოვიყვანოთ, როგორც მაგალითი, სახელმწიფო სამართალი, სადაც არსებობს მთელი მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს შინაარსს ხედავს საერთო ნებისყოფაში, იმ დროს, როდესაც ასეთი საერთო ნებისყოფა, გაგებული კოლექტიური ფსიქიური პროცესის მნიშვნელობით, შეუძლებელია; Kelsenს მოჰყავს მაგალითები სამოქალაქო სამართლის დარგიდანაც, სადაც იურიდიული გარიგება მიჩნეულია, როგორც მხარეთა ნამდვილი სურვილის გამოხატულება, თუმცა სინამდვილეში სურვილის შინაარსი ხშირად სულ სხვა არის[1]. ყველა ეს ფაქტი საკმაოდ ამტკიცებს, რომ იურისტებს, როდესაც ისინი მათ კონსტრუქციებში ნებისყოფის ცნებით სარგებლობენ, ეს უკანასკნელი არ ესმით რეალური ფსიქიური აქტის მნიშვნელობით; სინამდვილეში ისინი ქმნიან იურიდიულ ფიქციას, ე. ი. იმას, რაც არ არსებობს, მიაწერენ რეალურ არსებობას. მაგრამ, ამბობს Kelsenი, თუკი ჩვენ ამ ცნებას არ მივაწერთ რეალურ მნიშვნელობას, მისი გამოყენება სამართლის მეცნიერებაში დასაშვებია; იგი გასწევს სამართალში მხოლოდ იურიდიული კონსტრუქციის სამსახურს. როგორც კონსტრუქცია, ნებისყოფის ცნება სამართალში გამოდგება; ამ მნიშვნელობით იგი წარმოადგენს იურიდიული შემეცნების საშუალებას.

ამრიგად, Kelsenი ღებულობს ნებისყოფის ცნებას თავისებური გაგებით; თავის კონსტრუქციაში ნებისყოფა მან გამოიყენა, როგორც ნორმატიული ცნება; როდესაც იგი ამტკიცებს, რომ ჩათვლა ყოველთვის გულისხმობს ნებისყოფასო, ეს უკანასკნელი მას ესმის მხოლოდ ამ ნორმატიული მნიშვნელობით. როგორც ყოველსავე იურიდიულ პიროვნებას, სახელმწიფოს პიროვნებასაც აქვს თავისი ნებისყოფა, რომელიც გამოიხატება იურიდიულ ნორმაში; იურიდიულ ნორმაში გამოითქმება სახელმწიფოს სურვილი, ე. ი. იურიდიული ნორმა არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ ჰსურს სახელმწიფოს იმოქმედოს განსაზღვრულ პირობებში; ვინაიდან სახელმწიფოს მოქმედება დამოკიდებულია განსაზღვრული პირობებიდან, ნორმა არის ჰიპოთეტიური მსჯელობა.

სუბიექტურ სამართალსაც Kelsenი უყურებს თავისებურად. წინააღმდეგ გაბატონებულ თეორიებისა, რომლებიც სუბიექტურ სამართალში პირველ ადგილს უფლებას ანიჭებენ და მეორე ელემენტს—მოვალეობას თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ, Kelsenი გამოთქვამს აზრს, რომ სუბიექტური სამართლის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ელემენტი არის მოვალეობა; მაგრამ

---

[1]) Ib. Kapitel V, VI.

მოვალეობა მას ესმის არა როგორც შინაგანი, ფსიქიური აქტი, ე. ი., როგორც ნებისყოფის შებორკვა ნორმის საშუალებით, არამედ როგორც იურიდიული ნორმის სუბიექტივიზაცია, ე. ი. ნორმის სუბიექტთან შეფარდების შესაძლებლობა. ამავე ფორმალური თვალსაზრისით განიხილავს Kelsenი უფლების ბუნებასაც; უფლება Kelsenისათვის არ შეადგენს ნებისყოფის გამოხატულებას ანდა ინტერესის დაცვას, არამედ ნორმის თავისებურ მიმართებას იმ პირთან, რომლისაგანაც დამოკიდებულია ამ ნორმაში გათვალისწინებული იურიდიული შედეგების განხორციელება.

როგორც აღნიშნული იყო, Kelsenის თეორიას თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული მიმართულებების მიმართ უკავია თავისებური მდგომარეობა; ამიტომ საჭიროა მისი შედარება ამ მიმართულებებთან.

Kelsenის თეორია განსაკუთრებული სიცხადით უპირისპირდება იმპერატივის თეორიას; ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ Kelsenის მოძღვრება არც ერთი მხრით არ უახლოვდება იმპერატივის თეორიას; მათ შორის სრული წინააღმდეგობაა. იმპერატივის თეორია გაბატონებულია თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში; მას ჰყავს მომხრეები გამოჩენილ იურისტებს შორის. ეს თეორია უყურებს იურიდიულ ნორმას, როგორც ავტორიტეტის ბრძანებას, რომელიც მიმართულია სახელმწიფოებრივ კავშირში მცხოვრებ ინდივიდებისადმი; იმპერატივის მიზანია ისეთი ყოფაქცევის გამოწვევა, რომელიც თავისი შინაარსით ეთანხმება ნორმას; რასაკვირველია, ამ ყოფაქცევის გამოწვევა შესაძლოა მხოლოდ მოტივაციის გზით: ნორმა ახდენს გავლენას ადამიანის ნებისყოფაზე, იწვევს ადამიანში იმ შედეგების წარმოდგენას, რომელიც მას მოელის, უკეთუ მან არ შეასრულა ნორმის ბრძანება; მოტივაციის პროცესი წარმოადგენს ფსიქიურ აქტს, რომლის შედეგია მართლზომიერი ყოფაქცევის გამოწვევა. აშკარაა, რომ ასეთი შეხედულება Kelsenის თეორიას არ ეთანხმება. Kelsenს იურიდიული ნორმა ესმის როგორც მსჯელობა, და არა როგორც იმპერატივი; იურიდიულ ნორმაში გამოთქმულია წმინდა ვალდებულება (Sollen) და ამ სახით მას არავითარი კავშირი არა აქვს რომელიმე ფსიქიურ პროცესთან; მოტივაციის ცნების შეტანა სამართლის დარგში ნიშნავს მისი ფორმალური ხასიათის უარყოფას; მოტივაციის აქტი, ე. ი. ის პროცესი, რომელიც შეიცავს ნორმის გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე, იურისტს არ აინტერესებს, ვინაიდან იურისტმა უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდდამხოლოდ ნორმატიული მეთოდით; საკითხი, იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედობს ნორმა, თუ როგორ და რა გზით იწვევს იგი სათანადო ყოფაქცევას, აინტერესებს სოციოლოგს ან ფსიქოლოგს, რომლებიც სარგებლობენ ექსპლიკატიური მეთოდით.

ასეთია მთავარი მოსაზრება, რომელიც Kelsenს იმპერატივის თეორიის წინააღმდეგ მოჰყავს; მაგრამ Kelsenი არ კმაყოფილდება ამ მოსაზრებით; იგი ცდილობს აღმოაჩინოს ამ თეორიის სხვა სუსტი მხარეებიც. იმპერატივის თეორიას, მისი აზრით, არ შეუძლია დაასაბუთოს ჩათვლის ცნება; ჩათვლა გულისხმობს ნებისყოფის თავისუფლებას; იგი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ნებისყოფა გაგებულია, როგორც თავისუფალი; თავისუფლება ნებისყოფას ენიჭება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ნორმატიული მნიშვნელობით გავი-

გებთ; ნებისყოფა კი ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ყოველთვის კაუზალურად არის განსაზღვრული, ვინაიდან იგი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს მიზეზობრივ დამოკიდებულებათა ერთ-ერთ რგოლს. იმპერატივის თეორიას ნებისყოფა ესმის სწორედ ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, რადგანაც მოტივაცია გულისხმობს ფსიქიურ პროცესს, რომელიც ადამიანში კაუზალურად არის გამოწვეული ნორმით, როგორც ბრძანებით; მიუხედავად ამისა, იმპერატივის თეორიის წარმომადგენელნი მაინც მიაწერენ ნებისყოფას თავისუფლებას და ამ უკანასკნელზე ამყარებენ ჩათვლას. აშკარაა, რომ მათ მხრივ ეს წინააღმდეგობაა.

იმპერატივის თეორიას აქვს სხვა შედეგებიც. ამ თეორიას ნორმა მიაჩნია იმპერატივად; მაგრამ, Kelsenის შეხედულებით, შიშველ იმპერატივს არ შეუძლია გასწიოს მოტივაციური როლი; ამისათვის იმპერატივი საკმარისი არაა; თავისი მიზნის მისაღწევად, ე. ი. იმისათვის, რომ გამოწვეული იქნეს ადამიანის სათანადო ყოფაქცევა, იმპერატივი საჭიროებს დამატებით ერთ აქტს; ეს აქტია ნორმის ა ღ ი ა რ ე ბ ა ადამიანის მიერ; აღიარების საშუალებით „იმპერატივში გამოხატული სახელმწიფოს ნებისყოფა იქცევა ადამიანის ნებისყოფად“, ე. ი. სუბიექტი ემორჩილება იურიდიულ ნორმას. ამგვარად იმპერატივის თეორია თავის ლოღიკურ დასრულებას პოულობს აღიარების თეორიაში [1].

ა ღ ი ა რ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ი ს კრიტიკით Kelsenი არკვევს თავის დამოკიდებულებას მეორე მიმართულებასთან, რომელსაც აგრეთვე თვალსაჩინო ადგილი უკავია თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში; ამ მიმართულების უდიდესი წარმომადგენელი არის Bierlingი. აღიარების თეორია, როგორც სამართლიანად აღნიშნავს Kelsenი, ენათესავება ხელშეკრულების თეორიას, რომელიც აღმოცენდა ბუნებითი სამართლის მოძღვრების ნიადაგზე და მრავალ საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული იყო იურიდიულ მეცნიერებაში; ეს შინაგანი ნათესაობა იმაში გამოიხატება, რომ ორივე სამართლის საფუძველს ნახულობს ადამიანის შინაგანს, ფსიქიურ აქტში, ე. ი. თანხმობაში; სამართლის საფუძველი ამ თვალსაზრისით არის თანხმობა, რომელსაც სუბიექტი აცხადებს არსებული სამართლის მიმართ; სწორედ ეს აქტი წარმოადგენს აღიარებას; იგი არის იურიდიული წყობილების გამართლების პრინციპი (Rechtfertigungsgrund); რასაკვირველია, თანამედროვე მეცნიერებაში აღიარების ცნება ხელშეკრულების თეორიასთან შედარებით გაგებულია სხვანაირად, მაგრამ ეს განსხვავება მაინც ძირითადი ხასიათის არაა. Kelsenი, მაშასადამე, ცდილობს დაამტკიცოს შინაგანი ნათესაობა ამ სამ მოძღვრებას შორის: ი მ პ ე რ ა ტ ი ვ ი ს ა, ა ღ ი ა რ ე ბ ი ს ა და ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს ა; მათ საერთო წყაროდ კი მას მიაჩნია ბუნებითი სამართლის თეორია [2].

Kelsenი აფასებს სხვადასხვა იურიდიულ თეორიას უმთავრესად მეთოდოლოგიური თვალსაზრისით; ძირითადი პრინციპი, რომელსაც იგი ამ შეფასებაში ეყრდნობა, არის ნორმატიული და ექსპლიკატიური მეთოდების განსხვავება;

[1]) Ib. 350.
[2]) Ib. 378.

ნორმატიული მეთოდი დედუქტიურად ავითარებს იმ დებულებათ, რომლებიც მოცემულია თვით ნორმაში, როგორც წმინდა ვალდებულებაში; მისი მოქმედების არე შეზღუდულია ვალდებულების ფარგლებით. ექსპლიკატიური მეთოდი კი იკვლევს ფაქტიურ დამოკიდებულებას, განურჩევლად იმისა, იქნება იგი გარეგანი, თუ შინაგანი ხასიათისა. ამ ორი მეთოდის ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია; როდესაც იურისტი იკვლევს სამართლის წარმოშობასა და განვითარებას ან იმ ფსიქოლოგიურ გავლენას, რომელსაც სამართალი ინდივიდებზე ახდენს, იგი უკვე სტოვებს თავის ბუნებრივ სფეროს, ვინაიდან სამართლის წარმოშობისა და მოქმედების გამოკვლევა მის საგანს ის შეადგენს; იგი ისტორიკოსის ან სოციოლოგის საგანია. ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა, ე. ი. ნორმა წარმოიშობა ან ისპობა ა რ ს ი ს ზეგავლენით; როგორც მაგალითი მოჰყავთ კანონის დეროგაცია ადათობრივი ნორმის საშუალებით; ასეთი მაგალითები, Kelsenის აზრით, მისი თეორიის ღირებულებას არ ამცირებენ, ვინაიდან იურიდიული თვალსაზრისით ფაქტიურ პროცესებს, ე. ი. კაუზალურ დამოკიდებულებათ, მნიშვნელობა არა აქვთ; საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშობა ან ისპობა იურიდიული ნორმა „მეტაიურიდიული" საკითხია. ვალდებულება არის „პირველადი კატეგორია" და მისი დაყვანა არსსზე ფორმალურად შეუძლებელია.

ექსპლიკატიური მეთოდის ცნება Kelsenს ფართო მნიშვნელობით ესმის: ამ ცნებაში მას შეაქვს როგორც კაუზალური, ისე ტელეოლოგიური მეთოდი; ამით უკვე ირკვევა Kelsenის დამოკიდებულება Stammlerის თეორიასთან. Stammlerი საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა და კერძოდ იურიდიული მეცნიერების სპეციფიურ მეთოდად ტელეოლოგიურ მეთოდს თვლის; ამ მეთოდს იგი უპირისპირებს კაუზალურ მეთოდს, რომლითაც ბუნებისმეტყველების დარგში ხელმძღვანელობენ. მისი შეხედულებით, სოციალური მეცნიერებანი ბუნებისმეტყველებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ტელეოლოგიური მეთოდით სარგებლობენ; ბუნებრივი მოვლენები დაკავშირებულია ერთმანეთთან, როგორც მიზეზი და შედეგი, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, როგორც მიზანი და საშუალება; ადამიანს აქვს მიზნის წარმოდგენა და ეს უკანასკნელი ამოძრავებს მის ნებისყოფას. Stammlerიც უყურებს ნორმას, როგორც ვალდებულებას (Sollen); მაგრამ, Stammlerსა და Kelsenს შორის ძირითადი განსხვავებაა; Stammlerს ვალდებულების ცნებაში შეაქვს ტელეოლოგიური მომენტი; მისი აზრით, ნორმას აქვს მიზანი; Kelsenის შეხედულებით კი ნორმას წმინდა ფორმალური მნიშვნელობით მიზანი არა აქვს; მიზნის მომენტის შეტანა ვალდებულების სფეროში ნიშნავს უკანასკნელის ბუნების დამახინჯებას, რადგან მიზნისა და საშუალების ცნება, ე. ი. ტელეოლოგიური კავშირის ცნება იმავე დარგს ეკუთვნის, რასაც კაუზალობა; ორივეს—კაუზალობასა და ტელეოლოგიას—აქვთ ერთიდაიგივე ამოცანა: ფაქტიური სინამდვილის ა ხ ს ნ ა; ორივე მეთოდის გამოყენება შესაძლოა ერთდაიმავე მოვლენის მიმართ: ის, რაც კაუზალური თვალსაზრისით დაკავშირებულია, როგორც მიზეზი და შედეგი, ტელეოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მიზანი და საშუალება; Kelsenი აქ გამოთქვამს იმ აზრს, რომელსაც ჩვენ თანამედროვე ფილოსოფიაში ვხვდე-

ბით; ამავე შეხედულებას ემხრობა, მაგალითად Wundtი. თუ კი ჩვენ გავითვალისწინებთ ამ შინაგან ნათესაობას კაუზალურსა და ტელეოლოგიურ მეთოდს შორის, მაშინ ადვილი გასაგებია Kelsenის აზრი, რომლის მიხედვით ტელეოლოგიური მეთოდი მკაფიოდ უნდა იქნეს გამოყოფილი ნორმატიული მეთოდისაგან: ნორმატიული მეთოდი უყურადღებოდ სტოვებს ფაქტებს, ე. ი. არსს, ხოლო ტელეოლოგიური იძლევა ამ ფაქტების ახსნას; ამიტომ იგი უნდა მივაკუთვნოთ იმავე სფეროს, რასაც კაუზალური. მიზანი და ნორმა ანდა მიზანი და ვალდებულება სულ სხვადასხვაა; მათი გაიგივეობა Kelsenისათვის დაუშვებელია, რადგან მიზანი ყოველთვის გულისხმობს ნებისყოფას ფსიქიური აქტის მნიშვნელობით, ე. ი. ფაქტიურ სინამდვილეს; ტელეოლოგიურად ნორმას, რასაკვირველია, აქვს მიზანი, მაგრამ, როგორც წმინდა ვალდებულება, ნორმა ფორმალურად აუცილებლივ განსხვავდება მიზნისაგან [1].

ამგვარად, სამართლის განსაკუთრებულ მეთოდად Kelsenი სთვლის ნორმატიულ მეთოდს, რომელსაც იგი უპირისპირებს როგორც კაუზალურს, ისე ტელეოლოგიურს.

იურიდიულ მეცნიერებაში ნორმატიული ანუ იურიდიული მეთოდის დახასიათებას ჩვენ ვჰხვდებით სხვა მოძღვრებებშიაც; ამ მეთოდის ბუნებასა და მნიშვნელობას აღნიშნავს, მაგალითად, Labandი; დიდ ყურადღებას აქცევს იურიდიული მეთოდის სპეციფიური თვისებების გამორკვევას Jellinekიც.

Jellinekი ჰყოფს სახელმწიფო მეცნიერებას ორ მთავარ ნაწილად: სოციალური მოძღვრება სახელმწიფოზე და მოძღვრება სახელმწიფო სამართალზე; პირველი იკვლევს სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ხოლო მეორე შეისწავლის მას, როგორც იურიდიულ ინსტიტუტს; სამართალი შეადგენს სახელმწიფოს ერთ მნიშვნელოვან მხარეს; მაგრამ სახელმწიფო მოძღვრებისა და სახელმწიფო სოციალური მოძღვრების დაპირისპირება, რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი თანამედროვე ლიტერატურაში, გაუგებრობის შედეგია. სახელმწიფო მოძღვრება შეისწავლის სახელმწიფოს, როგორც მთლიანობას, სოციალური მოძღვრება კი მის ერთ-ერთ ნაწილს; დაპირისპირება შეიძლება მხოლოდ იურიდიული და სოციალური მოძღვრებისა, რადგან ისინი იკვლევენ სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს; მათი გაყოფა და დაპირისპირება დამყარებულია მეთოდების განსხვავებაზე; სოციალური მოძღვრება სარგებლობს კაუზალური მეთოდით; მისი საგანია სახელმწიფო, როგორც ბუნებრივი ფაქტი; იურიდიული მოძღვრება კი ხელმძღვანელობს იურიდიული მეთოდით, ვინაიდან მის საგანს შეადგენენ ის იურიდიული ნორმები, რომლებიც არ ეკუთვნიან ფაქტიურ სინამდვილეს, არამედ გამოხატავენ ვალდებულებას და განხორციელებულნი უნდა იქნენ ადამიანის ყოფაქცევაში; ამიტომ იურისპრუდენცია არის ნორმატიული მეცნიერება [2].

ამგვარად Jellinekი ნახულობს ძირითად განსხვავებას კაუზალურსა და ნორმატიულ მეთოდს შორის. მაგრამ, მისი აზრით, სახელმწიფოს სრული გაგე-

[1]) Ib. 62—69.

[2]) Е л л и н е к, Общее учение о государстве, 1903, стр. 12.

ბისათვის ორივე საჭიროა; თუკი, ამბობს იგი, სახელმწიფო სამართალი იურიდიულ მხარეს გამოყოფს უკანასკნელის სრული შემეცნებისათვის, იგი მაინც უნდა დაეყრდნოს იმ პრინციპებს, რომლებიც სახელმწიფოს ყოველმხრივი შესწავლიდან გამომდინარეობენ. იურიდიული დოგმატიკა იკვლევს სამართლის ნორმების შინაარსს; დოგმატიკის ადგილს სხვა მეცნიერება ვერ დაიკავებს; მიუხედავად იმისა, რომ Jellineko მკაფიოდ ასხვავებს კაუზალურსა და ნორმატიულს, ე. ი. იურიდიულ მეთოდს, იგი მაინც ამტკიცებს, რომ ცალმხრივი დოგმატიკა, რომელიც ცდილობს შეისწავლოს სამართალი მისი მთლიანი სახით, ამ მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც მის გამოკვლევებს მხოლოდ მაშინ აქვთ ნაყოფიერი ხასიათი, როდესაც იგი შევსებულია სხვა დისციპლინებით [1]. მაშასადამე, სახელმწიფოს მთლიანი გაგებისათვის ორივე მეთოდია საჭირო.

იურიდიული და სოციოლოგიური მეთოდის განსხვავება Jellinekის მოძღვრებაში გარკვეულად და ნათლად არის დახასიათებული. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, Jellinekისა და Kelsenის შეხედულება ერთმანეთს უახლოვდება. მაგრამ მათ შორის მაინც არსებითი განსხვავებაა. Jellinekის აზრით, მხოლოდ მეთოდების სინთეზი გვაძლევს ნამდვილსა და სრულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა არის სახელმწიფო; ამ საკითხის გადასაჭრელად მას აუცილებლად მიაჩნია როგორც სახელმწიფოს იურიდიული, ისე მისი საზოგადოებრივი ბუნების შესწავლა; სახელმწიფოს ფორმა და ამ ფორმაში მოცემული სოციალური შინაარსი — ორივე უნდა შეისწავლოს იურისტმა, თუკი მას სურს გაიგოს სახელმწიფოს ნამდვილი ბუნება. Kelsenი უარყოფს ამ შეხედულებას; მისთვის სახელმწიფო არის მხოლოდ იურიდიული კატეგორია; სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური თვალსაზრისის შეტანა სახელმწიფო სამართლის დარგში მას ამ უკანასკნელის განსაკუთრებული ბუნების უცოდინარობის შედეგად მიაჩნია; ვინაიდან სახელმწიფოს იურიდიული ბუნება აქვს, სახელმწიფო სამართალში გამოყენებული უნდა იქნეს იურიდიული, ე. ი. ფორმალური მეთოდი; სახელმწიფოს ფაქტიური მხარე, მისი სოციალური შინაარსი იურისტისათვის მნიშვნელობას არ წარმოადგენს; სოციალური კვლევაძიება ვერასოდეს ვერ მოგვცემს სახელმწიფოს ცნებას: მისთვის ეს ცნება სრულიად მიუწვდომელია; ამ ცნებას ჩვენ ვღებულობთ მხოლოდ ნორმატიული გზით; იგი წარმოადგენს იურიდიულ კონსტრუქციას.

იურიდიულ ლიტერატურაში ჩვენ ვხვდებით ერთ თეორიას, რომელიც უახლოვდება Kelsenის შეხედულებას სამართალზე; ეს არის Zitelmannის შეხედულება. Zitelmannს ისე, როგორც Kelsenს, იურიდიული ნორმა ჰიპოთეტიურ მსჯელობად მიაჩნია და არა იმპერატივად. სამართლის ნორმა თავისი ლოღიკური აგებულობით მსჯელობაა; ამ დებულებით Zitelmannი, ყოველ ეჭვს გარეშე, ენათესავება Kelsenის თეორიას; Zitelmannის აზრით, ნორმა გამოხატავს საყოველთაო ვალდებულებას; ამიტომ მას არ შეუძლია იქნეს იმპერატივი, რადგან იმპერატივს „ინდივიდუალური და გადაუცემელი“ ხასიათი აქვს და ცხადია, რომ იგი ვერ დააწესებს საყოველთაო ვალდებულებას; ყოველივე ცალკე იურიდიული ნორმის შემადგენლობაში უნდა გავარჩიოთ ორი სხვადასხვა ნაწილი:

[1]) Еллинек, Общее учение о государстве, 33.

ფაქტიური მდგომარეობა და იურიდიული შედეგები, რომლებსაც ამ მდგომარეობას უკავშირებს კანონი. რა ხასიათისაა ეს კავშირი? Zitelmannი ამტკიცებს, რომ ეს კავშირი არაა არც ბუნებრივი კაუზალობა, არც მოტივაცია და არც ლოღიკური აუცილებლობა; იგი არის თავისებური დამოკიდებულება, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ბუნებრივი კაუზალობის ანალოგიის გზით [1].

მიუხედავად იმ ნათესაობისა, რომელიც აუცილებლად არსებობს Zitelmannისა და Kelsenის თეორიებს შორის და რომელიც გამოიხატება ერთგვარ შეხედულებაში იურიდიული ნორმის ლოღიკურ ბუნებაზე, მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა; ვინც დაუკვირდება ამ თეორიებს, მისთვის ცხადი იქნება ეს განსხვავება. Zitelmannი თავის იურიდიულ მოძღვრებას ამყარებს ფსიქოლოგიურ გამოკვლევაზე; თუმცა ამ გამოკვლევის შედეგები განსხვავდებიან ფსიქოლოგიაში საერთოდ მიღებული შეხედულებისაგან, მაგრამ Zitelmannს მაინც მხედველობაში აქვს ნებისყოფა ფსიქოლოგიური ფაქტის მნიშვნელობით; მის მიერ წამოყენებული ნებისყოფის ცნება გაბატონებულია თანამედროვე იურისპრუდენციაში. თავისი გამოკვლევის მიზნად Zitelmannი ისახავს ნებისყოფის, როგორც ფსიქიური აქტის შესწავლას და ამ ცნებაზე ამყარებს იურიდიულ კონსტრუქციას. აქედან ჩვენთვის ცხადია, თუ რა თვისებით განსხვავდება იგი Kelsenის მოძღვრებისაგან. Kelsenი, როგორც იყო აღნიშნული, უარყოფს ნებისყოფას ფსიქოლოგიური მნიშვნელობით; უკანასკნელი, მისი აზრით, სამართლის დარგში არ გამოდგება; თუ კი Kelsenი თავის იურიდიულ კონსტრუქციაში მაინც სარგებლობს ნებისყოფის ცნებით, იგი მას, როგორც ჩვენ ვნახეთ, ესმის სულ სხვანაირად; მას იგი გაგებული აქვს წმინდა ნორმატიული მნიშვნელობით. ამგვარად, მიუხედავად იმ მსგავსებისა, რომელიც არსებობს ამ ორ თეორიას შორის, აქაც მტკიცდება Kelsenის მოძღვრების თავისებურება.

Kelsenის თეორიას პირვანდელი სახით ჩვენ ვჰხედებით მის შრომაში: „Hauptprobleme der Staatsrechtslehre, entwickelt aus der Lehre vom Rechtssatze". შემდეგში Kelsenის მოძღვრებამ ზოგი მხრივ ცვლილება განიცადა; ეს ცვლილება მას ემჩნევა უმთავრესად ორ მთავარ საკითხში; თავდაპირველად Kelsenი სამართალს უყურებდა სტატიკური თვალსაზრისით; ეს ბუნებრივიც იყო, რადგანაც ასეთი შეხედულება ლოღიკურად იყო გამოწვეული მისი წმინდა ფორმალური მეთოდით; ეს შეხედულება შემდეგში მან შეცვალა იმ მხრივ, რომ სამართლის კონსტრუქციაში შეიტანა დინამიკური ელემენტი; თავის „Hauptprobleme"ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში იგი უკვე გარკვეულად ემხრობა ამ დინამიკურ შეხედულებას; მეორე საკითხი, რომელშიაც Kelsenის თეორიას ცვლილება ემჩნევა, ეხება სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობას; თუმცა Kelsenი „Hauptprobleme"ს პირველ გამოცემაშიც გამოთქვამს აზრს, რომ სახელმწიფოს აქვს იურიდიული ბუნება, მაგრამ იქ მაინც სახელმწიფოსა და სამართალს შორის განსხვავებას ნახულობს: სახელმწიფო და სამართალი მას მიაჩნია ერთისადაიმავე მოვლენის სხვადასხვა მხარედ; თავის მეორე შრომაში კი („Der soziologische und der Juristische Staatsbegriff") იგი ამტკიცებს სახელმწიფოსა

---

[1]) Zitelmann, Irrtum und Rechtsgeschäft, 1879. SS. 204—225.

და სამართლის სრულ იდენტურობას; ამავე აზრს ვჰხვდებით „Hauptprobleme"-ს მეორე გამოცემის წინასიტყვაობაშიც.

ამიტომ, თუკი გვსურს Kelsen-ის მოძღვრების შესწავლა მისი სრული სახით, უნდა მივაქციოთ ყურადღება არა მარტო მის პირვანდელ ფორმას, არამედ მის განვითარებასაც.

Kelsen-ის თეორია გადმოცემული გვაქვს შემდეგი გეგმის მიხედვით:

1. Kelsen-ის მოძღვრების ზოგადი დებულებანი; აქ განხილულია სხვადასხვა მეთოდისა და სამართლის და ზნეობის დამოკიდებულება.

2. ობიექტური სამართლის ბუნება.

3. სუბიექტური სამართალი, ე. ი. მოვალეობისა და უფლების კონსტრუქცია.

4. Kelsen-ის თეორიის შემდეგი განვითარება და მისი მნიშვნელობა იურიდიულ მეცნიერებაში.

## თ ა ვ ი II.

## Kelsen-ის თეორიის ზოგადი დებულებანი.

Kelsen-ის თეორიის მთავარ მომენტს სამართლის ნორმის ცნება შეადგენს. ამ ძირითადი ცნებიდან Kelsen-ს დედუქტიური გზით გამოჰყავს მთელი თავისი სისტემა. იგი იკვლევს სამართლის ნორმის ბუნებას, ამ ნორმის ელემენტებს და, რასაკვირველია, ცდილობს გამოარკვიოს აგრეთვე ის დამოკიდებულება, რომელიც ამ ელემენტებს შორის არსებობს. როგორი დამოკიდებულებაა იურიდიული ნორმის შემადგენლობით ნაწილებს შორის, ემსგავსება იგი იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ ბუნებრივ მოვლენებში, ე. ი. მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულებას, თუ მისგან სრულიად განსხვავებულია — ასეთია ის კითხვა, რომელიც აუცილებლად იჭრება Kelsen-ის წინ ნორმის ბუნების განხილვის დროს და ამ კითხვაზე იგი იძლევა თავისებურ პასუხს. ბუნებრივი კანონის ელემენტები ერთმანეთთან კაუზალურადაა დაკავშირებული; ის კავშირი კი, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ იურიდიულ ნორმაში, სულ სხვა ხასიათისაა; რომ ავიღოთ, მაგალითად, სისხლის სამართლის ნორმა, ვნახავთ, რომ კავშირი მის ელემენტს შორის, რომლებსაც ჩვეულებრივად დისპოზიცია და სანქცია ეწოდება, თავისებური ხასიათისაა და ბუნებრივის მიზეზობრივი დამოკიდებულებისაგან არსებითად განსხვავდება. იურიდიული ნორმის კავშირი გამოიხატება ამ სიტყვებით: „უ ნ დ ა  ი ყ ო ს" („Soll sein"); ბუნებრივი კანონი გამოხატავს მხოლოდ იმას, რაც ა რ ი ს, ხოლო იურიდიული ნორმა იმას, რაც უ ნ დ ა იყოს; პირველი ეკუთვნის რეალობას, ე. ი. ფაქტიურ სინამდვილის სფეროს, მეორე — იდეალურს. მაშასადამე, ბუნებრივი კანონისა და იურიდიული ნორმის საფუძველი სულ სხვადასხვაა; ამ განსხვავებაზეა დამყარებული კაუზალური და ნორმატიული მეთოდების განსხვავებაც, რომელსაც უდიდესი ადგილი უკავია Kelsen-ის თეორიაში. ნორმატიული მეთოდი შეადგენს იმ განსაკუთრებულ მეთოდს, რომლითაც, Kelsen-ის აზრით, უნდა სარგებლობდეს სამართლის მეცნიერება; სწორედ ეს მეთო-

დი ანიჭებს სამართლის მეცნიერებას ფორმალურ ხასიათს და ამ მეთოდში უნდა. ვეძიოთ იურიდიული შემეცნების დამახასიათებელი თვისება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კავშირი, მოცემული იურიდიულ ნორმაში, შემთხვევითი ხასიათისა არაა: იგი იმგვარადვე აუცილებელია, როგორც ბუნებრივი დამოკიდებულება[1]. ნორმატიული კავშირი, წარმოშობილი ვალდებულების საფუძველზე, ფორმალურად უნდა ჩაითვალოს, როგორც აუცილებელი; ეს პირველი შეხედვით თითქოს გაუგებარი აზრი ცხადი ხდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ Kelsenისათვის სამართლის ნორმა წარმოადგენს წმინდა ვალდებულებას, რომელიც არ ეკუთვნის ფაქტიურ სინამდვილეს; ამ თვალსაზრისით ადვილი გასაგებია, თუ რისთვის არ აინტერესებს Kelsenს, ტარდება ცხოვრებაში ნორმა, თუ არა, ასრულებენ მას სინამდვილეში, ე. ი. აღწევს იგი თავის პრაქტიკულ მიზანს, თუ არა; ეს საკითხები შედიან იმ მეცნიერებათა სფეროში, რომლებიც იკვლევენ ფაქტებს და მათ კაუზალურ დამოკიდებულებას; სამართლის მეცნიერების დარგში კი ისინი არ შედიან; როგორც ფორმალური კატეგორია, სამართლის ნორმა არ კარგავს თავის ფორმალურ სავალდებულობას იმ შემთხვევაშიაც, როდესაც პრაქტიკულ შედეგებს არ იწვევს; ამ მნიშვნელობით იგი აუცილებელია.

თავდაპირველად Kelsenი იკვლევს სამ ძირითად საკითხს:

1. ბუნებრივი კანონისა და ნორმის განსხვავება.
2. ზნეობრივი და იურიდიული ნორმის დამოკიდებულება.
3. კაუზალური, ტელეოლოგიური და ნორმატიული მეთოდის ურთიერთდამოკიდებულება.

ჩვეულებრივად ბუნებრივ კანონებს, ამბობს Kelsenი, უპირისპირებენ ყველა სხვაგვარ კანონებს, რომლებიც ადგენენ ვალდებულებას (die ein Sollen statuieren); ასეთია ზნეობრივი, იურიდიული, ლოღიკური, გრამატიკული და ესთეტიური კანონები, რომლებსაც ეწოდება ნ ო რ მ ე ბ ი. მაგრამ ზოგჯერ ყველა სახის კანონებს უწოდებენ ნორმებს და ამ შემთხვევაში ნორმის ცნებას ეძლევა ორგვარი მნიშვნელობა: ერთის მხრივ ნაგულისხმევია ის, რაც საერთოდ ხდება, ხოლო მეორის მხრივ, ის, რაც უნდა მოხდეს. სახელწოდების ასეთი იგივეობა ორ სხვადასხვა ცნებისათვის თავის ახსნას პოულობს კანონის ცნების შემუშავების ისტორიაში. კანონის ან ნორმის ცნება თავდაპირველად წარმოიშვა პოლიტიკურ დარგში; იგი შეიმუშავა უძველესმა სამართლისა და სახელმწიფო მეცნიერებამ; აქედან იგი გადატანილი იქნა სხვა მეცნიერულ დარგებში და იქ მიიღო თავისებური მნიშვნელობა. სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგას მპყრობელი, რომელიც კანონის, ე. ი. ქვეშევრდომთათვის სავალდებულო ბრძანების საშუალებით აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას, უძველესი შემეცნებისათვის წარმოადგენს ანოლოგიურ სურათს ბუნებასთან: როგორც საზო-

---

[1]) „Das Soll drückt den Sinn aus, in dem der Rechtssatz den einen Tatbestand als Bedingung mit dem anderen als Rechtsfolge vereinigt. Verknüpft das Naturgesetz Ursache und Wirkung mit der Notwendigkeit keine Ausnahme duldenden Müssens, setzt das Rechtsgesetz die Synthese des bedingenden und des bedingten Tatbestandes mit der nicht geringeren Strenge des Sollens". „Hauptpr..." 1923. Vorrede, VI.

გადოება ემორჩილება სახელმწიფო კანონს, ისე ბუნებრივი ელემენტები ექვემდებარებიან უზენაესი ღვთაებრივ ძალას. ამგვარად, როგორც ადამიანის მოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ბუნებრივი პროცესები გარეგან მსოფლიოში გამოჰყავთ გარემდებარე ნებისყოფიდან, რომელსაც უწოდებენ კანონს. მაგრამ, რამდენადაც უფრო ღრმად იკვლევდა ბუნებისმეტყველება თავის საგანს, იმდენად თავისუფლდებოდა იგი უზენაესი ნებისყოფის წარმოდგენისაგან და ამავე დროს სრულიად იცვლებოდა პოლიტიკური დარგიდან გადმოღებული კანონის ცნების შინაარსი. თანამედროვე მეცნიერებაში ბუნებრივი კანონი მკვეთრად დაპირისპირებულია სამართლისა და მასთან მონათესავე ნორმატიული დისციპლინების—ეთიკისა, გრამატიკისა და ესთეტიკის კანონებთან; ამ დისციპლინების კანონებს ეწოდება ნორმები.

ეს დაპირისპირება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ნორმატიული დისციპლინებისათვის და განსაკუთრებით კი სამართლის მეცნიერებისათვის, დამყარებულია იმაზე, თუ რა თვალსაზრისით ვუყურებთ ჩვენ ობიექტებს. ბუნებისმეტყველების ამოცანაა ფაქტიური პროცესების ახსნა, არსის გამოკვლევა (das Sein zu erfassen), სხვა დისციპლინები კი იძლევიან ყოფაქცევის წესებს, ე. ი. აწესებენ რომელიმე ვალდებულებას (das heisst ein Sollen statuieren). პირველს ეწოდება ექსპლიკატიური თვალსაზრისი, ხოლო მეორეს — ნორმატიული; პირველი გზით მიღებული წესები ბუნებრივი კანონებია, ხოლო მეორე გზით—ნორმები. ამის მიხედვით სახელწოდება „კანონი“ ბუნებრივი კანონის მნიშვნელობით არის მსჯელობა იმის შესახებ, რაც ფაქტიურად ხდება ბუნებაში; ბუნებრივი კანონი არის მსჯელობა, რომელშიაც გამოთქმულია, რომ ერთი რომელიმე მოვლენა მეორე მოვლენის აუცილებელი შედეგია. ბუნებრივი კანონის სფერო *არსია*, ე. ი. ფაქტიური სინამდვილე; ყოველივე ცალკე ბუნებრივი კანონი წარმოადგენს ზოგადის კაუზალური კანონის გამოყენების სპეციალ შემთხვევას. იგი იძლევა ფაქტიური სინამდვილის შემეცნებას; მისი მიზანი ფაქტების *ახსნაა*.

სულ სხვაა კანონის მნიშვნელობა, როდესაც ამ სიტყვით ჩვენ ვგულისხმობთ იმ წესებს, რომლებიც არ იძლევიან სინამდვილის ახსნას, არამედ მოითხოვენ განსაზღვრულ პროცესს; ლოღიკა, გრამატიკა, ესთეტიკა, ეთიკა და სამართლის მეცნიერება შეიცავენ ასეთ წესებს; ამიტომაც მათ თვალსაზრისს ეწოდება ნორმატიული თვალსაზრისი. იურიდიული და ზნეობრივი კანონები, ლოღიკური, გრამატიკული და ესთეტიური ნორმები, წინააღმდეგ ბუნებისმეტყველებისა, არ იძლევიან არსის ახსნას; ისინი მხოლოდ მოითხოვენ ამა თუ იმ მოქმედებას. ნორმა არაა მიზეზობრივი კანონის გამოყენება, რადგან იგი არ უყურებს მოვლენას, როგორც რომელიმე მიზეზის აუცილებელ შედეგს; მისთვის ერთად ერთი მნიშვნელობა აქვს იმას, რაც *უნდა მოხდეს*; ბუნებრივი კანონები გამოთქვამენ იმას, რაც სინამდვილეში ხდება, ე. ი. უყურებენ ფაქტებს მათი *რეალობის* მხრივ (in seiner Realität betrachten), ნორმებისათვის კი იმ ფაქტებს, რომლებიც შეადგენენ მათ შინაარსს, მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ *იდეალობის* მხრივ (kommen die Tatsachen, die den Inhalt der Normen bilden, für diese nur in jener ganz besonderen Relation der Idealität in Betracht)[1]. სამართლის

[1]) „Hauptprobleme...“ 6.

მეცნიერება ეკუთვნის ნორმატიულ დისციპლინებს. მაგრამ ამით კიდევ არაა მოცემული მისი სრული დახასიათება. სამართლის მეცნიერების ბუნება გამოიხატება ნეგატიურად იმაში, რომ იგი არ იკვლევს სინამდვილეს, ე. ი. იგი არაა ექსპლიკატიური მეცნიერება; ხოლო პოზიტიურად—იმაში, რომ მას თავის საგნად აქვს ნორმები, რომლებიდანაც მას გამოჰყავს იურიდიული ცნებები. მაგრამ ამ თვისებით სამართლის მეცნიერება სრულიადაც არ უახლოვდება ბუნებითი სამართლის სისტემას, რომელიც ჩვენს დროში საფუძვლიანად უარყოფილია. თუმცა თანამედროვე სამართლის მეცნიერება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავის მიზნად ისახავს არა კაუზალურ პროცესებისა არამედ ნორმების შესწავლას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ ნორმების შინაარსი გამოყვანილი უნდა იქნეს „გონებიდან", „საგანთა ბუნებიდან" ანდა სხვა რაიმე სამართლისათვის უცხო პრინციპიდან, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ბუნებითი სამართლის თეორიაში. პირიქით, ნორმების შინაარსი გამოყვანილი უნდა იქნეს მხოლოდდამხოლოდ დადებითი სამართლიდან. სახელმწიფო სამართლის მოძღვრება, რომელიც წამოაყენა ბუნებითი სამართლის სკოლამ, ჩვენ უნდა უარვყოთ არა იმიტომ, რომ მას ჰქონდა ნორმატიული ხასიათი, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ მოცემული ნორმები არ იყვნენ გამოყვანილი პოზიტიურ სამართლიდან და ამიტომაც მათ არ ჰქონდათ იურიდიული ნორმების ხასიათი; ბუნებითი სამართალი სახელმწიფო სამართალს ამყარებდა არა იურიდიულ, არამედ ზნეობრივ და სხვაგვარ სოციალურ ნორმებზე [1].

აქედან ჩვენთვის ნათელია, თუ როგორ განსაზღვრავს Kelsenი სამართლის მეცნიერებას. სამართლის მეცნიერებას Kelsenის მოძღვრებაში უკავია თავისებური ადგილი: როგორც ნორმატიული დისციპლინა, იგი სავსებით გამოყოფილია იმ მეცნიერებათაგან, რომლებიც იკვლევენ სინამდვილეს და ამ სინამდვილის სფეროში მოთავსებულ პროცესებს, ი. ი. ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ მეცნიერებათაგან. მეორის მხრივ, Kelsenი გამოყოფს სამართლის მეცნიერებას ბუნებითი სამართლის თეორიისაგან იმ მოსაზრებით, რომ სამართლის მეცნიერებამ თავისი მასალა უნდა ეძიოს მხოლოდ დადებით სამართალში და არა სხვა რაიმე დარგში, როგორიცაა, მაგალითად, ზნეობა, სარწმუნოება და სხვა. ამრიგად სამართლის მეცნიერების სფერო შეზღუდულია ორი მიმართულებით: ნაჩვენებია საზღვარი, ერთის მხრივ, იმ მეცნიერებებთან, რომლებიც ეყრდნობიან კაუზალურ დამოკიდებულების პრინციპს, მეორის მხრივ—ბუნებით სამართლის სისტემასთან, რომელსაც შეჰქონდა სამართლის მეცნიერებაში არაიურიდიული ელემენტები.

სრული დაპირისპირება ბუნებრივი კანონისა და ნორმისა, ამბობს Kelsenი, შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც სავსებით გათიშულია ა რ ს ი და ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა (Sollen) [2]. როდესაც ჩვენ რაიმეს შესახებ ვამტკიცებთ: „ეს არის", ჩვენ იმავე საგანზე შეგვიძლია ვთქვათ: „ეს უნდა იყოს"; ამ ორ შემთხვევაში გამოთქმულია სულ სხვადასხვა აზრი; „არის" და „უნდა იყოს" აზროვნების

---

[1]) Ibid. 7.

[2]) „Ein volkommener Gegensatz zwischen Naturgesetz und Norm ist nur möglich auf Grund einer volkommenen Disparität von Sein und Sollen". 7.

უზოგადესი ფორმებია, რომელშიაც ჩვენ ვათავსებთ ყველაფერს, რაც კი მოცემულია შინაგანსა და გარეგან ცდაში.

ორივე ფორმა დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან; ერთის გამოყვანა მეორისაგან შეუძლებელია, რადგან ორივე წარმოადგენენ აზროვნების ძირითად, „პირველად კატეგორიას" (ursprüngliche Kategorie). აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: არის თუ არა მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება? დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ ეს ურთიერთ დამოკიდებულება არსებობს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვღებულობთ ასეთი დამოკიდებულების შესაძლებლობას, ჩვენ ურევთ ერთმანეთში ორ სხვადასხვა თვალსაზრისს: ფორმალ-ლოღიკურს და მატერიალურისტორიულ-ფსიქოლოგიურს. მატერიალური თვალსაზრისით ხშირია შემთხვევა, როცა „Sollen"ის შინაარსი იგივეა, რაც „Sein"ის". ის, რასაც Jellinek-ი უწოდებს „ფაქტების ნორმატიულ ძალას", არის მხოლოდ ფსიქოლოგიური მოვლენა, როდესაც ყოფაქცევის წესი, მიღებული უმრავლესობის მიერ, ცალკე ინდივიდს მიაჩნია მისთვის სავალდებულოდ. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც კონკრეტული ვალდებულება (Sollen) ქრება ადამიანის ცნობიერებაში და განსაზღვრული ყოფაქცევა კარგავს თავის ვალდებულებას, რადგან უმრავლესობა მას უკვე არ ასრულებს. მაშასადამე, წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია ერთი ფორმის გამოყვანა მეორე ფორმიდან. ფსიქოლოგიურად შესაძლოა „Sollen"ის წარმოშობა „Sein"ის საშუალებით ისე, როგორც შესაძლოა წინაალმდეგი პროცესი—„Sollen"ის მოსპობა „Sein"ის გავლენით. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აქ გამოყენებულია არა ფორმალური, ლოღიკური მეთოდი, არამედ მხოლოდ ფსიქოლოგიური, რომელიც იკვლევს ფაქტიურ პროცესს.

მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს თეორიას, რომელიც ამტკიცებს „ფაქტების ნორმატიულ ძალას", რაზე იძლევა პასუხს ეს თეორია? იგი მხოლოდ ხ ს ნ ი ს (erklärt) გარეგან ან შინაგან ფაქტებს; პირველყოვლისა, იგი იკვლევს, თუ რისთვისაა რომელიმე ბრძანება მიმართული ცალკე ინდივიდისადმი, ე. ი. იკვლევს ფაქტიურ მოვლენას, ნებისყოფის აქტს, რომელშიაც გამოიხატება ნორმა, გამოცემული ინდივიდების მიმართ; შემდეგ—იმ პირთა რეალურ-ფსიქიური ნებისყოფის აქტებს, რომლებიც უნდა დაემორჩილონ ამ ნორმას; დასასრულ — ამ ინდივიდების მოქმედებას, რომელიც ეთანხმება გამოცემულ ნორმებს. მაშასადამე, მთელ ამ პროცესში, რომელსაც ხ ს ნ ი ს ზემოთ აღნიშნული თეორია, ჩვენ გვაქვს მხოლოდ ფაქტიური მოვლენები: ნებისყოფა და მოქმედება. მაგრამ ნებისყოფა და მოქმედება ფორმალ-ლოღიკური თვალსაზრისით „Sollen"ს არ შეადგენენ: ისინი მხოლოდ ფსიქიური და ფიზიკური პროცესებია, მხოლოდ „Sollen"ის შინაარსია და არა თვით „Sollen"ი; „Sollen"ი ამ შინაარსის ფორმაა [1]. თუ კი ჩვენ მივიღეთ ვალდებულება წმინდა ლოღიკური მნიშვნელობით, როგორც ფორმა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ა რ ს ს, მაშინ ჩვენთვის შეუძლებელია მისი გაიგივება მის შინაარსთან. განსაკუთრებით, ამბობს Kelsen-ი, „Sollen"ი განსხვავდება ნებისყოფისაგან, ვინაიდან უკანასკნელი არის რეალური, ფსიქიური

[1]) Ibid. 9.

მოვლენა და „Sollen"ის გაიგივეობა ნებისყოფასთან იმას ნიშნავს რომ, „Sollen"იც მიჩნეულია, როგორც რეალური ფაქტი. ნებისყოფა ეკუთვნის არსის სფეროს და ამიტომ იგი ძირითადად განსხვავდება „Sollen"ისაგან. ორივე—მოქმედება და ნებისყოფა—შეიძლება შეადგენდენ „Sollen"ის შინაარსს, მაგრამ ისინი არასოდეს არ წარმოადგენენ თვით ამ „Sollen"ს. მათ შორის არსებითი განსხვავებაა. მე შემიძლია მქონდეს რაიმე ვალდებულება, მაგრამ არ მსურდეს იგი; შეიძლება მსურდეს რაიმე და იმავე დროს არ მქონდეს სათანადო ვალდებულება. „Sollen"ი უნდა განვასხვავოთ არა მარტო იმის ნებისყოფისაგან, ვისკენაცაა იგი მიმართული, არამედ აგრეთვე იმის ნებისყოფისაგანაც, ვისგან იგი გამომდინარეობს. ეს უკანასკნელი განსხვავება აუცილებელია. ვალდებულება, რომელიც იბადება A-სთვის B-ის ბრძანებით, სრულიად არაა იდენტური იმ ნებისყოფის აქტთან, რომელიც გამოიხატება B-ს ბრძანებაში. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიგონოთ შემთხვევები, როდესაც ვალდებულება იმის შემდეგაც კი არსებობს, როცა მისი დამწესებელი ავტორიტეტის ნებისყოფა ბევრი ხანია რაც მოისპო. მაგრამ, თუ კი „Sollen"ისა და ნებისყოფის იგივეობა დაუშვებელია სამართლის დარგში, შეიძლება, თუ არა მისი დაშვება სხვა მონათესავე დარგებში? ასეთ შესაძლებლობას, Kelsenი ხედავს ზნეობაში. ავტონომიური ზნეობის თვალსაზრისით, ამბობს Kelsenი, ინდივიდი თამაშობს ორგვარ როლს: იგი წარმოადგენს ერთსადაიმავე დროს მოვალეობის სუბიექტსა და კანონმდებელს; აქ მოვალეობა გამომდინარეობს ინდივიდის შინაგან ბუნებიდან და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ვალდებულება (Soll) და ნებისყოფა აღწევენ იდენტურობას. რასაკვირველია, თეორიულად აქაც შესაძლოა „Sollen"ისა და ნებისყოფის განსხვავება, მაგრამ მათი მატერიალური იგივეობის გამო ამ განსხვავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს; ამიტომ ამ ფორმალური განსხვავების უყურადღებოდ დატოვება ზნეობრივ დარგში დიდ შეცდომას არ წარმოადგენს.

Kelsenი აქ გვაძლევს იმ განსხვავების დახასიათებას, რომელიც არსებობს ზნეობასა და სამართალს შორის. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზნეობა ისე, როგორც სამართალი, შეადგენს ნორმატიული დისციპლინის—ეთიკის საგანს; ორივე—ზნეობა და სამართალი—დამყარებულია ვალდებულების პირნციპზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება. ეს განსხვავება ადვილად ასახსნელია, თუ კი ჩვენ გავითვალისწინებთ ზნეობის თავისებურ ბუნებას, ე. ი. იმას, რომ ზნეობაში ვალდებულებას აქვს ავტონომიური ხასიათი; ავტონომობა ზნეობისა გამოიხატება იმაში, რომ აქ თვით სუბიექტი ვალდებულისა წარმოადგენს თავის საკუთარ კანონმდებელს; მაშასადამე, ზნეობაში ნებისყოფა გამოხატავს ვალდებულებას; მათ შორის წინააღმდეგობა არაა, რადგან აქ ფორმა (ვალდებულება—Sollen) და შინაარსი (ნებისყოფა—Wollen) ერთი და იგივეა.

სხვა მნიშვნელობა აქვს ფორმისა და შინაარსის განსხვავებას სამართლისათვის.სამართალი ჰეტერონომიული ბუნებისაა; ეს ნიშნავს იმას, რომ ნორმა, რომელიც უკარნახებს ადამიანს ამა თუ იმ მოქმედებას, არაა მისი საკუთარი, მისი ნებისყოფიდან გამომდინარე ბრძანება, არამედ უცხოა მისთვის, ე. ი. ევლინება მას გარედან. სამართლის სფეროში კანონი არ ეყრდნობა ადამიანის ნებისყოფას;

თვით ადამიანი არ ადგენს თავის კანონს: იგი მხოლოდ ემორჩილება მისთვის უცხო, სავალდებულო კანონს. ასეთია ის ძირითადი განსხვავება, რომელსაც Kelsenის ნახულობს სამართალსა და ზნეობას შორის ვალდებულების თვალსაზრისით. ამ განსხვავებას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით შემდეგში, ეხლა კი საჭიროა იმის დახასიათება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებას Kelsenის თეორიის სწორი გაგებისათვის. *ფორმისა და შინაარსის* (Inhaltის) განსხვავება შეადგენს ამ მოძღვრების ძირითად დებულებას, ურომლისოდაც მისი შინაგანი ბუნების გაგება და შეფასება შეუძლებელია. ფორმა Kelsenისათვის განყენებული, იდეალური, წმინდა ლოღიკური კატეგორიაა, რომელიც გამოიხატება ამ მსჯელობაში: „უნდა იყოს“, შინაარსი კი მას ესმის ფართე მოცულობით, როგორც ყოველივე ის, რაც შეიძლება მოთავსებულ იქნეს ამ იდეალურ ფორმაში. მაშასადამე, შინაარსი შეიძლება იქნეს როგორც გარეგანი, ფიზიკური მოვლენა—სხეულის მოძრაობა (მოქმედება), ისე შინაგანი, ფსიქიური პროცესი (ნებისყოფის აქტი). ყველა ეს მოვლენები—იქნება ის გარეგნული თუ შინაგანი ბუნების—ეკუთვნიან *არსს*, *ფაქტიურ სინამდვილეს* და ცხადია, რომ ისინი მიზეზობრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან. მათი გამოკვლევა, ახსნა შეადგენს ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური მეთოდის მიზანს. მაგრამ, თუ გვსურს გავიგოთ *ფორმის* თავისებური თვისება, ჩვენ უნდა მივმართოთ ფორმალურ მეთოდს, რომელიც გვაძლევს იმის ცოდნას, თუ რა *უნდა იყოს* და არა იმისას, რაც ხდება სინამდვილეში. ასეთია ის განსხვავება, რომელიც, Kelsenის აზრით, არსებობს ბუნებრივ კანონსა (ფართო მნიშვნელობით) და ნორმას შორის. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბუნებრივი კანონისა და ნორმის დაპირისპირება პირველად აღმოჩენილია Kelsenის მიერ. ეს დაპირისპირება საერთოდ მიღებულია ფილოსოფიაში და სამართლის მეცნიერებაშიც. Kelsenმა მხოლოდ მისცა მას ახალი ხასიათი, გააღრმავა იგი და გამოიყენა სამართლის მეცნიერების მთავარი საკითხების გადამუშავების მიზნით. Kelsenის თავისებურობას შეადგენს ის, რომ მან გააფართოვა ბუნებრივი კანონის ცნება და ამასთან დაკავშირებით შეზღუდა ნორმის, როგორც ფორმალური, ლოღიკური კატეგორიის ცნება. მისთვის ყოველივე კანონი, რომელშიაც გამოისახება მიზეზობრივი კავშირი—სულერთია იქნება ის შემუშავებული ბუნებისმეტყველების, ფსიქოლოგიის, თუ სოციოლოგიის დარგში—ბუნებრივი კანონია; ბუნებრივი კანონია იმ მოსაზრებით, რომ იგი ეყრდნობა კაუზალობის საერთო პრინციპს; როგორც ასეთი, იგი დაპირისპირებულია ნორმასთან. ამგვარად, ნორმის ცნება Kelsenის მოძღვრებაში გაწმენდილია იმ ელემენტებისაგან, რომლებიც მას თან ერთვის სხვა თეორიებში. ორი სხვადასხვა მეთოდის—მატერიალურის და ფორმალურის--შეერთება და ნორმის, ე. ი. ვალდებულების სფეროში შეტანა ისეთი ელემენტებისა, რომელთა აღმოჩენა ნორმატიული, ფორმალური მეთოდის საშუალებით შეუძლებელია, ჩვეულებრივი მოვლენაა იურიდიულ მეცნიერებაში. ამ მეთოდების შეერთებას ადგილი აქვს გამოჩენილი იურისტების მოძღვრებაში; Stammlerი, მაგალითად, სცნობს არსის და ვალდებულების განსხვავებას; Stammlerის ტელეოლოგიური სისტემა სწორედ ამ განსხვავებაზეა აგებული. მხოლოდ Sollenის ცნება Stammlerის მოძღვრებაში სხვა ხასიათისაა, ვიდრე Kelsenისაში, რადგან

Stammlerი ტელეოლოგიური თვალსაზრისით უკავშირებს ნორმას იმ ფსიქიურ აქტს, რომლის საშუალებითაც ნორმა ცხოვრებაში ტარდება. ეს ფსიქიური აქტი, ე. ი. ნებისყოფა, არის ძალა, რომელიც ანხორციელებს საზოგადოებრივ მიზნებს. აქ, მაშასადამე, ნორმასთან დაკავშირებულია ფაქტიური, ფსიქიური პროცესი და ნორმა ჯრაა მოცემული იმ წმინდა სახით, რომელშიაც, Kelsenის აზრით, აშკარავდება მისი ნამდვილი ბუნება და რომლის გაგება შეიძლება მხოლოდ ფორმალური მეთოდის საშუალებით. ვალდებულება ტელეოლოგიური მნიშვნელობით, ე. ი. იმ მნიშვნელობით, რომელსაც მას აძლევს Stammlerი, Kelsenის შეხედულებით არ იქნება ნამდვილი ვალდებულება; არ იქნება იმიტომ, რომ მასში აღრეულია ორი სხვადასხვა მეთოდი, იმიტომ, რომ ტელელოგიური მსოფლმხედველობა ბოლოსდაბოლოს ეყრდნობა იმავე ბუნებრივ მეთოდს, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, Kelsenმა უარყო, რადგან იგი, მისი აზრით, გამოუსადეგარია სამართლის მეცნიერებაში. ამნაირად, Kelsenის მთავარი მიზანია, ნორმის ცნების გაწმენდა ყველა იმ თანდართული ელემენტებისაგან, რომლებიც შემუშავებულია კაუზალური მეთოდის ზეგავლენით და აბრკოლებენ სამართლის ნამდვილი ბუნების შესწავლას. ნებისყოფაც ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ეკუთვნის ფაქტიურ სინამდვილეს; ამიტომ იგი შეადგენს შინაარსს და არა ნორმის ფორმას.

შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ Kelsenი ნებისყოფის ცნებას, რომელიც გაბატონებულია სამართლის სხვადასხვა დარგში,—სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართალში—უყურებს, როგორც ფიქციას. თვით Kelsenი ხშირად ხმარობს ამ სახელწოდებას: „სახელმწიფოს ნებისყოფა“ (Staatswille). მაგრამ იგი ამ სიტყვას ანიჭებს სულ სხვა მნიშვნელობას: მისთვის „სახელმწიფოს ნებისყოფა“ წარმოადგენს მხოლოდ იურიდიული კონსტრუქციის საშუალებას; სახელმწიფოს ნებისყოფა მას გაგებული აქვს წმინდა ნორმატიულისა, და არა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით.

იურიდიული ვალდებულების ცნებას Kelsenის მოძღვრებაში აქვს ობიექტური მნიშვნელობა; ამიტომ ის, რაც სავალდებულოა (was gesollt-ist) არსებობს ადამიანის სურვილისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. დამოუკიდებლად იმ სუბიექტის ნებისყოფისაგან, რომელსაც აქვს იურიდიული მოვალეობა.

ეს განცალკევება ვალდებულებისა და ნებისყოფისა შეადგენს, როგორც უკვე ვთქვით, Kelsenის თეორიის ძირითად დებულებას. ვალდებულება ფორმალური ცნებაა, ნებისყოფა კი, როგორც ფსიქიური მოვლენა, ეკუთვნის სინამდვილის სფეროს და ამიტომაც იგი ექვემდებარება ბუნებრივ, ე. ი. კაუზალურ მეთოდს.

ბუნებრივი კანონი არის *ამხსნელი მსჯელობა* (ein erklärendes Urteil) მისი „ღირებულება“ (Geltung) მდგომარეობს მის ჭეშმარიტებაში; იგი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მასში გამოთქმული დამოკიდებულება სწორია და არა იმიტომ, რომ იგი თვით მოქმედობს, ე. ი. რომ იგი იწვევს ცვლილებას მოვლენებში. გავრცელებული შეხედულება, რომელიც კანონს ასახსნელ მოვლენის მიზეზად სთვლის, როგორც „causa efficiens“ს არაა სწორი. ბუნებრივი კანონი არაა მოქმედი ფაქტორი, რომელიც თითქოს არსებობს საგნებში: იგი მხოლოდ ლოღიკური ფორმაა, რომელიც გვაძლევს ამ საგნების ახსნას. ამით მოცე-

მულია მეორე განსხვავება ბუნებრივ კანონსა და ნორმას შორის. წინააღმდეგ ბუნებრივი კანონისა, ნორმას შეუძლია „მოქმედება“ (kann wirken); მისი პირდაპირი მიზანია ეს მოქმედება, ე. ი. მიზეზის, მოტივის სახით ადამიანის ნებისყოფაზე გავლენის მოხდენა. ნორმამ არ *უნდა ახსნას* არსი, როგორც ბუნებრივმა კანონმა; მან *უნდა შექმნას* ახალი რამ, გამოიწვიოს რაიმე მოვლენა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნორმაც ღირებულია (gilt) არა იმიტომ, რომ იგი „მოქმედობს“ (wirkt); ნორმის ღირებულება მდგომარეობს არა მის მოქმედებაში (Wirkung), ე. ი. არა იმაში, ასრულებენ მას სინამდვილეში, თუ არა, არამედ მის სავალდებულობაში. ნორმა ღირებულია იმდენად, რამდენადაც მისი შესრულება სავალდებულოა. მიზანი ნორმისა მისი მოქმედებაა; მაგრამ ნორმამ შეიძლება ვერ შეასრულოს თავისი მიზანი, ე. ი. ვერ გამოიწვიოს გათვალისწინებული შედეგები. მიუხედავად ამისა, იგი მაინც სავალდებულოა. უშედეგო ნორმაც ნორმაა. *ნორმის სავალდებულობისათვის მისი მიზნის განხორციელებას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა*[1].

ამასთან დაკავშირებულია ის ფაქტი, რომ ნორმა თავისი მიზნისა და მოქმედების მიხედვით ყოველთვის მიმართულია მხოლოდ მომავალ ყოფაქცევაზე და არა იმ ყოფაქცევაზე, რომელიც უკვე ჩადენილია. ცხადია, რომ თუ კი ჩვენ განვიხილავთ ნორმას მისი მიზნებისა და შედეგების მხრივ, ე. ი. როგორც მიზეზს, რომელმაც უნდა გამოიწვიოს მოტივაციის საშუალებით განსაზღვრული ყოფაქცევა, ჩვენ აუცილებლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ნორმა წინ უსწრებს იმ ყოფაქცევას, რომლის გამოწვევაც მას ჰსურს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას არა ნორმის მიზანს, რომელიც ყოველთვის მიმართულია მომავალ ყოფაქცევაზე, ე. ი. ფაქტიურ მოვლენაზე, არამედ ნორმის „ღირებულებას“, მის „სავალდებულობას“, მაშინ საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ რომელ დროს ეკუთვნის ყოფაქცევა, შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ ყოველივე მოქმედება *დროის მიხედვით* ეკუთვნის რეალობის სფეროს, ე. ი. იმას, რაც *არის* და არა იმას, რაც *უნდა იყოს*. მაშასადამე, როცა ვყოფთ მოქმედებას დროის ფარგლებში, ე. ი. ვლაპარაკობთ უკვე ჩადენილ ან მომავალ მოქმედებაზე, ჩვენ ვხმარობთ აზროვნების იმ ფორმას, რომელზედაც დამყარებულია მატერიალური, *ექსპლიკატიური* მეთოდი; აზროვნების ეს ფორმა კი, Kelsenის შეხედულებით, წმინდა ვალდებულების სფეროში არ გამოდგება. ამ უკანასკნელში გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ფორმალური მეთოდი.

ამ დებულებას Kelsenის თეორიისათვის აქვს უაღრესი მნიშვნელობა. Kelsenი ასხვავებს ნორმის „*ღირებულებას*“ (Geltung) და „*მოქმედებას*“ (Wirkung)[2]. ეს ორი ფუნქცია ნორმისა სრულიად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. „მოქმედება“ გამოხატავს ნორმის მიზნობით მომენტს. ნორმას აქვს განსაზღვრული მიზნები; იგი იწვევს განსაზღვრულ შედეგებს და, რასაკვირველია, ამ მხრივ იგი სრულიად არ განსხვავდება ყველა იმ პროცესებისაგან, რომლებიც ხდე-

---

[1]) „Für die spezifische „Soll“-Geltung der Norm bleibt die Realisierung ihres Zweckes bedeutunglos“. Hauptpr...S. 14.

[2]) Ib. 15.

-ზა სინამდვილეში. აქ ნორმას ენიჭება მიზეზის ხასიათი. იგი მიზეზობრივადაა დაკავშირებული თავის შედეგებთან; ნორმამ შესაძლოა მიაღწიოს თავის მიზანს, ე. ი. გამოიწვიოს სასურველი ეფექტი; ეს ნიშნავს, რომ მას ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაძლოა წინააღმდეგი შემთხვევაც. ნორმა რჩება უშედეგოდ, მას არ ასრულებენ. აქვს, თუ არა ამ შემთხვევას რაიმე მნიშვნელობა ნორმის ღირებულებისათვის? არავითარი, ვინაიდან ნორმის „ღირებულებას" საერთო არაფერი არა აქვს მის „მოქმედებასთან". პირველი ეკუთვნის წმინდა ფორმალურ სფეროს, მეორე—ფაქტიურ სინამდვილეს. პირველი აზროვნების იმ ფორმის გამოხატულებაა, რომელიც აწესებს წმინდა სავალდებულობას, ხოლო მეორე იკვლევს სინამდვილეს მიზეზობრივ დამოკიდებულებათა თვალსაზრისით და იძლევა ფაქტების შემეცნებას.

ნორმის „ღირებულებისა" და „მოქმედების" განსხვავებით Kelsenი ხაზს უსვამს და აღრმავებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც, მისი აზრით, არსებობს ნორმატიულსა და კაუზალურ მეთოდს შორის.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გამორკვევა, შესაძლოა, თუ არა, Kelsenის თეორიის თვალსაზრისით, ნორმის მიმართ წინააღმდეგობა (Normwidrigkeit). ბუნებრივი კანონი თავისი ნამდვილი, ზუსტი მნიშვნელობით, ამბობს Kelsenი, შეუძლებლად ხდის ყოველივე გამონაკლისს. ყოველივე ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება მას, ამტკიცებს ამ კანონის სიყალბეს. მაგრამ, რომ ავიღოთ ბუნებრივი კანონი ნაკლებად ზუსტი მნიშვნელობით, ე. ი. ვიგულისხმოთ ამ სიტყვით ისეთი კანონები, რომლებიც არ გამოხატავენ აბსოლუტურ და უნაკლო ბუნებრივ ერთგვარობას, როგორიცაა მაგალითად, ფსიქოლოგიისა და ბიოლოგიის კანონები, მაშინ შესაძლოა გამონაკლისების დაშვება. ეს გამონაკლისები, რამდენადაც ისინი იშვიათია, მხოლოდ ადასტურებენ საერთო წესის სისწორეს.

ზნეობრივი კანონიც, განხილული ობიექტური ნორმის თვალსაზრისით, ე. ი. მხოლოდ მისი ღირებულების მხრივ, უარჰყოფს ყოველგვარ გამონაკლისს ნორმიდან ისეთნაირადვე, როგორც ნამდვილი ბუნებრივი კანონი. აღმოჩენილი რომ იქნეს თუნდაც ერთად ერთი შემთხვევა, რომელიც, თუმცა ეთანაბრება ამ ნორმის შინაარსს, მაგრამ რომლისთვისაც ეს ნორმა **არაა სავალდებულო**, ნორმა დაკარგავს თავის ღირებულებას ისე, როგორც ბუნებრივი კანონი, რომელსაც ეწინააღმდეგება რომელიმე ფაქტი. სულ სხვაა, როდესაც ნორმა ფაქტიურად არ ტარდება ცხოვრებაში; ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ნორმამ ვერ მიაღწია თავის მიზანს: იგი უშედეგოა. Kelsenის აზრით, ნორმის დარღვევის დაშვება შეუძლებელია, თუ კი ნორმას განვიხილავთ მისი ობიექტური სავალდებულობის თვალსაზრისით. ამ მხრივ ნორმა უარჰყოფს ყოველივე გამონაკლისს. გამონაკლისი ნორმიდან შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც ყურადღებას ვაქცევთ ფაქტიურ მდგომარეობას, იმას, რაც ხდება სინამდვილეში. მართლაც, როდესაც ვაკვირდებით ზნეობრივი ცხოვრების ფაქტებს, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ადამიანის ყოფაქცევა უმეტეს შემთხვევაში ეთანაბრება იმ ნორმებს, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ; ამ გზით გამოგვყავს წესი, რომ ადამიანები საერთოდ ასრულებენ ნორმებს; ასეთი დაკვირვების საშუალებით გამოყვანილი წესი ბუნებრივი წესია (Naturregel),

რადგან იგი მხოლოდ აღნიშნავს ფაქტიურ მდგომარეობას. ამ ბუნებრივი წესიდან შესაძლოა გამონაკლისი; შესაძლოა ამ წესის დარღვევა. ამგვარად, როდესაც ვინმე არ ასრულებს ყოფაქცევის ფაქტიურად მიღებულ წესს, ეს არის გამონაკლისი ამ წესიდან. სწორედ ეს ბუნებრივი წესია, რომელიც მისი დარღვევის შემთხვევაში კარგავს თავის ძალას. მაგრამ ყოფაქცევის ბუნებრივი წესის დარღვევა სრულიადაც არ ამცირებს ფორმალური ნორმის ღირებულებას. ფორმალური ნორმა აქაც ააშკარავებს თავის მნიშვნელობას, რადგან იგი ეკუთვნის არა ფაქტების ქვეყანას, არამედ წმინდა ვალდებულების სფეროს; მისი ბუნება, რომელიც გამოიხატება ფორმულაში—„უნდა იყოს“, აქაც რჩება ხელშეუხლებელი. ზნეობრივი ბრძანება, რომელიც აკრძალავს სხვისი ქონების გატაცებას, ქურდისათვისაც სავალდებულოა; ქურდობა არღვევს მხოლოდ იმ წესს, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანები საერთოდ პატივისცემით ეპყრობიან სხვის ქონებას. აქედან ცხადია, თუ როგორ უყურებს Kelsenი დაყენებულ საკითხს. ნორმის დარღვევა შეუძლებელია, რადგანაც ნორმა არ ეკუთვნის რეალური ფაქტების ქვეყანას; იგი რჩება ძალაში მაშინაც, როდესაც ჩადენილია მოქმედება, რომელიც გარეგნულად თითქოს მის წინააღმდეგ არის მიმართული. სინამდვილეში აქ ირღვევა არა ნორმა, არამედ ყოფაქცევის ფაქტიური წესი[1]. ნორმის ღირებულება, მისი სავალდებულობა, რომელსაც წმინდა ფორმალური ხასიათი აქვს, რჩება შეურყეველი.

ამრიგად, Kelsenის თეორიის სწორი გაგებისათვის საჭიროა ორი მოწინააღმდეგე მეთოდის განსხვავება—ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ ი მეთოდის, რომელიც იკვლევს და ხსნის რეალური ქვეყნის მოვლენებს კაუზალური პრინციპის მიხედვით და ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი მეთოდის, რომელიც სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ფაქტიურ ქვეყანას და იხილავს მხოლოდ ნორმის სავალდებულობას. სამართლის დარგში ასეთი განსხვავება აუცილებელია, ვინაიდან სამართალს არ აინტერესებს ნორმის შინაარსი.

სხვაგვარია ეთიკის მდგომარეობა. ეთიკური პრობლემების დამუშავების დროს, Kelsenის აზრით, ნორმატიული და კაუზალური მეთოდის განცალკევება შესაძლოა, მაგრამ აუცილებელი არაა. როდესაც ფსიქოლოგი ან სოციოლოგი თავის მიზნად ისახავს ეთიკური ნორმის შინაარსის გამოკვლევას, მისი კვლევა-ძიების შედეგი წინასწარ განსაზღვრულია იმ მხრივ, რომ მხოლოდ ა რ ს ს შეუძლია იქნეს ზნეობრივი ნორმის შინაარსი, რადგან კონტრასტი ა რ ს ს ა და ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შორის, რომელიც დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს ნორმატიული თვალსაზრისით, ბუნებისმეტყველების მეთოდისათვის მიუწვდომელია; მეთოდების განცალკევება შესაძლოა ზნეობრივ დარგში, მაგრამ იგი აქ სადავო ღირებულებისაა (von fraglichem Werte ist); მეთოდების მკვეთრი გაყოფა მაშინაც კი ძნელია, როცა ნორმა თავისი შინაარსით და წარმოშობით ფაქტიური ყოფაქცევის წესს

[1]) „Das Moralgebot, fremdes Eigentum zu achten, gilt auch für den Dieb, während die Regel, dass die Menschen im allgemeinen fremdes Eigentum respektieren, dem einzelnen Diebstahle gegenüber ausgenommen ist. Die Normwidrigkeit ist nicht eine Ausnahme von der Geltung der Norm, sondern von der ihre tatsächliche Wirkung konstatierenden Regel—einem Naturgesetze im weitesten Sinne“. Hauptpr. 28.

შეადგენს. ეს შეიძლება ითქვას არა მარტო ზნეობის შესახებ; მეთოდების შეერთების მხრივ ზნეობას ენათესავება გრამატიკა, რომელსაც არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მარტოოდენ სწორი ლაპარაკის ნორმების დაწესებით; მან უნდა გვიჩვენოს აგრეთვე, თუ როგორ ლაპარაკობდენ სხვა დროს და როგორ ლაპარაკობენ თანამედროვე ხანაში. მაშასადამე, გრამატიკა ისე, როგორც ეთიკა, სარგებლობს ორი სხვადასხვა მეთოდით: ნორმატიულით, რომელიც იძლევა ნორმის სავალდებულობის შემეცნებას და კაუზალურით, რომელიც არკვევს ნორმების შინაარსს და მათი წარმოშობის პროცესს.

Kelsenი განმეორებით ამტკიცებს, რომ დახასიათებული მეთოდების განცალკევება სამართლის დარგში აუცილებელია. ეს გარემოება ანიჭებს სამართალს თავისებურ მდგომარეობას ნორმატიულ მეცნიერებათა შორის. სამართლის მეცნიერება არის ნორმატიული მეცნიერება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; ამიტომ მასში სხვადასხვა ელემენტების აღრევა, როგორც ამას აქვს ადგილი სხვა ნორმატიულ დისციპლინებში, დაუშვებელია. მაგრამ თუ განვიხილავთ სამართალს გენეტიურად, მისი განვითარების თვალსაზრისით, ჩვენ ვნახავთ, რომ თავდაპირველად სამართალი სწორეთ ამ მხრივ არსებითად არ განსხვავდებოდა სხვა ნორმატიულ დისციპლინებისაგან. სანამ სამართალი წარმოიშვებოდა ჩვეულების გზით, იურიდიულ და სხვა ნორმებს შორის არსებობდა ფართო ანალოგია და იურისპრუდენცია მუშაობდა საერთო საფუძველზე ეთიკასთან. სასამართლოები ადგენდენ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის სანქციას—სასჯელს, ან აღსრულებას (Strafe oder Exekution)—მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სამართლის დამრღვევი მოქმედებდა მიღებული წესის, ე. ი. ჩვეულების წინააღმდეგ. ამ საფეხურზე, ე. ი. ადათობრივი სამართლის ბატონობის დროს, საკითხი იმის შესახებ, თუ რაა სამართალი, რაა სავალდებულო რომელიმე კონკრეტ შემთხვავაში მატერიალურად გათანასწორებული იყო საკითხთან—რა არის საერთოდ, ჩვეულებრივად მიღებული. რადგან ჯერ-ჯერობით სამართლის დარგში ისე, როგორც ზნეობაში, არ იყო გამომუშავებული გარკვეული ობიექტური საზომი იმისა, თუ „რა იყო სავალდებულო“ (was sein sollte), იურისტი იძულებული იყო ეხელმძღვანელა იურიდიული ჩვეულებით, ე. ი. იმით, რაც მიღებული იყო მის ხანაში, ანდა რაც გადმოცემული იყო წინანდელი თაობებიდან. ამ ხანაში კავშირი არსებულ სავალდებულო სამართალსა და სამართლის ისტორიულ განვითარებას შორის იმდენად მჭიდროა, რომ სამართლის ისტორიული კვლევა-ძიების და სამართლის დოგმატიური განხილვის განსხვავების საჭიროებას იურისტი არ გრძნობს; ამასთან ერთად, რასაკვირველია, არც ექსპლიკატიური და ნორმატიური მეთოდების განსხვავების მოთხოვნილება არსებობს. სამართლის ისტორიული შესწავლა თავის თავად დოგმატიურ მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს [1].

ადათობრივი სამართლის ნორმები ღებულობენ თავის შინაარსს სოციალური პროცესიდან: ხანგრძლივი ჩვეულებიდან; ამგვარად, მათში იურიდიული ვალდებულება (Sollen) და იურიდიული არსი (Sein) შეთანხმებულია ერთმანეთთან; ეს გარემოება ჰქმნის ერთგვარ ანალოგიას ავტონომიურ ზნეობასთან.

---

[1]) „Hauptpr...“ 33,34.

მაგრამ მიუხედავად ამ ანალოგიისა, ზნეობასა და ადათობრივ სამართალს შორის მაინც არსებობს განსხვავება. სრული ანალოგია მათ შორის არაა. ავტონომიურ ზნეობაში ის, რაც სავალდებულოა, შეადგენს ნებისყოფის შინაარსს; აქ ნებისყოფა და ვალდებულება იდენტურია; სწორედ ეს გარემოება აძლევს Kelsenს საფუძველს, რომ უარჰყოს ეთიკა, როგორც წმინდა ნორმატიული მეცნიერება. წმინდა ნორმატივობა შეადგენს სამართლისა და არა ეთიკის თვისებას. ეთიკაში გამოიყენება, როგორც ნორმატიული, ისე კაუზალური მეთოდი იმ მოსაზრებით, რომ აქ ნებისყოფა და ვალდებულება მათი იდენტურობის გამო მიმდინარეობენ ერთდაიმავე მიმართულებით. ნებისყოფა ეთიკაში გაგებული უნდა იქნეს არა საერთო, არამედ ინდივიდუალური მნიშვნელობით, ვინაიდან ზნეობრივი ნორმა ეთანხმება არა მარტო საზოგადო, საერთო ნებისყოფას, არამედ აგრეთვე ინდივიდუალურ ნებისყოფასაც; ინდივიდისათვის სავალდებულოა ის, რაც მას ჰსურს ზნეობრივი სწრაფვის სახით. ცალკე ადამიანისათვის ზნეობრივი ნორმა არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი ამ ნორმას თვითონ აწესებს, თავისუფლად ემორჩილება მას, ჰსურს მისი შესრულება.

ამ თვალსაზრისით რომ შევადაროთ ერთმანეთს სამართალი და ზნეობა მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ინდივიდუალურად ავტონომიური ხასიათი სამართალს არასოდეს არა აქვს. არა აქვს, რა თქმა უნდა, ეს ხასიათი არც ადათობრივ სამართალს[1]. ამიტომაც, Kelsenის აზრით, ანალოგია, რომელიც არსებობს ადათობრივ სამართალსა და ავტონომიურ ზნეობას შორის, სრული არაა. თუმცა, ამბობს იგი, ადათობრივ სამართალში სამართლად მიჩნეულია ის, რაც შეადგენს უმრავლესობის ყოფაქცევას, ისე რომ საზოგადოებისათვის იურიდიული ვალდებულება და იურიდიული სინამდვილე (rechtliches Sollen und rechtliches Sein) შინაარსის მხრივ ყოველთვის ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ ცალკე ინდივიდისათვის ეს ასე არაა, რადგან ადათობრივი სამართლის ნორმა აწესებს ინდივიდის ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება მის სურვილს ეს ვალდებულება, თუ არა, იცის მან ნორმა, თუ არა. ადათობრივი სამართლის ნორმა გამოიყენება (wird angewendet) კერძო შემთხვევაში მაშინაც კი, როდესაც მას არ ასრულებენ, შეიძლება ითქვას, სწორედ მაშინ, როცა მას არ ასრულებენ. ეს გამოყენების შესაძლებლობა შეადგენს სამართლის ძირითად თვისებას და ამით იგი პრინციპიალურად განსხვავდება ზნეობრივი კანონისაგან; სამართალი გულისხმობს სასამართლოს. სამართლის დარგში შესაძლოა წინააღმდეგობა ვალდებულებასა და ინდივიდუალურ ნებისყოფას შორის, ხოლო ზნეობრივ სფეროში ეს შეუძლებელია. ამ აზრს Kelsenი გამოსთქვამს შემდეგ სიტყვებში: ვალდებულებას აქვს ძალა იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსი არაა იმავე შინაარსის („Das rechtliche Sollen gilt im Einzelfalle ohne gleichinhaltliches Sein“)[2].

Kelsenი ამტკიცებს, რომ იმ ხანაში, როდესაც მოქმედებდა მხოლოდ ადათობრივი სამართალი, ე. ი. სამართლის განვითარების პირველ საფეხურებზე სამართალი თავისი თვისებებით უახლოვდებოდა ზნეობას. ამ აზრს ჩვენ ხშირად

[1]) Ibid. 35.

[2]) Ibid. 35.

ეხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში; მაგრამ Kelsenი ასაბუთებს მას თავისებურად. ადათობრივი სამართლი, ამბობს იგი, ენათესავება ზნეობას იმით, რომ მასში მკვეთრად და ნათლად არაა გამოსახული სამართლის განსაკუთრებული თვისება — მისი ნორმატივობა. ნორმატიული მომენტი აქ ჯერ-ჯერობით შეერთებულია ფაქტიურ, მატერიალურ მომენტთან, ვინაიდან სავალდებულოდ ითვლება ის, რაც სინამდვილეში მიღებულია, როგორც ჩვეულებრივი ყოფაქცევა. სწორედ ზნეობას ახასიათებს ასეთი თვისება: ზნეობაშიც ვალდებულება რეალურ ფსიქიურ მოვლენისაგან არაა გამოყოფილი; ზნეობრივ დარგში ასეთი აღრევა სხვადასხვა მომენტებისა ადვილი გასაგებია; ეს აიხსნება იმით, რომ ზნეობრივ ვალდებულებასა და ნებისყოფას შორის არსებობს ბუნებრივი თანხმობა; სხვაგვარი მდგომარეობა აქ შეუძლებელიცაა.

ასეთია მსგავსება ადათობრივ სამართალსა და ზნეობას შორის. ორივე შემთხვევაში — ადათობრივ სამართალსა და ზნებაში — სავალდებულო ნორმად მიჩნეულია ის, რაც შეადგენს საზოგადოების ფაქტიურ ყოფაქცევას. ფაქტი ღებულობს ნორმის მნიშვნელობას. მაგრამ ამით ამოიწურება მსგავსება, რადგან ადათობრივი სამართალი მაინც სამართალია და, როგორც ასეთი, იგი ააშკარავებს თავის ბუნებას. თუ ადათობრივ სამართალში, ერთის მხრივ, საზოგადოების თვალსაზრისით არსებობს თანხმობა ვალდებულებასა და საერთოდ მიღებულ წესს შორის, და, მაშასადამე, საზოგადოებისათვის ის, რაც არის და ის, რაც უნდა იყოს, ფ ა ქ ტ ი და ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა შინაარსის მხრივ ერთი და იგივეა, მეორეს მხრივ, ამ საზოგადოების ცალკე წევრისათვის ეს თანხმობა არ არსებობს, რადგან ინდივიდის მხრივ ყოველთვის მოსალოდნელია წინააღმდეგობა ნორმის მიმართ; და როდესაც ხდება ეს წინააღმდეგობა, მაშინ, ე. ი. ნორმის გამოყენების დროს, სამართალი იჩენს თავის ნამდვილ ბუნებას. იგი რჩება სავალდებულოდ მიუხედავად საწინააღმდეგო მოქმედებისა.

როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადათობრივი სამართლის ადგილს იკავებს კანონმდებლობა, მაშინ ისპობა ის მსგავსება სამართალსა და ზნეობას შორის, რომელიც ზემოთ იყო დახასიათებული. კანონმდებლობას შეაქვს სამართალში ღრმა ცვლილება. რა თქმა უნდა, კანონმდებლობის დროსაც, ისე როგორც ადათობრივი სამარლის ხანაში, იურიდიულ სავალდებულობის შინაარსს შეადგენს სოციალური პროცესი, ფაქტიური სინამდვილე, მაგრამ ეხლა ეს სოციალური სინამდვილე უკვე არ წარმოადგენს იმავე პირების ფაქტიურ ყოფაქცევას, ვისთვისაც სავალდებულოა ნორმა. იურიდიული სავალდებულობის შინაარსი ეხლა არ განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორია საზოგადოებაში მიღებული საერთო ყოფაქცევა. კანონმდებლობის დამკვიდრებით იურიდიულ სავალდებულობას ენიჭება დამოუკიდებელი მდგომარეობა არსის მიმართ. ამიტომ ეხლა შეუძლებელია უყურადღებოდ დატოვება იმ წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს იურიდიულ სავალდებულობასა და არსს შორის. როდესაც სამართალი ჩნდება ადათობრივი გზით მისი ჰეტერონომიული ბუნება არაა გარკვეულად გამოსახული; არაა იმიტომ, რომ სამართლის ნორმების შინაარსი განსაზღვრულია იმავე ინდივიდებით, რომლებისთვისაც ეს ნორმები სავალდებულოა. სამართლის ჰეტერონომიული ბუნება გარკვეულად და მკვეთრად აშკარავდება

მაშინ, როცა ადათობრივი სამართლის ბატონობა ისპობა და მის ადგილს იკავებს ცნობიერი კანონმდებლობა. ამ ცვლილების შედეგია ის, რომ ვალდებულებისა და არსის შინაარსის იდენტურობაც ისპობა [1].

სამართლის ნორმატიული ბუნების გამორკვევის საკითხში Kelsenი დიდ როლს მიაწერს კანონმდებლობას. მისი აზრით, კანონმდებლობის შესწავლა ხელს უწყობს სამართლის ნამდვილი ბუნების გაგებას. იმ პრინციპის გამარჯვებით, რომელიც სამართლად აღიარებს მხოლოდ იმას, რაც წარმოიშობა კანონმდებლობის ფორმალური აქტის საშუალებით, მიუხედავად იმისა, ასრულებდენ იქამდის ამას, თუ არა—კავშირი ისტორიულ პროცესსა და სამართლის ნორმას შორის წყდება. ამიერიდან ნორმის შინაარსი გამოიყვანება პოზიტიური სამართლის ნიადაგზე არა იმისგან, რაც წარმოადგენს საერთოდ მიღებულ ყოფაქცევას, არა ისტორიული პროცესის შესწავლის გზით, არამედ თავისუფალი იურიდიული შემოქმედების საშუალებით, რომელიც ფორმალურად სამართლის ფაქტიურ განვითარებისაგან სრულიად დამოუკიდებელია. საკანონმდებლო აქტის საშუალებით გარკვეულად გაყოფილია სამართლის განვითარება და არსებული სამართალი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამართლის შემეცნების მეთოდისათვის. ცხადი ხდება, რომ დოგმატიურმა იურისპრუდენციამ პოზიტიური სამართლის ნორმების შინაარსი უნდა გამოიყვანოს არა სამართლის ისტორიიდან, არამედ კანონებიდან. პრინციპიალური განსხვავების გატარება ისტორიასა და დოგმატიკას შორის არა თუ შესაძლოა, არამედ აუცილებელიცაა. ამ ორ დისციპლინის მეთოდების განსხვავებაც თავის თავად ირკვევა [1].

კანონში იურიდიულ ნორმას შინაარსის მხრივ აქვს ობიექტური ხასიათი; იგი თავის წარმოშობის მხრივაც ადამიანის შინაგან განწყობილებისაგან დამოუკიდებელია; ამით განსაზღვრულია მისი ჰეტერონომიული ბუნება. ის გარემოება, რომ ზნეობრივი ნორმა პირველი შეხედვით თითქოს გარედანაა მიმართული სუბიექტისადმი, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ აქ ზნეობრივი ავტორიტეტი წარმოდგენის გზით ადამიანის გარეთ არის გადატანილი; აქ ხდება ამ ავტორიტეტის პროექცია; ამიტომაც ზნეობრივი კანონის ობიექტივობა მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათისაა. სამართლის ნორმას კი აწესებს ავტორიტეტი, რომელიც უცილობელად ადამიანის გარედ იმყოფება და რომელსაც ადამიანი ემორჩილება იმიტომ, რომ ამ ავტორიტეტს აქვს ფაქტიური ძალა; იგი ხორციელდება მიუხედავად იმისა, ეთანხმება მას ინდივიდი, თუ არა. ეს ძალა არის სახელმწიფო. ეს ფაქტი ყველაზე უფრო ნათლად აშკარავდება მაშინ, როდესაც ადათობრივი სამართალი კარგავს თავის მნიშვნელობას. როდესაც სამართალი მყარდება არაა საზოგადოების ზოგიერთ წევრების ცნობიერი შემოქმედებით, არამედ წარმოიშვება მთელ საზოგადოებაში ფაქტიური ყოფაქცევის გზით, სამართალს უყურებენ, როგორც ხალხის ნებისყოფის გამოხატულებას. ამ მხრივ სამართალი დაახლოვებული იყო ზნეობასთან; როდესაც სახელმწიფო თავის სასამართლოებში გამოიყენებდა ამ სამართალს, მთავარ მნიშვნელობას მაინც მიაწერდენ ამ სამართლის შინაარსის წყაროს და

[1]) Ib. 37.

[1]) Ib. 39.

არა სახელმწიფო ავტორიტეტს. სინამდვილეში, სამართლის ავტორიტეტი, ისე, როგორც ზნეობრივი, დამყარებული იყო იმ პირების შინაგან განწყობილებაზე, რომლებიც სამართალს ჰქმნიდენ; ამ გარემოებით აიხსნება ძველი იურისტების მეთოდი, რომელიც გარკვეულად არ ასხვავებდა სამართალსა და ზნეობას. ამ მხრივაც ადათობრივი სამართლის განდევნას ცნობიერი კანონმდებლობის მიერ შეაქვს ღრმა ცვლილება სამართალში. ძველ დროში იმის შეგნებას, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ინდივიდის გარედ მდებარე ავტორიტეტს, არ შეეძლო დამკვიდრებულიყო; მაშინ ცდილობდენ დაეფუძნებიათ სახელმწიფო ცალკე ინდივიდების ნეფისყოფაზე. ამ მისწრაფების გამომხატველია საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია მისი სხვადასხვა სახეებით.

თანამედროვე სამართალში შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ავტორიტეტი, რომელიც ადგენს ნორმებს, იდენტურია იმ სუბიექტებთან, რომლებიც ემორჩილებიან ამ ნორმებს. ზნეობის დარგში ასეთი იდენტურობის აღიარება იწვევს შეხედულებას, რომ ყოველივე ზნეობრივი მოვალეობა შეიძლება წარმოიშვეს მხოლოდ თვითდავალების საშუალებით (nur im Wege einer Selbstverpflichtung entstehen kann), რომ ინდივიდისათვის ღირებულია მხოლოდ ის ნორმა, რომელსაც იგი თავისუფლად ექვემდებარება და ხდის თავისი ნებისყოფის შინაარსად, ისე რომ სინამდვილეში მისი ვალდებულება მისი საკუთარი ნებისყოფაა; მაგრამ ამგვარი შეხედულების გადატანა სამართალში შეუძლებელია, ვინაიდან სამართალს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აქვს ჰეტერონომიული ხასიათი, რომლის ძალით იგი აკისრებს ინდივიდებს ვალდებულებას მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. ამაში უნდა ვეძიოთ, Kelsenის აზრით, ძირითადი განსხვავება სამართალსა და ზნეობას შორის. სამართალი ჰ ე ტ ე რ ო ნ ო მ ი უ ლ ი ა, ზნეობა კი ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი ბუნებისაა; ზნეობის ავტონომიური ბუნების გამო ამ დარგში Kelsenს არ გაჰყავს გარკვეული განსხვავება ვალდებულებასა და არსს შორის და ამასთან დაკავშირებით არც ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ და ე ქ ს პ ლ ი ვ ა ტ ი უ რ მეთოდებს მკაფიოდ არ ასხვავებს[1]. სამართლის დარგში, პირიქით, ვალდებულებისა და არსისა და მეთოდების განცალკევება Kelsenს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია.

Kelsenის შეხედულებით, უნდა გავარჩიოთ ორი სხვადასხვა საკითხი: პირველი—რას წარმოადგენს რომელიმე საზოგადოების ფაქტიური იურიდიული ცხოვრება, ე. ი. სამართლის ნორმების ფაქტიური გამოყენება, მათი შესრულება, თუ შეუსრულებლობა; მეორე—როგორია თვით ეს ნორმები ფორმალური თვალსაზრისით, რას მოითხოვენ ისინი. პირველი საკითხი შეადგენს კულტურის ისტორიკოსისა და ზნე-ჩვეულების მკვლევარის ამოცანას; მათი ამოცანაა, რომელიმე ხალხის ყოფაქცევის აღწერა და სამართლის და ზნეობრივ ნორმებთან შედარება. ფსიქოლოგიის ამოცანას შეადგენს იმ მოქმედების შესწავლა, რომელსაც ადამიანის ცნობიერებაში შესული სამართლის ნორმა ახდენს მის ნებისყოფაზე და საქციელზე; მისი ამოცანაა ნორმების გავლენის გამორკვევა, ინდივიდის მართლზომიერი ან სამართლის საწინააღმდეგო მოქმედების დაყვანა მის ფაქ-

---

[1]) Ib. 41

ტიურ მიზეზებზე. დასასრულ, სოციოლოგიის ამოცანაა, სამართლის გაგება, როგორც მასიური ფსიქიკის მოვლენისა, როგორც ძალისა, რომელიც ბატონობს მასებზე; სოციოლოგისათვის ისე, როგორც ფსიქოლოგისათვის, სამართალი ფსიქიური მოვლენაა, რომელიც მან უნდა ახსნას (das er zu erklären hat), ე. ი. უნდა გამოარკვიოს მისი მიზეზები, შეისწავლოს ადამიანის იურიდიული ყოფაქცევა ბუნებრივი აუცილებლობის თვალსაზრისით.

მაგრამ, თუ კი მივაქცევთ ყურადღებას არა ადამიანის იურიდიულ მოქმედებას, არამედ განსაკუთრებით თვით ობიექტურ ნორმას, ე. ი. დავაყენებთ საკითხს მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ადამიანებმა მართლზომიერად (wie sollen sich die Menschen rechtsmässig verhalten), ამ საკითხის გადაჭრაში ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ წმინდა ფორმალური კრიტერიუმით. მოსამართლე, რომელმაც უნდა გამოიყენოს დაწერილი სამართალი ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში, ვერ დაუკავშირებს თავის გადაწყვეტილებას იმას, ტარდება ამ შემთხვევაში დარღვეული ნორმა საერთოდ ცხოვრებაში, თუ არა; ასეთი საკითხი მას სრულიად არ აინტერესებს; მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ნორმის ფორმალური არსებობა; თუკი მოსამართლე ვალდებულია გამოიყენოს კანონი, იგი ვერ დაეყრდობა ჩვეულებას, ე. ი. მიღებულ წესს: არსიდან ვალდებულების გამოყვანა მისთვის შეუძლებელია. თეორეტიკოს-იურისტის მდგომარეობა კანონის მიმართ იგივეა, რაც მოსამართლისა; როგორც მოსამართლისათვის, ისე თეორეტიკოსისათვის სამართალს აქვს მნიშვნელობა მხოლოდ ფორმალური სავალდებულობის მხრივ, რადგან ადამიანთა ფაქტიური ყოფაქცევის ახსნა და ბუნებრივი კანონზომიერების მიხედვით მისი დასაბუთება იურისტის საქმეს არ შეადგენს; ახსნა სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიზანია. იურისტმა კი უნდა განიხილოს თავისი დარგი მხოლოდ ნორმატიული თვალსაზრისით.

ამნაირად განსაზღვრავს Kelsen-ი იურისტის ამოცანას. მაგრამ იგი იქვე დასძენს, რომ წმინდა ნორმატიული თვალსაზრისი ცალმხრივია და ამიტომ მას არ შესწევს ძალა გაიგოს სამართალი, როგორც მთლიანი მოვლენა (Gesammtrechtserscheinung). Kelsen-ი არ ამტკიცებს, რომ იურისტმა სრულიად უნდა უარჰყოს სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური ან ისტორიული კვლევა-ძიება. Kelsen-ის აზრით, ესეც საჭიროა (solche sind nötig). მხოლოდ, აძბობს იგი, იურისტმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი, როგორც სოციოლოგი, ფსიქოლოგი ან ისტორიკოსი, მიდის სულ სხვა გზით შედარებით იმ გზასთან, რომელსაც იგი მიჰყავს მის სპეციფიურ იურიდიულ შემეცნებისაკენ; იურისტმა, როდესაც იგი აწარმოებს სოციოლოგიურს ან სხვა რაიმე ექსპლიკატიურ კვლევა-ძიებას, არ უნდა აურიოს ამ კვლევა-ძიების შედეგები იურიდიული მეთოდის შედეგებს, არ უნდა შეიტანოს ისინი იურიდიულ კონსტრუქციებში. ზნეობის განსაკუთრებული ბუნების გამო შესაძლოა ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური ეთიკა; ამგვარი იურისპრუდენცია კი იქნებოდა მეთოდოლოგიური აბსურდი: იურისპრუდენცია, აგებული სოციოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ საფუძველზე, იურისპრუდენცია არაა; „უკეთეს შემთხვევაში იგი შეიძლება იქნეს სამართლის

უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამართლის ცხოვრების ფსიქოლოგია ან სოციოლოგია" [1].

იურისპრუდენციის განსაკუთრებული ნორმატიული ხასიათი დამყარებულია სამართლის ნორმის თავისებურებაზე; ეს თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სამართალს აქვს წმინდა ჰეტერონომიული ბუნება; აქედან გასაგები ხდება ამ დისციპლინის ფორმალური მეთოდი. ზნეობის დარგში კი ფორმალურ მეთოდს არა აქვს ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა. ზნეობაში მიღებულია ობიექტური ნორმისა და სუბიექტური ნებისყოფის იდენტურობა; ამ იდენტურობის ბუნებრივი შედეგია ის, რომ ყოველივე მსჯელობა, რომელიც გამოთქვამს რომელიმე მოქმედების თანხმობას ან უთანხმოებას ნორმასთან, აუცილებლად მოწონების (Billigung), ან დაწუნების (Missbilligung) მსჯელობაა; მაშასადამე, ზნეობის დარგში ნორმის ცოდნა ნიშნავს მის ა ღ ი ა რ ე ბ ა ს (Anerkennung) [2]. ამით Kelsenი გამოთქვამს იმ აზრს, რომ ზნეობაში, როგორც ავტონომიურ ნებისყოფის სფეროში, ზნეობრივი ნორმის ცოდნა იგივეა, რაც ამ ნორმის თავისუფალი მიღება, თანხმობა მასთან, მისი აღიარება. ამგვარი დამოკიდებულება ნორმის ცოდნასა და მის აღიარებას შორის ზნეობაში აუცილებელია: იგი წინასწარ მოცემულია უკვე იმ მთავარ დებულებაში, რომ ზნეობრივი ნორმა და ადამიანის ზნეობრივი სწრაფვა ერთი და იგივე შინაარსისაა. რასაკვირველია, ამგვარი მდგომარეობა შეუძლებელია სამართლის დარგში, რადგანაც აქ ობიექტური ნორმა და სუბიექტური ნებისყოფა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. აქ ნორმის შეფარდება უკვე მომხდარ მოქმედებასთან არაა დაკავშირებული „მოწონების" ან „დაწუნების" მსჯელობასთან და ნორმის ცოდნა სრულიადაც არ შეიცავს მის „აღიარებას". შესაძლოა, ჩვენ ჩავთვალოთ რომელიმე კონკრეტი მოქმედება, როგორც კანონის საწინააღმდეგო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ იგი არ მოგვწონს. შესაძლოა კიდევაც ასეთი მოქმედების მოწონება სხვა ეთიკური ნორმების მიხედვით. მსჯელობა, რომ რომელიმე მოქმედება ეწინააღმდეგება სამართალს, სრულიადაც არაა დაკავშირებული ამ მოქმედების დაგმობასთან, რადგან სამართლის ნორმის ცოდნა კიდევ არ ნიშნავს ამ ნორმის აღიარებას. სამართლის ნორმა იბადება ინდივიდუალური ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად და მისგან დამოუკიდებლად გამოიყენება; ამიტომაც იმისათვის, რომ სხვისი ნებისყოფის შინაარსი გახდეს საკუთარი ნებისყოფის შინაარსად, საჭიროა განსაკუთრებული აქტი; იურიდიულ ნორმას შეუძლია თავისი სანქციის საშუალებით მოახდინოს გავლენა ადამიანის ნებისყოფასა და მოქმედებაზე—სასჯელის შიშის გამოწვევით—მაშინაც კი, როცა ეს ადამიანი არა თუ არ „აღიარებს" ამ ნორმას, არამედ მიაჩნია იგი მავნედ; აღიარება არ ნიშნავს მხოლოდ ნორმის შესრულების გადაწყვეტილებას; იგი გულისხმობს აგრეთვე შინაგან რწმენას, რომ ნორმა სამართლიანია.

---

[1]) „Es mag mit Rücksicht auf die besondere Natur der Moral eine psychologische oder soziologische Ethik möglich sein.. eine derartige Jurisprudenz wäre ein methodisches Unding. Sie hat überhaupt aufgehört, Jurisprudenz zu sein und wäre bestenfalls eine Psychologie oder Soziologie des Rechtes—richtiger des Rechtslebens". ibid. 43.

[2]) Ibid. 44.

ნორმის ობიექტური არსებობა Kelsenს უდავოდ მიაჩნია. აქედან მას გამოჰყავს დასკვნა, რომ, ვინაიდან იურიდიული ვალდებულება დამოუკიდებელია სუბიექტური მოვალეობის შეგნებისაგან, ფსიქიური იძულების მომენტი არ უნდა ჩაითვალოს ობიექტური ნორმის დამახასიათებელ თვისებად, როგორც ამას აქვს ადგილი ავტონომიური ზნეობის დარგში. ცნობიერებაში გადასულ სამართლის ნორმას შეუძლია, რასაკვირველია, მოახდინოს გავლენა ადამიანზე მოტივის სახით; ფსიქიური იძულების მოხდენა მისი მიზანია, მაგრამ ეს აუცილებელი არაა. ნორმა არ კარგავს თავის მნიშვნელობას მაშინაც, როცა იგი ვერ აღწევს თავის მიზანს. Kelsenის თეორიის თვალსაზრისით, იძულება არ შედის იურიდიული ნორმის შემადგენლობაში იმიტომ, რომ იძულება ეკუთვნის ფაქტიურ სინამდვილეს, ნორმის ფორმალური სავალდებულობისათვის კი ფაქტიურ მომენტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სამართლის ნორმის შესახებ, ამბობს Kelsenი, არ შეიძლება ითქვას ის, რასაც Windelbandი ამტკიცებს ზნეობრივი კანონის შესახებ, სახელდობრ, რომ ნორმის შეცნობას თან ერთვის უშუალო სიცხადით ერთგვარი ფსიქიური იძულება, რომელიც მოითხოვს მის შესრულებას: იძულება სამართლის ნორმის საშუალებით ყოველთვის არაპირდაპირია (mittelbar), ე. ი. იგი ხდება უსამართლობის შედეგების (Unrechtsfolge) გათვალისწინების გზით. ეს იძულების მომენტი არ შედის თვით სამართლის ნორმაში, რადგან სამართლის ნორმა არაა, როგორც ზნეობრივი კანონი, ფსიქიური მოვლენა; იძულება დაკავშირებულია სასჯელის შიშთან, სამართლის დარღვევის მავნე შედეგების თავიდან აცილების სურვილთან [1].

ამგვარად უყურებს Kelsenი იძულებას და მის დამოკიდებულებას სამართლის ნორმასთან. იძულების მომენტი, მისი აზრით, არ შედის უშუალოდ ნორმაში; ეს მომენტი მხოლოდ გარედან ემატება ნორმას არაპირდაპირი გზით იმ შემთხვევაში, როცა ადამიანი ითვალისწინებს იმ შედეგს, რომელიც მას მოელის, უკეთუ იგი დაარღვევს სამართალს. ზნეობრივი კანონის მდგომარეობა სხვანაირია; აქ ფსიქიური იძულება შეადგენს თვით კანონის დამახასიათებელ თვისებას; ამ მხრივაც, მაშასადამე, Kelsenი ხედავს განსხვავებას სამართალსა და ზნეობას შორის.

ამგვარად, ამბობს Kelsenი, მტკიცდება, რომ სამართლის ნორმის მდგომარეობა ბუნებრივი კანონის მიმართ არაა იგივე, რაც ზნეობრივი კანონის მდგომარეობა. სამართლის კანონი სრულებით არ ენათესავება ბუნებრივ კანონს, რომელიც იკვლევს მოვლენებს ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ ა დ. ფორმალური წინააღმდეგობა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ა რ ს ს შორის სამართლის დარგში მკვეთრად არის გამოსახული; იურიდიული კანონის ცნება წმინდა ფორმალურია და ყურადღებას არ აქცევს ა რ ს ი ს მომენტს; იგივე არ ითქმის ზნეობრივი კანონის შესახებ; წინააღმდეგობა ზნეობრივ და ბუნებრივ კანონს შორის შესუსტებულია იმიტომ, რომ ზნეობრივი კანონის ცნებას აქვს ექსპლიკატიური აგებულობა [2].

---

[1]) Ib. 45.

[2]) „...Während beim Sittengesetze gerade die nicht leicht zu vermeidende explikative Struktur des Begriffes den Gegensatz zum Naturgesetze ausgleicht". ibid. 46.

ავტონომიური ზნეობის კანონის შინაგან თვისებას შეადგენს ფსიქიური იძულება და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ კანონს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იგი იწვევს სათანადო ყოფაქცევას; ეს ნიშნავს, რომ ზნეობრივ კანონს აქვს განხორციელების ტენდენცია. როდესაც ამავე თვისებას მიაწერენ სამართლის ნორმას და ამტკიცებენ, რომ იურიდიული ნორმა მხოლოდ მაშინ არის ნორმა, როცა მას საერთოდ ასრულებენ სინამდვილეში, ეს აიხსნება იმით, რომ ივიწყებენ ზნეობრივისა და იურიდიული კანონის განსხვავებას, ე. ი. სამართლის ჰეტერონომიულ ბუნებას და ორი სხვადასხვაგვარის ნორმის სავალდებულო ძალას ამყარებენ ერთსადაიმავე საფუძველზე, ნორმის აღიარებაზე (Anerkennung). რადგან ამ შეხედულებით სამართლის ნორმას სავალდებულო ძალა ენიჭება იმდენად, რამდენადაც იგი აღიარებული, საზოგადოების წევრების მიერ, ვალდებულების დამკისრებელი ავტორიტეტი (verpflichtende Autorität) გადააქვთ ინდივიდის შინაგან სფეროში, მაგრამ, ასეთი შეხედულება სამართლის ნორმაზე, Kelsenის აზრით, დაუშვებელია: იგი ეწინააღმდეგება სამართლის ჰეტერონომიულ ბუნებას და არ ეთანხმება თანამედროვე სახელმწიფოს იურიდიული ცხოვრების ფაქტებს. რომ მივიღოთ აღიარების თეორია (Anerkennungstheorie), ამბობს Kelsenი, ჩვენ იძულებული ვიქნებით სამართლის ნორმის შესახებ ვთქვათ იგივე, რაც ზნეობრივი კანონის შესახებ: ნორმის შეუსრულებლობა არის იმის მაჩვენებელი, რომ აღიარება არ არსებობს; ეს კი აკარგვინებს სამართლის ნორმას სავალდებულო ძალას და, მაშასადამე, ნორმის ხასიათსაც [1].

მაგრამ „აღიარების თეორია", რომელიც ეთანხმება ავტონომიური ზნეობის მოვლენებს, გამოუსადეგარია ჰ ე ტ ე რ ო ნ ო მ ი უ ლ ი სამართლის დარგში. ამას გვიმტკიცებს ის, რომ „აღიარების" თვალსაზრისით, ადამიანისათვის სინამდვილეში სავალდებულო უნდა იყოს მხოლოდ ის კანონები, რომლებსაც იგი აღიარებს, რაც სამართლის დარგისათვის, რასაკვირველია, მოკლებულია ყოველივე აზრს, Kelsenი უარჰყოფს აღიარების თეორიას იმ მოსაზრებით, რომ ეს თეორია ცდილობს ახსნას ფაქტიური მოვლენა, ე. ი. ადამიანთა მართლზომიერი ყოფაქცევა; ეს ა ხ ს ნ ა ფაქტებისა კი, როგორც ჩვენ ვნახეთ ზემოთ, Kelsenის აზრით, იურისპრუდენციისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს; ფაქტების ახსნა შეადგენს სოციოლოგის ან ფსიქოლოგის ამოცანას.

Kelsenი ხანგრძლივად ჩერდება მეთოდების განსხვავების საკითხზე, რადგან ეს განსხვავება შეადგენს მისი თეორიის მთავარ საფუძველს. ამ განსხვავების თვალსაზრისით იხილავს იგი თეორიას, რომელიც სამართლის ძირითად თვისებად სთვლის იმას, რომ სამართლის ნორმა შესრულებული უნდა იქნეს სინამდვილეში. ეს თეორია, ამბობს Kelsenი, ეყრდნობა იურიდიული ცხოვრების უდავო ფაქტს: კანონის დეროგაციას მისი საწინააღმდეგო ჩვეულების მხრივ. სამართლის ნორმა ფაქტიურად ისპობა იმიტომ, რომ მას არ ასრულებენ. აქ თითქოს მოცემულია ის, რაც არღვევს Kelsenის თეორიის საფუძველს, რადგან კანონის დეროგაციის შემთხვევაში უფლებრივი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა (Sollen) ის-

1) Ib. 46.

ჰობა ა რ ს ი ს (Sein) საშუალებით. ამაზე Kelsenი იძლევა შემდეგ პასუხს. იურიდიულ ვალდებულებასა და არსს შორის, ყოველ ეჭვს გარეშე, არსებობს ურთიერთდამოკიდებულება. როგორც სათანადო არსის ნიადაგზე წარმოიშობა ვალდებულება (Sollen), ისე ვალდებულება შესაძლოა მოისპოს საწინააღმდეგო არსის გზით. მაგრამ აქ იბადება საკითხი—როგორი მნიშვნელობა უნდა მიეწეროს ამ ფაქტს ნორმატიულ-იურიდიული თვალსაზრისით? პირველ ყოვლისა Kelsenს მოჰყავს ის მოსაზრება, რომ, თუ კი, ერთის მხრივ, ნორმის ძალა ისპობა, როდესაც მას არ ასრულებენ და ნორმის ბუნება კი მოითხოვს, რომ იგი შეასრულონ, მეორეს მხრივ, ნორმა უნდა ისპობოდეს მაშინაც, როდესაც მას ყოველთვის და უგამონაკლისოდ ასრულებენ, რადგან უაზრო იქნებოდა იმის ბრძანება, რაც სინამდვილეში ყოველთვის ხდება, რაც, მაშასადამე, აუცილებელია. როდესაც ყველა იმოქმედებს ზნეობრივად, მოისპობა ზნეობრივი კანონებიც; სამართალი საჭიროა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს უსამართლობა (Unrecht); სწორედ უსამართლობის გამო არსებობს სამართლის ნორმა. ამგვარად, სამართლის თვისებას უნდა შეადგენდეს არა მარტო მისი ნორმების შესრულება (Befolgtwerden), არამედ მათი შეუსრულებლობაც (Nichtbefolgtwerden), ე. ი. მათი დარღვევაც. ორივე მოწინააღმდეგე მომენტი—შესრულება და დარღვევა—როგორც ფაქტიური მომენტები, ნორმატიული კონსტრუქციისათვის გამოუსადეგარია. იურიდიული მეთოდი მხოლოდმხოლოდ ნორმატიული მეთოდია. ვისაც ვალდებულება გამოჰყავს არსიდან და ვინც შესაძლოდ სცნობს ვალდებულების მოსპობას არსის საშუალებით, ის ხელმძღვანელობს ექსპლიკატიური მეთოდით. ა ხ ს ნ ა (Erklärung) იმ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ა რ ს ს შორის—ასეთია მისი მიზანი. მაგრამ ვალდებულების წარმოშობისა და მოსპობის საკითხი დევს ნორმატიული თვალსაზრისის გარეშე (Entstehung und Zerstörung des Sollens ausserhalb der normativen Betrachtungsfläche liegt)[1].

თუ დავუშვებთ, რომ მხოლოდ ის ნორმაა სავალდებულო, რომელსაც საერთოდ ასრულებენ სინამდვილეში, მაშინ უნდა მივიღოთ დასკვნა, რომ ფორმალურად გამოცემული და ძალაში შესული კანონი სავალდებულოა (Gültigkeit) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის სინამდვილეში ახდენს გავლენას, ე. ი., როდესაც მას ასრულებენ; მაშასადამე, იმის გამოსარკვევად, სავალდებულოა ეს კანონი, თუ არა, უნდა შევიცადოთ, სანამ იგი არ დაამტკიცებს თავის ძალას სინამდვილეში. ნორმის ხასიათი მას მიენიჭება მაშინ, როდესაც ჩვენ დავინახავთ, რომ ის ნამდვილად იწვევს სათანადო ყოფაქცევას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარი უკუქცევითი ისტორიული შეფასება პოზიტიურ სამართალში უაზრობაა, რადგან არც ერთი იურისტი არ უარჰყოფს იმ ფაქტს, რომ კანონს სავალდებულო ძალა აქვს იმ მომენტიდან, როცა იგი გამოცემულია დადგენილი წესის მიხედვით; თუმცა კანონი თავის წარმოშობის მხრივ საზოგადოებრივი და არა სახელმწიფოებრივი ხასიათისაა და, მაშასადამე, სახელმწიფო არის არა სამართლის შემოქმედი, არამედ მხოლოდ სამართლის მატარაბელია (nicht als Schöpfer, sondern

[1] Ib. 49.

lediglich als Träger des Rechtes zu betrachten ist), მაგრამ მიუხედავად ამისა სამართალს სავალდებულობის მხრივ მაინც ფორმალური ბუნება აქვს. ამიტომ, როცა სამართლის ნორმა არსებობს ფორმალურად, ე. ი. კანონის სახით, რეალურ შედეგებს კი არ იწვევს, იურისტმა მხოლოდ უნდა აღნიშნოს მისი ფორმალური არსებობა.

სამართლის ნორმისათვის მის „შეუსრულებლობას" (Nichtbefolgung) არა აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ზნეობრივ კანონისათვის. სამართლის ნორმა, რომელსაც არასოდეს არ ასრულებენ, მაინც რჩება ნორმად. იურიდიული ნორმა მატერიალურად, „შესრულების" გარდა, გამოიხატება კიდევ სხვა სახით: იგი „გამოიყენება" (wird angewendet) სწორედ იმ შემთხვევებში, როცა მას არ ასრულებენ; ეჭვს გარეშეა, რომ ეს უკანასკნელი გარეგნული ფორმა იურიდიული ნორმის არსებობისა უფრო მნიშვნელოვანია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იურიდიული ნორმა დარღვეულია, იგი აშკარავებს თავისებურ „მოქმედებას" (Wirkung): მაშინ იწყება სამართლის დარღვევის შედეგები. სამართლისათვის მისი დარღვევა (უსამართლობა, Unrecht) წარმოადგენს სწორედ მისი გამოყენების პირობას. ნორმა მხოლოდ სავალდებულო კი არაა ამ შემთხვევაში: იგი ამავე დროს გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა, რადგან ხორციელდება მასთან დაკავშირებული უსამართლობის შედეგი. მხოლოდ ეს ფაქტია, Kelsenის აზრით, იურისტისათვის მნიშვნელოვანი; ფორმალურად სამართლის წყობილება არსებობს უსამართლობის გამო; სამართლის ნორმა შეფარდებულია სამართლის დარღვევასთან (ist der Reschtssatz nur auf die Rechtswidrigkeit zugeschnitten); მხოლოდ სამართლის დარღვევის დროს სამართლის წყობილება ასრულებს თავის ფუნქციას: იგი აკისრებს სამართლის დამრღვევს განსაზღვრულ შედეგებს და უყურადღებოდ სტოვებს იმას, ვინც ასრულებს ნორმას[1]. აქტუალურ ხასიათს სამართალი პოულობს უსამართლობის საშუალებით.

ზემოთ საკმაოდ იყო დახასიათებული, თუ როგორია Kelsenის შეხედულება სამართლის თეორიის ორ მთავარ საკითხში:

1. ბუნებრივი კანონის და საერთოდ ნორმის, განსაკუთრებით კი იურიდიული ნორმის, დამოკიდებულება.

2. ზნეობისა და სამართლის განსხვავება.

ორივე საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ორივეს Kelsenი განიხილავს წმინდა ნორმატიული მეთოდის თვალსაზრისით. ნორმა გამოხატავს ვალდებულებას, რომელიც დამოუკიდებელია ფაქტიურ სინამდვილისაგან და ამიტომ ნორმატიულ დისციპლინაში გამოყენებული უნდა იქნეს ფორმალური მეთოდი. მეთოდების—ექსპლიკატიურის, რომელიც იკვლევს მიზეზობრივ დამოკიდებულებებს და ნორმატიულის, რომელიც იძლევა ვალდებულების შემეცნებას—განსხვავება აუცილებელია იურიდიულ მეცნიერებაში, ზნეობაში კი ეს განსხვავება შესაძლოა. ეს თავისებურება იურიდიულ მეცნიერებისა აიხსნება იმ

[1]) „Sie (Rechtsordnung) verhängt über den rechtswidrig Handeluden Unrechtsfolgen und hat mit dem rechtsmässig Handelnden nichts zu tun. Erst durch das Unrecht wird die Rechtsordnung aktuell und nur die Möglichkeit eines Unrechtes lässt die Rechtsordnung über den einzelnen Verhältnissen schweben", ibid. 53.

გარემოებით, რომ სამართალს აქვს ჰ ე ტ ე რ ო ნ ო მ ი უ ლ ი ბუნება: სამართალში ნორმა მოცემულია ობიექტურად, ინდივიდისაგან დამოუკიდებლად; ზნეობას კი აქვს ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი ხასიათი, რაც ნიშნავს იმას, რომ ზნეობრივ ვალდებულებასა და ადამიანის ნებისყოფას შორის შინაარსის მხრივ განსხვავება არაა. ზნეობრივი ნორმა იმავე შინაარსისაა, რაც ადამიანის მისწრაფება. ამიტომაც ზნეობრივ დარგში ნორმის ცოდნა ნიშნავს ამ ნორმის აღიარებას. ასეთია ის ძირითადი განსხვავება, რომელსაც Kelsenი ნახულობს ზნეობასა და სამართალს შორის.

მაგრამ Kelsenის მიზნებისათვის ამ ორი ძირითადი საკითხის გაშუქება საკმარისი არაა. იმისათვის, რომ სავსებით იქნეს გამორკვეული ნორმატიული მეთოდის ბუნება, რომელსაც Kelsenი ანიჭებს უაღრეს მნიშვნელობას, საჭიროა აგრეთვე ამ მეთოდის დამოკიდებულების გამოკვლევა იმ მეთოდთან, რომელსაც უწოდებენ ტელეოლოგიურს. ტელეოლოგიური მეთოდით ხშირად სარგებლობენ სოციალურ მეცნიერებაში; მისი გავლენა, რასაკვირველია, ემჩნევა იურიდიულ მეცნიერებასაც და ამიტომ Kelsenი განიხილავს საკითხს—ენათესავება, თუ ეწინააღმდეგება ეს მეთოდი ნორმატიულ მეთოდს, რომელ დარგს უნდა მივაკუთვნოთ იგი, როგორია მისი მდგომარეობა ნორმატიულ და კაუზალურ მეთოდებს შორის?

ვალდებულებისა და არსის, ნორმისა და ბუნებრივი კანონის წინააღმდეგობა, ამბობს Kelsenი, იმის გარდა, რაც ზემოთ იყო ნათქვამი, გამოკვლეული უნდა იქნეს კიდევ სხვა მიმართულებით; გამოკვლეული უნდა იქნეს, დაკავშირებულია ეს წინააღმდეგობა კაუზალურ და ტელეოლოგიურ მეთოდების განსხვავებასთან თუ არა, ექვემდებარება იურიდიული მეცნიერება, რამდენადაც მას მიაკუთვნებენ სოციალურ მეცნიერებათა დარგს, ამ უკანასკნელ დარგში მიღებულ ტელეოლოგიურ მეთოდს, თუ არა? ამ საკითხის გადაჭრისათვის საჭიროა იმის გამორკვევა, თუ რა მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს სამართლის მეცნიერებისათვის მიზნის მომენტს. მიზნის ცნების წყაროდ ფსიქოლოგიურად უნდა ჩაითვალოს წარმოდგენა, რომელიც ადამიანს აქვს თავის საკუთარ მოქმედებაზე. როდესაც ადამიანი მოქმედობს, მას წარმოდგენილი აქვს თავისი საკუთარი ან სხვა საგნების მდგომარეობა და ამ მდგომარეობაზეა მიმართული მისი ნებისყოფა. ეს წარმოდგენა მომავალ მდგომარეობისა, რომელიც მის მიერ უნდა იქნეს გამოწვეული, არის მიზანი, საშუალებას კი წარმოადგენენ ამ მიზნის მისაღწევად საჭირო სხეულის მოძრაობანი და ამ უკანასკნელით გამოწვეული ცვლილებანი გარეგან ქვეყანაში. როდესაც ჩვენ მიზნობრივ თვისებას მივაწერთ გარეგან ობიექტებს, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ის ცნება, რომელიც წარმოშობილია ნებისყოფის საფუძველზე, გადაგვაქვს ობიექტურ საგნებზე. ტელეოლოგიურ მეთოდს, რომელიც იხილავს ფაქტებს და განსაკუთრებით კი ადამიანის ნებისყოფასა და მოქმედებას მიზნის და საშუალების თვალსაზრისით, ზოგჯერ უპირისპირებენ კაუზალურ მეთოდს; ამ დაპირისპირებაში მიდიან იქამდის, რომ ამ ორ მეთოდს უყურებენ, როგორც ორ არსებითად მოწინააღმდეგე შემეცნების მეთოდს და ამ მოსაზრებით ჰყოფენ ყველა მეცნიერებებს ორ დიდ ჯგუფად: კაუზალურ და ტელეოლოგიურ მეცნიერებებად. უკანასკნელ ჯგუფში ათავ-

სებენ სოციალურ მეცნიერებებს და მათ შორის იურისპრუდენციასაც. ამ შეხედულებას განსაკუთრებით ემხრობა Stammlerი, რომელიც კ ა უ ზ ა ლ ო ბ ი ს და ტ ე ლ ო ს ი ს წინააღმდეგობაზე ამყარებს ბუნებისმეტყველების და სოციალური მეცნიერების განსხვავებას და უკანასკნელის სპეციალურ მეთოდად სთვლის ტელეოლოგიურს.

Kelsenი უარყოფს Stammlerის შეხედულებას. Stammlerის აზრით, განსაზღვრული მოქმედება შეიძლება იქნეს წარმოდგენილი ორი სხვადასხვა სახით: როგორც გარეგანი ბუნების კაუზალურად გამოწვეული მოვლენა ანდა, როგორც ჩემს მიერ გამოსაწვევი. ამ ორი სხვადასხვა გვარის წარმოდგენის შინაარსი სხვადასხვაა. პირველ შემთხვევაში ადამიანის მოქმედება აღებულია, როგორც ბუნებრივი ფაქტი, რომელიც ხდება მიზეზობრივი კავშირის მიხედვით; მეორე შემთხვევაში მოქმედება მიეწერება ადამიანს, როგორც მისი საკუთარი, რომელიც უმისოდ, ე. ი. მხოლოდ ბუნებრივი მიზეზობრივობის ძალით, არ მოხდებოდა. Kelsenს ეს მსჯელობა მიაჩნია გაუგებრობის შედეგად; რა განსხვავებაა, ამბობს იგი, იმაში, რომ მომავალი მოქმედება ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია, როგორც კაუზალურად მომხდარი, მეორეში კი, როგორც ადამიანის მიერ გამოსაწვევი; განსაკუთრებით გაუგებარია მეორე შემთხვევა, სადაც კაუზალური დამოკიდებულება Stammlerს ეჩვენება, როგორც გამორიცხული. „შედეგის გამოწვევა" (Bewirken) უმიზეზოდ შეუძლებელია; როდესაც მე წარმოვიდგენ ჩემს თავს, როგორც მომავალი მოქმედების გამომწვევს, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩემი თავი წარმოდგენილი მაქვს, როგორც ამ მოქმედების მ ი ზ ე ზ ი. ამ წარმოდგენის შინაარსად შეიძლება გახდეს არა მარტო ჩემი საკუთარი მომავალი მოქმედება, არამედ სხვა რაიმე მოვლენაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი გამოწვეული იქნება ჩემი მოქმედებით. არავითარი განსხვავება არაა, წარმოვიდგენ მე ჩემს თავს ანდა სხვა რამეს, როგორც რომელიმე მოვლენის მიზეზს, განურჩევლად იმისა, იქნება ეს მოვლენა საკუთარი მოქმედება, თუ სხვა რომელიმე ფაქტი; ყველა შემთხვევაში უკვე მომხდარი ანდა მომავალში მოსახდენი მოვლენა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს, მხოლოდ როგორც რომელიმე მიზეზით გამოწვეული, ე. ი. კაუზალობის საფუძველზე წარმოშობილი. კაუზალობა, იაშასადამე, არ ეწინააღმდეგება ტელეოლოგიურ თვალსაზრისს; პირიქით, მიზეზობრივი დამოკიდებულების წარმოდგენა შესაძლოდ ხდის იმ გარეგანი შემადგენლობის წარმოდგენასაც, რომელიც გამოწვეული უნდა იქნეს; მხოლოდ რამდენადაც ადამიანი იცნობს მიზეზობრივ კავშირს მოვლენათა შორის და სარგებლობს ამ ცოდნით, იმდენად მას შეუძლია დაისახოს მიზანი. ყოველივე მიზნის წარმოდგენაში ჩაქსოვილია კაუზალობის მომენტი, რადგან უმისოდ შეუძლებელია მიზნობითი წარმოდგენა [1].

Stammlerი ასაბუთებს თავის აზრს საბოლოოდ იმით, რომ ადამიანის მომავალი მოქმედების წარმოდგენა დაკავშირებულია იმ წარმოდგენასთან, რომ ადამიანს ეძლევა ამორჩევის შესაძლებლობა; ამორჩევის ცნება კი უარჰყოფს კაუზალობას. Kelsenი არ ეთანხმება ამ აზრს; თუმცა ამბობს იგი, ასეთი შესაძლებ-

---

[1]) Ibid. 60.

ლობა ადამიანის ცნობიერებაში არსებობს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ასუსტებს მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას. „ამორჩევის" შესაძლებლობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ადამიანს, არ შეუძლია გაითვალისწინოს ის, რაც ხელს შეუშლის მისი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას; იგი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მან არ იცის ყველა ის პირობები, რომელშიაც მას მოუხდება მომავალში მოქმედება. ამავე მდგომარეობას ვხედავთ ყოველივე სხვა მომავალი მოვლენის წარმოდგენის დროსაც; რადგან ჩვენ არ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ყველაფერი, რაც მოხდება წარმოდგენილი შემთხვევის დადგომამდე, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ იგი უეჭველად მოხდება. მაგრამ, თუ კი იგი მოხდა, იგი მოხდა უსათუოდ კაუზალურად. როდესაც ჩვენ ვახურებთ ცეცხლზე თერმომეტრს, ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ ვერცხლის წყალი ზევით აიწევა; მაგრამ ჩვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში იმასაც, რომ ეს შედეგი შესაძლოა არ მოხდეს, მაგალ., რომ მინა გახურების გამო გატყდეს. ამგვარად, იმას, რასაც Stammlerი უყურებს, როგორც მიზნობით წარმოდგენის სპეციფიურ თვისებას, ჩვენ ვხვდებით ყოველივე მომავალი შედეგის წარმოდგენის დროს. ყოველთვის შესაძლოა იმის დაშვება, რომ გათვალისწინებული შედეგი არ მოხდება [1].

კაუზალობისა და ტელეოლოგიის შინაგანი ნათესაობის შეგნება, Kelsenის აზრით, გავრცელებულია თანამედროვე ლოღიკაში; სინამდვილეში ტელეოლოგიური და კაუზალური მეთოდები იხილავენ ერთსადაიმავე დამოკიდებულებას მხოლოდ სხვადასხვა თვალსაზრისით; ის, რაც ერთი თვალსაზრისით არის მიზეზი და შედეგი, მეორე თვალსაზრისით წარმოადგენს საშუალებას და მიზანს; როგორც სამართლიანად აღნიშნავს Wundtი, როცა ჩვენ გავითვალისწინებთ რომელიმე შედეგს, ეს უკანასკნელი გვეჩვენება მიზნად, ხოლო მიზეზი, რომელიც იწვევს ამ შედეგს, გვეჩვენება, როგორც საშუალება ამ მიზნის მისაღწევად. ტელეოლოგიური თვალსაზრისი დასაშვებია არა მარტო ადამიანის მომავალი მოქმედების შესახებ (ე. ი. ნებისყოფითი აქტების შესახებ), არამედ საერთოდ ყველა კაუზალური პროცესების შესახებაც; ყოველივე კაუზალური დამოკიდებულება ემორჩილება და ზოგჯერ კიდევაც მოითხოვს ტელეოლოგიური მეთოდის გამოყენებას. ეს ორი პრინციპი არასოდეს არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

განსაკუთრებით ცხადი ხდება ეს მეთოდების ნათესაობა, ამბობს Kelsenი, იმ გარემოების მიხედვით, რომ ორივე მეთოდის მიზანია სინამდვილის ახსნა (Erklärung des Geschehens). სინამდვილის მთლიანი გაგება შესაძლოა ორი გზით: ერთის მხრივ, მიზეზის, მეორეს მხრივ, მიზნის ცნების გამოყენებით. მიზნისა და მიზეზის პრინციპი ორივე ერთნაირად ექვემდებარებიან საფუძვლის პრინციპს (dem Satze des Grundes). ამგვარად, თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ კაუზალობასა და ტელოსს შორის არა თუ არაა წინააღმდეგობა, არამედ, პირიქით, მჭიდრო შინაგანი კავშირია, უნდა მივიღოთ, რომ ორივე წარმოადგენენ ექსპლიკატიური მეთოდის სხვადასხვა სახეებს და იძლევიან არსის შემეცნებას; ამიტომ ტელეოლოგიური მეთოდი კაუზალურ მეთოდს კი არ უნდა დაუპირისპიროთ, არამედ იმ მეთოდს, რომელიც მიმართულია მხო-

---

[1]) Ib. 62.

ლოდ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე. ეს უკანასკნელი ნორმატიული მეთოდია; ნორმატიულია იმიტომ, რომ მის საგანს შეადგენს მხოლოდ ვალდებულება და ამ ვალდებულების დამდგენელი ნორმა (das Sollen statuierende Norm) [1].

აქედან ცხადია, რომ Kelsen-ის აზრით, წინააღმდეგობა არსებობს მხოლოდ ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ და ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ მეთოდს შორის; წინააღმდეგობა კი კაუზალურსა და ტელეოლოგიურ მეთოდს შორის ლოღიკურად შეუძლებელია, რადგან ტელეოლოგიური მეთოდი ექსპლიკატიური მეთოდის ერთ-ერთი სახეა: ორივე გამოხატავს ფაქტიურ დამოკიდებულებას, ორივე იკვლევს იმას, რაც ეკუთვნის ა რ ს ი ს სფეროს. ამ მხრივ კაუზალური და ტელეოლოგიური მეთოდები მათი ბუნებით ეწინააღმდეგებიან ნორმატიულ მეთოდს, რომლის ბუნება წმინდა ფორმალურია, ვინაიდან მისი საგანი წმინდა ვალდებულებაა (Sollen).

მაგრამ, შენიშნავს Kelsen-ი, ასეთი შეხედულება საერთოდ მიღებული არაა. ხშირად ტელეოლოგიას და ნორმატივობას უყურებენ, როგორც ერთდაიმავე ცნებას; „მ ი ზ ა ნ ს" და „ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს" ენიჭება ერთგვარი მნიშვნელობა; შესაძლოა, თუ არა? მიზნის და ვალდებულების იდენტურობის დაშვება Kelsen-ის თეორიის თვალსაზრისით? ამ საკითხზე პასუხს გვაძლევს თვით Kelsen-ი. სინამდვილეში, ამბობს იგი, შესაძლოა, რომ ვალდებულების შ ი ნ ა ა რ ს ი (Inhalt des Sollens), ე. ი. ის, რაც სავალდებულოა, რამდენადაც იგი ხორციელდება ცხოვრებაში, ტელეოლოგიური თვალსაზრისით მიჩნეული იქნეს, როგორც მიზანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფორმალური გაიგივეობა მიზნისა და ვალდებულებისა დაუშვებელია. ამის დასამტკიცებლად Kelsen-ს მოყავს შემდეგი მოსაზრება. მიზანს შეიძლება მიეწეროს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა; იგი შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ობიექტური მიზანი, ე. ი. რომელიმე გარეგანი პროცესის მიზანი და როგორც შინაგანი, სუბიექტური მიზანი, რომელსაც ისახავს ცალკე ადამიანი. რაც შეეხება პირველს, ცხადია, რომ არავითარ ვალდებულებაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება; მსჯელობა, რომ გულის მუშაობის მიზანია ორგანიზმში სისხლის განაწილება, არ ნიშნავს იმას, რომ გულმა უ ნ დ ა (soll) გაანაწილოს სისხლი, არამედ მხოლოდ იმას, რომ იგი ფაქტიურად ანაწილებს სისხლს; აქ არ მტკიცდება რომელიმე ნორმის არსებობა, რომელიც მოითხოვს გულის ამგვარ მოქმედებას, არამედ მხოლოდ აღნიშნულია ბუნებრივი კანონი, ე. ი. მიზეზობრივი კავშირი. რაც შეეხება სუბიექტურ მიზანს, აქ ვალდებულებისა და მიზნის გაყოფა უფრო ძნელია; მაგრამ, აქაც ირკვევა ვალდებულების დამოუკიდებლობა შინაგანი მიზნისაგან, თუ კი აეიღებთ ვალდებულებას იმ ფორმალურ-ობიექტური მნიშვნელობით, რომელიც ზემოთ იყო დახასიათებული; შესაძლოა, რომ მე მაქვს ვალდებულება და არ მსურს იგი, ე. ი. არ ვლებულობ მას, როგორც ჩემს მიზანს და, პირიქით, მე მსურს რამე და არ მაქვს სათანადო ვალდებულება. ორივე შემთხვევაში ვალდებულება არ შეადგენს მიზანს. მაშასადამე, ვალდებულება ობიექტური მნიშვნელობით განსხვავდება ინდივიდუალური მიზნისაგან. მაგრამ ვალდებულება შეიძლება გაგებული იქნეს სუბიექტური მნიშვნელობით, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როცა ვალდებულება გარედან

---

[1]) Ib. 64.

კი არაა მიმართული სუბიექტისაკენ, არამედ გამომდინარეობს თვით სუბიექტიდან, ე. ი. მისი ნებისყოფიდან. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ადამიანს სურს ის, რაც შეადგენს მის ვალდებულებას. Kelsen-ი არ ჩერდება იმ სადავო საკითხზე, თუ რამდენად ტერმინოლოგიის მხრივ დასაშვებია ლაპარაკი საკუთარი ნორმის დადგენის (Selbsnormierung) შესახებ, თუ რამდენად შესაძლოა ასეთ პირობებში „ვალდებულების" არსებობა; იგი ეთანხმება იმ აზრს, რომ შესაძლოა ვალდებულების დაწესება საკუთარი ნებისყოფის საშუალებით. მაგრამ ამბობს იგი, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ვალდებულებამ მიიღო თავისი შინაარსი საკუთარი ნებისყოფიდან. ფორმალურად მაინც საჭიროა ვალდებულების გამოყოფა ნებისყოფისაგან. ყოველ შემთხვევაში მიზანი არის ის, რაც გვსურს (das Gewollte) და არა ის, რაც სავალდებულოა (das Gesollte). როდესაც დასახულია სუბიექტური მიზანი, ამ მიზანს შეადგენს ის, რაც მოწადინებულია მომავალში, ხოლო როდესაც მიზანი ობიექტური ხასიათისაა, მიზნად უნდა ჩაითვალოს ის, რაც სინამდვილეში ხდება შედეგის სახით (als Wirkung geschieht). ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში მიზანი არ შეადგენს ვალდებულებას; მიზანი მომავალი ფაქტიური მდგომარეობის წარმოდგენაა. მხოლოდ ნებისყოფის და ვალდებულების გაიგივეობამ—რაც ფორმალურად დაუშვებელია, რადგან ნებისყოფა, როგორც ფაქტიური მოვლენა, ეკუთვნის არსს და ამის გამო ვერ გახდება ვალდებულებად—გამოიწვია შეხედულება, რომ მიზანი და ვალდებულება, ანდა მიზანი და ნორმა ერთიდაიგივეა. Kelsen-ის აზრით, ნებისყოფისა და ვალდებულების ფორმალური განცალკევება ყოველთვის შესაძლოა, მათი გაიგივეობა მაშინაც დაუშვებელია, როდესაც ვალდებულება თავის შინაარსს ღებულობს მხოლოდ ნებისყოფიდან, ე. ი. როდესაც მატერიალურად ისინი ეთანხმებიან ერთმანეთს [1].

ნორმა აწესებს ვალდებულებას; ამით იგი „ისახავს მიზანს", ე. ი. იმას, რაც სავალდებულოა, აქცევს მიზნად. გულისხმობს ეს ნორმისა (ვალდებულების) და მიზნის იგივეობას, თუ არა?

ნორმას აქვს მიზანი, ხოლო თვით ნორმა მიზანი არაა; იგი მხოლოდ რომელიმე მიზნის საშუალებაა; მისი მიზანია, იმ ყოფაქცევის ფაქტიური განხორციელება, რომელიც მიჩნეულია სავალდებულოდ. ფაქტიური მოვლენა შეადგენს, ამგვარად, ნორმის მიზანს; მაგრამ ეს სულ სხვაა, ვიდრე ვალდებულება, რომელიც გამოიხატება ნორმაში. აქ, მაშასადამე, ნორმისა და მიზნის შინაარსი (Inhalt) ერთიდაიგივეა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვალდებულება და მიზანი ერთიდაიგივე არაა. ვალდებულება ფორმაა, რომელიც მხოლოდ თავის შინაარსის მხრივ ეთანაბრება მიზანს. ნორმის ვალდებულება არც ცალკე ინდივიდის მიზანია; რომლისაკენაც მიმართულია ეს ნორმა. მხოლოდ რამდენადაც ინდივიდს ჰსურს ის, რასაც ადგენს ნორმა, იგი ამ ნორმის მიზანს აქცევს თავის საკუთარ მიზნად, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინდივიდი თავის ნებისყო-

---

[1]) Die formale Scheidung von Wollen und Sollen ist stets möglich und beider Identifizierung auch dann unzulässig, wenn—wie für die Anschauung der autonomen Moral—das Sollen seinen Inhalt stets nur durch ein Wollen bekommt, wenn sollen und wollen materiell übereinstimmen" ib. 65.

ფის შინაარსს განსაზღვრავს ნორმის შინაარსის მიხედვით. ნორმის მიზანი, განხილული, როგორც ფაქტიური ყოფაქცევა, ა რ ს ი ს მნიშვნელობით (als seiend), ფორმალურად გამოყოფილი უნდა იქნეს ამ ყოფაქცევის ვალდებულებისაგან[1]; ის გარემოება, რომ ეს ყოფაქცევა ეკუთვნის მომავალს, არ აკარგვინებს მას ა რ ს ი ს ხასიათს.

მაშასადამე, ნორმას, Kelsenის აზრით, აქვს მიზანი. როგორ უნდა შევათანხმოთ ეს აზრი Kelsenის ძირითად დებულებასთან, რომ ნორმა, რომელიც გამოხატავს წმინდა ვალდებულებას, არსებითად განსხვავდება რეალურ მსოფლიოსაგან? მიზანი, როგორც თვითონ Kelsenი აღიარებს, ეკუთვნის ფაქტების სფეროს; არის აქ წინააღმდეგობა, თუ არა?

ამ საკითხს Kelsenი სჭრის მეთოდების განსხვავების საშუალებით. მიზანი ტელეოლოგიური ცნებაა; ტელეოლოგია ისე, როგორც კაუზალობა, იკვლევს ფაქტებს, გვაძლევს იმის ცოდნას, თუ რა ხდება სინამდვილეში, ე. ი. ა რ ს ი ს ცოდნას. ა მ ი ტ ო მ ა ც ნ ო რ მ ა ს ა ქ ვ ს მ ი ზ ა ნ ი ი მ დ ე ნ ა დ, რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც მ ა ს ჩ ვ ე ნ გ ა ნ ვ ი ხ ი ლ ა ვ თ ტ ე ლ ე ო ლ ო გ ი უ რ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. მაგრამ ეს თვალსაზრისი ერთად ერთი შესაძლებელი არაა. ამ მეთოდის გარდა არსებობს კიდევ სხვა მისგან სრულიად დამოუკიდებელი მეთოდი, რომელიც იხილავს ნორმას არა მისი მ ი ზ ნ ი ს, არამედ მისი ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ბ ი ს თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი მეთოდი წმინდა ფორმალურია, ვინაიდან მის საგანს შეადგენს ნორმის ფ ო რ მ ა და არა ნორმის შინაარსი; ამ მეთოდს არ აინტერესებს ის, თუ რ ა ა სავალდებულო (was gesollt), არამედ, თუ რ ო გ ო რ ა რ ი ს სავალდებულო (wie gesollt), ე. ი. რა გზით, რა სახით ადგენს ნორმა ვალდებულებას. სწორედ ა ს ე თ ი ფ ო რ მ ა ლ უ რ-ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ყ ე ნ ე ბ ა ს ა ქ ვ ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს; ს ა მ ა რ თ ლ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ ა მ გ ზ ი თ ს ჭ რ ი ს თ ა ვ ი ს ს პ ე ც ი ფ ი უ რ პ რ ო ბ ლ ე მ ა ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს ნ ო რ მ ი ს ბ უ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. სამართლის ნორმები ენათესავებიან სხვა ნორმებს იმ მხრივ, რომ ისინი ადგენენ ვალდებულებას (ე. ი. სუბიექტურ მოვალეობას); თავის შინაარსის მხრივაც იურიდიული ნორმები ეთანხმებიან ზნეობის, ზნე-ჩვეულების და სარწმუნოებრივ ნორმებს. ამიტომ, თუ არსებობენ ზნეობრივ და სხვა სოციალურ ნორმებისაგან დამოუკიდებელი სამართლის ნორმები, მათი სპეციფიური ბუნება უნდა ვეძიოთ მათ ფ ო რ მ ა შ ი, ე. ი. იმაში, თუ რ ა ს ა ხ ი თ მყარდება იურიდიული მოვალეობა. ამნაირად, ი უ რ ი ს პ რ უ დ ე ნ ც ი ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ც ა ნ ა ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს ნ ო რ მ ი ს ს პ ე ც ი ფ ი უ რ ი ფ ო რ მ ი ს გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა[2].

ნორმა თავისთავად არაა დაკავშირებული რომელიმე განსაზღვრულ ფორმასთან. ავტორიტეტს შეუძლია გარეგნულად სხვადასხვა საშუალებით გამოხატოს სუბიექტებისათვის სავალდებულო ნორმა: სიტყვიერად, წერილობითი ფორმით და სხვ.. აქ შეიძლება დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ერთი

[1]) Ibid. 69.

[2]) Ibid. 70.

რომელიმე დებულება მიჩნეულია, როგორც სავალდებულო ნორმა, მეორე კი არა. ამ საკითხზე Kelsenი იძლევა პასუხს, რომელიც სავსებით ეთანხმება მის ძირითად პრინციპებს. ვალდებულება ისე, როგორც არსი, ამბობს იგი, პირველადი კატეგორიაა, რომლის გამოყვანა სხვა რასმედან შეუძლებელია. შეცდომა იქნებოდა ნორმის გაიგივეობა მის გრამატიკულ ფორმასთან. ნორმა დაკავშირებული არაა რომელიმე სიტყვიერ ფორმასთან: იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც Imperativში, ისე Infinitivში, როგორც Soll-Satzის, ისე hypothetisches Urteilის საშუალებით. შესაძლოა იმპერატივი, რომელიც არ შეიცავს მოვალეობას, მეორეს მხრივ, შესაძლოა მოვალეობა, რომელიც დამყარებულია ჰიპოთეტიურ მსჯელობაზე. მსჯელობა: „შენ ვალდებული ხარ..." არის მსჯელობა უკვე არსებულ მოვალეობაზე; იგი აღნიშნავს იმ ვალდებულებას, რომელიც უკვე მოცემულია; მაშასადამე, იგი დეკლარატიული და არა კონსტიტუტიური ბუნებისაა. მას არა აქვს ვალდებულების დამდგენელი შინაგანი ძალა. კანონმდებელს შეუძლია, რასაკვირველია, ისარგებლოს ამ გამოთქმითაც, მაგრამ იმნაირადვე და იმავე შედეგებით, როგორც იმპერატივით ან მსჯელობით, რომელიც შეიცავს სასჯელის მუქარას (eines strafandrohenden Urteils)[1].

როგორც ვალდებულების შემეცნების პრინციპს ზოგიერთი სცნობს ნორმის წყაროს, სახელდობრ, იმ ფაქტს, რომ ნორმა დაწესებულია კომპეტენტური ავტორიტეტის მიერ. მაგრამ ამ შეხედულების სისუსტე, Kelsenის აზრით, იმაშია, რომ იგი იძულებულია განსაზღვროს ავტორიტეტი; ავტორიტეტი კი უნდა განისაზღვროს იმ უნარის მიხედვით, რომლის ძალითაც ის აწესებს ნორმასა და მოვალეობას. ამგვარად, ეს შეხედულება მომწყვდეულია circulus vitiosusში.

არც მიზნობითი მომენტი შეადგენს რომელიმე ფაქტის, სიტყვის ან დებულების ნორმატივობის საფუძველს, რადგან განსაზღვრული ყოფაქცევის გამოწვევის თვისება ახასიათებს არა მარტო ნორმას, არამედ სხვა ფაქტებსაც, რომლებიც არავითარ მოვალეობას არ ამყარებენ. ტელეოლოგიური თვალსაზრისით ნორმის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოტივაციის გზით გამოწვეული უნდა იქნეს სუბიექტის განსაზღვრული მოქმედება. ეს ტელეოლოგიური განხილვა ნორმისა არ განსხვავდება არსებითად კაუზალობისაგან, რადგან აქ ნორმის მიზანი მხოლოდ წინასწარ წარმოდგენილი შედეგია (gedanklich antizipierte Wirkung), რომელიც გამოწვეული იქნება ნორმით, როგორც მიზეზით. ორივე მეთოდი უყურებს ნორმას, როგორც ცნობიერების ფაქტს, როგორც მიზეზობრივ დამოკიდებულებათა ერთ-ერთ რგოლს. ამ მნიშვნელობით იკვლევენ ნორმას ფსიქოლოგი, ისტორიკოსი და სოციოლოგი; ამ მნიშვნელობით, რასაკვირველია, ნორმა ექსპლიკატიური დისციპლინების საგანს შეადგენს.

ამგვარად, Kelsenის შეხედულებით, არც გარეგანი გრამატიკული ფორმა, არც ავტორიტეტის ცნება და არც მიზნობითი მომენტი არ იძლევიან იმის შემეცნების საფუძველს, რომ მოცემული ნორმა ნამდვილად სავალდებულო ნორმაა. უკანასკნელს, ე. ი. მიზნობით მომენტს არ შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა იმი-

[1]) Ib. 70.

ტომ, რომ იგი იხილავს ნორმას იმავე გზით, როგორც ბუნებრივი, კაუზალური მეთოდი; ამის გამო ნორმის ფორმალური მხარე, ნორმის სავალდებულობა მისთვის მიუწვდომელი რჩება. აქ თავისთავად იბადება საკითხი—თუკი Kelsenი უარჰყოფს კაუზალურ და ტელეოლოგიურ მეთოდს, თუკი ნორმის სავალდებულობის ასახსნელად იგი საჭიროდ სცნობს განსაკუთრებულ მეთოდს, რომელსაც უწოდებს ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ს, როგორია ის კავშირი, რომელსაც შეისწავლის ეს მეთოდი? ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნორმატიული მეთოდის საგანს შეადგენს ნორმის ფორმა, ე. ი. ნორმა, როგორც წმინდა ვალდებულება, სრულიად დამოუკიდებელი თავის შინაარსისაგან. ეხლა კი Kelsenი უფრო დაახლოვებით, უფრო გარკვეულად განსაზღვრავს ნორმის შემადგენლობას. იგი ჰყოფს ნორმას მის ნაწილებად და არკვევს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ამ ნაწილებს შორის. ნორმის ელემენტებს შორის, ამბობს Kelsenი, არის დამოკიდებულება, რომელიც არსებითად განსხვავდება კაუზალურ და ტელეოლოგიურ დამოკიდებულებისაგან; ნორმაში მოცემული კავშირი გრამატიკულად გამოითქმება სიტყვაში: „უნდა“ (soll). ნორმა შესდგება ორ ნაწილისაგან: ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ი (Soll-Subjekt), რომლისადმიც მიმართულია ეს ვალდებულება და ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ი (Soll-Objekt), ე. ი. ის, რაც სავალდებულოა. ნორმის შეფარდება ფაქტებთან არკვევს ორგვარ შესაძლებლობას: ფაქტების თანხმობას ნორმასთან ანდა ფაქტებისა და ნორმის წინააღმდეგობას შინაარსის მხრივ (inhaltlich). როდესაც გამორკვეულია ეს თანხმობა და წინააღმდეგობა, მაშინ იბადება საკითხი ვალდებულების სუბიექტის შესახებ. ნორმის საწინააღმდეგო ფაქტის დროს ისმება საკითხი: ვინ არის დამნაშავე? ნორმასთან შეთანხმებულ ფაქტის დროს კი ვაყენებთ საკითხს: ვინ დაიმსახურა ეს? მაგრამ ეს უკანასკნელი კითხვა უფრო იშვიათია, რადგან სოციალურად სასჯელი უფრო მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვიდრე ჯილდო. ორივე კითხვაზე პასუხს იძლევა ნორმა, რომელიც თავის შემადგენლობის ერთ-ერთ ნაწილში აღნიშნავს ვალდებულების სუბიექტს (Soll-Subjekt). ნორმის საფუძველზე რომელიმე ფაქტიური შემადგენლობის (Seinstatbestand) დაკავშირება სუბიექტთან არის ჩ ა თ ვ ლ ა (Zurechnung). ეს დაკავშირება სრულიად თავისებურია და დამოუკიდებელია კაუზალურ და ტელეოლოგიურ კავშირისაგან; ვინაიდან იგი ხდება ნორმების საფუძველზე, Kelsenი მას უწოდებს ნორმატიულს[1].

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ Kelsenის მოძღვრებაში სამართლის ნორმის ცნებას უკავია მთავარი ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეს მოძღვრება დამყარებულია სამართლის ნორმის (Rechtssatz) ცნებაზე. ამ ცნების დედუქტიური განვითარების გზით Kelsenი იკვლევს სამართლის მეცნიერების ყველა ძირითად საკითხებს. სამართლის ნორმაში იგი ნახულობს ორ ელემენტს: ერთი აღნიშნავს სუბიექტს, მეორე—ობიექტს, რომელიც Kelsenს ესმის, როგორც ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელსაც შეიცავს ნორმა. კავშირი ამ ორ ელემენტს შორის სრულებით არ ემსგავსება იმ კავშირს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მიზეზობრივ ან ტელეოლოგიური მეთოდის გამოყენების დროს. მიზეზობრივ და-

[1]) Ib. 72.

მოკიდებულებაში ყოველთვის მოცემულია მ ი ზ ე ზ ი და შ ე დ ე გ ი; იმავე ელემენტებს, მხოლოდ სხვა სახელწოდებით, ვხვდებით ტელეოლოგიურ დამოკიდებულებაშიაც; მთელი განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მიზანი იკავებს შ ე დ ე გ ი ს ადგილს, ნორმა კი მიჩნეულია მ ი ზ ე ზ ა დ. კაუზალური და ტელეოლოგიური დამოკიდებულება, მაშასადამე, ერთგვარი ბუნებისაა.

სულ სხვა ხასიათისაა ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს სამართლის ნორმის ელემენტებს შორის; აქ კავშირი სუბიექტსა და ობიექტს შორის დამყარებულია ვალდებულების ცნებაზე: ამ თავისებურ, ფაქტიურ პროცესებისაგან დამოუკიდებელ კავშირს, რომელშიაც გამოიხატება ნორმის ბუნება, ეწოდება ნ ო რ მ ა ტ ი უ ლ ი კავშირი; ეს უკანასკნელი შეადგენს ნორმატიული მეთოდის საგანს. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან Kelsenის თეორიის სხვადასხვა ნაწილები: ნორმის, როგორც წმინდა ვალდებულების ცნება, ნორმის ელემენტების დამოკიდებულება და ნორმატიული მეთოდი. ამ მთავარ პრინციპებიდან გამოჰყავს Kelsenს, როგორც ჩვენ ვნახავთ შემდეგში, მთელი ობიექტური და სუბიექტური სამართლის სისტემა.

როგორც იყო უკვე აღნიშნული, ნორმის შემადგენლობაში შედის ორი ელემენტი: ვალდებულების სუბიექტი (Soll-Subjekt) და ვალდებულების ობიექტი (Soll-Objekt). ამ ორ ელემენტის განსხვავებას Kelsenი მიაწერს დიდ მნიშვნელობას. მისი აზრით, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ორი ელემენტი ერთიდა იგივეა, იმ მოსაზრებით, რომ ვალდებულების საგანი ყოველთვის სუბიექტის ყოფაქცევაა. ეს მოსაზრება მცდარია, რადგან ყოფაქცევა და სუბიექტი ერთიდაიგივე არაა; მაგრამ, ამის გარდა, შესაძლოა შემთხვევები, როდესაც ვალდებულების საგანს წარმოადგენს არა ადამიანის ყოფაქცევა, ე. ი. მოქმედება ან უმოქმედობა, არამედ სხვა რამე. ნორმას შეუძლია მოითხოვოს ისეთი რამ, რაც შორეულ კავშირშია ანდა სრულიად არაა დაკავშირებული ადამიანის მოქმედებასთან.

იურიდიული ჩათვლა (Zurechnung), ე. ი. ჩათვლა სამართლის ნორმების საფუძველზე, ნათელჰყოფს, რომ ნორმის ობიექტსა (Normobjekt) და ნორმის სუბიექტს (Normsubjekt) შორის შეუძლებელია კაუზალური ან ტელეოლოგიური კავშირი. ვალდებულების სუბიექტის გამორკვევა სისხლის სამართლის დარგში შესაძლოა იმით, რომ მას სამართლის დარღვევის შემთხვევაში მოელის სასჯელი. პასუხი კითხვაზე—ვინ უნდა დაისაჯოს, იმავე დროს არის პასუხი მეორე კითხვაზე—ვის უნდა ჩაეთვალოს სამართლის დარღვევა. რომის სამართალი, მაგალითად, დიდ ჯარიმას ადებდა იმ სახლის პატრონს, რომლის სახურავიდან ჩამოვარდა რაიმე საგანი და მოკლა მგზავრი; მგზავრის სიკვდილი ჩაეთვლებოდა სახლის პატრონს. ეჭვს გარეშეა, რომ სახლის პატრონსა და მგზავრის სიკვდილს შორის არავითარი კაუზალური ან ტელეოლოგიური დამოკიდებულება არ არსებობდა. სახლის პატრონი არ იყო ამ სიკვდილის მიზეზი, მეორის მხრივ, ეს სიკვდილი მის მიზანს არ შეადგენდა. რასაკვირველია, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩათვლა შეფარდებულია კაუზალურ დამოკიდებულებასთან, როდესაც ის აერთებს ორ მიზეზობრივად დაკავშირე-

ბულ მოვლენას, მაგალითად, მკვლელს და მსხვერპლის სიკვდილს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ჩათვლის საფუძველი კაუზალობა არაა; სწორედ აქ, ამბობს Kelsenი, ნათლად ჩანს, რომ კაუზალობის ცნება არ იძლევა იმ საზომს, რომლის მიხედვით კაუზალურად დაკავშირებულ დაუსრულებელ ჯაჭვიდან გამოვყოფთ ორ რომელიმე რგოლს, რომლებიც კაუზალურად თანასწორია სხვებთან. ჩათვლა რომ ეყრდნობოდეს კაუზალობის პრინციპს, მაშინ ყოველივე შედეგი უნდა ჩაეთვალოს ყველა მის მიზეზებს, რასაც იურიდიულ და ზნეობრივ ჩათვლის დროს, რასაკვირველია, ადგილი არა აქვს. კაუზალურ-მექანიკური თვალსაზრისით ერთ რომელიმე მიზეზს იმდენად მიუძღვის დანაშაულობა რომელიმე შედეგის გამოწვევაში, რამდენადაც სხვა უფრო დაშორებულ მიზეზებს. საერთოდ ყოველივე შედეგს იწვევს რამოდენიმე მიზეზობრივი რიგი; ამ რიგების შეხვედრის პუნქტშია მოთავსებული ჩასათვლელი შედეგი. ყველა ეს რიგები კაუზალობის მიხედვით თანასწორია. მიუხედავად ამისა, ჩათვლის დროს გამოყოფენ ერთ რიგს, სადაც მოთავსებულია ნორმატიულად განსაზღვრული ადამიანის მოქმედება. ცხადია, რომ ასეთი შერჩევისათვის კაუზალობის პრინციპი ყოველ შემთხვევაში არ გამოდგება. უმოქმედობის ჩათვლის დროს კი არავითარი კაუზალური დამოკიდებულება სუბიექტსა და შედეგს შორის არ არსებობს. ამ მოსაზრებებს, რომლებითაც იგი ცდილობს დაარღვიოს თანამედროვე სისხლის სამართალში საერთოდ მიღებული ჩათვლის თეორია, Kelsenი უმატებს კიდევ ერთ მოსაზრებას; როგორც მიზეზი, ამბობს იგი, მიჩნეულია რომელიმე განცალკევებული სხეულის მოძრაობა, ანდა ფსიქიური მდგომარეობა, ჩათვლა კი სწარმოებს მთელი პიროვნების მიმართ (zu einer Person), რომელიც წარმოდგენილია, როგორც უძრავი რამ (in Ruhe gedachtem); აქედან Kelsenს გამოჰყავს დასკვნა, რომ ჩათვლის სუბიექტი არაა „ადამიანი“ ბიო-ფსიქოლოგიური მნიშვნელობით, არამედ იდეალური, ნორმატიური კონსტრუქციის პუნქტია, რომელიც ფაქტიურ სამყაროს არ ეკუთვნის. ეს ჩათვლის იდეალური პუნქტი არის პიროვნება. მხოლოდ ადამიანს ფსიქო-ფიზიოლოგიური მნიშვნელობით შეუძლია, მისი აზრით, გახდეს რომელიმე მოვლენის მიზეზად და არა პიროვნებას (Person), რომელიც არის მხოლოდ პასუხისმგებლობის და ჩათვლის სუბიექტი [1].

ამ უკანასკნელ დებულებას Kelsenის თეორიაში უკავია დიდი ადგილი. სუბიექტი იურიდიული თვალსაზრისით არის მხოლოდ იურიდიული კონსტრუქციის შედეგი და არა ადამიანი. ამ დებულებაზე, რომელიც ლოღიკურად გამომდინარეობს Kelsenის მოძღვრების ძირითადი საფუძვლებიდან, იგი აშენებს სახელმწიფო სამართლის სისტემას და იმავე დებულებაზეა დამყარებული მისი სუბიექტური სამართლის თეორიაც.

ჩვენ ვნახეთ, რომ Kelsenმა უარჰყო მიზეზობრივი კავშირის პრინციპი, როგორც ჩათვლის საფუძველი. მაგრამ იგი არ კმაყოფილდება ამით; იგი ამტკიცებს, რომ არც ტელეოლოგიურ პრინციპს აქვს ეს მნიშვნელობა: ჩათვლის დასაბუთებლად ეს პრინციპიც გამოუსადეგარია. ის გარემოება, რომ სამართლის დამრღვევი შედეგი იყო სუბიექტის მიზანი, ე. ი. რომ სუბიექტს ჰსურდა ეს

[1]) Ib. 74.

შედეგი, არ შეადგენს, Kelsenის აზრით, ჩათვლის არსებით ნიშანს; განსაზღვრული შედეგის სურვილი შეიძლება იქნეს სამართლის დარღვევის დროს, მაგრამ ეს აუცილებელი არაა; ხშირია შემთხვევა, როცა ნორმა აკრძალავს ან მოითხოვს შედეგს, რომელიც სუბიექტს სრულებით არ ჰსურს; აშკარაა. რომ აქ ჩათვლა ხდება სუბიექტის ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად. ასეთია მდგომარეობა, მაგალითად, გაუფრთხილებლობის დროს. ჩათვლა ყოველთვის წარმოებს პოზიტიური ნორმის საფუძველზე. საერთოდ გარეგანი შედეგი ჩაეთვლება სუბიექტს არა იმიტომ, რომ მან თავისი მოქმედებით გამოიწვია ეს შედეგი, ანდა არ შეაჩერა სხვა მიზეზით გამოწვეული შედეგი, არამედ იმიტომ, რომ იგი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ი ყ ო ემოქმედნა ან არ ემოქმედნა განსაზღვრული სახით; შეცდომაა იმის მტკიცება, რომ ვინმე დასჯილია ან დაჯილდოებულია იმიტომ, რომ მან იმოქმედა ამა თუ იმ სახით; უფრო მისაღებია რომ იგი დასჯილია იმიტომ, რომ მან არ შეასრულა ის, რაც მისთვის ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო იყო, ანდა დაჯილდოებულია იმიტომ, რომ მას ჰქონდა იმის ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა, რაც მან შეასრულა. ჩათვლა დამყარებულია მხოლოდდამხოლოდ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე, ე. ი. ნორმაზე. სრულიად მიუღებულია ის აზრი, რომ ჩათვლას ვითომც საფუძვლად აქვს რომელიმე აბსოლუტური, ბუნებრივი ან და სამართლიანობის პრინციპი; მხოლოდ ნორმაში უნდა ვეძიოთ ჩათვლის პრინციპი; ამიტომ ყოველ ცალკე შემთხვევაში გამორკვეული უნდა იქნეს ვისთვის და რა პირობებში ნორმა ადგენს ვალდებულებას. როდესაც ამტკიცებენ ჩათვლის საერთო პრინციპის არსებობას, და კერძო შემთხვევაში ჩათვლას არ აწარმოებენ ნორმის მიხედვით, ეს ნიშნავს იმას, რომ იდეალური პოსტულატი წამოყენებულია, როგორც მოქმედი პრინციპი[1].

ჩათვლის ცნებას დახასიათებული მნიშვნელობით Kelsenი არ ზღუდავს მხოლოდ სამართლის დარგით. კაუზალობისა და ტელეოლოგიისაგან დამოუკიდებელი დაკავშირება ელემენტებისა მარტო სამართლის დარგში კი არაა შესაძლო. იგი გამოსაყენებელია ყველა ნორმატიურ დარგებში. სადაც არ უნდა სწარმოებდეს ჩათვლა, იგი ყოველთვის წარმოებს მხოლოდ ნორმების საფუძველზე, ე. ი. ყოველთვის წარმოადგენს მხოლოდ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს საშუალებით დამყარებულ კავშირს ნორმის სუბიექტსა და ობიექტს შორის; რასაკვირველია, შესაძლოა, რომ სინამდვილეში სუბიექტსა და ობიექტს შორის კაუზალური ან ტელეოლოგიური კავშირი მართლაც არსებობს, მაგრამ ჩათვლის საფუძველი იგი მაინც არაა[2]. ეს აზრი ეწინააღმდეგება თანამედროვე ეთიკაში გაბატონებულ შეხედულებას; ზნეობის დარგში, როგორც ჩათვლის საფუძველი მიჩნეულია ტელეოლოგიური დამოკიდებულება, რადგან აქ ჩათვლას ამყარებენ ნებისყოფაზე, ე. ი. იმაზე, რომ სუბიექტს ჰსურდა ესა თუ ის შედეგი; მაგრამ, Kelsenის აზრით, ეს შეხედულება წარმოადგენს ფიქციას; ზნეობრივი ჩათვლის დროს ადამიანს ჩაეთვლება არა თუ მხოლოდ მისი მოქმედება, არამედ ის ფაქტებიც, რომლებიც ამ მოქმედებასთან მიზეზობრივად არიან დაკავშირებული; გარდა ამისა მას ჩაეთვლება

---

[1]) Ib. 75.
[2]) Ib. 73, 74.

აგრეთვე ის შედეგებიც, რომლებიც გამოწვეულია მისი უმოქმედობით (Unterlassung); ნებისყოფას თან ერთვის მომავალი შედეგის წარმოდგენა და, მაშასადამე, ჩათვლას ადგილი არ უნდა ექნეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგი გათვალისწინებული არ იყო და სუბიექტს ეს შედეგი არ ჰსურდა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა; ჩათვლის დროს ისმება საკითხი არა იმის შესახებ გათვალისწინებული იყო ეს შედეგი, თუ არა, არამედ მხოლოდ—ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იყო სუბიექტი გაეთვალისწინებინა იგი, თუ არა; იმას, ვინც არ ასრულებს დაპირებას, ვინაიდან მას ეს დაპირება დაავიწყდა, ზნეობრივი თვალსაზრისით ეს ჩაეთვლება, თუმცა მას სიტყვის გატეხვა არ ჰსურდა; აშკარაა, რომ აქ ჩათვლა დამყარებულია ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე და არა ნებისყოფაზე; მცდარია აზრი, თითქოს აქ ჩათვლას ჰქონდეს ადგილი იმიტომ, რომ ადამიანს შ ე ე ძ ლ ო მოეგონებია თავისი დაპირება; რადგან მას დაავიწყდა, მას უნდა დავიწყებოდა; სხვანაირად მას არ შეეძლო. რომელიმე შედეგი ჩაეთვლება ადამიანს იმიტომ, რომ მას წინააღმდეგის შესრულების ვალდებულება (kontradiktorischer Gegensatz gesollt) ჰქონდა; ნორმიდან და არა სუბიექტის შინაგანი თვისებიდან გამოყვანილი უნდა იქნეს ჩათვლის პრინციპი. თუ სინამდვილეში ვხედავთ, რომ ფსიქიური მომენტი შეადგენს ჩათვლის პირობას, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს მომენტი შედის ნორმაში, რომ ნორმის ობიექტის შემადგენლობაში აღნიშნულია ფსიქიური მომენტი, როგორიცაა ნებისყოფა ან შედეგის ცოდნა; ასე, მაგალითად, როდესაც ნორმა ამბობს: „ნუ მოკლავ განზრახ", ამ ნორმის მიხედვით სხვისი მკვლელობა ჩაეთვლება სუბიექტს მაშინ, როცა მოცემულია განზრახვა; მაგრამ აქაც ჩათვლის საფუძველს განზრახვა ან ნებისყოფა არ შეადგენს. ყველა ნორმები, და მათ შორის ზნეობრივიც, არ შეიცავენ ასეთ ფსიქიურ მომენტებს; ეს ბუნებრივიცაა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფართო თავისუფლება მიეცემოდა გაუფრთხილებლობასა და წინდაუხედველობას.

მაგრამ, თუკი, მიუხედავად ჩათვლის თავისებური ბუნებისა, Kelsenი ჩათვლასა და ნებისყოფას მაინც უკავშირებს ერთმანეთს, თუკი, მისი აზრით, ნებისყოფა შეადგენს პიროვნების შინაარსს და პიროვნება გულისხმობს ჩათვლის—უნარიანობას, ეს აიხსნება იმით, რომ ნებისყოფა Kelsenს ესმის განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელიც სრულიად განსხვავდება ნებისყოფის ფსიქოლოგიური ცნებისაგან. მისი აზრით, ნებისყოფა შეიძლება გაგებული იქნეს როგორც ფსიქოლოგიური, ისე წმინდა იურიდიული მნიშვნელობით. უკანასკნელი მნიშვნელობით, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ იურიდიულ კონსტრუქციას, ნებისყოფის ცნებას დიდი ადგილი უკავია Kelsenის მოძღვრებაში; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ Kelsenი, რომელიც, ერთის მხრივ, განუწყვეტლივ ახასიათებს ნორმას, როგორც წმინდა ვალდებულებას და ცდილობს მკაფიოდ გამოჰყოს იგი ნებისყოფისაგან, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს და საერთოდ სუბიექტის ცნების კონსტრუქციის დროს ხელმძღვანელობს „ნებისყოფის" ცნებით. ეს წინააღმდეგობა იხსნება, თუ მივიღებთ მხედველობაში რომ Kelsenის იურიდიულ მოძღვრებაში ნებისყოფას არა აქვს იგივე შინაარსი, რაც ფსიქოლოგიაში. Kelsenს იგი ესმის მხოლოდ როგორც იურიდიული კონსტრუქციის საშუალება; ნებისყოფის ცნებას იგი ანიჭებს მხოლოდ ამ სპეციალურ მნიშვნელობას და უარჰყოფს ყვე-

ლა თეორიებს, რომლებსაც შეაქვთ სამართლის დარგში ნეფისყოფის ფსიქოლოგიური ცნება. ამ განსხვავების გათვალისწინება Kelsenის მოძღვრების სწორი გაგებისათვის აუცილებელია. Kelsenი, ერთის მხრივ, უარჰყოფს ნებისყოფის ცნებას, სწმენდს სამართლის მეცნიერებას ამ ცნებისაგან და ჩათვლას ამყარებს არა ნებისყოფაზე, როგორც ეს მიღებულია იურიდიულ მეცნიერებაში, არამედ ვალდებულებაზე (Sollen); მეორეს მხრივ კი, სუბიექტის, ე. ი. პიროვნების ცნების შინაარსად აცხადებს „ნებისყოფას". მაგრამ აქ წინააღმდეგობა არაა, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში მას ნაგულისხმევი აქვს ნებისყოფა იურიდიული მნიშვნელობით, ე. ი. ნებისყოფა, როგორც ნორმატიული ცნება.

ამგვარად, Kelsenი ზემოთ დაყენებულ საკითხს კაუზალურ, ტელეოლოგიურ და ნორმატიულ მეთოდის დამოკიდებულების შესახებ სჭრის თავისებურად: იგი ამტკიცებს, რომ ტელეოლოგიური მეთოდი ეკუთვნის იმავე დარგს, რაც კაუზალური, რადგან იგიც იკვლევს, „ხსნის" ფაქტიურ პროცესებს. ამიტომ კაუზალური და ტელეოლოგიური მეთოდები, მისი აზრით, ერთდაიმავე ექსპლიკატიური მეთოდის სხვადასხვა სახეებია. სულ სხვა ბუნებისაა ნორმატიული მეთოდი; იგი განსხვავდება ტელეოლოგიურ მეთოდისაგან იმით, რომ არავითარ მიზანზე მიმართული არაა. ამ ფაქტის შეგნება, ამბობს Kelsenი, გვიადვილებს საკითხის გადაჭრას იმის შესახებ, წარმოადგენენ სამართლის ცნებები მიზნობით ცნებებს, თუ არა (ob Rechtsbegriffe Zweckbegriffe sein können). მხოლოდ უკანასკნელ დროს დაისვა ეს საკითხი; ცდილობდენ გამოერკვიათ, შეადგენს თუ არა მიზნის მომენტი იმ ცნებათა შემადგენლობით ნიშანს, რომლებსაც სამართლის მეცნიერება იმუშავებს პოზიტიური სამართლის საფუძველზე. ორგანიული სკოლის წარმომადგენლებმა, Gierkeმ, Seidlerმა, Preussმა გამოთქვეს აზრი, რომ სახელმწიფოს და საერთოდ კორპორაციის ცნება შემუშავებული უნდა იქნეს მიზნისაგან დამოუკიდებლად. Preussის სიტყვით, მიზნობითი მომენტის გამოყენება ანიჭებს იურიდიულ ცნებას პოლიტიკური ცნების ხასიათს. მოწინააღმდეგე მიმართულების, ე. ი. ანორგანიული თეორიის წარმომადგენელნიც უარჰყოფენ მიზნობით მომენტს, როგორც იურიდიული კონსტრუქციის საშუალებას. მაგალითად, Labandი ამტკიცებს, რომ მიზანი არ შეადგენს იურიდიული ინსტიტუტის არსებით ნიშანს.

ტელეოლოგიური მიმართულების მთავარი წარმომადგენელი იურისპუდენციაში არის Iheringი, რომელიც უყურებს მიზანს, როგორც მთელი სამართლის შემოქმედ ძალას (Schöpfer des ganzen Rechtes). მაგრამ ეს შეხედულება, რომელიც აქცევს ყურადღებას სამართლის წარმოშობას, არაა იურიდიული ხასიათისა; იგი ისტორიულ-სოციოლოგიური ბუნებისაა, ვინაიდან მას აინტერესებს ისტორიული სინამდვილე მის ფაქტიურ დამოკიდებულებებში; მხოლოდ ამ ისტორიულ-სოციოლოგიური მეთოდის საშუალებით არის შესაძლო სამართლის წარმოშობის და განვითარების გამოკვლევა; მაგრამ, Kelsenის თვალსაზრისით „სამართლის წარმოშობა", „იურიდიული ვალდებულების წარმოშობა" (Erzeugung des rechtlichen Sollens) მეტაიურიდიული პრობლემაა. Iheringის იმ დებულებიდან, რომ მიზანი ჰქმნის სამართალს, Kelsenის აზრით, ვერასოდეს ვერ გამო-

ვიყვანთ იურიდიულ ცნებებს; იგი ჩვენ მოგვცემს მხოლოდ სოციოლოგიურ, ეკონომიურ, ან ფსიქოლოგიურ ცნებებს; მიზნობითი მომენტის გამორიცხვა იურიდიულ ცნებათა წრიდან იძლევა იმ შედეგს, რომ სამართლის ცნებებს ენიჭება მხოლოდ ფორმალური კატეგორიების მნიშვნელობა. იურისპრუდენციამ უნდა მიაქციოს ყურადღება მხოლოდ სამართლის ფორმას; სამართლის შინაარსს კი იკვლევენ სოციოლოგია და ისტორიულ-პოლიტიკური დისციპლინები[1]. სამართალს, როგორც მთლიანობას (in ihrer Totalität), აქვს, მაშასადამე, ორი მხარე: ფორმალური, რომელიც შეადგენს სამართლის მეცნიერების საგანს და ფაქტიური, რომელსაც იკვლევენ სოციალური მეცნიერებანი.

თუ მივიღებთ იმ აზრს, რომ იურისპრუდენციის საგანი მხოლოდ ფ ო რ მ ა ა, მაშინ ლოღიკურად იძულებული ვიქნებით შევიტანოთ იურიდიულ ცნებებში მხოლოდ ფორმალური ელემენტები; ამით ჩვენ უარვჰყოფთ იურიდიულ მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც ფიქრობს, რომ სქოლასტიკური ფორმალიზმის თავიდან აცილება შესაძლოა მხოლოდ ფორმალური და მატერიალური ელემენტების შეერთების გზით. წმინდა ფორმალური მეთოდის სისუსტეს ზოგიერთი ნახულობს იმაში, რომ ეს მეთოდი არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს, რომ იგი აუხსნელად სტოვებს სამართლის ფაქტიურ ცხოვრებას; მაგრამ ამ შეხედულებაში, ამბობს Kelsenი, გამოიხატება იურისპრუდენციის ბუნების სრული უცოდინარობა: ცხოვრების „ახსნა“ სრულებითაც არ შეადგენს იურისპრუდენციის საგანს. ფორმალურ-იურიდიულ ცნებათა ღირებულების უარჰყოფა იმ მოსაზრებით, რომ მათ არა აქვთ შინაარსი, იგივეა, რაც გეომეტრიის ცნებათა უარჰყოფა, იმიტომ, რომ მათი საგანია ფიზიკური სხეულების ფორმა და არა შინაარსი. იურისტი, რომელიც ცდილობს შეარიგოს იურიდიულ ცნებებში ფორმალური და სუბსტანციური ელემენტები და ამ გზით მისცეს ცარიელ იურიდიულ ფორმულებს პრაქტიკული ღირებულება, უშვებს იმავე შეცდომას, რომელსაც ჩაიდენდა გეომეტრი, რომელიც სფეროს განსაზღვრაში აღნიშნავდა იმ მასალასაც, რომლიდანაც ამა თუ იმ კონკრეტ შემთხვევაში შესდგება ეს სფერო.

ამიტომ Kelsenი არ ეთანხმება Jellinekს, როდესაც უკანასკნელი ამტკიცებს, რომ სამართლის წმინდა ფორმალური კონსტრუქცია შეუძლებლობას წარმოადგენსო; რომ მეცნიერულად დასაბუთებულ იურიდიულ შედეგებს ვერ მივიღებთ, თუკი სრულიად უყურადღებოდ დავტოვებთ ცხოვრების დამოკიდებულებათა შინაარსსო. Kelsenის თვალსაზრისით, Jellinekის აზრი მცდარია, რადგან იურისპრუდენცია ჰქმნის მხოლოდ ფორმალურ ცნებებს; იგი არაა ცხოვრების მომწესრიგებელი ძალა; ასეთ ძალას წარმოადგენს მხოლოდ სამართალი, როგორც რეალური იურიდიული წყობილება. როგორც გეომეტრი არ აქცევს ყურადღებას კონკრეტ მასალას, რომელიც ცალკე შემთხვევაში მოთავსებულია რომელიმე გე-

---

[1]) Die gegen eine teleologische Konstruktion gerichtete Methode der Rechtswissenschaft geht von der Voraussetzung aus, dass die Jurisprudenz nur die Form einer Erscheinung zu berücksichtigen hat, mit deren Inhalt sich die Soziologie, die historisch-politischen Disciplinen zu befassen haben, einer Ersheinung. die man immerhin in ihrer Totalität als „Recht“ bezeichnen mag, wenn man sich dann nur bewusst bleibt, dass der „Rechts“wissenschaft mit ihren spezifischen Erkenntnismitteln nur eine Seite dieser „Rechts“erscheinung zugänglich ist“ ib. 92.

ომეტრიულ ფორმაში და შეისწავლის მხოლოდ ამ ფორმას, ისე იურისტმა თავის საგნად უნდა აღიაროს იურიდიული ფორმები, მიუხედავად მათი ფაქტიური შინაარსისა. Kelsenის აზრით, სწორედ გეომეტრიის მაგალითი ამტკიცებს იმას, რომ შესაძლოა შემუშავება „უშინაარსო ფორმებისა", რომლებსაც მაინც აქვთ თავისი ღირებულება და რომლებიც სქოლასტიკას არ ეკუთვნიან. იგივე სავსებით ითქმის იურისპუდენციის შესახებაც [1].

## თ ა ვ ი III.

## სამართალი ობიექტური მნიშვნელობით.

Kelsenის თეორიის მთავარ მომენტს შეადგენს სამართლის ნორმის ცნება (Rechtssatz); ამ ცნების შემადგენლობა უკვე იყო დახასიათებული. სამართლის ნორმაში Kelsenი ხედავს ორ ნაწილს. სუბიექტს და ობიექტს, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან ნორმატიულად და არა კაუზალურად ან ტელეოლოგიურად. ეს ნორმატიული დამოკიდებულება გამოიხატება გარეგნულად ვალდებულებაში. ამიტომაც ნორმის თავისებურებას Kelsenი ხედავს ვალდებულებაში; უკანასკნელში აშკარავდება ნორმის განსაკუთრებული ბუნება; იგი ანიჭებს ნორმას იმ ფორმალურ ხასიათს, რომლის მიხედვით სამართლის მეცნიერება გამოყოფილია სხვა დისციპლინებიდან და იკავებს დამოუკიდებელ მდგომარეობას. შინაარსი ნორმისა მატერიალური ხასიათისაა, რადგან ამ შინაარსს შეადგენენ ის ფაქტიური დამოკიდებულებანი, რომლებიც შესწავლული უნდა იქნენ კაუზალობის თვალსაზრისით; ამ ფაქტიურ დამოკიდებულებებს იკვლევენ სხვა დისციპლინები: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ისტორია და სხვ., მაგრამ ამ დისციპლინების შედეგების გამოყენება სამართლის მეცნიერებაში ეწინააღმდეგება სამართლის მეცნიერების თავისებურ ბუნებას. სამართლის მეცნიერება იკვლევს მხოლოდ ფორმას და ამის გამო იგი სარგებლობს მხოლოდ ნორმატიული მეთოდით.

ამგვარად სამართლის ნორმის ცნება არის ის ძირითადი ცნება, რომლიდანაც გამომდინარეობს Kelsenის იურიდიული სისტემა. სამართალი, Kelsenის მოძღვრების მიხედვით, წარმოადგენს მთლიანობას და თუ კი Kelsenი ემხრობა საერთოდ მიღებულ სამართლის დაყოფას ორ მთავარ დარგად—სუბიექტურ და ობიექტურ სამართლად, ეს მისი აზრით, არ ნიშნავს, რომ არსებობს ორგვარი სამართალი; სინამდვილეში სამართალი ერთგვარია და როდესაც ვლაპარაკობთ სუბექტურ და ობიექტურ სამართალზე, ჩვენ ერთ მთლიან მოვლენას განვიხილავთ სხვადასხვა თვალსაზრისით, სხვადასხვა დამოკიდებულების მხრივ.

სამართლის ნორმამ, როგორც მთლიანობამ, შეიძლება მიიღოს ორი სახე: ობიექტური და სუბიექტური. სუბიექტური სამართალიც დამყარებულია სამართლის ნორმაზე. თვით ის ტერმინები, რომლებსაც ხმარობს Kelsenი, მიგვითითებენ იმაზე, რომ იგი ობიექტურ და სუბიექტურ სამართალს უყურებს, როგორც

[1]) Ib. 94.

მთლიანობას; Kelsenი ამბობს: „die objektive Erscheinungsform des Rechtssatzes“, „die subjektive Erscheinungsform des Rechtssatzes“; უკვე ეს ტერმინები ამტკიცებენ, რომ ორივე სამართალი — ობიექტური და სუბიექტური — დამყარებულია სამართლის ნორმაზე. ობიექტური და სუბიექტური სამართალი მხოლოდ ერთიანი სამართლის ნორმის სხვადასხვა ფორმებია.

ობიექტური სამართლის განსაზღვრაში Kelsenს შეაქვს „ნებისყოფის“ ცნება. ობიექტური სამართალი, ამბობს იგი „სახელმწიფოს ნებისყოფა“ არისო (Wille des Staates). მაგრამ ეს შეხედულება, დასძენს Kelsenი, სრულიად გაბატონებული არაა; იგი არც ყველა ისტორიულ საფეხურზე არსებობს; განსაკუთრებით საზოგადოებრივი განვითარების პირველ საფეხურზე, როდესაც არ არსებობდა მკაფიოდ განსაღვრული სახელმწიფოს ცნება, სამართალი მიჩნეული იყო, როგორც ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალის ნებისყოფა; ბუნებითი სამართლის ფილოსოფიაც, რომელსაც ობიექტური სამართალი მიაჩნია ინდივიდის თანდაყოლილი სუბიექტური უფლებების სისტემად, უყურებს სამართალს, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ მოვლენას; სახელმწიფო იმდენადაა დაკავშირებული სამართალთან, რამდენადაც იგი თავისი საშუალებით იცავს ქვეშევრდომთა სუბიექტურ უფლებებს.

სანამ გაბატონებულია ადათობრივი სამართალი, სამართლის სუბიექტად ითვლება არა სახელმწიფო, არამედ ის საზოგადოება, რომელიც თავისი ფაქტიური ხანგრძლივი ყოფაქცევით ჰქმნის ნორმების შინაარსს; სახელმწიფომ მხოლოდ უნდა გამოიყენოს თავისი ორგანოების საშუალებით ეს ნორმები. ნორმების შინაარსის წყარო ამ საფეხურზე ხალხია; აქ სწორედ ეს შინაარსი უფრო თვალსაჩინოა და ამიტომ უყურადღებოდ სტოვებენ სახელმწიფოსა და მის ორგანოების ფორმალურ ფუნქციას; სამართალი მიჩნეულია, როგორც ხალხის ნებისყოფა ანდა ხალხის რწმენა. ეს შეხედულება სწორად აღნიშნავს ნორმის შინაარსის წყაროს, მაგრამ იგი არ იძლევა არავითარ პასუხს იმაზე, თუ როგორია ნორმის ფორმალური ბუნება.

ადათობრივი სამართლის დაქვეითებისა და ცნობიერი იურიდიული შემოქმედების პრინციპის გამარჯვებით თანამედროვე სახელმწიფოში ძლიერდება თეორია, რომელიც სამართალს უყურებს, როგორც სახელმწიფოს ნებისყოფას. ეს აიხსნება იმით, რომ ხალხი იურიდიული ნორმების შინაარსს ჩვეულების გზით უკვე არ ჰქმნის; ეხლა სამართლის ფორმალური პირობები გამოიხატებიან თვით სამართლის წყობილებაში იმ დადგენილებების საშუალებით, რომლებიც განსაზღვრავენ საკანონმდებლო პროცესს; როდესაც ისმება საკითხი ობიექტური სამართლის ბუნების შესახებ, უკვე თვით სახელმწიფოს აქცევენ ყურადღებას.

დებულება, რომ სამართალი არის სახელმწიფოს ნებისყოფა, Kelsenის აზრით, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო წარმოშობს სამართალს. საკანონმდებლო პროცესი არ შეადგენს სახელმწიფოებრივ აქტს, სახელმწიფოს მოქმედებას. ეს პროცესი უფრო სოციალური ბუნებისაა ისე, როგორც ადათობრივი პრაქტიკა. ადათობრივი პრაქტიკისაგან მას ასხვავებს ის, რომ საკანონმდებლო პროცესი განსაზღვრულია თვით სამართლის წყობილებაში, როგორც სამართლის არსებობის პირობა. სამართლის აღიარება სახელმწიფოს ნებისყოფად

არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ჰქმნის სამართალს; იგი ნიშნავს, რომ სახელმწიფო სამართლის მატარებელია (Träger)[1]; სამართლის შინაარსი კი წარმოიშობა სოციალურ პროცესში.

ადათობრივი სამართლის არსებობამ თანამედროვე სახელმწიფოში კანონის გვერდით გამოიწვია ის, რომ ზოგიერთი უარჰყოფს ობიექტური სამართლის ერთიან კონსტრუქციას, ღებულობს დუალისტურ შეხედულებას და იმისდამიხედვით, თუ რა გზით ჩნდება სამართალი, სამართალს უყურებს ან როგორც სახელმწიფოს ნებისყოფას ანდა როგორც ხალხის ნებისყოფას; კანონი მიჩნეულია, როგორც სახელმწიფოს, ხოლო ადათობრივი სამართალი, როგორც ხალხის ნებისყოფა. მაგრამ ასეთი დუალისტური კონსტრუქცია Kelsenს არ აკმაყოფილებს. სახელმწიფოსა და ხალხის, კანონისა და ადათობრივი სამართლის დაპირისპირება წარმოადგენს, მისი აზრით, ისტორიულ-გენეტიური თვალსაზრისის შედეგს, რადგან აქ ისმება საკითხი: როგორ წარმოიშვება სამართალი? სამართლის წარმოშობის საკითხი კი, როგორც იყო აღნიშნული, „მეტაიურიდიული“ ხასიათისაა. იურიდიულად დაუშვებელია საკითხის დაყენება: ვინ წარმოშვა სამართალი? როგორ ისპობა სამართალი? სამართლის მეცნიერებამ უნდა გასცეს პასუხი მხოლოდ შემდეგ კითხვაზე: ვინ არის სამართლის მატარებელი, ვინ არის სამართლის წყობილების სუბიექტი? ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი: სახელმწიფო. ადათობრივი სამართლის შესახებაც ეს პასუხი არ კარგავს თავის მნიშვნელობას; ყოველივე სამართალი გამოყენებული უნდა იქნეს სახელმწიფოს, ე. ი. მისი ორგანოების პიერ; სახელმწიფო ორგანოები ანხორციელებენ მხოლოდ სახელმწიფოს ნებისყოფას; სხვა რომელიმე ნებისყოფის განხორციელება მათ არ შეუძლიათ, რადგან ეს არ ეთანხმება სახელმწიფოს სუვერენობის პრინციპს. ეს ორგანოები უკვე არ არიან სახელმწიფოს ორგანოები, თუკი ისინი სხვის ნებისყოფას ასრულებენ. ამიტომ ადათობრივი სამართლის ნორმებმაც უნდა გამოხატონ სახელმწიფოს ნებისყოფა, ვინაიდან ადათობრივი სამართალიც მოითხოვს თავის გამოყენებას ე. ი. შესრულებას სახელმწიფო ორგანოების საშუალებით. საერთოდ ნორმის ფორმულაში არ შეიძლება გამოთქმული იქნეს, თუ რა გზით წარმოიშვა მისი შინაარსი—ადათობრივი, თუ საკანონმდებლო გზით[2]. Kelsenის აზრით, კანონი და ადათობრივი სამართალი ფორმალურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ორივემ უნდა გამოხატოს სახელმწიფოს ნებისყოფა. ამგვარად Kelsenის მოძღვრებაში მოცემულია ობიექტური სამართლის ერთიანი კონსტრუქცია. მაგრამ, თუკი ობიექტური სამართალი იგივეა, რაც სახელმწიფოს ნებისყოფა. როგორ უნდა გავიგოთ ეს ნებისყოფა? რა მნიშვნელობას ანიჭებს Kelsen ამ ცნებას? ესმის მას იგი ისე, როგორც ეს საერთოდ მიღებულია სამართლის მეცნიერებაში, თუ იგი ანიჭებს მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას? ამ კითხვაზე Kelsen იძლევა შემდეგ პასუხს.

სახელმწიფო ნებისყოფის ცნება ძირითადი ცნებაა მთელ სამართლის მეცნიერებაში, განსაკუთრებით კი სახელმწიფო სამართალში. ამ ცნებით სარგებლო-

---

[1]) Ib. 98.
[2]) Ib. 101.

ბენ სხვადასხვა მიზნისათვის, მაგრამ აქამდის მისი ერთიანი და საყოველთაოდ მიღებული ფორმულა შემუშავებული არაა. სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პიროვნების, ნებისყოფის მნიშვნელობა დამოკიდებულია იმისგან, თუ როგორ იქნება გაგებული საერთოდ რომელიმე პიროვნების ნებისყოფა, რადგან სახელმწიფოს პიროვნებას იურიდიულად აქვს იგივე შინაარსი, რაც საერთოდ იურიდიულ პიროვნებას. აქედან ცხადია, რომ გამორკვეული უნდა იქნეს, თუ რას ნიშნავს პიროვნების ნებისყოფა საერთოდ სამართლის მეცნიერებაში. ეს კითხვა ხშირად ისმება უკანასკნელ ხანაში; განსაკუთრებით სისხლის სამართლის დარგში ნებისყოფის ცნება შეადგენს გაცხოველებულ იურიდიული კვლევა-ძიების საგანს. პირველი შეხედვით ეს პრობლემა არ ეკუთვნის იურისპრუდენციის დარგს, რადგან ნებისყოფა სულიერი ცხოვრების ფაქტია და ფსიქოლოგიის საგანს შეადგენს; იურისტმა უნდა გამოიყენოს ის შედეგები, რომლებსაც იძლევა ფსიქოლოგია; ასეთ შედეგებში ფსიქოლოგიას უკანასკნელ დროს არ ეშჩნევა ნაკლულევანება; მაგრამ, თუკი მიუხედავად ამისა, იურისტები მაინც განაგრძობენ ნებისყოფის დამოუკიდებელ შესწავლას, მეცნიერული კომპეტენციის საზღვრების ასეთ გადალახვას, უეჭველია, უნდა ჰქონდეს თავისი საფუძველი. ეს საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ იურისპრუდენციას არ შეუძლია გამოიყენოს ფსიქოლოგიის მიერ მოცემული დასკვნები, რადგან ის ნებისყოფის ცნება, რომელსაც იძლევა თანამედროვე ფსიქოლოგია, სამართლის სპეციფიურ მიზნებისათვის ვერ გამოდგება. მხოლოდ ამ ფაქტს შეეძლო გამოეწვეია ეჭვი, რომ იურისტები და ფსიქოლოგები არ გულისხმობენ ერთდაიმავე საგანს, როდესაც ისინი ლაპარაკობენ ნებისყოფაზე.

ამიტომ Kelsenს საჭიროდ მიაჩნია იმის გამოკვლევა, თუ როგორ ესმის თანამედროვე ფსიქოლოგიას ნებისყოფა. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ნებისყოფა ნიშნავს სწრაფვას, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული მიზნის წარმოდგენასთან; სწრაფვა ცნობიერი მოვლენაა; ყოველივე ნებისყოფა არის სწრაფვა, მაგრამ ყოველივე სწრაფვა ნებისყოფა არაა, რადგან სწრაფვას აქვს ისეთი სახეებიც, რომლებსაც თან არ ახლავს მიზნის წარმოდგენა. ის, რაც აქცევს სწრაფვას ნებისყოფად, არის მიზნის წარმოდგენა, ე. ი. წარმოდგენა იმ გარეგანი ან შინაგანი მდგომარეობისა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ან გააძლიეროს სიამოვნების გრძნობა და მოსპოს ან შეასუსტოს უსიამოვნება. ნებისყოფის აქტის გამოსავალი მომენტი დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა; ეს გრძნობა ყოველთვის მჭიდროდ დაკავშირებულია უსიამოვნების მოსპობის სწრაფვასთან; სწრაფვა ყოველთვის ვერ ჰპოულობს გზას თავის ბუნებრივ მიზნისაკენ; ამ გზას იგი ნახულობს მაშინ, როდესაც სწრაფვას ემატება იმ საშუალების წარმოდგენა, რომელსაც შეუძლია მოსპოს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. წარმოდგენილი საშუალება შეიძლება იქნეს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ხასიათისა. როდესაც წარმოდგენილი საშუალება გარეგანი ხასიათისაა, ე. ი. ან საკუთარი სხეულის მოძრაობა, ან და ამ მოძრაობასთან კაუზალურად დაკავშირებული რაიმე გარეგანი შედეგი, მაშინ ხდება მოტორული ნერვების აგზნება და მასთან დაკავშირებული კუნთების მოძრაობა; ამგვარად სრულდება წარმოდგენილი მოქმედება, რომელიც ან პირდაპირ იწვევს კმაყოფილების გრძნობას ანდა მიზეზობრივად იწვევს სხვა

სათანადო გარეგან შედეგებს. მოტორული ნერვების აგზნებით ნებისყოფის აქტი გათავებულია; შემდეგი მიზეზობრივი მსვლელობა ეკუთვნის გარეგან ქვეყანას; ამ მსვლელობის ფორმები და წარმოდგენილი შედეგების ნამდვილი შესრულება შინაგანი ნებისყოფის აქტისათვის უმნიშვნელოა. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილების საშუალება შინაგანი ხასიათისაა, ე. ი. როგორც საშუალება შინაგანი მდგომარეობაა წარმოდგენილი, მაშინ მოტორული ნერვების აგზნებას ადგილი არა აქვს: მაშინ ნებისყოფის აქტი მხოლოდ შინაგანია; ასეთია, მაგალითად, ის შემთხვევა, როცა ჩვენ ვცდილობთ მოვიგონოთ რომელიმე სახელი, ანდა როცა გვსურს მოვსპოთ რაიმე მისწრაფება.

ნებისყოფა დახასიათებული მნიშვნელობით ყოველთვის ცნობიერია. არაცნობიერი ნებისყოფა „contradictio in adjecto"ს წარმოადგენს.

ნებისყოფის საგანი არის ის, რაც წარმოდგენილია, როგორც სწრაფვის დაკმაყოფილების საშუალება. ის, რაც საერთოდ წარმოდგენილი არაა, არ შეიძლება გახდეს ნებისყოფის საგნად. ეს დებულება ფსიქოლოგიურად თავისთავად ცხადია, თუმცა იურიდიულ თეორიებში ჩვენ ვხვდებით სულ სხვა აზრს.

იურიდიული თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევას, როცა რომელიმე მდგომარეობა შეადგენს ნებისყოფის საგანს, მაგრამ დაკავშირებულია ისეთ შედეგებთან, რომლებიც წარმოდგენილი იყო, როგორც შესაძლო და არა როგორც აუცილებელი: ამ შემთხვევაში ნებისყოფის საგნად მიჩნეული უნდა იქნეს მხოლოდ ის შედეგი, რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც აუცილებელი.

ნებისყოფის საგანი აუცილებლად უნდა განვასხვაოთ იმისგან, რაც მიზეზობრივად გამოწვეულია ნებისყოფით; ამიტომ ნებისყოფის შინაარსის განსაზღვრა არა სწრაფვასთან დაკავშირებული წარმოდგენის, არამედ იმ ფაქტიური შედეგების მიხედვით, რომელიც კაუზალურად გამოიწვია ნებისყოფამ, ნიშნავს ნებისყოფის ფსიქოლოგიური ცნების დარღვევას[1].

ნებისყოფის შინაარსი, მაშასადამე, არის მხოლოდ ის წარმოდგენა, რომელიც მასთან დაკავშირებულია; ნებისყოფის შინაარსის დამოუკიდებლობა ფაქტიურ კაუზალურ პროცესებისაგან, Kelsenის აზრით, განსაკუთრებით ცხადია იმ შემთხვევებში, როდესაც მიჩნეული უნდა იქნეს, რომ ადამიანს რაიმე სურდა (als gewollt betrachtet werden muss), მიუხედავად იმისა, რომ სათანადო გარეგანი შედეგი მისი საკუთარი მოქმედებით გამოწვეული არ იყო; ასეთია, მაგალითად, მდგომარეობა უმოქმედობის დროს; მდგომარეობა, რომელიც არ იყო თავიდან აცილებული უმოქმედობის გამო, არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უმოქმედობის კაუზალური შედეგი. ამ შედეგის სურვილი სინამდვილეში არ არსებობს და არარაობა არ შეიძლება იქნეს რისამე მიზეზი; ეს ნეგატიური მიზეზის ცნება (Bewirken durch Unterlassen), Kelsenის აზრით, გამოწვეულია უმთავრესად ექსპლიკატიური და ნორმატიული თვალსაზრისის ერთმანეთში არევით; ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ნეგატიური მიზეზის ცნებას მომხრეები ჰყავს განსაკუთრებით იურისტებს შორის; მას იცავენ კრიმინალისტები, მაგალ.,

[1]) Ib. 117.

Feuerbachი, Merkelი, Baro, Buri, Bindingი და სხვ.; მაგრამ, ამბობს Kelsenი, ჩათვლის დამყარება კაუზალურ პრინციპზე დიდი შეცდომაა, რომელსაც შედეგად ყალბი კონსტრუქციები აქვს.

ამგვარად, ნებისყოფის ცნება ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ცნობიერი შინაგანი აქტია, რომელიც დაკავშირებულია რომელიმე მიზნის წარმოდგენასთან; ამავე დროს იგი, თავის შინაარსის მხრივ, კაუზალურად გამოწვეულ გარეგან შედეგებისაგან დამოუკიდებელია.

ეხლა საჭიროა იმის გამორკვევა, ეთანხმება ზემოთ დახასიათებული ნებისყოფის ცნება ნებისყოფის იმ ცნებას, რომელიც შემუშავებულია იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში, თუ არა? შეთანხმებულია ერთმანეთთან, თუ არა ფსიქოლოგიური და იურიდიული ნებისყოფის ცნებები და, თუ არაა, რაში მდგომარეობს მათი განსხვავება? ამის გამოსარკვევად Kelsenი მიმართავს სამოქალაქო და სისხლის სამართალს.

ნებისყოფის ფსიქოლოგიური ცნებისაგან ნებისყოფა იურიდიული მნიშვნელობით განირჩევა იმით, რომ უკანასკნელის საგნად არასოდეს არაა მიჩნეული წარმოდგენა, არამედ ყოველთვის გარეგანი ფაქტები. ამის ახსნა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ იურისპრუდენციისათვის მნიშვნელობა აქვს გარეგანი ფაქტების დაკავშირებას სუბიექტთან; იურისტი აყენებს საკითხს: ჰსურდა რომელიმე გარეგანი ფაქტიური შემადგენლობა (äusserer Tatbestand) სუბიექტს, თუ არა? თუკი ასეთი გარეგანი შემადგენლობა არაა, იურისტს არ შეუძლია გამოიყენოს თავისი ნებისყოფის ცნება, რადგან იურისტის მიზანია, დაამყაროს სპეციფიური კავშირი სუბიექტსა და გარეგან ფაქტებს შორის. იურისტს სუბიექტი ესმის, როგორც „პიროვნება“ (Person) და არა, როგორც „ადამიანი“. რამდენადაც ისმება საკითხი მხოლოდ იმ პროცესის შესახებ, რომელიც ხდება ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ფაქტებისაგან დამოუკიდებლად, ეს საკითხი შედის ფსიქოლოგიის სფეროში, რადგან ადამიანი ფსიქოლოგიის საგანია; იურისპუდენციას კი მხოლოდ „პირებთან“ (mit Personen) აქვს საქმე [1].

მაგრამ ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ნებისყოფის გარეგანი ფაქტები, როგორც ფსიქიური აქტისა შინაარსს არ შეადგენენ; გარეგანი ფაქტები მხოლოდ გამოწვეულია ნებისყოფით და მასთან დაკავშირებული სხეულის მოძრაობით; ისინი ამ მოძრაობის შედეგია და ეკუთვნიან არა ნებისყოფას, არამედ გარეგან ქვეყანას; ობიექტური კაუზალური მოქმედება შინაგანი ნებისყოფის აქტის შეფასებისათვის უმნიშვნელოა. უკვე ამ მხრივ, ე. ი. ნებისყოფის შინაარსის მხრივ, არსებობს ძირითადი განსხვავება ფსიქოლოგიურ და იურიდიულ თვალსაზრისს შორის. უფრო ცხადი იქნება ეს განსხვავება, როდესაც გავიცნობთ ნებისყოფის ცნებას იმ სახით, რა სახითაც იგი გამოყენებულია სამართლის სხვადასხვა სპეციალ დარგებში.

სამოქალაქო სამართალში ნებისყოფის ცნებას სპეციფიური მნიშვნელობით ჩვენ ვხვდებით იურიდიული გარიგების მოძღვრებაში (in der Lehre vom Rechtsgeschäft). საერთოდ მიღებული შეხედულებით იურიდიული გარიგება ნებისყოფის

[1]) Ib. 121, 122.

განცხადებაა (Willenserklärung). Windscheidის სიტყვით, იურიდიულ გარიგებაში ცხადდება იმის სურვილი, რომ უნდა მოხდეს რომელიმე იურიდიული შედეგი და სამართლის წყობილება ხელს არ უშლის ამ შედეგის დადგომას სწორედ იმიტომ, რომ იგი გარიგების სუბიექტს ჰსურდა. ნებისყოფის მნიშვნელობა უფრო მკვეთრად გამოთქმულია ნეგატიურ ფორმულაში: იურიდიულ გარიგებას არა აქვს ძალა, ე. ი. განცხადება არ იწვევს გათვალისწინებულ შედეგს, უკეთუ ის, რაც ამ განცხადებაში მიჩნეულია, როგორც სურვილის საგანი, სინამდვილეში განმცხადებელს არ ჰსურდა. Windscheidი მის მიერ წამოყენებული ნებისყოფის ცნებას ფსიქოლოგიურ ცნებისაგან არსებითად არ ანსხვავებს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ამბობს, რომ ნებისყოფა, როგორც შინაგანი სულიერი ფაქტი, სამართლისათვის უმნიშვნელოა; იგი უმნიშვნელოა სამართლისათვის არა მარტო იმიტომ, რომ სამართალი არ იცნობს მას, არამედ იმიტომაც, რომ მისი ბუნება ვერ აკმაყოფილებს სამართალს. მაგრამ ფსიქოლოგიურად ნებისყოფა წარმოსადგენია მხოლოდ, როგორც სულიერი ფაქტი; ერთად-ერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიყვანოთ Windscheidის სიტყვებიდან, არის ის, რომ იურისტების „ნებისყოფა" თავისი მეთოდოლოგიური აგებულებით სულ სხვაა, ვიდრე ის შინაგანი აქტი, რომელიც ფსიქოლოგიურად ნებისყოფას წარმოადგენს. Windscheidს ეს დასკვნა არ გამოჰყავს; იგი ივიწყებს ფსიქოლოგიური და იურიდიული მეთოდების განსხვავებას და მიდის ისეთ შედეგამდე, რომელიც მცდარია როგორც ფსიქოლოგიური, ისე იურიდიული თვალსაზრისით; Windscheidი ამტკიცებს, რომ ნებისყოფის მოძრაობა მხოლოდ შინაგანი პროცესის სახით ჯერ კიდევ გათავებული არაა; ასეთ მოძრაობას სამართალი არ უკავშირებს თავის შედეგებს; სამართალი უკავშირებს შედეგებს მხოლოდ იმ ნებისყოფას, რომელიც პიროვნებიდან გარეგან ქვეყანაშია გამოსული. მაგრამ, შენიშნავს Kelsenი, ნებისყოფას, როგორც წმინდა შინაგან მოვლენას, არა აქვს მატერიალური გამოხატულება; შინაარსის მხრივ ნებისყოფა სულ სხვაა, ვიდრე ის, რაც გამოწვეულია მისი საშუალებით. თუკი სამართალი არ უკავშირებს შედეგებს შინაგან ნებისყოფის მოძრაობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი სამართლისათვის მიუწვდომელია, მაშინ ცხადია, რომ სამართალი საერთოდ არავითარ კავშირს ნებისყოფასთან ფსიქოლოგიური მნიშვნელობით არ ამყარებს. სხვა ადგილას Windscheidი ლაპარაკობს: „როდესაც ვინმე ამბობს: „მე მსურს", უნდა მივიღოთ, რომ მას ნამდვილად ჰსურს, სანამ ობიექტური ფაქტების მიხედვით არ იქნება დამტკიცებული, რომ მას ეს არ ჰსურს". ეს სიტყვები ნათელჰყოფენ იმ ფაქტს, რომ ცივილისტურ დოგმას ნებისყოფა ესმის სულ სხვანაირად, ვიდრე ეს მიღებულია ფსიქოლოგიაში, რადგან, როგორ შეიძლება რეალური ფაქტის არსებობის მტკიცება პრეზუმპციის შემწეობით, რომელიც იურიდიული მეთოდის სპეციფიურ საშუალებას წარმოადგენს? ნამდვილად არის ნებისყოფის აქტი, თუ არა, ამის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ ფსიქოლოგიური მეთოდის საშუალებით—თვითდაკვირვების გზით. ის აზრი, რომ ფსიქიური მოვლენების არსებობის მტკიცება შესაძლოა პრეზუმპციის ან ფიქციის შემწეობით, დაუშვებელია. სწორედ ეს პრეზუმპციური ან ფიქტიური ხასიათი, რომელიც აქვს იურიდიულ „ნებისყოფას", მიგვითითებს იმაზე, რომ ამ ნებისყოფის „სინამდვილე" უნდა ვეძიოთ ფსიქოლოგიის გარეთ[1].

[1]) Ibid. 125.

მაგრამ Kelsenი არ კმაყოფილდება ამ საერთო კრიტიკით; იგი განიხილავს აგრეთვე სამოქალაქო სამართლის უფრო სპეციალ საკითხებს და ამ საკითხების გამოკვლევით ცდილობს დაამტკიცოს იურიდიული „ნებისყოფის" თავისებურობა. იგი, მაგალითად, იკვლევს შემდეგ საკითხს: იურიდიული გარიგების დროს, მხარეების ნებისყოფა ნამდვილადაა მიმართული იმ შედეგებზე, რომლებსაც სამართალი უკავშირებს მხარეების განცხადებას, თუ არა? მიღებული დოგმა ამ საკითხზე იძლევა დადებით პასუხს. Kelsenის შეხედულებით კი ეს საეჭვოა, რადგან მხარეები ხშირად სრულიად არ იცნობენ სამართლის დადგენილებებს, რომლებიც ზოგჯერ ძლიერ რთულია. სამართლის უცოდინარ მხარეებს მიზნად აქვთ ფაქტიური და არა იურიდიული შედეგები, მაგალითად, ყიდვა-გაყიდვის დროს მათ ჰსურთ რაიმე სიკეთის მიღება და არა უფლების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა. მხოლოდ სამართლის მცოდნე მხარეებს შეუძლიათ იქონიონ ფაქტიური შედეგის წარმოდგენასთან ერთად იურიდიული შედეგების წარმოდგენაც.

როდესაც ვინმე ახდენს სიტყვიერ ან წერილობით განცხადებას, რომლითაც განსაზღვრულ პირობებში კისრულობს განსაზღვრული ყოფაქცევის მოვალეობას, ფსიქოლოგიურად ამ შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ ორი სხვადასხვა ნებისყოფა: 1. ნებისყოფა, რომლის საგანია სიტყვის თქმა, დაწერა ან სხვა რაიმე მოქმედება; 2. ნებისყოფა, რომლის მიზანია აღნიშნული მოქმედების ან უმოქმედობის მომავალში შესრულება. იურიდიული ნებისყოფის დოგმას უნდა აინტერესებდეს ეს მეორე ნებისყოფა, თუკი მის მიერ მიღებული ნებისყოფის ცნება ნამდვილ ფსიქიურ ფაქტს გამოხატავს. მაგრამ ეს ასე არაა, რადგან კიდეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ შინაგანი ნებისყოფის პროცესი ობიექტურად არ ემორჩილება არავითარ კონტროლს, არც ერთი იურისტი ნებისყოფის ნამდვილ არსებობას იურიდიული გარიგების სავალდებულობის პირობად არ ჩათვლის. რომ დავტოვოთ უყურადღებოთ ანორმალური შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, იძულება, სულით ავადმყოფობა და სხვა და დაუშვათ, რომ განცხადება (Erklärung) მოხდა თავისუფლად და სრულიად ცნობიერად, მაინც შესაძლოა, რომ სავალდებულო ყოფაქცევის წარმოდგენა არ შეადგენს მასზე მიმართულ ნებისყოფის შინაარსს. შესაძლოა კიდეც, რომ მხარეს სინამდვილეში ჰსურს იმის წინააღმდეგი, რასაც იგი აცხადებს; მაგალითად ერთმა მხარემ შეპირდა მეორეს ფულის გადახდა, სინამდვილეში კი მას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, არ გადაიხადოს ეს ფული. იურისტებს შორის გავრცელებულია აზრი, რომ ასეთი reservatio mentalis დადებულ იურიდიულ გარიგებას ძალას არ აკარგვინებს. ეს აზრი ნათლად ამტკიცებს, რომ ნებისყოფის დოგმა ფსიქოლოგიურ ნებისყოფაზე დამყარებული არაა, რომ სწრაფვის და მასთან დაკავშირებულ სავალდებულო ყოფაქცევის წარმოდგენის ნამდვილი არსებობა იურიდიული გარიგების სავალდებულობის საფუძველს არ შეადგენს. პრინციპი, რომლის ძალით reservatio mentalisს იურიდიული გარიგების დროს არ ექცევა ყურადღება, ნებისყოფის დოგმის დარღვევად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი ამ დოგმის მიერ წამოყენებულ ნებისყოფის ცნებას გავიგებდით ფსიქოლოგიური მნიშვნელობით.

მოყვანილ შემთხვევას ენათესავება ის შემთხვევა, როდესაც ერთ მხარეს შეგნებული აქვს, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს რომელიმე მოქმედება, არ ჰსურს ეს მოქმედება და, მიუხედავად ამისა, იგი მაინც პირდება მის შესრულებას; ზოგჯერ ადამიანმა გარკვეულად არ იცის, შეუძლია მას ეს მოქმედება, თუ არა და ამიტომ მისი სურვილი ევენტუალური ხასიათისაა, განცხადება კი აბსოლუტურია. ზოგჯერ განცხადება ხდება რაიმე სხვა მიზნის მისაღწევად, განცხადების შინაარსის შესახებ კი ჯერ-ჯერობით არავითარი სურვილი არ არსებობს, ე. ი. განცხადების შინაარსი ადამიანისათვის სულერთია. ყველა მოყვანილ შემთხვევაში ნებისყოფის მიღება ფსიქოლოგიური მნიშვნელობით დაუშვებელია. მიუხედავად ამისა იურისტები აქაც ნებისყოფას სცნობენ[1].

მაგრამ სამოქალაქო სამართალი იცნობს სხვა შემთხვევებსაც, სადაც *შეცდომის ან იძულების* გამო იურიდიულ გარიგებას ეკარგება ძალა; ეს შემთხვევები პირველი შეხედვით თითქოს ადასტურებენ იმ აზრს, რომ აქ ნებისყოფა გაგებულია ფსიქოლოგიური მნიშვნელობით. Kelsenის აზრით, აქაც მტკიცდება მის მიერ წამოყენებული დებულება, რომ იურიდიული „ნებისყოფა“ არაა იმავე შინაარსის, რაც ფსიქოლოგიური.

გაბატონებული თეორიის მიხედვით, ამბობს Kelsenი, შეცდომას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც განმცხადებელს არა აქვს იმის შეგნება, რომ მომხდარ განცხადებაში, როგორც სურვილის საგანი აღნიშნულია ის, რაც მას არ ჰსურს. („wenn der Erklärende kein Bewusstsein davon hat, dass in der abgegebenen Erklärung etwas als gewollt bezeichnet ist, was er nicht will“) სამოქალაქო სამართლის თეორიებში, რომლებიც იკვლევენ შეცდომის ბუნებას, Kelsenს ყველაზე უფრო საყურადღებოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ შეცდომის ყველა შემთხვევებს არ მიეწერება თანასწორი მნიშვნელობა; გაბატონებული შეხედულება ჰპოულობს შეცდომის სხვადასხვა სახეებს შორის განსხვავებას, რომელიც დამყარებულია არა ფსიქოლოგიურ, არამედ ეთიკო-პოლიტიკურ მოსაზრებაზე. იურიდიული გარიგება მიჩნეულია ბათილად იმისდამიხედვით, იყო შეცდომა პატივსადები (entschuldbarer), თუ არა. მაგრამ ცხადია, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შეცდომას, როგორიც არ უნდა იყოს იგი—პატივსადები, თუ არა—აქვს ერთიდაიგივე ბუნება: ორივე შემთხვევაში ნამდვილი სურვილი არ არსებობს; მიუხედავად ამისა, ერთ შემთხვევაში შეცდომას აქვს იურიდიული შედეგები, ე. ი. მიღებულია ნებისყოფის არსებობა, მეორე შემთხვევაში კი არა. მაშინაც კი, როდესაც შეცდომას აქვს პატივსადები ხასიათი, იურისტისათვის, შეუძლებელია ნამდვილი ნებისყოფის არსებობის დამტკიცება; ის, რასაც იურისტი ღებულობს მხედველობაში, როგორც „შეცდომას“, წარმოადგენს გარეგან მომენტს, რომელიც უნდა შეიცნოს მოსამართლემ და რომელსაც შეუძლია დაამყაროს როგორც ნებისყოფის არსებობის, ისე მისი უარყოფის პრეზუმპცია.

ამავე შედეგებს იძლევა იმ მნიშვნელობის გამორკვევა, რომელიც იურიდიული გარიგებისათვის აქვს იძულებას; თუ ვინმემ ფსიქიური იძულების ზეგავლენით მოაწერა ხელი ვალის ბარათზე, მას აქვს ხელის მოწერის სურვილი,

[1] Ibid. 128.

მაგრამ ვალის ბარათში აღნიშნული თანხის გადახდის სურვილი მას შეიძლება არ ჰქონდეს; სინამდვილეში შესაძლოა, რომ მას ეს სურვილი აქვს; მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით ეს სულერთია, რადგან თანამედროვე შეხედულებით იძულების ზეგავლენით დადებული გარიგება არ იწვევს იურიდიულ შედეგებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ გზით დაკისრებული მოქმედების შესრულების სურვილი ნამდვილად არსებობდა. წინააღმდეგ თანამედროვე შეხედულებისა, რომის სამართალი იცნობდა პრინციპს: coactus, tamen voluit და ამ პრინციპის მიხედვით იძულების შემთხვევაშიც ღებულობდა ვალდებულების არსებობას; მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ რომაელებს ჰქონდათ მცდარი და თანამედროვე შემეცნებისაგან განსხვავებული წარმოდგენა იმ ფსიქოლოგიური პროცესის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს იძულების დროს; როგორც რომაული, ისე თანამედროვე პრინციპები არაფერს არ ამბობენ იძულების ფსიქიური ბუნების შესახებ; განსხვავება მათ შორის ნებისყოფის საკითხში იძულების დროს მხოლოდ იურიდიული კონსტრუქციის განსხვავებაზეა დამყარებული[1].

ამგვარად, სამოქალაქო სამართალში ხშირია შემთხვევა, როდესაც იურიდიულ გარიგებას აქვს სავალდებულო ძალა და ამავე დროს სათანადო ნებისყოფა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით არ არსებობს; აქედან Kelsenს გამოჰყავს დასკვნა, რომ ნებისყოფის დოგმას სამოქალაქო სამართლის დარგში არა აქვს ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, რომ ნებისყოფა, რომელზედაც ლაპარაკობს ეს დოგმა, არ არის ის ნებისყოფა, რომელსაც იკვლევს ფსიქოლოგია; იგი არ არის ფსიქოლოგიური ფაქტი, სულიერი ცხოვრების ნამდვილი პროცესი, არამედ სპეციალური იურიდიული აზროვნების ნაყოფი, ე. ი. იურიდიული კონსტრუქცია[2].

უფრო მკაფიოდ, ვიდრე სამოქალაქო სამართალში, იურიდიული „ნებისყოფის" თავისებური მნიშვნელობა სისხლის სამართლის დარგში გამოიხატება. ამ დარგში მიღებულია დოგმა, რომლის მიხედვით დამნაშავეს ჰსურდა ის გარეგანი ფაქტები, რომლებსაც სამართალი უკავშირებს სასჯელს; უდანაშაულოდ სასჯელი არავის დაედება. ამიტომ ყოველი დანაშაულობა არის ნებისყოფის დანაშაულობა (Willensschuld). ეს აზრი მიღებულია, როგორც საერთო პრინციპი, რომელსაც მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში აქვს გამონაკლისი. Kelsenი იკვლევს, წარმოადგენს სინამდვილეში ნებისყოფა დანაშაულობის საფუძველს, თუ არა. მას მოჰყავს დანაშაულობის ფორმების ის დანჯგუფება, რომელსაც იძლევა Löfflerი. Löfflerი სცნობს დანაშაულობის სამი ფორმის არსებობას: განზრახვას (Absicht), გათვალისწინებასა (Wissentlichkeit) და გაუფრთხილებლობას (Fahrlässigkeit). მხოლოდ პირველ ფორმას ახასიათებს ნებისყოფა, ე. ი. შედეგის სურვილი; მეორეს კი ეს ნებისყოფითი მომენტი არა აქვს; მას ახასიათებს მხოლოდ შედეგის ცოდნა. რაც შეეხება მესამე ფორმას მასში არ შედის არც ნებისყოფა და არც შედეგის ცოდნა, მაგრამ მას ახასიათებს ამ შედეგის გათვალისწინების შესაძლებლობა და ვალდებულება; Löfflerის სისტემის მიხედვით, მაშასადამე, ნებისყოფის სფერო განსაზღვრულია მხოლოდ პირველი ფორმით—განზრა-

---

1) Ib. 131.

2) Ib. 132.

ხვით. დანაშაულობის პირველი ორი ფორმა (Absicht, Wissentlichkeit), რასაკვირველია, გულისხმობენ ფსიქიურ ფაქტებს, ე. ი. ნებისყოფასა და წარმოდგენას; მაგრამ მესამე ფორმა – გაუფრთხილებლობა (Fahrlässigkeit) — განსხვავდება იმით, რომ მასში ვერ ვნახულობთ ნებისყოფის ან წარმოდგენის მომენტს; ფსიქოლოგიურად გაუფრთხილებლობის დახასიათება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დანაშაულობის ფორმაა; როგორია მისი ბუნება? Kelsenის აზრით, გაუფრთხილებლობას აქვს იურიდიულ-ეთიკური და არა ფსიქოლოგიური ბუნება. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს გაუფრთხილებლობის ფორმულიდან, რომელიც ამბობს, რომ შედეგის გათვალისწინება და თავიდან აცილება შესაძლო და ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო იყო. მთავარი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვებს: „სავალდებულო იყო." ამ სიტყვებშია მოთავსებული დანაშაულობის მომენტი. დანაშაულობის ცნების ნორმატიული ხასიათი აქ გარკვეულადაა გამოსახული: შედეგის გათვალისწინებისა და თავიდან აცილების მომენტი მნიშვნელოვანი არაა; იგი მხოლოდ ინდეტერმინისტული შეხედულების ნაყოფია; ის ფაქტი, რომ შედეგი არ იყო გათვალისწინებული და თავიდან აცილებული, საკმაოდ ამტკიცებს, რომ გათვალისწინება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. Kelsenისათვის სრულიად უდავოა, რომ გაუფრთხილებლობის დროს ფსიქიურ აქტსა და სოციალურად მავნე შედეგს შორის იურიდიულად რელევანტური დამოკიდებულება არ არსებობს. რა თქმა უნდა, ამბობს იგი, გაუფრთხილებლობის დროსაც აქვს ადგილი ფსიქიურ აქტებს—ნებისყოფას, წარმოდგენას, გრძნობას, მაგრამ ყველა ამ აქტებს არავითარი კავშირი არა აქვთ დასასჯელ შედეგთან.

რადგან დანაშაულობის ერთერთ ფორმას—გაუფრთხილებლობას—აქვს წმინდა ნორმატიული ხასიათი, დანაშაულობის ცნების ფსიქოლოგიური გაგება უარყოფილი უნდა იქნეს. მაგრამ დანაშაულობის ცნება მეთოდოლოგიურად ერთიანია. ამიტომ ის, რაც მართალია გაუფრთხილებლობის შესახებ, მართალი უნდა იქნეს აგრეთვე დანაშაულობის სხვა ფორმების—განზრახვისა და გათვალისწინების შესახებაც. თუ ჩვენ მივიღებთ, ამბობს Kelsenი, რომ მსჯელობა, რომელშიაც გამოთქმულია დანაშაულობა, არასოდეს არ გამოიყვანება კაუზალური მეთოდის საშუალებით, რომელიც ყოველთვის მიმართულია მხოლოდ ფაქტების ახსნაზე; თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ზოოლოგი ან ფსიქოლოგი თავისი სპეციალური შემეცნების მეთოდებით ვერასოდეს ვერ შეადგენს დანაშაულობის ცნებას; თუკი დამტკიცებულად ჩავთვლით, რომ დანაშაულობაზე ლაპარაკი შესაძლოა მხოლოდ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დანაშაულობის ბუნებას შეადგენს ნორმის დარღვევა ისე, როგორც დამსახურების ბუნებას—ნორმის შესრულება, მაშინ პარადოქსად არ მოგვეჩვენება ის აზრი, რომ დანაშაულობის ცნების ნორმატიულ ბუნებასთან მეთოდოლოგიურად შეურიგებელია შეხედულება, რომელიც მის შინაარსს ეძებს ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი, ე. ი. ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ ი მეთოდის საშუალებით. მსჯელობა, რომელიც პიროვნებას მიაწერს დანაშაულობას რომელიმე გარეგან მდგომარეობაში, არაფერს არ გამოთქვამს ადამიანის ფსიქიური განწყობილების შესახებ. იგი გამოთქვამს მხოლოდ იმას, რომ ნორმა უკრძალავს პიროვნებას ამ გარეგან მდგომარეობას, რომ მათ შორის არსებობს ნორმის სუბიექტისა და ნორმის ობიექტის დამოკიდებულება.

მეთოდოლოგიურად უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმის ნათლად წარმოდგენას, რომ იმიტომ კი არაა ვინმე დამნაშავე, რომ მას ჰსურდა ანდა მან გაითვალისწინა რამე, არამედ იმიტომ, რომ იგი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იყო არ ჩაედინა ეს ქმედობა, ანდა შეეჩერებინა მოსალოდნელი შედეგი. თუმცა ეს შეხედულება არსებითად ეწინააღმდეგება სისხლის სამართალში გაბატონებულ თეორიას, მაგრამ Kelsenს მაინც უდავოდ მიაჩნია, რომ დანაშაულობის მომენტი არასოდეს არ მდებარეობს ნებისყოფაში, წარმოდგენაში ანდა სხვა რაიმე ფსიქიურ აქტში. ამის მიხედვით სრულიად გასაგებია ის დებულება, რომელსაც ვხვდებით მის შრომაში: დანაშაულობა არსებობს იმიტომ და იმდენად, რამდენადაც არსებობს სასჯელი („weil und soferne eine Strafe, darum und insoferne eine Schuld“)[1]. ეს დებულება სავსებით ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომელიც საერთოდ მიღებულია თანამედროვე სისხლის სამართალში და რომლის მიხედვით სასჯელი არსებობს დანაშაულობის გამო. Kelsenმა გადააბრუნა ეს დებულება; მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს იურიდიულ ნორმას, ფსიქიური პროცესი კი, რომელზედაც სისხლის სამართლის დოგმა ჩვეულებრივად ამყარებს დანაშაულობას, მისი აზრით, სამართლის მეცნიერების საგანს არ შეადგენს.

როდესაც იურიდიული თეორია ცდილობს დაუკავშიროს დანაშაულობა ადამიანის შინაგან განწყობილებას, ე. ი. როდესაც იგი წარმოიდგენს დანაშაულობას, როგორც ფსიქიურ მოვლენას, იგი ივიწყებს იმ ფაქტს, რომ სუბიექტი, რომელსაც იგი გულისხმობს, ადამიანი კი არაა, არამედ ეთიკო-იურიდიული მთლიანობაა, ე. ი. პიროვნებაა (Person); სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, ე. ი. დანაშაულობის სუბიექტი არის ნორმატიული კონსტრუქცია; იგი წარმოადგენს უფლებისა და მოვალეობის სუბიექტს, რომელიც, როგორც ასეთი, არ შეიძლება იქნეს ფსიქიური პროცესების მატარებელი ადამიანი; მხოლოდ ადამიანს შეუძლია ფსიქიურად „სურვილი“ ან „წარმოდგენა“; აქედან ცხადია, რომ თუ დანაშაულობის სუბიექტი პიროვნებაა და არა ადამიანი, დანაშაულობის შინარსს სურვილი ან წარმოდგენა არ შეადგენს. მსჯელობა, რომ ვინმე დამნაშავეა რაიმე გარეგან ქმედებაში, ნიშნავს იმას, რომ მას ჩაეთვლება ეს გარეგანი შედეგი; ეთიკო-იურიდიულ დისციპლინებს ახასიათებს ტენდენცია, რომლის ძალით ჩათვლა ყოველთვის დაყვანილი უნდა იქნეს „ნებისყოფაზე“; სისხლის სამართლის დარგში ამ ტენდენციამ გამოიწვია შეხედულება, რომელიც ყოველივე დანაშაულს „ნებისყოფის“ დანაშაულობად აცხადებს. იმავე მოვლენას აქვს ადგილი სამოქალაქო სამართალშიც: აქაც იურიდიული გარიგება მიჩნეულია, როგორც ნებისყოფის საგანი და ამიტომაც გარიგება ჩაეთვლება მხარეებს; ორივე დარგში, მაშასადამე, ჩათვლა (Zurechnung) ნებისყოფაზეა დამყარებული [2].

ნებისყოფის ცნებას იურისპრუდენცია ჰქმნის იმ მოსაზრებით, რომ მან უნდა დაუკავშიროს გარეგანი ფაქტები სუბიექტებს; ეს სუბიექტებისა და გარეგანი ფაქტების დაკავშირება, რომელიც ხდება სამართლის ნორმების საფუძველზე, არის ჩათვლა; ნებისყოფა ეთიკო-იურიდიული მნიშვნელობით და ჩათვლა

1) Ibid. 142.
2) Ibid. 143.

კორრელატიური ცნებებია; ჩათვლა ჰქმნის ელემენტებს შორის კავშირს, რომელიც მიზეზობრივ კავშირისაგან სრულიად დამოუკიდებელია, რაც ნიშნავს იმას, რომ სუბიექტს პასუხისმგებლობა დაედება მიუხედავად იმისა, გამოიწვია მან შედეგი თავისი მოქმედებით, თუ არა. ჩათვლა ხდება გარედან; ამიტომ თავდაპირველად იგი ეხება ადამიანის გარეგან ყოფაქცევას: მოქმედებას ან უმოქმედობას; მაგრამ ჩათვლის პროცესი ამით არ თავდება; პასუხისმგებლობა ეხება არა ცალკე მოქმედებას ან უმოქმედობას, არამედ მთელ პიროვნებას. მოქმედება, რომელიც იწვევს გარეგან შედეგს ანდა უმოქმედობას, წარმოადგენენ ჩათვლისათვის მხოლოდ გ ა ს ა ს ვ ლ ე ლ პ უ ნ ქ ტ ს (Sind für die Zurechnung nur Durchgangspunkte). ჩათვლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედება ან უმოქმედობა ითვლება იმავედ, რაც პიროვნება; Kelsenს ბუნებრივად მიაჩნია ის, რომ დისციპლინები, რომლებიც აწარმოებენ ამ ჩათვლას, გრძნობენ საჭიროებას, რომ ჩათვლის სუბიექტი, პიროვნება, ე. ი. ეთიკურ-იურიდიული მთლიანობა, დახასიათებული იქნეს სხვანაირად, ვიდრე ზოოლოგიურ-ფსიქოლოგიური მთლიანობა, რომელსაც წარმოადგენს „ადამიანი". ჩათვლა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ეძებს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში თავის ს ა ბ ო ლ ო ო პ უ ნ ქ ტ ს (Endpunkt); სწორედ ეს ჩათვლის საბოლოო პუნქტი, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ადამიანის შინაგან სფეროში არსებული, არის ის, რასაც ეთიკა და იურისპრუდენცია უწოდებენ „ნებისყოფას" [1]. ცხადია, რომ ამ მნიშვნელობით „ნებისყოფა" არის მხოლოდ ნორმატიული კონსტრუქცია და არა ფსიქიური ფაქტი.

„ნებისყოფის" ლოკალიზაცია ადამიანის სულიერ სფეროში აუცილებელი არაა: „პიროვნება" ყოველთვის არ ეთანაბრება ადამიანს. თვით ნორმისაგან არის დამოკიდებული, მიეწერება პიროვნების ან ნებისყოფის თვისება ცალკე ადამიანს, თუ არა; შესაძლოა, რომ ნებისყოფის თვისება მიკუთვნილი ჰქონდეს სხვა რამეს, ვიდრე ადამიანს. ამის დასამტკიცებლად საკმარისია იმ ფაქტების მოგონება, სადაც ადამიანი არაა მიჩნეული, როგორც უფლება-მოვალეობის სუბიექტი; ასეთია მაგალითად, მონების მდგომარეობა ძველ სამართალში. მეორეს მხრივ, უფლება-მოვალეობის სუბიექტად მიჩნეულია არა ადამიანი, მაგალითად, ღვთაება; ამ მნიშვნელობით ლაპარაკობენ ღვთაების პიროვნებაზე, ღვთაების „ნებისყოფაზე", რომელიც, უეჭველია, ნორმატიული მსოფლმხედველობის მიერ შექმნილ კონსტრუქციას წარმოადგენს. ღვთაებრივი „ნებისყოფა" არის ჩათვლის საბოლოო პუნქტი (Zurechnungsendpunkt) მთელი ა რ ს ი ს ა თ ვ ი ს. ჩვეულებრივად, რასაკვირველია, როგორც სამართალში, ისე ეთიკაში, პიროვნებას შეადგენს ადამიანი და ამგვარად ჩათვლის პუნქტი, რომელსაც ეწოდება „ნებისყოფა", მოთავსებულია ადამიანის შინაგან სფეროში.

მოყვანილ აზრს Kelsenის მოძღვრებაში უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. აქ Kelsenი ნათლად ახასიათებს თავის ძირითად დებულებას: ნებისყოფის ცნება ეთიკაში და იურისპრუდენციაში სულ სხვაა, ვიდრე ფსიქოლოგიაში. ფსიქოლოგია ამ ტერმინით გულისხმობს ადამიანის სულიერი ცხოვრების ე რ თ-ე რ თ განსაზღვრულ სახეს, აზროვნებისა და გრძნობის გვერდით. ეთიკა და იურისპრუდენცია

[1]) Ib. 145.

კი გულისხმობენ მთლიანობას (Gesamt.-Einheit). ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს უ ნ ა რ ი ა ნ ო- ბ ა და ჩ ა თ ვ ლ ი ს უ ნ ა რ ი ა ნ ო ბ ა (Zurechnungsfähigkeit) ერთიდაიგივეა. ფსიქოლოგიის ნებისყოფა არის ფაქტი, რომელიც ირკვევა ემპირიულად, თვით-დაკვირვების გზით; ამიტომ იგი ეკუთვნის ა რ ს ს; ხოლო ეთიკისა და იურისპრუდენციის ნებისყოფა არის ნორმის, ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს საფუძველზე წარმოშობილი კონსტრუქცია, რომელსაც ადამიანის რეალურ სულიერ ცხოვრებაში არავითარი მოვლენა არ ეთანაბრება [1]. ამ აზრს Kelsenი ხშირად და ხაზგასმით იმეორებს, მაგრამ თვითონ Kelsenი აღნიშნავს, რომ შეხედულებას, რომელიც ასხვაევებს ნებისყოფის ფსიქოლოგიურ და იურიდიულ მნიშვნელობას, სხვა მეცნიერნიც იზიარებენ. მას მოჰყავს Sigwartის მაგალითი, რომელიც გარკვეულად ჰყოფს ერთმანეთისაგან ფსიქოლოგიურ და იურიდიულ თვალსაზრისს.

დახასიათებული დებულებების თვალსაზრისით Kelsenი განიხილავს ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას. ეთიკურ-იურიდიული ნებისყოფის ცნების, როგორც ჩათვლის მიზნით შექმნილი კონსტრუქციის ბუნება, ამბობს იგი, განსაკუთრებული სიცხადით ირკვევა მაშინ, როდესაც ჩვენ განვიხილავთ ნებისყოფის თავისუფლების პრობლემას და გავითვალისწინებთ იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს შორის. ეს წინააღმდეგობა შეურიგებელი იქნებოდა, ორივე შეხედულების საგანი ერთი და იგივე რომ ყოფილიყო. თუ გავიგეთ ნებისყოფა, როგორც ფსიქიური მოვლენა, მაშინ, რასაკვირველია ფსიქოლოგიის სფეროში ვიმყოფებით; ფსიქოლოგია კი შეადგენს ა ხ ს ნ ე ლ ბუნებისმეტყველების (erklärenden Naturwissenschaft) ნაწილს, რომლის მეთოდი ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ ი ა; ამიტომ ფსიქოლოგიის თვალსაზრისით დასაშვებია მხოლოდ დეტერმინიზმი. ფსიქოლოგიას არ შეუძლია მიიღოს ნებისყოფის თავისუფლება, რადგან ამ შემთხვევაში იგი უარჰყოფს თავის საკუთარ საფუძველს—კაუზალობის პრინციპს; კაუზალობის პრინციპი ვერ დაუშვებს თავისუფალ, უმიზეზო მოძრაობის არსებობას. მხოლოდ სიტყვებით თამაშია, როდესაც ღებულობენ ნებისყოფის თავისუფლებას და ამავე დროს აღიარებენ ნებისყოფის მიზეზობრივ დამოკიდებულებას, იმის შეუგნებლად, რომ საგანი ამ ორ შემთხვევაში სულ სხვადასხვაა. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიის ნებისყოფა ისე, როგორც ყველა დანარჩენი ფსიქიური აქტები, მიზეზობრივად განსაზღვრულია, ეთიკა და იურისპრუდენცია მაინც ნებისყოფის თავისუფლების ცნებას ეყრდნობიან. ყოველივე ცდა ეთიკისა და იურისპრუდენციის აგებისა დეტერმინისტულ საფუძველზე ვერ აღწევს თავის მიზანს; ეთიკა და სამართლის მეცნიერება შესაძლოა მხოლოდ ნებისყოფის თავისუფლების დაშვების შემთხვევაში; ფსიქოლოგიის შედეგები, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ ეთიკისა და იურისპრუდენციის დებულებანი ერთმანეთს ლოღიკურად უარჰყოფენ და მათი შერიგება შეუძლებელია იქამდის, სანამ ფიქრობენ, რომ ის ნებისყოფა, რომელსაც ეთიკა და იურისპრუდენცია უყურებენ, როგორც თავისუფალს, არის ფსიქიური მოვლენა, რომელიც ფსიქოლოგიის თვალსაზრისით კაუზალურად არის განსაზღვრული.

[1]) Ibid. 146.

მაგრამ ეს წინააღმდეგობა იხსნება, თუ მივიღებთ, რომ ნებისყოფა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით არსებითად სხვაა, ვიდრე ის ნებისყოფის ცნება, რომელსაც ნორმატიული მეთოდის საშუალებით იძლევიან ეთიკა და იურისპრუდენცია. ნებისყოფა ფსიქოლოგიური მნიშვნელობით ეკუთვნის არსის ქვეყანას და ამიტომ მისი შესწავლა წარმოებს ექსპლიკატიური მეთოდების საშუალებით. ნებისყოფა კი იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ენიჭება ეთიკისა და სამართლის მეცნიერებაში, ეკუთნის ვალდებულების, ე. ი. ნორმის სფეროს და მისი ბუნების გამოკვლევა შეადგენს ნორმატიული მეთოდის მიზანს. პირველი მნიშვნელობით ნებისყოფა ემორჩილება კაუზალურ პრინციპს, ხოლო მეორე მნიშვნელობით იგი თავისუფალია. ამგვარად ისპობა მათი ლოღიკური წინააღმდეგობა. Kelsenის თვალსაზრისით ეს ადვილი გასაგებია, რადგან ეთიკური და იურიდიული ნებისყოფა მხოლოდ განყენებული კონსტრუქციაა და არა ნამდვილი ფსიქიური მოვლენა; ამ კონსტრუქციის მიზანია, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ჩათვლის დასაბუთება; როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ნებისყოფა „თავისუფალია", ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მივაწერთ ადამიანს „პიროვნების", პასუხისმგებლობის სუბიექტის თვისებას და წარმოდგენის სახით მივაკუთვნებთ მას ნებისყოფას, რომელიც მხოლოდ ჩათვლის საბოლოო პუნქტია; თვით ამ პასუხისმგებელი პირის თვალსაზრისით კი ეს ნებისყოფა ჩათვლის დაწყების პუნქტია (Anfangspunkt der Zurechnung ist)[1].

აქ Kelsenი გარკვეულად განსაზღვრავს ნებისყოფას ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით. იურიდიული „ნებისყოფა" ფსიქოლოგიური ნებისყოფისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი. პირველი შეადგენს წმინდა კონსტრუქციას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ჩათვლის მიზნით. ის კავშირი, რომელიც მყარდება სუბიექტსა და ობიექტს შორის ნორმის მიხედვით, არის ჩათვლა; ნებისყოფა კი იმ განსაკუთრებული შინაარსით, რომელიც მას ენიჭება სამართლისა და ზნეობის დარგში, წარმოადგენს ჩათვლის საბოლოო პუნქტს (Endpunkt der Zurechnung), ე. ი. საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია ჩათვლა, პასუხისმგებლობა; ამ პროცესში საინტერესოა ის გარემოება, რომ, თუკი რასმე მიეწერება ეს „ნებისყოფა", იგი ითვლება „პიროვნებად", სუბიექტად; აქედან ცხადია, რომ პიროვნება და ადამიანი ერთი და იგივე არაა: ეს თვისება შეიძლება მიენიჭოს სხვა რამესაც. თუ ნებისყოფა გაგებულია ნორმატიული მნიშვნელობით, ცხადია, რომ იგი შეიძლება იქნეს აღიარებული, როგორც თავისუფალი. ამგვარად, Kelsenის თეორიაში განსაზღვრულია ნებისყოფის ორგვარი მნიშვნელობა: ნებისყოფა, როგორც ფსიქიური აქტი; იგი შეადგენს ფსიქოლოგიის საგანს; და ნებისყოფა, როგორც კონსტრუქციის შედეგი; მას შეისწავლიან ნორმატიული დისციპლინები; პირველი ეკუთვნის ფაქტების სფეროს, მეორე გამოხატავს ვალდებულებას, ნორმას; პირველი ემორჩილება კანონზომიერების პრინციპს, ხოლო მეორე თავისუფალია, ყოველივე მიზეზობრივ კავშირისაგან დამოუკიდებელია.

---

[1]) Ib. 159.

ეთიკისა და იურისპრუდენციის მიზანს არ შეადგენს ადამიანის ნებისყოფისა და მოქმედების ახსნა; ისინი მხოლოდ აწესებენ, თუ როგორ *უნდა* იმოქმედოს ადამიანმა; ისინი იძლევიან პასუხს მხოლოდ კითხვაზე: რომელი მოქმედება არის ადამიანისათვის *სავალდებულო*? კითხვა კი — თუ რატომ იმოქმედა და ისურვა ადამიანმა, ეკუთვნის ფსიქოლოგიას. რომელიმე ფაქტიური მდგომარეობის *სავალდებულობა* (Gesolltheit) საჭიროდ ხდის მის *ჩათვლას*, ჩათვლა კი იწვევს *ნებისყოფის* კონსტრუქციას. ამნაირად, ნებისყოფის ეთიკური და იურიდიული ცნება დამყარებულია *ნორმაზე*, იმ დროს როდესაც ნებისყოფის, როგორც ფსიქიური ფაქტის ცნება დამყარებულია სულიერი ცხოვრების ბუნებრივ კანონებზე [1].

შეუძლებელია უფრო ცხადად დახასიათება იმ მნიშვნელობისა, რომელსაც Kelsenი ანიჭებს ნორმის ცნებას. ნორმა, როგორც ვალდებულების გამომხატველი მსჯელობა, შეადგენს Kelsenის თეორიის ძირითად მომენტს, რომელთან ლოღიკურად დაკავშირებულია და რომლინადაც გამომდინარეობენ ამ თეორიის მთავარი დებულებანი: ნორმა მოითხოვს ჩათვლას, ხოლო ჩათვლა გულისხმობს ნებისყოფას, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია „პიროვნების", სუბიექტის ცნებასთან. შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ Kelsenს ნორმის ცნებიდან გამოჰყავს უფლებისა და მოვალეობის კონსტრუქციაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს თეორია წარმოადგენს ერთ ლოღიკურ მთლიანობას, რომლის ცალკე ელემენტები შეკავშირებულია ერთმანეთთან ერთი უზენაესი ცნების — ნორმის ცნების — საშუალებით.

თუ მივიღებთ, რომ არსებობს ნებისყოფის ორი სხვადასხვა ცნება, მაშინ გაუგებარი რჩება მათი სახელწოდების ერთგვარობა. ამის შესახებ Kelsenი გამოთქვამს შემდეგ ორიგინალურ აზრს; ნებისყოფის ცნება ეთიკო-იურიდიული მნიშვნელობით წარმოიშვა უფრო ადრე და შემდეგ კი გადატანილი და გამოყენებული იქნა ფსიქოლოგიურ დარგში; მაგრამ ის, რაც თავდაპირველად შეადგენდა ნორმატიულ კონსტრუქციას, ფსიქოლოგიაში მიჩნეული იქნა, როგორც *რეალობა*; ეს ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით ფსიქოლოგიამ თითქოს შეითვისა ეთიკისა და იურისპრუდენციის მიერ შემუშავებული ცნება და მიანიჭა მას რეალური ფსიქიური მოვლენის ხასიათი, Kelsenის აზრით, მტკიცდება იმ გარემოებით, რომ ზოგიერთი ფსიქოლოგი უარჰყოფს ნებისყოფის დამოუკიდებელ არსებობას: ერთნი უყურებენ მას, როგორც წარმოდგენას, მეორენი კი, როგორც გრძნობას [2].

იმის შემდეგ, რაც ჩვენ გავეცანით Kelsenის შეხედულებას ნებისყოფაზე, ჩვენთვის ადვილი გასაგებია Kelsenის მიერ წამოყენებული სახელმწიფოს კონსტრუქცია.

თეორიაში, ამბობს Kelsenი, მიუხედავად ფართო დისკუსიისა, რომელიც წარმოებდა სახელმწიფოს პიროვნების შესახებ, სახელმწიფოს ნებისყოფის შინა-

[1]) „Die Normen sind es also, auf denen der ethisch-juristische Begriff des Willens beruht, während nur die Naturgesetze des Seelenlebens zur Erkenntnis eines als Wille bezeichneten Vorganges führen können" Ib. 160.

[2]) Ib. 161.

არსი მაინც გამოურკვეველია; როგორც ორგანიული მიმართულების წარმომადგენელნი, რომლებიც სცნობენ სახელმწიფოს პიროვნების რეალობას, ისე მათი მოწინააღმდეგენი, რომლებიც, პირიქით, სთვლიან სახელმწიფოს პიროვნებას ფიქციად ან აბსტრაქციად, ეთანხმებიან ერთმანეთს ერთ პუნქტში, სახელდობრ იმაში, რომ სახელმწიფოს პიროვნების საფუძველი არის სახელმწიფოს ერთიანი ნებისყოფა. ორივე თეორია სცნობს, მაშასადამე, სახელმწიფოს ნებისყოფას; მაგრამ ამ ნებისყოფის ბუნება აქამდის შესწავლილი არაა. სახელმწიფოს ნებისყოფა პირველ ყოვლისა შესაძლოა გაგებული იქნეს, როგორც ფსიქიური ფაქტი, რომელიც ენათესავება ინდივიდუალურ ნებისყოფას ანდა კიდეც იდენტურია მასთან. თანამედროვე ხალხთა ფსიქოლოგიას (Völkerpsychologie) მიღებული აქვს საერთო ნებისყოფისა (Gesamtwille) და საერთო ცნობიერების (Gesamtbewusstsein) ცნება. მაგრამ ეს არ ნიშნავს ინდივიდუალურ ნებისყოფისა და ცნობიერებისაგან განსხვავებულ რასმე, ე. ი. რომელიმე ფსიქიურ აქტს, რომელიც ვითომც მდებარეობს ინდივიდის გარეთ, არამედ მხოლოდ ცალკე ინდივიდების საერთო წარმოდგენას, გრძნობასა და ნებისყოფას, რაც გამოწვეულია საერთო ცხოვრების პირობებით. ამიტომ ამ საერთო ცნობიერებასა და ნებისყოფას ვერ მივაწერთ „რეალობას“ (Wirklichkeit). ასეთი გაგების წინააღმდეგ Wundtი სამართლიანად ამბობს: იმის მაგიერად, რომ ეს საერთო ცნობიერება და ნებისყოფა მიჩნეული იქნეს, როგორც რომელიმე საზოგადოების წევრების ფაქტიური თანხმობისა და ურთიერთობის გამოხატულება, მათ უკან გულისხმობენ რაღაც მითოლოგიურ შინაარსს ანდა მეტაფიზიკურ სუბსტანციას; მაგრამ ამგვარი შეხედულება მცდარია.

ორგანიულმა თეორიამ სახელმწიფო სამართალში გამოიყენა სწორედ ის ნებისყოფის ცნება, რომელსაც იძლევა ხალხთა ფსიქოლოგია. ამ თეორიის უმთავრესი წარმომადგენელი Gierke ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს სუბსტანციას შეადგენს „საერთო ნებისყოფა“ (allgemeine Wille); „საერთო ნებისყოფის“ არსებობაში მას არავითარი ეჭვი არ შეაქვს. ამ ტერმინით Gierkeს ნაგულისხმევი აქვს იგივე ფაქტი, რაც ხალხთა ფსიქოლოგიას; მაგრამ ხალხთა ფსიქოლოგიაში შემუშავებული „საერთო ნებისყოფის“ გადატანა სახელმწიფო სამართალში დაუშვებელია, რადგან ის საზოგადოება, რომლის შესახებაც ხალხთა ფსიქოლოგია ამტკიცებს საერთო ნებისყოფის არსებობას, არასოდეს არაა სახელმწიფო; ხალხთა ფსიქოლოგია გულისხმობს საზოგადოებას, დაფუძნებულს ფსიქიურ კავშირზე, ფსიქიურ ურთიერთობაზე; საზოგადოება სახელმწიფოსთან შედარებით წარმოადგენს სოციოლოგიურ და არა იურიდიულ ერთიანობას; სულიერი კავშირი, რომელშიაც წარმოიშვება საერთო ნებისყოფა, სრულიადაც არაა შეზღუდული სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებით; ეს კავშირი არსებობს მხოლოდ იმ ინდივიდებს შორის, რომლებშიაც გონებრივი ურთიერთობა იწვევს ნებისყოფის საერთო მიმართულებას; ასეთ ერთობას კი ცალკე სახელმწიფოს საზღვრებში ადგილი არა აქვს. ფსიქიური, სოციალური და საერთოდ არაიურიდიული კავშირი შესაძლოა არსებობდეს სახელმწიფოს საზღვრების გარეთაც; მეორეს მხრივ, თვით სახელმწიფოს ფარგლებშიც ეს ფსიქიური კავშირი ღებულობს მრავალგვარ სახეებს; სახელმწიფოში მცხოვრები ხალხი (Staatsvolk) არ წარმო-

ადგენს მთლიანობას; საზოგადოებრივი თვალსაზრისით იგი დაქსაქსულია სხვადასხვა კავშირებად; ნაციონალურ, სარწმუნოებრივ. სამეცნიერო საზოგადოებაში შესაძლოა არსებობდეს საერთო ნებისყოფა, მაგრამ იურიდიულ, სახელმწიფოებრივ კავშირში ნებისყოფის ერთიანობა შეუძლებელია. ის, რაც აქ შეადგენს ერთიან ნებისყოფას— ე. ი. კანონი და მასზე დამყარებული ორგანოების მოქმედება-- არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხალხის საერთო ნებისყოფა. პარლამენტის უმრავლესობით დადგენილი და მონარქის მიერ სანქციაქმნილი კანონი ითვლება სახელმწიფოს ნებისყოფად იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ეგრეთწოდებულ „ხალხის ნებისყოფას". ის აზრი, რომ პარლამენტის უმრავლესობა და მისი ნებისყოფა იდენტურია მთელი ხალხის ნებისყოფასთან, წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომელიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით—ორგანიული თეორია კი სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს—დაუშვებელია.

ამრიგად ორგანიული თეორია სახელმწიფოს ნებისყოფისა და პიროვნების საკითხს ვერ არკვევს იმიტომ, რომ მას შეთვისებული აქვს საერთო ნებისყოფის ცნება, შემუშავებული ხალხთა ფსიქოლოგიაში. ორგანიული თეორიის მეთოდოლოგიური შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან სოციოლოგიურ და იურიდიულ თვალსაზრისს; ეს მეთოდების აღრევა მტკიცდება იმით, რომ ორგანიულ თეორიაში სოციალური ფაქტი—საერთო ნებისყოფა—გამოყენებულია, როგორც იურიდიული კონსტრუქციის, ე. ი. სახელმწიფოს პიროვნების, საფუძველი [1].

ანორგანიული თეორიაც, რომელიც სცნობს სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებას, მაგრამ უარჰყოფს მის ორგანიულ მთლიანობას, დამყარებულია სახელმწიფოს ნებისყოფის ცნებაზე; მაგრამ ნებისყოფის ბუნება არც ამ თეორიას აქვს გამორკვეული. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანორგანიული თეორია სახელმწიფოს პიროვნების ერთიანობას არ ამყარებს სახელმწიფოს ნებისყოფის ერთიანობაზე, არამედ სახელმწიფოს ერთიან პიროვნებისა და სახელმწიფოს ერთიანი ნებისყოფის კონსტრუქციას ჰქმნის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; როგორც სახელმწიფოს პიროვნება (Staatsperson) მას მიაჩნია სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ ადამიანთა ერთიანობა მათი საერთო მიზნების მიხედვით, ე. ი. ხალხი (das Staatsvolk), ხოლო როგორც სახელმწიფოს ნებისყოფა მიჩნეულია იმავე ტელეოლოგიური მნიშვნელობით გაგებული ცალკე სახელმწიფო ორგანოების ნებისყოფათა ერთიანობა [2].

რაც შეეხება სახელმწიფო პიროვნების ტელეოლოგიურ ერთიანობას, უნდა ითქვას, რომ ძალიან საეჭვოა რომელიმე საერთო მიზნის არსებობა, რომლისაკენ ვითომც მიისწრაფვიან ყველა სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები ინდივიდები; საერთო ნებისყოფისა და, მაშასადამე, საერთო მიზნის სუბიექტი არასოდეს არ შეიძლება იქნეს სახელმწიფოს ხელოვნურ საზღვრებში მცხოვრები ხალხი; ასეთ სუბიექტად შესაძლოა იქნეს მხოლოდ საზოგადოება, რომელშიაც არსებობს სულიერი კავშირი. ამ მხრივ ანორგანიული თეორია უშვებს იმავე

---

[1]) Ib. 167.
[2]) Ib. 173.

შეცდომას, რასაც ორგანიული. ანორგანიულ თეორიაში Kelsenი ხედავს სხვა შეუსაბამობასაც: ეს თეორია სახელმწიფოს ნებისყოფად სთვლის არა სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ ინდივიდთა ნებისყოფას, მიმართულს საერთო მიზნისაკენ, არამედ სახელმწიფოს ცალკე ორგანოების ნებისყოფათა ერთიანობას, რომელიც დამყარებულია მათი მიზნების ერთიანობაზე. აქ, მაშასადამე, მიღებულია ორგვარი ერთიანობა: სახელმწიფოს პიროვნება, რომელსაც წარმოადგენს ხალხი, მცხოვრები სახელმწიფოს საზღვრებში და შეკავშირებული საერთო მიზნებით (Staatsvolk); და სახელმწიფოს ნებისყოფა, რომელსაც წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების ნებისყოფა; ეს კი შეუსაბამობაა; ამ თვალსაზრისით, პიროვნება, რომელიც ამგვარი სახელმწიფოს ნებისყოფის მატარებელია, შეიძლება იქნეს მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების შეერთება (Inbegriff der Staatsorgane); სინამდვილეში ანორგანიული თეორია თითქოს იზიარებს ამ აზრს. მაგრამ შეხედულება, რომელიც სახელმწიფო ორგანოების ნებისყოფის ერთიანობას სთვლის მთელ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხის ერთიან ნებისყოფად, Kelsenს მიაჩნია დაუშვებელ ფიქციად, თუ ნებისყოფა გაგებული იქნა, როგორც ფსიქიური ფაქტი. Kelsenის აზრით, სახელმწიფოს პიროვნებისა და სახელმწიფო ორგანოების გაიგივეობა იწვევს შეურიგებელ წინააღმდეგობას, რადგან სახელმწიფოს უფლება-მოვალეობა არსებითად განსხვავდება მისი ორგანოების უფლება-მოვალეობისაგან [1].

როგორც ორგანიული, ისე ჩვენს დროში გაბატონებული ანორგანიული თეორიის ძირითადი ნაკლი, Kelsenის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ორივეს სახელმწიფოს ნებისყოფა წარმოდგენილი აქვს, როგორც ფსიქიური მოვლენა, ე. ი. ან ინდივიდუალური ან სოციალური ფსიქოლოგიის ფაქტი. ორივე თეორია ეთანხმება ერთმანეთს იმ მხრივაც, რომ ისინი უარჰყოფენ ნებისყოფას ფიქციის მნიშვნელობით, ე. ი. უარჰყოფენ „persona ficta"ს წარმოდგენას. ორგანიულ თეორიას მაინც აქვს უპირატესობა იმდენად, რამდენადაც იგი ფიქტიური ნებისყოფის მაგივრად ღებულობს ფაქტიურ მოვლენას—სოციალური ფსიქოლოგიის საერთო ნებისყოფას; მაგრამ ორგანიულ თეორიას ახასიათებს ის, რომ იგი არ ხედავს პრინციპიალურ განსხვავებას სოციოლოგიურ და იურიდიულ თვალსაზრისს შორის. ანორგანიულ თეორიას კი სავსებით შეგნებული აქვს ამ მეთოდების განსხვავება და ამიტომ მას არ შეუძლია წინააღმდეგობის თავიდან აცილებით შეიმუშაოს სახელმწიფო ნებისყოფის დამოუკიდებელი ცნება, რადგან იგი ღებულობს ამ ცნების ფსიქოლოგიურ კვალიფიკაციას და ფიქციას კი წინასწარ უარყოფს. Jellinekმა ფიქციის მაგივრად წამოაყენა „აბსტრაქცია"; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ აიცილა თავიდან ფიქცია. Jellinekის აზრით, აბსტრაქცია დამყარებულია შინაგან და გარეგან მოვლენებზე, ფიქცია კი, პირიქით, ბუნებრივი ფაქტის ადგილზე აყენებს გამოგონილ ფაქტებს და უთანასწორებს მას პირველს; აბსტრაქცია ეყრდნობა სინამდვილეს, ხოლო ფიქცია—მოგონილს. ანორგანიულ თეორიას რომ ვკითხოთ, ამბობს Kelsenი, რომელია ის რეალური მოვლენა, რომელზედაც დამყარებულია აბსტრაქცია, პა-

[1]) Ib. 175.

სუხად მივიღებთ: ადამიანის ნებისყოფის აქტები; მაგრამ აბსტრაქციის საშუალებით მიღებული სახელმწიფო ნებისყოფის ცნება ყოველთვის იქნება მხოლოდ ფიზიკური ადამიანისა და არა იურიდიული პიროვნების ნებისყოფა. თვითონ Jellinekიც სახელმწიფოს ნებისყოფის ცნებამდე აბსტრაქციის გზით არ მიდის; მას კარგად აქვს შეგნებული, რომ ადამიანის ნებისყოფის შესწავლა გვაძლევს მხოლოდდამხოლოდ ადამიანისა და არა სხვა სუბიექტების ნებისყოფის ცნებას. იმ თვისების მიღება, რომელსაც Jellineki ანიჭებს ნებისყოფის აქტებს და რომლის მიხედვით ეს აქტები აღიარებულია სახელმწიფოს ნებისყოფად, აბსტრაქციის გზით შეუძლებელია; აბსტრაქცია არის თვისებების გამოკლება (Weglassen) და ცხადია, რომ ამ გზით ახალი თვისების აღმოჩენა შეუძლებელია; ეს შესაძლოა მხოლოდ ნორმატიული, ე. ი. ეთიკურ-იურიდიული მეთოდის საშუალებით. აზროვნების პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელი მეთოდის გამოყენების დროს, სრულიადაც არაა აბსტრაქცია, ე. ი. გამოყოფა; პირიქით, იგი ახალი თვისების მიმატებაა, დაშვებაა ისეთი თვისებისა, რომლის გამოყვანა აბსტრაქციის საშუალებით წარმოუდგენელია, ვინაიდან აბსტრაქცია ყოველთვის მიმართულია ა რ ს ზ ე. სახელმწიფოს ნებისყოფა ფსიქიური სინამდვილის ფაქტი არაა; იგი მხოლოდ კონსტრუქციაა და დამყარებულია ეთიკურ-იურიდიულ მეთოდზე, რომლის საგანს შეადგენს ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა. თუკი, როგორც ამას ამტკიცებს Jellineki, აბსტრაქცია წინააღმდეგ ფიქციისა, დამყარებულია ფაქტებზე, ე. ი. არსზე, მაშინ გაუგებარი რჩება, როგორ მოგვცემს იგი სხვა ცნებებს, გარდა იმ ცნებებისა, რომლებსაც იძლევიან ყველა ექსპლიკატიური დისციპლინები და თუ აბსტრაქცია ფსიქიურ ფაქტებზეა დამყარებული, როგორ შეიძლება ამ გზით მივიღოთ არა ფსიქოლოგიური, არამედ ეთიკურ-იურიდიული ცნება [1].

ფიქციის შიში ისეთ დისციპლინაში, რომლის ამოცანას ფაქტების შესწავლა სრულებით არ შეადგენს, Kelsenს არ მიაჩნია ბუნებრივად. მას გაუგებრობად მიაჩნია ფიქციის წინააღმდეგ კამათი და იმის მტკიცება, რომ persona ficta მოკლებულია ძალას, სიცოცხლეს, რომ იგი არის მხოლოდ ფანტაზია, რადგან იგივე ითქმის ყველა ცნებების შესახებ; სიცოცხლე, ძალა, მოქმედება მხოლოდ ფაქტიური მოვლენების თვისებებს წარმოადგენენ. იურიდიულ ცნებას ამგვარი საყვედური არ შეეხება იმ მოსაზრებით, რომ მის საგანს არ შეადგენს მიზეზისა და მოქმედების, ძალების, საზოგადოდ ა რ ს ი ს შესწავლა; მისი საგანია ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა და არა ა რ ს ი.

მიუხედავად ამისა, ამბობს Kelseni, ფიქციის წინააღმდეგ ბრძოლას აქვს თავისი გასამართლებელი საბუთი; რასაკვირველია, ეს საბუთი არ არის ის, რომელიც ჩვეულებრივად მოჰყავთ. ყოველივე ფიქცია უნდა იქნეს უარყოფილი არა იმიტომ, რომ იგი არაა გამოყვანილი ფაქტიდან, რომ იგი მხოლოდ გამოგონილია, არამედ იმიტომ, რომ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ამტკიცებს თავის სინამდვილეს. ფიქციის თვისება არ მიეწერება ყოველივე ცნებას, რომელიც რეალურ ფაქტებიდან არაა გამოყვანილი; ფიქციის ბუნებას შეადგენს ყალბი

[1]) Ib. 179.

მსჯელობა, რომ მოცემული ცნება გამოხატავს რეალურ ფაქტს, ე. ი., რომ არსებობს ის, რაც სინამდვილეში არაა [1]. აქ, მაშასადამე, ლოღიკური წინააღმდეგობაა: სინამდვილედ აღიარებულია ის, რაც არსებობს მხოლოდ წარმოდგენაში.

Kelsenი ფიქციას ამ მნიშვნელობით ასხვავებს კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. ეთიკურ-იურიდიული მეთოდი, მისი სიტყვით, ხასიათდება იმით, რომ აქ აზროვნება ჰქმნის ცნებებს, რომლებიც აბსტრაქციის საშუალებით სინამდვილიდან გამოყვანილი არ არიან; ეს გასაგებია, რადგან ნორმატიული მეთოდის საგანს შეადგენს არა არსი, არამედ ვალდებულება. მაგრამ იურიდიული კონსტრუქციაც არის ერთგვარი აბსტრაქცია; მხოლოდ ეს იურიდიული აბსტრაქცია არ ხდება ფაქტიური სინამდვილის საფუძველზე; იგი წარმოებს იმ აზროვნების მოვლენების საფუძველზე, რომლებიც გამოწვეულია ნორმატიული თვალსაზრისით თვით ადამიანში [2]. ჩათვლის ცნება, მაგალითად, არ წარმოადგენს აბსტრაქციას იმ ფაქტებიდან, რომლებიც ეკუთვნიან გარეშე მსოფლიოს ანდა შინაგან შეგრძნებათა ან ნებისყოფის სფეროს; ჩათვლის ცნება წარმოიშვება ადამიანის სპეციფიური აზროვნების პროცესების (ე. ი. მსჯელობების) შეერთებით აბსტრაქციის გზით; ამგვარად გარეგანი მსოფლიოს განსაზღვრული ფაქტები ჩაეთვლება განსაზღვრულ პირებს. ასეთი ხასიათი აქვს იურიდიულ აბსტრაქციას; სულ სხვა ბუნებისაა ის აბსტრაქცია, რომელიც გამოიყვანება საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებიდან, საზოგადოების წევრების ნებისყოფიდან ან მოქმედებიდან [3]. მაშასადამე, Kelsenი იურიდიულ აბსტრაქციას მიაწერს თავისებურ მნიშვნელობას.

თუ კონსტრუქციას ენიჭება მისი ნამდვილი მნიშვნელობა, ე. ი. თუ მას არ მიაწერენ ფაქტიურ არსებობას, ფიქციას ადგილი არა აქვს. როდესაც სამოქალაქო ან სისხლის სამართალში იურისტები ნებისყოფას ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით სთვლიან ფსიქიურ ფაქტად, ეს, რასაკვირველია, არის ფიქცია. იურისტების მიერ წამოყენებული ნებისყოფის ცნება იქამდის უნდა ჩაითვალოს „ფიქტიურ მოჩვენებად“ (fingiertes Gespenst), სანამ მას მიაკუთვნებენ რეალური ფსიქიური ფაქტის თვისებას; ნებისყოფის იურიდიული ცნება არის მხოლოდ იურიდიული კონსტრუქცია; როდესაც კონსტრუქციაში ეძებენ სოციალური ცხოვრების კონკრეტ მოვლენებს, მაშინ კონსტრუქცია იქცევა ფიქციად [4].

---

[1]) ib. 180.

[2]) „Allein man muss sich hüten, Fiktion in diesem Sinne mit aller Konstruktion zu identifizieren..... Auch die juristische Konstruktion—der konstruierte Begriff—ist eine Abstraktion. Allein diese Abstraktion vollzieht sich nicht auf Grund von wahrgenomenen physischen oder psychischen Tatsachen der Aussenwelt, z. B. Tatsachen des praktischen sozialen Lebens in der Gemeinschaft, sondern die als juristische Konstruktion bezeichnete Abstraktion erfolgt aus ganz bestimmten der normativen Betrachtung entspringenden Denkvorgängen innerhalb des Abstrahierenden selbst". ibid. 181.

[3]) ibid. 181.

[4]) „Genau so wie aus einer Halluzination ein Gespenst wird, wenn man sie in der Aussenwelt existierend behauptet, wird die Konstruktion zur Fiktion, wenn man in ihr konkrete Tatsachen, Geschehnisse des gesellshaftlichen Zusammenlebens sucht." Ib. 181.

ფიქციისა და კონსტრუქციის ბუნებას Kelsenი არკვევს მათი დაპირისპირებით; კონსტრუქცია არ ეყრდნობა ფაქტებს; მაგრამ ფიქციისაგან იგი განსხვავდება იმით, რომ იურიდიულ ცნებებს არ მიაწერს რეალობას; იმ შემთხვევაში კი როდესაც იურიდიულ ცნებას ეძლევა რეალური ხასიათი, კონსტრუქცია გადადის ფიქციაში.

Kelsenი არ ეთანხმება Jellinekის აზრს, რომ ნებისყოფის დამოკიდებულებანი, რომლებსაც შეისწავლის იურისპრუდენცია, გამოიყვანებიან აბსტრაქციის გზით, რომ სწორედ ამ აბსტრაქციაში მდგომარეობს იურიდიული მეთოდის ძირითადი ბუნება; ამ აზრის წინააღმდეგ Kelsenს მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ფსიქოლოგიასაც ასეთ განყენებულ ნებისყოფასთან აქვს საქმე ისე, როგორც ყოველივე სხვა მეცნიერებას, რომელიც მუშაობს ცნების საშუალებით; ყოველივე ცნება, იქნება ის ფსიქოლოგიისა, თუ სხვა რაიმე მეცნიერული დარგისა, უსათუოდ წარმოადგენს აბსტრაქციას; როდესაც იურისპრუდენციის ნებისყოფას ახასიათებენ, როგორც რეალურ ფსიქიურ ნებისყოფის აქტებიდან გამოყვანილ აბსტრაქციას, ეს არ ნიშნავს იურისპრუდენციისა და ფსიქოლოგიის განსხვავებას, არამედ მათ გათანასწორებას. მაგრამ იურიდიულ მეცნიერებაში მიღებული ნებისყოფა არაა რაიმე ობიექტურად არსებული ფსიქიური აქტი; იგი მხოლოდ კონსტრუქციაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ცნების განყენება ხდება აზროვნების განსაზღვრული პროცესების საფუძველზე თვით ადამიანის სუბიექტურ სფეროში[1].

იმის შემდეგ, რაც გამორკვეულია ნებისყოფის თავისებური, იურიდიული მნიშვნელობა, ადვილი ხდება იმის გაგება, თუ როგორი კონსტრუქცია ენიჭება სახელმწიფოს ნებისყოფას Kelsenის თეორიაში. როგორია ეს კონსტრუქცია?

როდესაც რომელიმე ფიზიკურ პირთა მოქმედება იურიდიულად მიჩნეულია არა როგორც ამ პირთა, არამედ სხვისი მოქმედება, მაშინ ადგილი აქვს ჩ ა თ ვ ლ ი ს განსაკუთრებულ შემთხვევას. ამ პირთა მოქმედება ჩაეთვლება სხვას; მაგრამ ჩათვლის პუნქტი აქ მეორე ადამიანში კი არ მდებარეობს; ჩათვლა, ასე ვთქვათ, გაივლის ფიზიკურ მოქმედებაში და მის ნებისყოფის აქტში და არ ჩერდება მეორე ადამიანზე, როგორც ამას აქვს ადგილი, მაგალითად, მაშინ, როდესაც ბავშის მიერ მიყენებულ ზარალის გამო პასუხს აგებს მისი მშობელი. აქ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ყველა ჩათვლის ხაზები (Zurechnungslinien) თავს იყრიან რომელიმე საერთო პუნქტში, რომელიც წარმოდგენილია ყველა ფიზიკური სიბიექტების გარეთ. ინდივიდები, რომლების მიმართ ხდება ამგვარი ჩათვლა, შეადგენენ სახელმწიფო ორგანოებს, ხოლო ყველა ჩათვლის ხაზების შეხვედრის საერთო პუნქტი არის სახელმწიფოს ნებისყოფა („der gemeinsame Treffpunkt aller Zurechnungslinien... ist der Staatswille")[2]. ამგვარად Kelsenი იძლევა შემდეგ კონსტრუქციას: სახელმწიფოს იგი ასხვავებს სახელმწიფო ორგანოებისაგან; სახელმწიფო ორგანოების მოქმედებაში გამოიხატება ფსიქიური ნების-

[1]) „Der Wille der Jurisprudenz beinhaltet keinen real-psychischen Akt in der Welt der objektiven Tatsachen....., sondern er ist eine Konstruktion d. h. die Abstraktion dieses Begriffes vollzieht sich auf Grund von bestimmten Gedankenprozessen und zwar Urteilen innerhalb der subjektiven Welt des Abstrahierenden selbst". Ib. 183.

[2]) Ib. 183.

ყოფის აქტი; მაგრამ სახელმწიფო ორგანოს ნებისყოფის აქტი არ შეადგენს ჩათვლის საბოლოო პუნქტს; სახელმწიფო ორგანო არის მხოლოდ ჩათვლის გასასვლელი პუნქტი (Durchgangspunkt), ჩათვლის საბოლოო პუნქტი (Endpunkt) კი არის სახელმწიფოს ნებისყოფა. ამრიგად სახელმწიფოს შესახებ მართლდება ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი საერთოდ სუბიექტის შესახებ. სახელმწიფოს ნებისყოფის ცნება იმავე ბუნებისაა, რაც ყველა დანარჩენი იურიდიული პირების ნებისყოფა: ყველა იურიდიული პირების ნებისყოფა წარმოადგენს იურიდიილი ჩათვლის საბოლოო პუნქტს; აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს პიროვნება იმავე მნიშვნელობით არის „იურიდიული", როგორც ყველა სუბიექტების პიროვნება[1]. ამ უკანასკნელ დებულებას Kelsenის თეორიაში აქვს უაღრესი მნიშვნელობა; Kelsenის შეხედულებით, ყველა სუბიექტები, ე. ი. ყველა პირები იურიდიული მნიშვნელობით, გათანასწორებულია ერთმანეთთან მათი შინაარსის მხრივ, ვინაიდან ეს შინაარსი ყოველგან ერთიდაიგივეა; ეს არის ნებისყოფა, როგორც ჩათვლის საბოლოო პუნქტი.

ასეთია სახელმწიფოს ნებისყოფის თავისებური კონსტრუქცია Kelsenის თეორიის მიხედვით. ამის შემდეგ Kelsenი იკვლევს სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსს (Inhalt des Staatswillens).

თუ ნებისყოფა ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით, ამბობს იგი, წარმოადგენს ჩათვლის მიზნით აგებულ კონსტრუქციას და თუ სახელმწიფოს ნებისყოფა არის ჩათვლის პუნქტი ორგანოების იმ მოქმედებისათვის, რომლებიც მიჩნეულია თვით სახელმწიფოს მოქმედებად (als Staatshandlungen qualifizierte Tätigkeit der Organe), მაშინ სახელმწიფოს შეუძლია ისურვოს მხოლოდ თავისი საკუთარი მოქმედება. ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით „სურვილის" საგანია მხოლოდ ის, რაც უნდა ჩაეთვალოს სუბიექტს. ჩასათვლელი მოქმედება კი იდენტურია „საკუთარ" მოქმედებასთან. რომელიმე მოქმედება ან უმოქმედობა „უცხოა" ვინმესთვის მაშინ, როდესაც ის მიეწერება არა თვითონ მას, არამედ სხვა პირს. თუ საერთოდ ეთიკურ-იურიდიული თვალსაზრისით ნებისყოფის საგნად შეიძლება იქნეს მხოლოდ საკუთარი მოქმედება, რადგან ჩათვლილი უნდა იქნეს მხოლოდ საკუთარი მოქმედება, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ სახელმწიფოსაც შეუძლია „ისურვოს" მხოლოდ საკუთარი მოქმედება[2]. ეს უნდა იქნეს გამოთქმული სამართლის ნორმაშიც, რადგან სამართლის ნორმა სახელმწიფოს ნებისყოფას გამოხატავს.

მოყვანილი აზრი, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსი არის მხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება, არსებითად ეწინააღმდეგება თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებულ შეხედულებას; ამ გაბატონებული შეხედულებით, სახელმწიფოს „ჰსურს" არა თავისი საკუთარი, არამედ სხვა სუბიექტების მართლზომიერი ყოფაქცევა; სახელმწიფოს ჰსურს რომ ქვეშევრდომებმა არ იქურდონ, არ ჩაიდინონ მკვლელობა, სესხი გადაიხადონ, სამხედრო ბეგარა მოიხადონ და სხვა. ამ მიღებული თეორიის თვალსაზრისით, სახელმწი-

[1]) Ib. 186, 187.
[2]) Ib. 189, 190.

ფოს ნებისყოფა, რომელიც მიმართულია ქვეშევრდომთა მართლზომიერ ყოფაქცევაზე, ამყარებს სუბიექტების მოვალეობას; სხვის ყოფაქცევაზე მიმართული ნებისყოფა გამოიხატება ბრძანებაში. სამართლის ნორმას გაბატონებული თეორია უყურებს, როგორც ბრძანებას ან აკრძალვას; ამ შეხედულებას ჩვეულებრივად ეწოდება „იმპერატივის თეორია“ (Imperativtheorie).

იმპერატივის თეორია Kelsenს მიუღებელად მიაჩნია; ამ თეორიის შეხედულება, რომ სურვილის საგანს შეადგენს სხვისი ყოფაქცევა, ეთიკურ-იურიდიული თვალსაზრისით nonsensი არისო, ამბობს Kelsenი; ფსიქოლოგიურად კი ეს აზრი, რასაკვირველია, სწორია; ფსიქოლოგიურად ნებისყოფის საგნად შეიძლება იქნეს სხვა ადამიანის ყოფაქცევა; მაგრამ ასეთ ნებისყოფის ცნებას, თუმცა იგი ფსიქოლოგიურად სწორია, იურისპრუდენცია ვერ მიიღებს. რომ მივიღოთ Zitelmannისა და Bindingის მიერ წამოყენებული ნებისყოფის ცნება, რომლის მიხედვით ნებისყოფა წარმოადგენს სხეულის მოძრაობის მიზეზს, უნდა დავუშვათ, რომ სურვილის საგანია მხოლოდ საკუთარი სხეულის მოძრაობა (Körperbewegung), ე. ი. საკუთარი მოქმედება კაუზალური მნიშვნელობით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნებისყოფა გაგებულია ფართო მნიშვნელობით, ე. ი. მის საგნად აღიარებულია საკუთარი მოქმედების გარეგანი კაუზალური შედეგებიც, სხვისი მოქმედების ჩათვლა ნებისყოფის საგნად შეუძლებელია, რადგან სხვის მოქმედებას მიზეზად უნდა ექნეს მისივე ნებისყოფა. მოქმედების მიზეზი თვით მოქმედი პირის ნებისყოფაა და არა სხვისი, ვინაიდან ნებისყოფა თავისუფალია. Kelsenის ეს აზრი ჩვენთვის გასაგებია, თუ კი მოვიგონებთ იმას, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ნებისყოფის შესახებ; ნებისყოფა ეთიკურ-იურიდიული მნიშვნელობით აუცილებლად თავისუფალია; ამიტომაც იგი უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც მოქმედების პირველი და უკანასკნელი მიზეზი; თავისუფალ ნებისყოფაზე დამყარებული მოქმედება არასოდეს არ იქნება სხვისი მოქმედების შედეგი და არც სხვის მიერ ნასურვი; ასეთ მოქმედებას ექნებოდა ორი უკანასკნელი მიზეზი, რაც ლოღიკურად დაუშვებელია[1]. ამგვარად, თვით იმ თეორიის მიხედვით, რომელიც არ ანსხვავებს ერთმანეთისგან ეთიკურ-იურიდიულ და ფსიქოლოგიური ნებისყოფის ცნებას, დაუშვებელია, რომ ერთი პიროვნების ნებისყოფა და მოქმედება გახდეს მეორე პიროვნების ნებისყოფის საგნად, რადგან ეს ეწინააღმდეგება თავისუფალი ნებისყოფის ცნებას.

Kelsenის აზრით, სხვისი მოქმედება არ შეადგენს ნებისყოფის საგანს იმიტომ, რომ იგი გულისხმობს სხვა პიროვნების ნებისყოფას, რომელიც თავისუფალია; ვინაიდან ნებისყოფა თავისუფალია, მისი დაყვანა სხვა ნებისყოფაზე არ შეიძლება. აქედან Kelsenი დაასკვნის, რომ ნებისყოფის საგნად შეიძლება იქნეს მხოლოდ საკუთარი მოქმედება.

თავისი აზრის დასამტკიცებლად Kelsenს მოჰყავს კიდევ სხვა მოსაზრება. სახელმწიფოს ვერ მივაწერთ სხვისი ყოფაქცევის სურვილს, როგორც ეს საერთოდ მიღებულია; ვერ მივაწერთ იმ მოსაზრებით, რომ რაიმე შედეგის სურვილი გულისხმობს ამ შედეგის შეგნებას (Bewusstsein des Erfolges). თუ კი სახელმწიფოს

---

1) Ib. 192.

მივაწერთ არა მარტო საკუთარი მოქმედების სურვილს, არამედ აგრეთვე შედეგის სურვილსაც, მაშინ ლოღიკურად უნდა მივიღოთ სახელმწიფოს ნებისყოფის გვერდით სახელმწიფოს ცნობიერებაც, ე. ი. სახელმწიფოს უნდა მივაწეროთ წარმოდგენის უნარი, რაც დაუშვებელია. საერთო ცნობიერების ან საერთო წარმოდგენის სოციოლოგიურ ფაქტებს, რომლებსაც ეყრდნობა ორგანიული სკოლა, არავითარი კავშირი არ აქვთ სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებასთან, როგორც ეს ზემოთ უკვე იყო აღნიშნული. სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებას ახასიათებს მხოლოდ ნებისყოფა; ეს ნებისყოფა იდენტურია სახელმწიფოს პიროვნებასთან[1]..

იმპერატივის თეორია, რომელიც სამართლის ნორმაში გამოხატულ სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსად თვლის ქვეშევრდომთა ყოფაქცევას, ეყრდნობა მიზნის ცნებას; სამართლის მიზნად მას მიაჩნია ინდივიდების განსაზღვრული ყოფაქცევის გამოწვევა; ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლოა მოტივაციის საშუალებით; იმისათვის, რომ ინდივიდებში გამოწვეული იქნეს სათანადო ნებისყოფა, საჭიროა მათში იმ წარმოდგენის გაღვიძება, რომ განსაღვრული ყოფაქცევა არის მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება; მაგრამ ცარიელ იმპერატივს, Kelsenის აზრით, არ შეუძლია გამოიწვიოს ასეთი მოტივაციის პროცესი. ამ პროცესს აქვს შემდეგი ხასიათი: ერთი სუბიექტის ნებისყოფა მიმართულია მეორე სუბიექტის ყოფაქცევაზე; მეორე სუბიექტს აქვს საკუთარი ნებისყოფა, რომელიც არ არის იდენტური მბრძანებელის ნებისყოფასთან. აქ, მაშასადამე, დაპირისპირებულია ორი სხვადასხვა ნებისყოფა, რომელთა შორის უნდა იქნეს დამყარებული თანხმობა; პირველი სუბიექტის ნებისყოფას არ შეუძლია გამოიწვიოს ანალოგიური ნებისყოფა მეორე სუბიექტში, რადგან იგი უშუალოდ არ მოქმედობს უკანასკნელის ნესისყოფაზე; იგი უშუალოდ მიმართულია მის ინტელექტზე, იწვევს მასში მხოლოდ უცხო ნებისყოფის წარმოდგენას; ეს წარმოდგენა კი, ე. ი. მხოლოდ იმის ცოდნა, რაც სხვას ჰსურს, ვერ მოახდენს გავლენას მოტივის სახით საკუთარ ნებისყობაზე. თანხმობა საკუთარსა და უცხო ნებისყოფას შორის მყარდება მხოლოდ მაშინ, როცა უცხო ნებისყოფის წარმოდგენას თანერთვის საკუთარი ინტერესის წარმოდგენა, ე. ი. იმის წარმოდგენა, რომ ის ყოფაქცევა, რომელსაც მოითხოვს სხვა სუბიექტი, არის რაიმე სარგებლობის მიღების ან მავნებლობის თავიდან აცილების საშუალება[2].

იმპერატიული ფორმა, რომელსაც გაბატონებული თეორია მიაწერს სამართლის ნორმებს, გადმოტანილია ზნეობის დარგიდან. ზნეობრივ დარგში იმპერატივებს, რასაკვირველია, აქვთ საფუძველი; აქ მათი გამოყენება მიზანშეწონილია, რადგან აქ საჭირო არაა სხვისი ყოფაქცევის ნამდვილი გამოწვევის გარანტიები, რასაც ადგილი აქვს სამართლის დარგში. ამგვარი გარანტია ზნეობაში ზედმეტია იმიტომ, რომ ზნეობაში ფაქტიურად არსებობს მხოლოდ ერთადერთი ნებისყოფის სუბიექტი, რომელშიაც შესაძლოა იქნეს განხეთქილება, ე. ი. სუბიექტში წარმოებდეს ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე მისწრაფებას შორის; მაგ-

[1]) Ib. 194.

[2]) Ib. 202, 203.

რამ ამ შემთხვევაში მოტივაცია არ ხდება გარედან, არამედ გამომდინარეობს თვით სუბიექტიდან; ამიტომ ზნეობაში არ დგება საკითხი ორ სხვადასხვა სუბიექტის ნებისყოფის შეთანხმების შესახებ; ამგვარი მდგომარეობა აქ მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათისაა. ეს აიხსნება ზნეობის ავტონომიური ბუნებით: ზნეობრივი ავტორიტეტი არ არის გარეგანი ხასიათისა; ზნეობრივ ნორმაში გამოხატულ ნებისყოფას ინდივიდთა მიმართ დამოუკიდებელი ადგილი არ უკავია; იგი თვით ინდივიდის ნაწილს, მის თანდაყოლილ, ბუნებრივ ზნეობრივ მიმართულებას წარმოადგენს. ზნეობრივი ბრძანება უშუალოდ მოქმედებს ადამიანის ნებისყოფაზე. ამიტომ ნორმის იმპერატიული ფორმა ზნეობაში ბუნებრივია.

მაგრამ სამართლის ნორმებისათვის ეს იმპერატიული ფორმა არ გამოდგება. სახელმწიფოს ავტორიტეტს აქვს ჰეტერონომიული ხასიათი; ინდივიდთა მიმართ იგი გარეგანია, სრულიად დამოუკიდებელია მათგან; ამიტომ აქ საჭიროა, რომ დაწესებული იქნეს იმის გარანტია, რომ სუბიექტების ნებისყოფა ნამდვილად შეთანხმებული იქნება სამართლის მიზნებთან; საჭიროა, რომ სუბიექტში გამოწვეული იქნეს ინტერესის წარმოდგენა, რომლის ზეგავლენით მან საკუთარი ნებისყოფა უნდა შეუთანხმოს იურიდიული წყობილების მიზნებს. ამგვარი შეთანხმების გარანტია გამოსახული უნდა იქნეს თვით სამართლის ნორმაში. გარანტიას შეიძლება ექნეს ორი სხვადასხვა სახე: სარგებლობის მიწოდება ანდა მავნებლობის მიყენება. მაგრამ სახელმწიფო ფაქტიურად სარგებლობს მხოლოდ უკანასკნელით; ეს არის სანქცია, რომელიც გამოიხატება ორ ფორმაში: სასჯელში და აღსრულებაში (Strafe oder Exekution). მაშასადამე, სამართლის ნორმა ახდენს გავლენას ნებისყოფაზე არაპირდაპირი გზით; ავტონომიური ზნეობა კი, რომლის ნორმებს არა აქვთ სანქცია, უშუალოდ, პირდაპირ მოქმედობს ნებისყოფაზე; ამაშია ჰეტერონომიული სამართლისა და ავტონომიური ზნეობის არსებითი განსხვავება [1].

სანქციაში გამოიხატება სახელმწიფოს მოქმედება. სახელმწიფოს „ჰსურს“ მხოლოდ თავისი საკუთარი მოქმედება, რომელიც აღნიშნულია სანქციაში (სასჯელის დადება და აღსრულება) და არა სხვა სუბიექტების ყოფაქცევა; სხვა სუბიექტების მოქმედების სავალდებულობა, რომელიც მიჩნეულია, როგორც იურიდიული ნორმის მიზანი, ჩვენ გამოგვყავს ნორმიდან მხოლოდ არაპირდაპირი გზით; ეს მოქმედება წარმოადგენს იმ შემადგენლობის ნეგატიურ მხარეს, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს სასჯელს ან აღსრულებას [2]. Kelsenის ამ აზრს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. Kelsenი მსჯელობს შემდეგნაირად: სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსი, ე. ი. მისი საგანი, შეიძლება იქნეს მხოლოდდამხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება. სხვა სუბიექტების მოქმედება სახელმწიფოს ნებისყოფის საგანს არ შეადგენს: სახელმწიფოს არ „ჰსურს“ იგი. თუკი ეს ასეა, როგორ უნდა აღვადგინოთ ის კავშირი, რომელიც უსათუოდ არსებობს სახელმწიფოს მოქმედებასა და სხვა სუბიექტების ყოფაქცევას შორის? Kelsenის აზრით, სუბიექტების იმ მოქმედების შესახებ, რომელსაც მოითხოვს სამართალი, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ დასკვნა თვით ნორმის შინაარსიდან:

---

[1]) Ib. 205.

[2]) Ib. 205.

თუ ნორმაში ნათქვამია, რომ განსაზღვრულ შემთხვევაში სახელმწიფო იწყებს თავის მოქმედებას, მაგალითად სჯის დამნაშავეს, მაშინ ნეგატიური მსჯელობის საშუალებით ჩვენ ვგებულობთ, თუ რას მოითხოვს სამართლის წყობილება; მართლზომიერი ყოფაქცევა, მაშასადამე, შეადგენს იმის წინააღმდეგს, რასაც სამართალი უკავშირებს თავის სანქციას.

როდესაც იმპერატივის თეორია სახელმწიფოს ნებისყოფის საგნად თვლის იმას, რაც მიჩნეულია, როგორც სამართლის წყობილების მიზანი, იგი სახელმწიფოს იურიდიულ პიროვნებას აღიარებს მიზნის სუბიექტად, რაც იმგვარადვე შეუძლებელია, როგორც იმის წარმოდგენა, რომ სახელმწიფოს აქვს ნამდვილი ნებისყოფა ფსიქიური მნიშვნელობით; მიზნის დასმა და ფსიქიურად რამეს სურვილი ერთიდაიგივეა. მაგრამ ის გარემოება, რომ სახელმწიფო არაა მიზნის სუბიექტი, კიდევ არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო უმიზნოა, რომ სამართლის წყობილებას, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფას, მიზანი არა აქვს. რასაკვირველია, სახელმწიფოსა და სამართლის წყობილებას (Rechtsordnung) აქვთ მიზანი; ეს მიზანია წესიერების განხორციელება და გაძაგრება; მაგრამ სახელმწიფოს ამ მიზნის მიმართ აქვს მნიშვნელობა მხოლოდ როგორც საშუალების და არა როგორც სუბიექტს; სახელმწიფო და სამართლის წყობილება წარმოადგენენ ამ მიზნის განხორციელების საშუალებას. მიზანს ანხორციელებენ ცალკე ადამიანები მათ სოციალურ და არა სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, მიზანს ანხორციელებს საზოგადოება; ის გარემოება, რომ იურისტისათვის სახელმწიფო და სამართლის წყობილება შეადგენს მხოლოდ „საშუალებას“, გამოხატავს იურისპრუდენციის ფორმალურ ბუნებას. „საშუალების“ ცნება არის ფორმალური კატეგორია შედარებით მიზანთან, რომელიც, როგორც მატერიალური მომენტი, უნდა ჩაითვალოს შინაარსად. შეხედულება, რომლის მიხედვით მიზნის სუბიექტად ითვლება საზოგადოება და არა სახელმწიფო, ეთანხმება აზრს, რომელიც ამტკიცებს, რომ სახელმწიფო საზოგადოების ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს [1]. მიზანი კი სოციალური ცნებაა და არა იურიდიული.

იმპერატივის თეორიას ახასიათებს ის, რომ იგი უყურებს „ნორმას“ და „იმპერატივს“, როგორც ერთსადაიმავე ცნებას. მაგალითად, Bierlingი სარგებლობს ტერმინებით „ნორმა“ და „იმპერატივი“ ერთდაიმავე მნიშვნელობით. ნორმის ან იმპერატივის ფორმულად იგი სთვლის შემდეგს: „შენ ვალდებული ხარ ასე, თუ ისე იმოქმედო, ან არ იმოქმედო“. მაგრამ ეს შეხედულება Kelsenს მიაჩნია მცდარად; Kelsenის აზრით, ნორმა და იმპერატივი არ არიან იდენტური ცნებები. იმპერატივი მხოლოდ ნორმის ერთ-ერთი სახეა. იმპერატივი წარმოადგენს განსაზღვრულ სიტყვიერ ფორმას; იმპერატივი ფსიქოლოგიურად ხასიათდება იმით, რომ იგი უშუალო გამოხატულებაა ნებისყოფისა, რომელიც მიმართულია სხვის ყოფაქცევაზე; მსჯელობა (Urteil) განსხვავდება იმპერატივისაგან სწორედ იმით, რომ წარმოადგენს ინტელექტის ფუნქციას. იმპერატივი შეიძლება გამოითქვას ერთი სიტყვით. სხვადასხვა ენაზე იგი გამოიხატება სპეცი-

---

1) Ib. 208, 209.

ფიურ ფორმაში: „იმოქმედე“, „არ იმოქმედო“; მხოლოდ სიტყვიერი სახით განსხვავდება იმპერატივი სხვადასხვა უსიტყვო ნიშნებისა და მოძრაობისაგან; ფსიქოლოგიურად ეს უკანასკნელიც უშუალოდ გამოხატავს ნებისყოფას. ფორმალურად სხვანაირია მდგომარეობა, როდესაც სხვის ყოფაქცევაზე მიმართული ნებისყოფა გამოთქმულია შემდეგ სიტყვებში: „მე მსურს, რომ შენ ასე ან ისე იმოქმედო“; ამ შემთხვევაში მოცემულია მსჯელობა საკუთარი ნებისყოფის შესახებ; ეს მსჯელობა გამოხატავს უშუალოდ არა ნებისყოფას, არამედ ინტელექტუალურ პროცესს; აქ წინააღმდეგ იმისა, რასაც ჩვენ ვხედავთ იმპერატივში, მოაზროვნე „მე“, ასე ვთქვათ, იყოფა ორად: სუბიექტად და ობიექტად; „მე“, როგორც აზრი, მსჯელობს „მე“-ზე, როგორც ნებისყოფაზე („Das ich als Verstand urteilt über das ich als Wille“). იმავე მნიშვნელობით ფორმულა: „შენ ვალდებული ხარ...“ არის მსჯელობა, რომელშიაც სუბიექტზე „შენ“ გამოთქმულია პრედიკატი „ვალდებულება“; ფორმალურ-ლოღიკური თვალსაზრისით ეს მხოლოდ მსჯელობაა და არასოდეს არ შეიძლება იქნეს იმპერატივი; მაგრამ ამ მსჯელობასაც შეუძლია ისე, როგორც იმპერატივს, დაადგინოს ვალდებულება; ამიტომაც ამგვარი მსჯელობა განსაზღვრულ პირობებში ღებულობს ნორმის ხასიათს[1].

იურიდიული ნორმა წარმოადგენს ჰიპოთეტიურ მსჯელობას სახელმწიფოს ნებისყოფის შესახებ. რამდენადაც იურიდიული ნორმა ჰქმნის ქვეშევრდომთა მოვალეობას, მისი სქემა შემდეგია: განსაზღვრულ პირობებში სახელმწიფოს ჰსურს იმოქმედოს, ე. ი. შეასრულოს სამართლის დარღვევის შედეგები (Unrechtsfolgen). აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ Kelsen-ის თეორიის მიხედვით, იურიდიულ ნორმაში გამოიხატება მსჯელობა სახელმწიფოს ნებისყოფის შესახებ და, რადგან სახელმწიფოს საგნად შეიძლება იქნეს მხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება, იურიდიული ნორმა არის მსჯელობა იმაზე, თუ როგორ ჰსურს სახელმწიფოს იმოქმედოს განსაზღვრულ პირობებში.

აღნიშნულ სქემაში შეტანილია სამართლის დარღვევის შედეგებიც (სასჯელი ან აღსრულება). აქ Kelsen-ი არკვევს იძულების თეორიის მნიშვნელობას. იურიდიულ ნორმაში, ამბობს იგი, აღნიშნულია სამართლის დარღვევის მავნე შედეგები; ამ მავნე შედეგებს უწოდებენ „იძულების საშუალებას“ (Zwangsmittel); ეს თეორია იძულებას აღიარებს სამართლის ნიშანდობლივ თვისებად.

არგუმენტები, რომლებიც მოჰყავთ „იძულების თეორიის“ წინააღმდეგ, მეტ წილად მართებულია. მაგრამ არც ამ თეორიის მომხრეებსა და არც მის მოწინააღმდეგეთ არ ესმით ეგრეთწოდებული იძულების მომენტების (სასჯელის და აღსრულების) ნამდვილი მნიშვნელობა. იძულებას აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. თუ გავიგეთ იძულება რომის სამართლის vis absoluta-ს მნიშვნელობით, როგორც იძულების ფაქტიური შესრულება, მაშინ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იურიდიული ნორმის განხორციელება სამართლის სპეციფიური საშუალებით შეუძლებელია, რადგან სასჯელს ან აღსრულებას ადგილი აქვს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც სამართლის ნორმა უკვე დარღვეულია; მაგრამ იძულება ესმით უმთავრესად არა ფიზიკური, არამედ ფსიქიური იძულების მნიშვნელობით; ამ მნიშ-

[1]) Ib. 211.

ვნელობითაც იძულების თეორია სწორი არაა, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა ფსიქიური იძულება ვერ აღწევს თავის მიზანს, სამართლის ნორმა კი, მიუხედავად ამისა, არ კარგავს თავის სპეციფიურ ხასიათს; ეს ხდება ყველა სამართლის დარღვევის შემთხვევებში; სამართლის ნორმა საერთოდ სწორედ მაშინ იწყებს თავის სპეციფიურ ფუნქციას, როდესაც მან სუბიექტზე გავლენა ვერ მოახდინა; იძულების თეორიის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი სამართლის ნორმის საშუალებით განსახორციელებელ სოციალურ მიზანს, ე. ი. მოტივაციის გზით მართლზომიერი ყოფაქცევის გამოწვევას, სთვლის ფორმალური სამართლის თვისებად; მაგრამ იძულების ფაქტიური გამოყენება სამართლისათვის უმნიშვნელოა. იურიდიული თვალსაზრისით სამართლის ნორმის ძირითად ფუნქციას შეადგენს რეაქცია სამართლის დარღვევის წინააღმდეგ. იურისტისათვის სამართლის ნორმის მიზანი არის სახელმწიფოს ნებისყოფა: სასჯელი ან აღსრულება; ეს მიზანი მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა სოციალური მიზანი შეუსრულებელი რჩება. თუ სამართლის ნორმას მივაწერთ ორგვარ მიზანს: ფსიქიურ იძულებას, რომელიც ცნობილია გენერალური პრევენციის სახელწოდებით და რეაქციას სამართლის დარღვევის წინააღმდეგ, რომელსაც ეწოდება სპეციალური პრევენცია, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამ ორ მიზანს შორის მხოლოდ უკანასკნელს აქვს იურიდიული მნიშვნელობა, რადგან მხოლოდ იგი შეადგენს სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსს; მხოლოდ ამ ორი მიზნის სოციალური და იურიდიული ბუნებისა და აგრეთვე მიზნის ორი სხვადასხვა სუბიექტის—საზოგადოებისა და სახელმწიფოს—მკვეთრი განსხვავებით შეგვიძლია დავძლიოთ წინააღმდეგობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სამართლის ნორმა თავის იურიდიულ მიზანს ასრულებს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ვერ აღწევს თავის სოციალურ მიზანს[1].

გარდა ამისა, ფსიქიური იძულების ფაქტიური გამოყენების მიჩნევა სამართლის არსებით ნიშნად ეწინააღმდეგება თავისუფალი ნებისყოფის ცხებას, თუ კი ნებისყოფა გაგებულია ფსიქიური აქტის მნიშვნელობით. Bierlingს მოჰყავს ეს არგუმენტი ფსიქოლოგიური იძულების თეორიის წინააღმდეგ; იგი მიუთითებს, რომ ნორმების თავისუფლად შესრულებისა და ამავე დროს ნორმების იძულებით შესრულების დაშვება ლოღიკურად შეუძლებელია. მაგრამ ამ არგუმენტს ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი, როგორც თვითონ Bierlingი, მივაწერთ თავისუფლების თვისებას ნებისყოფას ფსიქიური აქტის მნიშვნელობით; ეს კი, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, ფსიქოლოგიურად დაუშვებელია; ვინაიდან არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ნორმას, რომელიც ემუქრება სამართლის დამრღვევს მავნე შედეგებით, შეუძლია მოახდინოს ადამიანზე ფსიქიური იძულება; პირიქით, სამართლის სოციალური მიზანი სწორედ ესაა. ნორმის მიერ გამოწვეული მოტივაცია, რომელიც წარმოადგენს ფაქტიურ, კაუზალურად დაკავშირებულ მოვლენას, უეჭველად არის „იძულება", რადგან იგი ერთ რომელიმე მიზეზს უკავშირებს მის აუცილებელ შედეგს. ამიტომ Bierlingი ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნორმის მოტივაცია არ ნიშნავს იძულებას. მთელ მის არგუმენტაციას

---

[1]) Ib. 215.

იძულების თეორიის წინააღმდეგ ეკარგება საფუძველი. მიუხედავად ამისა, იძულების თეორია მაინც მცდარია, მაგრამ სულ სხვა მოსაზრების გამო. ეს მოსაზრება მოყვანილია ზემოთ, სადაც დახასიათებული იყო იმ შეხედულების ნაკლი, რომელიც არ ასხვავებს ნორმის ფაქტიურ შესრულებას ნორმის სავალდებულობისაგან, ე. ი. არ ასხვავებს კაუზალურ და ნორმატიულ მეთოდებს; ფსიქოლოგიური იძულების თეორიის სუსტ მხარეს შეადგენს ის, რომ იგი იძულების გამოყენებას, ე. ი. ფაქტიურ სინამდვილიდან ამოღებულ თვისებას მიაწერს იურიდიულ ნორმას, რომლის ბუნებას მხოლოდ წმინდა ვალდებულება შეადგენს. ფსიქოლოგიური იძულების თეორია ხ ს ნ ი ს (erklärt) სუბიექტების მართლზომიერ ყოფაქცევას: ეს ყოფაქცევა მას წარმოდგენილი აქვს, როგორც განსაზღვრული მიზეზის შედეგი. ამით იგი უარჰყოფს იურიდიულ მეთოდს და გადადის ე ქ ს პ ლ ი კ ა ტ ი უ რ ი სოციოლოგიის სფეროში, რომლის საგანს ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ი ზ ნ ე ბ ი შეადგენენ და რომელიც ფორმალური იურისპრუდენციის გარეთ მდებარეობს [1].

იძულების მომენტის მნიშვნელობა ობიექტური სამართლისათვის არ ირკვევა, მაშასადამე, ამ საკითხის გადაჭრით: ფიზიკური თუ ფსიქიური იძულების საშუალებით წარმოებს ნორმების შესრულება? იურიდიული მეცნიერებისათვის ერთად ერთი რელევანტური საკითხი შემდეგია: სახელმწიფოს ნებისყოფის გამომსახველი იურიდიული ნორმა — რამდენადაც იგი აწესრიგებს ქვეშევრდომთა ყოფაქცევას — უკავშირებს სახელმწიფოს მოქმედებას (ე. ი. სასჯელს ან აღსრულებას) განსაზღვრულ პირობებს, თუ არა? Kelsenს უდავოდ მიაჩნია ის აზრი, რომ იურიდიულ ნორმაში გამოთქმული სახელმწიფოს ნებისყოფა ფორმალურად ყოველთვის მიმართულია მხოლოდ სახელმწიფოს საკუთარ მოქმედებაზე; იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მოქმედება შეეხება ქვეშევრდომებს, იგი გამოიხატება ორი სახით: სასჯელისა და აღსრულების; ორივე წარმოადგენს იურიდიული ნორმის შესრულების გარანტიას; მაგრამ ამოიწურება ამ ორი სახით სამართლის გარანტიები, თუ არა? Kelsenი ფიქრობს, რომ ეს აუცილებელი არაა; სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს სხვა საშუალებასაც. იურიდიული ნორმა არ კარგავს თავის ფორმალურ ხასიათს და ამავე დროს აღწევს თავის სოციალურ მიზანს, ე. ი. იწვევს ქვეშევრდომთა სათანადო ყოფაქცევას, მაშინაც, როდესაც იგი აწესებს ჯილდოს, რაიმე სარგებლობას; ძველი კანონმდებლობა, მართლაც, იძლევა ამის მაგალითებს, მაგრამ თანამედროვე კანონმდებლობა იშვიათად მიმართავს ასეთ საშუალებას; ეს აიხსნება იმით, რომ თუმცა სარგებლობის წარმოდგენას პრინციპიალურად აქვს იგივე მოტივაციის შესაძლებლობა, რაც თავიდან ასაცილებელ მავნებლობის წარმოდგენას, მაგრამ პირველი მაინც ქვანტიტატიურად ნაკლებ გავლენას ახდენს, ვინაიდან ადამიანი უფრო ადვილად ცდილობს თავიდან აიცილოს მავნე შედეგი, ვიდრე მოიპოვოს სარგებლობა. გარდა ამისა ის სარგებლობა, რომლის მიწოდება შეუძლია სახელმწიფოს, ისეთი მნიშვნელოვანი არაა, როგორც მავნებლობა, რომლის მიყენება მას შეუძლია და რომელიც ზოგჯერ მიდის პიროვნების სრულ მოსპობამდე, ე. ი. სიკვდილით დასჯამდე.

[1] Ib. 216.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სარგებლობის, როგორც იურიდიული ნორმის გარანტიის, დაწესება არ ჰქმნის ქვეშევრდომთა იურიდიულ მოვალეობას; მაგალითად, როდესაც სახელმწიფო ჰპირდება მოქალაქეს რაიმე ჯილდოს, იგი ამით არ აწესებს არავის მოვალეობას; მაგრამ, როდესაც იგი ემუქრება მოქალაქეებს მავნე შედეგებით, მაშინ, სათანადო ყოფაქცევის მოვალეობა, რასაკვირველია, წესდება[1].

ამგვარად, სახელმწიფოს ნებისყოფის საგანი ქვეშევრდომების მიმართ არის ან სისხლის ან სამოქალაქო სამართლის სანქცია, ე. ი. სასჯელი ან აღსრულება; იგი აუცილებლად შედის იმ იურიდიული ნორმების შემადგენლობაში, რომლებიც აწესებენ ქვეშევრდომთა მოვალეობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სუბიექტების ყოფაქცევის ერთად ერთი მოტივი არის შიში იმ მავნე შედეგებისა, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მოქმედებასთან.

უნდა ითქვას, რომ Kelsenის შეხედულებით, ფსიქიური მოტივები ისე, როგორც თვით ფაქტიური ყოფაქცევა ფორმალური, იურიდიული თვალსაზრისით ინტერესს არ წარმოადგენენ. თუ, მიუხედავად ამისა, Kelsenი მაინც ლაპარაკობს მოტივაციის, ნორმისა და ყოფაქცევის მიზეზობრივი კავშირის შესახებ, ეს აიხსნება იმით, რომ ამ შემთხვევაში იგი გადადის ტელეოლოგიურ მეთოდზე, რომლითაც სარგებლობს იმპერატივის თეორია და ცდილობს დაამტკიცოს ამ თეორიის ნაკლი მისი საკუთარი მეთოდის საშუალებით; წმინდა იურიდიული თვალსაზრისით კი, Kelsenის აზრით, ეს ტელეოლოგიური მეთოდი, რასაკვირველია, სწორი არაა.

რომ ყოფაქცევის მოტივებს სამართლისათვის არა აქვთ მნიშვნელობა, ამას Kelsenი ამტკიცებს იმ მოსაზრებით, რომ მოტივების გამორკვევა კერძო შემთხვევებში საერთოდ შეუძლებელია და აგრეთვე იმით, რომ ადამიანის ყოფაქცევა რამდენადაც იგი მართლზომიერია, იურისპრუდენციას არ აინტერებს; საერთოდ ყოფაქცევა მხოლოდ მაშინ შედის სამართლის სფეროში, როდესაც იგი არღვევს სამართალს.

მოტივები შეიძლება იქნეს მრავალგვარი სახისა; ხშირად სამართლის ნორმები ახორციელებენ იმავე მიზნებს, რაც ზნეობა, სარწმუნოება და ზნე-ჩვეულება; ერთიდაიგივე ყოფაქცევა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ შეიძლება ეთანხმებოდეს, როგორც სამართლის, ისე ზნეობის მოთხოვნას; ასეთია, მაგალითად, დაპირების, ხელშეკრულების შესრულება. მაგრამ, როგორც სუბიექტურად შესრულებული, მიჩნეული უნდა იქნეს მხოლოდ ის ნორმა, რომელიც შეადგენდა ყოფაქცევის მოტივს[2]. ვინც აბრუნებს მიბარებულ ნივთს ზნეობრივი ან სარწმუნოებრივი გრძნობის ზეგავლენით, მოქმედებს ისე, რომ მისი მოქმედება ერთდაიმავე დროს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ეთანხმება სამართალს, ზნეობასა და სარწმუნოებასაც, ხოლო ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ იგი ასრულებს ზნეობრივ ან სარწმუნოებრივ ბრძანებას. აქედან ცხადია, რომ სამართლის ნორმა სუბიექტურად სრულდება მაშინ, როდესაც ადამიანი მოქმედებს სასჯელისა ან აღსრულების შიშით. Kelsenი ასხვავებს, მაშასა-

---

[1]) Ib 218.

[2]) ib. 220.

დამე, ორ ცნებას: ნორმის სუბიექტურ შესრულებასა და ობიექტურ თანხმობას ნორმასთან. ეს განსხვავება Kelsenმა გამოიყენა იმპერატივის თეორიის წინააღმდეგ. იმპერატივის თეორია, ამბობს იგი, ამტკიცებს, რომ იურიდიული ნორმების შესრულება მარტოოდენ სასჯელისა და აღსრულების საშუალებით უზრუნველყოფილი არაა; იგი უზრუნველყოფილია აგრეთვე სხვა სოციალური ძალებით; ამიტომ იურიდიული ნორმები, იძულებითი ნორმები (Zwangsnormen) კი არ არიან, არამედ გარანტიაქმნილი ნორმებია (garantierte Normen). იძულების ვიწრო ცნების ადგილს აქ იკავებს „გარანტიის" ფართო ცნება. ამ შეხედულების ნაკლი, Kelsenის აზრით, იმაშია, რომ იგი იურიდიულ ნორმასთან ობიექტურ თანხმობასა და ამ ნორმის სუბიექტურ შესრულებას სთვლის ერთდაიმავე მოვლენად; სუბიექტურად ზნეობრივი, სარწმუნოებრივი ან სხვა არაიურიდიული მოტივით გამოწვეულ ყოფაქცევას, რომელიც ობიექტურად ეთანხმება სამართლის ნორმას, იგი სთვლის სამართლის ნორმის შედეგად. მაგრამ ცნებების ამგვარი აღრევა დაუშვებელია. ზნეობრივი და სარწმუნოებრივი მოტივები ყოველთვის უზრუნველჰყოფენ მხოლოდ ზნეობრივი და სარწმუნოებრივი ნორმების და არა იურიდიული ნორმების შესრულებას. გარდა ამისა, ამ შეხედულებას აქვს უფრო ღრმა ნაკლი, რომელიც მეთოდოლოგიური ხასიათისაა. ეს ნაკლია იმის წარმოდგენა, რომ სამართლის ნორმის შინაგან ბუნებას თითქოს შეადგენს ნორმის უზრუნველყოფა, ე. ი. შესრულების მოტივებისა და ამასთან ერთად ნორმის ფაქტიური შესრულების საჭიროება. მაგრამ, როგორც იყო არაერთხელ აღნიშნული, ფსიქიურ ფაქტებს, როგორიცაა მოტივაცია და ნორმის უზრუნველყოფა, იურისპრუდენციისათვის მნიშვნელობა არა აქვთ; ისინი სოციოლოგიის საკითხებს შეადგენენ. თვით სამართლის სპეციფიური გარანტიები—სასჯელი და აღსრულება—იურისტს არ აინტერესებენ, როგორც მართლზომიერი ყოფაქცევის მოტივები; ისინი იურისტს აინტერესებენ, ერთის მხრივ, ფორმალურად, როგორც სახელმწიფოს ნებისყოფა, მეორეს მხრივ კი, მატერიალურად, როგორც რეაქცია სამართლის დარღვევის წინააღმდეგ [1].

იმპერატივის თეორია სამართლის გარანტიებს შორის განსაკუთრებით ასახელებს შემდეგს: სახელმწიფოს ავტორიტეტისადმი პატივისცემას [2]. სახელმწიფოს პიროვნება აქ წარმოდგენილია, როგორც ძლიერებით აღჭურვილი ავტორიტეტი, რომელიც ბრძანებისა ან აკრძალვის საშუალებით იწვევს ქვეშევრდომთა სათანადო ყოფაქცევას; ასეთი შეხედულება ბუნებრივად გამომდინარეობს იმპერატივის თეორიიდან. ამ თეორიის მიხედვით, დამოკიდებულება სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტებს შორის ბატონობისა და ქვემდებარეობის დამოკიდებულებაა; იგი დამყარებულია სახელმწიფოს ფაქტიურ ძლიერებაზე. სახელმწიფო ბატონობს თავის ქვეშევრდომებზე; იგი სუბიექტია იმ მიმართებისა, რომელშიაც სხვა სუბიექტებს აქვთ მხოლოდ ობიექტების მნიშვნელობა. მაგრამ იურიდიული ნორმა მხოლოდ სოციოლოგისათვის წარმოადგენს ბრძანებას, იურისტისათვის კი ის სახელმწიფო ნებისყოფის ფორმალური გამოხატულებაა. ბრძანება არის ბატონო-

[1]) Ibid. 224.

[2]) „die Achtung vor der Autorität des Staates." 224.

ბის ფუნქცია; იგი ფაქტიური ძალის დამოკიდებულების (Machtverhältnisse) ნაყოფია. სახელმწიფო ბატონობს იმდენად, რამდენადაც იგი ახდენს მოტივაციურ გავლენას; სახელმწიფოს ბატონობა არის სინამდვილეში მუდმივი მოტივაციის მდგომარეობა. მაგრამ იურისტისათვის ამ სოციალ-ფსიქიურ ფაქტს მნიშვნელობა არა აქვს; მისთვის სახელმწიფო არ წარმოადგენს ავტორიტეტს: იგი წარმოადგენს მხოლოდ პიროვნებას, ე. ი. უფლებისა და მოვალეობის სუბიექტს; ამაზეა დამოკიდებული ყოველივე იურიდიული კონსტრუქცია. ამით უარჰყოფილია ის შეხედულება, რომ სახელმწიფოს და სხვა სუბიექტების დამოკიდებულება ბატონობის დამოკიდებულებაა, რადგან, როგორც უფლებისა და მოვალეობის სუბიექტი, სახელმწიფო აუცილებლად გათანასწორებული უნდა იქნეს ყველა დანარჩენ სუბიექტებთან [1]. Kelsenის აზრით, აშკარა წინააღმდეგობა იქნებოდა იმის დაშვება, რომ სახელმწიფო იურიდიული თვალსაზრისით ერთდაიმავე დროს პიროვნებაცაა და ბატონობის სუბიექტიც (Herrschaftssubjekt), რადგან პირველ შემთხვევაში სახელმწიფოს სხვა სუბიექტების მიმართ ექნებოდა უფლება და მოვალეობა, მეორე შემთხვევაში კი იგი წარმოადგენდა ქვეშევრდომებზე გაბატონებულ ძალას. ყოველივე ზე-და ქვემდებარეობა (Über und Unterordnug), ყოველივე ბატონობის დამოკიდებულება წმინდა ფაქტიური ბუნებისაა და იურიდიული ფორმალისტიკის საშუალებით არ გამოითქმება. ყველა ასეთი დამოკიდებულება იურიდიულად უმნიშვნელოა, ვინაიდან სამართალი არ იცნობს არავითარ სხვა დამოკიდებულებას, გარდა მოვალეობისა და უფლებისა.

თუ გვსურს გავიგოთ სახელმწიფოს დამოკიდებულება სხვა სუბიექტებთან, სახელმწიფო არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მბრძანებელი და სუბიექტები კი, როგორც შემსრულებელი, არამედ ორივეს მხრივ უნდა ვიგულისხმოთ იურიდიული მოვალეობა. სუბიექტი, რომელიც მოქმედობს მართლზომიერად, ასრულებს თავის მოვალეობას; მოვალეობის შეუსრულებლობა კი წარმოშობს პირობებს, რომლებსაც უკავშირდება სახელმწიფოს მოქმედება—სასჯელი ან აღსრულება; ეს უკანასკნელი მოქმედება შეადგენს თვით სახელმწიფოს მოვალეობას [2].

იურისტისათვის ადამიანის ყოფაქცევას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი წარმოადგენს პირობას, რომელსაც უკავშირდება სახელმწიფოს ნებისყოფა, გამოხატული სასჯელის ან აღსრულების სახით. მხოლოდ ამ ფორმალურის მხრივ იურისტი ღებულობს მხედველობაში სამართალსა და უსამართლობას. იურიდიული ნორმა იურისტისათვის მხოლოდ იმ პირობების მაჩვენებელია, რომლებსაც სახელმწიფოს ნებისყოფა უკავშირდება და არა რაიმე ძალის ბრძანება [3].

ზემოთ მოყვანილი დებულების შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ უარჰყოფს Kelsenი იმპერატივის თეორიას; Kelsenის აზრით, იურიდიული ნორმის ჩამოყალიბება იმპერატივის ლოღიკურ ფორმაში დაუშვებელია; იმპერატიულ

[1]) „Denn als Subjekt von Rechten und Pflichten ist er den übrigen Subjekten notwendig gleichgeordnet, nicht übergeordnet" 226.

[2]) Ib. 227.

[3]) Ib. 228.

ფორმაში გამოიხატება სწორედ ის დამოკიდებულება, რომელსაც იურიდიული თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა, ე. ი. ბატონობისა და ქვემდებარეობის დამოკიდებულება. „იმოქმედე ასე", „არ იმოქმედო"—ამ სიტყვებში გამოიხატება ძალა. იურიდიული ნორმა კი ძალას არ გამოხატავს; იგი მხოლოდ აღნიშნავს იმ პირობებს, რომლებსაც უკავშირდება სახელმწიფოს ნებისყოფა; იურიდიული ნორმა წარმოადგენს ჰიპოთეტიურ მსჯელობას: „თუ მოიქცევი ასე, სახელმწიფო იმოქმედებს ასე". ეს ფორმა არ გამოსთქვამს ბატონობის დამოკიდებულებას, რომელიც, ეჭვს გარეშე, არსებობს, მაგრამ იურიდიულად უმნიშვნელოა [1].

ამგვარად, სამართლის ნორმა ჰიპოთეტიური მსჯელობაა, რომელშიაც გამოთქმულია სახელმწიფოს ნებისყოფა. იურიდიულ ნორმათა შეერთება წარმოადგენს სამართლის წყობილებას (Rechtsordnung). აქ ბუნებრივად იბადება საკითხი: რა დამოკიდებულებაა სახელმწიფოსა და სამართლის წყობილებას შორის? იდენტურია ეს ორი ცნება, თუ მათ შორის არსებობს რაიმე განსხვავება? Kelsenის აზრით, სამართლის წყობილება სახელმწიფოსთან იდენტური არაა. სახელმწიფო არის პიროვნება, ხოლო სამართლის წყობილება წარმოადგენს იურიდიულ ნორმათა, ე. ი. მსჯელობათა, შეერთებას (Inbegriff von Urteilen). სამართლის წყობილებაში გამოიხატება სახელმწიფოს ნებისყოფა, ე. ი. სახელმწიფო, როგორც პიროვნება, რომელიც იურიდიულად თანასწორია სხვა სუბიექტებთან. როდესაც სახელმწიფო ასრულებს თავის მოვალეობას, იგი იმგვარადვე „ექვემდებარება" (steht „unter") სამართლის წყობილებას, როგორც ყოველივე სხვა სუბიექტი მისი მოვალეობის შესრულების დროს. ამგვარი გაგება იმ დამოკიდებულებისა, რომელიც არსებობს სახელმწიფოს პიროვნებასა და სხვა სუბიექტებს შორის, თავის ლოღიკურ გამოხატულებას ჰპოულობს იურიდიული ნორმის იმ ფორმულაში, რომელშიაც სუბიექტების მოქმედება შეადგენს სახელმწიფოს მოქმედების პირობას („ein Verhalten der Rechtssubjekte als Voraussetzung für ein Verhalten des Staates erscheint"), ე. ი. ჰიპოთეტიურ მსჯელობაში, რომელიც სუბიექტების სამართლის საწინააღმდეგო ყოფაქცევას უკავშირებს სახელმწიფოს მოქმედებას (სასჯელს ან აღსრულებას) [2].

Kelsenი ასხვავებს იურიდიული ნორმის „შესრულებას" („Befolgung") და „გამოყენებას" („Anwendung"); ამ ორგვარი დამოკიდებულებით ინდივიდებთან იურიდიული ნორმა განსხვავდება ზნეობისა ან ზნე-ჩვეულების ნორმებისაგან; ზნე-ჩვეულების ან ზნეობრივი ნორმების გამოყენება შეუძლებელია იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ის განსაკუთრებული გარეგანი აპარატი, რომელიც შეადგენს ობიექტური სამართლის ძირითად თვისებას, ე. ი. სახელმწიფო მისი ორგანოებით; სამართლის სახელმწიფოებრივი ბუნება აშკარავდება იმაში, რომ იურიდიული ნორმების არსებობაზე, ზნეობრივი და ზნე-ჩვეულების ნორმების გვერდით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც არსდება სასამართლო, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრიმიტიულ ფორმას; მხოლოდ ამ

[1]) Ib. 228.
[2]) Ib. 233, 234.

დროიდან ნორმა, რომელიც, მაგალითად, აკრძალავს მკვლელობას ან ქურდობას, კარგავს ზნეობრივი ან ზნე-ჩვეულების წესის ხასიათს. თუ მივიღებთ მხედველობაში, ამბობს Kelseno, იმ ნორმებს, რომლებიც აწესებენ ქვეშევრდომთა მოვალეობას, უნდა დავეთანხმოთ იმ პრინციპს, რომლის მიხედვით სამართალი უსასამართლოდ შეუძლებელია. სასამართლო, როგორც გარეგანი ორგანიზაციის სიმბოლო, იმდენად აუცილებელია სამართლისათვის, რომ ყველა ნორმებიდან, რომლებსაც ემორჩილება და ასრულებს საზოგადოება, მხოლოდ ის ნორმები უნდა იქნეს მიჩნეული იურიდიულ ნორმებად, რომლებიც გამოიყენება სასამართლოების მიერ; რთულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში იგივე ითქმის სხვა სახელმწიფო ორგანოების შესახებ.

იურიდიული ნორმის გამოყენება სასამართლოს საშუალებით გამოიხატება თავდაპირველად მხოლოდ სასჯელში, შემდეგ კი — აღსრულებაშიც. იურიდიული ნორმა გამოიყენება მაშინ, როდესაც იგი ფორმალურად შეიცავს სასჯელსა ან აღსრულებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება ასრულებდეს იმავე მიზანს, რაც ზნეობა ან ზნე-ჩვეულება, მისი ლოღიკური, მისი თავისებური ბუნების გამომხატველი იდეალური სიტყვიერი ფორმა უკვე არაა იმპერატივი, არამედ ჰიპოთეტიური მსჯელობაა, რომელიც საზოგადოების წევრის განსაზღვრულ ყოფაქცევას სასამართლოს საშუალებით მავნე შედეგებს უკავშირებს. საკითხი იმის შესახებ, არის იურიდიული ნორმა იმპერატივი, თუ ჰიპოთეტიური მსჯელობა, იგივეა, რაც საკითხი ნორმის იდეალური ფორმის ანდა ობიექტური სამართლის ბუნების შესახებ; რასაკვირველია, იმ სიტყვებს, რომლებშიაც გამოთქმულია კონკრეტი იურიდიული დადგენილება ამ პრობლემის გადაჭრისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. იურიდიული ნორმის კონსტრუქცია გამოყვანილი უნდა იქნეს კანონების შინაარსიდან; ამ კონსტრუქციისათვის საჭირო ელემენტები ხშირად ერთდაიმავე კანონში მოთავსებული არაა; მაშინ ისინი გამოყვანილი უნდა იქნენ სხვადასხვა კანონებიდან [1].

იურიდიული ნორმის იდეალური ფორმა უფრო ნათლად გამოიხატება სისხლის სამართლის კოდექსებში: აქ თვით კანონის სიტყვებში ყოველივე სასჯელი უშუალოდ დაკავშირებულია სამართლის დარღვევასთან. სამოქალაქო სამართლის კოდექსების ტექნიკა კი სხვაა; სამოქალაქო სამართლის კანონში მოთავსებულია მხოლოდ ის შემადგენლობა, რომელსაც უკავშირდება აღსრულება, აღნიშნული ცალკე კოდექსში; ეს განსხვავება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ტექნიკაში აიხსნება იმით, რო სამოქალაქო სამართლის დარღვევის ყველა სახეებს აქვთ ერთი და იგივე საყოველთაო შედეგი: აღსრულება (Exekution). ამიტომ ზედმეტი იქნებოდა ამ შედეგის აღნიშვნა ყოველივე სამოქალაქო სამართლის დარღვევის კონკრეტულ შემთხვევაში. ამ მოსაზრებით საერთო ელემენტის გამოყოფა მატერიალური სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან და მისი მოთავსება ცალკე კოდექსში პრაქტიკულად მიზანშეწონილია. სისხლის სამართალი განსხვავდება სამოქალაქო სამართლისაგან იმით, რომ მისი დარღვევის შედეგები თავისი სახით და ზომით მრავალგვარია; სასჯელი მხოლოდ საერთო

1) Ib. 237.

ცნებაა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მავნე შედეგებს, როგორიცაა, მაგალითად, ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა, სიკვდილით დასჯა და სხვა. ყოველივე დელიქტს უკავშირდება თავისი განსაკუთრებული სასჯელი. სისხლის სამართლის ბუნება მოითხოვს სპეციალურ სანქციას; სამოქალაქო სამართალი კი იცნობს გენერალურ სანქციას. მხოლოდ ამ სანქციებთან დაკავშირებით სამოქალაქო და სისხლის სამართლის დადგენილებანი შეადგენენ სამართლის წყობილების ნაწილს; მხოლოდ სანქციის მიხედვით კოდექსის რომელიმე დადგენილება შედის ქვეშევრდომთათვის სავალდებულო იურიდიული ნორმის შემადგენლობაში[1]. აქედან ცხადია, თუ რა დიდ მნიშვნელობას მიაწერს Kelsenი იურიდიული ნორმის იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდება სანქცია. სანქციის ორ ფორმაში—სასჯელსა და აღსრულებაში — გამოიხატება სახელმწიფოს ნებისყოფა. ეს უკანასკნელი კი შეადგენს Kelsenის თეორიის არსებით მომენტს.

ამგვარად იურიდიული ნორმა თავისი ლოღიკური აგებულობით ჰიპოთეტიური მსჯელობაა. ყველა იურიდიულ ნორმებს Kelsenი ჰყოფს ორ მთავარ ჯგუფად:

1. იურიდიული ნორმა ფართო მნიშვნელობით (Rechtssatz im weiteren Sinne) და

2. იურიდიული ნორმა ვიწრო მნიშვნელობით (Rechtssatz im engeren Sinne).

რა განსხვავებაა მათ შორის?

ყოველივე ნორმა, რომელიც გამოსთქვამს სახელმწიფოს საკუთარი მოქმედების სურვილს, არის იურიდიული ნორმა ფართო მნიშვნელობით იგი აწესებს სახელმწიფოს მოვალეობას, რომლის საგანია თვით სახელმწიფოს მოქმედება, მაგალითად, რკინის გზის გაყვანა, ღარიბების დახმარება, არჩევნების მოწყობა და სხვა; იურიდიული ნორმა ფართე მნიშვნელობით, აწესებს მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობას. მაგრამ არის სხვაგვარი ნორმებიც. ის ნორმები, რომლებიც გამოსთქვამენ სახელმწიფოს ნებისყოფას, მიმართულს დასჯაზე ან აღსრულებაზე (zu strafen oder zu exequieren), აწესებენ არა მარტოოდენ სახელმწიფოს მოვალეობას, არამედ აგრეთვე სხვა სუბიექტების მოვალეობასაც; სხვა სუბიექტებს აქვთ მოვალეობა შეასრულონ ის მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რაც იურიდიულ ნორმაში აღნიშნულია, როგორც სამართლის დარღვევის შედეგების პირობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, სავალდებულოა ისეთი მოქმედება, რომელიც არ იწვევს სამართლის დარღვევის შედეგს. ეს ნორმები ადგენენ, სახელმწიფოს მოვალეობის გარდა, ქვეშევრდომთა მოვალეობასაც; ისინი შეადგენენ ნორმებს ვიწრო მნიშვნელობით. მაშასადამე, ყოველივე ნორმა აწესებს სახელმწიფოს მოვალეობას, ხოლო ზოგიერთი ნორმები ადგენენ სხვა სუბიექტების მოვალეობასაც[2].

---

[1]) Ib. 240.

[2]) „Jeder einen Willen des Staates zu eigenem Verhalten statuierende Satz ist Rechtssatz im weiteren Sinne; er normiert die Pflicht des Staates zu diesem Verhalten, z. B. die Pflicht des Staates, Eisenbahnen zu bauen, Arme zu unterstützen..... Jene Rechtssätze nun, die den Willen des Staates, zu strafen und zu exequiren, kurz eine Unrechtsfolge zu verhängen, beinhalten, statuieren nicht nur eine Pflicht des Staates, zu strafen und zu exequieren, sondern auch eine

ამ კონსტრუქციით, რომლის მიხედვით ყოველივე იურიდიული ნორმა ამყარებს სახელმწიფოს მოვალეობას, სხვა სუბიექტების მოვალეობა კი გამოიყვანება არა ყველა ნორმებიდან, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ნორმებიდან, Kelsenი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მთელ სამართალს აქვს სახელმწიფოებრივი ბუნება, რაც იგივეა, რომ სახელმწიფოს აქვს იურიდიული ბუნება. ეს შეხედულება იმ პრინციპის შედეგია, რომლის თანახმად მთელი სამართალი წარმოადგენს სახელმწიფოს ნებისყოფას. სამართლის სახელმწიფოებრივი ბუნება და სახელმწიფოს იურიდიული ბუნება მატერიალურად არ გულისხმობენ რაიმე განსხვავებას; ისინი ერთისა და იმავე მოვლენის სხვადასხვა მხარეებია; შინაარსის მხრივ, და არა ფორმალურად, სახელმწიფო და სამართალი ერთიდაიგივეა .

აღნიშნული კონსტრუქცია გამომდინარეობს სამართლის ობიექტურ გაგებიდან. ამიტომაც, ამბობს Kelsenი, იგი გამოიწვევს წინააღმდეგობას ცივილისტების მხრივ, რადგან ჩვენს დროში სამოქალაქო სამართლის კონსტრუქცია და საერთოდ კერძო და საჯარო სამართლის მთელი განსხვავება დამყარებულია სუბიექტური უფლებებისა და არა იურიდიული ნორმების დაყოფაზე, ე. ი. სამართლის სუბიექტურ გაგებაზე. თანამედროვე თეორიაში მიღებული სამართლის დაყოფა ორ მთავარ დარგად—კერძო და საჯარო სამართლად,—რომელიც რომის სამართლიდან არის გადმოტანილი, დაუკმაყოფილებელია. ამ დაყოფის კრიტერიუმი უკვე იმიტომაა გამოუსადეგარი, რომ მთელი ობიექტური სამართალი ემსახურება საჯარო ინტერესებს და, თუ მივიღებთ კანონმდებელის თვალსაზრისს, მხოლოდ ამ მიზნით არის დაწესებული; მეორეს მხრივ, კერძო ინდივიდის თვალსაზრისით, ყოველივე ნორმა შეიძლება გამოყენებული იქნეს კერძო ინტერესის მიზნით; ამგვარად, თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული კერძო და საჯარო სამართლის დაყოფა დამყარებულია არა ობიექტურ სამართალზე, არამედ მხოლოდ თვალსაზრისის (Betrachtungsweisen der Rechtssätze) განსხვავებაზე [1].

ამ გაბატონებული დაყოფის წინააღმდეგ Kelsenი იძლევა ობიექტური სამართლის თავისებურ სისტემას. თანამედროვე სამართლის სისტემატიკა მატერიალურია, რადგან დაყოფის პრინციპად მას მიღებული აქვს მიზნის მომენტი. იურიდიულ კონსტრუქციაში კი, Kelsenის აზრით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მატერიალური მომენტის შეტანა დაუშვებელია. თვითონ Kelsenის სისტემატიკა წმინდა ფორმალურია; იგი ჰყოფს იურიდიულ ნორმებს ორ ჯგუფად: 1. ნორმები, რომლებიც აკისრებენ მოვალეობას სახელმწიფოს და 2. ნორმები, რომლებიც აკისრებენ მოვალეობას (verpflichten) სხვა სუბიექტებს. თუკი პირველ ჯგუფს ვუწოდებთ სახელმწიფო სამართალს, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ

Rechtspflicht der übrigen Subjekte, die Rechtspflicht derselben zu jenem Verhalten, das zu dem als Voraussetzung der Unrechtsfolge im Rechtssatze bezeichneten in einem kontradiktorischen Gegensatze steht und bei dessen Erfolg die Unrechtsfolge nicht einzutreten hat. Diese Normen sind Rechtssätze im engeren Sinne..... jeder Rechtssatz statuiert somit eine Pflicht des Staates, gewisse Rechtssätze auch Pflichten der übrigen Subjekte." 251.

[1]) Ib. 253, 269.

მთელი სამართალი სახელმწიფო სამართალია, რომ სახელმწიფო სამართალი წარმოადგენს ფართო ცნებას, რომელიც შეიცავს ყველა იურიდიულ ნორმებს. მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო სამართლის ცნებას მივაწერთ ამ ფართო მნიშვნელობას, სახელმწიფოსა და სამართლის სპეციფიური დამოკიდებულება სწორად იქნება გამოსახული [1].

იურიდიული ნორმების ის ჯგუფი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ნებისყოფას, მიმართულს დასჯაზე ან აღსრულებაზე, და რომელიც აწესებს, სახელმწიფოს მოვალეობის გარდა, ქვეშევრდომთა მოვალეობასაც, შეიცავს ობიექტური სამართლის ერთ ნაწილს, სახელდობრ, იმ ნაწილს, რომელსაც თანამედროვე სისტემატიკა უწოდებს სისხლისა და კერძო სამართალს; გაბატონებული შეხედულება უპირისპირებს სისხლისა და კერძო სამართალს სახელმწიფო სამართალს ჩვეულებრივი მნიშვნელობით, თუმცა სისხლისა და კერძო სამართლის ნორმებიც იმგვარადვე აწესრიგებენ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, როგორც კონსტიტუციური ან ადმინისტრატიული ნორმები. ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, სახელმწიფოს მოვალეობა, რომლის საგანია დასჯა ან აღსრულება, იგივეა, რაც სხვა მისი მოვალეობა, მაგალითად, ომის წარმოება, ქვეშევრდომთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა, რკინის გზების გაყვანა, ღარიბებისათვის დახმარების აღმოჩენა და სხვა. ამიტომ სისხლისა და კერძო სამართალს, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, სახელმწიფო სამართალს შორის განსხვავება არ არსებობს; ყველა ამ დარგების ნორმები აწესრიგებენ სახელმწიფოს მოქმედებას და, მაშასადამე, ყველა ისინი შედიან სახელმწიფო სამართალში ფართო მნიშვნელობით [2].

ამრიგად, Kelsenი სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული სისტემატიკის მაგივრად ღებულობს ახალს: მთელ ობიექტურ სამართალს იგი ჰყოფს იმის მიხედვით, თუ ვის მოვალეობას აწესებენ ნორმები. ამ მხრივ, Kelsenის აზრით, იურიდიულ ნორმებს ემჩნევა შემდეგი განსხვავება: ერთნი შეიცავენ მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობას; ეს ნორმებია ფართო მნიშვნელობით; ხოლო მეორენი სახელმწიფოს მოვალეობის გარდა გულისხმობენ კიდევ სხვა სუბიექტების მოვალეობასაც; ეს ნორმებია ვიწრო მნიშვნელობით.

Kelsenის მთელი მოძღვრება ობიექტური სამართლის შესახებ გამომდინარეობს იმ ძირითად დებულებიდან, რომ იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეტიური მსჯელობა, რომელშიაც გამოიხატება სახელმწიფოს ნებისყოფა; სახელმწიფოს ნებისყოფის საგანი კი შეიძლება იქნეს მხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება და არა სხვისი; ამიტომ სამართლის ნორმაში, როგორც ჰიპოთეტიურ

---

1) „Die rein formale Systematik des objektives Rechtes, die sich aus der richtig erkannten Konstruktion des Rechtssatzes ergibt, teilt die Rechtssätze nach ihrer spezifisch formalrechtlichen Funktion der Verpflichtung in solche, welche die Staatsperson und in solche, welche auch die übrigen Subjekte Verpflichten. Will man die den Staat verpflichtenden Normen Staatsrecht nennen, dann kann man sich der Erkenntnis nicht verschliessen, dass alles Recht Staatsrecht ist, dass Staatsrecht der weitere Begriff ist, der alle übrigen möglichen Arten von Rechtssätzen in sich einschliesst.“ ib. 269.

2) ib. 269.

მსჯელობაში, აღნიშნულია, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ განსაზღვრულ პირობებში; ნორმა პირობითი მსჯელობაა. ცხადია, რომ ნორმის ამგვარი კონსტრუქცია ეწინააღმდეგება იმ გავრცელებულ თეორიას, რომელსაც ეწოდება იმპერატივის თეორია. მაგრამ წარმოდგენა იურიდიულ ნორმაზე, როგორც ჰიპოთეტიურ მსჯელობაზე, იურიდიულ მეცნიერებაში Kelsenამდეც არსებობდა. Zitelmannი, მაგალითად, თავის შრომაში „Irrtum und Rechtsgeschäft" გამოსთქვამს აზრს, რომ იურიდიული ნორმა არის ჰიპოთეტიური მსჯელობა და არა იმპერატივი; ამ მხრივ Zitelmannის შეხედულება თითქოს ენათესავება Kelsenის თეორიას; Kelsenი აღნიშნავს ამ მსგავსებას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ Zitelmannისა და მის საკუთარ შეხედულებას შორის ძირითადი განსხვავებაა. Zitelmannის აზრით, იურიდიული ნორმა თავისი განვითარებული სახით ისე, როგორც ბუნებრივი კანონი, ჰიპოთეტიური მსჯელობაა, რომელიც განსაზღვრულ პირობებს უკავშირებს განსაზღვრულ იურიდიულ შედეგებს; ყოველივე იურიდიული ნორმა ამტკიცებს მიზეზობრივ დამოკიდებულებას რომელიმე ფაქტებსა და პიროვნების ვალდებულებას შორის; ნორმა ამბობს: „თუ... მაშინ შენ ვალდებული ხარ" (wenn... so sollst du). Zitelmannი უარჰყოფს იმ აზრს, რომ იურიდიული ნორმა იმპერატივია; იმპერატივის თეორიის წინააღმდეგ მას მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ნამდვილი იმპერატივი შეიცავს „ინდივიდუალურ და გადაუცემელ მომენტს," რომ იმპერატივი მსჯელობა არაა და ამიტომ არ ეკუთვნის ლოღიკას. „ნუ მოკლავ" — იმპერატივია; „შენ ვალდებული ხარ, არ მოკლა" — მსჯელობაა; „შენ" სუბიექტია, „ვალდებული ხარ..." — პრედიკატი. კანონმდებელს შეუძლია დაუკავშიროს სუბიექტს („შენ") პრედიკატი (ვალდებულება), რომელიც წინათ მას არ ეკუთვნოდა. რაც შეეხება იმ კავშირს, რომელიც არსებობს იურიდიული ნორმის ელემენტებს — ფაქტიურ შემადგენლობასა (Tatbestand) და იურიდიულ შედეგს შორის — Zitelmannს ეს კავშირი წარმოდგენილი აქვს არა როგორც ბუნებრივი კაუზალობა, არამედ როგორც კაუზალობასთან ანალოგიური თავისებური დამოკიდებულება, რომელსაც იგი ეწოდებს „იურიდიულ კაუზალობას" („juristische Kausalität"); ეს კავშირი, მისი აზრით, არაა არც მოტივაცია, არც ლოღიკური აუცილებლობა და არც ბუნებრივი კაუზალობა; იგი წარმოადგენს აუცილებლობის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ (von Menschen geschaffene Art der Notwendigkeit").

Kelsenი ეთანხმება Zitelmannს იმაში, რომ ფორმულა: „შენ ვალდებული ხარ", არის მსჯელობა და არა იმპერატივი. მაგრამ, როდესაც Zitelmannს იმპერატივის თეორიის წინააღმდეგ მოჰყავს ის მოსაზრება, რომ იმპერატივს აქვს „ინდივიდუალური და გადაუცემელი" ხასიათი, იურიდიულ ნორმას კი უნდა ჰქონდეს საყოველთაო ღირებულება და ამიტომ ის არ შეიძლება იქნეს იმპერატივი, ეს მოსაზრება Kelsenს არ მიაჩნია სწორად. მიუხედავად იმისა, ამბობს Kelsenი, რომ იმპერატივი ინდივიდიალური და გადაუცემელია, ნორმას, რომელიც გამოთქმულია იმპერატიულ ფორმაში, მაინც შეიძლება ექნეს საყოველთაო მნიშვნელობა (Geltung), ე. ი. მას შეუძლია დააწესოს მრავალ პირთა მოვალეო-

ბა. იმპერატივი შეიძლება გამოთქმული იქნეს საყოველთაო სახით: „თქვენ ყველამ იმოქმედეთ ასე, თუ ისე“ [1].

Kelsenი ამტკიცებს, რომ Zitelmannი არსებითად ეთანხმება იმპერატივის თეორიას, რომლის მიხედვით იურიდიული ნორმა გამოხატავს იმას, რომ სახელმწიფოს ჰსურს ქვეშევრდომთა განსაზღვრული ყოფაქცევა [2]; სახელმწიფო ნებისყოფა კი, როგორც ვნახეთ ზემოთ, Kelsenის შეხედულებით, არასოდეს არაა მიმართული სხვის ყოფაქცევაზე; მისი საგანი არის მხოლოდ მისი საკუთარი მოქმედება.

ამრიგად, Kelsenი ამტკიცებს, რომ Zitelmannის მიერ მოცემული იურიდიული ნორმის კონსტრუქცია შინაგანის მხრივ ენათესავება იმპერატივის თეორიას; განსხვავება მათ შორის მეორეხარისხოვანი ბუნებისაა; ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ Zitelmannი იურიდიული ნორმის ფორმულაში — „შენ ვალდებული ხარ....“ — სამართლიანად ხედავს გრამატიკულ მსჯელობას [3]. რაც შეეხება მთავარ საკითხს სახელმწიფოს ნებისყოფის შინაარსის შესახებ, ამ საკითხში იმპერატივის თეორია და Zitelmannი ეთანხმებიან ერთმანეთს: ორივე სცნობენ, რომ სახელმწიფოს ნებისყოფის საგანს შეადგენს სხვისი მოქმედება; ამ მხრივ Zitelmannის შეხედულება ეწინააღმდეგება Kelsennისას, რომელიც ზემოთ იყო დახასიათებული.

ზემოთ გამორკვეული იყო, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს Kelsenი ნებისყოფის ცნებას და რა მხრივ განსხვავდება მისი მოძღვრება იმპერატივის თეორიისაგან.

Kelsenი ნებისყოფას ეთიკო-იურიდიული მნიშვნელობით სრულიად გამოჰყოფს ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ცნებისაგან. ის, რასაც ფსიქოლოგია ნებისყოფას უწოდებს, არის ადამიანის ფსიქიური განცდა აზროვნებისა და გრძნობის გვერდით. „Dieser Wille der Ethik und Jurisprudenz, ამბობს Kelsenი, ist aber etwas völlig anderes, als dasjenige, was die Psychologie mit diesem Terminus heute bezeichnet. Was die Psychologie im Auge hat, ist eine der psychischen Tätigkeiten des Menschen neben Denken und Fühlen. Der Wille im ethisch-juristischen Sinne ist identisch mit der Gesamt Einheit, als die das Individuum für Ethik und Jurisprudenz in Betracht kommt. Willensfähigkeit und Fähigkeit, Person, d. h. Subjekt der rechtlichen und ethischen Zurechnung zu sein—Zurechnungsfähigkeit—sind eins. Der Wille der Psychologie ist eine empirisch durch Selbstbeobachtung festzustellende Tatsache, die der Welt des Seins angehört,—der Wille der Ethik und Jurisprudenz ist eine unter dem Gesichtpunkte der Norm, des Sollens vollzogene K o n s t r u k t i o n, der im realen Seelenleben des Menschen kein konkreter Vorgang entspricht“ [4]. აქედან ადვილი გასაგებია, თუ რა მოსაზრებით უპირისპირებს Kelsenი თავის შეხედულებას გავრცელებულ

[1]) Ib. 258, 259.

[2]) Ib. 261, 262.

[3]) Ib. 262.

[4]) Ib. 146.

თეორიას, რომელსაც იურიდიული ნორმა „იმპერატივად“ მიაჩნია. იმპერატივის თეორია გულისხმობს ნებისყოფას ფსიქოლოგიური მნიშვნელობით; მისთვის იურიდიული ნორმა არის ნებისყოფის გამოხატულება, რომელიც სხვის ნებისყოფისადმი არის მიმართული; ამ თვალსაზრისით სახელმწიფო ნებისყოფას ჰსურს სხვისი ყოფაქცევა, მისი მიზანია განსაზღვრული ყოფაქცევის გამოწვევა.

Kelsenი სავსებით უარჰყოფს ამ შეხედულებას. იურიდიული ნორმა მას „ჰიპოთეტიურ მსჯელობად“ მიაჩნია; ამაში ხედავს იგი სამართლის არსებით თვისებას; თავის შეხედულებას Kelsenი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „Die ausnahmlose Bedingtheit des Staatswillens in der Rechtsordnung hat zur Folge, dass der Rechtssatz als hypothetisches Urteil erkannt werden muss. Als U r t e i l darum, weil der Wille des Staates auf eigenes Verhalten und nicht fremdes gerichtet ist und nur der auf fremdes Verhalten gerichtete Wille durch einen Imperativ zum Ausdruck gebracht wird. Durch die Formulierung des Rechtssatzes als hypothetishes Urteil wurde in bewusster Weise gegen die sogenannte Imperativtheorie Stellung genommen, die den Staat im Rechtssatze nicht sein eigenes Handeln, sondern das rechtmässige Verhalten der Untertanen „wollen“ lässt[1]“. ამ სიტყვებში მოკლედ და გარკვეულად არის განსაზღვრული Kelsenის შეხედულება იურიდიული ნორმის ბუნებაზე. თავისთავად ცხადია, რომ ამგვარად გაგებული იურიდიული ნორმა იმპერატივს არ წარმოადგენს.

Zitelmannის თეორია, Kelsenის აზრით, იმპერატივის თეორიას არ ეწინააღმდეგება; თუმცა Zitelmannიც უყურებს იურიდიულ ნორმას, როგორც „ჰიპოთეტიურ მსჯელობას“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არსებითად იმპერატივის თეორიას უახლოვდება; უკვე ნაჩვენები იყო, თუ რა მოსაზრებებით ასაბუთებს Kelsenი ამ აზრს Zitelmannის შესახებ.

---

1) Ib. 255.

ს. მაკალათია.

# სეტის მეთორმეტე საუკუნის ვერცხლის სურა.

1925 წელს ზემო-სვანეთში არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მიზნით მოგზაურობის დროს მესტიაში მომეცა კეთილი შემთხვევა სხვათა შორის დამეთვალიერებინა სეტის წმ. გიორგის ეკლესიიდან გამოტანილი ზოგიერთი ნივთი, რომლებიც დღემდე დაცულია სეტელი გლეხის იაგორ ფალიანის კოშკში.



სურ. I.

ამ მიზნით მე ადგილობრივი განათლების მუშაკის გეგან გვარლიანისა და ალმასკომის თავმჯდომარის პიმენ დვალის[1] თანხლებით ვესტუმრე იაგორ ფალიანის ოჯახს და ვსთხოვე ჩემთვის ეჩვენებინა მის განკარგულებაში მყოფი სიძველეები. იაგორი ჯერ შეყოყმანდა და შემდეგ გვთხოვა ცოტა ხნით დაცდა. თვითონ კი გაიქცა მეზობელ გლეხებთან. ჩქარა თავი მოიყარა ოთხიოდე მოხუცმა გლეხმა და კოშკის ერთს კუთხეში გაიმართა საიდუმლო თათბირი. საკითხი ჩვენდა სასიამოვნოდ გადაწყდა და მათ ფალიანის მრავალ სართულიანი კოშკიდან გამოიტანეს ფიცრის ერთი მოზრდილი უბრალო ყუთი. ჩქარა ყუთიც გახსნეს და ამოალაგეს გამტვერიანებული ვერცხლის პურჭელი და ერთიც ეტრატზე ნაწერი

[1]) ორივეს დიდ მადლობას მოვახსენებ იმ დიდისა და გულწრფელი დახმარებისათვის, რომელიც აღმომიჩინეს.

სახარება. ყველა ამ ნივთებმა ჩემი ყურადღება მიიპყრეს, მაგრამ რადგანაც მათი მცველი გლეხები თავზე მადგნენ და მაჩქარებდენ, მე იძულებული გავხდი გულდასმით გამესინჯა მხოლოდ ერთი ქართულ წარწერიანი ვერცხლის სურა და ხელით გადმომეწერა მისი ნაპირის გარშემო მოთავსებული ასომთავრული წარწერა.

ეს სურა მრგვალისა და ლამაზი ფორმისაა, ყელი აქვს მაღალი და განიერი. მუცლის ორ მხარეზე ჩასმულია მცენარის ორნამენტოვანი და მოსევადებული როზეტი (სურ. 1), ყურის ბოლოზე ვეფხის თავია გამოქანდაკებული, რომელსაც თავისი პირით სურა უჭირავს (სურ. 2). სურის სიმაღლე უდრის 38,8 სანტმ.-ს.

ამ სურის ნაპირის გარშემო მოთავსებულია შემდეგი ასომთავრული სევადიანი წარწერა:

**ქ: ღ῀თნ: უბ῀ღნრნ: ღ῀თსა: სწ῀ორსა: მ῀ფთა: მ῀ფსა: გ῀ის: მ῀წსა[1]: ამ῀რსა: ქვ῀თრხგნ.**



სურ. 2.

რაიცა ასე უნდა გავიგოთ:

„ქ. ღმერთმან უბედნიერენ ღუთისა სწორსა მეფეთა მეფესა გიორგის!
მიწისა ამირაჲსა ქავთარისაგან“.

წარწერა მრგვლოვანი დამწერლობითაა შესრულებული და შემკულია თავკავიანი ქარაგმებით (სურ. 3).

---

[1]) ეს სიტყვა შესაძლებელია წაკითხულიყოს ასეც: „მწესა“ პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ჩვენების თანახმად. ჩვენ მას „მიწისა“-დ ვკითხულობთ. სიტყვა „მიწისა“ აქ ნახმარია უუმდაბლესობის გამოსახატავად.

წარწერა სამწუხაროდ უთარიღოა [1]. სურა კი თავისი დანიშნულებით საღვინე ჰურჰელია [2], რომელიც ამირა ქავთარს ძღვნად მიურთმევია მეფეთა-მეფის გიორგისათვის. ვერცხლის ფიალა ჯამებისა, ფეხშუმებისა, სურისა, ჩარისა, კათხისა და სხვა სასმისის ხატისადმი შეწირვა თუ მეფისადმი ძღვნად მირთმევა მიღებული იყო ძველ საქართველოში.

ამგვარი დანიშნულების უფრო გვიანდელი დროის სურებს ჩვენამდე მოუღწევია და დღესაც დაცულია ზოგიერთ ეკლესია-მონასტერში [3].

მაგრამ ჩვენთვის პირველყოვლისა საინტერესოა ამ სურის დათარიღება და იმ ეპოქის დადგენა, რომელსაც ეს ძეგლი ეკუთვნის. ამისათვის კი საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რომელი გიორგი მეფეა მასში მოხსენებული, შემდეგ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სურის მიმძღვნელი ამირა ქავთარი?

წარწერაში მოხსენებული „ღვთისა სწორი მეფეთა მეფე“ გიორგი, ჩვენის აზრით, არის მეფე გიორგი III (1156—1184), რასაც სხეათა შორის ჰმოწმობს თვით ეს წოდებულებაც „ღვთისა სწორი“.



სურ 3.

ცნობილია, რომ ჩვენში მეფის პიროვნების გაღვთაებრივობა [4] დაიწყო დავით აღმაშენებელის მეფობიდან და თამარის დროს უკიდურესობამდე მიაღწია; მაგალ., ანტონ ჭყონდიდელი შიომღვიმის 1202 წლის სიგელში პირდაპირ

---

[1]) ი. ფალიანის კოშკში დაცული ნივთები უნახავს გრაფ. უვაროვას და მას სხვათა შორის აღწერილი და ფოტოგრაფიულადაც გადაღებული აქვს ის ორი ვერცხლის სურაც, რომელიც ჩვენ გავსინჯეთ სოფ. სეტში. ერთია ვიწრო ყელიანი და ტუჩიანი სურა არაბულ-სპარსული წარწერით და მდიდარი ორნამენტებით შემკული. მეორე კი ჩვენ მიერ აქ აღწერილი სურაა, რომლის ასომთავრული წარწერაც უვაროვას ქუფური ჰგონია. Граф. **Уварова**, „Поездка въ Пшавию, Хевсуретию и Сванетию“. *Мат. по Археологии Кавказа,* вып. X, Москва 1904 г. გვ. 139—140. Таб. XLI №№ 7, 72, 73.

[2]) ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა მეტროლოგია, ტფილ. 1925 წ. გვ. 90.

[3]) თუ გინდ იმავე ზემოსვანეთის ეკლესიებში, როგორც, მაგალითად, სოფ. ჟამუშში დაცულია ბაგრატ მეფისა და დედოფალ თამარის მიერ (მე-XVII საუკ.) მულახის მაცხოვრისადმი შეწირული ვერცხლის სურა. აგრეთვე სოფ. ჟიბიანის ეკლესიაში ინახება უშგულის ღვთისმშობლისადმი შეწირული ვერცხლის სურა და სხვა. Д. **Бакрадзе**, Сванетия, *Зап. Кав. отд. ИРГО* кн. VI, გვ. 67, 102, 125, 126.

[4]) ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, ტფილ. 1905 წ. გვ. 18—23.

ამბობს: „...მოვაკსენე ღ̄თისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს“-ო [1]. მეფე გიორგი III პიროვნებაც ქართველ მემატიანის მიერ ეგრეფვე განდიდებული და გაღმერთებული, რომელიც წარმოდგენილია ზეკაცად და წოდებულია მზეთა მზედ და ღვთისა ძისა სწორად[2]. მისი მეუღლე კი დედოფალი ბურდუხან მატიანეში მოხსენებულია „ღვთისა დედისა სწორად“: „მიიცვალა: დედა: თამარისი: სწორი: ძისა: ღ̄თისა: დედისა:“-ო. (მ̄მ დფ̄ს ქ̄ცა გვ. 392). მემატიანის ამ ცნობის შემდეგ ჩვენთვის გასაგები და მისაღებიც უნდა იყოს აღნიშნული სურის წარწერაში გიორგი III ღვთის სწორად მოხსენიება [3]. ამგვარად ირკვევა, რომ წოდებულება „ღვთისა სწორი“ დამკვიდრებული ყოფილა გიორგი III ოჯახში, სადაც მისი მეუღლე ბურდუხან დედოფალი წოდებულია ღვთის დედის სწორად, თვით გიორგი III (ამ სურაზე) და თამარ კი ღვთისა სწორად.

ახლა უნდა გამოვარკვიოთ, თუ ვინ არის ამირა ქავთარ?

ქართულ მატიანეში სახელი ქავთარ მხოლოდ ორჯერ გვხვდება. ერთი გიორგი III დროს მეჯინიბეთ-უხუცესი ქავთარ [4] ივანესძე ორბელი (მ̄მ დფ̄. ქ̄ცა. გვ. 389) და მეორე კი ქართლის მეფის კონსტანტინეს (1478—1504) დროს ქავთარ სოლაღაშვილი (იქვე გვ. 903).

| შეჰქმენ | შეჰქმ-ნ-ენ „ „ : | შენ რომელმან... შეჰქმნენ წყალნი ს ა ს. პ ო ე ზ. სკბ$_{20}$. |
| (ჰ)ყავ | (ჰ)ყვ-ენ (ბრძ.) შენ იგინი | ყვენ სულნი მიცვალებულთანი წიაღთა აბრაჰამისთა ს ა ს. პ ო ე ზ. კ$_{22}$. რომელმან სრულ ჰყვენ ძმანი ჩემნი კ ი მ. 59$_{16}$ |
| ყავთ თქუენ იგი: | ყვ-ენ-ით თქუენ იგინი: | ძუალნი ჩუენნი ღირს ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა გ რ. ხ ნ ძ თ. იდ$_{15}$ |
| ჰშევ შენ იგი: | ჰშვ-ენ შენ იგინი: | კრებულებათა მათ შინა ჰშვენ კრებულნი მოწაფეთა ქრისტესთანი ს ა ს. პ ო ე ზ. რკზ$_{25}$ |
| მიეც „ | მისც-ენ „ | რომელმან წყ'რილსა მას სიტყუანი შენი მისცენ კ ი მ. 200$_{11}$ |
| დაეცით თქუენ იგი: | დასც-ენ-ით თქუენ იგინი: | და მღდელნი იგი სიცრუვისანი დასცენით მსგავსად ქურუმთა ბაალისათა ს ა ს. პ ო ე ზ. ქე$_{11}$. |
| აცუ შენ იგი: | აცუ-ენ შენ იგინი: | შრომითა კორცნი ჯუარს აცუენ ს ა ს. პ ო ე ზ. როვ$_{18}$. |
| მოვიდრიკე მე იგი: | მოვიდრიკ-ენ მე იგინი: | მოვიდრიკენ მუჴლნი ჩემნი თაყუანისცემად წ ა რ ტ ყ. ი ე რ. იდ$_9$ |
| დავივიწყე „ „ : | დავივიწყ-ენ | რამეთუ ცნებანი შენნი მე არაჲ დავივიწყენ ი. ბ ო ლ. 28$_{18}$. |

| | | |
|---|---|---|
| მოვილოცე „ „ | მოვილოც-ენ | მივედ ელად და მოვილოცენ წმიდანი ადგილ-ნი კ ი მ. $28_{18}$ |
| განვიპყარ „ „ | განვიპყრ-ენ | განვიპყრენ შენდამი კელნი ჩემნი ა ბ ო $41_{3}$. |
| მოვსარ „ „ | მოვსრ-ენ | მბრძოლთა თანა მოვსრენ მრავალნი სულნი რ ა ვ ა ხ. $97_{13}$ |
| დავყავ „ „ | დავყვ-ენ „ „ | დავყვენ მუნ მცირედნი დღენი კ ი მ. $28_{23}$ |
| ვპოვე „ „ | ვპოვ-ენ „ „ | და ვპოვენ იგინი ყოვლნი კ ი მ. $42_{3}$. |
| ვპოვეთ ჩუენ იგი: | ვპოვ-ენ-ით ჩუენ იგინი: | პირველ ყოველთასა ვპოვენით ამის ნეტარისა თჳსნი ა თ ო ნ. კ რ. $326_{11}$. |
| დავჰფალთ „ „ | დავჰფლ-ენ-ით „ | და დავჰფლენით იგინი წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ჲბ$_{17}$ |
| შევწირეთ „ | შევწირ-ენ-ით „ | განთენდა რაჲ შევწირენით ლოცვანი ც ხ ო რ ს ე რ ა პ. $21_{21}$ |

## ნამყო ჩვეულებითი:

| | | |
|---|---|---|
| აღადგინის მან იგი: | აღადგინ-ნ-ის მან იგინი: | და აღადგინნის ლეკუნი იგი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. $4_{11}$ |
| გარდაველის „ „ | გარდაველ-ნ-ის „ „ | ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდაველნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა გ რ. ხ ნ ძ თ. კ$_{38}$. |
| აღივსის „ | აღივს-ნ-ის | მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თჳსნი წყლითა ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. $42_{13}$ |
| შეიკრიბის „ | შეიკრიბ-ნ-ის „ | ვითარცა ქათამმან შეიკრიბნის მართვენი ქუეშე ფრთეთა ა დ ი შ. 51ა$_{9}$ |
| მოიკუეთის „ „ | მოიკუეთ-ნ-ის „ | თაკუმან მან მოიკუეთნის საურველნი იგი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. $34_{11}$ |
| განკურნის „ „ | განკურნ-ნ-ის „ | რომელმან განტეხილნი განკურნნის კ ი მ. $140_{13}$ |
| აღმართის „ | აღმართ-ნ-ის „ | და აღმართნის დაცემულნი ი. ბ ო ლ. $5_{19}$ |
| დაამტკიცის „ „ | დაამტკიც-ნ-ის „ | კურთხევამან მამისამან და დედისამან დაამტკიცნის სახლნი უკუნისამდე გ რ. ხ ნ ძ თ. ლდ$_{35}$. |
| დაუტევის „ | დაუტევ-ნ-ის „ | ვითარცა იხილის მგელი მომავალი დაუტევნის საცხოვარნი ა დ ი შ. 176ბ$_{9}$ |
| მოიტაცის „ | მოიტაც-ნ-ის „ | ესრეთ ტყუეილით მოიტაცნის იგინი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. $23_{20}$. |
| დაიყვის „ | დაიყვ-ნ-ის | ვითარცა დაშურის, დაიყვნის ფრთენი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. $7_{4}$. |
| შვის „ | შვ-ნ-ის | რაჟამს შვნის ძუმან ლომმან ლეკუნი მკუდარნი ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ. $4_{8}$. |
| წარსცის „ (მას): | წარსც-ნ-ის „ „ (მას): | და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატსა ა თ ო ნ. კ რ. $27_{9}$. |
| ყვის | ყვ-ნ-ის | ღმრთისა შიშმან უშიშ ყვნის მოშიშნი ს ა ს. პ ო ე ზ. კდ$_{28}$. |

## კონიუნქტივი მეორე.

| | | |
|---|---|---|
| წარავლინოს მან იგი: | წარავლინ-ნ-ე-ს მან იგინი: | ეტყოდა მას რაჲთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყნად სამცხისა ც ხ ო რ. ს ე რ ა პ. $6_{16}$ |
| განაქარვოს „ | განაქარვ-ნ-ე-ს „ | ევედრებოდე... რაჲთა სრულიად განაქარვნეს მზაკუვარებანი მტერთა ჩუენთანი ს ა ს. პ ო ე ზ. რჲგ$_{6}$. |
| დააკლოს „ მას: | დააკლ-ნ-ე-ს „ „ მას: | და მოსწრაფე იყო რაჲთა დააკლნეს ყოველნი მსახურებასა კ ი მ. $118_{11}$ |

| | | |
|---|---|---|
| ყოს | „ ყვ-ნ-ე-ს | და იავარ ყვნეს. სიმკნენნი შენნი სახისმეტყ. 2²₁ |
| ალაშენოს | „ ალაშენ-ნ-ე-ს | რჳეულებაჲ აქუს, რაჲთა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი... ალაშენნეს გ რ. ხ ნ ძ თ. კდ₃₃ |
| წარწყმიდოს „ | „ : წარწყმიდ-ნ-ე-ს „ | ღმერთმან წარწყმიდნეს ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი წ ა რ ტ ყ. ი ე რ. ნთ₂₅. |
| იკსნას | „ იკსნ-ნ-ე-ს | რაჲთა იკსნნეს შეცთომილნი ნათესავნი კაცთანი სახისმეტყ. 3₁₀. |

შეიძლება დავკმაყოფილდეთ ამ საილუსტრაციო მასალითაც. MSისა და MOის სხვა პირებს აქ არ გამოვუდგებით: მსურველს საშუალება ექნება საამისო მასალები საკმაო ოდენობით მოიძიოს ხსენებულს ნარკვევში: „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ I, გვ. 235-256.

3. სახელობითს ბრუნვაში დასმული MOის მრავლობითობის მაჩვენებელი ფორმანტი არის -ენ- და არა -ნ-, როგორც ეს სათანადო ლიტერატურაში არის ნაჩვენები (იხ. მაგალ. აკად. ნ. მ ა რ ი ს: Граммат. древнелитерат. грузин. яз. Ленинград, 1925, § 145, 3, გვ. 119); მართალია, ეს ფორმანტი -ნ-'ს სახითაც გვევლინება და -ენ-'ის, მაგრამ პირვანდელი, ნამდვილი სახე მოცემულია -ენ'ში რადგანაც: 1) ენ'ზე დაყრდნობით ადვილი ასახსნელია, როგორ მივიღეთ მეორე სახეობა -ნ-; და 2) გასაგები ხდება ის ცვლილებანიც, რომელთაც ფუძე მასთან დაკავშირებით ხშირად განიცდის. წინაუკმო შემთხვევაში, ე. ი. თუ ნ'დან გამოვალთ, ვერც იმ ცვლილებებში გავერკვევით, რომელთაც ფუძეში აქვს ადგილი და ვერც -ენ- სახეობის გამოვლენას მოვუძებნით დამაკმაყოფილებელ ახსნას.

ფუძის რა ცვლილებებზეა ლაპარაკი? ჩვენ წინ არის რიგი ფუძეშეკუმშულ ზმნათა:

მო-ვ-კალ, მო-ჰ-კალ, მაგრამ: მო-კლ-ა მან; მო-კლ-ეს მათ... მო-კლი-ს მან; მო-კლ-ი-ან მათ... მო-კლ-ა-ს მან; მო-კლ-ა-ნ მათ... შე-ვ-კარ, შე-ჰ-კარ, მაგრამ: შე-კრ-ა მან; შე-კრ-ეს მათ... შე-კრ-ი-ს მან; შე-კრ-ი-ან მათ... შე-კრ-ა-ს მან; შე-კრ-ა-ნ მათ. შე-ვ-ამკევ: შე-ამკევ, მაგრამ შე-ამკო (← შე-ამკვ-ა); შე-ამკვ-ეს მათ... შე-ამკვ-ი-ს მან; შე-ამკვ-ი-ან მათ... შე-ამკ-ო-ს (← შე-ამკვ-ა-ს) მან; შე-ამკ-ო-ნ (← შე-ამკვ-ა-ნ) მათ. შე-ვ-ქმენ, შე-ჰ-ქმენ, მაგრამ: შე-ქმნ-ა მან; შე-ქმნ-ეს მათ... შე-ქმნ-ი-ს მან: შე-ქმნ-ი-ა-ნ მათ.. შე-ქმნ-ა-ს მან; შე-ქმნ-ა-ნ მათ. ვ-ყავ. ჰ-ყავ, მაგრამ ყო (← ყვ-ა) მან; ყვ-ეს მათ... ყვ-ი-ს მან; ყვ ი-ან მათ:.. ყო-ს (← ყვ-ა-ს) მან; ყ-ო-ნ (← ყვ-ა-ნ მათ). ვ-ჰევ, ჰ-შევ, მაგრამ: შვ-ა მან; შვ-ეს მათ... შვ-ი-ს მან; შვ-ი-ან მათ... შვ-ა-ს მან; შვ-ა-ნ მათ. და-ვ-ეც, და-ეც, მაგრამ: და-ს-ც-ა [1] მან; და-ს-ც-ეს მათ... და-ს-ც-ი-ს მან; და-ს-ც-ი-ან მათ; და-ს-ც-ე-ს მან; და-ს-ც-ე-ნ მათ... და-ვ-ჰერ, და-ს-ჰერ, მაგრამ: და-ჰრ-ა მან; და-ჰრ-ეს მათ... და-ჰრ-ი-ს მან; და-ჰრ-ი-ან მათ... და-ჰრ-ა-ს მან; და-ჰრ-ა-ნ მათ. გან-ვ-კსენ, გან-ჰ-კსენ, მაგრამ: გან-კს-ნ-ა მან; გან-კსნ-ეს მათ... გან-კსნ-ი-ს მან; გან-კსნ-ი-ან მათ .. გან-კსნ-ა-ს მან; გან-კსნ-ან მათ.

ფუძის შეკუმშვა ამ ზმნებში სრულიად ბუნებრივია: ხმოვნით დაწყებული სუფიქსის ზეგავლენით იკარგება ფუძისეული ხმოვანი (ა, ე ჩვენს შემთხვევაში). მაგრამ რად შეიკუმშა ზმნის ფუძე მრავლობითობის -ნ- ფორმანტის წინ? რატომ მივიღეთ ფორმები: კლ-ნ ა, შე-კრ-ნ ა, შე-ამკვ-ნ-ა; შე-ქმნ-ნ-ა, ყვ ნ-ა, შვ ნ-ა, და-ს-ც-ნ-ა, და-ჰრ-ნ-ა; გან-კსნ-ნ-ა (მან იგინი)? იმიტომ, რატომაც გვაქვს შეკუმშული ფუძეები ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში ამ

[1]) ფუძისეული ე'ს დაკარგვის შემდეგ ზმნას პრეფიქსი უჩნდება; ე'ს წინ, საერთო წესით, ჰ პრეფიქსი ვერა ძლებს... ასე რომ, ამ ზმნას პირველსა და მეორე პირში კი არ უჩნდება „ე“, არამედ მესამეში ეკარგება იგი ა სუფიქსის ზეგავლენით.

ფორმანტის წინ: ვ-კლ-ენ; ჰ-კლ-ენ; შე-ვ-კრ-ენ, შე-ჰ-კრ-ენ; შე-ვ-ამკვ-ენ; შე-ვ-ქმნ-ენ, შე-ქმნ-ენ; ვ-ყვ-ენ; ჰ-ყვ-ენ; და-ვ-სც-ენ, და-ს-ც-ენ; და-ვ-ჰრ-ენ; და-ს ჰრ-ენ; გან-ვ-კსნ-ენ, გან-ჰ-კსნ-ენ (მე, შენ—იგინი): მესამე პირში ნ'ს წინ ფუძე იმიტომ შეიკუმშა, რომ ფუძეს აქ მოსდევდა -ენ- ფორმანტი ისევე, როგორც პირველსა და მეორე პირში.

ამრიგად, ფუძის შეკუმშვა მესამე პირში -ნ- ფორმანტის წინ გამოწვეულია იმით, რომ ეს ფორმანტი ნამდვილად -ენ არის, და საერთო წესით შესაძლებლობა ჩნდება მისის ზეგავლენით ფუძისეული ხმოვანი დაიკარგოს.

რად ეცვალა სახე ამ ფორმანტს და რად მოგვეჩვენა იგი -ნ-'ს სახით? იმავე ფონეტიკური მოვლენის გამო, რომლითაც აიხსნება ფუძის შეკუმშვა: მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით -ენ'მა დაკარგა ე და წარმოგვიდგა -ნ-'ს სახით. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ეს ფორმანტი -ნ'ს სახეს არასოდეს არ იღებს, თუ სუფიქსია, და ყოველთვის იღებს, როცა ინფიქსია და შემდეგ ხმოვნით დაწყებული ფორმანტი მოსდევს (იხ. ზემოთ—გვ. 108-9; კლა, ყო და მისცა ზმნების უღვლილების პარადიგმები).

ერთად ერთ გამონაკლისს შეადგენს ნამყო ძირითადის პირველი და მეორე პირი მრავლობითის რიცხვისა: აქ ეს ფორმანტი ინფიქსია, მაგრამ -ენ'ის სახით გვევლინება და არა ნ'სი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო: მოვ-კლ-ენ-ი-თ; მო-ჰ-კლ-ენ-ი-თ; ვ ყვ-ენ-ი-თ, ჰ-ყვ-ენ-ი-თ, მი-ვ-ს-ც-ე-ნ-ი-თ; მი-ს-ც-ე ნ-ი-თ... ეს აიხსნება იმით, რომ მომდევნო -ი- არ არის მორფოლოგიური ელემენტი (შდრ. ნამყო ჩვეულებითის -ი- ფორმანტს, რომელიც იწვევს ფუძისეულ ხმოვნის დაკარგვას), არამედ ფონეტიკურად ხელსაყრელ გარემოში ანალოგიურად განვითარებული ი'ა. სათანადო პროცესი ჩვენ ასე წარმოგვიდგენია: ზოგიერთ ზმნებს ნამყო ძირითადში (მაგალ. ვიდა, კუდა...), ხოლო ნამყო უსრულში ყველა ზმნებს მრავლობით რიცხვის პირველსა და მეორე პირში -თ' დაბოლოების წინ დ' მოუდიოდა: მო-ვ-ვედ—მო-ვ-ვედ-თ; მო-ხ-უედ—მო-ხ-უედ-თ; მო-ვ-კუედ—მო-ვ-კუედ-თ; მო-ჰ-კუედ—მო-ჰ-კუედ-თ... ვ-აკეთებ-დ—ვ-აკეთებ-დ-თ; ვ-ასრულებ-დ—ვ-ასრულებ-დ-თ. ასეთ კონტექსტში დ და თ'ს ერთად თავის მოყრა ფონეტიკურად აუტანელი იყო. იმავე დროს პერმანსიული -ი- ამავე პირებისათვის ანალოგიურ წარმოებას ხელს უწყობდა. ამიტომაც გაუგებარი არ უნდა იყოს, რატომ გაჩნდა ასეთ პირობებში ი: მო-ვ-კუედ-ი-თ; მო-ვ-ვედ-ი-თ... ვ-აკეთებდ-ი-თ... ვ-ასრულებდ-ი-თ...

მრავლობითის მეორე და პირველი პირიდან -ი- მხოლობითშიც გადმოვიდა: მო-ვ-კალ ი; ვ-ყავ-ი... ძველს ქართულში, თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც არის ასეთი ი'იანი პირველი და მეორე პირი.—ყოველ შემთხვევაში საგულისხმო ის არის, რომ მის ზეგავლენით ფუძე ხმოვანს არ კარგავს: ვ-კალ-ი-თ, ვ-ყავ-ი-თ და სხვ. და თუ ეს -ი- ფუძეს ვერ უკარგავს ხმოვანს, რა გასაკვირია, თუ ის უძლური აღმოჩნდება დაუკარგოს -ენ' ფორმანტს ე. საკმარისია შევადაროთ ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველი და მეორე პირი ნამყო ჩვეულებითის იმავე პირებს, რომ ნათელი გახდეს ის განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს ამ ფორმათა ი'ებს შორის:

| ნამყო ძირითადი: | ნამყო ჩვეულებითი: | |
|---|---|---|
| ვ-ყვ-ენ-ი-თ ჩუენ იგინი | ვ-ყვ-ნ-ი-თ ჩუენ იგინი | ნამყო ძირითადის -ი- ვერ იწვევს -ენ'ის ე'ს დაკარგვას, ნამყო ჩვეულებითისა კი უკარგავს წინა მარცვალს ე'ს. |
| ჰ-ყვ-ენ-ი-თ თქუენ „ | ჰ-ყვ-ნ-ი-თ თქუენ „ | |
| ვ-შვ-ენ-ი-თ ჩუენ „ | ვ-შვ-ნ-ი-თ ჩუენ „ | |
| ჰ-შვ-ენ-ი-თ თქუენ „ | ჰ-შვ-ნ-ი-თ თქუენ „ | |

ასე რომ: ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველისა და მეორე პირის გამოკლებით, ყველგან, სადაც -ენ- ფორმანტი ინფიქსია, შესაძლოა, მთელი ფორმა ორ ხმოვნის დაკარგვით იყოს მიღებული: ენ'მა ამოაგდოს ფუძისეული ხმოვანი, სუფიქსის ხმოვანმა კიდევ -ენ'ს მოაცილოს ე და ნ'ს ანაბარა დატოვოს:

| ნამყო ძირითადი: | | ნამყო ჩვეულებითი: | |
|---|---|---|---|
| ვ-შვ-ენ ← ვ-შევ-ენ | იგინი | ვ-შვ-ნ-ი ← ვ-შვ-ენ-ი ← ვ-შევ-ენ-ი | (იგინი) |
| ჰშვ-ენ ← ჰ-შევ-ენ | | ჰ-შვ-ნ ი ← ჰ-შვ-ენ-ი ← ჰ-შევ-ენ-ი | „ |
| შვ-ნ-ა ← შვ-ენ-ა ← შევ-ენ-ა | „ | შვ-ნ-ი-ს ← შვ-ენ-ი-ს ← შევ-ენ-ი-ს | „ |
| ვ-შვ-ენ-ი-თ ← ვ-შევ-ენ-ი-თ | „ | ვ-შვ-ნ-ი-თ ← ვ-შვ-ენ-ი-თ ← ვ-შევ-ენ-ი-თ | „ |
| ჰ-შვ-ენ-ი-თ ← ჰ-შევ-ენ-ი-თ | „ | ჰ-შვ-ნ-ი-თ ← ჰ-შვ-ენ-ი-თ ← ჰ-შევ-ენ-ი-თ | „ |
| შვ-ნ-ეს ← შვ-ენ-ეს ← შევ-ენ-ეს | „ | შვ-ნ-ი-ან ← შვ-ენ-ი-ან ←შევ-ენ-ი-ან | „ |

კონჲუნქტივი მეორე:

| | |
|---|---|
| ვ-შვ-ნ-ე ←ვ-შვ-ენ-ე ←ვ-შევ-ენ-ე [1] | (იგინი) |
| ჰ-შვ-ნ-ე ←ჰ-შვ-ენ-ე ← ჰ-შევ-ენ-ე | „ |
| შვ-ნ-ე-ს ←შვ-ენ-ე-ს ←შევ-ენ-ე-ს | „ |
| ვ-შვ-ნ-ე-თ ←ვ-შვ-ენ-ეთ ←ვ-შევ-ენ-ე-თ | |
| ჰ-შვ-ნ-ე-თ ← ჰ-შვ-ენ-ე-თ ←ჰ-შევ-ენ-ე-თ | |
| შვ-ნ-ე-ნ ←შვ-ენ-ე-ნ ←შევ-ენ-ე-ნ | |

თუ მრავლობითობის მაჩვენებლად -ნ'ს დავსახავდით, ვწერე, ვპოვე'-ტიპის ზმნების ფორმების უმეტესობა ადვილად აიხსნებოდა, რადგანაც ამათ პირველსა და მეორე პირში ე ისედაც აქვსთ, (ეს ე და ენ'ის ე ერთურთს ერთვიან)[2], და ვწერენ'ში მხოლოდ -ნ- შეგვეძლო ჩაგვეთვალა მრავლობითობის ფორმანტად; ამას გარდა: რაკი ეს ზმნები ფუძე შეუკუმშავნი არიან ენ'ის ზეგავლენა ფუძეზე არსადა ჩანს. იმავე დროს სუფიქსის ხმოვანი ენ'ის ე'ს კარგავს (წერ-ნ-ა ← წერ-ენ-ა) და ნ'ღა გვრჩება. ასევე—ნამყო ჩვეულებითსა და კონჲუნქტივს მეორეში. მაინც რჩება ორი შემთხვევა, როცა ენ' ასეთ ზმნებშიაც იჩენს თავს, სახელდობრ, ნამყო ძირითადის მრავლობითის პირველსა და მეორე პირში: ვ-წერ-ენ-ი-თ; ს-წერ-ენ-ი-თ... ამის ახსნა შეუძლებელია -ნ'-ზე მითითებით. ამას გარდა, -ნ- ვერას გვშველის ვ-ყვ-ენ... ვ თქუ-ენ... ვ-აცუ-ენ და მაგვარ ზმნებში -ენ'ის ახსნისას; აგრეთვე: ვ-ყვ-ენ—ყვ-ნ-ა, შვ-ენ—შვ-ნ-ა'ს ფუძისეულ ა და ე'ს დაკარგვის მიზეზებს სრულიადაც ვერ გაგვითვალისწინებს. ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს: სახელობითს ბრუნვაში დასმულ MOის მრავლობითობის აღსანიშნავად ძველს ქართულში გვაქვს -ენ (‖ → ნ).

**4.** არის შემთხვევები, როცა MOი მრავლობითის სახელობითშია, მაგრამ ზმნაში არ არის იგი აღნიშნული ენ (|→ნ) ფორმანტით და პირიქით: MOი არ

---

[1]) ე ფორმანტის შესახებ იხ. ქვემოთ.

[2]) ლიად ვტოვებთ საკითხს ე-წერ-ე'ს ე'ს შესახებ: იგი საგანგებო ძიებას მოითხოვს.

არის მრავლობითში, ზმნაში კი ფორმანტი მოიპოება; მაგალ.: განიმზადეს თავნი მათნი... კიმ. $41_{18}$... მისცა ადგილნი შუჱნიერი... ათონ. კრ. $320_{14}$... გამოუცხადა მას ბრძოლანი თჳსნი... ათონ. 3231... რომელმან უწყის დაფარულნი... კიმ. $35_{16}$... წარჰგრაგნეს კორცნი... კიმ. $42_{26}$... დასდვა კელი და განკურნა იგინი.. ადიშ. $111b_1$... განკურნა მრავალნი სნეულნი... ადიშ. $66b_7$... ქმნა მუნ შინა სასწაულნი... კიმ. $193_{20}$... და ევედრებოდეს მას ლმობიერად: რაჲთა... იკსნეს იგინი... საბა $20_9$... ევედრებოდეს რაჲთა განკურნეს ვნეპანი მათნი... საბა $18_7$... განხეთქის ლუნომან თხიერნი იგი... ადიშ. $68b_1$. ამ მაგალითებში არის MOი მრავლობითში, არ არის სათანადო ფორმანტი ზმნაში.

შემდეგს მაგალითებში:... დაწერნა წიგნი პატრიაქისა თანა... ათონ. კრ. $317_{33}$... წიგნი დაწერნის საკურთხეველსა ქუჱეშე დასხნის... ათონ. $317_{30}$... განუკრიტნა სასტიკად ნები მარცხენისა კელისა მისისაჲ... კიმ. $194_{12}$...—მრავლობითობის ფორმანტი ზმნაში არის, MOი კი მხოლოობითში ჩანს.

ამ მაგალითების განსამარტებლად შემდეგს ვიტყვით: ამ ხუთმეტიოდე მაგალითში საკმაოდ მოიპოება ისეთები, სადაც ნ(-ენ) არა ჩანს ნ'ს შემდეგ: წარჰგრაგნეს, განკურნა, ქმნა, იკსნეს, ასეთივეა „წიგნი“ (მეორე ჯგუფში); აქ ფუძისეული ნ'ს წყალობით უნდა გამორჩენოდა მწერალს თუ გადამწერს ფორმანტი -ნ; დანარჩენი მაგალითები უბრალო ლაფსუსი შეიძლება იყოს. საერთოდ, ამ ხუთმეტიოდე უმართებულო ფორმას, რაკი ისინი შემთხვევითი ჩანან, ვერ გაეწევა ანგარიში მაშინ, როდესაც რამოდენიმე ასეული მაგალითი, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია და რომლიდანაც მხოლოდ საილუსტრაციოდ რამოდენიმე ათეული ზემოთ მოვიყვანეთ, სრულიად გარკვეულს დასკვნებს გვავალებს.

5. თუ მრავლობითის სახელობითი ებ'ით არის ნაწარმოები, MOი ზმნაში არ აღინიშნება; ობიექტობა აქ არაფერს შუაშია: MSიც, მრავლობითის სახელობითში თუ ები'ა, ზმნის ფორმანტებში ცვლილებას ვერ იწვევს (სათანადო მაგალითებისათვის იხ.: მარტივ წინადადების პრობლემა. ქართულში: I: ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“, გვ. 251—256). ეს გარემოება ეჭვმიუტანლად მოწმობს, რომ ენ (Ⴌ→ნ) ფორმანტი ზმნაში და -ნ- ფორმანტი სახელისა მრავლობ. რიცხვში გენეტურად მჭიდროდ უკავშირდება ერთურთს; მეტსაც ვიტყვით: ეს ერთი და იგივე ფორმანტია, თავის პირვანდელ, სრულ სახით (-ედ,-ენ) შენახული ზმნაში და დ (→თ)'ისა და ნ'ის სახით წარმოდგენილი სახელთა ბრუნებაში (მხედველობაში გვაქვს თ-ა და ნ-ი მრავლობითის რიცხვისა).

6. აიღო, დადვა ‖ დასვა ზმნები არსებით ცვლილებას განიცდიან, თუ მრავლობითობის აღმნიშვნელი ენ (Ⴌ→ნ) ფორმანტი დაერთვისთ. რამდენადაც თვით ეს ფაქტი ცნობილია (იხ. ა. შანიძე: პრეფიქსები ქართულს ზმნებში, გვ. 34, შენ. 2 და გვ. 36 შენ. 2), ხოლო ახსნა ჩვენს მიზნებში ამჟამად არ შედის, შეიძლება აქ ამას გვერდი ავუაროთ.

7. მრავლობითობის ენ(||→ნ) ფორმანტის ზეგავლენით აღდგება ნამყო ძირითადის მესამე პირის -ა დაბოლოება, რომელიც ფონეტიკურ მიზეზთა გამო თუ ანალოგიის წყალობით ო'თი იყო შეცვლილი: ასე მაგალითად:

**მან იგი: მან იგინი:**

| | | |
|---|---|---|
| განაგო | განაგ-ნ-ა: | ამისა შემდგომად განაგნა რაჲ საქმენი მის ჟამისანი ათონ. კრ. $320_5$ |
| განვლო | განვლ-ნ-ა: | რომელმან განვლნა ცანი კრეტსაბმელითა კორცთაჲთა სას. პოეზ. ტლე$_{3}$. |
| აღავსო | აღავს-ნ-ა: | და ტაკუკნი საიდუმლოთანი აღავსნა სასუმელითა სას. პოეზ. ნდ$_{3}$<br>სირცხვლითა აღავსნა სომეხნი იგი მეფემან ათონ. კრ. $393_7$ |
| დაალტო | დაალტვ-ნ-ა: | ამან ცრემლითა დაალტვნა ფერკნი ჩემნი ადიშ. $118b_1$ |
| შეამკო | შეამკვ-ნ-ა: | დაადუმნა პირნი ბილწთა მწვალებელთანი და შეამკვნა ეკლესიანი სას. პოეზ. ქე$_{9}$ |
| დაამკო/უა [1]: | დაამკუ-ნ-ა: | შევიდა ეკლესიად და დაამკუნა და დაარღვნა ყოველნი საკურთხეველნი კიმ. $6_{10}$ |
| განაპო | განაპ-ნ-ა | იორდანისა უმდიდრესნი და ულრმესნი მდინარენი საღმრთოთა წერილთანი მადლითა მით... განაპნა ათონ. კრ. $300_{13}$ |
| დაჰრთო მას: | დაჰრთ-ნ-ა მას: | რომელმან: სიბრძნით დაჰრთნა ცანი უფსკრულთა სას. პოეზ. ია$_{16}$ |
| მოსპო | მოსპ-ნ-ა: | ენებულმან ჯუარითა მოსპნა სოფლისა ენებანი... სას. პოეზ. ტთ$_{16}$ |
| შეიტკბო | შეიტკბ-ნ-ა: | ყოველნი წესნი და კანონნი და განწესებანი მისნი ესრეთ შეიტკბნა ათონ. კრ. $299_7$ |
| ყო | ყვ-ნ-ა | მერმე მოვიდა ჩვენთანა და დაყვნა დღენი მრავალნი იოს. არიმ. $59_{11}$ |
| დაიწყო | დაიწყვ-ნ-ა: | და დაიწყვნა კელნი და ფერკნი თჳსნი და შეისუენა კიმ. $34_{30}$. |

8. ნამყო ძირითადის მესამე პირის ა დაბოლოების აღდგენა ასეთს შემთხვევაში განსაკუთრებით ძვირფასია; იშლება ნ(→ენ)'ს შემდეგ ო და აღდგება წინანდელი ა. ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ ამ ნ'ს შემდეგ კონჲუნქტივ მეორეში ა და ო'ს ნაცვლად ე ჩნდება: ვ-პოვ-ო იგი ვ-პოვ-ნ-ე იგინი... ვ-კლ-ა იგი: ვ-კლ-ნ-ე იგინი... ე კი უცვლელად რჩება (მი-ვ-ს-ც-ე მე იგი მას: მი-ვ-ს-ც-ნ-ე მე იგინი მას), სწორედ ისევე, როგორც უცვლელად რჩება ნამყო ძირითადის ა ნ'ს შემდეგ (კლ-ნ-ა მან იგინი). ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს აღდგენილი ე კონჲუნქტივ მეორის პირვანდელი ფორმანტი უნდა ყოფილიყო.

თუ ამჟამად ძირითადი ფორმანტი აქ ა არის (ო ან წინამავალ ვ'სთან შერთულ ა'სგან არის მიღებული ან ანალოგიით) [2], წინად ე უნდა ყოფილიყო; ამას მოწმობს: 1. დ ‖ ნ'ით ნაწარმოებ ვნებითთა კონჲუნქტივი მეორე, ე'თი ნაწარმოები: განმდიდრ-დ-ეს, აღმაღლ-დ-ე-ს... განკაც-ნ-ე-ს, განჭაპუკ-ნ-ე-ს,.. ასეთი ვნებითი უძველესის ფორმაციისაა და მისი ჩვენებაც სათანადო წონის მქონეა; 2. კონჲუნქტივი პირველის -ე- ფორმანტით წარმოება ყველა ზმნებში: ჰპოებ-დ-ეს; მდიდრ-დ-ებ-ოდ-ე-ს... და სხვ. კონჲუნქტივს პირველში ჩვენ უნდა გვქონდეს შენახული კონჲუნქტივი მეორის პირვან-

---

[1]) დაამკუა:... და დაამკუა იგი ზ´ა იატაკსა მას... კიმ. $135_8$

[2]) შდრ. აკად. ნ. მარის Граммат. древне-грузин. литератур. яз. § 194, Ан, გვ. 161.

დელი დაბოლოება, ისევე როგორც ნამყო უსრულში გვაქვს ნამყო ძირითადისა და ნამყო ჩვეულებითის დაბოლოებანი; 3) ზმნა მ ი ს ც ა ახლაც ე'თი აწარმოებს კონჲუნქტივ მეორეს; ამას გარდა, ზოგიერთ ზმნებს, რომელთაც ამჟამად უკვე -ა- აქვსთ ჩვეულებრივად, შემოუნახავსთ ე'ნიანი ფორმებიც; ჩვენ ძველიქართულის ნომრების მიხედვით ვიტყოდით: შ ვ ა ს, ი ჴ ს ნ ა ს, ქ მ ნ ა ს... მაგრამ ტექსტებში ე'იან ფორმებსაც წავაწყდებით; აი მაგალითად:

| | |
|---|---|
| შთაეგზნეს: | თივაჲ რომელი დღეს არს: და ხვალე თორნესა შთაეგზნეს ა დ ი შ. 131ა$_2$ |
| ესმეს, გესმეს: | ყოველსა რომელსა ესმეს მამისაგან... მოვიდეს ჩემდა ა დ ი შ. 168ს$_1$<br>რაჲმეთუ არარაჲ სხუაჲ გესმეს ჩუენგან თჳნიერ ამისა კ ი მ. 110$_{23}$ |
| ვქმნე, ვქმნეთ, ჰქმნეთ, გექმნე: | მოძღუარ კეთილის მოქმედ რაჲ კეთილ ვქმნე რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ ა დ ი შ. 41ა$_2$<br>უფალო კეთილ არს აქა ჩუენდა ყოფაჲ გნებავს ვქმნეთ აქა სამ ტალავარ ჰ ა ე მ ე ტ. 369$_4$; ა დ ი შ. 123ს$_2$<br>არამე იცია რაჲ ჰქმნე რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკჳდრო ი. ბ ო ლ. 59$_{15}$<br>გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ... არა ხოლო ამის ლეღჳსა ჰქმნეთ ა დ ი შ. 45ა$_2$.<br>მე თავსმდებ გექმნე ქრისტჱს მიმართ გ რ. ხ ნ ძ თ. ნვ$_{37}$-ნხ$_1$<br>ხოლო რომელმან არა იცოდის და ქმნეს რაჲმე ღირსი ტანჯვისაჲ ა დ ი შ. 132ა$_2$-ს$_1$ |
| შვე, შვეს, გიშვეს: | და აჰა მიუდგე და შვე ძე... ადიშ. 103ა$_1$... ეტყოდა აჰა ესერა შვე ყრმაჲ წული ა თ ო ნ. კ რ. 286$_{21}$<br>აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძჱ. ო თ ხ თ ავ ი 3$_{28}$<br>ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძჱ ა დ ი შ. 102ა$_1$ |
| დავიცვეთ:... | განზრახვათა გან გახრწნადთა განვეშორნეთ და ესრეთ დავიცვეთ ბეჭედი ნათლისაჲ ს ა ს. პ ო ე ზ. მა$_{11}$ |
| ვიჴსნე,\ იჴსნე, განჰჴსნე, იჴსნეს... და სხვ. | არა მოვედ ვითარმცა დავსაჯე სოფელი არამედ რაჲთა ვიჴსნე სოფელი ა დ ი შ. 182ბ$_2$ '<br>რაჲთა იჴსნე ხრწნილებისაგან ბუნებაჲ კაცობრივი ს ა ს. პ ო ე ზ. რიბ$_{31}$<br>რაჲთა მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან ო თ ხ თ ა ვ ი 3$_{10}$<br>რომელი განჰჴსნე ქუეყანასა ზედა ჴსნილ იყოს ცათა შინა ი. ბ ო ლ. 86$_{11}$<br>მან მხოლომან უფალმან მიჴსნეს ჩუენ სატანჯუელისა ამის გან. წ ა რ ტ ყ. ი ე რ. მთ$_{17}$<br>რაჲ სარგებელ გეყოს ქრისტჱ იგი შენი ანუ ვინ გიჴსნეს ჴელთაგან ჩუენთა ა ბ ო 26$_3$<br>ნუ გეშინინ... რაჲთა... გამოგიჴსნე ჴელყოფაჲ ესე შენ გან კ ი მ. 140$_{13}$ |

9. იმ გარემოებას, რომ MOის მრავლობითობას -ენ- აღნიშნავს დიდი პრინციპული მნიშვნელობაც აქვს. დროთა პირველს ჯგუფში -ენ- MSის მრავლობითობას აღნიშნავს, მაგალ. აწმყოში,—ჩვეულებრივ გარდამავალ ზმნებთან; ნამყო ძირითადის ჯგუფში კი—კონჲუნქტივს მეორეში, და თვით ნამყო ძირითადშიაც, რომელსაც მრავლობ. მესამე პირის ბრძანებითისათვის -ედ- აქვს გამოყენებული; ეს -ედ- კი ენ'ის პარალელი ჩანს. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ -ენ- ფორმანტს ძველს ქართულში შეეძლო აღენიშნა MOის მრავლობითობაც და MSისაც. ე ს ა რ ი ს ნ ა შ თ ი ი მ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა, რ ო დ ე ს ა ც MSი ს ა დ ა MOი ს ფ ო რ მ ა ნ ტ ე ბ ი ა რ გ ა ნ ი რ ჩ ე ო დ ე ნ, ე რ თ ი ს ა დ ა ი მ ა ვ ე ფ ო რ მ ა ნ ტ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ყ ო, რ ო გ ო რ ც ე რ თ ი, ი ს ე მ ე ო რ ე.

აღსანიშნავია შემდეგი მოვლენაც: -ენ- აღნიშნავს სამივე პირის მრავლობითობას თუ MO'ს ეხება საქმე (მ ა ნ კ ლ ნ ა, გ კ ლ ნ ა, მ კ ლ ნ ა) და მხოლოდ მესამე პირის მრავლობითობას თუ MSს. ამ ჟამად ძნელი სათქმელია -ენ- თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ მესამე პირის MOის მრავლობითობას და შემდეგ გაიფართოვა ასპარეზი თუ პირიქით: თავდაპირველად MSის სამივე პირის მრავლობითობა -ენ- (ან -ედ )'ით აღინიშნებოდა და მხოლოდ შემდეგ განეკუთვნა -ენ- ოდენ MSის მესამე პირს, პირველისა და მეორის მრავლობითობის აღნიშვნა კი თ'(←დ)ს დაეკისრა. არა ერთი მოსაზრების მოყვანა შეიძლებოდა, როგორც ერთის, ისე მეორე შესაძლებლობის სასარგებლოდ. აქ მათს განხილვას არ შევუდგებით; ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ პირველ შესაძლებლობის ნიადაგზე დავდგებოდით, —ე. ი. თუ ვივარაუდებდით, რომ -ენ- თავდაპირველად სამივე პირის მრავლობითობას კი არ აღნიშნავდა, არამედ მხოლოდ მესამისას, გაუგებარი და უჩვეულო არაფერი იქნებოდა, რომ შემდეგში მას მეორე და პირველ პირის მრავლობითობის აღნიშვნაც დაკისრებოდა. ქართველური ენები უცილობლად მოწმობენ, რომ ს რ უ ლ ი ა დ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს მ ე ო რ ი ს ა დ ა პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ი ს ა თ ვ ი ს დ ა პ ი რ უ კ უ: სვანურსა და მეგრულ-ჭანურში მესამე პირის ფორმანტი -ხ, ან'ია გამოყენებული მეორე (და პირველ) პირისათვის, ქართულში პირიქით—პირველისა და მეორე პირის -თ— მესამეში გადადის; შდრ.

| სვანური | | მეგრული | | ახ. ქართული | |
|---|---|---|---|---|---|
| ეჯჲ̈რს | ხოირა-ხ | თინენს | უპარუ-ნ-ან | მათ | უწერია-თ |
| სგ̈ჲ̈ა | ჯი̄რა-ხ | თქჷა | გიპრუ-ნ-ან | თქვენ | გიწერია-თ |
| ნ̈ჲ̈ა | ნი̄რა / გჷირა | ჩქი | მიპარუ-ნ-ან | ჩუენ | გვიწერია |

სვანურსა და ქართულში პირველ პირში MOის მრავლობითობას თავსართი აღნიშნავს, ამიტომაც -თ, -ხ არ დაერთვის; მეგრულს ეს არა აქვს; ამიტომაც მესამე პირის -ან მეორეშაც გადმოვიდა და პირველშიც.

მართალია, ეს ახალი მოვლენაა, მაგრამ მაინც ნათელს ფენს იმ შესაძლებლობათ, რომელნიც ქართველურ ენათა მორფოლოგიაშია ჩამარხული.

## წ ე რ ი ლ შ ი ნ ა ხ ს ე ნ ე ბ ძ ე გ ლ ე ბ ი ს შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა თ ა გ ა ნ-მ ა რ ტ ე ბ ა:

ა ბ ო: წმიდა მოწამე აბო ტფილელი, გამოც. საეკლ. მუზეუმისა, ტფილ. 1899.

ა დ ი შ.: ადიშის ოთხთავის ტაბულები, ფოტოტიპიურად გამოცემული: Материалы по археологии Кавказа. Вып. XIV. Москва, 1916.

ა თ ო ნ. კ რ.: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, გამოც. საეკლეს. მუზეუმისა, ტფილ. 1901.

გ რ. ხ ნ ძ თ.: Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского, გამოც. აკად. ნ. მ ა რ ი ს მიერ: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии Кн. VII. СПБ. 1911.

ი. ბ ო ლ.: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, საეკლ. მუზეუმის გამოცემა, ტფილ. 1911

ი ო ს. ა რ ი მ: Иосиф Аримафейский, გამოც. აკად. ნ. მ ა რ ი ს მიერ. Тексты и разыскан. по арм.-гр. фил. кн. II СПБ. 1900.

კ ი მ.: კიმენი, გამოც. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მიერ, ტფილ. 1918.

კ ო ნ ს ტ. კ ს ნ ა: ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი კსნა კონსტანტინოპოლისჲ... საეკლ. მუზეუმ. გამოც. ტფილ. 1903.

ო თ ხ თ ა ვ ი: სახარებაჲ ოთხთავი, გამოც. პროფ. ვლად. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს მ ი ე რ: СПБ. 1909.

რ ა ვ ა ხ.: ცხოვრებაჲ: და წამებაჲ: წმიდისა ანტონი: რავახისი... გამოც. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მიერ: Хр. Вост. т. II. вып. I СПБ. 1913.

ს ა ბ ა: ცხორებაჲ საბა ასურისაჲ გამოც. სვ. ჯ ა ნ ა შ ი ა ს მიერ, „არილი", ტფილ. 1925.

ს ა ს. პ ო ე ზ.: ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წიგ. I. გამოც. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს მიერ, ტფილ. 1913.

ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ.: მკეცთათჳს: სახისა: სიტყუაჲ:... გამოც. აკად ნ. მ ა რ ი ს მიერ; Тексты и разыск. по арм.-груз. фил. кн. VI, СПБ. 1904.

ც ხ ო რ. ს ე რ ა პ.: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ... სერაპიონისი, გამოც. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ: ქართული მწერლობა, წიგ. II, ტფ. 1909.

წ ა რ ტ ყ. ი ე რ.: წარტყუენვაჲ იერუსალჱმისაჲ, გამოც. აკად. ნ. მ ა რ ი ს მიერ: Тексты и разыск. кн. IX, СПБ. 1909.

ჰ ა ე მ ე ტ. ტ ე ქ.: ჰაემეტი ტექსტები, გამოც. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ: ტფილ. უნივ. მოამბე, ტ. III.

პირველი ციფრი მიუთითებს გვერდს, მეორე—სტრიქონს. ზემოდან ნაანგარიშევს; ადიშიდან ციტატებში პირველ ციფრით აღინიშნება ტაბულა, a'თი ზედა ორი გვერდი, b'თი ქვედა; ამის შემდეგ: 1—მარცხენას, 2—მარჯვენა ნაწილს.

ქარაგმები ყველგან გავხსენით, რადგანაც რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია ციტატები პეტიტით აწყობილიყო, ქარაგმის ნიშნები კი ამ შრიფტისათვის სტამბას არ გააჩნდა.

---

ალ. ბარამიძე

# ვეფხის-ტყაოსნის „პლასტების“ დათარიღებისათვის[1].

პ. ინგოროყვას საყურადღებო შრომამ („რუსთველიანა“ I, 1926. ტფილისი) და მის გარშემო გამართულმა პოლემიკამ[2] ახალი სიმწვავითა და ინტერესით გააღვივა საკითხი ვეფხის-ტყაოსნის „პლასტების“ დროის შესახებ (ტერმინი პ. ინგოროყვას ეკუთვნის). პ. ინგოროყვა ისე შორს მიდის, რომ მთელი ვეფხის-ტყაოსნის პრობლემის გადაჭრას ამ გზით აპირებს. მისი შრომის ერთ უცილობელ ღირსებად უნდა ჩაითვალოს მსჯელობაში ერთგვარი მწყობრი, ლოღიკური თანმიმდევრობა. მკვლევრის კონცეფცია აგებულია „პლასტების“ დათარიღების საკითხზე. მთელ პოემას (გაგრძელება ჩანართებითურთ) ის ჰყოფს სამ ძირითად „პლასტად“ (გვ. 19). უკანასკნელი (მესამე) პლასტი, მისი აზრით, დაწერილია არა უგვიანეს მე-XV ს. პირველ ნახევრისა (გვ. 25). მეორე პლასტი (იგულისხმება 1. ამბავი ინდო-ხატაელთა, 2. ამბავი ხვარაზმელთა, 3. ამბავი ვეფხის-ტყაოსნის გმირთა სიკვდილისა) სამ სხვა-და-სხვა ავტორს ეკუთვნის (გვ. 32), აქედან „ინდო-ხატაელთა ამბავი“ შექმნილა ცოტა მეტნაკლებობით მე-XIV ს. ნახევარში (გვ. 37).

რაც შეეხება მეორე პლასტის დანარჩენ ამბებს, „ისინი დაწერილია მე-XIV ს. ნახევრის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მე-XV ს. დასაწყისისა“ (გვ. 37). ასეთი დასკვნის მისაღებად პ. ინგოროყვა შემდეგი ლოღიკური მოსაზრებიდან გამოდის: „რაკი ყველაზე უგვიანესი (მესამე) პლასტის ვეფხის-ტყაოსანში ჩართვა მე-XV ს. პირველ ნახევრიდან დაწყებულა, ცხადია, უფრო ძველი მეორე პლასტის დამატებანი ამაზე ადრე უნდა შეედგინათ, ყოველ შემთხვევაში მე-XIV საუკუნიდან ვიდრე მე-XV ს. პირველ ნახევრამდე.—ეს სრულიად ცხადი დებულებაა“[3]. პირველი პლასტის შესახებაც ასეთივე ლოღიკური მსჯელობაა: „რაკი მეორე პლასტი არის მხოლოდ შემდეგი დროის გაგრძელება ვახტანგისეული ტექსტისა, ამის მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგის ტექსტი მე-XIV ს. ნახევარზე უფრო ძველია (გვ. 42).—და ასე თანდათანობით მკვლევარი ჩადის თამარის ეპოქამდე. ძირითადი ინტერესი მსჯელობის წინნამძღვრებშია.

---

[1]) წაკითხულია მოხსენებად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1927 წ. ოქტომბრის 14-ს.

[2]) პროფ. კ. კეკელიძე, რუსთველიანა „მნათობი“ 1927, № 2; პ. ინგოროყვა, რუსთველიანაზე პროფ. კ. კეკელიძის წერილის გამო „მნათობი“ 1927, № 3,4.

[3]) მნათობი 1927, № 3, გვ. 210; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პ. ინგოროყვამ ამ შემთხვევაში დათარიღება თავის წიგნის მიმართ ნახევარი საუკუნით უკან დასწია.

ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს მეორე „პლასტის“ მეორე დამატება. ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავი“, ან სრული სათაურით: „აქა ტარიელის დასნეულება და ხუარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსულა ინდოეთს“ [1].

ეს დამატება ყველა დანარჩენზედ მოზრდილიცაა და საინტერესო თავისი ბიბლიოგრაფიული ცნობებით.

ამბავს წამძღვარებული აქვს შემდეგი წინასიტყვაობა:

„ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხუარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,
ძნელია პოვნა, გული ჰკრთა, დავვარდი, დაველონეთა,
და კულავე ვთქუი, ლექსი გავმართე, მოსმენით გაიგონეთა.

აწ, გონიერნო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,
ძუელნი ნარჩომი ამბავი ლექსად ვთქუენ, გაიხარენით!
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
და ლექსნი მიქენით, ამისთუის ენანი მამაკმარენით [2].

ამბავი ანალოგიურ ბიბლიოგრაფიული მინაწერით წყდება:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის[ს] ლექსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგეი თმოგუელთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
მე ენახე და მას უჩუენი, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
და მან მიბრძანა ლექსად თქუიო, მჰევრ ქართულად, დაუშრობლად“.

ამ ბიბლიოგრაფიულ მინაწერთა მიხედვით ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ დაუწერია სარგის თმოგველს, ხოლო პოემა დაუმთავრებელი დარჩენიაო. ის უპოვნია შოთა რუსთველს თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ, და 1405-1412 წლებში დაუსრულებია კიდეცო“ [3].

უკანასკნელად ს. კაკაბაძე იმ აზრს დაადგა, რომ სარგის თმოგველი პროზაული „ვეფხის-ტყაოსნის“ა და „დილარგეთიანის“ ავტორია. მას თხზულება დარჩენია თმოგველთაგან თმოგვის მიტოვების დროს, უფლისწულ დემნას 1177 წლის აჯანყების შემდეგო [4].

საერთოდ ს. კაკაბაძე მოყვანილ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს მთელ პოემას უკავშირებს, ამიტომაც უცნობი ავტორის ბოლოსიტყვაობა, თავის უკანა-

---

1) ვეფხის-ტყაოსანი ს. კაკაბაძის რედაქციით, 1914 წ. გამოცემა, ხანები 1611—1720: ჩვენ ქვემოთ ყველგან ციტატებს ამ გამოცემით ვუჩვენებთ (რადგან უკეთესი გამოცემა არ არსებობს). ხელნაწერთა განსხვავებულ წაკითხვებს ცალკე გავუსვამთ ხაზს.

2) ამ რიგით დაუცავს ეს ხანები უმრავლეს ხელნაწერებს. ს. კაკაბაძის გამოცემით: იხ. ხანები $1611^1$, 1611.

3) ვეფხის-ტყაოსნის 1914 წლის გამოცემის წინასიტყვაობა გვ. 39, 40, 50 და სხვ.; აგრეთვე მისივე წერილი „საისტორიო მოამბეში“ 1924, 1,137—მხოლოდ ამ შემთხვევაში შოთას პოემას 1320—1325 წლებს მიაკუთვნებს (საისტ. მოამბე, I, გვ. 156).

4) „ვეფხის-ტყაოსანი“ ს. კაკაბაძის რედაქტორობით. მეორე გამოცემა, ტფილისი 1927, გვ. XLIV—XLV.

სენელ გამოცემაში, სრულიად უადგილოდ მიაკერა ვახტანგისეული რედაქციის ტექსტს.

დავით კარიჭაშვილი კითხვას სვამდა: „ვინ უნდა იყვეს ეს სარგის, რომელსაც დარჩენია გაულექსავი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს დაბრუნების შემდეგ მომხდარი ამბები?“ და ასეთ პასუხს იძლეოდა: „ის უნდა იყვეს ან თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი, ან ის, ვინც „ვეფხის-ტყაოსანს“ ჩაუმატა 40-მდე ტაეპი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნების და გახელმწიფების აღწერილობით. ამაზე დაწერილებით კვლავ გვექნება მსჯელობა [1].

აღძრული საკითხის გამო პ. ინგოროყვა კი თავის მხრივ ასკვნის: „1. ან სარგის თმოგველი არის ავტორი მთელი ვეფხის-ტყაოსნისა; 2. ან სარგის თმოგველი არის ავტორი არა მთელი ვეფხის-ტყაოსნისა, არამედ მხოლოდ პირველი დამატებისა, ინდო-ხატაელთა ამბისა, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ამ მეორე დამატებას“ [2]. როდესაც პროფ. კ. კეკელიძემ შენიშნა, რომ ზემორე მოყვანილი ბიბლიოგრაფიული ცნობა გარკვეულად ხვარაზმელთა ამბავს ჰგულისხმობს და არა მთელ „ვეფხის-ტყაოსანს“ ანდა ინდო-ხატაელთა ამბავს [3], მაშინ პ. ინგოროყვამ მესამე შესაძლებლობაც (ჩვენის აზრით ყველაზე სწორი) იცნო. ის სწერს: „კ. კეკელიძე სრულებით მართალია, როცა ამბობს, რომ ეს მეორე ეპიზოდი „ხვარაზმთა ამბავი“ თავდაპირველად პროზაულად იყო ნაწერიო; მაგრამ ეს განა ეწინააღმდეგება ჩვენს თეორიას? სრულებით არა, პირიქით ჩვენი თეორია ამ მოსაზრებას თავისთავად იგულისხმებს“ [4].

ამჟამად საინტერესო არაა იმისი მტკიცება, ჰგულისხმობს თუ არა მესამე შესაძლებლობას „რუსთველიანაში“ წარმოდგენილი ორი გარკვეული დებულება. ჩვენთვის უფრო ისაა საყურადღებო, რომ მკვლევარნი შეთანხმდენ შემდეგში: ხვარაზმელთა ამბავს საფუძვლად დასდებია პროზაული თხრობა. როდესაც ამ დებულებიდან გამოვალთ, მაშინ გასაგებიც იქნება ის ლექსიკური რეალიები, რომლებიც პ. ინგოროყვას სამართლიანად აფიქრებდა (რუსთ. გვ. 30-31). მაგრამ ჯერ თარიღის საკითხზე შევჩერდეთ.

პ. ინგოროყვა თავისი პირველი ორი დებულების მიხედვით ასკვნის, რომ სარგის თმოგველი ავტორია პირველი დამატებისა (ინდო-ხატაელთა ეპიზოდისა), გალექსვა უნდა მომხდარიყო სანამ თმოგველები თმოგვს დასტოვებდენ, რაც 1360 წ. ახლო მომხდარა [5]. მაშასადამე ამ დროისთვის პირველი დამატებაც უკვე შექმნილია. მეორე დამატება კი (ხვარაზმელთა ეპიზოდი) შემდეგი დროის ნაყოფია, მაგრამ „არა უგვიანეს მე-XV ს. დასაწყისისა“ [6]. ასეთი ლოღიკუ-

---

[1]) ვეფხის-ტყაოსნის შედგენილობა, „განათლება“ 1913 წ. VI, 418, შენიშვნა. აქვე უნდა დავსძინო, რომ, რამდენადაც ვიცით, განსვენებული მკვლევარი ამ საკითხს კვლავ აღარ დაჰბრუნებია.

[2]) რუსთ. გვ. 33.

[3]) „მნათობი“ № 2, გვ. 187.

[4]) იქვე № 3, გვ. 212.

[5]) რუსთველიანა გვ. 36.

[6]) იქვე, 37.

რი აღნაგობა ბუნებრივად დაირღვევა, თუ ვიგულისხმებთ, რომ სარგის თმოგველს გალექსილი ინდო-ხატაელთა ამბავი კი არ დაჰრჩენია, არამედ შეუწყობელი ხვარაზმელთა ეპიზოდი. და რომ ბიბლიოგრაფიულ ცნობაში გარკვეულად გაულექსავი პროზაული ამბავი იგულისხმება, ამაში, სხვათა შორის, მამუკა მდივნის ფრიად საყურადღებო ანალოგია გვარწმუნებს.

მამუკა თავისი „ზააქიანის“ შესავალში ამბობს:

„გეხვეწები გონიერთა, ვინც არა ხართ თვისა მკვლელი,
ამას ყური მოუპყარით, —ბრძენი იყოთ, ანუ ხელი:
საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველი.
და თუმც იცოდეს ჩემგან უკეთ, რად არ მიჰყო ერისმან ხელი[1]?!

დიდი მახვილგონიერება არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ მამუკა მდივანი ამ შემთხვევაში ჰბაძავს და პირდაპირ იმეორებს ჩვენი ეპიზოდის ბიბლიოგრაფიულ მოწმობას:

აწ, გონიერნო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით!
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
და ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამაკმარენით.

საქმე იმაშია, რომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში ითქვას: „ეს ამბავი“, ე. ი. „ცალკე ეპიზოდი“[2], როგორც ამას პ. ინგოროყვა ჩადის. აღორძინების პერიოდის მწერლობაში ტერმინი „ამბავი“, თავისი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, სისტემატიურად იხმარება პროზაული თხრობის აღსანიშნავად.

დღეს უკვე საკმაოდ ცნობილია, რომ მამუკა მდივანი გარკვეულად პროზაულ ტექსტს გულისხმობს, როცა იგი უცნობი მელექსის სიტყვებით მიჰმართავს გონიერთ, ყური მიუპყრან მის მიერვე გალექსილ ძველ ნარჩომ ამბავს. მამუკა მდივნის ანალოგია სხვა მხრითაც არის საყურადღებო, მამუკა ვერ მალავს, რომ ის სწორედ ხვარაზმელთა ამბის (ე. ი. პროზაული თხრობის) გამლექსავსაა დასესხებული. ზევით მოყვანილი ხანის შემდეგ პოეტი განაგრძობს:

„ვერ შეემართა შავთელსა და ვერცა სერგის თმოგველსა,
ვერცა მანუჩარს მწერალსა...

„შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გამომცემელი, ი. აბულაძე ფიქრობდა, რომ ამ სარგის თმოგველში უნდა ის სარგისი ვიგულისხმოთ, რომელსაც „ვისრამიანის“ მთარგმნელობა მიეწერებაო[3]. ჩვენ კი ეხლა უფლება გვეძლევა აქ ხვარაზმელთა ეპიზოდის ბიბლიოგრაფიული მოწმობის სარგის თმოგველი დავინახოთ, მით უმეტეს, რომ სარგისის შემდეგ „ვეფხის ტყაოსნის“ ცნობილი გამგრძელებელი მანუჩარ მწერალი იხსენიება.

მაგრამ როდისღა უნდა გალექსილიყო საცილობელი ამბავი?

---

1) „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 3.
2) რუსთველიანა, გვ. 34.
3) დასახელებული წიგნი, გვ. 4, შენ. 2.

ტექსტის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ხვარაზმელთა ამბის გალექსვა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც აღორძინების პერიოდში ქართულად ჩამოყალიბდა „შაჰ-ნამეს“ ვერსიები.

„შაჰ-ნამე“ უშესანიშნავესი ნაწარმოებია და არა მარტო სპარსული მწერლობისთვის. ამ თხზულებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩვენი აღორძინების პერიოდის ლიტერატურის გამოფხიზლებისა და განაყოფიერების საქმეში. დასახელებულ პერიოდში იმ თავითვე ქართულად ჩამოყალიბდა (თუმცა არა სრულად) ეს უზარმაზარი ეპოპეა ნაწილობრივ პროზად, ნაწილობრივ ლექსად. მთელი მომდევნო მწერლობის ერთი წყება ამ თხზულების პროზაული ვერსიების გალექსვას ემსახურება: „ზააქიანი“, „საამიანი“, უცნობი ავტორის „უთრუთიანი“. ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით საკუთრივ „როსტომიანის“ შესახებ. საფიქრებელი ხდება, რომ ის, ნაწილობრივ მაინც, უშუალოდ სპარსული ორიგინალიდან უნდა მომდინარეობდეს. მეორე წყება კი, რომელიც არა თუ უშუალოდ ამ ძეგლზედ არ მუშაობს, არამედ საკუთრივ ორიგინალურ გზებს იძიებს ჩვენს მწერლობაში, მაინც მისი უდიდესი გავლენის ქვეშ არის მოქცეული. ამის საუკეთესო მაგალითია „ომაინიანი“ და ვრცელი კომპილატური ზღაპრების კრებული „რუსუდანიანი“. უკანასკნელი პირდაპირ „შაჰ-ნამეს“ უხეირო პერიფრაზს იძლევა [1]. ამ გავლენისაგან ვერ განთავისუფლებულან ისეთი ძეგლებიც კი, რომლებიც ჩვენში სულ სხვა გზებით შემოდიოდენ. სანიმუშოდ დავასახელებ „ალექსანდრიანს“.

„შაჰ-ნამეს“ ვერსიები ლიტერატურულის, თუ ზეპირსიტყვაობის გზით (თავის მხრით ზეპირსიტყვაობა ლიტერატურულზეა დამოკიდებული) არაჩვეულებრივის სიყვარულით და იდეალიზაციით შემოიჭრა ჩვენი ხალხის სინამდვილეში; ამიტომაც ის გატაცებით იკითხებოდა, იწერებოდა ახალი ნუსხები, ვრცელდებოდა. ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ერთი უორიგინალესი პოეტი ა რ ჩ ი ლ ი:

— ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე საამისა“-ო [2].

ქართველი ხალხი „შაჰ-ნამე“-ში წარსულის ეროვნულ-გმირულ იდეალიზაციას ხედავდა. ამ მხრივ დიდად დამახასიათებელია ერთი ძველი მწიგნობრის ტირადა „შაჰ-ნამეს“ გამო: „ჰოი მკითხველნო!..

ჰპოოთმცა ამას შინა ძველი ზნეობა და ზოგადი ჩვეულება ძველთა ქართველთა; და გმირულნი მოთხრობანი, რომლითაცა ძველნი ქართველნი შთამომავლობათა ანდაზად დაუდებდიან, და ამით მათ შორის სიმხნესა და ახოვანსა სულსა განაღვიძებდიან [3].

„შაჰ-ნამეს“ უზარმაზარი პოპულარიზაციით უნდა აიხსნას, რომ ქართულად მისი სამი, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი, რედაქცია შექმნილა. ამიტომ მოსალოდნელი და ბუნებრივიც არის „ვეფხის-ტყაოსნის“ პლასტებში „შაჰ-ნამეს“ კვალი. კონკრეტულად ეს შემდეგში გამოიხატება: ჯერ ერთი, ხსენებული პლასტების ტექსტში ჩვენ ვხედებით „შაჰ-ნამეს“ გმირების შედარებას:

---

1) ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები „ტფ. უნივერ. მოამბე“ VIII, 314.

2) სიძვ. მუზეუმი, წ.-კ.-ის ფონდი № 424. გვ. 462.

3) ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Опис. рук. I, 360.

„თუ ნახავთ მისთა ნაკრავთა ს ა ა მ-რ ო ს ტ ო მ გეგონების" (კაკ. 1631).

საყურადღებოა, რომ „ვეფხის-ტყაოსნის" ძირითად ნაწილში „შაჰ-ნამეს" გმირებიდან მხოლოდ როსტომ არის ნახსენები და ისიც ერთხელ:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავე უგრძესითა" [1].

ჩანართებში კი სხვებსაც ვხვდებით, ასე მაგალითად:

გმირნი ს ა ა მ, ზ ა ა ლ, რ ო ს ტ ო მ, ა ი ო ზ (?) და ს ა ლ ი მ, თ უ რ ა (კაკ). 43[1])

„შაჰნამეს" გავლენითაა შემდეგი ტაეპიც:

„უაქაოდ არ დავდგები, ე რ ა ნ ს ვარ თუ ზ ა უ ლ ი ს ტ ა ნ ს" (კაკ. 894[1]).

ხვარაზმელთა ეპიზოდის მეორე კარი ასეთი სათაურითაა: „აქა ომი ხუარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თ უ რ ქ თ ა", განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ახალი ხალხის, თურქების, მოხსენება. თითქოს სრულიად მოსალოდნელი არ იყო ეს ჩვენი თხრობის შინაარსით. ხვარაზმელთ ებრძვის ტარიელისა (ინდოეთისა), ავთანდილისა (არაბეთისა) და ფრიდონის (მულღანზარზარის) შეერთებული ჯარები. თურქებს არაფერი საერთო არ აქვთ არც ერთ და არც მეორე მხარესთან. ჩვენი თხრობიდან ისე ჩანს, რომ თურქთა მეფობა ფრიდონს მიეკუთნება. ავთანდილ და ფრიდონ რომ გაემართნენ სენისაგან დაუძლურებული ტარიელის დასახმარებლად ხვარაზმთა წინაალმდეგ, ეს ამბავი ასეა გადმოცემული შემდეგ ხანაში:

ოცდა ათსა დღესა შიგან ორნივ სწორად გაემართნეს.
ა რ ა ბ თ ა და თ უ რ ქ თ მეფესა პირი მზეებრ ეწაალმართნეს,
მუნ დროშანი ვერ დავთვალენ, რომე იმათ აემართნეს,
და ვით დავწეროთ, თუ ხვარაზმშას რა საქმენი დაემართნეს [2].

თურქების თხრობის ასპარეზზე გამოყვანა და, მით უმეტეს, ფრიდონის კონკრეტულად მათ მეფედ გამოცხადება სრულიად არ შეესაბამება „ვეფხის-ტყაოსნის" სინამდვილეს. ცხადია აქ საქმე გვაქვს რაღაც გარეშე ლიტერატურულ გავლენასთან. მეორეს მხრით ისიც ცხადია ყველა იმათთვის, ვინც ოდნავ მაინც „შაჰ-ნამეს" ეპოპეას გასცნობია, რომ ჩვენს ეპიზოდში სწორედ ამ ეპოპეის ნებსითი თუ უნებლიეთი გავლენის ნაკადი შემოჭრილა. მეტად ცნობილი ამბავია, რომ თურქნი „ულეველი წიგნის" (ს ე რ ა პ ი ო ნ ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს მოსწრებული გამოთქმით) განუყრელი ატრიბუტია.

რასაკვირველია, აქ შეიძლება კითხვა მხოლოდ ამ მიმართულებით დაისვას: „შაჰ-ნამეს" ლიტერატურული გავლენა ქართულსა თუ უშუალოდ სპარსულ ნიადაგზეა მოსალოდნელი. ჩვენი მტკიცებაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ ქართულ ნიადაგთან გვაქვს. აი ამის საბუთებიც:

ხვარაზმელთა ეპიზოდში გვხვდება „შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების ერთი სპეციალური, ფრიად დამახასიათებელი ფრაზა, რომელიც საკითხს ნათელსა ჰფენს, სახელდობრ:

---

[1]) „ვეფხის-ტყაოსანი" ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქტორობით, ტფილისი 1926, ხანა 137.

[2]) ეს ხანა ამოღებული მაქვს წ. კ. საზ. ფონდის № 2829 ხელნაწერიდან, რომელიც თითქოს ს. კაკაბაძის 1914 წ. გამოცემას საფუძვლად დასდებია, მაგრამ რომლის მიმართაც გამომცემელი ყოველ ხანაშიც-კი საშინლად ცოდავს. ეს ხანაც ( 1913 ), მაგალითად, იქ სრულიად უცხო სახეს ატარებს.

„ჰკარ-მოკალ-შეიპყარ“-ისა კმა თუით მრავლთაგან გაორდა [1].

ამის პარალელური ფრაზაა „შაჰნამეთი“:

„ლახტითა სცემდეს, იზახდეს: ჰ კ ა რ, მ ო კ ა ლ, შ ე ი პ ყ ა რ ი თ ა“ [2].

მოყვანილი ადგილის შესატყვისად სპარსულ ტექსტში [3] იკითხება შემდეგი:

بینداخت سه جای سه چوبه تیر بر آمد خروشیدن دار و گیر [4]

უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული თარგმანი დასახელებულ ადგილას ტექსტუალურად არ იმეორებს სპარსულს და მოყვანილი ორი მაგალითი, თუმცა საერთო ამბავშია, მაგრამ არაა ტაეპოვანი შესატყვისობით მოცემული [5].

სამაგიეროდ გვაქვს შემთხვევები, როცა სწორედ ტაეპოვანი შესატყვისობაც უაღრესობამდეა დაცული. ასე მაგ

„შემოსძახდეს: „შეკარ-მოკალ“ „შეიპყარ“-ის კმაცა იყო [6].

რაც უდრის:

درخشیدن تیغ و باران تیر خروش یلان بهدد و دار و گیر [7]

არის შემთხვევა, როცა სპარსულში სხვაგვარი გამოთქმა გვხვდება იმავე აზრის გამოსახატავად, როგორც მაგ:

دهاده بر آمد زهر دو سپاد [8]

ეს ქართულშიც აღბეჭდილა:

„ლაშქარშიგ: „შეკარ, შეიპყარ“ კმა შექნეს, იყო ომია [9].

ჩვენთვის ეხლა განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ პარალელურად მოყვანილი ქართულ-სპარსული ფრაზები თუმცა არსებითად ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ, მაგრამ სრული იგივეობა მაინც არ არის დაცული, ნიუანსებში და ცალკე სიტყვებშიც ქართული ჰშორდება თავის ორიგინალს. ხვარაზმელთა ეპიზოდს-კი საყურადღებო ფრაზა იმ სახით დაუცავს, როგორც ეს „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიას შემოუნახავს. აქედან დასკვნაც თავისთავად ცხადია.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს სხვა პარალელური მაგალითებიც „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიასა და ხვარაზმელთა ეპიზოდიდან, ასე მაგ.:

„ცისკრად კრეს ქოსთა, დაბდაბთა, ორთა ქიშვართა მეფეთა“
(კაკ. 1630).

---

1) კაკაბაძე, $1658_3$, ოღონდ გამოცემაში შეცდომით არის: კარ.

2) „შაჰ-ნამეს“ ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, $1947_2$, აქაც გამოცემის „მოჰკალ-“ს ვასწორებთ: მოკალ. იხ. აგრ. $1924_4$.

3) აქვე უნდა შევნიშნო, რომ ქართული „როსტომიანი“ მთლიანად ხედმიწევნითი სისწორით, ოღონდ შემოკლებულად, იმეორებს სპარსულ ორიგინალს.

4) کتاب شاه نامه Joannes Augustus Vullers-ის გამოცემა $1,269_{430}$; შდრ. აგრ. იქვე, $303_{45}$.

5) შდრ. ხანა 1924=Vullers-ის გამოცემის, I, 256-257 გვერდს; 1947=266-67.

6) წ. კ. ხელნ. № 428 გვ. 846 („შაჰნამეს“ ქართული ვერსიის გამოუცემელი ნაწილიდან).

7) Vullers, III. $1561_{1136}$; აგრ. იხ. ქართ. ვერსიით წ. კ. ხელ. № 429 გვ. 464=Vullers-ის II, $841_{1315}$; III, $1310_{780}$= № 422 გვ. 720. ეს სტერეოტიპული ფრაზა გვხვდება „შაჰ-ნამეს“ პროზაულ ვერსიაშიც (იხ. ს. ს. ს. ხელნ. № 921 გვ. 124ს).

8) Vullers, III, $1484_{320}$;

9) წ. კ. № 428 გვ. 804

გახაზული გამოთქმის ხმარება, რასაკვირველია, „შაჰ-ნამეს“ გავლენით ადვილი ასახსნელია. „ქიშვარი“ თუ „ქიშვარდი“ სპარსულში კარგად ცნობილი ტერმინია (کشور). ის სისტემატურად იხმარება „შაჰ-ნამეს“, როგორც სპარსულ, ისე ქართულ ვერსიაში, მაგრამ რაც უფრო საყურადღებოა, ქართულში ეს ტერმინი უცვლელად სპარსულივე გამოთქმით გადმოდის. მოვიყვანოთ ასეთი ფრაზა: არჯასპ (თურანთა მეფე) ამბობს გოსტასაბის (ერანთა მეფის) მისამართით: „მის ქიშვარში მეომარი კაცი არავინ არია“ [1], რაც ზუსტი თარგმანია შემდეგი სიტყვებისა:

سواری ٭ اندر همه کشورش [2]

ქიშვარ ტერმინი „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიაში იმდენად მიღებული და გაბატონებულია, რომ ხშირად იხმარება მაშინ, როცა დედნით ამის საჭიროება არ ჩანს. ასე მაგ. როსტომი სწერს ქაიხოსროს: „შვიდთა ქიშვარდთა ლაშქარი აქათით დავკარგენითა“ [3].

დედანში არაფერი მაგისი მზგავსი არაა, თუმცა როსტომის წერილი საერთოდ ზედმიწევნილი სისწორითაა გადმოცემული ქართულ თარგმანში [4]. ან კიდევ გმირი გოდერძი მოახსენებს იმავე როსტომს:

„შენი ერთი მარტო თავი ასს ქიშვადსა უფრო არი“ [5].

ეს ფრაზაც ქართველი მელექსის წვლილია და სპარსული დედნისთვის უცნობი [6].

დამახასიათებელია ასეთი დეტალიც:

იქი დგას მეფე ხუარაზმთა მფლობელი ლაშქართ ზემისა
(კაკ. $1628_2$).

„ლაშქართ ზემი“ ნიშნავს „დამკვრელი ლაშქარი“ ან „მფრეწელი ლაშქარი“ („შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიის გამოთქმით). ჩვენს ვერსიებში გვხვდება ეს ტერმინიც. მაგ. საამის მოხსენებიდან:

„რა ის მოვჰკალ, მას უკანით იაქ ზამი საამ მრქუიან [7].

---

1) წ. კ. № 428, გვ. 842.
2) Vullers, III, $1552_{ც.ვ.}$
3) წ. კ. № 426 გვ. 517.
4) შდრ. Vullers, II, 1010—1013.
5) წ. კ. № 428, გვ. 522.
6) შდრ. Vullers-ი II, 1024—1026; აქვე მინდა შევნიშნო, რომ აკად. ნიკ. მარის მართებული დასკვნით, კლასიკურ პერიოდში ეს ტერმინი (ქიშვარი) ჩვენში უცნობი უნდა ყოფილიყო და „ვისრამიანის“ მთარგმნელი მას სისტემატურად გაურბის (შდრ. Из Грузино-персидских литературных связей: *Записки Коллегии Востоковедов*, Ленинград 1925, I, 124).
7) „ვერსიები“, $1614_4$—ეს ადგილი ი. აბულაძეს განმარტებული არ აქვს, სპარსულ ტექსტში შესაფერ ადგილას იკითხება: مرا سام یك زخم از آن خوانند (Vullers, I, $196_{1201}$). ქართულში სიტყვა სიტყვით გადმოცემულია ორიგინალი, კიდევ მეტი: მთარგმნელს ეპიტეტი یك زخم უთარგმნელად დაუტოვებია და ისევე გადმოუღია ქართულად. მნიშვნელობით იაქ ზემი (یك زخم) იქნება: ერთი დაკვრა. „შაჰ-ნამეს“ ცნობილ გერმანელ მთარგმნელს, რუკერტს, ეს ტაეპი ასე აქვს გადმოცემული: Sie nannten mich Sam von Einem Schlag (Firdosi's Königsbuch, übersetzt von Friedrich Rückert. Berlin 1890, s. $193_{1208}$). ფრანგული თარგმანით: Ils m'appelèrent de là Sam qui ne donne qu' un coup“ (Jules Mohl „Le livre des rois“, სპარსულ-ფრანგული გამოცემა, გვ. 313).

შესაძლებელია ხუარაზმელთა ამბის „ზემი“ მიღებული იყვეს არა زخم-ისგან, არამედ زدن (= დარტყმა, გარტყმა), მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა „ზენ“ ან „ზან“ (زن), ამის

„სწვენ, თარეშობენ და ჰკოცენ“ (ვერსიები 1920$_3$)—„კოცენ, სწვენ და აოხრებენ“ (კაკ. 1655$_4$).

„შუბის ნალეწი ეყარა“ (იქვე, 1504$_1$) — „გორად ძეს შუბთა ნალეწი“ (იქვე, 1685$_4$).

მიწა სისხლსა შეელება, ჰგავს სულა გაწითლებულა (იქვე, 1948$_4$)—
გაკდეს ინდოთა მინდორნი სისხლითა გაწითლებულნი (იქვე, 1633$_3$).
თავი ეყარა შორი შორს, სისხლისა რუ მიდიოდა (იქვე, 2401$_1$)—
მათ მძინარეთა გარეთ ქნეს სისხლი რუდ მინაწდომითა (იქვე, 1680$_3$).

ფუტკართა რემა („შაჰ ნამეს“ პროზაული ვერსია, საისტ და საეთნ. საზ. ხელნ. № 921, გვ. 124b) —ფუტკართა რემა (კაკ. 1628$_3$); რასაკვირველია შაჰ-ნამისებურია ისეთი გამოთქმები, როგორც: „ორთავე რაზმი გასწორდა“ (კაკ. 1658$_1$) „მუქარის მთხოვი“ (1671$_2$) “უზენაროდ მიეპყრნენ“ (1637$_2$) [1].

დასასრულ ბრძოლის აღწერილობა (კაკ. 1685 —1688) „შაჰ-ნამეს“ დაუსრულებელ ანალოგიურ სურათებს გიშლისთ თვალთწინ.

წარმოებული ექსკურსი უეჭველს ჰყოფს, რომ „ხვარაზმთა ამბავი“ გალექსილია მას შემდეგ, რაც „შაჰ-ნამეს“ ვერსიები ჩამოყალიბდა ქართულად [2].

---

მშვენიერი მაგალითიც გვაქვს „შაჰ-ნამეში“. ასე მაგ. ერთ შემთხვევაში, როცა ჩამოთვლილია ერანელი გმირები, იქ, სხვათაშორის, მოხსენებულია قارن رزم زن (Vullers. 1,250$_{105}$), ქართულშიც, შესაფერ ადგილას, პირდაპირ გადმოღებულია ეს ეპითეტი უთარგმნელად რ ა ზ მ ა- ზ ა ნ ი ყ ა რ ა ნ (1895$_1$); სხვა ადგილას ქართველი მელექსე შესატყვის ქართულ ცნებასაც ხმარობს ყ ა რ ა ნ რ ა ზ მ ი ს ა მ ფ რ ე წ ე ლ მ ა ნ (1932$_1$), მაგრამ ბოლოს-და-ბოლოს მელექსეს ეს გარემოება სრულიად დაჰვიწყნია და „რაზმან“ ცალკე გმირის სახელად მიუღია, რომელსაც ყარანისაგან განასხვავებს: „რ ა ზ მ ა ნ და ყ ა რ ა ნ მას წინა მაღლადრე იარებოდეს“ (2049$_1$; შდრ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემაში „საკუთარ სახელთა საძიებელი“ რაზმაზანის ქვეშ).

„შაჰ-ნამეში“ გვხვდება ასეთი ფრაზაც: „იყო ზ ა მ ი და ზრიალი“ (2401$_3$).

1) ზენაარი, უზენარო—ჩვეულებრივად იხმარება „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტშიც.

2) რაც შეეხება ამ ამბის ლექსიკურ რეალიებს, მათი ახსნა სპარსულ ნიადაგზე ხდება შესაძლებელი. მოვიყვანოთ დამახასიათებელი მაგალითები: „საქმე ყოელი ზ ა ბ უ ნ ქ უ შ ი, ვაიმე, დიდი აუგია“ (კაკ. 1622$_1$). ზაბუნ= زبون ძაბუნი, სუსტი; ქუში არის ძირი کوشیدن (ქუშიდან) ზმნისა (ცდილობა, ძალღონის ხმარება), ან=کشیدن (ქეშიდან), زبونی کشیدن დაძაბუნება (ვნებ.).

წინ მოეგებნენ ინდონი...
მალითა ტაიჯებითა, გულმედგრად სარაკებითა,
პილოთა მეომრებითა, ჩ ა რ ხ-ნ ა ვ ა ქ ზანდუკებითა (1629).

ნავაქ ناوک (ნოვქ, ნავქ)—ნისკარტი, ფხა, ხმლის პირი; ჩარხი—چرخ (ჩარხ)—ჩარხი (სალესი); ჩარხ-ნავაქ—გალესილი, გაფხაებელი ხმალი. შეიძლება ასეთი ახსნაც چرخ—ჩარხი, წუთისოფელი (ცხოვრების ჩარხი), სწორედ ისე, როგორც ეს, სხვათა შორის „შაჰ-ნამეში“ გვხვდება: چرخ دل در نوک شمشیر تست (Vullers, II, 909$_{304}$), რაც ქართულად შეიძლება ასე ითარგმნოს:

სამყაროს გული შენი ხმლის ფხაზე ჰკიდია.

„მათნი ი ა ღ ნ ი ტიროდეს, ვით იცინიან რომელნი“ (1683$_4$). იაღი= یاغی მტერი, აჯანყების მომწყობი, ინსურგენტი.

„გამოდი, ჩუენ გამოგინდობთ, არ მ ი ზ დ ი გინდა ნავისა“ (1707$_4$). მიზდი=مزد სასყიდელი, გასამრჯელო.

„მას სიხარულსა ვერ დავსწერ კელთა ვერც ჰ ა ზ ა რ ი თ ა [1717$_4$—ოღონდ ვასწორებთ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს უპეირო წაკითხვას „კელითა ვერცა ზარითა“, წ. კ. ს. ხელნ. № 2829 მიხედვით (რომელიც, კვლავ ვიმეორებთ, კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემას საფუძვლად დასდებია). უფრო

ჩვენს მეცნიერებაში მიღებული საერთო აზრით „შაჰ-ნამის“ პირველი პროზაული ვერსია გადმოულიათ მე-XVI ს. პირველ წლებში [1], მაგრამ არა უგვიანეს ამავე საუკუნის პირველი ნახევრისა [2]. სერაპიონ სოგრატისძე საბაშვილი, რომლის გავლენაც ხვარაზმელთა ამბის გამლექსავს განუცდია, ამავე პერიოდის ე. ი. მე-XVI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა [3]. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ხვარაზმელთა ამბავი მე-XVI ს. პირველ ნახევრამდე მაინც ვერ შეიქმნებოდა [4]. ამით კი საფუძველი ეცლება პ. ინგოროყვას „ვეფხის-ტყაოსნის“ კონცეფციას საერთოდ და „პლასტების“ დათარიღების საკითხს კერძოდ. მეორის მხრით ჩვენი დათარიღება სავსებით უდგება პროფ. კ. კეკელიძის ადრინდელ ნარკვევს ამ მხრით. მეორე პლასტის პირველ დამატებაში (ინდო-ხატაელთა ეპიზოდში), როგორც ცნობილია, გვხვდება შემდეგი ადგილი:

„ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულსადაგად, არა ჰრელად,
მაგრამ ექნეს [5] სულისმლებლად, კათალიკოზ მაწყუერელად
(კაკ. 1543).

პროფ. კ. კეკელიძის ინტერპრეტაციით „აქ მაწყვერელი და კათალიკოზი დაპირისპირებულნი არიან, როგორც სწორუფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები“, რასაც მე-XVI ს. დამდეგამდე ადგილი ვერ ექნებოდა [6]. ჩვენ აღარ შევჩერდებით მესამე პლასტზედ, რომელიც პ. ინგოროყვას თეორიით „შეუძლებელია მივაწეროთ მე-XV ს. პირველ ნახევარზე გვიან დროს [7], მით უმეტეს, რომ ეს დათარიღება სრულიად შემთხვევითსა და ხელოვნურად შექმნილ მოსაზრებაზეა აგებული. ამ პლასტის „ერთ უძველეს დამატებაში“ [7]

სწორია პ. ინგოროყვას წაკითხვა „აზარითა“ (რუსთ. 31)]. ჰაზარი=კაცი რაც გარკვეულად ათასს ნიშნავს და არა „ასის მნიშვნელობით“ არის ნახმარი, როგორც ეს პ. ინგოროყვას აქვს განმარტებული (რუსთ. გვ. 31).

[1]) ი. აბულაძე, ვერსიები, გვ. XXI.

[2]) პროფ. კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ. ისტორია, II, 169.

[3]) იქვე, გვ. 178.

[4]) რასაკვირველია საკითხს ვერ ჰშველის ს. კაკაბაძის ტენდენციური მტკიცება, რომ სერაპიონ საბაშვილი მე-XIV ს. (1380-1385 წლების) მოღვაწეაო (საისტორიო მოამბე, 1924, I, 162). პ. ინგოროყვასაც სერაპიონ საბაშვილი თავის მიზნისთვის დასჭირდა და მას მე-XV საუკუნის „სამოციან და სამოცდაათიან“ წლების ისტორიულ პირს უკავშირებს ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე და „დაწერილებითი ცნობებისათვის“ მკითხველს გამოუქვეყნებელ სქოლიოზე მიუთითებს (რუსთველიანა გვ. 165). როგორც კურიოზული ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ მგოსანი კ. ჭიჭინაძე ეხლაც კი სერიოზულად ფიქრობს: „ვეფხის-ტყაოსნის“ პლასტები თამარის ეპოქაშია დაწერილი და საკუთრივ შოთა რუსთველის ხელით (ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხის-ტყაოსნის“ პრობლემა, ტფილისი, 1925, თავი III, ვეფხის-ტყაოსნის ვარიანტები).

[5]) იგულისხმება: ტარიელს და ნესტან-დარეჯანს.

[6]) ქართ. ლიტ. ისტ. II, 218; მნათობი № 2, გვ. 188. პ. ინგოროყვამ თავის „რუსთველიანაში“ ამ ფაქტს გვერდი აუარა, პროფ. კ. კეკელიძის კრიტიკული წერილის პასუხში კი, ჩვენის აზრით, ყოვლად უმართებულო ინტერპრეტაციას იძლევა (მნათობი № 3, გვ. 214-216).

[7]) რუსთველიანა, გვ. 25.

[8]) იქვე, გვ. 24.

მოხსენებულია მე-XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე შანშე ანისელი. პ. ინგოროყვას ლოღიკით: „რაკი შანშე ფლობდა ანისს მე-XIV ს. პირველ ნახევარში, ამიტომ ეს ლექსი შეუძლებელია მივაკუთვნოთ მე-XV საუკ. პირველ ნახევარზე უფრო გვიან დროს“ [1].

სამწუხაროდ პატივცემული მკვლევარის ეს მოსაზრება უბრალო დეკლარაციული ხასიათის განცხადებაა და არავითარი საბუთიანობა სარჩულად არ უდევს. მართლაც, თუ გამოსავალ წერტილად შანშე ანისელს მივიღებთ, დათარიღებას რატომ მისი ცხოვრების დროიდანვე არ დავიწყებთ? [2]

---

[1]) რუსთველიანა, გვ. 25; მნათობი № 3, გვ. 209. ს. კაკაბაძეც წარსულში ასე მსჯელობდა: „მე-XV საუკუნის შუაში და მეორე ნახევარში შანშეს მოხსენება შესადარებლად კიდევ ადვილი გასაგებია“ („ვეფხის-ტყაოსანი“, 1914 წ. გამოცემა, გვ. 67).

[2]) შდრ. პროფ. კეკელიძის წერილი, მნათობი № 2, გვ. 186.

მ. გოგიბერიძე.

# შემეცნების საგნის პრობლემა

## წინასწარი დისკუსია.

დავის საგანს არ შეადგენს ის გარემოება, რომ თვითოეული შემეცნება-ფაქტი ინვოლვაციის წესით საგნობრივ საზრისს შეიცავს. სადაო არ არის არც შემეცნება-აქტის საგნობრიობისაკენ მიმართული ინტენდიურობა. დავა დაიწყება იქ, სადაც საკითხი ინტენდიურ რაღაცას შეეხება. ე. ი. სადაოა შემეცნების საგნის რეალური ბუნება. ორი ერთი-მეორის გამომრიცხავი შესაძლებლობა იმ თავითვე ნათელი გახდება: a) შესაძლებელია შემეცნება-აქტის საგნობრიობისაკენ მიმართული სვლა გავიგოთ იმდაგვარად, რომ შემეცნება, აქტის ინტენციონალობით და ფაქტის ქცევადობით, თვით ჰქმნიდეს იმ საგანს, რომლისკენაც მისი მოქმედება მიისწრაფოდა; ანდა b) არსებობს შემეცნებისაგან სავსებით დამოუკიდებელი საგანი, რომელიც აქტის ფაქტად პერენიული ქცევის დროს, იქცევა შემეცნების საგნად. ე. ი. თუ ნაგულისხმევი იქნება შემეცნების განსაზღვრა შემეცნებისაგან დამოუკიდებელი საგნის მიერ (b)—ეს ერთი ვითარების მაჩვენებელია; და თუ შემეცნება თვით ჰქმნის და საზღვრავს თავის საგანს (a)—ეს მეორე, თან სავსებით სხვა ვითარება იქნება.

ეს დავა წარმოიშვა იმ დღეს, რა დღესაც ფილოსოფია დაიბადა და მის საბოლოო მოგვარებისათვის უამრავი სხვა უდაო პრობლემის წინასწარი გარკვევაა აუცილებელი. შესაძლებელია შემეცნების საგნის იმდაგვარი ფუნდირობა, რომ საძიებელ ფენომენს შეადგენს უდაო ნაწილი მასში, ე. ი. საგანი ძიებისა იმ ასპექტში მოექცევა, სადაც ორივე დასახელებული შესაძლებლობა (a და b) თანასწორუფლებიანი იქნება. ასეთს შემთხვევაში ორივე თვალსაზრისი აღიარებს, რომ შემეცნება ფაქტის სახით არსებობს, მას აქვს საგანი; საძიებელია შემეცნების შინა კონსტიტუენცი. ის, რაიც შემეცნების საგნის პრობლემაა, საგნის ეს შინა კონსტიტუენცის შესწავლა უნდა იყოს და არა იმ (a და b) დავის გადაწყვეტა, რომელიც თითოეულ სხვა ფილოსოფიურ პრობლემასთან ერთად მოდის და ბოლოს ორი შესაძლებელი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სახეს ღებულობს. რასაკვირველია, აქაც პრობლემის ყველა ხვეულში ძიების თვალსაზრისი იხელმძღვანელებს რომელიმე შესაძლებლობით (ჩვენ b-თი), მაგრამ მთავარი ღერძი მაინც მათ მაღლა იქნება მოთავსებული.

ამრიგად შემეცნების საგნის პრობლემა იგულისხმებს ერთგვარ (წინასწარ) იგივეობას შემეცნება-ფაქტსა და შემეცნების საგანს შორის, და ძიების ფენომენი იქნება ასეთი შემეცნება-ფაქტის კონსტიტუენცი.

მაგრამ რა არის აქ საძიებელი? შეიძლება საკმარისია ამ ფაქტის ფენომენოლოგიური აღწერა? დავუშვათ ეს უკანასკნელი. დავიწყოთ ფაქტის აღწერითი შესწავლა. ვთქვათ, რომ რომელიმე გარკვეულ მეცნიერულ ცოდნაში, მაგ. ნიუტონის ფორმულაში $K=k\frac{mM}{r^2}$ გრავიტაციის ფაქტი საკმაო თვალნათლობით აღწერილი და შესწავლილიც არის. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ $K=k\frac{mM}{r^2}$ ნიუტონის ფორმულა კი არ უნდა იყოს, არამედ გრავიტაციის ფორმულა. ე. ი სწორ ცოდნაში შემეცნების საგანი სინამდვილის რეალური საგანი უნდა იყოს. ჩვენ მიერ დაშვებული იგივეობის ფენომენოლოგიური აღწერა მიუთითებს ახალი იგივეობის საჭიროებაზე; ეს იგივეობა გამართულია შემეცნების საგანსა (=შემეცნება-ფაქტსა) და რეალურ საგანს შორის. მაგრამ შეუძლია შემეცნების ფენომენოლოგიასასეთი იგივეობის შედგენა? ეს მისთვის შეუძლებელია, როგორც პრინციპულად, ისე ფაქტიურად. პრინციპულად შეუძლებელია ეს, რადგან ამით ჯერ არ არსებული ფენომენის აღწერა იქნებოდა დაშვებული, და ფაქტიურად შეუძლებელია ეს იმიტომ, რომ მას წინ მეცნიერების პროგრესის შესაძლებლობა ელობება. რაღა გამოდის? გამოდის ის, რომ ვითომც ყოვლად უდანაშაულო ფენომენალიზმს შემეცნება შეჰყავს ისეთს ჩიხში, საიდანაც გამოსვლა ფენომენოლოგიური გზით ყოვლად შეუძლებელია.

ამ ჩიხში იბადება შემეცნების საგნის ანტინომია, რომლის აღწერაც შეიძლება ასე: შემეცნება-ფაქტით ნაგულისხმევი ინტენციონალური საგანი მოითხოვს, რომ დამტკიცებულ იქნას იგივეობა შემეცნების საგანსა და რეალურ საგანს შორის. ვითომც გარეშე ამ იგივეობისა თითოეული შემეცნება შეუძლებელი იყოს, მაგრამ ამავე შემეცნების ფაქტიური რეალიზაცია ამტკიცებს, რომ ის მოთხოვნილი იგივეობის არ-დამტკიცებას ემყარება. შემეცნების პროგრესული გაშლა, ე. ი. მეცნიერების განვითარება, ამტკიცებს, რომ სწორი ცოდნის კრიტერიუმი არ არის კრიტერიუმი იმისა, რომ ცოდნით ცნობიერებაში გადმოსული საგანი რეალური საგანი იყოს.

ამრიგად ფენომენალიზმს შემეცნების საგნის მოვლა არ შეუძლია. აღწერა გაგებას არ ნიშნავს, და რაც გაუგებარი დარჩენილა, ის ფილოსოფიურად დაუძლეველია. შემეცნების საგნის პრობლემის თვალნათლივი მოგვარება კი ძიების ისეთი ასპექტის შემუშავებას ნიშნავს, რომ იმისაგან ამოსული ანტინომიის ჩიხში არას დროს არ შევიდეთ. პრობლემა ანტინომიად იმიტომ იქცა, რომ საგანი ორად გაიყო. და რადგანაც ამ ორად გაყოფილის პირველი ნაწილის (ცნობიერებაში გადმოსული საგნის) აღწერითი-შესწავლა პრინციპულადაც და ფაქტიურად შესაძლებელი იყო, ხოლო მეორე ნახევარი, როგორც ჯერ არ არსებული ფენომენი აღწერის საგანი ვერ გახდება, ამიტომ გაორებიდან წარმოშობილი წინააღმდეგობა გადაულახავი დარჩა. მაგრამ თუ ძიების ისეთ მეთოდს შევიმუშავებთ, რომელიც ძიების ძირითად პირობად ფენომენში მოცემულის აღწერას კი არ გაიხდის, არამედ საგნობრივიდან ფენომენალურთან მოსვლას, მაშინ არამც თუ კანონიერად შევისწავლით შემეცნების საგნის კონსტიტუენცს, არამედ თეორიული შემეცნების საერთო ფუნდირობაში შემეცნების საგანს მივა-

ნიჭებთ ისეთ გარკვეულ ადგილს, როგორც ფიზიკის სისტემაში ენტროპიის მეორე დებულებას მინიჭებული აქვს.

შემეცნების საგნის პრობლემა ფილოსოფიაში ე. წ. ვიწრო გნოსეოლოგიურ პრობლემათა არეს იყო მიკუთვნებული, ის თვალსაზრისი-კი, რომლის შეხედვითაც აქ ეს პრობლემა უნდა გაირკვეს, პრინციპულად ჰშორდება გნოსეოლოგიურად საკითხების დაყენების საზღვარს და ძიების ცენტრი დიალექტიკურსა და აქსიოლექტიკურს არეში აქვს მოთავსებული.

## ა. შემეცნების საგნის გნოსეოლოგიური თეორიები და მათი კრიტიკა.

საგანი გააჩნია შემეცნებას. ამიტომ შემეცნების საგანი სისტემაში მოყვანილი ცოდნის არსებობას ჰგულისხმობს. სისტემაში მოყვანილი ცოდნა კი გარკვეული რაიმეს ცოდნაა და ეს გარკვეულობა პირველთავედებია მისი საგნობრიობისა. ამიტომაა, რომ შემეცნება, თავის დასრულებას მეცნიერებაში აღწევს. იმაზე უფრო სწორი და გარკვეული ცოდნა რეალური სინამდვილისა, ვიდრე მეცნიერული ცოდნის სახით გაშლილი შემეცნების საგანი, აზროვნებისათვის არ არსებობს. შემეცნების საგანი მეცნიერული ფაქტის შინაარსია, არც მეტი და არც ნაკლები.

ამის შედეგია ის გარემოება, რომ ყოველი პრინციპებით გამართლებული შემეცნების თეორია სციენციზმს ემყარება. გარეშე მეცნიერულ ფაქტზე ორიენტაციისა შემეცნებას თავისი თავის თეორიული გამართლება არ შეუძლია; შემეცნება, როგორც შემცნობელი სუბიექტის მიერ შესაცნობი ობიექტის ამთვისებელი, მოკლებულია საკუთარი ცოდნის კრიტიკასა და საგანს; მეცნიერული ფაქტით გამართლებული შემეცნება-კი თავის პერენიული ქცევის პროცესში პერმანენტულად დაეძებს თავის საგანს. რადგანაც განვითარების მთელს ხაზზე არც ერთი მომენტის აღნუსხვა არ შეიძლება, რომელიც ფუნქციონალური აუცილებლობით საგნობრივ საზრისს არ ეძებდეს, ამიტომ მეცნიერული ცოდნის მთავარი პაროლია: რ ა ს ა ც  ა რ  ი ც ნ ო ბ, გ ა ი ც ნ ო ბ. თუმცალა თვითოეული მეცნიერული ცოდნა და ამის შესატყვისი შემეცნების საგანი ნათლად აჩვენებს, რომ ამით რეალი საგნის ცოდნა მიღწეული არ არის, მაგრამ იგივე იმის მაჩვენებელია, რომ რეალი საგანი, რომელიც არსის სფეროს ეკუთვნის, შემეცნებისათვის პრინციპულად შეუცნობელი არის.

ეს არის ყოველი რეალისტური შემეცნების თეორიის აუცილებელი საფუძველი. რეალიზმი გამართლებულია იქ, სადაც შესაცნობი საგნის ტრანსცენდენტობა პრინციპულად დაძლეულია. დებულება „რასაც არ იცნობ, გაიცნობ," ამართლებს მას. კ ა ნ ტ ი ს „mögliche Erfahrung", მოფიქრებული იყო ამ დებულების-დაგვარად. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ კანტმა გონების კრიტიკის ეს უძლიერესი ცნება დედუქციის პრობლემის იმ ადგილს მოიხმარა, სადაც კრიტიციზმის სისტემა რეალიზმისაკენ არის გადახრილი. კანტი სავსებით სამართლიანად შემეცნების საგანს „მეცნიერების მსვლელობის უდაო ფაქტში" ხედავს და მან ეს საგანი „შესაძლებელი ცდის" სფეროში შემოფარგლა. ამიტომ ის გზის მაჩვენებელი შეიქნა შემეცნების თეორიის შემდგომი განვითარებისათვის. კანტმა

საუცხოვოდ იცოდა, რომ „შესაძლებელი ცდის“ შესაძლებელი საგანი ერთს ემპირიულ ცოდნაში თავის თავს არ ამოსწურავდა, ამიტომ ის ყოველთვის რჩება ის X, რომელსაც მეცნიერების განვითარება დაეძებს; განვითარების შესაფერ საფეხურზე ის მას ნახულობს, მაგრამ მყისვე ამჩნევს, რომ ნახულის უკან ახლად სანახავი გვევლინება და შემეცნების გზა პროგრესულად წინ მიდის. ეს X შეიძლება გამხდარიყო კანტის „საგნის თავისთავად“ პოზიტიური ვითარების გამომხატველი და ის მართლაც ყოფილიყო Noumenon im negativen Verstande, ე. ი. კანტს ნოუმენონის პრინციპად ნეგატიური X უნდა გამოეცხადებინა. ეს კი იქნებოდა იმ იდეალისტური პოზიციის უარყოფა, რომელიც კანტში რეალისტურთან ერთად მოდიოდა. მაგრამ ცნობილია, რომ კანტი თავის საკუთარ გზას არ გაჰყვა. კანტმა საუცხოვოდ გაარკვია, რომ შემეცნების საგანი მეცნიერების ფაქტს ემყარებოდა, მაგრამ მან თვით მეცნიერული ფაქტი იდეალისტური ინტერპრეტაციის საშუალებით საგნობრიობას მოკლებულ ინტერ-სუბიექტურ აქტზე დაიყვანა, რითაც, რასაკვირველია, შემეცნების ნამდვილი საგნის საქმე წაგებული დარჩა. ტრანსცენდენტალობის თეზით თუმცაღა შესაცნობი საგნის ტრანცენდენტობა უარყოფილ იქნა, მაგრამ ამავე თეზის დასაბუთების დროს, კანტს შემეცნების საგანი დაეკარგა და კრიტიციზმში საგნის ადგილი საგნის სახელწოდებით ამოივსო. რეალი საგანი, რომელსაც მეცნიერების ფაქტი დაეძებდა, აქ ზედმეტი ბარგი შეიქნა; აქედან ცხადია, რომ ზედმეტი შეიქნა რეალური საგნის შემეცნებაც. ერთი სიტყვით: კანტმა სწორად დააყენა შემეცნების საგნის პრობლემა, მაგრამ სწორად ვერ გადასჭრა მან იგი. ის მარადი ქანაობა რეალიზმსა და იდეალიზმს შორის, რაც კანტის მთელ შემოქმედებას ახასიათებს, აქაც საბედისწერო იყო კრიტიციზმისათვის.

და მართლაც: მეცნიერული ფაქტების ცვალებადობასთან ერთად იცვლება ამ ფაქტების შინაარსი. მაგრამ ეს ცვალებადობა და ქცევადობა ისე მიმდინარეობს, ვითომც რაღაც უცვლელს ემყარებოდეს. ამის მაგალითის მონახვა ერთობ ადვილია. თალესს ეგონა რომ წყალი ქვეყნიერების ერთად-ერთი პირველდასაბამი პრინციპი ანუ სუბსტანცია იყო; ემპედოკლეს სპეკულაციაში იგივე წყალი ერთ-ერთია ოთხ ელემენტს შორის. ახალი დროის ქიმიაში წყალის ცნება განაწილდა ორ შემადგენელ ელემენტად, თითოეული ამ ელემენტთაგანი კი ერთ-ერთი წევრი იყო 70-90 წევრიან ქიმიურ ელემენტთა აფინიტური სისტემისა. თითოეულ დასახელებულ შემთხვევაში წყლის მეცნიერული შინაარსი გამოიცვალა, მაგრამ წყალი, როგორც რეალი საგანი უცვლელი დარჩა. ის გარემოება, რომ მეცნიერების ფაქტში მოცემული შინაარსი თავისი მოცემულობის თითოეულს მომენტში გასაშლელი, გამოსაცვლელი და შესასრულებელია, იმის მაჩვენებელიც არის, რომ მეცნიერება პერენიული წინსვლით პერმანენტულად თავის საგანს დაეძებს. ამით კი ყოველი მეცნიერული მოქმედება წარმოადგენს რაციონალური საშუალებით რეალობის მტკიცების ცდას. ესა თუ ის განსაზღვრული მეცნიერული ცოდნა შეიძლება საძიებელი საგნის ამომწურავს შინაარსს ვერ იძლეოდეს, მაგრამ ის უნაკლოდ იძლევა იმის მტკიცების ცდას, რომ თვით ეს საგანი არსებობს.

რასაკვირველია, შემეცნების საგნის პრობლემა უფრო ფართო პრობლემათა სფეროს ეკუთვნის, ვიდრე მეცნიერული საგნის პრობლემა, მაგრამ მას materialiter არავითარი სხვა შინაარსი არ აქვს, ვიდრე მეცნიერული ფაქტით ნაგულისხმევ საგნობრიობას; ამიტომ მეცნიერების ფაქტში ამოკითხული ცდა რეალობის მტკიცებისა, განმტკიცებულია შემეცნების საგნის რეგიონისათვისაც. უკვე ის ფაქტი, რომ ყოველი შემეცნება საგანს დაეძებს, მაჩვენებელია იმ გარემოების, რომ რეალობა შემეცნების უპირველესი პრობლემაა. და რადგანაც რეალობის არსებობის მტკიცება შემეცნების სფეროში რაციონალური საშუალებით ხდება, ამიტომ შემეცნება ჯერ კიდევ იქ, სადაც ის მხოლოდ აქტების სახეებში იშლება, ე. ი. აზროვნების იმანენტურ სფეროში, რეალობის მტკიცების ცდას წარმოადგენს. ადვილი საქმეა იმის ჩვენება, რომ აზროვნების თითოეული აქტი საგნობრივია. მაგ. მე აღვიქვამ რაიმეს, ეს აღქმა უსათუოდ რ ა ი მ ე არსებული ვითარების აღქმაა; ჩემს წინ არის ხ ე და მე ვამბობ: ე ს ხ ე ა. სულიერი დაავადების დროს მე რომ მოჩვენებითი აღქმები მექნება, ესეც ვერ სცვლის მდგომარეობას, აღქმული ან აღსაქმელი აქაც ჩემს წინ მდებარედ არის ნაგულისხმევი; განვიცდი რ ა ი მ ე ს; ველოდები რ ა ი მ ე ს განცდას; მიყვარს ვ ი ნ მ ე ან რ ა ი მ ე; ვაფასებ ვ ი ნ მ ე ს ან რ ა ი მ ე ს,—ეს „რაიმე“ საგნის სინონიმებია; ვმსჯელობ, მსჯელობას თავისი საგანი აქვს, უსაგნო მსჯელობა მსჯელობა არ არის. ერთი სიტყვით, ცნობიერების არც ერთი ისეთი აქტის დასახელება არ შეიძლება, რომელიც ცნობიერების გარე-მდებარეზე არ იყოს გადატანილი და ეს მისი გარემდებარეობა აზროვნების რაციონალურ რეგიონში გადატანილი, იძლევა რეალობის მტკიცების ცდას.

ერთი სიტყვით, თვით ინდივიდუალი ცნობიერებითი მოქმედება აქტების ვლენის პროცესში ცნობიერების არეს სტოვებს და მის გარე მოთავსებულ საგნებს დაეძებს. ეს არის ცნობიერების ის ბუნებრივი რეალიზმი, რომელიც აზროვნების ობიექტურ აქტებში რეალობის მტკიცების დემონსტრაციად მხილდება. ჩვენი ცნობიერების ეს ბუნებრივი რეალიზმი პირველსადგურია თეორიული შემეცნების შარა-გზაზე და როგორც ასეთი, ის განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველია, შემეცნების საგანი აქ თითქმის უნაკლოდ მოცემულია და მეცნიერული ფაქტის სფეროში ის გარკვეულობის ატრიბუტის მიღებით რეალური საგნობრიობის მონაწილე ხდება.—ასეა თუ ისე, უდავოა გარემოება: თ ი თ ო ე უ ლ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი ა ქ ტ ი დ ა ე ძ ე ბ ს თ ა ვ ი ს ს ა გ ა ნ ს და ა მ ი თ შ უ ა ლ ო ბ ი თ თუ უ შ უ ა ლ ო დ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ს რ ე ა ლ ო ბ ი ს მ ტ კ ი ც ე ბ ა შ ი.

ამით ვითომ სავსებით, განსაზღვრულია შემეცნების საგნის პრობლემა; საგანი პირველ საწყისმდებელ ფენომენის სახით არის შემეცნებაში გაშლილი, მაგრამ მის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ ეს შიშველი ფაქტი აღვნუსხეთ. ფაქტს ინტერპრეტაცია და გაგება ესაჭიროება.

შემეცნება-ფაქტის უშუალო და პირველობით ინტერპრეტაციას საგნისადმი გნოსეოლოგიური მიდგომა იძლევა. მაგრამ ჩვენი გაგებით გნოსეოლოგიური ძიება სავსებით და უნაკლოდ ვერ ამოსწურავს შემეცნების საგნის პრობლემას. გნოსეოლოგიის არეში საგნის პრობლემა მეტნაწილად შემეცნების დასაბამის პრობლემას უდრის და გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი უ რ ი ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ა დ ა ს ა ბ ა-

მობის ინტერპრეტაცია არის. ინტერპრეტაცია სწავლობს იმას, რაც ასე თუ ისე მოცემულია, მისი ნაკლი იმაშია, რომ მას მოცემულის შეცვლა არ შეუძლია; ის რაც მოცემულს შესცვლის, ინტერპრეტაციის და მასთან ერთად გნოსეოლოგიის გზით ვერ იმგზავრებს, მისი გზა ენტიფიკატური იქნება. დღემდე უამრავი ინტერპრეტული საგნის თეორია არსებობს, მაგრამ ენტიფიკატური თეორია მოცემული არ არის. საგნის ენტიფიკატური თეორია განხილული იქნება ამ გამოკვლევის მესამე ნაწილში (გ). ჯერ-კი საჭიროა ტიპური ინტერპრეტაციული საგნის თეორიების განხილვა, მათთან ანგარიშების გასწორება და მათში საჭიროდ ამოკითხული საკითხების ენტიფიკატური ტრანსფორმაციისათვის მომზადება. საგნის ენტიფიკატური თეორია გნოსეოლოგიის საზღვრებს მიღმა ძევს, მისი შინა კონსტიტუენცი დიალექტურია; ხოლო დიალექტურის ფონზე გაშლილი წინააღმდეგობის გამორიცხვა — აქსიომატური. დიალექტიკა გნოსეოლოგიის გაღრმავებაა, ხოლო აქსიომატიკა დიალექტიკის არეში გაურკვევლად დარჩენილი პრობლემების გადაწყვეტის ხერხია.

აქსიოლექტურ ენტიფიკაციამდე მისასვლელად კი აუცილებელია შესაძლებელი და ტიპური გნოსეოლოგიური ინტერპრეტაციების განხილვა.

1. ინტერპრეტაცია პირველი: საგანი, როგორც მარადი ამოცანა. იდეალისტური ინტერპრეტაცია ტრანსცენდენტალიზმის სციენციზმისა.

შემეცნების საგნის ყველაზე უფრო რადიკალურ ინტერპრეტაციას ტრანსცენდენტალიზმის თეზიდან ამოსული ლოგიზმი იძლევა. იდეალისტური ლოგიზმი გასაკვირალ უკიდურესობამდე მიიყვანა პ. ნატორპმა. მისი აზრით „მეცნიერების ფაქტის" გაგება შეიძლება, როგორც აზროვნებიდან შესრულებული „Fieri"; ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ იმას, თუ როგორ კეთდება და არა იმას, თუ რა გაკეთდა; ყველაფერი იქცევა მარადი ქცევადობით და არაფერი არ არსებობს გარეშე თვით ქცევადობის ფაქტისა. სინამდვილე ერთად-ერთი ფაქტის შემცველია—ეს არის თვით „Fieri". ცხადია, რომ ასეთი თვალსაზრისისათვის მეცნიერების ფაქტში მოცემული საგანი, საგნის სახით სინამდვილეში კი არ არსებობს, არამედ ქცევითი ვლენის დროს ასეთ სახეს ღებულობს. როგორც რაიმე მოცემული ან და მოსაცემი საგანი არ არსებობს; შემეცნების საგნობრიობისაკენ მიმართული ინტენდიურობა-კი აზროვნების თვალსაზრისის გაფართოებაა ე. ი. ის იდეალისტურად გაგებული კანტის სინთეზის გამართლებაა. ამით კი შემეცნების საგანი ჰკარგავს თავის საგნობრიობას. საგნობრიობის ადგილს იჭერს შემეცნების სამ საფეხურიანი კონსტრუქცია: შემეცნება-მიზანი, შემეცნება-ამოცანა და შემეცნება-პრობლემა. ამ სამსართულიანი შემეცნების დასასრული არ ჩანს; შემეცნების ფაქტში—ნატორპის აზრით—სწორედ რომ საგანი არის მარადი ამოცანა და გაშლილი უსასრულო პრობლემა. შემეცნების ხაზზე საგანი არის კითხვითი ნიშანი. რადგანაც ის კითხვითი ნიშანია, პროგრესულიცაა და ამიტომ მეცნიერული ფაქტის წინსვლა მასზე არის დაშენებული. მაგრამ ეს კითხვითი ნიშანი თავისთავად რაღაზე არის დაყრდნობილი? რასაკვირველია, შემეცნების იმ პირველ-დასაბამზე, რომლის შესახებ, კიდევ კოჰენი ასწავლიდა, რომ მას როგორც წმინდა აზრის ლოგიურობას, არაფერი მოცემული არ შე-

იძლება გააჩნდეს და რომ მისთვის ყველაფერი ამოცანის სახით არის გადაშლილი. Der Gegenstand ist nicht gegeben, sondern aufgegeben, ე. ი შემეცნებას საგანი სრულებით არ გააჩნია; საგნის არსებობის მოჩვენებას ჰქმნის ლოგიურობით დაჯილდოებული წმინდა აზრი. საგანი აზროვნების ნამოქმედარია, სხვა არსებობა, ვიდრე წმინდა აზრში არსებობა, საგანს, რასაკვირველია, არ აქვს; მისი არსებობა აქ უდრის მის არსებას და არსებობის მოჩვენება, რომელიც მეცნიერების მსვლელობის ფაქტში იქმნება, ლოგიური არსების უკუფენაა და სხვა არაფერი.

ადვილია იმის დამტკიცება, რომ იდეალისტურად შენებული საგნის თეორია შემცველია იმანენტური წინააღმდეგობისა. კოჰენ-ნატორპის ინტერპრეტაციის პირველი შინაგანი წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი სპეკულაციის ე. წ. პირველ-დასაბამობის პრინციპი ეწინააღმდეგება საკუთარ ამოსავალ წერტილს, ის ვითომ წმიდა და თავისუფალი აზრის ნაყოფია, მაგრამ მიუხედავად იმისა ის, ვითომცდა იმ თავითვე ნაკარნახევი ბედისწერა, ისე თანსდევს შემეცნებას და ამით იდეალისტური ბუდიდან ამოვარდნილი რეალისტურ მდინარეში იხრჩობა; ამასვე ახლავს მეორე წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა სპეციფიკური ხასიათის არის. ტრანსცენდენტალური სციენციზმის მიერ საგანი მხოლოდ ამოცანად დასახული წინასწარ გადაწყვეტილად გულისხმობს ყველა იმ პრობლემას, რომელთა მოგვარების გულისათვისაც თვით საგანი შეიქნა შემეცნებითი ძიების ფენომენი. ამით კი ინტერპრეტაცია ღალატობს ფაქტს და კმაყოფილდება განცხადებით, რომ აზროვნება არსებობის შემომქმედია; თუ არსი აზრის ნამოქმედია, მაშინ ცხადია, რომ შემეცნებაში რეალურ საგნებზე ლაპარაკიც-კი არ იქნება. საჭიროა მხოლოდ საგნის არსების შემოხაზვა, ამას კი თავისუფლად შემომქმედი აზროვნება შერება, ე. ი. არსება უდრის არსებობას, მორჩა და ვათავდა. მაგრამ იდეალიზმს ავიწყდება ის გარემოება, რომ აზროვნებას ეს შეთხზული თავისუფლება არ გააჩნია, მას არ შეუძლია არსების წარმოშობა, თუ წინასწარ არ გაიარა არსებობის გზა; არსებობა კი აუცილებლობას უდრის. მას არ შეუძლია მოიაზროს 4, თუ არ გაიაზრა $1+1+1+1$, ან $2+2$, $2^2$ და სხვ. ის კი არა, აზროვნებას არ ძალუძს თქვას „შვილი", თუ იქვე არ იგულისხმა „მშობელი"—ერთი სიტყვით მის თვითოეულს მოქმედებას თან ახლავს მისგან გამოსული და სხვისკენ მიმართული ნაწილი, ეს კი ის ნაწილია, რასაც ჩვენ რეალობის მტკიცების დემონსტრაციას ვუწოდებთ და რასაც უარგუმენტოდ უარყოფს იდეალიზმი. დაუბოლოვებელი ამოცანის სახით წარმოდგენილი საგანი ფაქტიური შემეცნებისათვის ისეთივე მოუხმარებელი ფიქციაა, როგორც ჯერ კიდევ სკოლაში ხმარებული ცნება intellektus infinitusისა

2. მეორე ინტერპრეტაცია: ინტენციონალი საგანი. თუ ნატორპის ლოგიკურ-იდეალისტური ინტერპრეტაცია მეცნიერების ფაქტით მოცემული საგნის თავისებური გაგებიდან ამოდიოდა. ასე ამოდის ეს ე. წ. მეორე ინტერპრეტაცია შემეცნების აქტების აღწერის დროს. აღნუსხული საგნობრიობიდან. თუ ნატორპის თეორია ლოლიკური მოჩვენება იყო, ჰუსერლის საგნის თეორია ფსიქოლოგიური მოჩვენებაა. აქტის აღწერაზე დაშენებული საგანი რა-

რიგ არ გაიწმინდოს ფსიქოლოგიზმის მტეერისაგან, ის დაბოლოს მაინც ფსიქოლოგიის სასუფეველში დაბრუნდება. თავის აზრიანობის წინა კარებში ედ. ჰუსერლი ასეთი გააფთრებით იმიტომ ებრძოდა ფსიქოლოგიზმს, რომ ის უკანა კარებიდან შეუმჩნევლად სახლში შემოეშვა!

ჰუსერლის საგნის თეორიას ახასიათებს ერთგვარი ინდეფერენტიზმი მეცნიერული ფაქტის მიმართ. მისი საგანი „მეცნიერების ფაქტის" მობრძანებას არ უცდის, ჩვეულებრივი განცდის ინტენციონალობის შესწავლა შესავალია თეორიული საგნის დომენებში. ინტენციონალობა ფენომენოლოგიის მთავარი თემა არის. „ინტენციონალობის ქვეშ ჩვენი განცდების ის თავისებურება გვესმის, რაიც არის „ცნობიერება რაღაცას შესახებ" (ჰუსერლი: Jdeen etc. გვ. 168). ცნობიერების საგნის ფაქტიური ფუძე ჰუსერლის მიერ სწორად არის აღწერილი: აღქმა არის რაღაცას აღქმა, მსჯელობა მსჯელობს რომელიმე საქმეთა ვითარების შესახებ, დაფასება ღირებულებათა ვითარებას აფასებს და ასე სულ. მაგრამ ამ სწორად დაწყებული ფაქტის აღწერას სჭირდება ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაცია-კი გულისხმობს საკითხს: უდრის თუ არა რეალი საგანი განცდის ინტენციონალი აქტიდან ნაგულისხმევ საგანს, ე. ი. არსებობს თუ არა განცდილი ინტენციონალობის რეალი კორრელატი? აქ შესაფერი ფერის-ცვალების შემდეგ უკან ბრუნდება ის ორი შესაძლებლობა (a და b), რომლის შესახებ ჩვენ წინასწარ დისკუსიაში ვილაპარაკეთ. ე. ი. თუ რეალი საგნის არსებობას ვაღიარებთ, მაშინ ინტენციონალობა ჰკარგავს დამოუკიდებელი აქტის ხასიათს და იქცევა რეალი საგნის გარკვეულობისა და ღირებულების ერთ-ერთ გამოხატულებად. ასეთი საგნის ინტენციონალური თეორია იქნება მკაცრი ობიექტური, მისი ცნობიერებითი აქტის საშუალებით განცდა კი ობიექტურობის უბრალო დემონსტრაცია. ფენომენოლოგიას შეეძლო წასულიყო ამ გზითაც. მაგრამ მისთვის შესაძლებელი იყო მეორე გზაც. მას შეეძლო საგნის რეალი კორრელატის არსებობა მიეღო, მაგრამ ის ტრანსცენდენტალიზმის ბილიკების საშუალებით უშინაარსო გაეხადა, ე. ი. საგნის რეალი კორრელატი უნდა აშენებულიყო რაღაც ზე-ემპირიულ სუბიექტის ცნობიერებაში, მაგრამ რეალი (ე. ი. ემპირიული) სუბიექტის სფეროსათვის მას ყოველივე გავლენა უნდა დაეკარგა. თავის ძიებათა განვითარების დროს ჰუსერლი რამოდენიმეჯერ მოექცა ორივე დასახელებული შესაძლებლობის სფეროში, მაგრამ დაბოლოს რთული სპეკულაციების შემდეგ მან მეორე გზა აირჩია, ე. ი. ჰუსერლი იძულებული შეიქნა ტრანსცენდენტალიზმისკენ დაბრუნებულიყო. ჰუსერლი შემდეგნაირად ასაბუთებს ამ ნაბიჯს: როგორც თითოეულ ინტენციონალ განცდას გააჩნია თავისი ნოემა ე. ი. აქვს საზრისი, რომლისაკენ ის მიმართულია, სწორედ ასე საგანს გააჩნია პრედიკატი, რომლის ძალით საგანი არის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერების საგანი. ყოველივე კერძო საგანს, დაბოლოს კი მთელს საგანთა სამყაროს სივრცესა და დროსთან ერთად უდრის ნოეტურ მოვლენათა მრავალსახიანობა ე. ი. საგნებს უდრის, როგორც კერძოეული, ისე ზოგადი განცდები. ეს ნოეტური მრავალსახიანობა ინტენციონალი განცდებისა არის პარალელი საგანთა სამყაროსი, საზრისით და შინაგანი მიმართებით შეგუებულია მასთან. ასე მსჯელობს ჰუსერლი და ეს არის იმანენცის თეორიის აღდგენა ტრანსცენდენტალი ცნობიერების გზით, ე. ი.

ნატორპის ამოსავალი წერტილისაკენ დაბრუნება. ჰუსერლმა ე. წ. „გონების ფენომენოლოგიაში“ ბოლომდე მოიაზრა თავისი თვალსაზრისი და იძულებული გახდა იდეალიზმისაკენ დაბრუნებულიყო.

მისი სკოლის ზოგი მიმდევარი-კი წინ აღუდგა თვალსაზრისის ბოლომდე მოსაზრებას და რომელიმე მსოფლმხედველობრივი სამსჯავროს წინაშე გასამართლებას. ინტენციონალობის შიშველი ფაქტი აქციეს მათ თეორიის შინაარსად და ამით მათი საგნის თეორია დარჩა ბოლომდე ინტენციონალური. უნდა ითქვას, რომ ჰუსერლის მიერ დასმული პრობლემა ასეთი გაგების შესაძლებლობასაც იძლეოდა, ე. ი. ისეთი გაგების, რომელიც საგნის პრობლემას ინტენციონალობის შინაარსით ამოსწურავს. ინტენციონალი განცდის „ჰულე“ არის ის საგანი, რომელსაც შემეცნების ფაქტი გულისხმობს და ცხადია, რომ ასეთად გაგებული შემეცნებისათვის რეალი საგანი საჭირო აღარ არის. მრავალსახიანობის ფონზე გაშლილი განცდის ინტენციონალობა არის შინაარსმდებელი საგნის წარმოებისათვის. ცხადია, რომ ასეთი თეორია უკიდურესობამდე ანტისციენცისტური შეიძლება იყოს. ფენომენოლოგებიც ხშირად ეწევიან მეცნიერებიდან გადგომას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ იმის უარჰყოფა, რომ ინტენციონალობა ნოეტიურობას ემყარება და ამით დაბოლოს ჭეშმარიტების მიღწევას ემსახურება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ფენომენოლოგია აქტის აღწერის მიღმა ვერ გავიდოდა და ლოგიკის დომენებში (სადაც თეორიის ნიადაგზე დარჩენის მოწმობას იძლევიან) ვერ შევიდოდა. და თუ ფენომენოლოგია თეორიის არეს შეინარჩუნებს, მაშინ მისი მეთოდის ცენტრალური ცნებების ინტუიციისა და ინტენციის ურთი-ერთ შეხვედრა ჭეშმარიტების ნიადაგზე მოხდება. საგნის პრობლემის მიმართ ეს იმას ნიშნავს, რომ ინტენციაში აშენებული საგანი უსათუოდ ჭეშმარიტი საგანი უნდა იქნეს, საჭირო არ არის რომ ჭეშმარიტობა რეალობას უდრიდეს, ამ შემთხვევაში მარტო ჭეშმარიტება კმარა, მაგრამ პირობაა, რომ ახალი ინტუიცია მოცემულ ინტენციას არ გააყალბებს ე. ი. ახალი ხედვით უკვე დანახული არ უნდა მოიხსნას. — ამით კი ასეთად გაგებული ფენომენოლოგია სასაცილო მდგომარეობაში ვარდება: ჩიხში შედის და თავი კი გაშლილ მინდორზე ჰგონია. მან ან სავსებით უნდა უარყოს შეცთომის შესაძლებლობა და ან ხელი აიღოს საგნის თეორის მოცემის ცდაზე. და მართლაც, თუ ინტუიცია ცდება, მაშინ ინტენციით მიღებული საგანიც უსათუოდ მცთარი იქნება. რადგანაც ინტუიციის მცთარობა განუსაზღვრელად შეიძლება გრძელდებოდეს, ამიტომ ფენომენოლოგიას სავსებით ეკარგება შემეცნების საგანი და ეს გამანადგურებელია მისთვის. ფენომენოლოგიამ ან უნდა გამონახოს რაღაც მისტერიული „მხოლოდ შეცთომების“ ქვეყანა და ამისგან ამოკითხულ ნოეტურ სქემებზე ააშენოს თავისი შემეცნების საგანი, ანდა მან შემეცნების საგნის პრობლემის დამუშავებაზე უარი უნდა განაცხადოს. — ერთი სიტყვით ჰუსერლისა და მისი სკოლის ცდა ახალი გზები გამოენახა შემეცნების საგნის გაგების საქმეში უმკაცრესი იმანენტური წინააღმდეგობის მსხვერპლი გახდა.

ფენომენოლოგიის ძირითადი შეცთომა გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ არ სურთ გაიგონ ის ყოვლად უბრალო ამბავი, რომლის მიხედვით შემეცნება-აქტის ინტენციონალობა და შინაგანი საგნობრიობა მხოლოდ იმის მაჩვენებე-

ლია, რომ ჩვენი აზროვნება, „მე-“ს ყველა აქტები და ინტენციები რეალ-ონტი-ური საგნის სფეროდან არის გარკვეული და სამოქმედოდ გამართული. შემეცნება იმიტომ დაეძებს საგანს, რომ შემეცნებაში საწყისმდებელია ის, რის ერთ-ერთ გარეგან მხელას წარმოადგენს საგანი ე. ი. არსი.

შესაძლოა ჩვენ გვიპასუხონ: ინტენციონალობა რად უნდა გავიგოთ ისე, ვითომც შემეცნება დაეძებდეს საგანს, შეიძლება ხომ, რომ საგანი დაეძებდეს შემეცნებას? ეს გახლავთ ბუდე ხელოვნური ანტინომიისა. ასეთ კითხვაზე პასუხი არ არსებობს. მერმე რა, ვთქვათ, რომ საგანი დაეძებს შემეცნებას, ვითომც ამით შემეცნების ფაქტის გაგების საქმე გაადვილებულია? ცხადია, არა. ჩვენ შემეცნებას ასეთი საკითხის გარკვევა იმდენადვე შეუძლია, რამდენად მის მოვალეობას ღმრთის მონახვის საქმე შეადგენს...

3. რეალობას მოკლებული, მაგრამ მაინც არსებული საგნები. ორივე ზემოთ განხილული ინტერპრეტაცია უდაოდ ღებულობს იმ ფაქტს, რომ თუ არსებობს შემეცნება, როგორც ფაქტი, მაშინ მას საგანიც უნდა გააჩნდეს. ორივე ინტერპრეტაცია არის იდეალისტური ე. ი. გულისხმობს რომ შემეცნების საგანი აზროვნების მიერ შექმნილია შემეცნების პროცესში. იდეალისტური საგნის თეორია მდგომარეობს იმაში, რომ ის საგანს რეალურად არსებობის უფლებასართმევს. საგნის ფორმა დამოკიდებული უნდა იქნეს აზროვნების ფორმისაგან. მაგრამ ის ფაქტი, რომ შემეცნება ყოველთვის საგნობრივია, რომ არ არსებობს შემეცნება მარტო ფორმის, რომ შემეცნება ბოლოს და ბოლოს ფორმის შინაარსში რეალიზაციას ნიშნავს და სხვ. აიძულებს იდეალიზმს უფრო ღრმად მოფიქრებული დებულებებით გაამაგროს თავისი პოზიციები. შემეცნება-ფაქტის ფენომენოლოგიური ანალიზის დროს რწმუნდება იდეალიზმი იმაში, რომ საგანი შემეცნებაში რაღაცას ისეთს ნიშნავს, რაიც დამოუკიდებელია შემეცნება-აქტისაგან. ეს „რაღაცა“ კი შეიცავს საშიშროებას გაგებულ იქნეს, როგორც რეალურად არსებული არსი. რეალურად არსებული არსის აღიარება კი ნიშნავს იდეალიზმის ყველა უფლებაზე უარის თქმას. და სწორედ ასეთი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იდეალიზმი შეეცადა აეშენებინა ისეთი საგანი, რომელიც შემეცნება-აქტისაგან სავსებით დამოუკიდებელი იქნებოდა და ამრიგად არსებულიც, მაგრამ ის არ იქნებოდა რეალური. რეალობას-მოკლებული, მაგრამ მაინც არსებული საგნებით იდეალიზმის განმტკიცების ცდას შეიცავდა პლატონის იდეა. მაგრამ ასეთი თეორიის კლასიკოსად უსათუოდ ბოლცანო უნდა ჩაითვალოს. ფილოსოფიური აზრი ბოლცანოს დებულებებისა: „წარმოდგენა თავისთავად“, „დებულება თავისთავად“ და „ჭეშმარიტება-თავისთავად“ — იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნების აქტების მსვლელობა ემყარება ამ აქტებისაგან სავსებით დამოკიდებულ გარემოებას. მაგრამ ეს თავისთავად არსებული, აქტებისაგან დამოუკიდებელი გარემოება არ არის არც სახე და არც გამოხატულება რეალური საგნისა, ე. ი. ისეთი საგნისა, რომელიც რომელიმე მდგომარეობის დროს ცნობიერებითი აღქმის ობიექტი გახდეს. ასეთსავე რეალობას მოკლებულს, მაგრამ მაინც არსებულს საგნებს ბოლცანო ე. წ. მათემატიკურ ექსისტენციებშიაც სცნობდა, მაგრამ ბოლცანო მათემატიკის მხოლოდ იდეალისტური ინტერპრეტატორი კი არ ყოფილა, არამედ შემომქმედიც და-

მან როგორც მათემატიკოსმა წმიდა მათემატიკური მოსაზრების ხმარებით აღმოაჩინა ერთი უდიდესი ფილოსოფიური საიდუმლოება, რომლის ინტერპრეტაცია იდეალიზმის ძალღონეს აღემატებოდა და სწორედ ამ წერტილზე ბოლცანო თავს ანებებს ფილოსოფოსობას და თავის საქმეს აგრძელებს როგორც მათემატიკოსი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბოლცანოს მიერ აღმოჩენილი ცნება აქტუალური დაუბოლოვებელისა. რასაკვირველია, პირველად ეს ცნება მას არ აღმოუჩენია, — ის პირველად სპინოზამ იგრძნო და შემდეგ მთელი სიგრძე სიგანით ჰეგელმა დაამუშავა, — მაგრამ ამ ცნებას მან პირველად და საფუძვლიანად აღმოუჩინა მათემატიკური საგანი, მას ასე ვთქვათ შინაარსი გამოუნახა. ამით კი ბოლცანო კანტორის გენიის გამომღვიძებელი შეიქნა. მაგრამ არც კანტორსა და არც სხვა ვინმეს ჯერ არ მიუთითებია იმ განსაკუთრებულ გარემოებაზე, რომლის დახმარებით ბოლცანომ ეს ცნება აღმოაჩინა. ბოლცანომ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ყოვლად პარადოქსალური დებულება: „არ არსებობს ჭეშმარიტება“ უცნაური მომენტების შემცველია. ის ვითომც გამოსთქვამს ერთ გარემოებას, მაგრამ თანვე შეიცავს მეორეს, მის მომსპობს. ვამბობთ: „არ არსებობს ჭეშმარიტება“ და ვგულისხმობთ: „ეს ხომ ჭეშმარიტებაა.“ ეს ნაგულისხმევი ჭეშმარიტება-კი არის ის თავისთავად არსებული გარემოება, რომელიც აზრის დაბოლოვებულ ფორმაში გამოთქმული არ არის, მაშასადამე ის დაუბოლოვებელი უნდა იყოს; მის მიერ შეცული საგანიც, ცხადია, რომ დაუბოლოვებელი იქნება, მაგრამ საგანს არ შეუძლია იყოს პროგრესული დაუბოლოვებლობა, ის უნდა იყოს უსათუოდ აქტუალური და სხვ. (იხ. Bolzano: „Paradoxien etc. § 12—13). ასე აღმოაჩინა ბოლცანომ საგანი აქტუალური დაუბოლოვებელისა, მაგრამ რას ამბობს ეს აღმოჩენა ფილოსოფიურად? ამის პასუხს ჩვენ ბოლცანოსთან ვერ ვნახავთ. მან მხოლოდ გაარკვია, თუ რას ამბობდა ის მათემატიკურად. ჩვენ ვიცით რომ ბოლცანოს მიერ დათესილი მარცვალი კანტორის სახით აღმოცენდა უდიდესი რეალისტური მათემატიკის კონცეფციის სახით. და სწორედ ამიტომ, ბოლცანო მიუხედავად იმისა, რომ პირველი კლასიკია შემეცნების ისეთი საგნების კონსტრუქციისა, რომლებიც არსებობენ, მაგრამ რეალობას მაინც მოკლებული არიან, ის, როგორც ტიპიური იდეალისტური წარმომადგენილი საგნის ასეთი თეორიისა, მაინც არ გამოდგება.

ტიპიურ მაგალითს ასეთი საგნის თეორიისას ჩვენ ვნახულობთ იმავე ჰუსერლის სკოლაში. ფენომენოლოგების მიერ წამოყენებული ცნება „მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს  მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ა,“ არის ისეთი არსებობის ფორმა, რომელიც ჩვენ ცნობიერებას არ შეუქმნია ე. ი. აზროვნების ფორმებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ რეალურ არსებობას არ შეიცავს. ეს „მნიშვნელობა“ არც ცნობიერების შინაარსია და არც რეალი არსია, არამედ, ასე ვთქვათ, მ ე ს ა მ ე  ა რ ს ი ა. ეს მესამე არსი არ არის არც სულიერი, არც მატერიალური, არც ცნობიერებითი, არც აბსტრაქტული, არც განსაცდელი, არც წარმოსადგენი, არც ღმერთი და არც ბუნება, არამედ უმაღლესი, მაგრამ არსებული პირობა თითოეული შემეცნებითი ფორმისა და, როგორც ასეთი, ის სავსებით ობიექტურია. ის ერთნაირი სიმტკიცით განაგებს, როგორც ჭეშმარიტებას, ისე მცთარობის არეს. როგორც ჭეშმარიტებას გააჩნია საკუთარი იდეალური მნიშვნელობის მთლიანო-

ბა, ისე შეცთომასაც: „für eine Phänomenologie der „wahren Wirklichkeit“ ist auch die Phänomenologie des „nichtigen Scheins“ ganz unentbehrlich“ (ჰუსერლი: Jdeen etc. გვ. 318). ანტისციენტური ხასიათი ასეთი საგანისა თავისთავად ცხადია. ბნელეთით მოცულია მხოლოდ ის, თუ რას უნდა აკეთებდეს ეს მესამე არსი შემეცნებისათვის. თუ ის მხოლოდ ობიექტურობის ხაზის გასმას ნიშნავს, ეს ზედმეტი ხარჯია და თუ მან თვით ობიექტურობის ადგილი უნდა დაიჭიროს — მაშინ ის ზედმეტი ბარგია; შემეცნებას ის არც რაიმეს აკლებს და არც რაიმეს ჰმატებს, ე. ი. ტვინის ვარჯიშობის თავისუფალ ნაყოფთან გვაქვს საქმე. არსებობა, რომელსაც რეალობა მოკლებია, უბრალო ცნებათა აღრევის ნაყოფია და სხვა არაფერი. შემეცნების საგნის რთული პრობლემა ამით არ გადაწყდება.

დამთავრებული თეორიის სახით ეს რეალობას მოკლებული, მაგრამ მაინც არსებული საგნები ააშენა რიკკერტმა. რიკკერტი ყოველთვის სხვის აზრებს აწვალებს და აქაც მან ფენომენოლოგებისა და თავისი მოწაფის ლასკის აზრები დაწურა და უკიდურესობამდე მიყვანილი საგნის თეორია მოგვცა. რიკკერტის აზრით ე. წ. პოზიტიური სინამდვილე მსოფლიო მთლიანობის ცნებას ვერ იძლევა. ფილოსოფია-კი ამ უკანასკნელს დაეძებს. იმისათვის რომ მივიღოთ მთლიანობა რეალი საგნების გვერდით ირრეალი საგნები უნდა არსებობდენ. ირრეალ საგნებს უპირველეს ყოვლისა ის ახასიათებს, რომ წარმოუდგენელია მათი ცნობიერებითი აღქმის საგნად ქცევა. ასეთი საგნების სამეფოს, რიკკერტის აზრით, არამც თუ მარტო ღირებულებათა გამომხატველი საგნები შეადგენენ, არამედ მთელი რიგი ისეთი საგნებისა, რომლებიც ე. წ. იდეალურ საზრისებს წარმოადგენენ. იდეალური საგნების საუკეთესო ნიმუშებს, რიკკერტის გაგებით, ე. წ. მათემატიკური საგნები იძლევიან. ეს საგნები უსათუოდ ობიექტურად არსებობენ, მაგრამ რეალური არსებობის ორივე ძირითად პრედიკატს მოკლებული არიან ე. ი. დროსა და სივრცეში არ არიან განლაგებული. თვითოეული რეალი საგანი უნდა გახდეს გრძნობითი განცდის ობიექტი და დროისა და სივრცის კონტინუუმს ავსებდეს, ასეთი საგნის შესახებ ვამბობთ, რომ ისინი სინამდვილეში ანუ რეალურად არსებობენ, მაგრამ არსებობენ ისეთი საგნები, რომლებიც არ ემორჩილებიან არც ერთ აქ დასახელებულ პირობას, მათ აქვთ მხოლოდ ირრეალი არსებობა. ირრეალი საგნის ნიმუშად რიკკერტს წარმოუდგენია მათემატიკური საგანი, მაგ. რიცხვი. რიცხვი არ ემორჩილება არც გძნობაში განცდის და არც დროსა და სივრცეში განლაგების კანონს, მიუხედავად ამისა ის მაინც არსებობს, რეალობას მოკლებულია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის იყოს არსებობის შემცველი. ამრიგად არსებულ საგანთა ქვეყანა ორად არის გაყოფილი: გრძნობადი, რეალი და არა გრძნობადი, იდეალი საგნები (იხ. Rickert: System der Philosophie გვ. 108).

ის, რაზედაც აქ რიკკერტი მოგვითხრობს, ვითომც ძალიან ნათელი და თან გარკვეული ვითარების გამოხატულებაა, მაგრამ ჩვენ ახლავე დავრწმუნდებით, რომ რიკკერტის კონსტრუქცია ცნებათა უბრალო აღრევის ნაყოფია. ერთადერთი დასაყრდენი, რაიც რიკკერტის თეორიის მიმართ ვითომც გამართლებულია, არის მათემატიკა, მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ მათემატიკაში არ

არის ის, რაც რიკკერტს იქ დაუნახავს. *მათემატიკის საგანი არსებობს, მაგრამ მათემატიკური საგანი არ არსებობს.* რიცხვს არავითარი საგნისეული არსებობა არ გააჩნია. რიცხვი საგანთან ერთად არსებობს და არა ცალკე თავისთვის და თავის სამყაროში. საგანთა სამყაროსაგან დამოუკიდებელი რიცხვთა სამყარო არ არსებობს. უკეთ თუ ვიტყვით, რიცხვი რეალი არსებობის ე. ი. არსის ერთ-ერთ ასპექტს გამოხატავს; უფრო გარკვეულად: *რიცხვი გამოხატავს არსს, როგორც სიმრავლის სახით არსებობას.* რიცხვთა სამყარო ის იდეალი სამყარო-კი არ არის, რომლის მიხედვით რეალი სამყარო აშენებულა, არამედ რეალი არსი არის ის საფუძველი, რომლის სიმრავლის სახით არსებობას რიცხვთა ქვეყნისათვის არსებობის უფლება გაუცია. როდესაც ძველმა ბრძენმა პითაგორამ იგრძნო, რომ, „პრინციპები რიცხვისა არიან პრინციპები არსისა" — ეს უდიდესი პროგრესი იყო აზროვნების განვითარების გზაზე. მაგრამ დღეს, როდესაც ძალიან წინ წავედით, როგორც რიცხვის, ისე არსის შინა კანონების ცოდნის სფეროში, შეუძლებელია პითაგორას არ გავშორდეთ და არსისა და რიცხვის შორის თავისებური მიმართებანი არ აღმოვაჩინოთ. სანამდე ჩვენი ცოდნა მათემატიკაში იმით ამოიწურებოდა, რომ პოზიტიურ მთელ რიცხვებს ვიცნობდით და ან იმის ცოდნით, რომ გეომეტრიული სამკუთხედი ფიზიკური სამკუთხედის სახით არ შეიძლება არსებობდეს, ჩვენ მართლაც შეგვეძლო რეალ ქვეყანათა საგნების ერთდაგვარი აბსტრაქცია მოგვეხდინა და ეს კოპლი აბსტრაქტები მათემატიკური საგნების სახით წარმოგვედგინა. მაგრამ მათემატიკური თვალსაზრისის გაფართოების, მაგ. ფუნქციათა ანდა სიმრავლეთა თეორიის გათვალისწინების შემდეგ შეუძლებელია, მათემატიკური საგნების იდეალი არსის სახით მიღება. ფუნქციის აზრი არ შეიძლება გამოხატავდეს რაიმე საგანს არც იდეალურს და არც რეალურს, ის ყოველთვის საგნების ურთი-ერთ დამოკიდებულებათა კანონების უკუფენაა, არც მეტი და არც ნაკლები. სიმრავლეთა მრავალსახიანობაც სწორედ იმისაკენ მიუთითებს, რომ ერთსა და იმავე რეალ საგანთა ქვეყანას, როგორც სიმრავლის სახით წარმოდგენილ რაობას, შეუძლია იყოს დაუბოლოვებლად მრავალსახოვანი. დაშორებული რეალი საგნობრივი ქვეყნის სიმრავლის სახით არსებობისგან ყველა ეს მათემატიკური კანონები დაჰკარგავდენ თავიანთ აზრს, რადგან მათ არც სარელაციო და აღარც საორიენტაციო არე აღარ დარჩებოდათ; მათემატიკური ამოცანის პოზიტიური გამართლება შეუძლებელი იქნებოდა და მასთან ერთად თვითონ მათემატიკა, როგორც მეცნიერება, არსებობის უფლებას დაჰკარგავდა. ერთი სიტყვით მათემატიკის დომენები ისეთი საგნის თეორიის გასამართლებლად, რომლის არსებობა რეალობას არ შეიცავს, არ გამოდგებიან და რიკკერტის ცდები ამ მიმართულებით ფუჭი წამოწყებაა.

რიკკერტი სხვა მასალასაც დაეძებს თავისი თეორიის გასამართლებლად. ის სამდაგვარ ირრეალ საგანთა არსებობას არჩევს: *იდეალი საგანი, გავლენის საგანი* და *ღირებულების საგანი.* ამათ ემატებათ *კანონის საგანი* და სხვ. რიკკერტს მხედველობიდან გამოეპარა ის გარემოება, რომ არც ერთი დასახელებული „საგანი" არსებობას იმ აზრით არ შეიცავს, როგორც ეს თვით არსისათვის არის ნაგულისხმევი. არსი არსებობს, არსებობს უპირვე-

ლეს ყოვლისა თავისთვის, მაგრამ გავლენას, ღირებულებას, კანონს, იდეას, თავისთვის არსებობა არ გააჩნიათ. „გავლენა“ არის „ვინმეს“ მიმართ; „ღირებულება“ არის ან ფასდადება „ვინმეს“ მიერ, ან დაფასება „რაიმესი“; კანონი არის კანონი „რომელიმე“ ვითარებისა ან განწყობილებისა, თითოეული მათი არსებობა გამართლებულია რაიმე ურთიერთობაში და მიმართებაში. გამონაკლის არ შეადგენს არც „იდეალი საგანი“, იდეალობა თავისთავადი საგნობრიობის შემცველი კი არ არის, არამედ ის არის საგნობრიობის ასპექტი. იდეა რეალობის სქემაა და არა რეალობისაგან დამოუკიდებელი ექსისტენცია. „იდეალ საგანს“ არსებობის პირველობა არ შეიძლება გააჩნდეს, მას მხოლოდ საგნის დამატებითი სახე შეიძლება ჰქონდეს. ერთი სიტყვით, არც ერთს დასახელებულს ირრეალ „საგანს“ დამოუკიდებელი საგნობრიობა არ გააჩნია, საგნის დამოუკიდებლობა-კი ასპექტია არსის თავისთავადი არსებობისა; ეს „საგნები“ ყოველთვის სხვისთვის არსებობენ და ამიტომ დაბოლოს ისინი საგნები არ არიან. „იდეალური საგანი“ სიტყვათა აღრევის შემწეობით მიღებული სახელწოდება არის. საგანი ყოველთვის რეალ-ონტიურ საგანს ეწოდება. ასეთი საგანი არის გასაღები არსის სინამდვილისა, იდეალობა სახეა ამ საგნობრიობისა და არა ახალი არსებობის ფორმა.

რიკერტს დაბოლოს მოჰყავს ერთი დამატებითი საგანი, რომლის განხილვაც აუცილებლად მიგვაჩნია. ეს ახალი ირრეალი საგანი გახლავთ: Der Sinn der wahren Sätze—**საზრისი ჭეშმარიტი დებულებისა**. რიკკერტი ხელაღებით ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი დებულების საზრისი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ რაიმე არის, ე. ი. არსებულზე მიუთითებს, მაგრამ თვით რეალი არ არის. მსჯელობის თეორიული საზრისი არ უდრის იმ რეალ საგანს, რომლის შესახებ მსჯელობაში აზრი გამოთქმულია. მაგ. ავიღოთ მსჯელობა: სხეული მძიმე არის, ამ მსჯელობის საზრისი არ მდგომარეობს არც ერთ იქ ნაგულისხმევ რეალ და გრძნობით საწვდომ საგნობრიობაში, ის არც „სხეულობაა“ და არც „სიმძიმე“, ის თავისებური რელაციაა ამ ორივე საგნობრიობისა, მაგრამ ამ რელაციის საზრისი თავისთვის არის და სწორედ ამიტომ ის არსებობს, ე. ი. მას არსებობა აქვს, მაგრამ რეალობას მოკლებულია.

ასე მსჯელობს რიკკერტი, მაგრამ მისი მსჯელობა უსაფუძლოა. მტკიცებაში: „სხეული მძიმე არის“ არც სხეულია გამოსაგნობრივებული და არც სიმძიმე-ეს დებულება უდაოა. მაგრამ აქ არც რაიმე ახალი საგანი არ ჩანს. დასახელებული საზრისი ორი საგნის რეალი ურთიერთობის საზრისია, ის შემეცნებითი პირობაა სწორედ იმ რეალი საგნებისა, რაც შემცნებას ფაქტის სახეს აძლევს. შემეცნებაში არავითარი სადაო პრობლემა არ დარჩებოდა, რომ იქ ე. წ. მესამე საგანი აღმოჩენილიყო, მაგრამ არც ფაქტიური და არც დიალექტიკური ანალიზი შემეცნების ფენომენისა ასეთს რამეს არ აჩვენებს იქ.

ამრიგად ჩვენ თითქმის ყველა ტიპიურად გნოსეოლოგიური საგნის თეორია განვიხილეთ. **ალექსიუს მაინონგის** მიერ ასეთი სახელწოდებით გამომუშავებელი სპეციალი ფილოსოფიური დისციპლინა ჩვენ აქ იმიტომ არ გავარჩიეთ, რომ მაინონგს ჰუსერლის გვერდით ორიგინალური არაფერი შეუქმნია.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია აგრეთვე, საგნის პრობლემისადმი ონტოლოგიური მისვლის ცდა. ონტოლოგიური თვალსაზრისი უფრო ძველია,

ვიდრე გნოსეოლოგიური. კანტის ადრინდელ იდეალიზმსაც ხშირად შემეცნების საგნის ონტოლოგიური გაგება ახასიათებს. მაგრამ თითოეული ასეთი თეორიის აქ გათვალისწინება შეუძლებელია, საკმარისია შევეხოთ უკანასკნელს და თან ორიგინალურ ასეთ ცდას. სახელდობრ ნ ი კ ო ლ ა ი ჰ ა რ ტ მ ა ნ ი ს ონტოლოგიურ-რეალისტურ დამუშავებას შემეცნების საგნის პრობლემისა.

### ბ. შემეცნების საგნის ონტოლოგიური თეორია.

გნოსეოლოგიური საგნის თეორიები საბოლოო ანგარიშით იდეალისტური თეორიებია. შემეცნების საგნის იდეალისტური ინტერპრეტაცია ერთის მხრივ უარს ამბობს საგნის არსის საერთო ბუნებაზე გადაჯაჭულობის საჭიროებაზე, მეორეს მხრივ ის ამტკიცებს, რომ საგანი საგნის კანონიერების გავლენას არ განიცდის, არამედ ის ემორჩილება აზროვნების კანონებს. ამიტომ იდეალისტური ინტერპრეტაციის სამოქმედო არე ყოველთვის განსაზღვრულია რომელიმე ცნობიერების მიერ. სულ ერთია იქნება ეს ემპირიული, თუ ზე-ემპირიული „ცნობიერება საერთოდ“. ისეთი თეორია, როგორიც იყო ინტენციონალი საგანი ან „მნიშვნელობის მთლიანობა“, „საზრისი ჭეშმარიტი დებულებისა“, „საგნის თეორია“ (მაინონგის) და სხვ. გარეგნულად მკაცრ ობიექტივისტურ სახეს ატარებენ და ვითომც ცნობიერების სამსჯავროს წინაშე პასუხის მგებელნი არ არიან. მაგრამ თითოეული ინტენცია ინტუიციაში მართლდება, თითოეული ჭეშმარიტი საზრისი ევიდენტური განცდით განიჭვრიტება და სხვ. ე. ი. ეს ვითომც ობიექტივისტური საგნის თეორიები ჭეშმარიტების კრიტერიუმის საშუალებით დამოკიდებული რჩებიან ცნობიერებითი ქვეყნისაგან და ამიტომ საბოლოო ანგარიშით იდეალისტური.

ყველა იდეალისტური თეორია ფაქტის ხელოვნური ინტერპრეტაცია არის და ამიტომ ადვილია თითოეული წამოყენებული თეზის უბრალო შემობრუნება. შემეცნება-ფაქტში მონაწილეობს ორი სათავე: ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი დ ა ნ მ ო მ ა ვ ა ლ ი და ა რ ს ი დ ა ნ ა ღ ე ბ უ ლ ი. რადგანაც იდეალიზმი ცნობიერებიდან მომავალ სათავეს ამართლებს და თითოეულ დებულებას ამის დასამტკიცებლად აყენებს, ამიტომ იდეალისტური თეზების რეალისტური შემობრუნება მდგომარეობს უარყოფისა და მტკიცების პრედიკატების შეცვლაში. სწორედ ამ გზას მიჰყვება ნ. ჰარტმანის ონტოლოგიური თეორია. ჰარტმანი გნოსეოლოგიიდან ამოვიდა, მაგრამ მისი თეორია ონტოლოგიურია გნოსეოლოგიურის საწინაამღდეგოდ და რეალისტურია იდეალისტურის დასაძლევად.

ეს ახალი რეალიზმი ამტკიცებს ასე:

შემეცნების საგანი დამოუკიდებულია შემცნობელი აზროვნების ფორმებისა და შესაძლებლობისაგან. საგანს, არსის ნიადაგზე განლაგებულს, საკუთარი გარკვეულობა გააჩნია და შემეცნება-აქტის დროს ის არკვევს აზროვნების ფორმებს. საგანი არამც თუ დამოუკიდებელია აზრისაგან, არამედ ის ინდეფერენტულია აზრის მიმართ. საგნისათვის სულერთია, თუ რა კეთდება მის ირგვლივ და რა შრომას ეწევა აზროვნება. მაგრამ აზრს არ შეუძლია იყოს ინდეფერენტი საგნის მიმართ, აზრს არ შეუძლია გულგრილი იყოს საგნის გარკვეულობის ასახვის

დროს. შემეცნება ცვალებადობას ნიშნავს, იცვლება შემეცნების საგანი, მაგრამ რადგანც საგანში იმ ნაწილს არ შეუძლია გამოიცვალოს, რომელიც არსიდან არის აღებული, ამიტომ დაგვრჩენია მივიღოთ, რომ შემეცნებაში აზროვნება სცვლის თავის საკუთარს თავს. არსი უცვლელია და რჩება თავის ადგილზე, ამიტომ შემეცნების პროგრესის ფაქტი შემეცნების საგნის მოძრაობას კი არ გამოხატავს, არამედ შემეცნების სურათის მოძრაობას ცნობიერებაში (იხ. N. Hartmann: „Grund. einer Metaphysik der Erkenntnis" I. Aufl. გვ. 85). ცნობიერებაში მოქცეული შემეცნების სურათი მოძრაობს, იცვლება, იზრდება, შორდება საკუთარ თავს, მიდის წინ. მაგრამ ყველა ეს ტრიალი და შრომა ხდება იმ რეალი საგნის მიმართ, რომელიც არსის მონაწილეა, და როგორც ასეთი სავსებით გულგრილი ცნობიერების სურათის მიმართ. ეს არის შემეცნების საგნისა და ცნობიერებაში წარმოდგენილი შემეცნების სურათის ბუნებრივი ურთი-ერთ განწყობილება. იდეალისტური ინტერპრეტაცია წინასწარ შეთხზული თვალსაზრისის დახმარებით ამ ფაქტიური განწყობილების გადაფუჩეჩებას ცდილობს. მაგრამ ამაოდ.

არსი დამოუკიდებულია აზრისაგან. Ratio essendi სხვაა, ვიდრე ratio cognoscendi. იდეალიზმისა და მეტაფიზიკური რაციონალიზმის ძირითადი შეცთომა იმაში მდგომარეობს, რომ ერთიმეორეში ურევენ ratioს ამ ორ ფორმას. შემეცნება-ფაქტის ანალიზი კი გვასწავლის, რომ ratio essendi საფუძველმდებელი და პირველსათავეა ratio cognoscendiსათვის. ეს არის ახალი რეალიზმის ძირითადი თეზა. ნიკოლაი ჰარტმანი შემდეგნაირად ამტკიცებს რეალიზმის ამ ძირითად დებულებას: „ყველაფერი, რაც ჩვენ *არსის* შესახებ კი *ვიცით*, შემეცნებისაგან მომდინარეობს. მაგრამ ყველაფერი, რასაც შემეცნება იძლევა, ნიშანდობლივი კი არ არის თვით შემეცნებისა, არამედ ის არსისათვის არის ნიშანდობლივი. სახელდობრ, *არსის* შემეცნება არის ის, რის შესახებ შემეცნებაში ლაპარაკია" (იქვე გვ. 142). ამიტომ გნოსეოლოგია პრინციპებს ონტოლოგიიდან სესხულობს, მაგრამ ახალი რეალიზმი კრიტიკულია, მან ძალიან კარგად იცის, რომ არსის სამყაროში უშუალო გზა არ არსებობს; *შემეცნების საგანი არის ის ერთად ერთი გზა, რომელსაც არსისაკენ მივყევართ*. ამიტომაა, რომ საგანს ნ. ჰარტმანის ბუნებრივ რეალიზმში ცენტრალური ადგილი უჭირავს. „საგნის პრობლემა ბუნებრივი გზაა არსის პრობლემისა; მხოლოდ ამ გზით შეიძლება—თუ საერთოდ ეს შესაძლებელია—არსთა ის ონტოლოგიური ურთი-ერთობა განვჭვრიტოთ, რომელიც შემეცნების რელაციის გნოსეოლოგიურ არსებაში იყო დამალული" (ნ. ჰარტმანი.).

პირველი შეხედვით რეალიზმის ეს შენობა ვითომც იმდენად საფუძველ მტკიცეა, რომ მისი შერყევა საეჭვო ხდება. მაგრამ თუ მთელ ამ ლამაზ შენობას შემეცნების საგნის ასპექტიდან განვიხილავთ, მყისვე საერთო ნათელი სურათი ნისლში გაეხვევა და შემეცნება გადაულახავი წინააღმდეგობის წინ აღმოჩნდება. ახალი რეალიზმით სადაო პრობლემები სწორად არის აღწერილი, მაგრამ ამ პრობლემების საკმაო ახსნა აქ მოცემული არ არის. ჩვენი საკუთარი თვალსაზრისისათვის რეალიზმი თუმცაღა მისაღებია, მაგრამ ონტოლოგიური რეალიზმი მას ვერ აკმაყოფილებს, და აი რატომ:

შემეცნება-ფაქტი არსთან შედარებით მოკლე და განსაზღვრულია. ის მეტნაწილად არსის რომელსამე პაწია ნაწილს ეხება, მაგრამ შემეცნებისათვის სხვა გზა, თუ არა ნაწილების დაძლევა, არ არსებობს. ამიტომ არსი შემეცნებაში საგნების სახით არის წარმოდგენილი. წინისწარ სავსებით უნდა დაძლეულ იქნას საგნის პრობლემა და არსზე ამის შემდეგ დაიწყება ლაპარაკი. მივიღოთ ეს და ვიკითხოთ, თუ როგორ მიდის საგანთან რეალისტური თეზა? ცხადია ორი გზა არსებობს. ორივე გზისთვის საერთოა ის, რომ შემეცნება ნიშნავს რეალი სუბიექტის წინ რეალი საგნის არსებობას. ეს პირობა აუცილებელია რეალიზმისათვის საერთოდ, მაგრამ მისი გაშლა ორი სხვა და სხა გზით შეიძლება. პირველი გზის მიხედვით შემეცნების ცენტრში მოქცეულია შემცნობელი სუბიექტი და მის გარშემო კი განლაგებულია რეალი სინამდვილის გარკვეულობა. სუბიექტისათვის მის ირგვლივ გაშლილი ობიექტების ქვეყანა იქნება მოვლენათა მრავალსახიანობის მთლიანობა. სუბიექტი იცნობს მოვლენებს, როგორც რეალურად არსებული ქვეყნის შინაარსებს. ამ მოვლენების უკან თუ კიდევ სხვა რაიმე არსებობს,—საიდანაც მოვლენები ვლინდებოდენ,—ეს საკითხი ასეთი რეალიზმისათვის მეტაფიზიკური კითხვაა, მას ის, ცხადია, უარყოფით უპასუხებს.—ასეთი რეალიზმი ფენომენალისტურია და ის შემეცნების საგნის პრობლემას ისე ვერ არკვევს, როგორც სხვა მისი მოძმე ფენომენალისტური თეორიები. ის არამც თუ უბრალოდ ვერ ეგუება შემეცნების განვითარების იდეას, არამედ მოკლებულია ყოველივე შინაგან დიალექტიკას. მას ავიწყდება ის გარემოება, რომ შეუძლებელია მოვლენაზე ილაპარაკო, თუ ვლენის დასაბამი მხედველობიდან გაგიშვია. ვისაც ეს თეზა არ სჯერა, მან წაიკითხოს ჰეგელი!

რეალიზმის მეორე გზა დასახელებულზე უფრო საფუძველ-მტკიცეა. ამ მეორე თვალსაზრისის მიხედვით სუბიექტის ირგვლივ მოთავსებულია არსებული ობიექტების არე, ეს ობიექტები იძლევიან შემეცნების საგნის შინაარსს და თან მოვლენათა ქვეყნის ინტეგრაციის სათავეს. ამ საგანთა ქვეყნის მიღმა იწყება ტრანს-ობიექტური არსის სფერო. ეს სფერო თუმცალა შესაცნობი ობიექტების არეში მოქცეული არ არის, მაგრამ მისი საზღვარი ცვალებადია და მას შეუძლია ასეთი გახდეს.—დაახლოვებით ასეთი გზით მიდის ნ. ჰარტმანის რეალიზმი და ის აქამდე სწორია. მაგრამ ნ. ჰარტმანი აქ არ შეჩერდა, მან რეალიზმის თეზა თავის ბუნებრივ საზღვარზე გადაიყვანა. ტრანს-ობიექტური არსი პირობითი და განსაზღვრული არ უნდა იყოს, მაგრამ ის ჰარტმანის თეორიის მიხედვით რკალით არჩს შემოფარგლული. მის მიღმა ძევს ტრანსინტელეგიბელი არე, ე. ი. ისეთი არე, რომელშიაც სავსებით არაფერი არ არის შესაცნობის დაგვარი. და ეს არის სწორედ ფენომენის ღალატი. წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი არე მართლაც არსებობს, მერმე რა გზით უნდა მივიდეთ მასთან? არც ერთით. ის რეალი განწყობილება შემეცნებისა, რომელიც ფაქტიდან განმტკიცებული იყო არც ერთს პრობლემას არ შეიცავს, რაიც პრინციპულად ტრანსინტელეგიბელი ქვეყნის არსებობას გულისხმობდეს. ნ. ჰარტმანის აზრით შემეცნების ფაქტში მოქცეული ირრაციონალობის მომენტი ასეთი ქვეყნის არსებობის მხილებაა. მას ავიწყდება, რომ ირრაციონალობა „ჯერ—ირრაციონალობას“ უდრის ან და ის

უბრალო ასპექტია თვით რაციონალობაზე. როგორც ირრაციონალი რიცხვი არა-რიცხვი კი არ არის, არამედ რიცხვთა კონტინუუმის კანონიერი ამოსავსები, ასე ირ-რაციონალობაში საერთოდ არაფერი ისეთი არ არის, რაც არაციონალური იყოს. ირრაციონალობა ტრანსინტელეგიბელობას არას დროს არ ნიშნავს, არც პრინციპულად და არც ფაქტიურად. როცა ფენომენალისტური რეალიზმი ტრანს-ობიექტური არსის საჭიროებას არ სცნობს, ის ვერ ხედავს იმას, რაც შემეცნება ფაქტში ნათლად მოჩანს, მაგრამ როცა ნ. ჰარტმანის მეტაფიზიკური რეალიზმი აქ ტრანსინტელეგიბელ სამყაროს ამჩნევს, ეს კი იმის დანახვას ნიშნავს, რაც არ არსებობს. შემეცნება-ფაქტში შემჩნეული თავისთავიდან გამოსვლა და ობიექტისკენ სვლა, მეცნიერების ნაამაგარში აღნუსხული წინსვლა სავსებით უზრუნველყოფილია ტრანს-ობიექტური, ე. ი. ტრანს-ფენომენალური და ტრანს-საგნობრივი არსის მიღებით. ტრანს-ინტელეგიბელის შემოტანა შემეცნების არეში კი არც ერთი მოსაზრებით არ არის გამართლებული. შემეცნება, რომელიც სუბიექტ-ობიექტის რეალი რელაციით იწყება და შემდეგ შემეცნების საგნისა და არსის რელაციით მთავრდება, არას დროს არ გადის ისე შორს, სადაც ინტელეგიბელი საწვდომობა პრინციპულად მოხსნილი იყოს. არ გადის იმიტომ, რომ შემეცნება ყოველთვის არსის შემეცნებას ნიშნავს, საგანს ჩვენ არსის შემეცნების მიზნით ვაშენებთ. „არსის შემეცნება“ კი ინტელეგიბელობის დემონსტრაციაა და წარმოუდგენელია ის რაიმე სხვას ნიშნავდეს. თუ საკითხი შემეცნებას შეეხება, მაშინ ინტელეგიბელობაც თან უნდა იგულისხმებოდეს. ირრაციონალობის მომენტიდან ტრანსინტელეგიბელი ქვეყნის ამოკითხვა ნიშნავს ცარცით ნახაზი წირისაგან თეთრი ფერის დეფინიციას.

ნ. ჰარტმანმა საუცხოვოდ დაამტკიცა ის, რომ საგანი არსის გასაღებია, მაგრამ მან საგანში არა შესაცნობი ნაწილის აღმოჩენა პრინციპულ შეუცნობლობამდე მიიყვანა, რითაც საგნობრიობამ რაციონალობის უფლება დაკარგა. არამც თუ ტრანსინტელეგიბელი სფეროა ირრაციონალური, არამედ თვით ტრანსობიექტურ სფეროში, ე. ი. შემეცნების საგანთა, ანუ კანტის „შესაძლებელი ცდის“ სფეროში რაციონალურ მომენტებს ჰარტმანის გაგებით სჭარბობენ ირრაციონალური მომენტები. ჰარტმანი ამჩნევს, რომ შემეცნების ფენომენი დიალექტიკურად შენებულია, მაგრამ მისი ირრაციონალიზმი რაციონალური დიალექტიკის გაშლას ხელს უშლის და მთელი შემეცნება აპორიის, ე. ი. უგზობის მსხვერპლი ხდება. შემეცნებიდან აპორიის მოხსნა, რომელსაც ნ. ჰარტმანი იძლევა, შემეცნება-ფაქტიდან-კი არ გამომდინარეობს შინაგანი დიალექტიკის მიხედვით, არამედ ნაყოფია ვირთუოზი დასტაქარის ბასრი დანის ხმარებისა.

ახალი რეალიზმის მიერ აშენებული შემეცნების საგანში ირრაციონალობა სჭარბობს რაციონალობას, ამიტომ დაბოლოს რაციონალური შემეცნება უბრალო დაახლოვებაა სინამდვილესთან და არა სინამდვილის შემეცნება; ნ. ჰარტმანის მთლად რეალისტური თეზა: Erkenntnis ist Erfassen des Seiendes durch das denkende Subjekt, ამ კონტექსტში ჰკარგავს ყოველივე გნოსეოლოგიურ აზრს და იქცევა უბრალო ფენომენოლოგიურ განცხადებად. ყველა ამით კი საგანი როგორც მისავალი გზა არსისა წაიშალა და შემეცნება-აქტი ონტიურ საგანს, ანუ არსს, დაუპირდაპირდა. სწორედ ამიტომ ნ. ჰარტმანის ახალ რეალიზმს დაუმ-

ტკიცებელი დარჩა ის, რაც ნამდვილ რეალიზმს უწინარეს ყოვლისა უნდა დაემტკიცებინა. ის ამომწურავი არგუმენტაციით აჩვენებს, რომ შემეცნებაში ratio cognoscendi პირველსათავე არ არის, მაგრამ ის იმას ვერ ამტკიცებს, რომ ratio essendi საფუძველია ratio cognoscendiსათვის. ამის დამტკიცება-კი აუცილებელი პირობაა რეალიზმის განმტკიცებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჰარტმანის საგნის თეორია ყველა სხვა თეორიასთან შედარებით ბევრი უპირატესობის შემცველია, საბოლოოდ ვერც ის არკვევს შემეცნების სადაო პრობლემებს. შემეცნების საგნის პრობლემა იმიტომ რჩება გაურკვეველი ყველა აქ განხილულ ტიპიურ თეორიას, რომ მათ ამისათვის აუცილებელი საშუალება აკლიათ. შემეცნება არ არის პრობლემა, არც მხოლოდ ფსიქოლოგიური, არც მხოლოდ ფორმალ-ლოგიკური, არც მხოლოდ ონტოლოგიური, არც მხოლოდ გნოსეოლოგიური, ის აღსავსეა დიალექტური შინაარსით და ამ დიალექტურის გადალახვა და შემეცნების საგნის მეცნიერული დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ აქსიომატური გზით. აქსიოლექტურ არეში მოთავსებული შემეცნების საგანი ნათლად დაამტკიცებს იმას, რაც ზემოთ განხილულ თეორიებისათვის პრინციპულად მიუღებელია, ე. ი. დებულებას: შემეცნების საგნის საბოლოო მოგვარება კიდევ არ ნიშნავს, რომ ამით შემეცნების პრობლემა საერთოდ მოგვარებულია.

### გ. შემეცნების საგნის დიალექტურ-აქსიოლექტური ტრანსფორმაცია.

პირველი ნაწილის (ა) შესავალში ჩვენ უდაო ფაქტის სახით დავადგინეთ: შემეცნებას აქვს საგანი. შემეცნება-ფაქტის შინაარსი ნიშნავს საგნის შინაარსს. ჩვენი ცნობიერების ბუნებრივი რეალიზმი და მეცნიერების პერენიული წინსვლის პრინციპი: რასაც არ იცნობ, გაიცნობ, იძლევიან საგნობრიობის დასაყრდენს. თუ რა უნდა იყოს შემეცნების საგნის რეალ შინაარსში, ჩვენ ამას ვნახულობთ მეცნიერული დებულების საზრისში. მაგრამ რადგანაც მეცნიერების პერმანენტული განვითარება თანვე სცვლის შემეცნების საგნის შინაარსეულ მასალას, ამიტომ თვით საგნის არსებობა პრობლემად იქცევა. განვითარების ყველა კერძო საფეხურზე ჩვენ ვიცით, თუ რა არის ესა თუ ის საგანი. მაგრამ რადგანაც მომდევნო საფეხურზე ამ ჩვენი ცოდნის შინაარსი გამოიცვლება, ამიტომ საბოლოო ანგარიშით საგანი პრობლემაა და სხვა არაფერი. არც ერთს მეცნიერებას არ შეუძლია ჩვენ რაიმე იმის შესახებ გვითხრას, თუ რაა მისი საგანი. მაგრამ რადგანაც საგანი პრობლემის სახით არსებობს და პრობლემა გაგებას მოითხოვს, ამიტომ აუცილებელია ჩვენი ცოდნის რომელიმე დარგი ე. წ. საგანს თავის საძიებელ ობიექტად გულისხმობდეს. ცოდნის ეს დარგი არის ფილოსოფია. შემეცნების საგნის პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიური პრობლემაა. არავითარი დავა ამ საკითხის შესახებ ფილოსოფიასა და სპეციალ მეცნიერებას შორის არ შეიძლება არსებობდეს. კერძო მეცნიერებას საგნის პრობლემის არამც თუ მოხსნა, არამედ მისი გაგებაც არ შეუძლია. ეს არ არის მისი საქმე, მას ამისათვის აუცილებელი მასალა არ მოეპოება. ფილოსოფიის საქმე კი ის არის, რაც მეცნიერების საქმე არ არის. ფილოსოფიას ამის საჭირო მასალაც აქვს და ის ამ მასალას მეცნიერებიდან ღებულობს.

ამრიგად შემეცნების საგნის პრობლემა წმიდა ფილოსოფიური პრობლემაა. ფილოსოფია ყოველთვის ცდილობდა ამ პრობლემის ასეთს თუ ისეთ მოგვარებას. და მართლაც ყველა ფილოსოფიას გააჩნია ასეთი თუ ისეთი საგნის თეორია. ორი ფილოსოფიური მიმართულება იბრძვის ამ საკითხის მოსაგვარებლად. ერთის აზრით შემეცნების საგნის გასაგებად საჭიროა შემეცნების მსვლელობის უბრალო აღწერა; მეორე შემეცნების ფაქტის ასეთ თუ ისეთ ინტერპრეტაციას ემყარება. პირველი მიმართულება იმდენად უსუსური და უსაფუძველოა, რომ ჩვენ ამ გამოკვლევაში მისი არც კრიტიკისათვის და არც დალაგებისათვის ადგილი არ დაგვითმია. ჩვენ აქ განვიხილეთ საგნის პრობლემის ინტერპრეტაციული შესწავლის სანიმუშო დოქტრინები. შედეგი, რაც მივიღეთ, საკუსებით ნეგატიური აღმოჩნდა. თითოეული განხილული თეორია ან ღალატობს საგნობრიობის ფენომენს, ან კიდევ ვერ ამტკიცებს იმას, რის დამტკიცება მიზნად არის დასახული. ინტერპრეტაციული თეორიების მიზანია შემეცნების საგნის უნაკლო კონსტრუქციით დაამტკიცონ, რომ თვით შემეცნება ლოღიკურად შესაძლებელია. მაგრამ ყველაზე უფრო ლოღიკურად მოფიქრებული საგნის თეორია (ნ. ჰარტმანის) მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ რა რიგ პრინციპგამართული არ იყოს შემეცნების საგნის კონსტრუქცია, ის თვით შემეცნებაში საკითხის სახით ნაგულისხმევ პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებს. ჩვენება იმისა, რომ შემეცნება-აქტი საგნობრიობის ინტენდიურობას შეიცავს, რომ შემეცნების საგანი ასეთი და ასეთი უნდა იყოს და სხვ. კიდევ არ ნიშნავს იმის დამტკიცებას, რომ ეს ასეთი და ისეთი საგანი მართლაც ის რეალური საგანია, რომელიც არსის შემეცნებას უზრუნველჰყოფს. ინტერპრეტაციულ თვალსაზრისს საერთოდ გაუგებარი რჩება ის ფაქტი, რომ რეალ ონტიური საგანი ყოველთვის სხვაა, ვიდრე შემეცნების (გნოსეოლოგიური) საგანი, რომ შემეცნების საგანი დაუბოლოვებლად ემზადება იმისათვის, რათა გახდეს რეალური საგანი; მაგრამ მათი იგივეობა რომ მიღწეულ იქნას შემეცნების საიდუმლოება იმაში დარჩება, რომ სრული იგივეობა შემეცნებისა და რეალი საგნის სხვაობის კოეფიციენტს მაინც ვერ წაშლის. მეორეს მხრივ შემეცნების საგანი, როგორც თავისი პერენიული წინსვლის დროს, ისე რეალურ საგნად გახდომის დროს ამტკიცებს იმას, რომ რეალური საგანი პრინციპულად დაუძლეველი არ არის. გამოდის, რომ თვით შემეცნების ფაქტი, რაღაც დაუძლეველ წინააღმდეგობაზე უნდა იყოს აშენებული. ინტერპრეტაციულ თეორიას თავის ბუნებით არ ძალუძს წინააღმდეგობათა სფეროში ჩაიხედოს. ის თავისი ბუნებით უაღრესად ფორმალ-ლოგიურია და როგორც ასეთი მას წინააღმდეგობის გამორიცხვის შემდეგ შეუძლია თავისი ანგარიშების მოხდენა. ამიტომაა, რომ ის ყოველთვის ხელოვნურია. ბუნებრივი შინაგანი წინააღმდეგობა, რომლის მიღებას შემეცნება-ფაქტი გვაიძულებს, მისთვის უცნობია. და მართლაც, თვითოეული ინტერპრეტაცია ცოტა ნაკბენივით გარბის წინაღმდეგობათა სფეროდან. ინტერპრეტაციული თეორიები უკიდურესობამდე ანტიდიალექტური თეორიებია. შემეცნების საგნის არსებობის ფაქტი კი უაღრესად დიალექტური პრობლემაა. შემეცნების საგნის პერენიული ცვალებადობა შემეცნების საგნის შინაარსის ცვალებადობაა, მათი გაგებისათვის **შინაარსებით ანგარიშის ხელობაა აუცილებელი**. თითოეული ინტერპრე-

ტაცია კი მხოლოდ შემეცნების ფორმებით ანგარიშს ნიშნავს. ნიკ. ჰარტმანი სწორედ იმიტომ ვერ დაეტია გნოსეოლოგიის საზღვრებში, რომ მან პირველად შეანგრია ინტერპრეტაციული თეორიების სიმაგრე (და მასთან ერთად იდეალისტური მსოფლგაგებისაც) და საგნის დიალექტიკური გაგებისათვის გზა გაკაფა.

**1. შემეცნების საგნის შინაგანი დიალექტიკა.**

ამრიგად შემეცნება-ფაქტის შინაბუნების შესწავლა გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ თითოეულ შემეცნებას აქვს თავისი საგანი. მაგრამ რა არის ეს შემეცნების საგანი? ჯერ ხნობით ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რაც შემეცნების საგნის შინაარსია. შემეცნების საგნის შინაარს ჩვენ მეცნიერების ფაქტის სახით ვნახულობთ. სხვა სარეალიზაციო არე ამისათვის არ არსებობს. ამიტომ, თუ საჭიროა საგნის თეორიის აშენება, ამისათვის მეცნიერებას უნდა მივმართოთ, საჭირო მასალა მისგან ავიღოთ. ეს არის ფილოსოფიის მეცნიერებაში გამართლება. არავითარი სკეპსისი მეცნიერების მიმართ ფილოსოფიურად არ შეიძლება დასაბუთდეს, ფილოსოფიური გამართლება-გასამართლება მეცნიერების უკვე ფაქტის სახით მიღებას ნიშნავს. მეცნიერება გვაძლევს საგნის შინაარს და არა თვით საგანს. ფილოსოფიური თეორია საგნის შინაარსს კი არ დაეძებს, არამედ თვით საგანს, საგანს როგორც კონკრეტ რეალობას; საგანს, როგორც ობიექტს, როგორც ონტიურ სინამდვილეს, არსის ერთ-ერთ სახეობას და სხვა. ჩვენი ცნობიერების ბუნებრივი რეალიზმი, მისი ინტენციონალი ბუნება სწორედ ასეთ საგანს გულისხმობს და ფილოსოფიური თეორიეში ასეთი საგნის გაგების შესახებ დაობენ. შემეცნება ყოველთვის არსის შემეცნებას ნიშნავს, შემეცნების საგანი-კი საშუალებაა არსის შემეცნების მისაღწევად. მაგრამ საგანს, როგორც მეცნიერულ შინაარს, სწორედ ის აკლია, რაც საგანს, როგორც არსის მონაწილეს, უნდა ახასიათებდეს, მას აკლია, ასე ვთქვათ, არსისეული სუბსტანციონალობა. მეცნიერულ ცოდნაში წყალი$=H_2O$, ფილოსოფიური თვალსაზრისით თანასწორობის ნიშანი უკანონოდ არის დაწერილი. $H_2O$ როგორც მეცნიერული შინაარსი ცვალებადია, მაგრამ ის, რასაც ეს შინაარსი დაეძებს არის უცვლელი. ინტერპრეტაციული საგნის თეორიები საგანს ისე განიხილავენ, ვითომც ის, რასაც საგანი ეწოდება, ადექვატი სახე იყოს იმისა, რასაც საგნის შემეცნება გულისხმობს. დავუშვათ, რომ ეს ასეა. ვთქვათ, საგანი ადექვატურად მოცემულია მექანიკის კანონით $c=at$, $S=\frac{1}{2}at^2$, ნუ თუ ამ ცოდნით ისიც ნათელი უნდა იყოს, თუ რას უდრის მაგ. c და t; ეს ასე უნდა იყოს თუ არა, თვით ამ მეცნიერულ ცოდნაში არც სწერია და არც შეიძლება ეწეროს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ფაქტი: $t=\sqrt{\frac{2\,as}{a}}$ და $C=\sqrt{\frac{2\,sa^2}{a}}=\sqrt{2sa}$, და ამის ცოდნა გამოყვანილია უბრალო-რაციონალური ოპერაციით; ექსპერიმენტით გამართლებული ფაქტი უხმოდ ექვემდებარება დასახელებულ ოპერაციას. აქამდე საკმარისია მეცნიერული თვალსაზრისი, მაგრამ ფილოსოფიური პრობლემა ამის შემდეგ იწყება და იქ მეცნიერებას საკუთარი სიტყვა არ აქვს. ფილოსოფიური პრობლემა აქ გულისხმობს საკითხს, *რატომ არის რაციონალური ოპერაცია შესაძლებელი?* რატომ მხოლოდ რაციონალურ-დიალექტური ოპერაციით შეიძლება ექსპერიმენტული ფაქტის შინაარსის და საზრისის გაგება? *რატომ?* ეს ჯერ არ ვიცით,

ის კი ვიცით, რომ გარეშე ამ დიალექტურ-რაციონალური ოპერაციისა შემეცნების მოგვარება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა: აბა ვის შეუძლია, ყველა შესაძლებელი ფაქტი ვარდნითი მოძრაობისა გამოსცადოს და ამით მიიღოს კანონი c=at!.. ექსპერიმენტის საზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ბუნება ერთი ექსპერიმენტით გვიმხელს მის შინა კანონიერებას და ეს არის საფუძველი დიალექტურ-რაციონალური ოპერაციისა,—მაგრამ ეს სხვათა შორის. ჩვენი პრობლემისათვის აქ საინტერესო ის გარემოებაა, რომ შემეცნების საგნის კონსტრუქციის მოთხოვნილება აშუქებს შემეცნების საგნის დიალექტურ ბუნებას. რა გზით არ მიუდექით საკითხს, თუ რა არის თვით საგანი შემეცნებისა, ვერ გავიგეთ ის, ე. ი. ლოღიკური პასუხი ვერ მივიღეთ. ვთქვათ, სავსებით დაგვავიწყდა შემეცნების საგნის იდეალისტური დისპუტაცია, მაგრამ არც მხოლოდ მეცნიერების ნაამაგარზე დაყრდნობამ დაგვარწმუნა ჩვენ იმაში, რომ შემეცნების საგანი ესა თუ ის ცოდნაა. მეცნიერების შინაარსით ჩვენ თუმცალა ერთგვარი საგანი მივიღეთ, მაგრამ სწორედ ეს საგანი შემცველია გადაულახავი წინააღმდეგობის. ამ წინააღმდეგობის განხილვა-კი ნათელ ჰყოფს შემეცნების საგნის **იმინენტ დიალექტიკურ ბუნებას.**

ყველა განხილული საგნის თეორია თავისი ბუნებით იყო მხოლოდ ლოგიკური, ე. ი. საგნის პრობლემის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ემყარებოდა დებულებას, რომ საგნის ცნება ფორმალ წინააღმდეგობას არ უნდა შეიცავდეს. ჩვენ კი მეცნიერული ფაქტის შინაარსის განხილვით დავრწმუნდით, რომ **საგნის ცნება განხორციელებული წინააღმდეგობაა და ამიტომ მისი შინა კონსტიტუენცი დიალექტიკურია.** ამიტომაა, რომ შემეცნების საგნის ჩვეულებრივად გაგებულმა პრობლემამ უპირველს ყოვლისა დიალექტური ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს. ტრანსფორმაცია ქმნილი საგნის დიალექტური სურათი იქნება ასეთი:

შემეცნებას საგანი უნდა ჰქონდეს. ფაქტიური შემეცნება თავის საგანს მეცნიერებაში ნახულობს, ამიტომ შემეცნების ჭეშმარიტების დასამყარებლად მეცნიერების ფაქტში მოცემული საგანი უნდა იყოს ის რეალი საგანი, რომელიც მონაწილეა არსის რეალობისა. თუ რეალ- ონტიური საგანი მეცნიერების ფაქტით მოცემული საგანი იქნება, მაშინ შემეცნების ფილოსოფიური პრეტენზია დაკმაყოფილებულია, შემეცნების ნამდვილი საგანი ნახულია და სადაოც ალარაფერი დარჩება. მაგრამ ეს ასე არ არის. მეცნიერებას თავის წინსვლის შლაში არ შეუძლია არც ერთი ისეთი დასაყრდენი ალნუსხოს, რომლისგან შემეცნების საგანი ადექვატი იყოს რეალი საგნისა. შემეცნების შინა ლოგიკური საზრისი სწორედ იმას ემყარება, რომ დაუსრულებელ ძიების პროცესში დაბოლოს პროცესი დასრულდება და ჭეშმარიტი შემეცნების საგანი აღმოჩნდება, ასეთი საგანი თან რეალ-ონტიური საგანიც იქნება,—ეს არის გამართლება პროგრესის იდეისა. მაგრამ შემეცნების პროგრესის ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე დიალექტური საზრისი აჩვენებს, რომ თუმცალა პროგრესის ზეგავლენით რეალი საგანი სულ მეტად და მეტად გვაცნობს თავის ვინაობას, მაგრამ ამით თვით შემეცნება არ უბრალოვდება, უცნობი არ მცირდება და თითოეული დიდი საიდუმლოების დაძლევასთან ერთად შემეცნების წინ არსი ახალსა და უფრო რთულ

საიდუმლოებას შლის. გამოდის რომ ან მეცნიერება, როგორც ასეთი, შეუძლებელია, ანდა შემეცნებას არავითარი რეალობის შესატყვისი საგანი არ გააჩნია. ფაქტები უარჰყოფენ როგორც ერთ, ისე მეორე დასკვნას. მაგრამ რაიმე შედეგი მაინც ხომ უნდა გამოდიოდეს. შედეგი არის და ის ლოგიკური შედეგი არ არის, არამედ დიალექტური:

a) შემეცნებას აქვს საგანი; შემეცნების საგანი უდრის მეცნიერების ფაქტით მოცემულ საგანს, მაგრამ მეცნიერების ფაქტით მოცემული საგანი არ უდრის შემეცნების საგანს.

b) საგანი შესავალია არსისა; თითოეულ მეცნიერების ფაქტიური და შესაძლებელი აქტით მოცემულ საგანს მოეპოვება თავისი ექვივალენტი ელემენტი არსის საგანთა რიგში. მაგრამ ჯამი არსის საგანთა რიგისა არ უდრის მეცნიერების აქტით მოცემულ თუ მოსაცემ საგანთა ჯამს. ყველა შესაძლებელ საგანთა ინტეგრალი უდრის არსს, მაგრამ არსი მეტია ვიდრე მის შემადგენლობაში შემავალ ყველა საგანთა ინტეგრალი.

ეს ორი დებულება არის საგნის დიალექტური დასაყრდენი, თან აუცილებელი შესავალია საგნის ენტიფიკატური გაგებისათვის. ვინც გონების დიალექტურ ოპერაციებში ჩვეული არ არის, მას აქ უცნაურობის მეტი არაფერის ამოკითხვა ძალუძს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ დებულებებით რამოდენიმე ძირითადი კანონი თეორიული არითმეტიკისა ერთი ხელისმოსმით უარყოფილია. მაგრამ იმის წარმოსადგენად, თუ რაშია აქ საქმე, მოვიყვანოთ ერთი უბრალო და სავსებით პოპულარული მაგალითი. ვთქვათ, საგანი A ყოველი მხრიდან განისაზღვრება ხუთი კომპონენტით a, b, c, d, e. დაუშვათ კიდევ უბრალოდ, წარმოვიდგინოთ, რომ საკითხი მთლიანობისა და ნაწილების ურთიერთობის შესწავლას შეეხება a, b, c, d, e ნაწილებია A. ე. ი. $a + b + c + d + e = A$, ამ თანასწორობის შედგენის დროს ჩვენ დაგვავიწყდა ერთი, სახელდობრ ის, რომ A მარტო ნაწილების ჯამი-კი არ არის, არამედ ის მთლიანობაა, ამიტომ $A > a + b + c + d + e$. დიალექტიკის ეს კანონი მოჩანს საგნის დასახელებულ ორს დებულებაში. მაგრამ ყველაფერი ეს სხვათა შორის. მთავარი ის არის, რომ ამ კონტექსტში საგანი ე. ი. შემეცნების საგანი დიალექტიური გონების სამსჯავროს წინაშე, არის განხორციელებული წინააღმდეგობა ლოგიკური გონების ასპექტისათვის. დიალექტიური გონებისათვის საგანი აქსიოლექტიურია ე. ი. არის არსის აქსიოზის სახით შემეცნების სფეროში გადმოსული არსის საგნობრიობა, ე. ი. არსია იმ სახითა და იმ ფორმით, რა სახითა და ფორმით შეიძლება არსის შემეცნება განხორციელდეს, მაგრამ ჩვენი ადამიანური ცნობიერების ლოგიკური რეფლექსისათვის არსის ეს აქსიოზობა გადაულახავი წინააღმდეგობაა. და რადგანაც ყოველი შემეცნება ჩვენი ცნობიერების ფარგლებში დასატევი და გასაგები შემეცნების სახით უნდა ჩამოყალიბდეს, ამიტომ საგნის დატოვება აქსიოლექტიურ სფეროში შეუძლებელია. საგნის დიალექტიური ბუნების აღმოჩენა

საკმარისი არ არის. საჭიროა არა მარტო საგნის ცნებაში განხორციელებული წინააღმდეგობის ნათელყოფა და არსის ბუნების დიალექტურ-რაციონალური უკუფენა, არამედ ამ აქსიოლექტიური დასაყრდენის შემეცნების სახით ჩამოყალიბება. არსის აქსიოზობის შემეცნებისათვის გასაგებ ფორმებში ჩამოყალიბებას კი აქსიომატიკას ვუწოდებთ. აქსიომატიკამ შემეცნებისათვის ის ლოგიკური წინააღმდეგობანი უნდა გადალახოს, რაც დიალექტიკამ წამოაყენა, მაგრამ არ გადაულახავს.

ამრიგად ფილოსოფიური აქსიომატიკა აქსიომატურ-ნეგატური მეთოდით დიალექტიკური ნარჩენების გამოყვანას ნიშნავს. ჰეგელი წინააღმდეგობის დაძლევას ემყარება. ჰეგელი წინააღმდეგობის გადალახვის ოპერაციას Aufhebung-ის საშუალებით ახდენდა და „დიალექტურ მომენტს" შემეცნების სახეს თვით დიალექტიკის სისტემაში ანიჭებდა. ამით კი დიალექტიკის ორი სათავე გაითქვიფა ერთი მეორეში: რაციონალური და ონტიური. ჩვენ კი ამ ორ სათავეს ვაცალკევებთ, ონტიურს ვტოვებთ აქსიოლექტურ სფეროში ე. ი. ისეთ დიალექტურს სფეროში, რომელიც არც ონტიურია და არც ნოეტიური, არამედ ორივეს სისრულეში მოსაყვანად უცილო პირობის სახით ღირებული, ხოლო რაციონალურს ვაყალიბებთ სავსებით ზუსტი და გარკვეული მეცნიერული დეფინიციების სახით; ამ უკანასკნელს აქსიომატიკა ეწოდება სახელად. ე. ი. აქსიომატიკა იქნება დიალექტიკის მიერ აღმოჩენილი არა ლოგიკური ელემენტის მიღება, შემეცნების საგნის ცნებაში წინააღმდეგობის არსებობის აღიარება, მაგრამ ორივესი რაციონალური დეფინიციების სახით დალაგება. ამით კი ენტიფიკატური მეთოდი ბოლომდე მიყვანილია. აღმოჩენილია არამც თუ ის, რაც შემეცნების საგნის ცნებაში დაუძლეველი იყო, არამედ ეს დაუძლეველი შემეცნებისათვის წასაკითხავი დებულების სახით არის გადმოცემული.

2. აქსიომატიკის პრობლემისათვის.

აქსიომატიკის საერთო კონტექსტში შემეცნების საგნისათვის კუთვნილი ადგილის მინიჭება ადვილი საქმეა. მაგრამ რადგან აქსიომატური მეთოდის გადმოცემა აქ შეუძლებელია, ამიტომ საგნის პრობლემის შესახებ აქსიომატურად ნათქვამს ექნება მხოლოდ მითითების ხასიათი. თვით აქსიომატიკის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სახელწოდებით თავისუფალ დებულებათა დედუქტიური მეცნიერება არ არის ნაგულისხმევი. არამედ აქსიომატიკის პრობლემატიკა მეცნიერების ფაქტიური ნამოქმედარის ლოგიკურ წინააღმდეგობათა ქსელში გახევის შემდეგ ჩნდება. ამიტომ აქსიომატიკა იმ წესების სისტემაა, რომელთა დახმარებით ლოგიკურ წინააღმდეგობათა დიალექტიკური გადალახვა შესაძლებელი ხდება.

შემეცნების ფილოსოფიურ პრობლემათა რიგში არის ცენტრალური ღერძი, რომლის გარშემო ყველაფერი ტრიალებს,—ეს გახლავთ ჭეშმარიტების საკითხი. თუ ჭეშმარიტების საკითხი მოგვარებული იქნება, მაშინ შემეცნების ყველა სადაო პრობლემა თავისთავად გადაწყდება. მცოდნემ ნამდვილად შეამჩნია, რომ ჩვენ მიერ ამ გამოკვლევაში შესწავლილი საგნის თეორიები სწორედ რომ ჭეშმარიტების წინაშე გასამართლდენ. თითოეული საგნის თეორია ბოლო ანგარიშით ჭეშმარიტი შემეცნების დაფუძნებას ნიშნავდა; შემეცნებაში ყველა-

ფერი ჭეშმარიტებას ემსახურება და ცხადია, საგანიც ამისათვის არის იქ წარმოდგენილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სწორედ ეს ჭეშმარიტების საკითხი ყველა სხვაზე უფრო დაბნეული და გაურკვეველი საკითხია. ის ბუდეა ყველა იმ გნოსეოლოგიური და ლოგიკური ანტინომიებისა, რომლებსაც შემეცნება კი შეიცავს. აქსიომატური მისვლა შემეცნების საკითხებისადმი სწორედ ამ პრობლემის სფეროში რევოლუციას ნიშნავს.

აქსიომატიკა აყენებს თეზას: ჭეშმარიტება არ არის არც ფილოსოფიური და არც მეცნიერული პრობლემა. ამ დებულების სისწორეს აქსიომატიკა, რასაკვირველია, კი არ ამტკიცებს, არამედ მას ფაქტებში აღმოაჩენს (მისი დამტკიცება რომ მოხერხებულიყო მაშინ თვით ის იქნებოდა დამტკიცებული თეორემა). აქსიომატურმა მეთოდმა ისე უნდა ააშენოს თითოეული მეცნიერება, რომ მის აღნაგობაში ჭეშმარიტების საკითხი არც კი წამოიჭრას. მეცნიერების დებულება არ უნდა გახდეს ჭეშმარიტების პრობლემის ობიექტი. ვისაც აქ ნათქვამი პირველად ესმის, ის უსათუოდ რაღაც დიდ უცნაურობად ჩამოგვართმევს ამას. მაგრამ კეთილი მოქალაქის საყურადღებოდ საჭიროა განვაცხადოთ, რომ ზუსტი მეცნიერება დღიდან თავისი ჩასახვისა (მეტწილად შეუგნებლად) აქსიომატური იყო და ჭეშმარიტების საკითხებს არ აწესრიგებდა. მათემატიკური მეცნიერება დამყარებულია არა მათემატიკური ობიექტის ჭეშმარიტებაზე, არამედ იმ წინააღმდეგობის გადალახვაზე, რომელიც სუფევს მათემატიკური ობიექტის ცოდნასა და ამ ობიექტის მიერ ნაგულისხმევ საგანს შორის. ასეთი წინააღმდეგობა რომ უნდა არსებობდეს, ეს გახლავთ დიალექტურრაციონალური საფუძველი მათემატიკური მეცნიერების შესაძლებლობისა, ეს წინააღმდეგობა რომ გადალახული უნდა იქნას და პრაქტიკულად წინააღმდეგობის გამომწვევი კოეფიციენტი ნული გახდეს, ეს გახლავთ აქსიომატური ანუ მეცნიერული ხელოვნება. ამიტომაა, რომ მეცნიერება პრაქტიკულია და თან ყოველთვის აქსიომატური. ძველი ბერძნების პირველი სრული აქსომატური მეცნიერება იმავე საშოდან დაიბადა, სადაც ფილოსოფია ნიადაგი იყო და თუ შემდგომ ფილოსოფიამ მიატოვა თავისი მიწა და რელიგიურ ზეცაში აწყო ფრენა, ფილოსოფიურ აქსიომატიკას სურს დაამტკიცოს, რომ ფილოსოფიას შეუძლია დაუბრუნდეს თავის უძველეს საშოს და ყველა პრობლემა მოაგვაროს იმ საერთო მეთოდის საშუალებით, რომელიც სათავეა სპეკულაციისა, ე. ი. რაციონალური შემეცნების ყველა დასაბუთებისათვის.

ამრიგად, საგანი რომ დიალექტურია ეს არის ფენომენი. დიალექტიკური საზრისის ენტიფიკატური გაგება კი ნიშნავს საგნის ფენომენში ორი ნაწილის გარჩევას, აქსიოლექტურისა და აქსიომატურის. აქსიოლექტური იძლევა პასუხს კითხვაზე: რა არის შემეცნების საგანი, შემეცნების საგანია ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს როგორც გადაულახავი სხვაობის კოეფიციენტი აზრსა და არსს შორის. შემეცნების საგანი მოითხოვს, რათა იყოს ის რეალობა, რომლის შემეცნებას აზრი გულისხმობს, მაგრამ თვით შემეცნება ემყარება საფუძველს, რომ შემეცნება ფაქტის სახით აშენებული საგანი არ უნდა იყოს არსის უშუალო მონაწილე რეალობა. სადაც ასეთი წინააღმდეგობა არ არის იქ არც შემეცნებაა და ცხადია, არც მის საგანზე

შეიძლება იყოს ლაპარაკი. ე. ი. აქსიოლექტიკით აღმოჩნდება, რომ შემეცნების საგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. თეორიულ შემეცნებას წინააღმდეგობის აღმოჩენით, რასაკვირველია, დაკმაყოფილება არ შეუძლია. მან წინააღმდეგობა უნდა გამორიცხოს. ეს კი აქსიომატიკის საქმეა. საკითხი, რასაც აქსიომატიკის კონტექსტში შემეცნების საგნის პრობლემა წამოაყენებს, იქნება ასეთი: თუ შემეცნების საგანი წინააღმდეგობის დემონსტრაციაა, მაშინ რაღას ემყარება შემეცნების შესაძლებლობა?

აქსიომატური პასუხი ძალიან ნათელია: შემეცნების შესაძლებლობა ჭეშმარიტების მიღწევას არ ნიშნავს, არამედ საგნის ისეთ კონკრეტ რეალიზაციას, რომლის პრაქტიკული განხორციელებისათვის აზრსა და არსს შორის არსებული სხვაობის კოეფიციენტი უნდა მოიხსნას და შემეცნების საგანი რეალ საგანს დაემსგავსოს.

შემეცნება თეორიული ძიების დროს ჭეშმარიტებას კი არ დაეძებს, არამედ თავის პრაქტიკას ამართლებს. შემეცნების პრაქტიკის ასეთი თუ ისეთი გამართლება არის მეცნიერების ეს თუ ის დარგი, ამიტომ შემეცნების საგნის სანიმუშო რეალიზაციას შემეცნების პრაქტიკის მიხედვით აშენებული მეცნირება იძლევა, ე. ი. შემეცნების საგნის ასეთი სარეალიზაციო სფერო არის აქსიომატიურად შენებული მეცნიერება, თანამედროვე მეცნიერებათა შორის, რასაკვირველია, მათემატიკა და მისი მონათესავე ბუნებათმეცნიერება აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას. აქ და მხოლოდ აქ შემეცნება ჰპოულობს თავის საგანს და, ფილოსოფიური აქსიომატიკის დახმარებით აქცევს რეალი საგნის წარმომადგენლობად, რითაც ცხადია, ფენომენით აღნუსხული წინააღმდეგობა დაძლეულია და პრაქტიკულად შემეცნების საგნად რეალურად არსებული საგანია გამოცხადებული. პრაქტიკა ამართლებს თეორიას.

თ. ჯ ა ნ დ ი ე რ ი.

# მაწვნის ბიოლოგიური პირობების შესახებ.

(რძის მეურნეობის ლაბორატორიიდან. გამგე პროფ. ი. ჯ ა ნ დ ი ე რ ი).

ცნობათა ის გაურკვევლობა, წინააღმდეგობა და არევ-დარევა, რომელიც არსებობს რძის-მჟავა დუღილის გამომწვევთა შესახებ, კარგად ცნობილია ყველა მათთვის, ვისაც ცოტად თუ ბევრად საქმე ჰქონია მეცნიერების ამ დარგთან. ის გარემოება, რომ არ არსებობს დადებითი ცნობები რძის-მჟავა ბაქტერიების მორფოლოგიურ და ბიოლოგიურ თავისებურებათა შესახებ, დღევანდელ მკვლევარს აყენებს მძიმე მდგომარეობაში. ცნობილი მეცნიერები (Leichmann, Weigmann, Kuntze, Düggeli, Emmerling და სხვ.) ვარდებოდენ წინააღმდეგობაში, როდესაც ისინი არა-ერთხელ აღწერდენ ხოლმე ერთსა და იმავე რძის მჟავა მიკრობს, როგორც სხვადასხვა დამოუკიდებელ სახეს და არქმევდენ მათ სხვადასხვა სახელს, რაც კიდევ უფრო ართულებდა საკითხს. ეს გაურკვევლობა და წინააღმდეგობა განსაკუთრებით მაშინ ემჩნევა, როდესაც გამოკვლევის საგნად, ერთდროულად რამდენიმე ბაქტერიის მოქმედების ქვეშ მყოფი რძის პროდუქტი არის. ასე რომ დღემდის საბოლოოდ არ არის გამოკვლეული, თუ სახელდობრ რომელი მიკროორგანიზმები ასრულებენ ძირითად როლს ისეთი პროდუქტების მიღების საქმეში, როგორიც არის მაგალითად: კეფირი, კუმისი, დონის მჟავე რძე, აირანი და სხვ. გამოკვლევები მათზე გრძელდება კიდევ და მიმართულია იმ მხრივ, რომ გამოყოფილ იქმნას უფრო აქტიური სახეები და საერთოდ, ნათელყოფილ იქმნას მათი რიცხვი და ბუნება.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი შეეხება მაწონსაც, რომელიც ამ ჩვენი გამოკვლევის საგანს შეადგენს.

მაწონი წარმოადგენს, განსაკუთრებული მიკროორგანიზმების გავლენით დამჟავებულ რძეს (ძროხისას, ფურ-კამეჩისას, ცხვრისას, თხისას). მაწონი მზადდება იმავე წესით, როგორც საერთოდ მაწვნის მსგავსი პროდუქტები, სახელდობრ: რძეს დედად უმატებენ უკვე დამზადებული მაწვნის განსაზღვრულ რაოდენობას. საქართველოს ზოგიერთ სოფელში გავრცელებულია პირველადი დედის მისაღებად შემდეგი წესი: ადუღებულ და შემდეგ შენელებულ რძეში აგდებენ ვერცხლის აბაზიანს და ამ გზით მიღებულ დედას ხმარობენ შემდეგში რძის შესადედებლად. ეს ფაქტი გარკვევით გვეუბნება იმის შესახებ, რომ გარშემო იმყოფება საკმაო რაოდენობა მაწვნის გამომწვევი მიკროორგანიზმებისა.

მაწვნის დამზადების უფრო პოპულარული წესი ასეთია: რძეს ადუღებენ აცლიან შენელებას თიხის ჭურჭელში იმ დრომდე, სანამ შიგ ჩაყოფილი თითი გარკვეულად სითბოს გრძნობს (40—45°C.), უმატებენ რძეში კარგად გაქნილ დედას (რომ შეკრული ნაწილები არ იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში რძე არ შედედდება თანაბრად). ჭურჭელს შეახვევენ და სდგამენ სითბოში, ზამთარში— ცეცხლის ახლოს, ზაფხულში კი პირდაპირ ოთახში. ოთხი საათის შემდეგ რძე დედდება; შედედების ხანა დამოკიდებულია რძის სიწმინდეზე, ტემპერატურაზე, როგორც დედის შეტანის დროს, აგრეთვე თვით შედედების პროცესის მიმდინარეობის დროს. რამდენადაც ყველა დანარჩენი პირობები ერთნაირია, იმდენად უფრო ჩქარა მიმდინარეობს პროცესი და მით უფრო მჟავე პროდუქტს ვღებულობთ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა. როდესაც რძე შედედდება, ქილას რამდენიმე საათით, გადაიტანენ ხოლმე ცივ ადგილას რათა მაწონი მომწიფდეს და გამაგრდეს, რის შემდეგაც პროდუქტი საბოლოოდ დამზადებულად ითვლება.

მაწონი საზრდო მასალაა ამიერ კავკასიის მცხოვრებთა ფართო მასებისათვის, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში. საქართველოში იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც არ ამზადებდენ მაწონს. ასევე ფართოდ არის გავრცელებული მაწვნის ამა თუ იმ გადამუშავებით მიღებული პროდუქტები. მისგან ამზადებენ პირველყოვლისა პრიმიტიული წესით სოფლურ კარაქს: ხის პატარა კოდს, რომელიც ორივე ყურით ჩამობმულია ჭერზე, ასხამენ მაწონს, ხურავენ; ორსავე ბოლოში დგებიან ქალები და რითმიული ბიძგებით დღვებავენ კარაქს[1]. დოდან, რომელიც კარაქის შედღვების შემდეგ რჩება, აკეთებენ დომხალს, რომელსაც სომხეთში „თან"-ს (*Թան*) უწოდებენ. გამომშრალი დომხალი, მაგარი ნატეხების სახით ინახება ზამთრისათვის, ან მიაქვთ ქალაქში, როგორც მაგალითად, ტფილისში, სადაც ულარიბესი მოსახლეობა ხსნის მას წყალში და ამზადებს მისგან რძისმაგვარ სასმელს, ან კიდევ უმატებენ მწვანილს და აკეთებენ შეჭამადს. არა ნაკლებ გავრცელებულია ქალაქებში მთებიდან ჩამოტანილი გაწურული მაწონი, რომელსაც დიდი სიმჟავიანობა ახასიათებს.

ზემოთთქმული სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ: საწინააღმდეგო შედეგები, რომლებსაც აღწევდენ მაწვნის ფლორის სხვადასხვა მკვლევარები, არის შედეგი, როგორც თვით მაწვნის, აგრეთვე მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქტების სხვადასხვა გვარობისა. გერმანელი ბაქტერიოლოგები ანალიზს უკეთებდენ, ასე ვთქვათ, არა მომწიფებულს, საჭმელად გამზადებულ მაწონს, არამედ გაცილებით დიდი დაგვიანებით; ანდა იკვლევდენ არა მაწონს, არამედ მაწვნის სახელით მის მოდიფიკაციას. გადავიდეთ მის შესწავლის მოკლე ისტორიაზე.

გამოკვლევები მაწონზე წარმოებდა გერმანიაში. ნიმუშები, რომლებიც გერმანიაში მოხვდა, გატანილი იყო სომხეთიდან ორ სხვადასხვა პერიოდში. 1897—98 წლებში ქალანთარის მიერ და 1906—1907 წლებში ერთი ნიმუში იმავე ქალანთარის, ხოლო მეორე — ციურიხის სომეხ სტუდენტის მიერ

[1]) აჭარაში ამ სადედებლის მაგივრად კარაქს დღვებავენ უფრო უბრალოდ: ამჟავებული რძის ნალების ზედაპირზე უშუალოდ ურტყამენ ხელის გულს.

რომელმაც ნამდვილი მაწონი თავის ოჯახიდან გაიწერა. ამ გარემოებით უნდა ავხსნათ გერმანელი მეცნიერების აზრი, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ მაწონი არის სპეციფიური სომხური პროდუქტი. ნაშრომები, რომლებიც ეხებიან ამ საკითხს გამოქვეყნებულია შემდეგი სათაურით: „Ueber armenisches Mazun[1]". Bakteriologische Untersuchungen über des armenische Mazun[2]. მათი ტერმინოლოგია აჭრელებულია სომხური სახელებით: „Mazun", „than", tschorthan" (მაწუნ, თან, ჩორთან) და სხვა. პროფ. მ ა კ რ ი ნ ო ვ ი[3], რომელიც, ჩანს, სარგებლობდა აძ მეცნიერთა ნაშრომებით, თავის წიგნში „Молоко и молочное дело" ამბობს: „მაწონი მზადდება დასავლეთ აზიაში, კავკასიაში და განსაკუთრებით სომხეთში". მაშინ, როდესაც მაწვნის ხმარება ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო სომხეთში, არამედ აზერბეიჯანში და განსაკუთრებით კი საქართველოში. ქვემოთ, როდესაც დაგვჭირდება მითითება მკვლევართა ნაშრომებზე, ჩვენ პარალელურად მოვიყვანთ ადგილობრივ—ქართულ სახელწოდებასაც. ამრიგად, ის პირველი ნიმუში მაწვნისა, რომელიც—ა. ქალანთარის წყალობით მოხვდა ევროპაში და რომელიც გამოკვლევის საგანი გახდა, იყო არა ნამდვილი მაწონი, არამედ მისი ნაწარმოები, სახელდობრ,—ხაჭოს ნაჭრები, „დომხალი" „თანი" („than"). იგი გამოიკვლია 1898 წ. O. Emmerlingმა[4]; უფრო გვიან—ა. ქ ა ლ ა ნ თ ა რ მ ა[5] პროფ. ლ ი ნ დ ნ ე რ ი ს ხელმძღვანელობის ქვეშ; პროფ. Weigmannის[6] აზრით, ამავე ნატეხის ნაწილი მოხვდა მის ლაბორატორიაში, და იყო გამოკვლეული ასისტენტ Dr. Gruberის მიერ[7].

ამ მკვლევართა დასკვნები ასეთია: Emmerlingმა გამოყო დიდი რაოდენობა საფუარების შეღებილი და შეუღებავი სახეებისა. Oidium lactis, ზოგიერთი ობები, თივის ჩხირები, Micrococcus, რომელიც რძეს ადედებს და ჟელატინზე აჩენს პირბადისებურ სიმღვრივესა და Acidi lactici Hueppeს. ამის გარდა, მან დაინახა მიკროსკოპში გრძელი ჩხირი, მაგრამ მისი გამოყოფა ვერ მოახერხა. ქალანთარმა გამოყო ორი ბაცილა, ორი Micrococcusი დიდი და პატარა, Oidium lactis, Mucor, Aspergillus და დიდი რაოდენობა საფუარებისა. Gruberმა გამოყო: ერთი ობი, Oidium lactis, ორი ჟელატინის გამთხელებელი micrococcusი, ბევრი საფუარები, რომელთა შორის სამი სახე უფრო მეტად გავრცელებულია, და ამათ გარდა, წინა ავტორების მიერ შეუმჩნეველი, მაგრამ მისი

---

1) E m m e r l i n g, O., Centralblatt für Bakt. etc. Abt. II. Bd. IV 1898, p. 418; Dr. H. W e i g m a n n, G r u b e r, H u s s. Centrablatt für Bakt. etc. XIX Bd. Abt. II 1907 p. 70.

2) D ü g g e l i, M. Centralblatt für Bakt. etc. Abt. II Bd. XV 1906 p. 577.

3) Проф. И. А. М а к р и н о в Молоко и молочное дело. 1924 г. стр. 417.

4) E m m e r l i n g, O., Ueber armenisches Mazun. Centralblatt für Bakt. etc. Abt. II. Bd. IV 1898 p. 418.

5) K a l a n t h a r, Ueber die Spaltung von Polysacchariden durch verschiedene Hefeenzyme-Berlin 1898.

6) D ü g g e l i, M. Centralblatt für Bakt. etc. abt. II Bd. XV. 1906 p. 577.

7) W e i g m a n n, Gruber, Huss. Centralblatt für Bakter. etc. abt. II Bd. XIX 1907 p. 70.

აზრით ადვილად გამოსაყოფი, სპორების გამჩენი, წვრილი, გრძელი ჩხირი, რომელსაც შემდეგში დაერქვა „Bacillus Mazun"[1].

1905 წელს Dr. Max. Düggeliმ[2] გ ა მ ო ი კ ვ ლ ი ა მაწვნის ორი ნიმუში: ერთი გადასცა მას ციურიხის სტუდენტმა სომეხმა, რომლის ოჯახშიაც მომზადებული იყო მაწონი, მეორე კი მიიღო მან სტამბოლიდან. თავის გამოკვლევების შემდეგ მაწვნის უმთავრეს შემადგენელ ნაწილად სთვლის საფუარებს „Mazun-hefle", შემდეგ რძის-მჟავა გრძელ ჩხირსა და ჩვეულებრივ რძის-მჟავა ჩხირს—Bacterium Güntheri L. და N. (Streptococcus lacticus Kruse). Düggeliს ნაშრომის გამოსვლის ცოტა ადრე, Weigmannმა ხელახლად მიიღო ბაქოდან მაწვნის ორი ნიმუში: ერთი—სარძეედან, მეორე—სოფლიდან. ორივე ნიმუშის ფლორა ერთგვარი აღმოჩნდა, სახელდობრ: 1) Bacillus Mazun, 2) საფუარებში, რომლებიდანაც ერთი სახე აძლევდა რძეს ეთერისებურ არომატიულ სუნს, 3) ძლიერი დამჟანგველი რძის-მჟავა ჩხირი, 4) Oidium lactis, 5) Streptococcus lacticus; მხოლოდ უკანასკნელი რძეს არ ადედებდა.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ 1898 და 1906 წლის ნიმუშებს არაფერი საერთო არ ჰქონიათ ურთიერთშორის: ერთ შემთხვევაში ისინჯებოდა არა მაწონი, არამედ ხაჭოს ნატეხი („თან"ი, დოშხალი[3]) და ისიც მეტად უსუფთაო, რაც იქიდან ჩანს, რომ ანალიზის დროს მკვლევარის მიერ აღმოჩენილი იყო დიდი რაოდენობა ობისა,—მეორე შემთხვევაში, როგორც ჩანს, გაისინჯა მაწვნის უფრო მსგავსი პროდუქტი და ამიტომ ბუნებრივიც იყო, რომ მასში ფლორის ნაკლები სხვადასხვაგვარობა აღმოჩნდა. Weigmannისა და Düggeliს 1905—7 წლის ნაშრომები უდაოდ ძირითადი და პირველია მაწვნის შესწავლაში.

ამისთვის საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ დასახელებულ ავტორების ნაშრომთა დასკვნები. პროფ. Weigmanni სწერს: Mazunის არსებით შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს არა მარტო საფუარები და რძის შაქრის დამშლელი ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიები, არამედ კიდევ Bacillus Mazun; აგრეთვე შესაძლებელია მაწვნის მომზადებაში მნიშვნელობა ჰქონდეს Oidium lactis[4]. Dr. Max Düggeli სწერს: 1. ტიპიურ სომხურ მაწონში არის შემდეგი სამი მიკროორგანიზმი: საფუარები, ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიები და Bacterium Güntheri L. და N-ის მსგავსი ორგანიზმები. 2. იზოლაცია ქმნილი საფუარები ადუღებენ ლაქტოზას წმინდა კულტურებში და ჰქმნიან სიმჟავეებს, სპირტსა და არომატულ ნივთიერებებს, ალბათ ცხიმ-ეთეროვანი რიგისას. რძის მჟავა ბაქტერიები კი, რძის შაქრიდან, სიმჟავის საკმაო დიდ რაოდენობას აჩენენ,

---

1) W e i g m a n n, C r u b e r, H u s s a g გვერდი 71.

2) D ü g g e l i, M., Bakter. Untersuchungen über das armenische Mazun. Centralblatt für Bakt. etc. Abt. II Bd. XV 1906 p. 577.

3) სულხან საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში „დო"ს ასე განმარტავს: „მაწვნის ნათქვეფი.—სომხურად თ ა ნ, თათრულად ა ი რ ა ნ". თვით მაწონს კი ასე: „წველა, სომხურად მ ა წ უ ნ (მ ა კ ა რ ტ უ ნ), თათრულად ყათუღ (იოღურთ)". [ა. შ.]

4) იხილეთ ზევით დასახელებული ნაშრომები: Weigmann, Gruber, Huss, გვერდი 86.

განსაკუთრებით დიდ მოქმედებას იჩენენ გრძელი ჩხირები, რომლებიც 30°-ზე იმდენ სიმჟავეს აჩენენ, რომ პროდუქტი საჭმელად უვარგისი ხდება, 3) პროდუქტი არ გამოდის დადებითი, თუ ერთი სამ მიკროორგანიზმთაგანი არ ღებულობს მონაწილეობას მაწვნის მომზადების პროცესში. მაინც, ყველაზე უფრო ნაკლებ უარყოფითს გავლენას ახდენს მოკლე რძის-მჟავა ჩხირების არ ყოფნა. 4) ბიოლოგიის მხრივ Mazuno დგას იმავე რიგში, როგორც კეფირი, Sauerteig, Käsereisaur და სხ., რადგანაც აქაც გვაქვს შეერთებული მოქმედება საფუარებისა მჟავის ძლიერ წარმომშობლებთან. აქ არ არის სიმბიოზი, რადგანაც თითოეული მიკროორგანიზმი ცალკე მოქმედებს ისე, როგორც სხვებთან შეერთებულად. 5) ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიების მოკლე ხნის მოქმედებით გაჩენილი სიმჟავე, ჰაერიდან რძეში ჩაცვივნულ მიკროორგანიზმებს განვითარების საშუალებას უსპობს, ისე, როგორც ადუღების შემდეგ, რძეში დარჩენილ ბაქტერიების განვითარებას [1].

სანამ ჩვენ გამოკვლევების მოთხრობას შევუდგებოდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა მუშაობა შესრულებულია საქართველოს ცენტრში, ტფილისში, სადაც მაწონი და მისი ნაწარმოები შემოდის სოფლებიდან, და აგრეთვე თითქმის ყოველ ოჯახში მაწონი მზადდება შინაური საშუალებით. დაკვირვებანი გრძელდებოდა თითქმის ერთი წლის განმავლობაში. აღებული იყო ამგვარი ნიმუში: შინაური საშუალებით მომზადებული მაწვნიდან, სარძევეებიდან და უმთავრესად სოფლებიდან, რადგანაც ჩვენი აზრით მაწვნის სამშობლო არის არა ქალაქი, არამედ სოფელი, სადაც იგი დიდ უმეტეს შემთხვევაში არა ჰიგიენურ პირობებში მზადდება. მუშაობის მიმდინარეობის წესი ჩვენი გამოკვლევების დროს შემდეგი იყო: ა) მოცემული ნიმუშიდან დამოუკიდებლად აღებული სინჯი მიკროსკოპის ქვეშ ისინჯებოდა. ბ) გამოიყოფოდა და ნაწილდებოდა კლასებად წმინდა კულტურები. გ) გამოყოფილი წმინდა კულტურებიდან მზადდებოდა დედა რძის შესადედებლად.

რომ უფრო ადვილი შეიქმნეს დალაგება, ჩვენი გამოკვლევა წლის ორ მთავარ პერიოდად გავყავით. გამოკვლევას ვაწარმოებდით 10 სექტემბრიდან 20 იანვრამდე და 26 თებერვლიდან ივლისის დამლევამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თებერვლის თვის დამლევიდან იწყება მაწვნის სეზონი, ე. ი. ამ დრომდის შედარებით შეჩერებული შემოზიდვა მაწვნისა ძლიერდება და გლეხები ასობით ეშვებიან მთიდან, სოფლებიდან და თვითეულს თავისი ვირებით მოაქვს დღეში 30 ქილამდე მაწონი. პირველ პერიოდში გამოკვლეული იყო მაწვნის 14 ნიმუში: 8 სოფლიდან, 4 ქალაქ ტფილისის სხვადასხვა საკანდიტროდან აღებული და 2 შინ მომზადებული. გამოკვლევათა შედეგი მოყვანილია I ცხრილში.

[1]) იხილეთ ზემოდასახელებული ნაშრომი M. Düggeliსა.

ცხრილი I.

მაწვნიდან გამოყოფილი კულტურები.

| სინჯის №№ რიგზე | წარმოშობა | საფუარი | ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიები | რძის-მჟავა კოკ-ბაქტე-რიები | დანარჩენი კულტურები | ნიშნების ახსნა (მნიშვნელობა) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფლიდან | a. b. | Körnchenbacterium | a. | 1. Oidium lactis 2. წვრილი გრამ უარყოფითი ჩხირები, რომლებიც არ ადედებენ რძეს. | საფუარებისათვის<br>a) —გვარი Torula, გამომწვევი რძეში გამრავლების დროს სპირტ-ეთეროვანი არომატისა. უფრო ვრცლად იხილეთ 176 გვერდზე. |
| 2 | | a. c. | Körnchenbacterium | a. | — — — — — — — — — — | b—Torula, ბურთისებური კოლონიები, ბრწყინვალე, ნოყიერი, ადუღებენ ლაქტოზას. |
| 3 | | a.b c. | 1.Körnchenbacterium 2. Bacterium Bulgaricum | b. a. | 1. კოკები, გრამ-დადებითი აჩენენ აგარზე ვარდისფერ კოლონიებს. | c—სიფრიფანიანი საფუარები, ადუღებენ ლაქტოზას. |
| 4 | | | Körnchenbacterium | a. | — — — — — — — — — — | d—Saccharomyces, არ ადუღებს ლაქტოზას. |
| 5 | | — — | Körnchenbacterium | b—რძე არ შეადედა. | — — — — — — — — — — | კოკ-ბაქტერიებისათვის: |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | a. c. | Körnchenbacterium | c. | Bacillus mesentericus vulgatus. | a – Bacterium lactis acidi Leichmani |
| 7 | | c. d. | Körnchenbacterium | a. | — — — — — — — — — — — | დიპლოკოკური განწყობით. |
| 8 | | — — | Körnchenbacterium | a. | Bacillus subtilis | b—Bacterium lactis acidi Leichmani |
| 9 | საკანდიტრ. | a. b. | Körnchenbacterium | c. | Oidium lactis | სტრეპტოკოკური განწყობით. |
| 10 | | a.b.c. | Körnchenbacterium | | — — — — — — — — — — — | c—განიწყობიან, ხოლმე, უფრო კოკებად, ვიდრე დიპლოკოკებად, წარმომადგენლები არიან რძის-მჟავა ცრუ ბაქტერიებისა. |
| 11 | | a. | Körnchenbacterium | c. | წვრილი გრამ-დადებით ჩხირები, რძეს არ ადედებენ. | |
| 12 | | — — | 1.Körnchenbacterium | a. | Bacillus subtilis | |
| 13 | შინაური | a. | 1.Körnchenbacterium<br>2. Bacterium Bulgaricum | a. | | |
| 14 | | a, c. | Körnchenbacterium | a. | კოკები ჟელატინის გამთხელებელი | |

14 ნიმუშიდან 11-ში იყო აღმოჩენილი შემდეგი საერთო მიკროორგანიზმები: 1. საფუარები, 2. ჩხირისებური რძისმჟავა ბაქტერია, რომელიც Methylenblau-ღ შეღებვის დროს იძლევა ინტენსიურად შეღებილ მარცვლებს, ჩვენ მიერ Körnchenbacterium-ად ცნობილი და 3. დიპლოკოკები, რომლებიც ხ-ნდახან განიწყობიან ხოლმე დიპლო-სტრეპტოკოკების სახით. მხოლოდ სამ ნიმუშში—14-იდან—საფუარები არ აღმოჩნდა. საერთო ყველა 14 ნიმუშისათვის Körnchenbacterium-ი აღმოჩნდა.

მეორე პერიოდში იყო გამოკვლეული 12 ნიმუში, რომლის შედეგიც მოყვანილია ქვემოთ (ცხრილი II).

ცხრილი II.

| ნიმუშების №№ | წარმოშობა | საფუარები | ჩხირისებური რძისმჟავა ბაქტერიები | რძის მჟავა კოკ.-ბაქტერიები | დანარჩენი კულტ. | ნიშნების მნიშვნელობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფლიდან | — | Körnchenbacterium | a. | — | |
| 2 | | — | 1. Körnchenbacterium 2. Bacterium Bulgaricum | a. | — | |
| 3 | | | Körnchenbacterium | b. | Bacillus subtilis | იხილე ცხრილი I |
| 4 | | — | Körnchenbacterium | a. | — | |
| 5 | | — | Körnchenbacterium | a. | — | |
| 6 | „ | — | Körnchenbacterium | b. | — | |
| 7 | შინაური | | Körnchenbacterium | | — | |
| 8 | | — | Körnchenbacterium | a. | — | |
| 9 | „ | — | Körnchenbacterium | a. | — | |
| 10 | საკანდიტერ. | b | Körnchenbacterium | c. | — | |
| 11 | | — | Bacterium Bulgaricum | | Oidium lactis | |
| 12 | | — | Körnchenbacterium | a. | — | |

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოხდა შემდეგი ცვლილებები: 1. იკლო „დანარჩენმა კულტურებმა" და 2. მოხდა საფუარების მ ა ს ი უ რ ი დ ა კ ა რ გ ვ ა (იხ. სურ. (1).

შინაური მაწვნის მე-7-ე ნომერ სინჯში, რომელშიდაც ნახული იყო ერთი სახე საფუარისა, გამომწვევი წმინდა კულტურებში ძლიერ სპირტ-ეთეროვან არომატისას, ჩვენ გამოვიკვლიეთ, რომ ამ მაწვნის პირველადი დედა ყოფილა სმეტანა.

ამ გარემოებამ დაგვიბადა აზრი, გამოგვეკვლია საფუარების წარმოშობა ასეთ მაწონში. მოვახდინეთ ანალიზი სმეტანის ოთხი სხვადასხვა ნიმუშისა. სამ მათგანში ვნახეთ სწორედ სპირტ-ეთეროვანი არომატის გამომწვევი საფუარები, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება ხოლმე მაწონში. I და II ცხრილში მოყვანილი ცნობების ძალით ჩვენ მივედით იმ დასკვნამდი, რომ საფუარები არ შეიძლება ჩაითვალონ ტიპიურ და აუცილებელ რეაგენტებად მაწვნის მომზადებაში და მართლაც ეს მოსაზრება გაამართლა შემდეგმა ჩვენმა ცდებმა. საფუარების დიდ რაოდენობას ჩვენი პირველი პერიოდის დაკვირვებებში და სხვა მკვლევართა მიერ გამოკვლეულ ნიმუშებში ჩვენ ვხსნით შემდეგი გარემოებით: რადგანაც ამ პერიოდში შესაძლებლად ხმარობენ ერთ პირველდაწყებით დედიდან წარმოშობილ მასალას და მას ყოველ დღე იმეორებენ, იგი ჭუჭყიანდება და ჰაერიდან შემთხვევით ჩაცვივნული ბაქტერიების განვითარებისათვის ხელსაყრელ არედ ხდება, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, საფუარებს არა ნაკლები ადგილი უჭირავთ. გაზაფხულზე კი, დიდ უმეტეს შემთხვევაში, ამზადებენ ახალ დედას, რადგან დიდი რაოდენობა სოფლებისა ზამთრის განმავლობაში სრულებით თავს ანებებს მაწვნის მომზადებას, ან რძის უქონლობის გამო, ან კიდევ იმის გამო, რომ პირდაპირ რძედ გასაღებას ამჯობინებენ. იმ დროს უკვე დედად ხმარობენ ან თვით შედედებულ, ან „აბაზიანის“ საშველებით შედედებულ რძეს.

ერთი სიტყვით, დედა თითქოს ახლდება და ბუნებრივად შესაძლებელია, რომ საფუარების რაოდენობა მინიმუმამდე მცირდება. ქალანთარმა გამოჰყო მაწვნიდან საფუარების 9 სახე, მათგან მხოლოდ სამს აქვს ლაქტოზის ადუღების უნარი და ამიტომ მხოლოდ მათ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მაწვნის მომზადებაში. ემერლინგმა საფუარების შეფერილი სახეებიც კი შეამჩნია დამახასიათებელი ჰაეროვანი ფლორისათვის, ვეიგმანმა—მრავალი საფუარი და განსაკუთრებით ხშირად სამი სახე. Düggeli აღწერს საფუარების მხოლოდ ერთ სახეს, როგორც ერთად-ერთს რძეზე გავლენის მქონეს. ჩვენ მიერ ადგილობრივი რძის პროდუქტების გამოკვლევათა დროს, როგორც მაგალითად, რძე, სმეტანა, კეფირი, ყველები, ყველგან გვხვდებოდენ საფუარები, რა თქმა უნდა, ანალოგიური მაწვნიდან გამოყოფილ საფუარებისა.

იმავ I და II ცხრილის ცნობების მიხედვით ქრება პროფ. ვეიგმანის აზრი მაწვნის მომზადებაზე Oidium lactis მნიშვნელობის შესახებ.

ჩვენ მიერ მიღებულმა ცნობებმა (იხილეთ ზემომოყვანილი ცხრილები) გამოიწვიეს საკითხის დეტალურად შესწავლის საჭიროება. დავიწყოთ გრძელი რძის-მჟავა ჩხირების განხილვიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა უკანასკნელი ცნობებისა Bacterium Bulgaricumისა და Körnchenbacteriumის შესახებ გამოხატავენ აზრს ამ ორი ბაქტერიის იგივეობისას და Körnchenbacteriumი ითვლება Bacterium Bulgaricumის სახესხვაობად. Körnchenbacteriumის დამახასიათებელი თვისება, სახელდობრ ისეთი წერტილების გაჩენა, რომლებიც ინტენსიურად ილებებიან, ტიპიურად ითვლება აგრეთვე Bac. Bulgaricumისათვისაც. თუმცა გარდაქმნა ისეთი ბაქტერიებისა, რომლებიც მარცვლებს არ შეიცავენ, მარცვლებიან ბაქტერიებად არაოდეს ჩვენ მიერ შემჩნეული არ ყოფილა. ჩვენ დასკვნებს,

ამ მხრივ ადასტურებს Dr. Iulius Kleebergის გამოკვლევები[1], მაგრამ რადგანაც ჩვენს გამოკვლევებში გარდა ამისა შემჩნეული იყო სხვა განსხვავებანი, რომლებსაც მტკიცედ ინარჩუნებენ ორივე ბაქტერიები და იმ ფაქტმა, რომ Körnchenbacteriumი შეგვხვდა 25 სინჯში 26-იდან და Bact. Bulgaricumი 26 სინჯიდან მხოლოდ ოთხში, გვაიძულა, ეს ორი მიკრობი ცალ-ცალკე აგვეწერა.

Körnchenbacteriumი (იხ. ნახ. 2 და 3) წარმოადგენს გრძელ ჩხირს და იცვლის თავის ფორმას საკვები არეს მიხედვით. თუ ავიღებთ მას უშუალოდ მაწვნიდან სხვა მიკროორგანიზმებთან ერთად და დავაკვირდებით, ენახავთ, რომ იგი წარმოადგენს ტიპიურ ჩხირს, ხანდახან ოდნავ ოდრიკალივით მოღუნულს, სიგრძით—2—10 μ, სიგანით—0,6—0,9 μ. პერიოდულად, ყოველდღიურ გადათესვის დროს რძეზე (უკვე წმინდა კულტურა), სიგრძე იმატებს და ხანდახან 50 μ აღწევს (მიკროს. გადიდება 1000), სიგანე კი შედარებით მუდმივი რჩება. ყოველ შემთხვევაში, რძეში ის აშკარად ინარჩუნებს ნაპირებმორგვალებული ჩხირის ფორმას, დანარჩენს, როგორც თხელსა ისე განსაკუთრებით მაგარ არეებში კი იღებს საკვირველ ფორმებს: ხან დახლართული ძაფები ხვეულად იკრიბებიან და ზოგჯერ ძაფების ბოლოებში ან შუაში კოლბისებურ გაფართოებებს ღებულობენ, რომლებიც ძალიან ხშირად არ ეტევიან ხოლმე მხედველობის არეში, ხან ღებულობენ მსხვილი ჩხირების ფორმას გათხელებული ნაპირებით. ეს ჩხირი იშვიათად გვხვდება შეერთებული ჯაჭვის სახით. ჯაჭვის ფორმას ღებულობს უმთავრეს ნაწილად მაშინ, როდესაც ბაქტერია გაწეულია სიგრძეზე და აღწევს 100—150 μ. ამ დროს ემჩნევა აგრეთვე ორიდან ოთხამდი გადაპერილი ადგილები. რძის ნაცხების Methylenblauთ შეღებვის დროს ჩხირში ნათლად, გარკვევით მოჩანს შეღებილ მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობა, უფრო ინტენსიურად, ვიდრე თვით ჩხირი. იმისდამიხედვით, თუ რა სიგრძისაა ჩხირი, მარცვალი გვხვდება 2-დან-10-ამდი და მეტიც (ფორმა ამ მარცვლებისა მაწონში არის წერტილისებური) ხანდახან, ჩხირის წმინდა კულტურის მაღალ t°-ზე გამრავლების დროს ძაფები ძალიან იმატებენ სიგრძეზე (მიკროსკ. გადიდება 1000), მარცვლები კი ოვალურ არსებათა მსგავსად ძევს თითქოს ბუდეში შეხვეულად, მათი სიფართე უდრის 0,6 μ და სიგრძე 0,8 μ. რძეში მრავლების დროს, ჩხირი საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებს თავის თვისებას — მარცვლისას. ინტენსიური შეღებვა (საინტერესოა, რომ სხვა არეში გამრავლების დროს, გარდა რძისა, ეს ჩხირი, თითქმის ყოველთვის, იღებება თანაბრად და მარცვლოვნობა აღარ ემჩნევა). ასე მაგალითად, ჩვენი ცდების დროს ერთ ჩხირს მხოლოდ 4 თვის შემდეგ შევამჩნიეთ შესუსტება ამ თვისებისა (ამ დროს, გადათესვა ხდებოდა არა რეგულარულად, ტემპერატურული პირობები არ იყო თანაბარი, რაც უფრო მეტად ასუსტებდა კულტურას, და დრო ორ უკანასკნელ გადათესვათა შორის უდრიდა 15 დღეს): ერთდღიან კულტურაში კიდევ ემჩნეოდა შეფერილი მარცვლები, ორდღიანში უმეტესობა ჩხირების მარცვლებისა გაქრა, სამდღიანში—მხოლოდ ზოგიერთებშიღა ემჩნეოდა. პროფ. მ ა კ რ ი ნ ო ვ ი ამ ჩხირს Bacterium Bulgaricumის იდენტიურად სთვლის და ამბობს: „შესაძლებე-

[1]) Centralblatt f. Bacter. Abt. II, Bd. 72, 1927 S. 2.

ლია ბოლგარულ ჩხირებში ხელოვნურად გამოვიწვიოთ გამოჩენა ისეთი წერტილებისა, რომლებიც უფრო ინტენსიურად იღებება, მაგალითად, ხანგრძლივი გაჩერებით (2-3 კვირამდი) ერთსა და იმავე არეში გადაუთესველად და დაბალ ტემპერატურაზე; ეს წერტილები ახალ არეში გადათესვის დროს ქრება და მიკრობი იღებება ერთფეროვნად“ [1]. ჩვენს ცდებში კი სწორედ საწინააღმდეგო მოვლენას ჰქონდა ადგილი: სამკვირიან კულტურებს—რძეში, რომლებიც გავაჩერეთ საცივარში $9^0$—C ტემპერატურაზე, შეფერილ მარცვლების მოცემის უნარი უსუსტდებოდათ. ახალ საკვებ არეში გადათესვის დროს ისევ ხელახლა ჩნდებოდა წერტილების ინტენსიური შეფერვა.

ამასთან ერთდროულად, იმავ პირობებში იყო ჩაყენებული Bacterium Bulgaricumი, რომელიც მაწვნიდან იყო გამოყოფილი და პიგმენტაციას არ იძლეოდა. ეს ჩხირი იღებებოდა ერთგვარად, როგორც სამი კვირის შემდეგ, ისე ამ ხნის განვლის შემდეგ, ახალ რძეზე გადათესვისას (ამ ჩხირის მორფოლოგიური აღწერა იხილეთ ქვემოთ). ამ გვარად, Körnchenbacteriumში მარცვლების გამოჩენა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოვლენა გამოწვეული სასიცოცხლო ფუნქციების შემცირებით, პირიქით ის ახასიათებს ახალგაზრდა, სიცოცხლის უნარმქონე ჩხირებს.

Körnchenbacteriumის მოძრაობა და სპორების გაჩენა არასოდეს არ ყოფილა შემჩნეული. იღებება იგი კარგად, როგორც ჩვეულებრივ ანალიზის საღებავებით, აგეთვე Grammით გამოვეყოფდით ხოლმე მას რძის-შრატ-პეპტონიან აგარზე დათესვით. გაზრდილი კოლონიები, გადათესვის დროს რძეზე ხშირად არ ვითარდებიან ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგი ცდების დროსაც წმინდა კულტურები Körnchenbacteriumის მაგარ სუბსტრატზე გადათესვის შემდეგ, ისევ რძეზე გადათესილი აღარ ვითარდებოდენ. ამ ჩხირების განვითარებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 40—$45^0$-C უდრის. $23^0$-C-ზე რძე შეადედა სამი დღის შემდეგ. მაგარ საკვებ არეზე-კი ამავე $t^0$-ზე ზრდა სრულებით არ იყო შემჩნეული. მაქსიმალური $t^0$ —$65^0$—$70^0$ შუაა. ასე, რომ Körnchenbacterium ეკუთვნის თერმოფილურ ბაქტერიებს. ჟანგბადის მიმართ ისინი ფაკულტატიური ანაერობები არიან. შეგუება Körnchenbacteriumისა სხვადასხვა არეებისადმი შემდეგია: ჟელატინისებურ არეებზე (როგორც მაგალითად: ხორც-პეპტონიანი, ხორც-პეპტონიანი + 1% ლაქტოზა, რძის-შრატიანი, რძის შრატ-პეპტონიანი, არე Cohendy + 15% ჟელატინი) $22^0$-ზე-C-სის ზრდა არ შეჰმჩნევია. ხორც-პეპტონიან არეებზე $38^0$-ზე, აგარზე და ბულიონზე შემდეგი რეზულტატები მივიღეთ: 1) ხორც-პეპტონიანი ბულიონი ბაქტერიების შეტანის 24 საათის შემდეგ რჩება გამჭვირვალე, ძირზე ძლივს ემჩნევა თხელი ფენა ნალექისა, რომელიც შენძრევის დროს ოდნავ იხსნება და ბულიონს თითქმის არ ამღვრევს. 48 საათის შემდეგ არეს ძალიან სუსტი სიმღვრივე ეტყობა. მიკროსკოპში მოჩანს სწორტანიანი, ოდნავ ოდრიკალისებურად მოხრილი ჩხირები 4-15 μ სიგრძით და 0,7 μ სიგანით. Methilenblau ღებავს მათ თითქმის ერთფერად, წერტილების შემჩნევა მოხერხდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში და ისიც ბუნდოვნად. 2) ხორც-პეპტონიან აგარზე „პე-

---

[1]) Проф. Макринов. Молоко и молочное дело, 1924, стр. 78.

ტრის" ფინჯანში ზრდა არ მომხდარა, კოლონიები არ შეგვიმჩნევია. შ ტ რ ი-ხ უ ლ ა დ დათესვის დროს საშინჯ შუშაში 24 საათის შემდეგ გამოჩნდა პირბადისებური ოდნავ შესამჩნევი ფენა თითქოს უსწორმასწორო წერტილებით დაფარული და ნაპირი ფენისა ლუპითაც-კი ოდნავ შესამჩნევი გაბნეული კოლონიებით.

48 საათის შემდეგაც ცვლილება თითქმის არ მომხდარა, ისეთივე გაურკვეველი სურათი მიკროსკოპში—დახლართული ძაფები კოლბისებური გაფართოებებით ძაფის სიგრძეზე, რომელიც სიგრძით 225 μ აღწევს 2-3 გაწვრილებული-გადაჭირებული ადგილებით. ხორც-პეპტონიანმა არემ 1% ლაქტოზის მიმატებით საუკეთესო შედეგი მოგვცა: ეს ბულიონიც 24 საათის შემდეგ გამჭვირვალე იყო, მაგრამ ნალექი იყო ორჯერ მეტი, ვიდრე ულაქტოზო არეში. 48 საათის შემდეგ თითქმის იგივე სურათი გვქონდა: შენძრევით ბულიონი შესამჩნევად იმღვრეოდა მასში გახსნილი ნალექით. მიკროსკოპში ხანდახან წყვილ-წყვილად შეერთებული ჩხირები სიგრძით მერყეობენ 4-დან 30 μ-დე, სიგანით 0,7 μ—08 μ. იგივე აგარის არემ მოგვცა ცალკე კოლონიები 24 საათის შემდეგ ოდნავ შესამჩნევი წერტილების სახით, 48 საათის შემდეგ საკმაო სიდიდისა—0,1 mm—0,4 mm—ბურთისებური, მოთეთრო ფერისა. მიკროსკოპში იხედება როგორც ხვეული დახლართული ძაფებისა. შტრიხი 24 საათის შემდეგ სუსტად ბრწყინავს ფიფქის სახით; სინათლეზე მტრედისფერ-ნაცარა ელფერით. 48 საათის შემდეგ შტრიხის ნაპირებმა მიიღო, უბრალო თვალით შესამჩნევი, მოყვითალო ელფერი. სიფართე ნაპირებისა 0,4 m/m, სიფართე შტრიხის 4m/m; ლუპით ემჩნევა ნაპირების მცირე ტალღისებურება.

რძისშრატიანი არე: ბულიონი 24 საათის შემდეგ ცოტათი აიმღვრა, ძირზე ემჩნეოდა მცირე მკვრივი ნალექი—48 საათის შემდეგ ასეთივე სურათი დარჩა. მიკროსკოპში მოჩანან მოკლე და გრძელი ჩხირები 3-დან 15 μ. მოკლე ჩხირები ეწყობიან თითო-თითოდ, გრძელები—ხანდახან წყვილ-წყვილად, ხშირად სხვადასხვა სისქისანი არიან სიგრძეზე. სისქე მათი ცვალებადობს 0,7 μ—0,8 μდე. აგარზე: ცალკე კოლონიები 24 საათის შემდეგ კიდევ სუსტად ჩანან, ფორმით ბურთისებური, ოდნავ მბრწყინავი დიამეტრი მათი 0,2 m/mს უდრის. 48 საათის შემდეგ კოლონიები გარკვეულად მოჩანან, სიდიდით 0,4—0,5 m/m აღწევენ. ელფერი მტრედისფერ-ნაცარა. უკვე უბრალო თვალითაც ემჩნევა, რომ კოლონიების სტრუქტურა ერთგვარი არ არის, ქრება ბურთისებურობა და კოლონიები ეწყობა გროვებად. ლუპით შუაგულში იხედება უფრო მკვრივი და სტრუქტურის. მიხედვით ერთგვარი წრე, რომელიც შემოფარგლულია უფრო ნათელი (ღია) ფერის რგოლით, დაგლეჯილი, კულულისებური, თხელ-ბუმბლოვანი ოდნავ შემკვრივებული ნაპირებით. რგოლის სიფართე, დაახლო-ვებით, წრის დიამეტრს უდრის. მიკროსკოპში—იგივე სურათი, როგორიც 24 საათის შემდეგ: გადახლართული, დაკლაკნილი ძაფები, რომლებიც სჭრიან მთელ მხედველობის არეს. შტრიხი აგარზე ოდნავ ბრწყინვალე ტრედისფერ-ნაცარა, გარკვეული, შემდგარი თითქმის შეუერთებელი ცალკე კოლონიებიდან, რომელიც არ აძლევს შტრიხს ერთგვაროვან სახეს, და ჰქმნის მას დასერილს წვრილ ბორცვოვანს. ნაპირზე ეტყობა ზოლი, რომელიც ფერითა და ბრწყინვალებით ოდნავ განსხვავდება ფონისაგან. 48 საათის შემდეგ ის აშკარად ირჩევა შტრიხის ნაცარა-ტრედისფერ შუაგულიდან.

რძისშრატიანი არე პეპტონით იძლევა იმავე ეფექტს, როგორიც უპეპტონოდ, განსხვავება თუ არის, ისიც მხოლოდ კოლონიებისა და მათი სტრუქტურის რელიეფობაში: აგარზე კოლონიები აღწევენ სიდიდით 0,4—0,5 μ. უპეპტონო არეზე კი—0,3—0,4 μ. ყველაზე კარგ არედ Körnchenbacteriumის გასავითარებლად, რძის გარდა, Cohendyს არე აღმოჩნდა. ბულიონზე განვითარდა დიდი სიმღვრივე, ნალექი იყო ისე, როგორც წინამავალ არეებში: თხელი და მკვრივი, მაგრამ მეტი რაოდენობით. მიკროსკოპში სხვადასხვანაირი ფორმები, სიგრძე 2—8 μ, სიფართე 0,9—1,3 μ. ცალკე კოლონიები აგარზე 24 საათის შემდეგ „მუქი" ტრედისფერ-ნაცარა, გარკვეული გროვები, რომელთა დიამეტრი 48 საათის შემდეგ 1,5—2m/mს აღწევს. მათ აქვთ მკვრივი გაცილებით დიდი ბნელი, რგვალი ცენტრი, შემოფარგლული ტრედისფერ-ნაცარა, ნათელი ეზოთი, რომელსაც აქვს მოთეთრო, ოდნავ ბრწყინვალე ამობურცული ზოლი, ზემოდან თითქოს შ ე ქ ყ ლ ე ტ ი ლ ი. კოლონიების ფორმა სხვადასხვანაირია: ხან აქვთ დაკბილული ნაპირები, ხან სამთათიანი ფოთლის სახე, დაკბილული ვარსკვლავის სახე და სხვა. როგორც ჩანს, რძე საუკეთესო არეა Körnchenbacteriumის გასავითარებლად. ყველაზე უფრო დიდ ხანს ის მხოლოდ ამ არეში ძლებს. ინვოლუციური ფორმები და ბაქტერიის სიგრძეზე კოლბისებური უთანასწორო გაფართოებები აქ არ ემჩნევა. ტემპერატურისა და არეში დაგროვილ სიმჟავის გავლენით ხდება მხოლოდ შემცირება ან მომატება სიგძისა და სიგანისა. ნორმალური სიგრძე ამ მიკრობისა, როდესაც ის ვითარდება რძეში 37°-C—უდრის 2—8 μ, სიგანე—0,7 μ.

ამ ბაქტერიების ზეგავლენით რძე დედდება 37°c-ზე 11—13 საათის განმავლობაში. შედედებული მასსა მკვრივია, ერთგვარი, არ გამოჰყოფს შრატს, არ აჩენს გაზებს და ასეთივედ რჩება,—არ განიცდის არავითარ შესამჩნევ ცვლილებას. მატება სიმჟავისა Körnchenbacteriumის ზეგავლენით ნაჩვენებია მე-III ცხრილში.

ცხრილი III.

37°c-ზე სიმჟავის მატება რძეში Körnchenbacteriumის ზეგავლენით.

| დრო ანალიზებს შორის საათობით. | სიმჟავიანობა Thörnerით | შეხედულება და ცვალებადობა რძისა. | შ ე ნ ი შ ვ ნ ა. |
|---|---|---|---|
| 0 | 21,8 | საკონტროლო უცვლელადაა. | 1. 250 კუბ. სან. სტერელიზაცია-ქმნილ რძეს მიუმატეთ ორი ნასკვი ერთდღიანი Körnchenbacteriumის კულტურა. |
| 3 | 22,5 | | |
| 6 | 25,0 | | |
| 9 | 30,0 | | |
| 12 | 43,0 | დაიწყო შედედება ქვემოდან, ზედაპირი არ აქვს. მკვრივი შედედებული მასსა შემაგრებულია. | 2. სხვაობა სიმჟავიანობის გრადუსებისა საკონტროლო კოლბაში ცდის დაწყებისა და დაბოლოებისას შესაძლებელია გამოწვეული იყოს აორთქლებით. |
| 18 | 65,0 | | |
| 24 | 87,0 | | |
| 30 | 98,0 | | |
| 48 | 125,0 | | |
| 72 | 150,0 | შრატის გამოყოფა დაიწყო. | |
| 96 | 165,0 | | |
| 120 | 165,0 | | |
| 216 | 165,0 | | |
| საკონტროლო | 21,0 | უცვლელად არის. | |

დიაგრამა № 1-ზე გამოხატულია სიმჟავის გაჩენის მრუდე, შედგენილი მე-III ცხრილში მოცემული ცნობების მიხედვით:




დიაგრამა № 1.
მატება სიმჟავიანობის Körnchenbacterium-ის ზეგავლენით.

მასშტაბი: $1 \, m/m = 1°$; $1 \, m/m = 2°$.

ამ მრუდიდან გარკვეულად ჩანს სიმჟავიანობის ნელი მატება—0—9 საათ. (30°), რაც უდრის ინკუბაციურ პერიოდს. შემდეგ მრუდე აკეთებს ნახტომს და 24 საათის შემდეგ აღწევს 87°-ს და ისევ თანდათანობით მიდის და ასე 165°-დე, ამ სიმაღლეზე იგი რჩება განუსაზღვრელად დიდხანს. Körnchenbacteriumის შეგუება სხვადასხვა შაქრების მიმართ ნაჩვენებია მე-IV ცხრილში.

ცხრილი IV.

Körnchenbacteriumის შეგუება სხვადასხვა შაქრების მიმართ.

| №№ რიგზე. | ხორც-პეპტონიანი ბულიონი. | სიმჟავიანობა Thörnerის გრადუსებით. 24 საათ. შემდეგ. | 48 საათ. შემდეგ. | ზრდის ხასიათი 48 საათის შემდეგ. | შეფასება ხუთ ბალიანი სისტ. 5—ოპ. ზრდისა—0. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1% ლაქტოზა . | 22° | 40° | არე ოდნავ მღვრივეა, ნალექი მკვრივ ფენად ძევს. შემძრევის დროს ძლიერი სიმღვრივე ჩნდება. | 4 |
| 2 | 1% დექსტროზა . | 14° | 28° | არე ძლიერ მღვრივეა, საკმაო დიდი და მღვრივე ნალექით. | 5 |
| 3 | 1% ლევულოზა . | 14° | 22° | როგორც პირველი შემთხვევა. | 4 |
| 4 | 1% გალაქტოზა . | 13° | 16° | არე გამჭვირვალეა უმნიშვნელო ნალექით. | 3 |
| 5 | 1% სახაროზა . | 11° | 14° | არე თითქმის გამჭვირვალეა, ნალექი მცირეა. | 2 |
| 6 | 1% მალტოზა . | 10° | 10° | არე გამჭვირვალეა. მცირე ოდენი-ოდნავ შესამჩნევი ნალექი, შემძრევისას სუსტად ამღვრევს ბულიონს. | 1 |
| 7 | უშაქროდ. მაგრამ დათესვა წარმოებულია | 10° | 10° | როგორც მე-6 შემთხვევაში. | 1 |
| 8 | საკონტროლო, ბულიონი უშაქროდ, დათესვა არ წარმოებულა. | 10° | 10° | არც ნალექი, არც სიმღვრივე. | 0 |

ცხრილიდან ჩანს, რომ უმეტესი დუღილი ლაქტოზის მიმატებით იყო გამოწვეული. დუღილი არ იყო მალტოზის დროს, თუმცა ზრდა მაინც მოხდა. მაგრამ ზრდა მოხდა მაშინაც, როდესაც ხორც-პეპტონიან ბულიონს შაქარი სრულებით არ ჰქონდა მიმატებული. ბალებით შეფასება მაჩვენებელია ინტენსიური ზრდისა, რომელსაც ჩვენ ვარკვევდით ნალექის ოდენობითა და სიმღვრივის სისქით.

რძეზე გამრავლებული, Bacterim Bulgaricum, სამ-ოთხ რგოლიან ჯაჭვად შეერთებულ ჩხირს წარმოადგენს—სიგრძით 2-10μ. ზოგჯერ სიგრძე მთელი ჯაჭვის 70μ აღწევს და შედგება .ერთი მეორეზე მჭიდროდ მიწყობილ, მოკლე—სიგრძით 1,5-5μ-დი ჩხირებისაგან ბლაგვი, მოუმრგვალებელი ნაპირებით. მაგრამ ასეთი დიდი გაგრძელება, შედარებით იშვიათად გვხვდება. სიფართე რგოლებისა მერყეობს 0,8—1,3μ. შუა.

მაგარ საკვებ არეზე (რძის-შრატიანი, ხორც-პეპტონიანი) ჩხირები ძლიერ ინეოლუციას განიცდიან: იღებენ დაკლაკნილ სახეს, ან ქმნიან გამობერილ ადგილებს „ბისკვიტისებური“ ფორმისას, ან ერთდებიან ძეწკვად, რომელიც შედგება არათანასწორი ნაწილებისაგან. სიდიდე მათი შემდეგია: სიფართე 1,5μ—1,8μ, სიგრძე—2-20μ. მიკროსკოპში გვაგონებს Körnchenbacteriumიან რძის ნაცხებს, მაგრამ თუ ყურადღებით დავაჩერდებით, ცალკე ბაქტერიები გვეჩვენებიან უფრო მოკლედ და გრძლად. მარცვლები, რომლებიც ასე დამახასიათებელია Körnchenbacteriumისათვის, აქ შემჩნეული არ ყოფილან—(როგორც ზემოთ უკვე მოხსენებული იყო, გვ. 167). ჩვენ ცდებში, Bacterium Bulgaricum ისევე უპასუხებს t-$^0$ს, როგორც დაახლოვებით Körnchenbacteriumი ე. ი. ოპტომალური t-$^0$ 40$^0$—45-$^0$C.

საკვებ არეზე Bacterium Bulgaricumის ზრდა თუმცა დიდად არა, მაგრამ მაინც განსხვავდება Körnchenbacteriumის ზრდისაგან. ჟელატინისებურ არეებში ზრდა არ მოხდა. თხელ არეებში, როგორც მაგალითად: ხორც - პეპტონიანი, ხორც-პეპტონიანი+1$^0/_0$ ლაქტოზა, რძის-შრატიანი, რძის-შრატ-პეპტონიანი, Cohendyს ბულიონი, ზრდა ხდება ყველგან ენერგიულად. ბევრი ფთილისებური ნალექის გამოყოფითა და მღვრიე არით (გარდა პირველი არისა—უნახშირწყლო, სადაც იყო ძალიან მცირე რაოდენობა ფთილისებური ნალექისა). შემძრევისას ფთილები დიდხანს ცურავენ, სანამ გადნებოდენ. თუ მივიღებთ მხედველობაში ნალექის ოდენობასა და სიმღვრივეს, საუკეთესო არე ზრდისათვის ყოფილა: Cohendyის არე, შემდეგ რძის-შრატიანი არე, და დაბოლოს ხორც-პეპტონიანი. მიკროსკოპიული სახე შემდეგნაირია: ხორც პეპტონიან არეში ინდივიდუუმი არ აღმოჩენილა, ამავე არეზე+1$^0/_0$ ლაქტოზა—მოკლე ჩხირებში უთანასწოროდ გამობერილი ადგილებით, უფრო კი ხშირად ჯაჭვები უთანაბარო წვრილი კრიალოსნებით. ცალკე ჩხირები სიგრძით 22,5μ, სიფართით—0,8μ არიან. რძის-შრატიან თხელ არეზე ნაკლებია რაოდენობა უთანასწორო ჩხირებისა, ისინი მეტად არიან სწორნი, აგრეთვე ჯაჭვები 5-6 რგოლიანი, თითო რგოლი სიგრძით 2-3μ. Cohendyის არეზე ჩხირები სწორია, ეწყობიან ჯაჭვებად (5-6 რგოლით), თითოეული რგოლის სიგრძე 2—4μია, სიფართე—0,85μ. თუ შევადარებთ Körnchenbacterium კულტურის მიკროსკოპიულ სურათს, ნათლად დავინახავთ მიდრეკილობას ჯაჭვებად დალაგებისას, და თვით ჩხირებიც უფრო მოკლეები არიან. მაგარ არეებზე Bacterium Bulgaricumმა მოგვცა ზრდის კარგი შედეგები ყველა ჩვენ მიერ ნაცად არეებზე Körnchenbacteriumის ანალოგიურად. უკეთესი ზრდა ხდება Cohendyს არეზე, შემდეგ რძის-შრატ-პეპტონიან, რძის-შრატიან, ხორც-პეპტონიან+1$^0/_0$ ლაქტოზა და დაბოლოს ხორც-პეპტონიან არეზე. კოლონიები იზრდებიან ნაცრისფერ ფიფქისებურ ფენებად დახლართულ პრტყლად მდებარე ბანდის სახით; ძაფები აშკარად მოჩანან ლუპით, 24

საათის შემდეგ და იზრდებიან ყოველ მხარეზე, იხვევიან და იხლართებიან, ცენტრში —ხშირად, ნაპირებზე—დაფანტულად.

ხშირი ნათესის დროს, ძაფები ცალკე კოლონიებისა შეერთებული არიან ერთი მეორესთან, აჩენენ განუწყვეტელ ფიფქისებურ ფენებს, გამკვირვებებით და




მასშტაბი: { ჰორიზონტალისათვის—1 m/m=1 საათს. ვერტიკალისათვის —1 m/m=4°

დიაგრამა № 2.

მატება სიმჟავიანობისა Bacterium Bulgaricumის ზეგავლენით.

უფრო ძლიერი ნაცრის ფერით კოლონიების ცენტრებში. სიდიდე მათი (დატოტვების ჩათვლით)—0,8m/m—1,3m/m უდრის გარდიგარდმოდ. შტრიხი 48 საათის შემდეგ იზრდება პრტყელი ზოლის სახით, წარმომდგარი ცალკე კოლონიების შეერთებისაგან, რომლებიც არ ქმნიან განსაკუთრებულ სტრუქტურას: ნაპირებზე დატოტვილი ძაფები შეუმჩნევლად გადადიან არეში, და არ ქმნიან აშკარა საზღვარს მასასა და შტრიხს შორის. ეს გარემოება განასხვავებს მას Körnchenbacteriumისგან, სადაც ეს გადასვლა უფრო აშკარაა, ზოლის დატყობის გამო. მიკროსკოპში ემჩნევა ინვოლუციონური ძაფები, რომლებიც აჩენენ ძაფებს, და ეს ძაფები არ იწევიან სიგრძეზე, როგორც Körnchenbacteriumის შემთხვევაში—სიგრძე უფრო ხშირად 4-20μ აღწევდა. ხორც-პეპტონიან აგარზე იყო ნახული ერთი ჩხირი 75μ. (Körnchenbacterium ანალოგიურ არეზე გაიწია სიგრძეზე 225μ.) სიფართე ჩხირების-0,8—1,5μ. რძეში Bacterium Bulgaricum აჩენს ძლიერ სიმჟავიანობას, 24 საათის შემდეგ ეს სიმჟავიანობა 150°-ზე მეტს აღწევს Thörnerით. მიღებული შედედებული მასსა მკვრივი და მაგარია. შედედება ხდება 12-14 საათის განმავლობაში 37°C.-ზე. არავითარი შესამჩნევი ცვლილება, დროის განმავლობაში, შედედებულ რძეში არ ხდება, გარდა გამსჭვირვალე შრატის გამოყოფისა, რომელიც ხანდახან მოჩანს კიდევ 24 საათიან კულტურებში ვიწრო ზოლის სახით.

მრუდე სიმჟავიანობის მატებისა Bacterium Bulgaricumის ზეგავლენით ნაჩვენებია № 2 დიაგრამაში.

ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 12 საათის განმავლობაში (Körnchenbacteriumს) და მატება სიმჟავიანობისა უფრო დიდია ვიდრე Körnchenbacterium. პასუხი Bact. Bulgaricumისა შაქრების მიმართ ნაჩვენებია ცხრილ მე V-ში.

ცხრილი მე-V.

Bacterium Bulgaricumის შეგუება სხვადასხვა შაქრების მიმართ.

| №№ რიგზე | ხორც-პეპტონიანი ბულიონი+1% შაქრები | სიმჟავიანობა Thörnerის გრადუსებში: 24 საათის შემდეგ | სიმჟავიანობა Thörnerის გრადუსებში: 48 საათის შემდეგ | ზრდის ხასიათი 24 საათის შემდეგ | შედედება ხვედ-ძალიანი სისტ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1% ლაქტოზა . | 12° | 15° | არეს ოდნავ ემჩნევა სიმღვრივე. ნალექი ფაშარი, უმნიშვნელო. | 3 |
| 2 | 1% დექსტროზა . | 16° | 34° | არე მღვრიეა, ნალექი ბლომადაა, ძევს მკვრივად, შენძრევის დროს ძალიან ამღვრევს ბულიონს. . . . . . . . | 4 |
| 3 | 1% ლევულოზა . . | 14° | 16° | ნალექი თხელი, უმნიშვნელო ფთილები. . . . . . | 3 |
| 4 | 1% გალაქტოზა . | 19° | 32° | ნალექი ბევრია, სიმღვრივე დიდი, ნალექი ფთილისებური. . . | 5 |
| 5 | 1% სახაროზა . | 10° | 10° | არე გამჭვირვალე, არ არის ნალექი. . . . . . . | 0 |
| 6 | 1% მალტოზა . | 14°-11° | 15°-12° | ნალექი უმნიშვნელო ბამბისებური. . . | 3,2 |
| 7 | უშაქრო, მაგრამ კულტურა მიმატებული . . | 10° | 10° | როგორც მეხუთე შემთხ. . | 0 |
| 8 | საკონტროლო უშაქრო და კულტურა არ არის შეტან. | 10° | 10° | ნალექი და სიმღვრივე არ არის. | 0 |

ამგვარად, Körnchenbacteriumთან შედარებით, ჩვენ ვამჩნევთ ზოგიერთ ცვლილებებს. ასე მაგალითად, ლაქტოზა დუღდებოდა უფრო ნაკლებ ენერგიულად, საუკეთესო დუღილი ჰქონდა გალაქტოზას, მალტოზამ განმეორებითი ცდების დროს მოგვცა სხვა შედეგები, ვიდრე პირველად—მაგრამ დუღილი მოხდა ორსავე შემთხვევაში. სახაროზამ კი დუღილი არ გამოიწვია.

ამ რიგად, ჩვენ გავსინჯეთ მორფოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებანი Körnchenbacteriumისა და Bact. Bulgaricumისა, ვნახეთ მათ შორის განსხვავებანი რომლებიც მტკიცედ თანსდევენ თითოეულ ბაქტერიათაგანს და გამოიხატება შემდეგში:

1. Kürnchenbacterium რძეში გამრავლების დროს აჩენს მარცვლებს, რომლებიც ნათლად გამოჩანან ნაცხების Methilenblauთ შეღებვის დროს. Bact. Bulgaricumს, ჩვენ ცდებში არ ახასიათებდა ასეთი თავისებურება და არც არავითარი საშუალებით არ მოხერხდა მისგან ამ თვისების შეძენა.

2. Körnchenbacteriumი იზრდება განკერძოებული ჩხირების სახით, რომლებიც ადვილად გრძელდებიან, სიგრძეზე. ძალიან იშვიათად აჩენს არა უმეტეს 2-3 რგოლიან ჯაჭვს. Bact. Bulgaricum იზრდება ჩხირებისაგან შემდგარი მოკლე და გრძელი ჯაჭვების სახით, და თუ ამა თუ იმ პირობების ზეგავლენით მოხდება ბაქტერიების გაგრძელება, მაშინ უმეტეს შემთხვევაში იმატებს სიგრძეზე თვით ჯაჭვი ე. ი. რგოლების რიცხვი და არა თვით რგოლები.

3. Körnchenbacteriumის კოლონიები უფრო მცირეებია: 24 საათის შემდეგ ოდნავ გამოზნექილი წერტილების სახით, არედან გამიჯნულნი, არ ჰქმნიან კოლონიიდან გამოსულ ძაფებს, აქვთ მიდრეკილება გააჩინონ სტრუქტურა შიგნით, აქვთ ზოლი, თუმცა არა აშკარად, მაგრამ მაინც (Bact. Bulgaricumის საწინააღმდეგო) ემჩნევა გაჩენა კოლონიის გადახლართული ძაფების დატოტვილი გროვებისა.

4. სიმჟავის გაჩენა Körchenbacteriumისა და Bact. Blg.ის მიერ ერთნაირი არაა, ე. ი. მაქსიმალური რაოდენობა სიმჟავისა Bact. Blg.ის მიერ ერთნაირი არაა, ე. ი. მაქსიმალური რაოდენობა სიმჟავისა Bact. Blg.ის შემთხვევაში გაცილებით მეტია, ინკუბაციის პერიოდი უფრო მოკლე აქვს Körnchenbacteriumს—9ს. 12 საათის მაგივრად, როგორც ეს Bact. Blg.ს ახასიათებს, ბაქტერიების მიერ სიმჟავიანობის გაჩენის ზეგავლენით მიღებული, შედედებული მასსა. Bact. Blg.ს მაგარი და მკვრივი აქვს.

5. ზრდა თხელ საკვებ არეებზე, როგორც არიან: ხორც-პეპტონიანი და რძის-შრატიანი, გვეჩვენა მცირე. Körnchenbacteriumს ჰქონდა მკვრივი ნალექი, Bact. Bulgaricumს უფრო ფაშარი და ფთილისებური.

ყველა ზემომოყვანილმა შედეგებმა გვაიძულეს ჩვენ გაგვეთიშა, გამოგვეყო ეს ორი ჩხირი ერთი მეორესაგან.

ყოველ შემთხვევაში, კიდეც რომ ჩავთვალოთ Körnchenbacteriumი Bact. Bulgaricumის სახესხვაობად, მაინც ამ სახესხვაობას უკვე მოუპოვებია კლიმატიური პირობების ზეგავლენით, თავისი თავისებურებანი, როგორც მორფოლოგიური, აგრეთვე ბიოლოგიური.—როგორც ქვემოთ ვამტკიცებთ, ჩვენ მიერ გამოყოფილ Bact. Bulgaricumიდან მაწვნის მიღება ჩვენ ვერ მოვახერხეთ. როგორც ზემოთ

იყო აღნიშნული, გარდა ჩხირისებურ რძის-მჟავა ბაქტერიებისა მაწონში გვხვდება (ყველა სინჯში) რძის-მჟავა კოკო-ბაქტერიების წარმომადგენელნი.

მათგან უმეტესობა ეკუთვნის ნამდვილ რძის-მჟავა ბაქტერიებს, რომლებიც იძლევიან მათთვის ტიპიური სიმჟავის წარმოშობის მრუდეს. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ მიერ იყო მაწვნიდან გამოყოფილი „ცრუ" რძის-მჟავა ბაქტერიები. დიაგრამა № 3-ზე გამოხატულია სიმჟავის წარმოშობის მრუდეები კოკო-ბაქტერიის სამი წარმომადგენლისა.

მრუდე a—სახესხვაობა Bacterium lactis acidi Leichmani გაეწყობა ხოლმე ძალიან გრძელ დიპლო-სტრეპტოკოკების სახით, მდრუდე b (იხ. დიპლოკოკების სურ.)—კოკების ტიპიური განწყობით Güntherys ფორმის დიპლო-კოკების სახით და მრუდე c—იძლევა სიმჟავიანობის მატებას მაწვნიდან გამოყოფილ ცრუ რძის მჟავა ბაქტერიების ზეგავლენით.

**საფუარები:** მაწონში ყველაზე უფრო ხშირად ვპოულობთ საფუარების სამ სახეს—a, b, c (ცხრილი I), რომლებიც Torulaს სახეს ეკუთვნიან. რძეში ჩათესილი მხოლოდ ერთი სახე—a 37°c-ზე ახდენდა შესაჩნევ ცვლილებებს მასში, ამიტომ, მხოლოდ ის იყო ჩვენ მიერ უფრო ახლოს შესწავლილი. დანარჩენი ორი სახე საფუარებისა, რომლებიც რძეზე არ ახდენენ გავლენას, დაწვრილებით არ იყვნენ განხილულნი. ზრდა a საფუარისა საკვებ არეებზე შემდეგი იყო:




დიაგრამა № 3.

მასშტაბი: { 1 საათ.=1m/m.
1°. =6,5m/m.

მაგარ არეებზე (ხორც-პეპტონიანზე, ხორც-პეპტონიან+1% ლაქტოზა, რძის-შრატიან, რძის-შრატ-პეპტონიანზე ისინი იზრდებიან მსხვილის, გამოზნექილის, ნოყიერის ოდნავ ბრწყინავის ცენტრში მეტად მკვრივი კოლონიების სახით. ხორც-პეპტონიან არეებზე—ყვითელი ელფერით, შრატიანებზე თეთრ-ნაცრის ფერი ელფერით. კოლონიები სიდიდით ერთნაირები არ არიან და 48 საათიან კულტურებში მერყეობენ 0,5—2m/m. შტრიხი ბრჭყვიალა-მსუქანი, გამოზნექილი, სწორი - ოდნავ ბრწყინვალე ნაპირებით.

ზრდა ჩაჩხვლეტით ყველა არეებზე ერთნაირია: ნაჩხვლეტის გასწვრივ თანაზომით გვერდებზე გამოუბერავად ამავე, მაგრამ ჟელატინიან არეებზე ზრდა

შენელებულია (ოთახის ტემპერატურა) და კოლონიები არც ისე მსხვილებია, თუმცა თავის სახესა და ფორმას ინარჩუნებენ. ხორც-პეპტონიან და რძე-შრატიან თხელ არეებზე ბულიონი გამჭვირვალეა, ძირზე ნალექი საკმაო მკვრივეია, ტალღისებურად ამოდის ზევით და ამღვრევს ბულიონს განძრევის დროს. თუ არეში შაქარიც არის, სიმღვრივესთან ერთად ამოდიან მრავალი ბუშტები ჰაირისა. შემდეგი ცხრილი გვაჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს „a“ საფუარი სხვადასხვა შაქრებზე.

ცხრილი მე-VI

a საფუარის მოქმედება შაქრებზე.

| შაქრების დასახელება | +=დუღილი—არ დუღილი. |
|---|---|
| სახაროზა . . | + |
| გალაქტოზა . . | + |
| ლევულოზა . | + |
| ლაქტოზა . | + |
| მალტოზა . . | — |
| დექსტროზა . . | + |

მაშასადამე, ამ შაქრებიდან მხოლოდ ერთი მალტოზა არ განიცდის დუღილს.

მაწვნიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმების მოკლე აღწერის შემდეგ, ჩვენ გადავალთ წმინდა კულტურებით მაწვნის ხელოვნურად მომზადებაზე. საჭიროა წინასწარ ცდების საშუალებით გამოვიკვლიოთ სახელდობრ, რომელი მიკროორგანიზმია აუცილებელი მისი მომზადებისათვის. პრინციპი როგორც ამისა, ისე ყველა შემდეგი მსგავსი ცდებისა, შემდეგში მდგომარეობდა: მაწვნიდან გამოყოფილ ამათუ იმ წმინდა კულტურის სტერილიზაციაქმნილ რძეში შეტანით მზადდებოდა დედები, ეს საშინჯი შუშები—(მასრები) (15 კუბ. ს. რძისა) იდგმებოდა თერმოსტატში 15 საათით, რის შემდეგაც ამ დედას უმატებდით ჩვეულებრივ რძეს, რომელიც ადუღებული და შენელებული იყო ამა თუ იმ (ცდის მიხედვით) ტემპერატურამდი. ჩვეულებრივად, 200 კუბ. ს. რძისა ისხმებოდა თიხის ქილაში, მას ურევდით და თან ემატებოდით 3 პროცენტი დედა, რომელიც თავის მხრივ გაქნილი იყო რძის მცირე რაოდენობაში, რომ თავიდან აშორებული ყოფილიყო ცალკე კუმშა-კუმშა ადგილების მიღება, როგორც ამის შესახებ მოთხრობილი გვქონდა ზევით (158 გვერდზე). შესადედებლად ქილები იდგმებოდა თერმოსტატში ამა თუ იმ $t^0$-ზე. შედედების—გამაგრების შემდეგ (მოსამწიფებლად) ქილები გადაგვქონდა საცივარში 7-9$^0$c. მიღებული პროდუქტის დეგუსტაცია, უფრო ხშირად, მეორე დღეს ხდებოდა ე. ი. დედის მიმატებიდან 24 საათის შემდეგ. ყველა ცდაში, საცდელ ქილებთან ერთად იდგმებოდა საკონტროლო

ქილაც მოდუღებული და შენელებული რძით. ცდა ითვლებოდა ჩატარებულად მხოლოდ მაშინ, როდესაც ცდის დაბოლოებისას საკონტროლო ქილის რძეს, ისეთი დიდი ცვლილება არ ემჩნეოდა, რომელსაც შეეძლო ემოქმედა თვით ცდაზე. პირველი ცდის ჩასატარებლად, 5 მასრას სტერილიზაციაქმნილი რძით მიუმატეთ წმინდა და შერეული კულტურები შემდეგი წესით: I. Kōrnchenbacterium, II. Kōrnchenbacterium+Bacterium lactis acidi Leichmani, III. Kōrnchenbacterium+საფუარი „a", IV. Kōrnchenbacterium+ საფუარი „a"+Bact. lactis acidi Leichmani. V. საკონტროლოს მიმატებული ჰქონდა ერთი ნასკვი თავის შემადგენლობაში საფუარის არა მქონე, ბაზრის მაწვნისა.

ამ დედების სამი პროცენტი მიმატებული ჰქონდა 10 ქილა რძეს (ორ ქილას ერთი დედა) 30$^{0}$c-მდე შენელებულსა და თერმოსტატში 40$^{0}$c დადგმულს. ხუთი ქილა იყო ნიმუშების ასაღებად სიმჟავიანობის გამოსაკვლევად (ყოველ ნახევარ საათში), დანარჩენი 5, შედედების შემდეგ უნდა შედგმულიყო საცივარში და მეორე დღეს დაჰაშნიკებულიყო (дегустация). ცხრილი მე-VII გვიჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობდა ცდა.

ცხრილი VII

| გამოკვლევების დრო: საათი, | წუთი | სიმჟავიანობის გრადუსები Thörnerით I | II | III | IV | V | საკონტროლო (რძე) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | Körnchen-bacterium | Körnchen-bac.+Bact. lac. acidi Leichmani | Körncheub.+Bact. lac. acid. Leichmani+საფუარი „a" | Körnchenb.+საფუარი „a" | მაწონით | |
| 0 | — | 21° | 22° | 21° | 21° | 23° | 20° |
| — | 30 | 21° | 24,5° | 24° | 25° | 27° | 20° |
| 1 | — | 23° | | 26° | 26,50 | 29° | 20° |
| 1 | 30 | | 37° | 38° | 28° | 46° | 21° |
| 2 | — | 27° | 58° | 55° | 31° | 61° | 21° |
| 2 | 30 | 28° | 65° | 65° | 33° | 73° | 20° |
| 3 | — | 30° | — | — | — | — | 21° |
| 3 | 30 | 32° | — | — | 36° | — | 21° |
| 4 | — | 35° | — | — | 41° | — | 21° |
| 4 | 30 | 36° | — | — | 48° | — | |
| 5 | — | 37° | — | — | 60° | — | — |
| 24 | — | 161° | 100° | 93° | | 95° | |

ქილები მე II, III და V დაახლოვებით სიმჟავიანობის ერთნაირი მატებით, 25 საათის შემდეგ უკვე შედედებული იყო (გამაგრებული), რის შემდეგაც ისინი თერმოსტატიდან სიცივეში იყვნენ გადატანილი. ქილები I, IV და VI (საკონტროლოები, რომლებიც არ დედდებიან) 5 საათის შემდეგ გადატანილი იყვნენ სიცივეში (10°c). სიმჟავიანობა გამოკვლეული იყო 24 საათის შემდეგ. ამგვარად, I, IV და VI ქილებისათვის იყო მომატებული II, III და V-ესთან შედარებით, რადგანაც ისინი თერმოსტატში 2,5 საათით მეტი იდგენ.

დეგუსტაციის შედეგები შემდეგი იყო: I ქილას Kōrnchenbacteriumით ჰქონდა მკვრივი, შრატით დაფარული მასსა, მჟავე გემოსი, რომელიც მოკლებული იყო მაწვნის დამახასიათებელ არომატს. მე-II ქილას Kōrnchenbacterium+Bact. lact. acidi Leichmani—ჰქონდა მკვრივი შედედება ცოტაოდენი შრატით ზედაპირზე და სასიამოვნო მჟავე-ტკბილი გემო ბუნებრივი მაწვნისა. მე-III ქილამ, როგორც მეორე+საფუარი „a" მოგვცა მკვრივი შედედება, უფრო ნაკლები შრატით, მე-II-რე ქილასთან შედარებით, გემოთი კი განსხვავდებოდა მე II ქილიდან მხოლოდ, მაწვნისათვის ზედმეტად, სპირტ-ეთეროვანი არომატით. მე IV ქილა – მკვრივი შედედებით, ზედაპირზე ცოტა შრატით, გემო ხმიადი უსიამოვნო, სრულებით არ ჰგავდა მაწვნისას. მე-V ქილას, მაწონ-შიმატებულს, ჰქონდა მკვრივი შედედება, შრატის აგრეთვე ცოტა რაოდენობით ზედაპირზე, გემოთი და აროშატით სავსებით ბუნებრივი მაწვნისა. მასა და II-რე ქილას შორის განსხვავება არ ყოფილა. როგორც ცდებიდან ჩანს, როგორც სიმჟავიანობის მატებით, აგრეთვე შეხედულობით, ყველაზე უფრო ახლოს დგას მაწონთან Körnchenbacteriumის საფუარიანი და უსაფუარო კომბინაცია. ისინი განსხვავდებიან ერთიმეორესაგან არომატით, სახელდობრ მაშინ, როდესაც მე II-რე კომბინაციაში ემჩნევოდა სასიამოვნო სიმჟავიანობა სიტკბოთი და V-ე მაწვნის არომატით, მე III-მე კომბინაციაში ამას გარდა გაჩნდა ცხიმ-ეთეროვანი რიგის სიმჟავეების ნათლად საგრძნობი სუნი, რომელიც სწორედ საფუარების მიმატებით გამოიწვევა ხოლმე [1].

ამგვარად, ამ ცდის მიხედვით ჩვენ შემდეგ დასკვნებს ვაკეთებთ:

1) მაწვნის გამომწვევნი არიან ორი რძისმჟავა მიკრობი — Kōrnchenbacterium ან Bact. lactis acidi Leichmani; თითო მათგანი ცალკე ადედებს ნელა და არ აძლევს მას არც არომატსა და არც გემოს მაწვნისას, ორივეს ერთად მოქმედებით კი მიღებულ პროდუქტში ჩნდება ორივე ეს თვისება.

2) საფუარები კი, მაწვნისათვის, არიან შემთხვევითი შენარევი, რომელიც ჩვეულებრივად, არც ახდენს და არც სცვლის პროდუქტს. იმ შემთხვევაში კი, თუ მათი მოქმედება ძლიერ აქტიურია, მათ შეუძლიათ უარყოფითად შესცვალონ პროდუქტის მდგომარეობა, როგორც ეს ჩვენი ცდებიდან ჩანს, მიზეზი იმისა, თუ რატომ სხვა დასკვნამდი მივიდა Dr. M. Duggeli,

---

1) რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბუნებრივი ბაზრის მაწონს, საიდანაც ჩვენ ეს საფუარები გამოვყავით, არ ჰქონდა იმდენად შესამჩნევი არომატი? ჩვენ მიერ შემჩნეული იყო, რომ საფუარების კულტურა მაწვნიდან ახლად გამოყოფილი და ოძეზე პირველად გადატანილი არ აძლევდა მას იმდენად შესამჩნევ არომატს, როგორც რამდენჯერმე გადატანილი ახალ-ახალ არეზე. ამიტომ ამ სუნის გაჩენას ჩვენ ცდებში ვხსნით საფუარების აქტიურობის მომატებით, რომელიც გამოწვეულია ხშირი გადათესვით ახალ არეებზე, წმინდა კულტურათა გამოყოფის პროცესში.

რომელიც დაწვრილებით სწავლობდა წმინდა კულტურებით მაწვნის მიღების საკითხს, ეს აიხსნება პირველ ყოვლისა ბუნებრივ პირობებში მომზადებული, თვით პროდუქტის უცოდინარობით, მეორედ—იმით, რომ მაწვნიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმებიდან სხვადასხვა კომბინაციების შედგენის დროს ის გამომდინარეობდა საფუარებიდან, ე. ი. ყველა მის კომბინაციებს თავის შემადგენლობაში ჰქონდათ საფუარები. ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიებს კომბინაცია-კი და Bacterium Gunthery L და Nის მსგავსი ორგანიზმები [1] მას არ ჰქონდა. ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიებიდან, გარდა Kōrnchenbacteriumისა, ჩვენ მიერ გამოყოფილი იყო მაწვნიდან კიდევ Bact. Bulgaricum (იხ. ცხრილი I). რომ გამოგვეკვლია, შეიძლება თუ არა Bact. Blg. საშუალებითაც მაწვნის მიღება, ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი ცდა ჩვეულებრივი საშუალებით: დამზადებული იყო დედები შემდეგი კომბინაციისა: I Kōrnchenbacterium Bact. lactis acidi Leichmani და II Bacterium Bulgaricum Bact. lactis acidi Leichmani. ქილებს ვსდგამდით თერმოსტატში 37° C. ცივ ადგილზე გადატანის წინ თერმოსტატის შემდეგ და დეგუსტაციის წინ. ისინჯებოდა სიმჟავიანობა (24 საათ. შემდეგ). ქილებს თერმოსტატიდან სამი საათის შემდეგ ვიღებდით. ცდა სამჯერ იყო განმეორებული და სამჯერვე ერთი და იგივე შედეგი მივიღეთ. მე-VIII ცხრილში მოყვანილია ანალიზი ერთი ნიმუშისა.

ცხრილი VIII.

| კულტურების კომბინაცია | სიმჟავიანობა Thornerის გრად. | | დეგუსტაცია 24 ს. შემდეგ |
|---|---|---|---|
| | 3 ს. შემდ. | 24 ს. შემდ. | |
| Kōrnchenbacterium + Bact. lact. ac. Leich. | 60° | 96° | მკვრივი, უშრატო. შედედება მაწვნისათვის დამახასიათებელი გემოთი და არომატ. |
| Bact. Bulgaricum + Bact. lact. ac. Leich. | 87° | 180° | მკვრივი, მაგარი შედედება შრატით ზედაპირზე, მეტად მჟავე გემოსი, არა აქვს არომატი და სიტკბო. |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ პროცესი Bact. Bulgaricumთან მიმდინარეობს სხვანაირად, ვიდრე Kōrnchenbacteriumთან: მეორე შემთხვევაში მატება სიმჟავიანობისა ხდება ენერგიულად, შრატის გამოყოფით და უარომატოდ, მაგრამ თავისთავად პროდუქტი არ არის უგემური. შესადარებლად მოგვყავს სიმჟავიანობის გაჩენის მრუდე ორი ზემოთმოხსენებული შერეული კულტურისა, აგრეთვე Kōrnchenbacteriumისა და Bacterum Bulgaricumის წმინდა კულტურების მრუდე. 350 კუბ. სან. სტერილიზაციაქმნილ რძეს მიმატებული ჰქონდა 2 ნასკვი

[1]) Centralblatt f. Bakt. etc. II Abt. Bd XV, № 19/20 p. 590, 1906.

ზემოხსენებულის შერეულისა და წმინდა კულტურების 37° C-ზე. შედეგები მოყვანილია № 4 დიაგრამაზე.




დიაგრამა № 4.

პირობითი ნიშნები:

- - - - - - - - - Bact. Bulgaricum.
—.—.—.— Körnchenbacterium.
--- B. Bulg.+Bact. lact. acidi Leichmani.
— .. — .. — Körnchenbact.+Bact. lact. acid. Leichm.

ეს დიაგრამა გვიჩვენებს რძეში სიმჟავიანობის გაჩენის მრუდეთა სხვაობას, როგორც წმინდა კულტურების: Bacterium Bulgarium და Kornchenbacterium, ისე Bact. lac. ac. Leichmaniსთან შერეულს.

ამას გარდა, ამ მრუდეებიდან ჩანს რომ ჩხირისებური რძის-მჟავა ბაქტერიების—კოკობაქტერიების (Bact. l. a. Leich.) მიმატება წმინდა კულტურებისადმი იწვევს სიმჟავიანობის გაჩენის მომატებას, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აქვს Körnchenbacteriumს. იმ საკითხის გამოსაკვლევად, თუ როგორ მოქმედებენ მაწვნიდან გამოყოფილი სხვადასხვა დიპლოკოკები მის დამზადებაზე, ჩვენ მიერ (ჩვეულებრივი წესით) დამზადებული იყო დედები შემდეგი შერეული კულტურებიდან. I. Bact. lactis acidi Leichmani—a (დიაგრ. 3) + Körnchenbacterium, II. Bact. lactis acidi—b (დიაგრ. 3)+Körnchenbacterium. III. „ცრუ“ რძის-მჟავა ბაქტერიების—C წარმომადგენელი (დიაგრ. 3)+Körnchenbacterium.

უნდა ითქვას, რომ Bact. lactis acidi Leichmani—a (დიაგრ. 3), რომელიც ეწყობა ხოლმე დიპლოსტრეპტოკოკებად, ამ ცდის წინ დაკარგა თვისება რძის შედედებისა. იმისათვის, რომ გზადაგზა გამოგვერკვია, თუ რა დაემართებოდა ასეთ დასუსტებულ კულტურას, ჩვენ ის Körnchenbacterimთან ერთად შევიტანეთ ცდაში. ქილები სამი საათის განმაელობაში იდგენ თერმოსტატში 37°Cზე, შემდეგ გადაგვქონდა ცივ ადგილას. შედეგები იხილეთ მე-IX ცხრილში.

ცხრილი IX

| დრო საათებში | Thörnerის გრადუსები | | | |
|---|---|---|---|---|
| | I | II | III | საკონტროლო (რძე) |
| 0 | 21° | 21° | 21° | 21° |
| 1 ს. | 28° | 34° | 30° | 21° |
| 1 ს. 30 წ. | 35° | 41° | 39° | 21° |
| 2 ს. | 46° | 58° | 50° | 21° |
| 3 ს. | 57° | 69° | 65° | 22° |
| 24 ს. | 90° | 91° | 93° | 24° |

24 საათის შემდეგ ქილები შეხედულობით, გემოთი და არომატით თითქმის ყველა ერთნაირი იყო. I ქილა Bact. lactis acidi Leichmaniს შესუსტებული კულტურით ყველაზე უფრო არომატულ და სასიამოვნოდ იქმნა ცნობილი. ყველაზე ცუდად, შედარებით, გამოიყურებოდა ქილა მე-III. ამგვარად, მაწვნის მომზადებისათვის არ აქვთ დიდი მნიშვნელობა Bact. lactis acidi Leichmaniს აქტიურ რასებს, როგორც ჩანს, ისინი არ არიან სიმჟავიანობის გამჩენნი, არამედ იწვევენ მარტო არომატს. უკანასკნელ ხანებში გამოსულ ნაშრომში „Boekhout u. Ott de Vries“ [1] ნათქვამია, რომ არომატულობას დამჟავებულ ნაღებს (კა-

[1]) Boekhoct u. Ott de Vries. Holland 1920.

რაქს) აძლევენ შესუსტებული, რძის შესადედებლად უვარგისი რძის-მჟავა ბაქტერიები. ჩანს, ამგვარ-სავე მოვლენას აქვს ადგილი მაწონშიაც.

შემდეგი ჩვენი ცდების მიზანი იყო იმ პირობების გამორკვევა, რომლებიც ხელს უწყობენ საუკეთესო პროდუქტის მიღებას. საჭირო იყო გამოგვეკვლია, რა გავლენას ახდენს შეხედულებაზე, გემოზე, შედედების ხანგრძლივობაზე და სიმჟავიანობაზე დედის რაოდენობა და ტემპერატურა, როგორც დედის მიმატებისას, ისე თვით შედედების პროცესის მიმდინარეობის დროს.

დედის რაოდენობის გავლენა მაწვნის მომზადებაზე ნაჩვენებია მე-X ცხრილში.

რძეს ვადედებდით 40°C-ზე, თერმოსტატში იდგა 37°C-ზე, შედედების შემდეგ მოსამწიფებლად გადაგვქონდა 17°C-ზე.

ცხრილი X

| დედის რაოდენობა %%-ით | დრო სრული შედედებისა და თერმოსტატიდან გამოღებისა საათობით. | დამზადებული პროდუქტის სიმჟავიანობა 24 საათის შემდეგ. |
|---|---|---|
| 1% | 8 საათი | 100° Thörn. |
| 2% | 3 | 100° |
| 3% | 3 „ 10 წუთი | 103° |
| 4% | 3 „ 15 | 106° |
| 5% | 3 „ 30 | 112° |
| 6% | 3 „ 30 | 114° |

ცხრილიდან ჩანს, რომ დედის რაოდენობას არც შედეგების ხანგრძლივობაზე და არც სიმჟავიანობაზე განსაკუთრებული გავლენა არ აქვს. აგრეთვე, არ განსხვავდებოდა მიღებული პროდუქტი ერთი მეორესაგან გემოთი და შეხედულებით. საერთო მომატება სიმჟავიანობისა დამზადებულ პროდუქტში აიხსნება შედარებით მაღალი ტემპერატურით (17°C), რომელშიაც ქილები იდგენ თერმოსტატიდან გამოღების შემდეგ. ამ ფარგლებში სიმჟავიანობა ნორმალურია და პროდუქტიც არ ითვლება ზედმეტად დამჟავებულად.

შემდეგი ცდით გვინდოდა გამოგვერკვია ტემპერატურის გავლენა დედის მიმატების დროს. მოდუღებული რძე იყო შენელებული სხვადასხვა ტემპერატურამდი და. მიმატებული ჰქონდა 3% დედა ჩვეულებრივი წესით. თერმოსტატში იდგა 37°C, 3 საათის შემდეგ გადატანილი იყო საცივარში (9°C). შედეგები მოყვანილია მე-XI ცხრილში.

ცხრილი XI

| ტემპერატურა დედის მიმატების დროს C. გრადუსობით | სიმჟავიანობის გრადუსები Thörn. | |
|---|---|---|
| | სიმჟავიანობა შედედებული რძისა 3 საათის შემდეგ | სიმჟავიანობა 24 საათის შემდეგ |
| 30 | 45 | 90 |
| 40 | 53 | 94 |
| 45 | 55 | 93 |
| 50 | 61 | 95 |
| 55 | 66 | 95 |
| 60 | 70 | 96 |

ამ ცდიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ: რაც უფრო მაღალია $t^0$ დედის მიმატების დროს, მით უფრო ადრე ხდება რძის შედედება და მით უფრო მაღალია სიმჟავიანობა ერთსა და იმავე დროში. მაწვნის მომწიფების დასრულების პერიოდში (9°C) სიმჟავიანობა თანაბარდება, ისე როგორც გემო და შეხედულება. ეს ცდა არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, რადგანაც ცნობილია პრაქტიკიდან, რომ რძე, რომელსაც დედა 30°-ზე აქვს მიმატებული, მაწვნად არ შედედდება. ამისათვის ცდა იყო განმეორებული, მაგრამ ქილები თერმოსტატში არ იდგმებოდენ. დედას უმატებდით სხვადასხვა ტემპერატურაზე და ვტოვებდით ოთახის $t^0$ (23°), სითბოს შესანახად ქილებს ვახვევდით ტილოებს. განმეორებითი ცდების შედეგები იხილეთ მე-XII ცხრილში.

ცხრილი XII

| $t^0$ დედის მიმატების დროს | შედედების დრო | სიმჟავიანობა Thörnerის გრადუსობით | | დეგუსტაცია 24 საათის შემდეგ |
|---|---|---|---|---|
| | | 4 ს. შემდეგ | 24 ს. შემდეგ | |
| 30° | დაკვირვება არ იყო | 28° | 67° | შედედება ადვილად მჟონავია. განატეხი სწრაფად დაიტბორება ხოლმე. გემო უსიამოვნო, არომატი არა აქვს. |
| 40° | 4 ს. 30 წ. | 33° | 120° | შედ:დება (Crycток) მკვრივია, ზედაპირზე არის შრატი. ნამდვილი მაწვნის სასიამოვნო გემო. |
| 45° | 4 „ | 48° | 118° | შედედება მკვრივი, უშრატო. განატეხი არ ტბორდება. ტიპ. მაწონია. |
| 50° | 4 „ | 49° | 120° | შედედება მკვრივია. შრატი აქვს მხოლოდ ნაკლები ვიდრე 40°-ზე. განატეხი სწრაფ. არ იტბორება. გემო მაწვნისაა. |
| 60° | 3 „ 30 „ | 58° | 120° | შედედება არ არის მკვრივი, განატეხი იტბორება. უსიამ. გემო აქვს. |
| 70° | დაკვირვება არ ყოფილა | 27° | 69° | რძე მხოლოდ ქილის ქვედა ნაწილში შედედდა—ზემოთ თხელია. |

## მაწონი და მაწვნის კულტურები მიკროსკოპში.



მაწონი
შეღებვა ფუქსინით
გადიდება 600.



Körnchen bacterium რძეზე შეღებვა Methylenblauთი
გადიდება 600.



Bact. lactis acidi Leichm.
რძის შრატის აგარზე
გადიდება 600.



Torula—საფუარი. შეღებვა
ფუქსინით. გადიდება 450.

ცხრილიდან ჩანს, რომ საუკეთესო ტემპერატურა დედის მიმატების დროს არის 45°C. ტემპერატურის აწევა 50°-დე კიდევ სუსტად მოქმედებს პროდუქტის ხარისხზე. დედის მიმატება 40° და 60° იწვევს შრატის გაჩენას, რაც უფუჭებს პროდუქტს შეხედულებას—60° უფრო მეტად, ვიდრე 40°-ზე. დედის მიმატებამ 30° და 70° სრულებით არ მოგვცა მაწონი, პირველ შემთხვევაში ტემპერატურა იყო მეტად დაბალი, მეორეში ძლიერ მაღალი Körnchenbacteriumის გასავითარებლად. ეს ცხრილი მიგვითითებს ოპტიმალური ტემპერატურის არსებობაზე, რომელზედაც დამოკიდებულია კარგი ხარისხის პროდუქტის მომზადება. ასეთად უნდა მივიღოთ 45°C. Dr. M. Düggeli საუკეთესო ტემპერატურად 30°[1] სთვლის. „ოპტიმალური ტემპერატურა მაწვნის მომზადებისათვის არის 30°, 37°-ზე მომზადებული მაწონი გამოიყურება არა მადიანად, გამოჰყოფს შრატის დიდ რაოდენობას, 20°-ზე ან სრულებით არ ხდება შედედება ან ძალიან დიდი ხნის შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ Düggeli ამზადებდა მაწონს სხვა წესით, ვიდრე ჩვენ. ის რძეს ადედებდა 12-14 საათის განმავლობაში და ამ დროს ქილები იდგენ მაღალ ტემპერატურაზე.

ბუნებრივია, რომ 37°-ზე 12 საათის განმავლობაში შრატი გამოეყოფოდა და პროდუქტის კეთილხარისხოვანობა დაეცემოდა. 30°-ზე ჩვენ მაწონს სრულებით ვერ ვღებულობთ. ამგვარად, სრულიად კეთილხარისხოვანი მაწვნის მისაღებად (ჩვენ ვგულისხმობთ, რომ დედა ამორჩეულია სწორად) საჭიროა: რძის ადუღება, განელება 45°-დი, მიმატება 4% დედასი, (ან წმინდა კულტურებიდან, ან წინად მომზადებული მაწვნიდან), შედგმა თერმოსტატში 37°-ზე, თუ ასეთი არის, თუ არა—იმ შემთხვევაში რაიმე თბილის დაფარება-შემოხვევა, შედედების შემდეგ (3-4 საათი) ცივ ადგილას გადატანა დანაკვეთის გასამაგრებლად და მომწიფების დასასრულებლად.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ზემოთმოყვანილ ექსპერიმენტალურ დაკვირვებებს, ჩვენ მივალთ შემდეგ დასკვნამდი:

1) მაწვნის გამომწვევად უნდა ჩაითვალოს ორი მიკროორგანიზმი: Körnchenbacterium და Bacterium lactis acidi Leichmaniის წარმომადგენელნი.

2) Körnchenbacteriumის როლი მდგომარეობს—ერთი-სიმჟავიანობის ძლიერ გაჩენაში, მეორე—Bacter. lactis acidi Leichmaniსთან ერთად ისინი ჰქმნიან მაწვნისათვის დამახასიათებელ არომატულ და გემოვან ნივთიერებებს.

3) როგორც ჩანს, Körnchenbacteriumი არის ბოლგარული მიკრობის სახესხვაობა, რომელსაც კლიმატურ და სხვა პირობების ზეგავლენით შეუძენია როგორც მორფოლოგიური, ისე ბიოლოგიური თავისებურებანი.

4) Bacterium lactis acidi Leichmaniს როლი მაწვნის დამზადების პროცესში კიდევ არ არის გამორკვეული სავსებით და საჭიროებს სპეციალურ ხასიათის ცდების ჩატარებას.

---

[1]) Dr. M. Düggeli. Centrallat f. Bacteriol. Abt. II Bd. XV № 19/20 p. 583, 586. 1905.

5) მაწონი წარმოადგენს რძის პროდუქტს ერთი რძისმჟავა პროცესით. როგორც ემჩნევა, ეს დასკვნები ნაწილობრივ ეწინააღმდეგებიან O. Emmerling, Gruber, Weigman, Düggeli, Kuntze და სხვების დასკვნებს. ჩვენ გვგონია, რომ მსგავსი განსხვაებები, მიუხედავად მეთოდიკის იგივეობისა, არის შედეგი პირობებისა და სამუშაო მასალის სხვადასხვაობისა, სახელდობრ: 1) ძირითადი მასალა (დედა), რომლითაც სარგებლობდენ ყველა წინამავალი მკვლევარები, ნაკლებად უახლოვდებოდა მაწვნის ნამდვილ ბუნებას, ვიდრე ჩვენი მასალა, 2) მთელი რიგი სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა მიიღებიან გარკვეული ხარისხისა მხოლოდ ამ პროდუქტების სამშობლოს გარკვეულ ბუნებრივ პირობებში. მაგალითად შეიძლება მიუთითოთ სხვადასხვა ხარისხის ყველებზე, ღვინოებზე და ასე შემდეგ.

ეს ნაშრომი პირველდაწყებითია და აყენებს მთელ რიგ საკითხებისას, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ გამოკვლევებს. როგორც მაგალითად: Bact. lactis acidi Leichmanii როლის გამორკვევა, მაწონზე სეზონური გამოკვლევების განგრძობა, მისი რაიონული გამოკვლევა და ბოლოს, მაწვნის მომზადების პროცესის ვითარების ნათლად გამოსახატავად და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევების დასადასტურებლად აუცილებლად საჭიროა ქიმიური ანალიზების შედეგები.

ჩვენ უკვე შეუდექით ქიმიური ანალიზების ჩატარებას.

ⴉ. ⴉⴄⴉⴄⴊⴈⴛⴄ

# ႨႤႰႤႫႨႠ ႨႡႤႰႨႤႪႨ

(ანტინესტორიანი მოღვაწე მე-V-ე საუკუნისა)

მეხუთე საუკუნე საყურადღებო ხანაა ბიზანტიის ისტორიაში; ეს ის დროა, როდესაც მის მყუდროებას საგრძნობლად არყევს ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო, მოძრაობა: ეგრეთწოდებული ნესტორიანობა,—ამ საუკუნის პირველს ნახევარში, და მონოფიზიტობა,—მეორე ნახევარში. ერთსაცა და მეორესაც მიზანში ამოღებული ჰქონდა ყველაზე მტკივნეული ნაწილი ამ ვეებერთელა პოლიტიკური ორგანიზმისა, სახელდობრ—აღმოსავლეთის დიოცეზი, და ემუქრებოდა მას (განსაკუთრებით მონოფიზიტობა) ისეთი მნიშვნელოვანი ქვეყნების ჩამოგლეჯას, როგორიც იყო ეგვიპტე, სირია და პალესტინა.

საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ შეხვდა ამ მოძრაობას ბიზანტიის მოსასაზღვრე ქრისტიანული იბერია.

როგორც ცნობილია, იბერიამ, სომხებთან ერთად, არამც თუ შეიწყნარა მონოფიზიტური დოქტრინა, თავის წიაღიდან წარმოშვა ისეთი მნიშვნელოვანი მებაირახტრე ამ დოქტრინისა პალესტინასა და ეგვიპტეში, როგორიც იყო მაიუმის ეპისკოპოზი პეტრე, ერისკაცობაში მურვანოზი. სულ სხვა იყო მისი პოზიცია ნესტორიანული მოძრაობის დროს; მართალია, სპარსეთში ქრისტიანობის დევნისას, არა ერთსა და ორს ნესტორიანს უპოვნია იბერიაში თავშესაფარი და, ალბათ, მიმდევარნიც, განსაკუთრებით მეხუთე საუკუნის გასულიდან, როდესაც, თუ ასსემანის ცნობას დაუჯერებთ, იბერიაში ქართველ ნესტორიანთა საეპისკოპოსოც კი დაარსებულა (Brosset, Hist. de la Géorg. I, 194), მაგრამ ნესტორიანობა, როგორც მოძღვრება, აქ უმრავლესობის მიერ შეწყნარებული არ ყოფილა. პაპის გრიგოლ დიდის საპასუხო ეპისტოლედან ვიცით, რომ კათოლიკოზი კირიონი ნესტორიანობის წინააღმდეგ გარკვეულ ბრძოლას აწარმოებდა[1], მაგრამ ეს იყო შედარებით გვიან, მეექვსე საუკუნის გასულს, როდე-

---

[1]) მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 24—26, 575—577. G. Peradze-ს ჰგონია, რომ გრიგოლ პაპის წერილში დასახელებულ ნესტორიანებად მონოფიზიტები იგულისხმებიან (იხ. მისი Die Anfänge des Mönchtums in Georgien, S. 35, Anmerk.), მაგრამ მას ალბათ არ მიუქცევია ყურადღება იმისათვის, რომ ამ წერილში მონოფიზიტები თავისთავად არიან დასახელებულნი, ნესტორიანები კიდევ თავისთავად; თან, უკანასკნელთა მოძღვრება ისე მკაფიოდ არის წარმოდგენილი აქ, რომ მათ მონოფიზიტობაზე რაღაც გაუგებრობით თუ შეიძლება ლაპარაკი.

საც აქ, მანამდე მტკიცედ ფეხგადგმულ, მონოფიზიტობასაც კი ჰქონდა გამოცხადებული ბრძოლა. დღეს ჩვენ მოგვეპოვება უფრო ადრინდელი, თვით ნესტორიანობის აღმოცენების თანამედროვე, დოკუმენტი, რომელიც ამ დებულებას ნათელ ჰყოფს. ეს არის აქტები მესამე მსოფლიო კრებისა, რომელიც საგანგებოდ ნესტორიანობის გამო იყო მოწვეული 431 წლის ზაფხულზე.

. აღნიშნულ აქტებს შემოუნახავს, სხვათა შორის, ერთი ეპისტოლე, რომელიც ასე იწყება:

Ἴσον ἐπιστολῆς γραφείσης τῆι ἐν Ἐφέσωι ἁγίαι συνόδωι παρὰ τῶν εὑρεθέντων ἐν Κωνσταντινουπόλει ἐπισκόπων Μεσορῆ κ ἰνδ ιε.

Exemplar epistolae scriptae in Epheso sancto Concilio ab Episcopis qui inventi sunt in Constantinopolim Mesore die XX Indictione XV data.

ნუსხა ეპისტოლისა, დაწერილისა წმიდისა მიმართ ეფესოჲს კრებისა ეპისკოპოსთა მიერ, რომელნი იყვნეს კონსტანტინოპოლის შინა დღესა კ მესორისასა, ინდიკტიონსა იე.

Τοῖς παναγίοις καὶ θεοφιλεστάτοις ἀρχιεπισκόποις καὶ πατράσι, τοῖς συναχθεῖσι κατὰ Θεοῦ χάριν ἐν τῇ Ἐφεσίων μητροπόλει, Κελεστίνῳ, Κυρίλλῳ, Ἰουβεναλίῳ, Φίρμῳ, Φλαυιανῷ, Μέμνονι, Ἑρενιανῷ, Θεοδότῳ, Ἀκακίῳ, καὶ πάσῃ τῇ καθ᾽ ἡμᾶς ἁγίᾳ καὶ οἰκουμενικῇ συνόδῳ, παρὰ τῶν εὑρεθέντων ἐν Κωνσταντινουπόλει ἐπισκόπων, ἐν κυρίῳ χαίρειν [1].

Sanctissimis et honorabilibus Archiepiscopis et patribus congregatis per Dei gratiam in Ephesina metropoli Celestino, Cyrillo, Iuvenali, Firmo, Flaviano, Memnoni, Hereniano, Theodoto, Acacio et omni secundum vos sancto Concilio, ab Episcopis qui Constantinopolim sunt inventi, in Domino salutem [1].

ყოვლადწმიდათა და ღმრთის მოყუარეთა არქიეპისკოპოსთა და მამათა, მადლითა ღმრთისაჲთა ეფესოს შინა დედაქალაქსა შემოკრებილთა, კელესტინეს, კირილეს, ივბენალიოსს, ფირმოსს, ფლაბიანეს, მემნონს, ერენიანეს, თეოდოტეს, აკაკიოსს და ყოველსა, შემდგომად თქუენსა; წმიდასა და მსოფლიოსა კრებასა, ეპისკოპოსნი, რომელ არიან კონსტანტინოპოლის შინა, უფლისა მიერ გახარებთ.

ვინ იყვნენ ეს „კონსტანტინოპოლის შინა მყოფნი“ ეპისკოპოსნი, რომელთაც აღნიშნული ეპისტოლე გაუგზავნიათ ეფესოს კრებისა და მისი ბელადებისათვის? ამას გვატყობინებს „ეპისტოლე მიგებითი წმიდისა კრებისა ეპისკოპოსთა მიმართ, რომელნი იყვნეს კონსტანტინოპოლის შინა:“

Τοῖς εὐλαβεστάτοις καὶ θεοφιλεστάτοις συλλειτουργοῖς Εὐλαλίῳ Ἐντρεχίῳ Ἀκακίῳ Χρυσαφίῳ Ἱερεμίᾳ Θεοδούλῳ Ἠσαΐᾳ ἡ ἁγία σύνοδος ἡ κατὰ θῦ χάριν καὶ θέσπισμα τῶν εὐσεβεστάτων καὶ φιλοχρίστων ἡμῶν βασιλέων συγκροτηθεῖσα ἐν τῇ Ἐφεσίων μητροπόλει ἐν κῶ χαίρειν. (E. S c h w a r t z,

ყოვლად პატიოსანთა და ფრიად ღმრთისმოყუარეთა თანამსახურთა ევლავიოსს, ევტრიქიოსს, აკაკიოსს, ხრისაფიოსს, იერემიას, თეოდულოსს და ისაიას წმიდა ესე კრება, შემოკრებილი მადლითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა უზესთაეს კეთილმსახურთა და ქრის-

[1]) M a n s i, Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio, t. IV, 1449, t. V, 617.

Neue Aktenstücke zum ephesinischen Konzil von 431, München 1920, S. 77, № 148).

ტესმოყუარეთა მეფეთა ჩუენთაჲთა ეფესოს შინა დედაქალაქსა უფლისა მიერ გახარებთ. (ს ი ძ ვ. მ უ ზ. № 266, გვ. 311).

უკანასკნელ დრომდე ამ საპასუხო ეპისტოლეში ჩამოთვლილ ეპისკოპოზთა შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობდა; მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში გამოიცა Bibliotheca Casinensis seu codd. manuscriptorum, qui in tabulario Casinensi asservantur, series, tom. I (Ex tyrogr. Casinensi 1873), სადაც აღწერილია Cod. II signatus numero exteriori 2, numero interiori 795. ამ ხელნაწერში, რომელიც შეიცავს, სხვათა შორის, მესამე მსოფლიო კრების აქტების ლათინურ თარგმანს, მე-65 გვერდზე მოთავსებულია ეპისტოლე, მიწერილი კონსტანტინოპოლიდან ეფესოს კრებისა და მისი ბელადებისადმი აქ, საპასუხო წერილში, ჩამოთვლილ ეპისკოპოზთა მიერ, და ნაჩვენებია არა მარტო სახელები ამ უკანასკნელთა, არამედ მათი სამწყსოც[1]. შემდეგ, 1911 წელს, ზედწარწერა ამ ეპისტოლესი საგანგებოდ გამოსცა René Aigrainმა[2]; მომყავს ეს ზედწარწერა Aigrainის გამოცემიდან: „Exemplar epistolae scriptae in Epheso sancto concilio ab episcopis qui inventi sunt in Constantinopolim, Mesore die XX, Indictione XV, datae. Sanctissimis et honorabilibus archiepiscopis et patribus congregatis per dei gratiam in ephesina metropoli, Celestino, Cyrillo, Iuvenali, Firmo, Flaviano, Memnone, Ereniano, Theodote, Acacio, et omni secundum vos sancto concilio ab episcopis qui in amica Christo Constantinopolim sunt inventi: Eulalio Calcedone, Entrechio Chii, Acatio Urarathiae, Achilliade Eleae, Severo Codule, Isaia Panemotichiton, Chrisaphio Apri, Theodulo Basilinupoleos, Ieremia Iberos partium Persidis“.

ამნაირად, ლათინური ვერსიით ირკვევა, რომ კონსტანტინოპოლში მყოფნი ეპისკოპოზნი, რომელნიც ეფესოს კრებასა და მის ბელადებს ეპისტოლეს უგზავნიან, არიან: 1) ევლავიოს, ქალკედონის ეპისკოპოზი, 2) ენტრექიოს, ქიოსის ეპისკოპოზი, 3) აკაკიოს, ეპისკოპოზი არარათიისა (ვარ. Urathie-Ariarathia-'Αριαράθιρα—'Αριαράθειρα—'Αριαραθία) კაპადოკიაში, 4) აქილიადოს, ეპისკოპოზი ელეასი ასიის პროვინციაში, 5) სევეროზი, ეპისკოპოზი კოდულისა (resp. Cordus—Corydalla—Cordyla) მეორე პამფილიაში, 6) ისაია, ეპისკოპოზი პანემოტიქიტონისა მეორე პამფილიაში, 7) ხრისაფიოს, ეპისკოპოზი აპრისა თრაკიაში, 8) თეოდულე, ეპისკოპოზი ბასილინუპოლისა (ვარ. Basiunopeleos) და 9) იერემია Iberos partium Persidis[3].

იმის გასათვალისწინებლად, თუ რას აკეთებდენ ეს ეპისკოპოზები, მათ შორის იერემია იბერიელიც, კონსტანტინოპოლში, ან რა როლს თამაშობდენ

---

[1]) Bibliotheca Casinensisდან, რომელიც ტფილისში არ იშოვება, საჭირო ადგილი ამომიწერა, ლენინგრადში ყოფნისას, პროფ. გ რ. წ ე რ ე თ ე ლ მ ა, რომელსაც გულითად მადლობას ვუძღვნი ამისათვის.

[2]) Quarante-neuf lettres de Saint Isidore de Péluse, Paris, 1911, p. 91; რეცენზია P. P e t e r sის, Analecta Bollandiana, t. XXXII, p. 304-305, 1913.

[3]) Ibid. pag. 92—94.

ისინი ეფესოს კრების მსვლელობაში, ჩვენ მოვიყვანთ ჯერ მათ მიერ ეფესოს კრებისადმი მიწერილ ეპისტოლეს და შემდეგ ეფესოს კრების საპასუხო წერილს.

ეპისტოლე, მიწერილი ეფესოს კრებისადმი მესორის 20, ინდიკტიონსა 15, ესე იგი 431 წლის 13 აგვისტოს, ამ კრების აქტების ყველა ნუსხებში არ შენახულა; არცა ის, მაგალითად, XII—XIII საუკუნის, ეგრეთწოდებულს Collectio Atheniensisში[1]; არ ყოფილა ის არც იმ ბერძნულს დედანში, რომლიდანაც მომდინარეობდა სომხური თარგმანი[2], ის არ არის ამიტომ არც ქართულს თარგმანში, რომელიც შესრულებულია სომხურიდან ანტონ კათოლიკოზის მიერ ცნობილის ფილიპე ყაითმაზაშვილის „თანაშრომლითა" 1776 წლის 20 ივნისიდან 12 ოქტომბრამდე (სიძველეთა მუზეუმი №№ 266, 618). აი ეს ეპისტოლე ჩვენი საკუთარი თარგმანით: „ჯერგვიჩნდა ჩვენ, რათა ვეგნეთ სიწმიდესა თანა თქვენსა არა მხოლოდ სულითა, არამედ სხეულითაც, თანაზიარყოფად თქვენთანა სიმძიმისა განსაცდელთასა და მიღებად გვირგვინთა ძლევისათა. მტრობა წმიდისა მიმართ კრებისა მოწევნულ არს ჩვენამდეც; ვინაიდან მაქედან (ეფესოდან) მომავალთათვის ზღვაც ჩაკეტილია და ხმელეთიც გაუვალია გზებზე ჩასაფრებულთა მეოხებით, ჩვენ არაფრის გაკეთება აღარ შეგვიძლია, წინადაგიდებთ მხოლოდ ცრემლთა და ლოცვათა ჩვენთა და, მოკლებულნი თქვენთან მოსლვის საშუალებას, გიცხადებთ ჩვენს ერთგულებას, დამაზხობელნი დამხობილთა თქვენ მიერ და გამამხნევებელნი ქრისტეს მორწმუნეთა, თუმცა აქ მყოფთათვისაც ჩვენ უსარგებლო არ დავრჩენილვართ: ვამხნევებთ ხალხს, ღვატყინებთ შურს გულსა შინა მრავალთასა და ვეხმარებით საჭიროებათა მიხედვით სამღვდელოებას. მაგრამ ყველაფერი ის, რის გაკეთებაც შეგვიძლია თქვენგან დაშორებულთ, მცირეა, ამიტომ ჩვენ, კადნიერად გამომგზავნელნი ეპისტოლისა ამის, ვნატრით ღვაწლთა თქვენთა კეთილმსახურებისათვის და მოგმართავთ სიტყვითა მით, რომელი თქმულ არს წმიდათა მიმართ წინასწარმეტყველთა და მამათა: წმიდანო მამანო, ღირსნო ზეცისა მის წოდებისანო! თქვენ, ვითარცა ცხოვარნი, კლვად გამზადებულნი, მარადღე მოსწყდებით ქრისტესათვის (რომ. VIII, 37), თქვენ, რომელთა ღირს არა არს სოფელი ესე, დაითმენთ ნაკლულევანებათა, ჭირთა და ძვირთა (ებრ. XI, 37, 38). გვაუწყეთ ჩვენ ეპისტოლით, როგორ მოვიქცეთ ან რა გავაკეთოთ, რათა, თუ შესაძლებელი იქნება ჩვენთვის როგორმე მოსვლა წმიდა კრებაზე და თქვენთან ერთად თავსდება სხვათა მათ ღვაწლთა, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს ეს. ჩვენ მზადა ვართ! თუ გვიბრძანებთ აქ დარჩენას (ღვთისმოყვარე და კეთილმსახური იმპერატორი, როგორც ამბობენ, ჩვენდამი კეთილგანწყობილია), გვაუწყეთ ესეც, რათა ჩვენ აღარ ვიტანჯებოდეთ უზომო ურვათაგან"[3].

[1]) Sd. Schwartz, Neue Aktenstücke zum ephes. Konzil, S. 3—79.

[2]) მოსე ხორენელის სახელით ცნობილს ისტორიაში ნათქვამია, რომ ეფესოს კრების დადგენილებანი, ექვს თავად, მოიტანეს სომხეთში წმ. მთარგმნელებმა ამ კრების დასრულებისათანავე (III 61).

[3]) Mansi, Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio, t. IV, col. 1449 (ბერძნული ტექსტი), t. V, col. 617 (ლათინ. თარგმანი). Ed. Schwartz, Neue Aktenstüke zum ephesinischen Konzil S. 84, 95 (№ 45, 98).

საპასუხო წერილი ეფესოს კრებისა მოთავსებულია ქართულს ვერსიაშიც. ამიტომ მას მოვიყვანთ ანტონ კათოლიკოზისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის თარგმანით: „არ საკვირველ არს, თუ სადამე კაცთა ესგუართა, ვითარცა თქუენ, გვეჩვენენით ჩუენ ეპისტოლესა შინა თქუენსა სულით და კორცით თანამზრძოლ ყოფად ჩუენდა, რათა ყოველნი შრომანი და ღვაწლნი ჩუენნი საზოგადოდ თჳსდად შეერაცხონმცა. რამეთუ თეატროსა შინა ბრძოლისასა შორით მჭურეტნი მეგობარნი მხოლოდბრძოლთა არამცირედ შეეწევიან მაშინ, ოდეს იგი თეატროსა განაკმენ და მორკინალსა ძლევისა მიმართ განამკნობენ და ასწავებენ მათ რომელი რაჲცალა საკმარ არს ქმნად მოგებისათჳს დიდებისა მძლეობითისა. ხოლო თქუენი ეგე კეთილმსახურება ვიდრელა მათ უფროსთა შეგვეწევის ჩუენ, რამეთუ ლოცვითა განგვაძლიერებს ჩუენ და დაატკბობს ღმერთსა ჩუენთჳს, რათა არა უფროს შეძლებისა ჩუენისა განვიცადნეთმცა, უმეტეს, რათა ჩუენ განცდილთა ამათ ვსძლოთმცა განმცდელთა ჩუენთა. მერმეცა თანაზიარ იქმნენით შრომათა ჩუენთა, რამეთუ რომელთაცა შორით სადამე ესმისთ განცდანი ესევითარნი, უფრორე მიმღებელ მზრუნველობისა არიან და სწუხან, ვიდრელა რომელნი იგი განსაცდელთა შინა შთაცვნულან. განალა მრავალი ნუგეშინისცემა გვექმნა ჩუენ, [ვინაჲთგან] რომელნიცა წინააღმდგომთა წინაგანწყობად ჩუენდა საბრკენი უქმნიესთ, არა უცხადოქმნილ არიან თქუენდა, არამედ ყოველნი უგლიმობანი მათნი წინააღმდგომად წმიდისა კრებისა მოწევნულ არიან ვიდრე სასმენელადმდე თქუენდა მით, რამეთუ ვიცით მართლად ვითარმედ ღმრთისმოყუარებასა თქუენსა მიუწევიეს ესე ყოველი სასმენელთამდე უზესთაეს კეთილმსახურთა მეფეთასა და უწყებულ უყოფიეს იგინი ამპარტავანებისა და უსჯულოებითთა ბოროტისმოქმედებათა იოანე ანტიოხელისა და მოყუასთა მისთა წინააღმდგომად კანონთა წმიდისა კრებისათა და უზესთაეს კეთილმსახურთა და ქრისტესმოყუარეთა კირილოს და მემნონ ეპისკოპოსთა, რომელნიცა იღუწიან მისრულებად ესგუართა დაუტევნელთა დავრდომილებათა ჩუენთა. რამეთუ გვგონიეს ვითარმედ ქრისტესმოყუარესა და ფრიად ღმრთისმსახურსა მეფესა ესე ყოველნი დავრდომილებანი ჩუენნი არა სრულიად უწყებიეს. ხოლო თუ სადამე იგი უწყებულ ყოფილიყომცა დავრდომილებათა ჩუენთა, ჭეშმარიტად მბრძოლნი იგი ჩუენნი არა ეგოდენ განძლიერებულ იყვნესმცა, ვიდრელა ვნებად და მოწლეობისა მეფისა არაღირს შერაცხვად, რამეთუ რეცა მავნებელ შეწამებად ჩუენდამდე, ოდეს ჩუენ არცალა შურისძიებად ქმნილვართ ნამდვილ მავნებელთა მათ ჩუენთა, არამედ ნებსით გულსმოდგინებით მიგვიციეს თავნი ჩუენნი ვნებად. აწ სადამე ჩუენ უკუე ვართ მიზეზი დაყენებისა, რომელი აყენებს სიწმიდესა თქუენსა არა მოსლვად ჩუენდა, რამეთუ ჩუენ აწ ზღვით და კმელით გარეშეცულ ვართ და მოზღუდულ, და არა არს ღონე უწყებად სიწმიდისა მიმართ თქუენისა ყოველთავე სიტყუათა ამის ადგილისათა, ხოლო ღმრთის სათნოთა მიერ ცრემლთა თქუენთა და ლოცვათა ჩუენ ყოველნი, რომელნიცალა უკუე დამშთომილ ვართ ცოცხალნი, ერთი უკუე ჰაზრი და ერთი გვაქუს ნებაჲ, და არაოდეს გვნებავს ერთსიტყვაობა მეორისა თანა კერძისა, დალათუ მთავარნი მრავლითარე შურებიან იძულებითა, რათა დაგვაპირვონ ჩუენ მათ თანა ერთსიტყუაობად. არამედ ფრიად გვიხარისცა, ვითარმედ ნაწილი და ზიარება გვაქვს მე-

გობრობისა თანა ერთსიტყუაობად, გხედავთ რა თქუენ თანაზიარ შრომათა და იწროებათა ჩუენთა, რამეთუ რომელიცა წმიდათა მოწამეთმოყუარეთა ჩვეულ სადამე იყო დაკუეთება, ვხედავთ მასვე ღმრთისმოყუარებისა მიმართ თქუენისა დაკუეთებულ. რამეთუ დალათუ გარეგან ბრძოლისა ხართ, გარნა მოიგებთვე თვნიერ შრომათა, ოდეს იგი მეგობარ ყოფისა მიერ შეიერთებით ვნებულთა მიმართ და მავნებელთა დასჯით, ვიდრელა ალგვჩნდების ჩუენ არარაჲმე წარწყმედა სიშორისა ძლით თქუენისა, არამედ ყოვლითავე თანხმობა გვაქუს თქუენი სიტყვათა ჩუენთა. მერმეცა არამცირედ მიზეზ ვექმნებით ძლევისა მბრძოლთა ჩუენთა, უფროსლა დალათუ ყოვლად უდიდესსა ნუგეშინისცემასა მოიღებთ ჩუენდა, რამეთუ ვისმინეთ, ვითარმედ თუ რაოდენნი დაგიდვესთ ღუაწლნი აღორძინებად შურისა კეთილისა ეკლესიათა მიმართ, და განამკნობთ მათ წინაგანწყობად წინააღმდგომთა ჩუენთა. რომლისათჳს საკმარ არს, რათა თქუენ დაადგრეთმცა ადგილსა მაგას, და რომელი რაჲცალა მანდეთგან გარდავიდეს სავნებელნი, უწყებულ მყოთ ჩუენ და ეპისტოლენი წმიდანნი ცნობად უზესთაეს საღმრთოთა მეფეთა და წმიდისა ეკლესიისა მიწევნულ ყოთ, ამისთჳს ვითარმედ ამით უმეტესი შეწევნა ყოთ ჩუენდა, ვიდრელა მორახვიდეთ ჩუენდა და თანაპირვეულ იქმნნეთ ყოველთა ამათ უბადრუკებათა, გარეშემცველთა ჩუენთა. ვჰგონებთ, ვითარმედ ადრითგან წარმოგზავნილნი იგი ეპისტოლენი ჩუენნი არლა სადამე მოწევნულ არიან ცნობად თქუენდა, ამისთჳს მეორესა სახესა მათსა წარმოვგზავნით ღმრთისმსახურებისა მიმართ თქუენისა ეპისტოლით ამითურთ. მერმეცა უწყოდეთ, ვითარმედ კულა ეპისტოლე ერთი მოგვიწერიეს აწ უზესთაეს კეთილმსახურთა მეფეთადმი და ღმრთისმსახურება თქუენი მოსწრაფე იყავნ, ვითარმედ თუ სადამე ეპისტოლე იგი ჩუენი მოწევნულ იქმნენ მეფეთად, აუწყოთ მათ აღწერილნი იგი სიტყუანი ჩუენნი, ხოლო თუ სადამე არა მიწევნილან, აუწყეთვე კეთილმსახურებასა მათსა, ვითარმედ პირველითგან ჩუენდა მომზირალნი კაცნი იღუწიან აწცა კულა, რათა დაუფარნეს ქრისტესმოყუარებათა მათთა საბრკენი მათნი. წადილნი თქუენნი მრთელგებად იყვნენ უფლისა მიერ, ჵ საყუარელნო და ფრიად საწადელნო ძმანო“ [1]!

ამ წერილებიდან ირკვევა, რომ კონსტანტინოპოლში მყოფ ეპისკოპოზებს ძლიერ უნდათ ეფესოში ყოფნა და იქ, სხვებთან ერთად, ნესტორიანთა წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ამას ისინი ვერ ახერხებენ, რადგანაც ყველა გზები„ზღვისაც და ხმელეთისაც, შეკრულია იმდენად, რომ, არამც თუ მგზავრობა, წერილების გადაგზავნ-გადმოგზავნაც კი გაძნელებულია. ისინი იწონებენ ეფესოში მყოფ თანამოაზრეთა მოქმედებას და არწმუნებენ, რომ მათი ყოფნა სატახტო ქალაქში უნაყოფო არაა: ამხნევებენ ხალხს, ანთებენ მორწმუნეთა გულში შურს მართლმადიდებლობისადმი, ეხმარებიან აქტიურად მოქმედ ელემენტებს, იჭერენ ურთიერთობას სამეფო სახლთან, ეძებენ და იძენენ იმპერატორის კეთილგანწყობილებასა და სიმპათიებს, არწმუნებენ მას ნესტორიანთა ხრიკებს და აწვდიან ეფესოდან დიდის ვაივაგლახით მიღებულ ცნობებსა და წერილებს. ერთი სი-

[1]) სიძველეთა მუზეუმი № 266, გვ. Mansi IV,311-313, 1450, Collectio Seguieriana № 113 (E. Schwartz, Neue Aktenstüske.. S. 88).

ტყვით, იმდენად მრავალმხრივია მათი მოღვაწეობა, რომ, ეფესელთა აზრით, საზოგადო საქმისათვის უფრო სასარგებლოა მათი კონსტანტინოპოლში დარჩენა, ვიდრე ეფესოში ყოფნა, კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს უკანასკნელი.

ასეთი იყო, მაშასადამე, მოღვაწეობა, სხვებთან ერთად, იერემია იბერიელისა კონსტანტინოპოლში და პოზიცია მისი ნესტორიანულ მოძრაობაში.

ეხლა უნდა ვიკითხოთ: რამდენად ნდობის ღირსია ლათინური ვერსია, რომელსაც შემოუნახავს ტიტული Ieremia Iberos partium Persidis? ცნობილია, რომ ლათინური თარგმანი შესრულებულია არა უგვიანეს მეექვსე საუკუნის ნახევრისა (Collect. Turonensis), ვინაიდან ის ხელში ჰქონია Collectio Casinensis რედაქტორს, რომის ეკლესიის დიაკონს რუსტიკეს, იუსტინიანეს მე-30, ესე იგი—557 წელს[1]; ის სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს ბერძნულს დედანს[2], რაც, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ ნახმარია ფორმა Iberos და არა Iberus. Collectio Atheniensisს შემოუნახავს ერთი, აქამდე უცნობი და გამოუცემელი, 'Επιστολὴ πρὸς τὸν κλῆρον καὶ τὸν λαὸν Τενέδου, რომელიც არის ნაწარმოები τῶν ἐνδημούντων τῇ βασιλίδι πόλει და რომელსაც ხელს აწერენ, სხვათა შორის, იერემიასთან მოხსენებულ ეპისკოპოზთაგან 'Ακάκιος 'Αριαραθίας, 'Ησαΐας ἐπίσκοπος, Σεβῆρος ἐπίσκοπος Κοδουλλίων, Χρυσάφιος ἐπίσκοπος "Απρων[3]. თან, სხვა საეპისკოპოზო კათედრები, რომლებიც მოხსენებულია იერემიასთან ერთად, ცნობილია აგრეთვე 448 და 451 წლების კრებებიდანაც[4], მაშასადამე, ეჭვი არ არის, რომ Ieremia Iberos partium Persidis გადმოგვცემს სწორ ცნობას, რომელიც თვით ბერძნული დედნიდან მომდინარეობს.

როგორ უნდა გვესმოდეს სიტყვები Ieremia Iberos partium Persidis? ისინი ეროვნებას აღნიშნავენ მხოლოდ იერემიასას თუ მის სამწყსოსაც? ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტებიც, რომ ესათუის ქართველი, რომელიც უცხოეთში იყო ეპისკოპოზად, ამავე დროს „ქართველის“ სახელითაც იხსენიებოდა ხოლმე. მაგალითად, პეტრე მაიუმელი მეხუთე საუკუნეში, ანტონი სელევკიის ეპისკოპოზი მეექვსე საუკუნეში, რომელიც ცნობილია სვიმეონ მესვეტის დედის, მართას, ცხოვრებიდან[5], თეოფილე, ტარსუს მიტროპოლიტი მე-XI საუკუნეში, რომელსაც იხსენიებს გიორგი ხუცესმონაზონი გიორგი ათონელის ცხოვრებაში[6]. საძიებელს შემთხვევაში ჩვენ საქმე არა გვაქვს უკანასკნელი კათეგორიის ფაქტებთან და Iberos partium Persidis აღნიშნავს არა ეროვნებას ძარტო იერემიასას, არამედ უმთავრესად მის სამწყსოს. მართლაც, ცნობილია, რომ მსოფლიო კრებების პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეთა სახელთან ნახმარი გეოგრაფიული ონომასტიკონი ყოველთვის აღნიშნავს ამათუიმ პირის სამწყსოს იერემიას ამ-

---

1) E. Schwartz, Neue Aktekstücke.. S. 106, 119, 120; Проф. В. Б... Христ Чтение, 1907 г. I, 385.391.

2) Schwartz, S. 107, Болотов, стр. 385.

3) E. Schwartz, S. 53, 54.

4) R. Aigrain, Quarante-neuf lettres.. p. 92-94.

5) Acta Sanctorum Maii V. p. 423, 431. Н. Марр, Агиографические материалы по груз. рукоп. Ивера. I, 44.

6) ათონის კრებული, გვ. 315.

ხანაგები თავის სახელთან ერთად აღნიშავენ თავის სამწყსოს, რაღა იერემია უნდა გამორჩეულიყო მათგან და აღენიშნა თავის ეროვნება და არა ის ადგილი, სადაც ის ეპისკოპოზობდა? მაშასადამე, არ არსებობს საბუთი ვიფიქროთ, რომ იერემია იბერიელი იყო უცხოეთის რომელიმე ქალაქის ეპისკოპოზი და არა იბერიის იერარქი.

ამ შემთხვევაში როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ იერემიას როლი: იყო ის თუ არა წარმომადგენელი იბერიის ეკლესიისა მესამე მსოფლიო კრებაზე, ესე იგი — იყო თუ არა იბერიის ეკლესია მოწვეული აღნიშნულ კრებაზე? ჩვენ გვგონია, რომ არა: 1) ეფესოს კრების პირდაპირ მონაწილეთა სიაში, რომელიც რამდენიმე ვერსითაა ცნობილი, იერემიას სახელს ჩვენ ვერ ვხვდებით. 2) საერთოდ ცნობილია, რომ მსოფლიო კრებებზე იწვევდენ იმ ქვეყნის წარმომადგენელთ, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში იყო მოქცეული ან და ეკლესიურად ბიზანტიის ერთერთ საპატრიარქოზე იყო დამოკიდებული; ასეთს რასმე იბერიის მიმართ ადგილი არ ჰქონია აღნიშნულ დროს, მაშასადამე—არც არსებობდა საბუთი მისი მოწვევისა ამ კრებაზე. 3) ზემომოყვანილ წერილებიდანა ჩანს, რომ იერემია და მისი ამხანაგები კონსტანტინოპოლში არიან და ეფესოში ვერ ახერხებენ მოხვედრას, თუმცა ეს მათ ძალიან უნდათ; იბერიის ეკლესია რომ მოწვეული ყოფილიყო ამ კრებაზე და იერემიას მისი ოფიციალური წარმომადგენლობა ჰქონოდა ნაკისრები, ის კონსტანტინოპოლში კი არ იქნებოდა, არამედ ეფესოში, ვინაიდან ბიზანტიის ხელისუფლება თვითონ იღებდა თავის თავზე ზრუნვას დელეგატების ეფესოში შეკრებისათვის. როარტაგში ან Σάκραში კრების მოწვევის შესახებ (M a n s i IV, 1112) იმპერატორი თეოდოსი სწერს: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ერთის მხრით, რომ ყველა, ვინც კი იქნება მოწვეული კრებაზე, შეეცდება მოვიდეს და დაეხმაროს წმიდა საქმეს, მეორეს მხრივ, ჩვენ, რომელნიც ასე ვზრუნავთ ამისთვის, ა რ დ ა ვ უ შ ვ ე ბ თ, რ ო მ ვ ი ნ მ ე დ ა ა კ ლ დ ე ს კ რ ე ბ ა ს; არავითარი გამართლება არ ექნება, არც ღვთისა და არც ჩვენს წინაშე, მას, ვინც დაჩქარებით არ გამოცხადდება დანიშნულ დროისათვის დანიშნულ ადგილას“. თანახმად ამისა, იმპერატორის წარმომადგენელს კანდიდიანეს ნაბრძანები ჰქონდა (M a n s i IV, 1117) თვალყური ედევნებია, რომ კრებას არ დაჰკლებოდა არც ერთი წევრი. 4) როგორც წერილებიდან დავინახეთ, ეფესელები წინადადებას აძლევენ იერემიას და მის ამხანაგებს კონსტანტინოპოლში დარჩენ და ეფესოსაკენ ნუ ილტვიან; თუ მხედველობაში გვექნება წინამუხლში ნათქვამი, ასეთს წინადადებას ისინი კრების ოფიციალურ წევრებს ვერ მისცემდენ, რავდენადაც სასარგებლო არ უნდა ყოფილიყო მათი დარჩენა კონსტანტინოპოლში. 5) ის გარემოება, რომ იერემია და მისი ამხანაგები, წინააღმდეგ მათი სურვილისა, იძულებულნი არიან კონსტანტინოპოლში ისხდენ, მაჩვენებელია იმის, რომ ისინი კრების წევრები არ არიან. ჯერ კიდევ კრების გახსნამდე სთხოვდა ნესტორი იმპერატორს: „მიიღე ზომები, რომ არცერთი ეპისკოპოზი, რომელიც [ოფიციალურად] მოწვეული არაა, კრებაზე არ იქნეს დაშვებული“ (M a n s i IV, 1236); სხვათა შორის, ამით იყო გამოწვეული, რომ, როგორც თვითონაც ამბობენ წე-

რილში იერემია და მისი ამხანაგები, ეფესოდან კონსტანტინოპოლემდე ყველა გზა შეკრული იყო.

შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ იერემია იყო ერთი იმ რვა დეპუტატთაგანი, რომელნიც იმპერატორმა თვითონ გამოიწვია ეფესოდან კონსტანტინოპოლში უშუალოდ მათთან მოსალაპარაკებლად. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დეპუტატთა სახელები ცნობილია იმ წერილით, რომელიც კრებამ გაუგზავნა იმპერატორს (Mansi, IV, 1461); აქ ნათქვამია. „ხოლო აწ კეთილმსახურებასა თქუენსა ვედრება ჩუენი შეუწყნარებიეს, უბრძანა რა მსოფლიოსა კრებასა პირითა ყოვლად უდიდესისა და ყოვლადდიდებულისა იოანე კომსისაჲთა გამორჩევად რაოდენნიმე ფრიად ღმრთისმოყუარენი ეპისკოპოსნი და წარმოგზავნად იგინი კელმწიფებისა მიმართ თქუენისა, რათა პირისპირ გაუწყონმცა თქუენ სიტყუანნი ჩუენნი, რომლისათჳს ჩუენცა მადლიერ ვართ ქრისტეს მოყუარისა მეფობისა თქუენისა. აჰა აწ გამოგვრჩევიეს ყოვლადწმიდანი და ფრიად ღმრთისმოყუარენი არკადიოს და იოვენალიოს და ფლავიანოს და ფირმოს და თეოდოტოს და აკაკიოს და ევოპტიოს ეპისკოპოსნი და ფილიპოს ხუცესი რომაელი....... და იგინი ეპისტოლითურთ წარმოგვგზავნია სიმშჳდისადმი თქუენისა“ (სიძველ. მუზ. № 266, გვ. 328). როგორც ვხედავთ, აქ იერემიას სახელი არაა, მაშასადამე არც შეიძლება ის, თუგინდ უნებლიეთ კონსტანტინოპოლში ჩარჩენილი, დელეგატი ყოფილიყოს.

ერთი სიტყვით, იერემია არ ყოფილა წარმოგზავნილი სამშობლოდან ეფესოს კრებაზე დასასწრებლად; ის, უეჭველია, ერთი იმ ეპისკოპოზთაგანი იყო, რომელნიც შემთხვევით მოხვდენ კონსტანტინოპოლში, როდესაც ეფესოში მსოფლიო კრება იყო მოწვეული. კონსტანტინოპოლში ამ დროს არაერთი და ორი ისეთი ეპისკოპოზი იყო, რომელიც კრების შემადგენლობას არ ეკუთვნოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მსვლელობითა და საქმეებით ძალზე იყო დაინტერესებული; ეს იქიდანაც ჩანს, რომ, როდესაც კრებამ დაამხო ნესტორი, ამის შესახებ „მოეიდა და მოიწია ეპისტოლე ერთი, აღწერილი ეფესოდ ე პ ი ს კ ო პ ო ს თ ა მომართ“ კონსტანტინოპოლისათა [1], რომელთაც ეწოდება თეოპემპტოს, პოტამიონ, კომარიონ და დანიელ [2]. ეს, შემთხვევით კონსტანტინოპოლში თავმოყრილი, ეპისკოპოზები ადგენდენ აქ ეგრეთწოდებულ σύνοδος ἐνδημοῦσα, რომელიც ანტინესტორიანთა ბანაკს და საქმეს ამაგრებდა. მართლაც, იერემიას ამხანაგები: აკაკიოს, ისაია, სებეროს და ხრასაფიოსი, ერთერთს წერილში მოხსენებულნი არიან τῶν ἐπισκόπων τῶν ἐνδημούντων τῇ βασιλίδι πόλει სიაში [3].

სიტყვები: Ieremia Iberos partium Persidis, მაჩვენებელია იმისა, რომ იბერია 431 წელს სპარსეთის ნაწილი ყოფილა. ეს ისტორიულ სინამდვილესაც არ ეწინააღმდეგება: მეხუთე საუკუნის პირველი მეხუთედიდან მოყოლებული განსაკუთრებით ძლიერდება სპარსეთის მეფეების იერიშები იბერიაზე, რომლის აღმოსავლეთი ნაწილი ჯერ კიდევ 368 წლიდან განიცდიდა მათ პოლიტიკურ

---

1) სიძველეთა მუზეუმი № 266, გვ. 321.

2) იქვე, გვ. 322, Mansi, IV, 1449.

3) Ed. Schwartz, Neue Aktenstücke, S. 53, № 91, S. 54, № 92.

გავლენას. ცნობილია, რომ პეტრე მაიუმელის პაპა, დიდი ბაკურ მეფე, 421 წლის მახლობლად სპარსეთის მეფის მხედართმთავრად ითვლებოდა[1]. 428 წლის ჩახლობლად შაჰმა ბაჰრამ V ბოლო მოუღო სომხეთის დამოუკიდებლობას[2] და ალბათ იბერიის საზღვრებსაც მოადგა. სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ლეონტი მროველის შემდეგი თქმულება: „მაშინ სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა უბარაბ, სპითა ძლიერითა მირდატის ზედა; მირდატ სილაღითა მისითა არა რიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა სპითა მოეგება გარდაბანს, ეწყო, აოტეს და შეიპყრეს სპარსთა წყობასა შინა, შემოვიდეს ქართლს და დაიპყრეს ქართლი"[3]. ე ღ ი შ ე ვ ა რ დ ა პ ე ტ ი ს ისტორიითაც, რომელშიაც აწერილია იეზდიგერდ მეორის დროის ამბები, იბერია, როგორც სომხეთი, სპარსეთის ნაწილს შეადგენს[4].

იერემია, როგორც მოყვანილი სიტყვებიდანაცა ჩანს (Ieremia I b e r o s), ყოფილა ეპისკოპოზი არა რომელიმე კუთხისა იბერიაში, არამედ მთელი იბერიის ეკლესიისა[5]. მართლაც, ამ დროს იბერიის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი ცალკე ეპარქიებად, ვახტანგ გორგასლანამდე ის წარმოადგენდა ერთ განუყოფელ მთლიანს, ერთს, თუ შეიძლება ითქვას, ეპარქიას, და მას ერთი მწყემსთმთავარი განაგებდა. მწყემსთმთავარი, რომელსაც იერემია ჰრქმეოდეს, ჩვენ არ ვიცით; მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ უძველეს დროისათვის (და არა მარტო უძველესის, არამედ უფრო მახლობელისათვისაც) ჩვენ არ გვაქვს არც სრული და არც სწორი სია მწყემსთმთავრებისა. მაგრამ თანამედროვე კავკასიის საეპისკოპოზო Onomasticon'ში რომ ასეთი სახელი იშვიათი არ ყოფილა, ეს ჩანს შემდეგიდან: დაახლოვებით ამავე დროს ალბანთა ეკლესიის მეთაურს იერემია ჰრქმევია[6], სომხეთში კი 450 წელს ორი ეპისკოპოზია ცნობილი ასეთი სახელით[7]. ამნაირად, მესამე მსოფლიო კრების აქტები იბერიის ეკლესიის მწყემსთმთავართა სიას უძველეს დროში ჰმატებს ერთს ახალს, დღემდე უცნობ, პირს, რომელსაც იერემია ჰრქმევია.

რამ მოიყვანა იერემია კონსტანტინოპოლში, რა პირობებში მოხვდა ის აქ? ცნობილია, რომ მეხუთე საუკუნეში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე. იეზდიგერდ პირველის დროს სპარსეთში ქრისტიანებს დაუწყეს დევნა და ისე შეავიწროვეს, რომ ისინი ბიზანტიაში იხიზნებოდენ. იმპერატორი თეოდოსი მცირე მათ მფარველობას უწევდა და, მიუხედავად შაჰის მოთხოვნილებისა, უკან არ აბრუნებდა.

---

1) R. R a a b e, Petrus der Iberer, S. 17-18.

2) S. M a r t i n. Mémoires hist. et géogr. sur l'Armenie, p. 437.

3) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარ. გვ. 116.

4) История Егише Вердапета, перев. П. Ш а н ш и е в а, Тифлис 1853 стр. 16, 32, 81, 85, 225 et pas. თეოდორიტე კვირელი იმ ამბების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა სომხეთში 450-451 წლებში, ნუგეშინისცემითი ეპისტოლეებს (Epist. 77, 78) უგზავნის Εὐλαλίῳ ἐπισκόπῳ τῆς περσικῆς Ἀρμενίας და Εὐσεβίῳ πρεσβυτέρῳ τῆς περσικῆς Ἀρμενίας.

5) „ი ე რ ე მ ი ა ი ბ ე რ ი ე ლ ი" ნახმარია ისე, როგორც I მსოფლიო კრების აქტებში „იოანე სპარსი" (Ἰωάννης Βέρσης τῆς ἐν Περσίδι πάσῃ, M i g n e, PG. t. 85, col. 1309).

6) მოსე ხორენელის სახელით ცნობილი ისტორია III, 54.

7) История Егише Вардапета, перев. Ш а н ш и е в а, Тифлис 1852 г. стр. 45.

ამის გამო სპარსელებმა ბიზანტიას ომი გამოუცხადეს და, თუმცა 421 წელს განიცადეს სასტიკი დამარცხება, რომელსაც დედოფალმა პ უ ლ ქ ე რ ი ა მ მშვენიერი ლექსი უძღვნა [1], იარაღს მაინც არ ჰყრიდენ და თეოდოსის მოსვენებას არ აძლევდენ. ამით აიხსნება ის სიტყვები, რომლითაც 428 წელს მიჰმართა მას პირველს თავის ქადაგებაში კონსტანტინოპოლის პატრიარქად დადგენილმა ნესტორიმ: „მეფევ! მომეცი საშუალება მწვალებელთა შემუსრვისა და მე დაგეხმარები შენ სპარსელებთან ბრძოლაში“ [2]. ამით აიხსნება აგრეთვე შემდეგი ადგილი ეპისტოლისა, რომელსაც ნესტორიანთა დელეგაცია უგზავნის 431 წელს იმპერატორ თეოდოსის ქალკედონიდან კონსტანტინოპოლში: „Οὐδὲν γὰρ ἂν εἴη σοι, βασιλεῦ, τοῦδε βασιλικώτερον, ὑπὲρ οὗ καὶ πρὸς Πέρσας ἤδη καὶ πρὸς ἑτέρους βαρβάρους ἔσπευσας ἐπανελέσθαι πολέμους............ νυνὶ δὲ ἱκετεύομεν μόνην καὶ πρώτην τὴν εὐσέβειαν φροντισθῆναι καὶ μὴ τὴν ἐπὶ τοῦ τῆς ἁγίας λήξεως Κωνσταντίνου μόλις ποτὲ τῆς ὀρθοδόξου θρησκείας γεγονυῖαν ἔκλαμψιν καὶ διὰ τῶν τρισμακαρίων πάππου τε καὶ πατρὸς τῆς σῆς εὐσεβείας βεβαιωθεῖσαν, παρὰ δὲ τοῦ σοῦ κράτους εἴς τε ἕτερα ἔθνη βαρβαρικὰ καὶ εἰς τὴν Περσῶν χώραν κρατυνθεῖσαν, ἐν αὐτοῖς κάμνειν τοῖς βασιλείοις καὶ παρὰ τῆι ὑμετέραι θολοῦσθαι γαληνότητι. οὐ γὰρ διπλᾶς χριστιανισμοῦ πέμψεις, βασιλεῦ, εἰς Περσίδα διδασκαλίας“ [3]. სპარსთა ანტიქრისტიანული პოლიტიკა ამ დროს მწვავე გამოძახილს ჰპოულობდა სომხეთსა და იბერიაში. პეტრე მაიუმელის ცხოვრებიდან ვიცით, რომ იბერიის მეფემ, დიდმა ბაკურმა. „მოიგო გვირგვინი აღმსარებლობისა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოწამეობისა“, რადგანაც მან, სპარსთა ბანაკში ყოფნისას 421 წლის მახლობლად, მაზდეიანობისაებრ მზეს თაყვანი არა სცა [4]. ხოლო ეფესოს კრების წინაწლებში, ერთერთი მეფის დროს, რომელსაც ლეონტი მროველი მირდატს უწოდებს, სპარსელებმა „დაიპყრეს ქართლი და განრყუნეს ეკლესიანი და ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლის მსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“ [5]. დაახლოვებით ამ დროიდან მაზდეიანობამ იბერიაში მიიღო შესაფერისი ორგანიზაცია, ის აქ ჩამოყალიბდა ერთგვარ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად, იბერიაში გაჩნდა მაზდეიანობის სამღვდელოება: უბრალო მღვდლები—მოგუნი, და მათი უფროსი—მოგპეტი ან მობედა, resp. მობედან-მობედი, რომელსაც ჩვენი მემატიანე ხან ეპისკოპოზს, ხან მთავარეპისკოპოზს ეძახის. ცეცხლთაყვანისმცემელთ მცხეთაში საკუთარი სამლოცველო და უბანი ჰქონდათ, რომელსაც „მოგუთა“ ერქვა; აქვე იჯდა მათი „მობედა“, ასე რომ, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი ამბობს, უკვე არჩილ მეფითგან „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედა“ [6]. ეს „მობედა“ არა მარტო „ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა“ [7], ზოგიერთ შემთხვევაში

---

1) Ф. Успенский, История Византийской Империи, I, 193, 199.

2) Ibid. стр. 202. В. Болотов, Лекции по истории древней церкви III, 83.

3) Ed. Schwartz, Neue Aktenstücke zum ephesinischen Konzil, S. 16$_{20-31}$. 17$_{15-31}$.

4) R. Raabe, Petrus der Iberer, S. 17-18.

5) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარ. გვ. 116, 117.

6) Е. Такайшвили, Описание II, 721.

7) ქართლის ცხოვრება, მარიამ დედ. ვარ. გვ. 123.

„ერისთავადცა იყო ქართლსა და ჰერეთს“ [1]. თუ რამდენად მწვავე ხასიათს ღებულობდა ჩვენში ქრისტიანობის დევნა მეხუთე საუკუნის პირველს ნახევარში, ეს ნათლადა ჩანს იეზდიგერდ მეორის ნაბიჯიდან, რომელმაც იბერიიდან, სომხეთიდან და ალბანიიდან თავიკაცები დაიბარა და კათეგორიულად მოსთხოვა მათ მაზდეიანობის მიღება; ქართლის პიტიახშ არშუშას ბრძანების შესრულებამაც ვერ უშველა და იქვე, სპარსეთში, იქნა დატოვებული [2]. იერემია იყო მოწამე და თანამედროვე ასეთი მდგომარეობის დამყარებისა ჩვენში, ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, შველისა და დახმარების საძიებლად, ის, როგორც ეკლესიის მეთაური, წასულიყო ბიზანტიაში თეოდოსი იმპერატორთან, რომელსაც, როგორც ვაჩვენეთ, ცეცხლი და მახვილი შეჰქონდა სპარსეთში ქრისტიანების შევიწროებისათვის. ამ შემთხვევაში იერემიას შეეძლო მიებაძნა სომხეთა კათოლიკოზის საჰაკ დიდისათვის, რომელიც მთელს თავის იმედს, ამგვარსავე შევიწროებულ მდგომარეობაში, თეოდოსი იმპერატორზე ამყარებდა; 424-5 წლების მახლობლად მას, მესროპის მეთაურობით, მთელი დელეგაცია გაუგზავნია თეოდოსისთან, რომელსაც სწერდა: „ვიცი, რომ ამბავმა ჩვენი შევიწროებული მდგომარეობის შესახებ მოაწია შენი თვითმპყრობელობის ყურამდე, ამისათვის, შენი წყალობის მოიმედე, ქვეშე ფერხთა შენთა ვეძიებ თავშესაფარსო“ [3].

ერთი სიტყვით, იერემიას კონსტანტინოპოლში გამგზავრება გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმ აუტანელი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობით, რომელიც შეიქნა იბერიაში სპარსთა მეოხებით, განსაკუთრებით ეფესოს კრების წინაწლებში.

1928. V. 10.

ქ. ტფილისი.

---

[1]) Е. Такайшвили, Описание II, 721. როგორც ელიშე ვარდაპეტი მოწმობს, ასეთი მოვლენა ჩვეულებრივი ყოფილა სპარსთა ადმინისტრატიულ პრაქტიკაში; არამც თუ ცეცხლთაყვანისმცემელთა „მობედებს“, ქრისტიან ეპისკოპოზებსაც არაიშვიათად ანდობდენ ზოგიერთ განშორებულ პროვინციათა მართვა-გამგებლობასო (История Егише Вардапета, перев. Шаншиева, стр. 138).

[2]) ლაზარე ფარპეცის ისტორია, გვ. 149, 177, ვენეტიკის გამოცემა 1891 წ. შეად. ელიშე ვარდაპეტი (перевод Шаншиева, 1853, გვ. 69-70, 81-83).

[3]) მოსე ხორენელის სახელით ცნობილი ისტორია, III, 57.

ნ. ჯაფარიძე.

# მასალები ქარაქულის ცხვრის ფენოანალიზისათვის.

(ცხოველთ-მომშენებლობისა და გენეტიკის კათედრა)

## მიკროსკოპული ანალიზი.

კარაკულის ცხვრის მკვლევართა უმრავლესობა (Adametz, Чирвинский Tänzer და სხვა) ადვილად გასაგები მიზეზების გამო ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდენ მისი კრაველის თვისებათა შესწავლის საქმეს, ხოლო შედარებით ნაკლებს ზრდადასრულებული ცხოველის მატყლის რავვარობის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს ხშირად საკმაო დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს, ჯერ თავის თავად და შემდეგ რასის დანარჩენ თვისებათა გარკვევისთვის [1].

ამიტომაც, წინამდებარე ნამუშევარის მთავარ მიზანს შეადგენს ნაწილობრივად მაინც შეავსოს ეს დანაკლისი. მასალად აღებული იყო ის ფარა, რომელიც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოველთ-მომშენებლობისა და გენეტიკის კათედრის მიერ იქმნა შეძენილი 1926 წ. ამ ცხვრის გავრცელების საუკეთესო რაიონში (ქ. კარაკულის მიდამოებში).

მთელი ფარიდან საანალიზოდ აყვანილი არის მხოლოდ 20 ცხვარი; აქედან დედა ცხვარი არის 15 და ყოჩი 5.

ყველა ცხვრები შეტანილია საფარეხო წიგნში შემდეგი ნომრებით (№№ ით)
♀ 177, 139, 140, 159, 143, 184, 175, 152, 176, 163, 172, 151, 157, 153, 154. ♂ I, II, III, IV, V.

მათი ჰასაკი (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო კბილებით განგვესაზღვრა) უნდა ვივარაუდოთ $3^1/_2 - 4^1/_2$ წლების ფარგლებში. აღნიშნული ცხვრები, როგორც საერთოდ კარაკულის ჯიში, სამი ფერისა არის (Adametz, Чирвинский, Понятовский): შავი, რუხი და ყავისა, ანუ როგორც სამშობლოში უწოდებენ არაბი, შირა (შირაზი) და სურა. №№-ბი: 177, 139, 140, 159, 143, 184, 175, დედები და I, II, III ყოჩები ეკუთვნიან უფრო გავრცელებულ შავ მატყლიან ფორმას, არაბის.

---

[1]) Prof. L. Adametz: Studien über die Mendelsche Vererbung der wichtigsten Rassenmerkmale der Karakulschafe bei Reinzucht und Kreuzung mit Rambouillets. Leipzig 1917.

Dr. E. Tänzer. Neuere Untersuchungen über Haut und Haar beim Karakulschaf. Landwirtsch. Tierzucht. Januar. 1925.

Проф: Чирвинский. И Вл. Елагин, Разводимыe в России породы грубошерстных овец. Киев 1915.

№№-ბი 152, 176, 163 და ყოჩი IV შირას, ხოლო დანარჩენი დედები და მე-V-ე ყოჩი სურას ეკუთვნიან.

თუ რაგვარ გენეტიურ დამოკიდებულებაში არიან ეს სამი ფერის ცხვრები ერთი მეორესთან, ჯერჯერობით ნათლად არაა გამორკვეული (Adametz, Синицын)[1], ხოლო ამ მუშაობის ერთ-ერთი მიზანი იყო გზადაგზა გამოერკვია მათი სხვაობა თუ იდენტივობა მატყლის შემადგენელ ბეწვთა სისხოს მხრივ.

ნიმუშები აღებული იყო, როგორც ამას კათედრის მიერ მიღებული კვლევის მეთოდი მოითხოვს[2], სამ-სამ ადგილას ჩამოყვანის პირველ წელშივე (12/VI 1926 წ.), გაზაფხულზე და შემდეგ მთიდან დაბრუნებისას შემოდგომაზე (10/XI 1926 წ.).

ორივე ამ ნიმუშს (როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომისას) გაკეთებული აქვს შესაფერისი ანალიზი მიკროსკოპის ქვეშ და შედეგები მოცემულია ნაწილობრივ ტაბულებად, ნაწილობრივ კი მრუდეებად.

### გაზაფხულის მატყლი.

გაზაფხულზე არაბის დედა ცხვრების მატყლის თითქმის 75%, როგორც მრუდე № 1 გვიჩვენებს, მოქცეულია შედარებით ნაზი ხარისხების ფარგლებში (10-30 μ) ე. ი. Lehmanის[3] კლასიფიკაციის მიხედვით A და B ხარისხების შიგნით (ტაბ. № 3). მრუდე იწყება 10 μ-დან სწრაფად ადის მაღლა და 16 μ მდე აღწევს პირველ თავის მაქსიმუმს; აქედან იმავე სისწრაფით ეშვება და 18 μ-თან ჩამოდის 10.3%-ზე, ხოლო შემდეგ მეორედ ადის 12%-მდე 20 μ თან, რის გამო მრუდე 18 μ-თან თითქოს გაორებულა. აქედან სწრაფი დაქანება მრუდისა შეჩერდება 22 μ-თან, რის შემდეგაც ძირს დამავალი ხაზი ძირიანად იცვლის ტემპს და 72 μ-თან სრული თანდათანობით ჩამოდის ძირს.

ამ უკანასკნელ ე. ი. 22-72 μ-ის მანძილის ფარგლებში მრუდე თითქო ცდილობს კიდევ აიწიოს ზემოთ, როგორც, მაგალითად, 30 μ, 40 μ, 44 μ და სხვა, მაგრამ მრუდის თანდათანობითი დაშვება შესამჩნევად უკვე აღარსად არ ირღვევა.

მართალია არა ყველგან, მაგრამ მრუდის უდიდეს ნაწილში (10-74 μ-დე) თითქმის სრულ ერთიდაიგივეობას, არაბის მრუდესთან შედარებისას, იჩენს სურას გაზაფხულის მატყლის მრუდე: იგივე 75% არის მოქცეული 10-30 μ შუა, იგივე სწრაფი განვითარება მრუდის წვერის 10 μ-დან—16 μ-დე; იგივე გაორება მრუდისა 18 μ-თან, მაქსიმუმი 20 μ-ზე, სწრაფი დაცემა მრუდისა 22 μ-თან და ბოლოს თანდათანობითი დაშვება ძირს 74 μ-თან.

---

1) И. Синицын. Крымская овца „малич" и Бухарская каракулевая „араби" Юрьев 1900 г.

2) დოც. ნ. იოსელიანი, მასალები თუშური ცხვრის ფენოანალიზისათვის (ტფ. სახ. უნივ „მოამბე" ტ. VIII).

3) Prof. dr. Lehman, Bedeutung und Hauptgrundlinien der Wollkunde. „Fragen der Schafzucht" Berlin 1920.

ნიმუშების მიკროსკოპულ გადამუშავებაში მეხმარებოდა აგრ. ნ. სანაძე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.




— შირა; ----- არაბი ..... სურა მრ. № 1. გაზაფხული.

მაგრამ, როგორც მრუდიდან ჩანს, 74 μ-თან წყდება ეს მატყლი და ექვსი მიკრონის შემდეგ 80 μ-თან იწყება ისეთი ბეწვები, რომელთა სისხოც ხშირად 200 μ აღწევს და რომელნიც არც არაბისა და არც კიდევ შირას მატყლში არ მოიპოვება.

სურას მრუდეშიაც იგი ჰქმნის სრულიად დამოუკიდებელ ბეწვთა ჯგუფს შთაბეჭდილებას; არც თავისი სისხოთი და, რაც უფრო მთავარია, არც თავისი ჰისტოლოგიური შენებით მატყლის დანარჩენ ჯგუფებთან მსგავსება არა აქვს. როგორც ნათქვამი იყო, მათი დიამეტრი ხშირად 200 μ აღწევს; თითქმის მთელი განი დაკავებული აქვს მკვიდრად ჩალაგებული გულის ნივთიერებას, მხოლოდ ნაპირზე რჩება ვიწრო ზოლი გამჭვირვალე ეპიდერმიული ქსოვილისა, რომელსაც ოდნავ ეტყობა უჯრედული სტრუქტურა. ერთი სიტყვით ეს ბეწვი სრული ერთიდაიგივეობაა იმ ბეწვთა, რომელნიც ძალიან ბლომად აქვს ცხვრის ყველა გარეულ ფორმებს და ოდნავ შემცირებულად ზოგიერთ პრიმიტივ შინაურ ცხვრებს (სომალი, ჰისარი, ყარაბაღი და სხვა).

შედარებით განსხვავებული მრუდის ფორმას გვაძლევს შირას მატყლი (მრ. № 1).

მისი სხვაობის სიგანე, როგორც სამივე მრუდის შედარებიდან ჩანს, მოთავსებულია 8-62 μ შუა, ე. ი. საგრძნობლად არის გადახრილი ნაზი ხარისხებისაკენ.

მრუდე იწყება 8 μ, სწრაფად ადის მაქსიმუმამდე, რომელიც განაწილებულია 14-16 μ შორის და იმავე სისწრაფით ეცემა ძირს; ჩაივლის 18 და 20 μ-ებს, რომელნიც როგორც ვიცით, სურასა და არაბის მატყლში, მაქსიმუმებია და 22 μ-თან ოდნავ შენელების შემდეგ 26 μ-თან თითქმის აბსცისსამდე ჩამოდის, რის შემდეგაც ისევ აიწევს მაღლა, 28 μ-თან, რამოდენსამე ხანს ერთს დონეზე რჩება, ხოლო 42 μ-თან წინა მდგომარეობას უბრუნდება.

ის პირველი შთაბეჭდილება, თითქო შირას მატყლი უფრო ნაზი უნდა იყოს დანარჩენ ორზე (5 A შირას აქვს 47,7%; სურას 40,4%; არაბს 36,7%) ქრება სრულიად, როდესაც ჩვენ განვიხილავთ არა მარტო 5 A ხარისხებს, არამედ ყველა ბეწვთა სისხოს მოკიდებული 5 A-დან—$B_2$-მდე; ამ მანძილის ფარგლებში სურა და არაბი მორიგეობით უსწრებენ მას და საბოლოო ანგარიშით უკანასკნელი ადგილი უჭირავს მატყლის წვრილ ხარისხების შემადგენლობის თვალსაზრისით. A და Bს ყველა ხარისხების ჯამი შირასათვის არის 73,9%, არაბისათვის 74,2%, ხოლო სურასათვის 76,7%. სამაგიეროდ C, D და E ხარისხებში შირა ისევ წინ უსწრებს ორივე დანარჩენს, მხოლოდ F ხარისხში სურა ისევ პირველ ადგილს ჭავებს.

C, D და Eს ჯამი ყველაზე დიდი აქვს შირას (25,9%), ამას მისდევს არაბი (24,5%), სურა კიდევ ძალიან ჩამოჰრჩება წინა ორს, მას აქვს მხოლოდ 20,3%.

F ხარისხი, როგორც ნათქვამიჲ, ყველაზე მეტი აქვს სურას (3%), ნაკლები არაბს (1,3%) და ამაზედ უფრო ნაკლები შირას (0,2%). ყველა ეს მომენტები ნათლად ჩანს შემდეგი ტაბულიდან:

ფრიად საყურადღებოა, გავაშუქოთ საკითხი, თუ როგორ არის განაწილებული სხვადასხვა სისხოს ბეწვი კანძის სხვადასხვა ადგილებში.

ამ მიზნით ავიღოთ და შევადაროთ ჩვეულებრივი ნიმუშების აღების ადგილები (ბეჭი-ბ; ფერდი-ფ და თეძო-თ) ერთმანეთს. არაბის დედების შემთხვევაში საინტერესო სურათი გვაქვს: ბ და თ'ს უფრო მეტი საერთო აქვთ მატყლის ცალკე ჯგუფების ერთგვარობის მხრივ ვიდრე ფ-ს.

ცხ. № 1.

| ხარისხები | 5 A | 4 A | 3 A | 2 A | A | $B_1$ | $B_2$ | A—B | C | D | E | C—E | F |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I ადგილი უჭირავს | შავი | სურა | სურა | არაბი | არაბი | შავი | არაბი | სურა | შავი | შავი | შავი | შავი | სურა |
| II | სურა | არაბი | არაბი | სურა | სურა | სურა | სურა | არაბი | არაბი | არაბი | არაბი | არაბი | შავი |
| III | არაბი | შავი | შავი | შავი | შავი | არაბი | შავი | შავი | სურა | სურა | სურა | სურა | არაბი |

შესამჩნევი ზედმიწევნილობით მეორდებიან 10-16 μ,—15-18 μ,—18-20 μ, 20-24 μ და სხვა ჯგუფებში მოქცეული ბეწვები, როგორც ბ'ს ისე თ'ს ნიმუშებში, იმ განსხვავებით, რომ 10 μ-ის მარცხნივ პროცენტულად სჭარბობს ბ ნიმუშის ჯგუფები მსგავს თ'სას, ხოლო მარჯვნივ თ ნიმუშის შესაფერის ბ'სას.

რაც შეეხება ფ ნიმუშს, აქ სისხოს მიხედვით ბეწვის დაჯგუფება ცოტა სხვაგვარია. მრუდე დასაწყისშივე დიდის ინტენსივობით ადის მაღლა და 16 μ გვაძლევს უმაღლეს წერტილს, წინაღმდეგ ბ და თ'სი რომელთა მაქსიმუმი 20 μ-ზე არის.

20 μ-თან ის ჩამოდის საკმაოდ ძირს, რის გამო იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ფ'ს მრუდე (ნახ ხარისხებში) შემობრუნებული თ და ბ'ს მრუდე იყოს.

აქედან ცხადია, რომ ფ'ს მატყლი უფრო მეტ მცირე დიამეტრის ბეწვს შეიცავს ვიდრე ბ და თ, ასე, მაგალითად, 5 A ფ'ს აქვს 46,2%; ბ'ს—35,6%, თ'ს—28,5%.

ასეთი სხვაობა შესამჩნევად იკარგება, როდესაც ბეწვთა შემადგენლობას ვიხილავთ A და B ხარისხების ფარგლებში. A და B ფ'ს უდრის 75,9%, იგივე ბეჭისა არის 75,4%, ხოლო თეძოს აქაც უკანასკნელი ადგილი უჭირავს; მისი პროცენტი უდრის 71,9. სხვაგვარია მდგომარეობა სურას შემთხვევაში. აქ ერთმანეთს უფრო ემსგავსებიან ფ და თ'ს ნიმუშები. ერთნაირი სწრაფი ტემპი მაღლა ასვლისა; პირველი უმაღლესი წერტილი 16 μ-ზე: ოდნავ დაწევა 18 μ-თან და მაქსიმუმი 20 μ-ზე. აქედან თითქმის შვეული დაშვება 24 μ-მდე და შემდეგ თანდათანობითი დასვლა აბსცისამდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თ ნიმუშს თითქმის თანასწორი პროცენტის რაოდენობა აქვს ბ'სთან, ხოლო გაცილებით მეტი მცირე დიამეტრის თმა აქვს ვიდრე ფ'ს. ასე, მაგალითად, 10 μ-იანი თმა თ'ს აქვს 2,3%; ბ'ს 2,2%, ფ'ს 1,7%; 12 μ-იანი თ'ს—5,5%, ბ'ს—8,8%, ფ'ს—4%; 14 μ-იანი თ'ს—10,8%, ბ'ს—10,5%, ფ'ს 7,9%; ასე ამნაირად 18 μ-მდე, რის შემ-



მრ. № 2. ყოჩები. გაზაფხული.

დეგ ფ უსწრებს. ასეთი უცნაური მოვლენით არის გამოწვეული ის გარემოება' რომ 5 A ხარისხი თ'ს აქვს 41,7%, ბ'ს აქვს 41 5%, ხოლო ფ'ს 37.4%.

ბ—ნიმუშში შედარებით წინა ორთან სხეადასხეა სისხოს ბეწვის განაწილება განსხვავებული არის.

საგრძნობლად კლებულობს 18-20 μ-ის ბეწვები, ასე რომ მაქსიმუმი 16 μ-ზე მოდის, მაგრამ მოკიდებული 22—60 μ-დე ყველა ზომის ბეწვები რიცხეობრივად მატულობენ. საბოლოოდ A—B ხარისხების ჯამი, მიუხედავად იმისა, რომ ნაზ ხარისხებში თ ნიმუში წინ დგას, უკანასკნელს აქვს მხოლოდ 74,5%, ფ'ს —77,8% და ბ'ს —77,5%.

შირას კანძში მდგომარეობა შეცვლილია. აქ მრუდეების აღმასვლისა და დაცემის ტემპი თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ ბ'ში მაქსიმუმად არის მოცემული 14-16 μ სისხოს ბეწვები, ფ'ში—12-16 μ და თ'ში—16-20 μ.

ხარისხების სინაზის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ფერდს (5 A=58,6%, A—B=79,4%); მეორე ადგილი ეკუთვნის ბ'ს (5 A=47.2%, A—B= =73,4%) და ბოლოში დგას თ'ს ნიმუში (5A=37.5%, A—B=68.3). აქედან გასაგებია ფ ნიმუშის მრუდის მძლავრი მარცხნივ, მხოლოდ თ'სი, პირიქით, მარჯვნივ გადაწევა და ის ძირითადი განსხვავება, რომელიც ამ სამ მრუდეთა შორის არსებობს.

თავისებურად არის დალაგებული ყოჩების გაზაფხულის მატყლი (დიაგ. № 2) აქ უკვე შირასა და სურას მატყლი უახლოვდება ერთმანერთს ნაზ ხარისხებში. ორივეს მაქსიმუმი აქვთ 16 μ-ზე.

ამის შემდეგ მრუდის მეორედ აწევა ხდება 20 μ-თან. ერთგვარი ტემპი მრუდის აღმასვლის, ძირს დაშვებისა და სხვა, მაგრამ აქაც, როგორც დედების შემთხვევაში, სურას მრუდე ძლიერ გაზიდულია, ჩვენთვის ცნობილ ტლანქი თმების არსებობის გამო.

განზე დგას არაბი. მისი მთავარი განსხვავება დანარჩენებიდან იმაში მდგომარეობს, რომ მრუდე გადაწეულია მარჯვნივ მსხვილ ხარისხებისაკენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არაბის ყოჩებს 5A=33,2% არის, სურასი 43% და შირასი 39,2%.

საგულისხმო არის სურას 5 A-ს დიდი პროცენტი. როგორც ნათქვამი იყო ცა ტაბულიდანაც (№ 3) ჩანს, სურას დედებს საშუალოდ მხოლოდ 40,4% აქვს 5 A ე. ი. 2,6% ნაკლები ვიდრე ყოჩს. ცხადია, ეს მოვლენა შემთხვევითი უნდა იყოს, რადგანაც საანალიზოდ აყვანილია მხოლოდ ერთი მამალი ცხვარი.

საერთოდ კი სამივე ფერის ცხვრებში ყოჩების მატყლი გაცილებით უფრო ტლანქია, ვიდრე დედების შემთხვევაში.

1. კარაკულის ცხვარში, როგორც ჯიშის ისე კანძის ფარგლებში გამოთანასწორებას (Ausgeglichenheit) ჯერჯერობით ადგილი არა აქვს.

2. სრულიად არ არის გამოთანასწორებული მატყლი შტაპელის ფარგლებში.

ამ მხრივ ხაზგასმით აღსანიშნავია სურას შტაპელი, რომლის ვარიაციის განის ინდექსი (Völtz) 93%-დე აღწევს (ტაბ. № 5).

3. სურასა და არაბის ბ'სა და ფ'ს ნიმუშები შეიცავენ ერთსა და იმავე რაოდენობას მცირე დიამეტრის (A—B) მატყლს, ხოლო თეძო ჩამორჩება მათ. რაც შეეხება სურას, სამივე ნიმუშების A—B რაოდენობა სხვადასხვანაირი აქვსთ; შემდეგი მიმდევრობით: ფ-შეიცავს ყველაზე მეტს, შემდეგ მას მისდევს ბ და უკანასკნელი ადგილი უჭირავს თ'ს.

4. ყოჩების მატყლი უფრო ტლანქი არის ვიდრე დედებისა.

**შემოდგომის მატყლი.**

პირველი, რაც თვალში ეცემა ადამიანს არაბის დედების გაზაფხულისა და შემოდგომის მატყლის შედარებისას, ეს არის მრუდის ძალიან მძლავრი გადაწევა მარცხნიდან (ნაზ ხარისხებიდან) მარჯვნივ მსხვილ ხარისხებისაკენ (დიაგ. № 3 და 4). როგორც ვთქვით, გაზაფხულის მატყლში მრუდე იწყებოდა 10 μ-დან და უკვე 16 μ-თან თავის უმაღლეს წერტილს აღწევდა, ეხლა კი მრუდე იწყება 14 μ-დან და მაქსიმუმს აღწევს მხოლოდ 20 μ-თან. სამაგიეროდ გაზაფხულის მრუდე თავდებოდა 72 μ-ით, ხოლო შემოდგომისა—82 μით. ამრიგად მრუდის გადაწევა ხდება უმთავრესად 5 A და ნაწილობრივად 4 A ხარისხების ხარჯზე.

მრუდის მოძრაობის ტემპიც, შედარებით გაზაფხულთან, შეცვლილია. აქ მრუდე საკმაო თანდათანობით ადის მაქსიმუმამდე და უფრო მეტის თანდათანობით ბრუნდება უკან, რადგანაც, როგორც მრუდიდან და ტაბულიდან (№ 3) ჩანს, არაბს შემოდგომაზე განსაკუთრებით გაჰზრდია საშუალო სინაზის ხარისხები (2 A, A, $B_1$ $B_2$).

შედარებით ნაკლებად აქვს მომატებული C, D და E; თუმცა უკანასკნელი ხარისხი ორივე დანარჩენი ფერის ცხვრებზე მეტი აქვს.

A—B ჯამი არაბისა უდრის 62,6%,—C—E=33,9%, F=3,5%. საკმაოდ გაზრდილა, როგორც ჩანს F ხარისხი.

სურასა და არაბის გაზაფხულის მატყლის ერთგვარობა შემოდგომაზე საგრძნობად ირღვევა (დიაგ. 1 და 3), ვინაიდან სურას შედარებით ნაკლებად დაუკარგავს 5 A ხარისხი. არაბის გაზაფხულის 5 A-დან შემოდგომაზე დაუკარგავს 76%, მაშინ როდესაც სურას ამავე ხარისხიდან მხოლოდ 55% დაჰკლებია; სურას მრუდე შემოდგომაზე იწყება 12 μ-დან, ადის 20 μ-თან მაქსიმუმზე, რის შემდეგ თანდათანობით ჩამოდის ძირს, 150 μ-თან მრუდის ასეთი დაგრძელება გამოწვეული არის იმ ტლანქი ბეწვებით, რომელიც უკვე მოხსენებული იყო გაზაფხულის მატყლის აღწერის დროს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ბეწვი რიცხვობრივად ძალიან მომატებული არის.

შირას მრუდე აქაც განსხვავდება დანარჩენ ორისაგან, თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან შემცირებულია.

შირას გაზაფხულის მატყლი ხასიათდება მცირე დიამეტრის ხარისხების მძლავრი განვითარებით ე. ი. მისი მრუდე შორს მარცხნივ სცილდებოდა ორი დანარჩენი ფერის ცხვრის მრუდეს, ხოლო ეხლა მას უჭირავს არაბისა და სურას მრუდეებს შორის საშუალო ადგილი. მას სურაზე ნაკლებიც კი აქვს 5 A ხარისხი (სურას 18%; შირას 15,6%).



მრ. № 3. შემოდგომა.



ამრიგად ყველაზე უფრო დიდი გადახრა მარჯვენივ შემოდგომის მატყლში განიცადა შირამ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ გაზაფხულის მრუდის პირველი მაქსიმუმი 14 μ-დან შემოდგომაზე გადატანილია 20 μ-ზე, მეორე 16 μ—22 და სხვა ე. ი. მრუდის გადანაცვლება მომხდარა დაახლოვებით 6 μ-ზე. შეუცვლელი რჩება მრუდის ალმასვლისა და დავარდნის ტემპი და მისი საერთო მოხაზულობა, ხოლო მრუდის დამახასიათებელი გადაკვეთილი თავი აქ უფრო აშკარად არის გამოსახული 24 μ-ის ბეწვის რაოდენობლივი გაზრდის გამო.

შირას მატყლის ადგილი დანარჩენი ორი ფერის ცხვართა შორის ნათლად ჩანს შემდეგ ტაბულიდან:

ტაბ. № 2.

| | 5 A | 4 A | 3 A | 2 A | A | $B_1$ | $B_2$ | A—B | C | D | E | C—E | F |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I ადგილი უჭირავს | სურა | შირა | შირა | შირა | არაბი | არაბი | არაბი | შირა | არაბი | არაბი | შირა | არაბი | სურა |
| II „ | შირა | არაბი | არაბი | არაბი | სურა | შირა | სურა | სურა | სურა | სურა | არაბი | შირა | არაბი |
| III „ | არაბი | სურა | სურა | სურა | შირა | სურა | შირა | არაბი | შირა | შირა | სურა | სურა | შირა |

ბ, ფ და თ ნიმუშების შედარება შემოდგომის მატყლში შემდეგ სურათს გვაძლევს: გაზაფხულზე, როგორც უკვე ვიცით, ბ და თ'ს ნიმუშების მრუდეები იმდენ ერთგვარობას იჩენდენ, რომ ფ ნიმუში ცალკე გამოთიშული რჩებოდა, ხოლო შემოდგომაზე პირიქით ბ და ფ'ს მრუდეები უფრო მეტად ჰგვანან ერთმანერთს ვიდრე თ'სა და ბ'ს ან კიდევ თ'სა და ფ'ს.

საერთოდ კი არაბის საკმარისად ემჩნევა მატყლის გამოთანასწორება კანძის ფარგლებში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 5 A ხარისხი ბ'ს აქვს 7,6%; ფ'ს 11% და თ'ს 8,7.%.

უფრო ნაკლები განსხვავებაა A და B ჯამში; ბ=61,4%; ფ=62,8%; თ=62,2%. ამრიგად ის სხვაობა, რომელიც არსებობდა არაბის მატყლში გაზაფხულზე ერთის მხრივ ბ და ფ'ს და მეორეს მხრით თ'ს შორის შემოდგომაზე, საგრძნობად შემცირებულია.

ალსანიშნავია ის მოვლენა, რომ ფ'ს შემდეგ ნაზი ბეწვის (5 A ხარისხის) სიმრავლის თვალსაზრისით თ—დგას, და არა ბ, როგორც ეს გაზაფხულის მატყლის შემთხვევაში იყო. მრუდეების ფორმის დაახლოვება სურაშიაც ძალიან საგრძნობია. დაახლოვება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბ ნიმუშში გაზაფხულის მატყლის მრუდის განკვეთა 18 μ-თან სავსებით ამოვსებულია და პირიქით ფ'სა და თ'ს 20 μ-ის სისხოს თმები შემცირებულია.

იმ მოვლენას, რომ ფ'ს 5 A ხარისხში უკანასკნელი ადგილი ეჭირა, შემოდგომაზე ადგილი არა აქვს; აქ უკვე შემდეგნაირი მიმდევრობა აქვთ: ფ (5 A=46,2%); ბ (5 A=36,6%) და თ (5 A=28,5%).

რაც შეეხება A—B ჯამს, აქ ისეთივე მდგომარეობა რჩება, როგორიც გაზაფხულზე იყო ე. ი. ბ'სა (A—B=75,4%) და ფ'ს (A—B=75,9%) თითქმის ერთი და იგივე, ხოლო თ'ს (A—B=71,9%) შედარებით ნაკლები პროცენტული

რაოდენობა ახასიათებთ. როგორც ვთქვით, შირას გაზაფხულზე კანძის ფარგლებში მატყლის გამოთანასწორების თვალსაზრისით უკანასკნელი ადგილი ეჭირა; ეხლა კი მრუდეთა სხვაობა მინიმუმამდე არის დასული. ფ ნიმუშის მრუდემ ძალიან დაიწია მარჯვნივ და ჩადგა ორ დანარჩენთა შორის, რის გამო ის დიდი სხვაობა, რომელიც არსებობდა გაზაფხულზე 5 A ხარისხის რაოდენობაში, შედარებით შემცირებულია, ბ'ს 5 A აქვს 13%, ფ'ს—16,7% და თ'ს 17%.

A—B ჯამი ბ'ს აქვს 66,9%, ფ'ს—71,3% თ'ს—69,7%.

აქაც ის უცნაური მოვლენა, რომ თ ნიმუშს 5 A ხარისხის სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო A—B ჯამით მეორე. გაზაფხულის მიმდევნობა ფ ბ-თ დარღვეულია. ამრიგად სამივე ფერის ცხვრის დედების მატყლის ანალიზი შემოდგომაზე გვაძლევს შემდეგ სურათს:

1. შემოდგომაზე, როგორც გაზაფხულზე, მატყლის შემადგენლობის მხრივ ადგილი აქვს სრულ გამოუთანასწორებლობას.

2. კანძის სხვადასხვა (ბ-ფ-თ) ადგილები, შედარებით გაზაფხულთან, უფრო გამოთანასწორებულია.

3. შტაპელის ფარგლებში მატყლის სინაზის ვარიაციის განი, როგორც შირაში, ისე არაბიში საგძნობლად შემცირებულია, მაგრამ გამოთანასწორების ნიშნებზე ზედმეტია ლაპარაკი.

4. სურას პირიქით, გაზრდილი აქვს ხსენებული ვარიაციის განი.

5. მცირე დიამეტრის ბეწვის სიმრავლისა და პირიქით მსხვილის ნაკლებობის თვალსაზრისით პირველი ადგილი უჭირავს არა სურას, როგორც ამას გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი, არამედ შირას და მხოლოდ მეორე ადგილას გამოდის სურა, მესამეზე კი არაბი.

6. შემოდგომის მატყლი გაცილებით უფრო ტლანქია ვიდრე გაზაფხულისა, რის გამო ხდება მრუდის გადანაცვლება მარცხნიდან (უწვრილეს ხარისხებიდან) მარჯვნივ (მსხვილ ხარისხებისაკენ).

7. მრუდეების გადანაცვლება ხდება უწვრილესი ხარისხების მოსპობის გამო, ხოლო მისი ანაზღაურება ასამდე ხდება უმთავრესად საშუალო სისხოს ბეწვების რიცხვობრივ გაზრდით, ხოლო ძალიან მცირე როლს ხსენებულ მოვლენაში თამაშობს ტლანქი ხარისხების გაზრდა.

8. როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის მატყლის მრუდეთა განხილვამ დაგვარწმუნა იმაში, რომ შირასა და სურას მატყლში ჰოეპოვებათ ისეთი ელემენტები (მატყლის ნაზი ხარისხის განსაკუთრებული განვითარება შირაში და პირიქით ტლანქისა სურაში), რომელნიც საკმაო სიცხადით მიჯნავენ, როგორც მათ ერთი მეორისაგან, ისე ორივეს მესამე არაბისაგან.

9. ყოჩების მატყლი უფრო ტლანქი არის ვიდრე დედებისა.

### მატყლის გულიანობა.

რადგანაც მატყლის გულიანობის საკითხი თეორიული და განსაკუთრებით ტექნიკური თვალსაზრისით დიდ ინტერესს წარმოადგენს, მიკრომეტრულ ანალიზთან ერთად ყოველ ნიმუშში წარმოებდა გულიანობის სამი (მთლიანგულია-

ნებისა, წყვეტილგულიანების და წერტილგულიანების) კათეგორიის უბრალო აღრიცხვა.

შედეგები ამ ათვლისა მოცემულია მთლიანად ტაბ. № 4-ში.

როგორც უკვე ტაბულის ერთი გადახედვიდან ჩანს, გაზაფხულის მატყლში ყველაზე მცირე რიცხვი გულიან თმებისა მოდის არაბის დედა ცხვარზე. აქ არის შემთხვევები, როდესაც ცხვარს სრულებით არა აქვს არც ერთი სახის გულიანობა; ასეთია № 177,139, ხოლო 140სა და 143ს იმდენად მცირე რაოდენობა აქვსთ, რომ თავისუფლად შეიძლება უგულო მატყლიან ცხვრებს მივაკუთვნოთ.

როგორც ეტყობა, გაზაფხულზე მთლიანგულიანი მატყლი უფრო მეტი გვხვდება ვიდრე დანარჩენი ორი კატეგორიისა; ასე, მაგალითად, შვიდივე არაბის დედების კანძში მთლიანგულიანი მატყლი საშუალოდ არის 3,1%; წყვეტილგულიანი 1,6, ხოლო წერტილებიანი 0,71%. მთლიანგულიანი ბეწვები ყველაზე მეტი გვხვდება თ ნიმუშში, შემდეგ მას მისდევს ფ და ბოლოს დგას ბ ნიმუში.

იგივე არის ზოგიერთი გამონაკლისით სურასა და შირას დედების მატყლშიაც.

ყოჩებში ასეთი მიმდევრობა რჩება მხოლოდ არაბის შემთხვევაში, დანარჩენებში კი დარღვეულია.

მთლიანგულიან ბეწვთა რაოდენობის მხრივ დედებში პირველი ადგილი უჭირავს სურას (16,7%), მას მისდევს ცოტაოდენი განსხვავებით შირა (16,5%), ხოლო სულ ბოლო ადგილი უჭირავს არაბს (3,1%).

სურათი ძირიანად იცვლება სამივე სახის გულიანობის განხილვის დროს. აქ პირველობა ეკუთვნის შირას (36,25%), მეორე ადგილზე გამოდის სურა (26,9%) და მხოლოდ ძალიან დიდი განსხვავების შემდეგ მესამე ადგილზე დგას არაბი (5,4%).

ყოჩებში იგივე მიმდევრობაა დაცული, მხოლოდ რიცხვობრივად სამივე სახის გულიანობა გაზრდილი არის (შირას ყოჩს აქვს 40,66%, სურას—32,5%, არაბის 27,3%).

ცხადია, ყოჩებისა და დედების საშუალო იგივე სურათს გვიჩვენებს.

ძალიან დიდი განსხვავება გულიანობის მხრივ შედარებით გაზაფხულთან ეტყობა შემოდგომის მატყლს.

გარდა შირასა, სურას დედებისა და არაბის ყოჩისა, სადაც წყვეტილგულიან ბეწვთა რიცხვი მცირდება, ყველა სახის გულიანობის ბეწვები ყველა ფერისა და სქესის ცხვრებში მომატებული არის.

არაბის შემთხვევაში გულიან ბეწვთა საერთო რიცხვი გაზაფხულის 5,4%დან შემოდგომაზე 16%მდე ადის, შირაში 36,25%—41.7%ს აღწევს, ხოლო სურაში 26,9%—53,3%. უფრო მეტიც: არაბის დედა ცხვრებს № 177 და 139 სრულებით არა ჰქონიათ არც ერთი სახის გულიანი ბეწვები, ხოლო შემოდგომაზე პირველს წერტილ-გულიანი აქვს 15%ის რაოდენობით, მეორეს კიდევ მთლიანგულიანი 1%, წყვეტილგულიანი 0,5% და წერტილგულიანი 9,5%. მოვლენა ფრიად საგულისხმო არის, რის გამო დაგვჭირდება ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ მას.

ყველაზე მეტად გაზრდილა გულიანთა რიცხვი არაბის ცხვარში (3-ჯერ), შემდეგ სურაში (2-ჯერ) და ბოლოს შირაში (დაახლოვებით 1,2-ჯერ); შესაფერისად ოდნავ შეცვლილია მიმდევრობაც. პირველი ადგილი შირას კი არა, სურას უჭირავს, ხოლო არაბი აქაც მტკიცედ დგას უკანასკნელ ადგილზე.

გაზაფხულისა და შემოდგომის გულიან ბეწვთა საშუალოს განხილვისას მივიღებთ შემდეგ სურათს: სურას აქვს 40.1%, შირას 38.9% და არაბის 10,7% გულიანი ბეწვი.

1. კარაკულის ცხვარი ეკუთვნის იმ ცხვართა ჯგუფს, რომელთაც მატყლის ნაწილი გულიანი აქვთ.

2. კარაკულში გვხვდება სამი სახის გულიანობა: მთლიანი, წყვეტილი და წერტილიანი.

3. გაზაფხულისა და შემოდგომის მატყლში მთლიანგულიანი და წყვეტილგულიანი ბეწვები ყველაზე მეტი აქვს თეძოს ნიმუშს, მას მოჰყვება ფერდი და ბოლოში დგას ბექი.

წყვეტილგულიანობით გაზაფხულზე უფრო მდიდარია ბ, შემდეგ ფ დაბოლოს თ, ხოლო შემოდგომაზე პირველი ადგილი უჭირავს თ'ს, მას მოჰყვება ფ და ბ.

4. სამივე ფერის ცხვრებიდან გულიანბეწვთა ყველაზე დიდი რაოდენობა აქვს სურას, შემდეგ შირას და ორ წინაზე ბევრად უფრო ნაკლები არაბის.

5. შემოდგომაზე ყველა კათეგორიის გულიანობა ყველა ფერისა და სქესის (ზოგიერთ შემთხვევითი მოვლენების გარდა) ცხვრებში გაზრდილია შედარებით გაზაფხულის მატყლთან.

6. არის შემთხვევები, როდესაც გაზაფხულზე არცერთი სახის გულიანობის ბეწვი არ მოეპოვება ცხოველს, ხოლო შემოდგომაზე მას საკმაო დიდი რაოდენობით უჩნდება

7. ყოჩებს მატყლში გულიან ბეწვთა რაოდენობა გაცილებით მეტი აქვსთ, ვიდრე დედაცხვრებს.

### გამომდინარე საკითხები.

კარაკულის მატყლის მიკროსკოპის ქვეშ შესწავლის დროს გზადაგზა ჩვენ წავაწყდით მთელ რიგს ისეთი საკითხებისას, რომელთაც სიჩუმით გვერდს ვერ ავუვლით, თუმცა ეს საკითხები ჩვენ თემას უშუალოდ არ ეხება; ვერ ავუვლით გვერდს მით უმეტეს, რომ ისინი ძოოტექნიის თვალსაზრისით ცხოველ ინტერესს წარმოადგენენ. მათგან შევეხებით მხოლოდ რამოდენიმეს. პირველყოვლისა საკითხი ეხება შემოდგომაზე ტლანქ ხარისხების გაზრდას (დიაგ. № 4).

ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები შესაძლებელია იყოს: 1. მატყლის ფორმაციის ცვლა წლის დროისდა მიხედვით (უმთავრესად ზამთრისათვის ბუსუსის წამოზრდა).

2. ყოველივე ცალკე ბეწვის დამსხვილება ზაფხულის განმავლობაში კვების ან რომელიმე სხვა ფაქტორის შეცვლით, შედარებით ზამთართან და

3. ორივე ამ ფაქტორის ერთსა და იმავე დროს ზეგავლენის გამო (ნ. ოსილიანი).

საეჭვო არის, რომ მარტო პირველი მიზეზის გამო ხდებოდეს შემოდგომის მატყლის დასხვილება (ან კიდევ სხვილ ბეწვის რიცხობრივი გაზრდა), რადგანაც ნაზამთრი ბეწვის არსებობა გაზაფხულზე და სრული გაწმენდა მატყლის (გაზაფხულზე გაპარსვის შემდეგ) ზაფხულის განმავლობაში, ცხადია, გამოიწვევდა შემოდგომის მრუდის გაცილებით მეტ გადახრას მარჯვნივ (მსხვილ ხარისხებისაკენ), ვიდრე ეს ეხლა გვაქვს ე. ი. ნაზამთრი ბუსუსის დაკარგვის შემდეგ მისი კომპენსაცია უნდა ხდებოდეს მატყლის უტლანქეს ხარისხების გაზრდით და არა რომელიმე საშუალო დიამეტრის ბეწვთა რიცხობრივ მომატებით.

ნამდვილად კი ფაქტები საწინააღმდეგოს გვიჩვენებენ. შირას შემთხვევაში გაზაფხულის 10-18 μ ფარგლებიდან შემოდგომაზე იკარგება მთელი მატყლის 32.4%, ხოლო უკანასკნელის 88%, შემოდგომაზე ანაზღაურდება 20-32 μ-ს ფარგლებში მოთავსებულ ბეწვთა რიცხობრივ გაზრდით და მხოლოდ დანარჩენი 12%-ის დანაკლისი შეივსება 32 μ-82 μ ფარგალში შემავალ ბეწვებით.

აქედან ცხადია, რომ შემოდგომის მატყლის ასეთ საგრძნობ სხვაობას შედარებით გაზაფხულთან მარტო მატყლის ფორმაციების ცვლას ვერ მივაწერთ, არამედ მისი გავლენა უნდა განვსაზღვროთ ბუსუსის დაკარგვის შედეგად მიღებული ტლანქი ბეწვის შედარებითი რიცხობრივი ზრდით, მეორეს მხრივ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პარალელურად მიმდინარეობს მეორე პროცესი; პროცესი ბეწვთა დიამეტრის ზრდისა, რომლის ერთად ერთი მიზეზი, ჩვენში კარაკულის მეურნეობის პირობებში, კვების გაძლიერება უნდა იყოს[1].

ამრიგად, ამავე საკითხის შესახებ ნ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს მიერ გამოთქმული წინასწარი აზრი, რომელიც მან თუშური ცხვრის მატყლის შესწავლის შედეგად მიიღო, კარაკულის მასალაზე უფრო მტკიცე ხასიათს იღებს. ყოველ შემთხვევაში აუცილებელი ექსპერიმენტალი კვლევა, რომელსაც შეუძლია ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა, სწორედ ამ მხრივ უნდა იქმნეს მიმართული.

ამავე ხასიათისა არის შემოდგომაზე გულიანობის ზრდის საკითხი.

როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, გაზაფხულზე ცხვრებს № 177 და 139 სავსებით არ მოეპოვებოდათ მატყლში გულიანი ბეწვები, ხოლო №№ 140 და 143ს იმდენად მცირე რაოდენობით ჰქონდათ, რომ სრული უფლებით შეგვეძლო მიგვეკუთვნებინა უგულო მატყლიან ცხოველებისათვის. შემოდგომაზე კი სურათი სხვაგვარია. № 177ს 15% წერტილგულიან ბეწვი აქვს, № 139ს კი 11%, ხოლო № 140ს 0,5%—15,5%-დე და № 140 1,5%—31%-მდე ადის.

---

[1]) ხსენებული საკითხის გარშემო ფრიად საყურადღებო ცდები აქვს პროფ. И в а н о вს. მას Аскания Новаში რამოდენიმე ჯიშის ბატკნებზე უცდია გაერკვია ინტენსიურისა და, პირიქით, დაკლებული კვების გავლენა მატყლის თვისებაზე და რაოდენობაზე.

ყველა მის მიერ მიღებული შედეგებიდან ჩვენთვის საინტერესო არის ის გარემოება, რომ ცუდი კვების გავლენით ხდება არა მარტო მატყლის სიგრძის დაკლება, არამედ მისი დიამეტრის შემცირებაც. აქაც უშუალოდ საკითხის ირგვლივ ნაწარმოები ცდები მოყვანილ მოსაზრებას ემოწმება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხსენებული ცდები უეჭველად განმეორებული უნდა იქმნეს, რადგანაც Ивановის მიერ წარმოებული ცდების ილეთი უნაკლოდ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ საცდელად აყვანილი არის არა ზრდადამთავრებული ცხოველები არამედ მოზარდი თაობა, რომელთა მატყლის რაოდენობაზე შესაძლებელია კვების გარდა მოქმედებდეს სხვა რომელიმე ზრდის პროცესსით გამოწვეული ფაქტორი.

საერთოდ გულიან ბეწვთა რიცხვი შემოდგომაზე უმრავლეს შემთხვევაში ერთი ორად (და ხშირად მეტადაც) არის გაზრდილი (ტაბ. № 4).

ანალოგიური მოვლენა ჰქონდა ნ. იოსელიანს თუშური ცხვრის შემთხვევაში.

ცხვარს № 76ს გაზაფხულზე სრულიად არ ჰქონდა გულიანი თმა, შემოდგომაზე კი 14.17%-მდე გაუჩნდა, ხოლო №№ 68, 95,103 და 107 გაზაფხულის სრულიად უმნიშვნელო (0.17, 0.17, 0.67 და 0,83) პროცენტი რამოდენიმეჯერ (16.67, 9.33, 12.50 და 15.50) გაიზარდა. ორსავე ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენ გარკვეულად საქმე გვაქვს ორს ერთსა და იმავე დროს მიმდინარე პროცესთან: ერთის მხრივ არსებულ გულიანი ბეწვების რიცხობრივ ზრდასთან, მეორეს მხრივ კი—გულიანობის სრულიად ახლად წარმოშობასთან.

თუ ჩვენ მოეინდომებთ მოვლენის განმარტებას, უნდა მივმართოთ ისევ იმ ორ ფაქტორს, რომელიც შემოდგომის მატყლის დატლანქებას იწვევდა.

პირველი ფაქტორი ე. ი. მატყლის ერთ-ერთი ფორმაციის გაცვენა გაზაფხულზე იწვევს გულიან ბეწვთა რიცხობრივ ზრდას, ხოლო მეორე—კვება, გულიანობის ახლად წარმოშობას.

თავისთავად ცხადია, რომ კვება ამ გულიან ბეწვებს წარმოშობს არა fiat luxის სახით, არამედ მის ნიადაგზე ხდება რეაქციის ნორმის მაქსიმუმის გამომჟღავნება.

აქაც საკითხის საბოლოო გადაჭრა უშუალო ექსპერიმენტალ ცდებს უნდა მივანდოთ.

შემდეგი, ფრიად საყურადღებო, საკითხი არის სურას მატყლში ნაპოვნ მსხვილი დიამეტრის ბეწვთა გენეზისის საკითხი.

როგორც უკვე იყო მოხსენებული, ეს ბეწვები ძირიანად განსხვავდება მატყლის სხვა ელემენტებისაგან, როგორც თავის სისხოთი ისე ჰისტოლოგიური ნაშენობით და, ეტყობა, მუდამ თანსდევენ სურას თავისებურ (ნათელიდან მუქამდე გარდამავალ) ყავისფერს.

გადამუშავებულ მასალაში არც არაბისა და არც კიდევ შირას ცხვრებში ასეთი თმა არ მინახავს, ხოლო სურას ხუთსავე დედასა და ერთს ყოჩს, რომელთა მატყლის ანალიზის საშუალება გვქონდა, ასეთი სახის თმები მრავლად მოეპოვებოდათ (იხ. დიაგ. № 1,2 და 3); ასე რომ ფერისა და ამ თმების ერთგვარი დაკავშირების ფაქტი უეჭველად არსებობს.

რა სახის კავშირი არის შესაძლებელი?

ამ საკითხის გასარკვევად ჩვენ უნდა მივმართოთ იმ განმარტებას სურას ფერის შესახებ, რომელსაც იძლევა ზემოთ-დასახელებული ვენელი პროფ. Adametzo.

მისი აზრით, შავი კარაკულები (არაბი) დიდ უმრავლეს შემთხვევაში ფერის მიმართ ჰომოძიგოტურნი არიან, ხოლო იმავე დროს არსებობს მეორე მცირე ნაწილი, რომელიც ამავე თვისების მიმართ ჰეტეროძიგოტობას იჩენენ.

ყავისფერის ფაქტორი ჰეტეროძიგოტ არაბის ცხვარში რჩება რეცესიულ (ჰიპოსტატურ) მდგომარეობაში იმ დრომდე ვიდრე ამ ჯურის ინდივიდების შეწყვილების შედეგად არ გამოითიშება ჰომოძიგოტური ყავის ფერის ცხოველები.

ამრიგად მისი სავსებით მისაღები მოსაზრების თანახმად ყავის ფერი კარაკული (სურა) ფერის მიმართ მუდამ ჰომოძიგოტურია.

ამავე გზით უნდა ავხსნათ აღწერილი ბეწვების არსებობა სურას კანძში. მათი ფაქტორი მოთავსებულია ფერის ფაქტორთან ახლო (შესაძლებელია გვერდითაც); ერთად იმყოფებიან ჰეტეროძიგოტ მდგომარეობაში არაბის გენოტიპში და ერთადვე გამოითიშებიან ჰომოლოგიურ ფაქტორებთან შეხვედრისთანავე. ეს არის ყველაზე უფრო შესაძლებელი გზა, რომლითაც აიხსნება ნახსენები ფერისა და ტლანქი თმების თანამგზავრობა.

მაგრამ მოვლენის ასეთი განმარტება სრულებითაც არ არის ამომწურავი, რადგანაც აქვე ისმის მეორე საკითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ თავდაპირველად რა გზით შემოიჭრა კარაკულის გენოტიპში ეს ორი (და შესაძლებელია მეტიც) ფაქტორი?

პასუხისათვის ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთი შესწორებით გამოვიყენოთ რუსეთში კარგად ცნობილი სპეციალისტის Синицын-ის აზრი [1].

მისი შეხედულებით ყავისფერ კარაკულების წარმოშობა არის შედეგი რასსულ ატავიზმისა, რომელსაც თავის მხრივ მიზეზად უდევს ოდესღაც მომხდარი კარაკულისა და დუმიანი ცხვრის შეჯვარედინება. ცხადია, ასეთი გაბედული მოსაზრება მთლიანად სურასი ამ გზით წარმოშობისა, ვიდრე სათანადო შედარებითი (სურასა და დუმიანი ცხვრის) მორფოგენეტიური ანალიზი არ ჩატარებულა, ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ზოგიერთ თვისებათა მიმართ კი დასაშვებია; კერძოდ, ფერისა და ტლანქი ბეწვების გენეზისის დაკავშირება დუმიანი ცხვრის ანალოგიურ ელემენტებთან სავსებით შესაძლებლად უნდა იქმნეს აღიარებული, უფრო მეტიც, ამ მხრივ გარკვეულად შეიძლება დასახელებულ იქმნეს არა მარტო ისეთი დიდი და ფრიად გავრცელებული ცხვრის ჯგუფი, როგორიც არის დუმიანი ცხვარი, არამედ ამ ჯურის ცხვრის ერთერთი ჯილეგი, რომელიც მეცხვარეობის ლიტერატურაში ჰისარის ცხვრის სახელით არის ცნობილი.

ნათელიდან მუქამდე ყავის ფერი ჰისარის ცხვარი გავრცელებულია თურქესტანის მაღლობ ადგილებში, ხოლო საკმაო რაოდენობით შენდება დაბლობშიაც კარაკულის ფარების გვერდით. უფრო ხშირად კიდევ ჰისარი გვხვდება თვით კარაკულის წმინდა ფარებში, როგორც სახორცე საქონელი.

ამიტომაც სრულიად არ არის გასაკვირალი, რომ ასეთ ახლო ყოფნის დროს, არამც თუ შორეულ წარსულში, როდესაც ჰისარი უეჭველად უფრო გავრცელებული იქნებოდა, არამედ ეხლაც ასეთი შერევა მომხდარიყო და ამის შედეგად ტიპიური კარაკულის თვისებათა კომპლექსს მიჰმატებოდა ორი ახალი რეცესიული ფაქტორი: ფაქტორი ფერისა და ფაქტორი ტლანქი თმებისა [2].

ამ აზრის სიმართლის შემდეგი დასაბუთება იქნებოდა, თუ ვიპოვიდით ჰისარის მატყლში სურას ტლანქითმების მსგავს ელემენტებს. ამ მხრივ მიმართული მუშაობაც, რომელიც ჩატარებულ იქმნა შინაურ ცხოველთმომშენებლობისა

[1]) Синицын, Крымская овца „малич“ и бухарская овца „араби“. Юрьев, 1900.

[2]) აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არაბისა და ჰისარის ჰიბრიდს ($F_1$), რომელიც მიღებულია შინაურ ცხოველთმომშენებლობისა და გენეტიკის კათედრის საცდელ ფარეხში, ორი ხსენებული ფაქტორი სრულ ჰიპოსტატურ მდგომარეობაში ჰქონდა.



სურა ჯისარი

მრ. № 5



ჭისარი.



სურა.

| | ომის მატყლი | | | | | | | | შენიშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ას₁ | B₂ | C | D | E | F | A-B | C E | F | |
| №№ .7 | 7.3 | 18.5 | 10.5 | 16.5 | 9 | 45.5 | 45.5 | 9 | არაბი |
| „ .8 | 6.1 | 10.7 | 4.8 | 20.5 | 6.2 | 57.8 | 36 | 6.2 | |
| „ .7 | 7.8 | 12.3 | 18.8 | 9.5 | 0.2 | 59.2 | 40.6 | 0.2 | |
| „ .5 | 5.8 | 8.5 | 3.3 | 7.5 | 6.5 | 74.2 | 19.3 | 6.5 | |
| „ .5 | 5.2 | 5.3 | 10.3 | 15.2 | — | 69.2 | 30.8 | — | |
| „ 9 | 9.2 | 16.2 | 9.8 | 6.8 | 0.2 | 67 | 32.8 | 0.2 | |
| „ .5 | 7.7 | 8.5 | 8.7 | 14.8 | 2.5 | 65.5 | 32 | 2.5 | |
| დედებ .1 | | 11.4 | 9.5 | 13 | 3.5 | 62.9 | 33.9 | 3.5 | |
| I .7 | 2.7 | 9.4 | 5.4 | 9.8 | 9.3 | 66.1 | 24.6 | 9 | |
| „ II .2 | 4.5 | 6.3 | 3.5 | 18.7 | 4.8 | 66.7 | 28.5 | 4.8 | |
| „ III .1 | 3.3 | 4.3 | 0.2 | 9.5 | 3.2 | 76.8 | 20 | 3.2 | |
| საშუალ | 3.5 | 6.7 | | 12.7 | 5.8 | 69.8 | 24.4 | 5.8 | |
| საშუალ ყოჩებ .7 | 6 | 10 | 8.2 | 12.2 | 4.5 | 65.1 | 30.4 | 4.5 | |
| 152 .2 | 2.8 | 7.8 | 7.5 | 13.8 | 0.7 | 70.2 | 29.1 | 0.7 | შირა |
| „ 176 .2 | 4.8 | 5.8 | 4.2 | 19.8 | 2.6 | 67.6 | 29.8 | 2.6 | |
| „ 163 | 6.5 | 9.7 | 7.5 | 11.7 | 1.3 | 69.8 | 28.9 | 1.3 | |
| საშუალ .8 | 4.7 | 7.8 | 6.1 | 15.1 | 1.5 | 69.2 | 29.2 | 1.5 | |
| შირვ | ი ა რ ა რ ი ს | | | | | | | | |
| საშუალ ჩების ერ | — | — | — | — | — | — | — | — | |
| 172 | 7.4 | 9.5 | 6 | 14.8 | 4.5 | 65.2 | 30.3 | 4.5 | სურ |
| „ 151 .7 | 8.8 | 14.3 | 10.2 | 7.2 | 15.3 | 53.2 | 31.5 | 15.3 | |
| „ 151 .2 | 0.2 | 4 | 6.5 | 7 | 6.6 | 75.9 | 17.5 | 6.6 | |
| „ 159 .7 | 9 | 15.2 | 7.3 | 7.8 | 6 | 63.7 | 30.3 | 6 | |
| „ 144 .5 | 3.2 | 2.2 | 4 | 9.7 | 11.8 | 72.3 | 15.9 | 11.8 | |
| საშუალ .6 | 5.7 | 9 | 7 | 9.3 | 8.8 | 65.9 | 25.3 | 8.8 | |
| სურვ | ი ა რ ა რ ი ს | | | | | | | | |
| საშუალ ჩის ერ | — | — | — | — | — | — | — | — | |
| სამივე ბისა დ .7 | 4.3 | 7.5 | 5.7 | 12.2 | 5.9. | 68.7 | 25.4 | 5.9 | |





# Völtz-ის ინდექსები. სამივე ფერის ცხვრისათვის გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

| №№ ცხოველების | ვარიაციის ფარდი | | ვარიაციის ფარდი % | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | გაზაფხული | შემოდგომა | გაზაფხული | შემოდგომა | |
| 177 | 10 — 66 | 16 — 76 | 85 | 80 | არაბი |
| 139 | 12 — 80 | 14 — 82 | 85 | 83 | |
| 140 | 10 — 60 | 12 — 64 | 83 | 81 | |
| 159 | 10 — 84 | 16 — 90 | 88 | 82 | |
| 143 | 10 — 60 | 10 — 60 | 83 | 83 | |
| 184 | 10 — 60 | 14 — 62 | 83 | | |
| 175 | 10 — 90 | 12 — 76 | 89 | 84 | |
| ♂ I | 10 — 58 | 12 — 92 | 83 | 87 | |
| ♂ II | 10 — 74 | 14 — 92 | 86 | 85 | |
| ♂ III | 10 — 78 | — | 87 | — | |
| 152 | 10 — 76 | 12 — 60 | 87 | 80 | შირა |
| 176 | 10 — 57 | 14 — 82 | 81 | 83 | |
| ♂ | 10 —110 | — | 91 | 76 | |
| 163 | — | 16 — 68 | — | — | |
| 172 | 10 — 82 | 14 — 88 | 88 | 91 | სურა |
| 151 | 10 —114 | 14 —200 | 91 | 93 | |
| 157 | 10 —120 | 10 —142 | 92 | 93 | |
| 153 | 10 — 154 | 16 —156 | 93 | 90 | |
| 144 | 10 —135 | 12 —104 | 92 | 91 | |
| ♂ | 10 —110 | — | 91 | — | |

და გენეტიკის კათედრასთან არსებულ ლაბორატორიუმში, სავსებით ადასტურებს მოყვანილ მოსაზრებას.

სურას ტლანქ ბეწვთა ანალოგების მონახვის მიზნით ჰისარას მატყლში აყვანილ იქმნა უკანასკნელის 5 დედა და 1 ყოჩი.

მათი მატყლის იმავე სახის (როგორც სურას მატყლის კვლევის დროს იყო) ანალიზის შედეგად მივიღეთ მრუდე № 5.

როგორც ამ მრუდიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ნაწილში ე. ი. ტლანქ ხარისხებში ისეთივე სისხოს ბეწვთა პატრონია ჰისარი, როგორიც სურას მატყლის კვლევის დროს შეგვხვდა და რომელნიც მისთვის ესოდენ დამახასიათებელია.

შემდეგ, ამ თმების ერთგვარობისა თუ სხვადასხვაობის უფრო დაახლოვებით გამორკვევის მიზნით მოხდენილ იქმნა მათი ჰისტოლოგიური შენების შემოწმება. მათი თითქმის სრული იდენტივობის თავდები აქ დართული სურათები არის. ამ რიგად აქაც სავსებით საკმარისი საბუთი გვეძლევა ვილაპარაკოთ სურასა და ჰისარის ხსენებულ ორ თვისებათა ერთგვარ გენეტიური კავშირის შესახებ.

რასაკვირველია, ამავე ფაქტების საფუძველზე შესაძლებელი იყო დასკვნისათვის უფრო ზოგადი ხასიათი მიგვეცა და ჰისარის ნიადაგზე სურას არა მარტო ცალკე თვისებათა წარმოშობა წარმოგვედგინა, არამედ უკანასკნელის არსებობა ჰისარისა და არაბის შორის შესაძლებელ ჰიპრიდიზაციაზე დაგვემყარებინა, მაგრამ თემის შეზღუდული ფარგალი და ამ მხრივ მიმართულ ექსპერიმენტალ კვლევათა საბოლოო შედეგის უქონლობა გვაიძულებს, ეს საკითხი უფრო მოხერხებულ დრომდე გადავდევათ.

ვ. კუპრაძე.

# GREENისა NEUMANისა და KLEINის ფუნქციების განზღვრა ზოგიერთი მარტივი არისათვის [1].

Dirichletისა და Neumannის პრობლემათა ამოხსნა რაიმე არისათვის, როგორც ცნობილია, დაიყვანება ამ არის Greenისა და Neumannის (ან Kleinის) ფუნქციათა მოძებნაზე.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ ფუნქციების მნიშვნელობა მათემატიკური ფიზიკისათვის, რადგანაც მათემატიკური ფიზიკის მრავალი სხვა ძირითადი პრობლემის ამოხსნა, როგორც ცნობილია, ამ ფუნქციათა ცოდნაზეა დამოკიდებული.

ამ თვალსაზრისით, Greenისა, Neumannისა და Kleinის ფუნქციების ფაქტიურ გამოთვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ არეებისათვისაც კი, რომელთათვის Dirichletისა და Neumannის პრობლემები უკვე ამოხსნილია რომელიმე სხვა გზით.

მართალია, თუ ეს პრობლემები ამოხსნილია მოცემული არისათვის, მაშინ ხსენებული ფუნქციებიც ცნობილად უნდა ჩაითვალონ თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად მათი გამოთვლა უმეტეს შემთხვევაში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ ყოველი ცდა ამ ფუნქციების ფაქტური გამოთვლისა, გარდა თეორიული ინტერესისა, აგრეთვე პრაქტიკული ღირებულების მატარებელიცაა.

ამ შრომის საგანს შეადგენს სწორედ ხსენებული ფუნქციების ფაქტური გამოთვლა ზოგიერთ მარტივი არისათვის.

---

1) ეს შრომა წარმოადგენს ჩემი სადიპლომო სამუშაოს ერთ ნაწილს. ჩემს მიზანს შეადგენდა: ლოგარითმული პოტენციალის თეორიის ზოგიერთი საკითხების დამუშავება და ამ თეორიის რამოდენიმე ძირითადი პრობლემის ამოხსნა პროფ. ნ. მუსხელიშვილის უკვე საკმაოდ ცნობილი მეთოდისა და იმ შედეგების მიხედვით, რომელიც მას მიღებული აქვს გამოკვლევაში: „Applications des intégrales analogues à celles de Cauchy à quelques problèmes de la phisique mathématique", ტფილისი, 1922 წ. იხ. აგრეთვე N. Mouskhelichvili, Sur le problème fondamental d' Hydrodynamique, Rendic. della R. Accademia Nationale dei Lincei, Ser. 6, vol. VII, 1928, p. 995.

ჩემ მოვალეობად ვთვლი ულრმესი მადლობა გამოუცხადო პროფ. ნ. მუსხელიშვილს, რომელმაც მომცა მრავალი ჩემთვის მეტად სასარგებლო რჩევა.

პროფ. ნ. მუსხელიშვილის ზევით დასახელებული წიგნი წარმოადგენს ძირითად წყაროს, რომლითაც მე ვსარგებლობ მთელ შრომის სივრცეზე.

პრობლემის სპეციალური ხასიათი მოითხოვს ზოგიერთ წინასწარ ცნობებსა და განმარტებას ლოგარითმული პოტენციალის თეორიიდან იმ დალაგებით, როგორც ამას მოითხოვს წინამდებარე შრომის საგანი, ამიტომ 1 -2 $nn^{00}$-ებში განმარტებულია ზოგიერთი ძირითადი ცნება ჰარმონიული ფუნქციის თეორიიდან, ჩამოყალიბებულია ლოგარითმული პოტენციალის თეორიის „ძირითადი პრობლემა“, Dirichletისა და Neumannის კლასიკური ამოცანები, მოყვანილია Greenისა, Neumannისა და Kleinის ფუნქციების განზღვრა და გახსენებულია მათი ზოგადი თვისებები.

$n^0$ 4 და $n^0$ 5-ში ვეძებთ Greenისა და Kleinის ფუნქციებს წრის შიგა—არისათვის; $n^0$ 6-ში განხილულია ამ ფუნქციების სპეციფიური თვისება—ინვარიანტობა კონფორმული გარდაქმნის მიმართ.

$n^0$ 7 და $n^0$ 8-ში შესრულებულია Neumannის ფუნქციის ფაქტიური გამოთვლა პასკალის ლოკოკინისა და ელიფსის გარე-არისათვის.

$n^0$ 9-ში მოყვანილია რამდენიმედ ხელოვნური, მაგრამ უფრო მარტივი და მოკლე ხერხი იმავე პრობლემების ამოსახსნელად, როგორც სასრულო ისე უსასრულო არისათვის.

$n^0$ 10-ში შესრულებულია $nn^0$ 8 და 9-ის გამოთვლები უკანასკნელი ხერხით.

1. ვთქვათ $u(x, y)$ არის ცალსახა და პირველი ორი რიგის ნაწილობითი წარმოებულებითურთ განუწყვეტელი ფუნქცია $(x, y)$ სიბრტყის რაიმე $(S)$ არეში; ვთქვათ, რომ ამას გარდა $u(x, y)$ ხსენებულ არეში აკმაყოფილებს Laplaceის განტოლებას:

$$(1) \qquad \Delta u \equiv \frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \frac{\partial^2 u}{\partial y^2} = 0.$$

ამ შემთხვევაში $u$-ს ეწოდება ორი არგუმენტის ჰარმონიული ფუნქცია ანუ მოკლედ—ჰარმონიული ფუნქცია $(S)$ არეში.

თუ $(S)$ არე უსასრულოა, მაშინ $u$ს ჰარმონიული ვუწოდოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი შემოსაზღვრული რჩება უსასრულეთშიც; წინააღმდეგ შემთხვევაში $u$-ს ჩვენ ვუწოდებთ ჰარმონიულს $(S)$ არეში ყველგან, გარდა უსასრულოდ დაშორებული წერტილისა[1].

ქვევით, ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მარტივ, შეკრულ კონტურებს, რომელნიც ჰყოფენ მთელ $(x, y)$ სიბრტყეს ორ ნაწილად: **შინა-არე** და **გარე-არე**.

ამრიგად, სასრულო არის განხილვის დროს, ჩვენ მხედველობაში გვექნება პირველი, ე. ი. შინა-არე და უსასრულო არის განხილვის დროს კი მეორე, ე. ი. გარე-არე.

ცნობილია, რომ თუ $u(x, y)$ ჰარმონიულია რაიმე $(S)$ არეში, მაშინ მოიძებნება ფუნქცია $v(x, y)$, აგრეთვე ჰარმონიული და ცალსახა ამავე არეში, ისეთი რომ

$$(2) \qquad u + iv = f(z)$$

1) ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ ის შეთანხმება, რომელიც მიღებული აქვს პროფ. ნ. მუსხელიშვილს, loc. cit. გვ. 28.

განსაზღვრავს კომპლექსური ორ ცვლადის ფუნქციას, რომელიც ჰოლომორფი იქნება მთელს $(S)$ არეში.

ფუნქცია $v(x, y)$ განიზღვრება $u(x, y)$ს საშუალებით ნებისმიერ წმინდა ვითარსს მუდმივამდე; სახელდობრ,

$$(3) \qquad f(x+iy) = u + i\int_{(x_0, y_0)}^{(x, y)} \frac{du}{dn} ds + iC,$$

სადაც ინტეგრალი აღებულია $(x_0, y_0)$ და $(x, y)$ წერტილების შემაერთებელი რომელიმე განუწყვეტელი მრუდის გასწვრივ, რომელიც მთლიანად მდებარეობს $(S)$ არეში და რომელსაც ყველგან აქვს მხები; $n$ არის დადებითი მართივის მიმართულება, რომელიც ისეა შერჩეული დადებითი მხების მიმართ, როგორც $x$ ღერძი $y$ ღერძის მიმართ.

2. ლოგარითმული პოტენციალის თეორიის ძირითადი პრობლემა ასე ჩამოყალიბდება:

ვიპოვოთ ფუნქცია $u$, ჰარმონიული გარკვეულ არეში, თუ ცნობილია ფუნქციისა და მისი პირველი ნაწილობითი წარმოებულთა გარკვეული წრფივი კომბინაციის მნიშვნელობა კონტურის ყველა წერტილებზე.

Dirichletის და Neumannის კლასიკური ამოცანები ამ ზოგადი პრობლემების კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ.

Dirichletის ამოცანა: ვიპოვოთ ფუნქცია $u$, ჰარმონიული $(S)$ არეში, რომელიც ამ არის $(C)$ კონტურზე ღებულობს წინასწარ მოცემულ მნიშვნელობათა $f$ მიმდევრობას, ე. ი:

$$(4) \qquad \begin{aligned} \Delta u &= 0 \quad (S)\text{-ში} \\ u &= f \quad (C)\text{-ზე}, \end{aligned}$$

სადაც $f$ არის $(C)$ კონტურის რკალის მოცემული ფუნქცია.

ცნობილია[1], რომ ამ ამოცანას აქვს ერთი და მხოლოდ ერთი ამოხსნა, თუ $f$ უწყვეტი ფუნქციაა (ანდა აქვს პირველი გვარის წყვეტის წერტილთა დაბოლოებული რაოდენობა).

Neumannის ამოცანა: ვიპოვოთ ფუნქცია $u$, ჰარმონიული მოცემულ არეში, თუ ცნობილია მისი მართივი წარმოებულის მნიშვნელობა კონტურზე, ე. ი:

$$(5) \qquad \begin{aligned} \Delta u &= 0 \quad (S)\text{-ში} \\ \frac{du}{dn} &= f \quad (C)\text{-ზე} \end{aligned}$$

სადაც $f$ არის $(C)$ კონტურის $s$ რკალის უწყვეტი (პირველ გვარად წყვეტილი) ფუნქცია,

[1]) იხ. მაგ. E. Picard., „Traité d' Analyse" T. I, II Paris, 1926; A. Korn, „Lehrbuch der Potentialtheorie", Bd. I, II. Berlin, 1901; A. Wangerin, „Theorie des Potentials und der Kugelfunktionen", Bd. I, II, Berlin 1921.

ცნობილია, რომ ამ ამოცანას აქვს ნებისმიერ მუდმივამდე განხღვრული ამოხსნა მუდამ, როდესაც $f$ უწყვეტია და ამას გარდა აკმაყოფილებს აუცილებელ პირობას:

$$\int_C f ds = o \tag{6}$$

3. პრობლემა ჰარმონიული ფუნქციის პრაქტიკულად გამოთვლის შესახებ $n^02$-ში აღნიშნულ საკონტურო მონაცემების მიხედვით (ცალ-ცალკე) ზოგად შემთხვევისათვის (ე. ი. ნებისმიერ არისათვის), როგორც უკვე აღნიშნული იყო (იხ. შესავალი), უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს.

თუ კონტურზე ერთდროულად ცნობილია თვით ფუნქციისა და აგრეთვე მისი მართივი წარმოებულის მნიშვნელობანი, მაშინ ხსენებული პრობლემა გადაწყდება კვადრატურების საშუალებით Greenის ცნობილი ფორმულის მიხედვით [იხ. ქვემოთ, ფორმ. (8)].

მაგრამ, როგორც თავისთავად ცხადია, ორივე ეს მნიშვნელობა ნებისმიერად მოცემული ვერ იქნება.

პრობლემა ჰარმონიული ფუნქციის განხღვრისა ზევით აღნიშნული საკონტურო მონაცემთა საშუალებით გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს ყველა იმ არისათვის, რომელთა მიმართ განხღვრულია ეგრეთწოდებული: Green-ისა, და Neumannის (Kleinის) ფუნქციები. ამ ფუნქციების განხღვრა შეადგენს ჩვენს უახლოეს მიზანს.

ცნობილია, რომ თუ $u$ არის ჰარმონიული ფუნქცია $(S)$ არეში, უწყვეტი ამ არის $(C)$ კონტურზე პირველი რიგის წარმოებულითურთ და თუ ამას გარდა $h(x, y)$ არის ანალოგიურად განხღვრული, როგორც კონტურზე ისე არეში, გარდა ერთი $A_1(x_1, y_1)$ წერტილისა, სადაც იგი შემდეგ ხასიათს ატარებს:

$$h = \lg\frac{1}{r_1} + \omega(x, y), \tag{7}$$

სადაც $r_1 = +\sqrt{(x-x_1)^2+(y-y_1)^2}$, $\omega(x, y)$ კი ჰარმონიულია $(x_1, y_1)$-ის მახლობლობაში, მაშინ:

$$u(x_1, y_1) = \frac{1}{2\pi}\int_C \left( u\frac{dh}{dn} - h\frac{du}{dn} \right) ds\ ^{1)} \tag{8}$$

სადაც $n$ არის გარემართივი (მოგეზული $(S)$ არის გარეთ). განვიხილოთ ახლა შემდეგი ორი მნიშვნელოვანი შემთხვევა:

$A$) როცა $h(x, y, x_1, y_1)$ ისეა განხღვრული, რომ $(C)$ კონტურზე იგი ისპობა, მაშინ მას $(S)$ არის Greenის ფ უ ნ ქ ც ი ა ეწოდება; მას აღვნიშნავთ $G(x, y, x_1, y_1)$-ით, ან მოკლედ $G$თი.

---

[1]) იხ. მაგ. Osgood: Lehrbuch der Funktionentheorie, Bd. I, Berlin, 1923 გვ. 629.

ამგვარად $(S)$ არის Greenის ფუნქცია არის ისეთი $G(x, y, x_1, y_1)$ ფუნქცია, რომელიც:

1. ყველგან $(S)$ არეში გარდა ერთი $A_1(x_1, y_1)$ წერტილისა ცალსახა და ჰარმონიულია.

2. $A_1(x_1, y_1)$ წერტილზე აქვს ლოგარითმული წყვეტა:

$$G = \lg \frac{1}{r_1} + \omega(x, y)$$

3. კონტურზე კი უდრის ნულს:

$$G_c = 0$$

Greenის ფუნქციის შემოტანის შემდეგ (8) იღებს შემდეგ სახეს:

$$u(x_1, y_1) = \frac{1}{2\pi} \int_C u \frac{dG}{dn} ds \tag{9}$$

ან, თუ $H$ით აღვნიშნავთ $G$ს შეუღლებულ ფუნქციას,

$$u(x_1, y_1) = \frac{1}{2\pi} \int_C u dH \tag{10}$$

რადგანაც

$$\frac{dH}{ds} = \frac{dG}{dn}$$

ცხადია, რომ ყველა იმ არეთა შემთხვევაში, როცა ცნობილია შესაბამი Greenის ფუნქცია, Dirichletის პრობლემა ამოიხსნება სავსებით (9)-ან (10)-ის საშუალებით.

როგორც დავინახეთ, Greenის ფუნქცია არის ორი $(x, y)$ და $(x_1, y_1)$ წერტილების ფუნქცია, იგი არ არის დამოკიდებული თვით $u$ ფუნქციისაგან და დამოკიდებულია მხოლოდ $(S)$ არის გეომეტრიულ თვისებებზე.

ცნობილია, რომ Greenის ფუნქცია სიმეტრიულია არგუმენტების [ე. $(x, y)$ და $(x_1, y_1)$ წერტილების] მიმართ; ე. ი:

$$G(x, y, x_1, y_1) = G(x_1, y_1, x, y). \tag{11}$$

$B)$ როცა $h(x, y, x_1, y_1)$ ისეა განზღვრული, რომ გარდა ზემოაღნიშნული პირობებისა, იგი აკმაყოფილებს აგრეთვე პირობას:

$$\frac{dh}{dn} = f_0 = \text{const. } (C) \text{ კონტურზე,}$$

მაშინ აღვნიშნოთ იგი $N(x, y, x_1, y_1)$-ით.

$N$ ფუნქციას ეწოდება Neumannის ფუნქცია.

ამგვარად $(S)$-არის Neumannის ფუნქცია წარმოადგენს ისეთ ფუნქციას, რომელიც:

1. ცალსახა და ჰარმონიულია ყველგან $(S)$-არეში გარდა ერთი $A_1(x_1, y_1)$, წერტილისა;

1. $A_1(x_1, y_1)$ წერტილზე აქვს ლოგარითმული წყვეტა:

$$N = \lg \frac{1}{r_1} + \omega(x, y)$$

სადაც $r_1$ და $\omega(x, y)$ ძველი მნიშვნელობა აქვსთ.

3. $(C)$ კონტურზე მისი მართივი წარმოებული უდრის მუდმივს ე. ი:

$$\frac{dN}{dn} = f_0 = \text{const.}$$

Neumannის ფუნქციის საშუალებით (8) იღებს შემდეგ სახეს:

(12) $$u(x_1, y_1) = C - \frac{1}{2\pi} \int_C N \frac{du}{dn} ds$$

სადაც

$$C = \frac{f_0}{2\pi} \int_C u ds$$

ამგვარად იმ არეთა შემთხვევაში, როცა ცნობილია შესაბამი $N$ ფუნქცია, (Neumannის ფუნქცია) Neumannის პრობლემა ამოიხსნება (12)-ის საშუალებით.

$N(x, y, x_1, y_1)$ ისე როგორც $G(x, y, x_1, y_1)$ არის ორი $(x, y)$ და $(x_1, y_1)$ წერტილების ფუნქცია და განზღვრულია ნებისმიერ მუდმივამდე, რომელიც შეიძლება თითონ იყოს $(x_1, y_1)$-ის ფუნქცია.

J. Hadamardმა შენიშნა, რომ ეს მუდმივი შეიძლება ისე იქმნეს შერჩეული, რომ Neumannის ფუნქცია სიმეტრიული გახდეს $(x, y)$ და $(x_1, y_1)$ წერტილების მიმართ [1].

ამას დაუმატოთ შემდეგი შენიშვნა: არ შეიძლება მიგველო პირობა:

$$\frac{dN}{dn} = 0 \; (C\text{-ზე})$$

მართლაც, შემოვხაზოთ $A_1(x_1, y_1)$-ის გარს უსასრულოდ მცირე $\gamma$ წრე; რადგანაც $N$ ფუნქცია ჰარმონიულია არეში, რომელიც მოთავსებულია $\gamma$სა და $C$ს შორის, ამიტომ ცნობილი დებულების თანახმად: (ნახ. 1).

$$\int_C \frac{dN}{dn} ds = \int_\gamma \frac{dN}{dn} ds$$

ადვილად დავინახავთ, რომ უკანასკნელი ინტეგრალი უდრის $2\pi$-ს; მაშასადამე, შეუძლებელია, რომ $\frac{dN}{dn} = 0$ $(C)$-კონტურზე;

ამ მოსაზრებით მივიღეთ ჩვენ უმარტივესი შესაძლო დაშვება, სახელდობრ, რომ $\frac{dN}{dn} = f_0 = \text{const.}$ $(C)$-ზე.

---

[1]) J. Hadamard, Leçons sur la propagation des ondes. Paris, 1903.




ნახ. 1.

$f_0$ მუდმივი განისაზღვრება ფორმულით:

$$\int_C f_0\, ds = 2\pi$$

ე. ი.

(13) $$f_0 = \frac{2\pi}{L},$$

სადაც $L$ არის (C)-ს სიგრძე.

თუ მაინც გვსურს, რომ მართივი წარმოებული კონტურზე ნული იყოს, მაშინ უეჭველად უნდა ვიგულისხმოთ, რომ განსახილავ ფუნქციას კიდევ ერთი წყვეტა მაინც აქვს ($S$) არეში.

უმარტივესი შემთხვევა იქნება ორი ლოგარითმული წყვეტის მიღება (ნახ. 2)

ამ მოსაზრებაზეა დამყარებული Kleinის ფუნქციის განზღვრა, რომელზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ.

$C$) (S) არის Kleinის ფუნქცია, რომელიც აღვნიშნოთ $K$-თი:

1. ცალსახა და ჰარმონიულია ყველგან ($S$) არეში, გარდა ორი $A_1(x_1, y_1)$ და $A_2(x_2, y_2)$ წერტილებისა;

2. ამ წერტილებზე აქვს ლოგარითმული წყვეტა, შემდეგი ხასიათისა:

$K = \lg\frac{1}{r_1}$ + ჰარმ. ფუნქცია. $A_1$-ის მახლობლობაში; $K = -\lg\frac{1}{r_2}$ + ჰარმ ფუნქცია, $A_2$ ის მახლობლობაში.

სადაც $r_1 = |z - A_1|$ და $r_2 = |z - A_2|$

3. ($C$) კონტურზე:

$$\frac{dK}{dn} = 0.$$




ნახ. 2.

აღვნიშნოთ $\gamma_1$ და $\gamma_2$ით $A_1$ და $A_2$ის გარშემო შემოწერილი წრეები. მაშინ, Greenის ცნობილი ფორმულის თანახმად,

$$\int_C \left( u\frac{dK}{dn} - K\frac{du}{dn} \right) ds = \int_{\gamma_1} \left( u\frac{dK}{dn} - K\frac{du}{dn} \right) ds + \int_{\gamma_2} \left( u\frac{dK}{dn} - K\frac{du}{dn} \right) ds$$

აქედან, ზღვარზე გადასვლის შემდეგ

$$(14) \qquad u_{A_1} = u_{A_2} - \frac{1}{2\pi}\int_C K\frac{du}{dn}\,ds$$

ეს ფორმულა ხსნის Neumannის ამოცანას, როდესაც მოცემულია $K$.

Kleinის ფუნქციის განზღვრას შეიძლება კიდევ დავუმატოთ მეოთხე მოთხოვნილებაც:

სახელდობრ, ნულად ქცევა ($S$) არის, რომელიმე გარკვეულ წერტილზე. ამას ყოველთვის შეგვიძლიან მივაღწიოთ, ნებისმიერ მუდმივის სათანადო შერჩევით, რომელიც შედის Kleinის ფუნქციაში.

შენიშვნა: ჩვენ გამოვარკვიეთ $G$, $N$ და $K$ ფუნქციების მნიშვნელობა მხოლოდ Dirichletისა და Neumannის პრობლემებისათვის, თუმცა როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ მათ დიდი მნიშვნელობა აქვსთ აგრეთვე მათემატიკური ფიზიკის სხვა ძირითად პრობლემების განხილვისას; ამ უკანასკნელთ ჩვენ არ შევეხებით.

გადავდივართ ახლა Greenისა ($G$), Kleinისა ($K$) და Neumannის ($N$) ფუნქციათა ფაქტიურ გამოთვლაზე ცალკე კონტურებისათვის.

4. Greenის ფუნქცია წრის შინა-არისათვის.

ეს ფუნქცია ცნობილია დიდი ხანია; ჩვენ აქ მოვიყვანთ მის ახალ დამტკიცებას.

როგორც უკვე განმარტებული იყო, Greenის ფუნქცია არის ისეთი $G(\xi, \eta, \xi_1, \eta_1)$ ფუნქცია, რომელიც:

1. ჰარმონიულია მთელ წრეში, გარდა $\zeta_1(\xi_1, \eta_1)$ წერტილისა;
2. $\zeta_1(\xi_1, \eta_1)$-წერტილზე:

$$G=\lg\frac{1}{|\zeta-\zeta_1|}+\omega(\xi, \eta),$$ სადაც $\omega(\xi, \eta)$ ჰარმონიულია $\zeta_1(\xi_1, \eta_1)$-ის

მახლობლობაშიც.

3. $(\gamma)$ კონტურზე:

$$G=0.$$

იყოს:

$$\omega(\xi, \eta)=\Re\varphi(\zeta) \qquad (\Re= \text{„ნამდვილი ნაწილი"})$$

მაშინ კონტურზე:

$$\Re\varphi(\zeta)=\lg|\zeta-\zeta_1|$$

მაგრამ, ფუნქცია ჰარმონიული წრეში და ცნობილი თვისი ნამდვილი ნაწილით კონტურზე, განისაზღვრება ინტეგრალით:

$$(15) \qquad \varphi(\zeta)=\frac{1}{2\pi i}\int\limits_{\gamma} f\,\frac{\zeta'+\zeta}{\zeta'-\zeta}\,\frac{d\zeta'}{\zeta'},$$

სადაც $f$ არის $\varphi(\zeta)$ის ნამდვილი ნაწილის მნიშვნელობა კონტურზე, $\zeta'$ით კი ყველგან აღნიშნულია კონტურის წერტილი. ამას გარდა: $\zeta=\xi+i\eta$, სადაც $\xi, \eta$ დეკარტის მართობული კოორდინატებია. (15) წარმოადგენს Schwarzის ცნობილ ფორმულას, დაწერილს იმ სახით,როგორადაც მას ხმარობს პროფ. ნ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი [1].

ჩვენს შემთხვევაში (15) გვაძლევს:

$$\varphi(\zeta)=\frac{1}{2\pi i}\int \lg|\zeta'-\zeta_1|\,\frac{\zeta'+\zeta}{\zeta'-\zeta}\,\frac{d\zeta'}{\zeta'}.$$

მაგრამ:

$$(16) \qquad \lg|\zeta'-\zeta_1|=\Re\lg(\zeta'-\zeta_1)=\frac{1}{2}\left\{\lg(\zeta'-\zeta_1)+\lg(\bar\zeta'-\bar\zeta_1)\right\}=$$

$$=\frac{1}{2}\left\{\lg\left(1-\frac{\zeta_1}{\zeta'}\right)+\lg(1-\bar\zeta_1\zeta')\right\}$$

სადაც $\bar\zeta=\xi-i\eta$-ით აღნიშნულია $\zeta=\xi+i\eta$-ის შეუღლებული სიდიდე; ცხადია, რომ კონტურზე $\bar\zeta'=\frac{1}{\zeta'}$ რადგან $\bar\zeta'=e^{-i\vartheta}$; $\zeta=e^{i\vartheta}$.

$\lg\left(1-\frac{\zeta_1}{\zeta'}\right)$, როგორც ადვილი დასანახია ჰოლომორფია $(\gamma)$-ს გარეთ, ხოლო $\lg(1-\bar\zeta_1\zeta')$ ჰოლომორფია $(\gamma)$ში.

---

[1]) ნ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, Op. cit. გვ. 56 (ფ. 45).

ისინი მრავალსახა ფუნქციებს წარმოადგენენ: აშკარაა, რომ სულ ერთია, რომელ შტოებს განვიხილავთ, ოღონდ მათი ჯამი ნამდვილი იყოს.

Cauchyის რეზიდიუმის დებულების გამოყენება მოგვცემს:

$$\varphi(\zeta) = \lg(1 - \zeta_1 \zeta).$$

მაშასადამე:

$$G = \lg|1 - \bar{\zeta}_1 \zeta| - \lg|\zeta - \zeta_1|$$

ან და

$$(17) \qquad G = \lg \frac{r_1 r'}{r}$$

სადაც $r_1 = |\zeta_1|$, $r' = \left|\frac{1}{\zeta_1} - \zeta\right|$, $r = |\zeta - \zeta_1|$ (ნახ. 3).




ნახ. 3.

ასეთია Greenის ფუნქცია წრისათვის.

5. Kleinის ფ უ ნ ქ ც ი ა წ რ ი ს შ ი ნ ა-ა რ ი ს ა თ ვ ი ს.

როგორც უკვე ვიცით, ეს არის ფუნქცია ოთხი წერტილისა: $(\xi, \eta)$, $(\xi_1, \eta_1)$, $(\xi_2, \eta_2)$ და $(\xi_0, \eta_0)$ $K(\xi, \eta, \xi_1, \eta_1, \xi_2, \eta_2, \xi_0, \eta_0)$, რომელიც:

1. ჰარმონიულია წრეში ყველგან, გარდა ორი $A_1(\xi_1, \eta_1)$ და $A_2$ $(\xi_2, \eta_2)$ წერტილებისა;

2. ამ წერტილებზე აქვს ლოგარითმული წყვეტა, შესაბამისად შემდეგი ხასიათისა:

$K = \lg \frac{1}{|\zeta - \zeta_1|}$ + ჰარმ. ფუნქცია $A_1$ის მახლ; $K = -\lg \frac{1}{|\zeta - \zeta_2|}$ + ჰარმ ფუნქცია $A_2$-ის მახლობლ;

3. წერტილზე $A_0(\xi_0, \eta_0)$

$$K = 0$$

4. $(\gamma)$ კონტურზე:

$$\frac{dK}{dn} = 0.$$

ამრიგად, K l e i nის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$(18) \qquad K = \lg \frac{1}{|\zeta - \zeta_1|} - \lg \frac{1}{|\zeta - \zeta_2|} + \omega(\xi, \eta) + C$$

სადაც:

(19) $$C=-\lg\frac{1}{|\zeta_0-\zeta_1|}+\lg\frac{1}{|\zeta_0-\zeta_2|}-\omega(\xi_0,\eta_0)$$ (იხ. $n^0 3$, Kleinის ფუნქციის განხილვა).

იყოს:

$$\omega(\xi,\eta)=\Re\varphi(\zeta)$$

სადაც $\varphi(\zeta)$ ჰოლომორფია მთელ წრეში. შემდეგში ყველგან $n$ით ალვნიშნავთ გარე-მართივას (და არა შიგამართივას როგორც წინათ).

კონტურზე გვექნება:

$$\frac{d\omega}{dn}=\frac{d}{dn}\lg\left|\frac{\zeta-\zeta_1}{\zeta-\zeta_2}\right|$$

პირობა (6) ($n^0$ 2) როგორც ვხედავთ დაცულია.

პრობლემა ამოიხსნება ფორმულით [1]:

(20) $$\varphi(\zeta)=\frac{1}{\pi i}\int^{\zeta}\zeta^{-1}d\zeta\int f\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}+C$$

სადაც:

$$f=\frac{d}{dn}\Re\varphi(\zeta).$$

შევნიშნოთ, რომ, თუ ნაზრდი $d\zeta$ მიმართულებით თანერთვის $n$ მართივს, მაშინ:

$$d\zeta=dne^{\vartheta i},$$

საიდანაც

(21) $$\frac{d}{dn}=e^{i\vartheta}\frac{1}{d\zeta}=e^{-i\vartheta}\frac{1}{d\bar{\zeta}}$$ [2].

ამ ფორმულების საშუალებით, თუ (16)საც მხედველობაში მივიღებთ, დავწერთ:

(22) $$\left\{\begin{aligned}\frac{d}{dn}\lg|\zeta'-\zeta_1|&=\frac{1}{2}\left\{\frac{\zeta'}{\zeta'-\zeta_1}+\frac{1}{1-\bar{\zeta}_1\zeta'}\right\},\\ \frac{d}{dn}\lg|\zeta'-\zeta_2|&=\frac{1}{2}\left\{\frac{\zeta'}{\zeta'-\zeta_2}+\frac{1}{1-\bar{\zeta}_2\zeta'}\right\}\end{aligned}\right.$$

შევიტანოთ მე (20) ინტეგრალში $f$-ის ნაცვლად $\frac{d}{dn}\omega(\xi,\eta)$:

$$\varphi(\zeta)=\frac{1}{2\pi i}\int^{\zeta}\frac{d\zeta}{\zeta}\left[\int_{\gamma}\left(\frac{\zeta'}{\zeta'-\zeta_1}+\frac{1}{1-\bar{\zeta}_1\zeta'}\right)\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}-\int_{\gamma}\left(\frac{\zeta'}{\zeta'-\zeta_2}+\right.\right.$$
$$\left.\left.+\frac{1}{1-\bar{\zeta}_2\zeta'}\right)\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}\right]$$

---

[1]) ნ. მუსხელიშვილი, Op. cit. გვ. 55 (§. 43).

[2]) იხ. იქვე. გვ. 49.

Cauchyის რეზიდიუმის დებულება ადვილად მოგვცემს:

$$\varphi(\zeta)=\int^{\zeta}\left(\frac{1}{1-\bar{\zeta}_1\zeta}-\frac{1}{1-\bar{\zeta}_2\zeta}\right)\frac{d\zeta}{\zeta}=\lg\frac{1-\bar{\zeta}_2\zeta}{1-\bar{\zeta}_1\zeta}$$

და საბოლოოდ (18)-დან:

$$K(\xi,\eta)=\lg\left|\frac{1-\bar{\zeta}_2\zeta}{1-\bar{\zeta}_1\zeta}\right|+\lg\left|\frac{\zeta-\zeta_2}{\zeta-\zeta_1}\right|-\lg\left|\frac{\zeta_0-\zeta_2}{\zeta_0-\zeta_1}\right|-\lg\left|\frac{1-\bar{\zeta}_2\zeta_0}{1-\bar{\zeta}_1\zeta_0}\right|$$

სადაც უკანასკნელი ორი წევრი შეესაბამება $C$ მუდმივს (იხ. [19]).

ან და: (იხ. ნახ. 4).

$$K=\lg\frac{r_2}{r_1}+\lg\frac{R_2}{R_1}-\lg\frac{r_2^0}{r_1^0}-\lg\frac{R_2^0}{R_1^0} \tag{23}$$

ასეთია Kleinის ფუნქცია წრის შინა-არისათვის.



ნახ. 4.

6. Greenისა და Kleinის ფუნქციების გამოთვლას წრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომ აქვს, რომ ეს ფუნქციები ინვარიანტი არის კონფორმული გარდაქმნის მიმართ; ე. ი., თუ წრის არეს კონფორმულად გარდაესახავთ რაიმე $(S)$ არეში (ან პირიქით), მაშინ ამ წრის Greenის (Kleinის) ფუნქცია გარდაიქმნება $(S)$არის Greenის (Kleinის) ფუნქციად (ან პირიქით).

დავამტკიცოთ ეს თვისება. დავიწყოთ Kleinის ფუნქციიდან.

ვთქვათ, $K$ არის $\gamma$ წრის შინა არის Kleinის ფუნქცია, რომლის წყვეტები იმყოფება $(\zeta_1)$ და $(\zeta_2)$ წერტილებზე.

ვთქვათ მოვახდინეთ კონფორმული გარდასახვა:

$$z=\omega(\zeta), \tag{24}$$

$$\zeta=\Omega(z) \tag{24'}$$

$(\gamma)$ წრის შინა არისა (რომელიც იმყოფება $\zeta$ სიბრტყეზე) $(S)$ არეში (რომელიც იმყოფება $z$ სიბრტყეზე:

(24) ჩასმის მიხედვით $K$ ფუნქცია გარდაიქმნება ახალ $K_1$ ფუნქციად, რომელიც განმარტებულია უკვე $\zeta$ სიბრტყის $(S)$ არეში.

დასამტკიცებელია, რომ $K_1$ არის სწორედ $(S)$ არის Kleinის ფუნქცია, რომლის წყვეტები იმყოფება: $z_1 = \omega(\zeta_1)$ და $z_2 = \omega(\zeta_2)$ წერტილებზე.

$K$ ფუნქციას ჩვენი წრის შინა-არისათვის აქვს შემდეგი სახე (იხ. ნახ. 5-6):




ნახ. 5.




ნახ. 6.

(25) $$K = \lg\frac{1}{|\zeta - \zeta_1|} - \lg\frac{1}{|\zeta - \zeta_2|} + \text{ჰარმ. ფუნქცია.}$$

(24′)-დან გვაქვს:

$$\zeta_1 = \Omega(z_1),$$
$$\zeta_2 = \Omega(z_2).$$

$\zeta = \Omega(z)$, როგორც ანალიზური ფუნქცია $(S)$-ში დაიშლება ხარისხოვან მწკრივად—$z_1$ის მახლობლობაში:

$$\Omega(z) = \Omega(z_1) + \Omega'(z_1)(z - z_1) + \frac{\Omega''(z_1)}{1\,.\,2}(z - z_1)^2 + \cdots$$

აქედან:

(26) $$\zeta - \zeta_1 = \Omega(z) - \Omega(z_1) = (z - z_1)\Omega_1(z)$$

სადაც:

$$\Omega_1(z) = \Omega'(z_1) + \frac{1}{1\,.\,2}(z - z_1)\Omega''(z_1) + \cdots$$

აშკარაა, რომ $\Omega_1(z)$ ჰოლომორფია მთელს არეში და არსად აქ ნულს არ უდრის [1].

ანალოგიურად ვიპოვით:

(27) $$\zeta - \zeta_2 = \Omega(z) - \Omega(z_2) = (z - z_2)\Omega_2(z).$$

[1]) გავიხსენოთ, რომ კონფორმული გარდაქმნის ძირითადი თვისების თანახმად, $\Omega'(z)$ და $\omega'(\zeta)$ არასოდეს არ იქცევა ნულად.

შევიტანოთ (25)-ში, (26) და (27), მივიღებთ:

$$K_1=\lg\frac{1}{\zeta-\zeta_1}-\lg\frac{1}{\zeta-\zeta_2}+\lg\frac{\Omega_2(\zeta)}{\Omega_1(\zeta)}+\text{ჰარმ. ფუნქცია.}$$

მაგრამ $\lg\frac{\Omega_2(\zeta)}{\Omega_1(\zeta)}$ ჰოლომორფია მთელ არეში. ამიტომ:

$$K_1=\lg\frac{1}{\zeta-\zeta_1}-\lg\frac{1}{\zeta-\zeta_2}+\text{ჰარმ. ფუნქცია.}$$

აქედან ჩანს, რომ $K_1$ ფუნქციას $\zeta_1$ და $\zeta_2$ წერტილებზე სწორედ ისეთი წყვეტები აქვს, როგორსაც მოითხოვს Kleinის ფუნქციის განსაზღვრება.

დაგვრჩა მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ

$$\frac{dK_1}{dn}=0 \quad (C) \text{ კონტურზე.}$$

ამისათვის შევნიშნოთ რომ, თუ ნაზრდი $d\zeta$ თანერთეის დადებით მარ-თივს, მაშინ:

$$dn=|d\zeta|=|\omega'(\zeta)|\,|d\zeta|.$$

აქედან

(28) $$\frac{d}{d\zeta}=|\omega'(\zeta)|\frac{d}{dn},$$

საიდანაც ჩანს, რომ თუ მართივი წარმოებული ნულია წრისათვის, იგი ნული იქნება აგრეთვე $(C)$ კონტურისათვის.

ასეთივე მსჯელობით დამტკიცდება Greenის ფუნქციის ინვარიანტობა კონ-ფორმული გარდაქმნის მიმართ.

გადავიდივართ ახლა Neumannის ფუნქციის მონახვაზე ზოგიერთ მარტივ კონტურისათვის.

7. Neumannის ფუნქციის განზღვრა პასკალის ლოკოკინის შინა-არისათვის.

Neumannის ფუნქცია $(S)$ არისათვის, როგორც ვიცით (იხ. $n^0$ 3 $(B)$ განზღვრულია შემდეგი პირობით:

(29′) $$N=-\lg|\zeta-\zeta_1|+N_1(x,y)$$

სადაც $N_1(x,y)$ ჰარმონიულია $(S)$-ში. ($S$ ამ შემთხვევაში, ცხადია დაბოლო-ებულია) და

$$\frac{dN}{dn}=f_0=\text{const. } (C) \text{ კონტურზე.}$$

ვთქვათ,

(29) $$N=\Re\varphi(\zeta),\ N_1(x,y)=\Re f(\zeta).$$

მაშინ:

(30) $$\varphi(\zeta)=-\lg(\zeta-\zeta_1)+f(\zeta)$$

მოვახდინოთ $(S)$ არის კონფორმული გარდაქმნა წრეერთეულში $|\zeta|\leqslant 1$.

გადასახვას მოგვცემს ფუნქცია:

$$z=\omega(\zeta)=b(\zeta+a\zeta^{2})\,^{1}\quad\left[b>0,\ 0<a<\frac{1}{2}\right]$$

სადაც: $\zeta=\rho e^{i\varphi}$; $\zeta'=e^{i\vartheta}$; $\zeta_1=\rho_0 e^{i\varphi_0}$.




ნახ. 7.

ცხადია რომ:

$$f(z)=f[\omega(\zeta)]=\psi(\zeta), \tag{30'}$$

სადაც $\psi(\zeta)$ ჰოლომორფია უკვე მთელ $(\gamma)$ წრეში.

$(C)$ კონტურზე (29')-იდან გვექნება:

$$\frac{dN_1}{dn}=\frac{dN}{dn}+\frac{d}{dn}\lg|z'-z_1|, \tag{31}$$

ჩვენ უკვე ვიცით, რომ $f_0$ უნდა აკმაყოფილებდეს პირობას:

$$f_0=-\frac{2\pi}{L}\,^{2)} \quad (\text{იხ. } n^0\,3.\ (B),\ (13)). \tag{32}$$

შევამოწმოდ ეს კიდევ ერთხელ. ამოხსნის არსებობისათვის, როგორც ცნობილია [იხ. $n^0$ 2, (6)], შესრულებული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი პირობა:

$$\int_C\frac{dN_1}{dn}ds=\int_C\frac{dN}{dn}ds+\int_C\frac{d}{dn}\lg|z'-z_1|\,ds=0$$

აქედან ადვილად მივიღებთ (32)-ს.

ცხადია, რომ $(C)$-ს $L$ სიგრძისათვის გვაქვს:

$$L=\int_C|dz|=\int_0^{2\pi}|\omega'(\zeta')|\,d\vartheta \tag{33}$$

[1]) მე (29') ფორმულაში $N_1(x,y)$-ით აღნიშნულია $N$ ფუნქციის ის ნაწილი, რომელიც წინა $nn^0$-ებში აღინიშნებოდა $\omega(x,y)$-ით.

[2]) აქ მართივი მოგეზჳლია $(S)$ არის გარეთ, წინააღმდეგ $n^0$3-ისა, სადაც იგი მოგეზული იყო $(S)$ არის შიგნით, ამან გამოიწვია მე (13) ფორმულის წინ ნიშნის შეცვლა.

რადგან

$$|dz'| = |\omega'(\zeta')|\,|d\zeta'| = |\omega'(\zeta')|\,d\vartheta.$$

ამის მიხედვით (32) ღებულობს შემდეგ სახეს:

$$(34)\qquad f_0 = -\frac{2\pi}{\int_0^{2\pi} |\omega'(\zeta')|\,d\vartheta}$$

გარდავქმნათ (31)-ის უკანასკნელი წევრი:

$$(35)\qquad \lg|z'-z_1| = \Re \lg(z'-z_1) = \frac{1}{2}\left\{\lg(z'-z_1) + \lg(\overline{z'} - \overline{z_1})\right\}.$$

შევიტანოთ: $z_1 = \omega(\zeta_1)$ და $z' = \omega(\zeta')$, მივიღებთ:

$$(36)\qquad \lg|z'-z_1| = \frac{1}{2}\left\{\lg[\omega(\zeta')-\omega(\zeta_1)] + \lg[\overline{\omega}(\overline{\zeta'}) - \overline{\omega}(\overline{\zeta_1})]\right\}.$$

შევნიშნოთ ახლა, რომ გარდაქმნის კონფორმობიდან გამომდინარეობს: თუ ნაზრდი $dz$ თანერთვის $(C)$ კონტურის $n$ მართივს, მაშინ შესაბამი ნაზრდი $d\zeta$ თანერთვის $\gamma$ წრის რადიუსს ცენტრიდან კონტურისაკენ. გვაქვს:

$$d\zeta = |d\zeta|\,e^{i\vartheta};\quad |dz| = |\omega'(\zeta)|\,|d\zeta|;$$

აქედან

$$(37)\qquad \frac{d}{dn} = \frac{d}{|dz|} = \frac{1}{|\omega'(\zeta')|}\,\frac{d}{|d\zeta|} = \frac{e^{i\vartheta}}{|\omega'(\zeta')|}\,\frac{d}{d\zeta} = \frac{e^{-i\vartheta}}{|\omega'(\zeta')|}\,\frac{d}{d\overline{\zeta}}$$

(36) და (37)-ის მიხედვით (31) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$(38)\qquad \frac{dN_1}{dn} = f_0 + \frac{1}{2}\left\{\frac{\zeta'\omega'(\zeta')}{[\omega(\zeta')-\omega(\zeta_1)]\,|\omega'|} + \frac{\overline{\zeta'}\,\overline{\omega'}(\overline{\zeta'})}{[\overline{\omega}(\overline{\zeta'}) - \overline{\omega}(\overline{\zeta_1})]\,|\omega'|}\right\}.$$

მაგრამ:

$$\frac{dN_1}{dn} = \frac{d}{dn}\,\Re\,\psi(\zeta).$$

ახლა სრული წინასწარი სამზადისი შესრულებულია და პრობლემა დაყვანილია შემდეგ ამოცანაზე:

ვიპოვოთ ფუნქცია $\psi(\zeta)$ ჰარმონიული $(\gamma)$ წრეში, როცა ცნობილია მისი ნამდვილი ნაწილის მართივი წარმოებული კონტურზე, მოცემული ფორმულით (38).

ეს პრობლემა გადაწყდება ინტეგრალით [2].

$$(39)\qquad \psi(\zeta) = \frac{1}{\pi i}\int^{\zeta} \zeta^{-1}\,d\zeta \int_{\gamma} f\,|\omega'(\zeta')|\,\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta} + C$$

---

[1]) იქვე, გვ. 77. ფ. (90).

[2]) ნ. მუსხელიშვილი, Op. cit. გვ. 75.

სადაც:

$$f=\frac{d}{dn}\,\Re\,\psi(\zeta');$$

შევიტანოთ $f$-ის მნიშვნელობა (38)-დან (39)-ში:

$$(40)\quad \psi(\zeta)=\frac{1}{\pi i}\int^{\zeta}\frac{d\zeta}{\zeta}\int\left(f_0\,|\omega'(\zeta')|+\frac{1}{2}\,\frac{\zeta'\omega'(\zeta')}{\omega(\zeta')-\omega(\zeta_1)}+\right.$$

$$\left.+\frac{1}{2}\,\frac{\omega'(\bar{\zeta}')}{\zeta'[\omega(\zeta')-\omega(\zeta_1)]}\right)\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}$$

Cauchyის რეზიდიუმის ფორმულა მოგვცემს:

$$(41)\quad \begin{cases}\dfrac{1}{2\pi i}\displaystyle\int_{\gamma}\frac{\zeta'\omega'(\zeta')}{\omega(\zeta')-\omega(\zeta_1)}\,\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}=\frac{\zeta}{\zeta_1-\zeta}+\frac{\zeta\omega'(\zeta)}{\omega(\zeta)-\omega(\zeta_1)},\\[2ex] \dfrac{1}{2\pi i}\displaystyle\int_{\gamma}\frac{\omega'(\bar{\zeta}')}{\zeta'[\omega(\zeta')-\omega(\zeta_1)]}\,\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}=\frac{-1}{\bar{\zeta}_1\zeta-1}\,.\end{cases}$$

ამას გარდა ელემენტარული გამოთვლების შემდეგ მივიღებთ.

$$(42)\quad \frac{1}{\pi i}\int^{\zeta}\frac{d\zeta}{\zeta}\int_{\gamma}f_0\,|\omega'(\zeta')|\,\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta}=-2\lg\zeta-\frac{1}{\pi}f_0\int_0^{2\pi}|\omega'|\,\lg(\zeta'-\zeta)\,d\theta.$$

(41)ის საბოლოო კვადრატურა $\zeta$-ის შესახებ მოგვცემს:

$$\psi(\zeta)=-2\lg\zeta-\frac{1}{\pi}f_0\int_0^{2\pi}|\omega'|\,\lg(\zeta'-\zeta)\,d\theta+\lg\zeta-\lg(\zeta_1-\zeta)+$$

$$+\lg[\omega(\zeta)-\omega(\zeta_1)]+\lg\zeta-\lg(\bar{\zeta}_1\zeta-1)$$

აქედან, თუ მხედველობაში (29')-საც მივიღებთ, გვექნება საბოლოოდ:

$$(42)\quad N=-\lg|\zeta_1-\zeta|\,|\bar{\zeta}_1\zeta-1|-\frac{1}{\pi}f_0\int_0^{2\pi}|\omega'(\zeta')|\,\lg|\zeta'-\zeta|\,d\theta+C$$

თუ მუდმივ $C$ს ავიღებთ ისე რომ:

$$C=-\frac{1}{\pi}f_0\int_0^{2\pi}|\omega'(\zeta')|\,\lg|\zeta'-\zeta_1|\,d\theta,$$

მაშინ $N$ გახდება სიმეტრიული არგუმენტების მიმართ, რაც სავსებით ეთანხმება J. Hadamardის ცნობილ შენიშვნას Neumannის ფუნქციის შესახებ[1].

8. Neumannის ფუნქციის განზღვრა ელიფსის გარე-არისათვის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უსასრულო არესთან; ამიტომ $N$ ფუნქცია, შეთანხმების თანახმად (იხ. $n^0$ 1), უსასრულეთში შემოსაზღვრულად უნდა ვიგულისხმოთ.

ამრიგად, განსახილავ შემთხვევაში $N$ ფუნქცია წარმოადგენს ჰარმონიულ ფუნქციას მთელ ($S$) არეში, გარდა ერთი წერტილისა $z_1$, სადაც:

(43) $$N = -\lg|z - z_1| + N_2(x,y),$$

სადაც $N_2(x,y)$ ჰარმონიულია $z_1(x_1,y_1)$-ის მახლობლობაში. ამის გარდა:

$$\frac{dN}{dn} = f_0 = \text{const.} \quad (C\text{-ზე})$$

$N_2(x,y)$ ფუნქციის მაგივრად შემოვიღოთ ფუნქცია $N_1(x,y)$ განზღვრული ფორმულით:

$$N_2(xy) = \lg|z| + N_1(xy).$$

მაშინ, ცხადია, რომ $N_1(xy)$ ჰარმონიული იქნება მთელ არეში (უსასრულეთის ჩათვლით).

ვთქვათ:

$$N = \Re\varphi(z), \qquad N_1(x,y) = \Re f(z);$$

მაშინ:

$$\varphi(z) = -\lg(z - z_1) + \lg z + f(z).$$

მოვახდინოთ ელიფსის გარე-არის ($S$ არის) კონფორმული გარდასახვა წრეერთეულში $|\zeta| \leq 1$ (ნახ. 8).




ნახ. 8.

ასეთ გადასახვას ამ შემთხვევაში იძლევა ფუნქცია:

(44) $$z = \omega(\zeta) = b\left(\zeta + \frac{a}{\zeta}\right)$$

---

[1]) იხ. $n^0$ 3.

$$x = b\left(\rho + \frac{a}{\rho}\right)\cos\varphi; \quad y = b\left(\rho - \frac{a}{\rho}\right)\sin\varphi$$

სადაც $a$ და $b$ ნამდვილი მუდმივებია და $a > 1$, $b > 0$.

როდესაც $\rho$ და $\varphi$ შესაბამისად იცვლებიან შუალედებში $(0,1)$ და $(0,2\pi)$, მაშინ არე $(S)$ შიგნიდან შემოსაზღვრული ელიფსით:

$$\frac{x^2}{b^2(a+1)^2} + \frac{y^2}{b^2(a-1)^2} = 1$$

კონფორმულად გადაისახება წრეერთეულში $|\zeta| \leqslant 1$[1].

ცხადია, რომ:

$$f(z) = f[\omega(\zeta)] = \psi(\zeta),$$

სადაც $\psi(\zeta)$ ჰოლომორფია მთელ წრეერთეულში.

$(C)$ კონტურზე გვექნება:

$$\frac{dN_1}{dn} = \frac{dN}{dn} + \frac{d}{dn}\lg|z - z_1| - \frac{d}{dn}\lg|z|. \tag{45}$$

ამოხსნის არსებობისათვის, როგორც უკვე იყო აღნიშნული რამოდენიმეჯერ შესრულებული უნდა იყოს პირობა:

$$\int_C \frac{dN_1}{dn}ds = \int_C \left(f_0 + \frac{d}{dn}\lg|z - z_1| - \frac{d}{dn}\lg|z|\right)ds = 0, \tag{46}$$

სადაც ინტეგრალები (46)-ის ორივე მხარეზე აღებულია ელიფსის გასწვრივ საათის ისრის მიმართულებით, იმისათვის რომ $(S)$ არე შემოვლისას მარცხნივ აღმოჩნდეს.

(46)-დან უშუალოდ გამომდინარეობს:

$$f_0 = -\frac{2\pi}{\int_0^{2\pi}|\omega'(\zeta')|\,d\theta}. \tag{47}$$

როგორც უკვე სავსებით ცხადია, პრობლემა ამ შემთხვევაშიც ამოიხსნება ინტეგრალით (იხ. $n^0$ 7. ფ. (39)):

$$\psi(\zeta) = \frac{1}{\pi i}\int^{\zeta}\frac{d\zeta}{\zeta}\int_\gamma\left[\frac{d}{dn}\,\Re\,\psi(\zeta')\right]|\omega'(\zeta')|\frac{d\zeta'}{\zeta'-\zeta} + C. \tag{48}$$

---

[1] ნ. მუსხელიშვილი. Op. cit. გვ. 84.

ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ იმავე გარდაქმნებსა და გამოთვლებს, რომელიც შესრულებული იყო $n^0$ 7-ში; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ (40)-ის შინა ინტეგრალ ქვეშ მდგომ სამწევრს დაემატება კიდევ:

$$\frac{d}{dn}\lg|z| = \frac{1}{2}\left\{\frac{\zeta\omega'(\zeta')}{\omega(\zeta')\,|\omega'(\zeta')|} + \frac{\overline{\omega'(\zeta')}}{\bar{\zeta}'\,\overline{\omega(\zeta')}\,|\omega'(\zeta')|}\right\}.$$

C a u c h y ის რეზიდიუმის ფორმულის გამოყენება, მე-(48)-დან სათანადო ჩასმების შემდეგ მიღებულ ინტეგრალებზე, სწორედ ისე, როგორც წინა $n^0$-ში, მოგვცემს—(43)-ის დახმარებით:

$$(49) \qquad N = -\lg|(\zeta-\zeta_1)(\bar{\zeta}\zeta_1-1)| - \frac{1}{\pi} f_0 \int_0^{2\pi} |\omega'(\zeta')|\,\lg|\zeta'-\zeta|\,d\vartheta + C.$$

Hadamardის შენიშვნის მიხედვით, $C$ განვსაზღვროთ ასე:

$$C = -\frac{1}{\pi} f_0 \int_0^{2\pi} |\omega'(\zeta')|\,\lg|\zeta'-\zeta_1|\,d\vartheta,$$

რითაც მიღწეული იქნება $N$ ფუნქციის სიმეტრიულობა არგუმენტების მიმართ.

9. იგივე პრობლემები შეიძლება ამოხსნილ იქნას ნებისმიერი (როგორც დაბოლოებული ისე დაუბოლოებელი) არისათვის მეორე გზა-ხერხის საშუალებით.

მართალია, ეს უკანასკნელი უფრო ხელოვნური ხასიათისაა ვიდრე $nn^{00}$ 7, 8-ში მოყვანილი გზა, მაგრამ პრაქტიკული მიზნებისათვის იგი მაინც მისაღებია, როგორც შედარებით უფრო მოკლე და მარტივი.

Neumannის ფუნქცია რაიმე $(S)$ არისათვის განზღვრულია, როგორც ვიცით, შემდეგი პირობით:

იგი ჰარმონიულია ყველგან $(S)$-ში, გარდა ერთი $z_1$ წერტილისა, სადაც

$$(50) \qquad N = -\lg|z - z_1| + N_1(x,y),$$

$N_1(x,y)$ ჰარმონიულია $z_1(x_1,y_1)$- წერტილის მახლობლობაში.

ამას გარდა $(C)$ კონტურზე:

$$(51) \qquad \frac{dN}{dn} = f_0 = \text{const.}$$

მოვახდინოთ კონფორმული გარდასახვა $(S)$ არისა $(\gamma)$ წრეში:

$$(52) \qquad z = \omega(\zeta).$$

ვთქვათ, რომ:

$$N = \Re\,\varphi(z) \text{ და } N_1(x,y) = \Re\,\psi_1(z).$$

მაშინ $\varphi(z)$ ჰოლომორფია ყველგან გარდა $z_1$ წერტილისა, რომლის მახლობლობაში:

$$(53) \qquad \varphi(z) = -\lg(z-z_1) + \text{ჰოლომ. ფუნქცია } (z_1)\text{-ის მახლობლობაში.}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\varphi[\omega(\zeta)] = f(\zeta), \quad f(\zeta_1) = \varphi(z_1).$$

ცხადია, რომ:

$$(54) \qquad f(\zeta) = -\lg(\zeta - \zeta_1) + \psi(\zeta),$$

სადაც $\psi(\zeta)$ ჰოლომორფია $(\gamma)$ წრეში[1]. კონტურზე გვაქვს (იხ. $n^0$ 6, ფ. (28))

$$(55) \qquad \frac{dN}{d\nu} = \frac{dN}{dn} \; |\omega'(\zeta')| = f_0 \; |\omega'(\zeta')|;$$

$\nu$ და $n$ შესაბამისად $(\gamma)$ წრისა და $(S)$ არის გარემართივებს წარმოადგენენ. ვთქვათ,

$$(56) \qquad v = \Re\psi(\zeta),$$

მაშინ:

$$(56') \qquad N = \Re\varphi(z) = \Re f(\zeta) = -\lg|\zeta - \zeta_1| + v,$$

აქედან, კონტურზე:

$$(57) \qquad \frac{dv}{d\nu} = \frac{dN}{d\nu} + \frac{d}{d\nu}\lg|\zeta' - \zeta_1| = f_0|\omega'(\zeta')| + \frac{d}{d\nu}\lg|\zeta' - \zeta_1|$$

ახლა უკვე ამოცანა დაყვანილია ისეთი $\psi(\zeta)$ ფუნქციის მონახვაზე, რომელიც ჰარმონიულია წრეში და აკმაყოფილებს მე (57) საკონტურო პირობას.

უკვე ვიცით [იხ. $n^0$ 5. ფ. (20)], რომ ეს პრობლემა ამოიხსნება ინტეგრალით:

$$(58) \qquad \psi(\zeta) = \frac{1}{\pi i}\int^{\zeta}\frac{d\zeta}{\zeta}\int_{\gamma} f\frac{d\zeta'}{\zeta' - \zeta} + C$$

სადაც:

$$f = \frac{d}{dn}\Re\psi(\zeta') = \frac{dv}{d\nu}$$

შევიტანოთ (58)-ში $\frac{dv}{d\nu}$-ს მნიშვნელობა (57)-დან, სადაც $\frac{d}{d\nu}\lg|\zeta' - \zeta_1|$ წინასწარ გარდავქმნათ $n^0$ 5, ფ. (22) პირველის მიხედვით; მივიღებთ:

$$(59) \qquad \varphi(\zeta) = \frac{1}{\pi i}\int^{\zeta}\frac{d\zeta}{\zeta}\int_{\gamma}\left(f_0|\omega'(\zeta')| + \frac{1}{2}\frac{\zeta'}{\zeta' - \zeta_1} + \frac{1}{2}\frac{1}{1 - \overline{\zeta}_1\zeta'}\right)\frac{d\zeta'}{\zeta' - \zeta} + C.$$

---

[1]) მართლაც: $f(\zeta) = -\lg[\omega(\zeta) - \omega(\zeta_1)] + \psi_1[\omega(\zeta)] =$
$= -\lg[(\zeta - \zeta_1)(\omega'(\zeta_1) + \frac{1}{1.2}\omega''(\zeta_1)(\zeta - \zeta_1)^2 + \dots)] + \psi_1[\omega(\zeta)] =$
$= -\lg(\zeta - \zeta_1) + \psi(\zeta)$, სადაც $\psi(\zeta)$ ჰოლომორფია $(\gamma)$-ში.

აქედან, ელემენტარული გარდაქმნები და Cauchyს რეზიდიუმის დებულება გვაძლევენ:

$$\psi(\zeta) = -\lg(1-\bar{\zeta}_1\zeta) - \frac{1}{\pi} J_0 \int_0^{2\pi} \omega'(\zeta') \,.\, \lg(\zeta'-\zeta)\, d\vartheta + C$$

გამოვყოთ აქედან ნამდვილი ნაწილი და მივუმატოთ მას $-\lg|\zeta-\zeta_1|$, მაშინ ( 56′ )-ის თანახმად მივიღებთ $N$ ფუნქციას საძიებელი არისათვის; თუ ამას გარდა მუდმივ $C$-საც განვსაზღვრავთ J. Hadamardის შენიშვნის მიხედვით, მივიღებთ:

$$(60)\quad N = -\lg|\zeta-\zeta_1|\,|1-\bar{\zeta}_1\zeta| - \frac{1}{\pi} J_0 \int_0^{2\pi} \omega'(\zeta')\, [\lg|\zeta'-\zeta| + \lg|\zeta'-\zeta_1|]\, d\vartheta .$$

ვინაიდან ამ $n^0$-ში მოყვანილი მსჯელობა სრულიად ზოგადია, ამიტომ მე ( 60 ) იძლევა Neumannის ფუნქციას პირდაპირ, ნებისმიერი არისათვის, რომლის გარდასახვა წრეში ცნობილია.

ამისათვის საკმარისია ( 60 )-ში ჩავსვათ მხოლოდ სათანადო $|\omega'(\zeta)|$; აღსანიშნავია, რომ Neumannის ფუნქციები ყველა ხსენებული არეებისათვის მხოლოდ ( 60 )-ის ინტეგრალური წევრით განსხვავდებიან ურთიერთისაგან, რაც ბუნებრივი შედეგია (54) და (56′)-ისა.

ამრიგად მე (60)-ის სახით ჩვენ მივიღეთ Neumannის ფუნქციის ფაქტური მნიშვნელობა ყველა იმ არისათვის, რომელიც კონფორმულად გადაისახება წრეში.

ფორმულა ( 60 ) პირდაპირ იძლევა პასუხს $n^0$ 7 და $n^0$ 8-ის ამოცანებზე.

10. $N$ფუნქცია პასკალის ლოკოკინისათვის — პირდაპირ მიიღება მე ( 60 )-დან, თუ ჩავსვამთ:

$$|\omega'(\zeta')| = b\,|1+2a\zeta| = b\sqrt{1+4a\cos\vartheta+4a^2}$$

ამას გარდა:

$$\lg|\zeta'-\zeta| = \lg\sqrt{1+\rho^2-2\rho\cos(\vartheta-\varphi)}$$
$$\lg|\zeta'-\zeta_1| = \lg\sqrt{1+\rho_1^2-2\rho_1\cos(\vartheta-\varphi_1)}$$

სადაც:

$$\zeta = \rho e^{i\vartheta};\quad \zeta_1 = \rho_1 e^{i\vartheta_1};\quad \zeta' = e^{i\vartheta}$$

შევიტანოთ ( 60 )-ში:

$$(61)\qquad N = -\lg|\zeta-\zeta_1|\,|1-\bar{\zeta}_1\zeta| -$$
$$-\frac{1}{\pi} J_0\, b \int_0^{2\pi} \sqrt{1+4a\cos\vartheta+4a^2}\left(\lg\sqrt{1+\rho^2-2\rho\cos(\vartheta-\varphi)} + \lg\sqrt{1+\rho_1^2-2\rho_1\cos(\vartheta-\varphi_1)}\right) d\vartheta$$

ადვილი მისახვედრია, რომ (61) იგივეა რაც (42); აქ მხოლოდ ინტეგრალს ქვეშ მყოფი მოდულები არის გამოთვლილი.

$N$ — ფუნქციის მისაღებად ელიფსის გარე-არისათვის, უნდა მოვახდინოთ ჩასმა:

$$|\omega'(\zeta')| = b\left|1-\frac{a}{\zeta'^2}\right| = b\sqrt{1-2a\cos 2\vartheta + a^2}$$

$$\lg|\zeta'-\zeta| = \lg\sqrt{1+\rho^2-2\rho\cos(\vartheta-\varphi)}$$

$$\lg|\zeta'-\zeta_1| = \lg\sqrt{1+\rho_1^2-2\rho_1\cos(\vartheta-\varphi_1)}$$

შევიტანოთ მიღებული შედეგები (60)-ში:

$$N = -\lg|\zeta-\zeta_1||1-\zeta_1\zeta| - \tag{62}$$

$$-\frac{1}{\pi} f_0 b \int_0^{2\pi} \sqrt{1-2a\cos 2\vartheta + a^2}\Big(\lg\sqrt{1+\rho^2-2\rho\cos(\vartheta-\varphi)} +$$

$$+\lg\sqrt{1+\rho_1^2-2\rho_1\cos(\vartheta-\varphi_1)}\Big)d\vartheta$$

სადაც $\vartheta$, $\rho$, $\varphi$, $\rho_1$ და $\varphi_1$-ს ძველი მნიშვნელობა აქვსთ.

ადვილად დავრწმუნდებით, რომ (62) იგივეა რაც (49) იმ განსხვავებით, რომ პირველში მოდულიარული წევრები ინტეგრალს ქვეშ გამოთვლილი არიან.

ტფილისი, 1928 წ.

---

შეცთომის გასწორება: 221 გვერდზე მე (8) ფორმულის ქვევით დაბეჭდილია: „სადაც n არის გარემართივი (ნოგეზული (S) არის გარეთ)". უნდა იყოს: „სადაც n არის შიგამართივი (მოგეზული (S) არის შიგნით). სათანადოდ უნდა აირჩეს მართივის მიმართულება 1-ლ ნახაზზე.

ს. დანელია.

# ქსენოფანეს პრობლემა.

(შესავალი სიტყვა სადოქტორო პაექრობაზე 5 აპრილს 1927 წ.)

ჩემი წიგნი „ქსენოფანე კოლოფონელი“, რომელიც სადისერტაციო შრომად მაქვს წარმოდგენილი, შეეხება ანტიკური ფილოსოფიის წინასოკრატული ხანის ერთს უმნიშვნელოვანეს მოაზროვნეს, ელეატური ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელს. ელეატურმა მიმართულებამ დიდი როლი შეასრულა ბერძნული აზროვნების განვითარებაში. მან შექმნა პირობები, ურომლისოდ ბერძნული აზროვნება პრიმიტიული ჰილოძოიზმის ფარგლებს ვერ გასცდებოდა. მანვე შემოიტანა საბერძნეთის ფილოსოფიურს ვითარებაში იმის შეგნება, რომ მეცნიერების პრინციპი გრძნობათა გაღმა მდებარეობს და ის აზროვნებით შეიცნობა მხოლოდ: ამან გაანაყოფიერა მეცნიერული ძიება და შესაძლებელი გახადა იონიის ფიზიკოსთა გულუბრყვილო თეორიების ადგილზე გაჩენილიყო ორი უდიდესი ფილოსოფიური სისტემა ძველი საბერძნეთისა: ატომისტური მეტაფიზიკა დემოკრიტესი და იდეათა თეორია პლატონისა. ამიტომ ცხადია, თუ რამდენად საინტერესო უნდა იყოს ფილოსოფიური აზროვნების ისტორიკოსისათვის განვითარება ელეატური მიმდინარეობისა და კერძოდ მოძღვრება ამ მიმდინარეობის დამაარსებლის, ქსენოფანე კოლოფონელისა.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ინტერესი, რომელსაც იწვევს ქსენოფანეს თეორია. ქვევით დავინახავთ, რომ ეს თეორია წარმოადგენს ლოგიკურად დასრულებულ მონოთეიზმს. როგორადაც უნდა დავაფასოთ ჩვენ დღეს ეს მოძღვრება, ერთი მაინც უდავოა: პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გარდასვლა უდიდესი პროგრესული ნაბიჯი იყო იდეოლოგიური ვითარების სფეროში.

ვიდრე ჩემი წიგნის მთავარ ხაზებს გაგაცნობდეთ, საჭიროდ მიმაჩნია აქ ერთს გარემოებაზე შევჩერდე. ჩემი მიდგომა ქსენოფანეს მოძღვრებისადმი, როგორც იმ ნაწილში, რომელსაც მე ქსენოფანეს ფიზიკას ვუწოდებ, ისე იმ ნაწილშიაც, რომელსაც მე ქსენოფანეს მეტაფიზიკა დაერქვი, არის მიდგომა მხოლოდ ისტორიკოსისა, ე. ი. მეცნიერისა.

ყოველგვარი მოვლენა შეიძლება განხილულ იქმნეს სხვადასხვა თვალსაზრისით. მათ შორის ერთია თვალსაზრისი ცოდნისა, მეორეა თვალსაზრისი რწმენისა. მართალია, ყოველი ცოდნა თვითონ ჰგულისხმობს რწმენას: სხვა რომ არა იყოს რა, ცოდნა არ შეიძინება, თუ არ გვწამს, რომ ცოდნის შეძენის შესაძლებლობა არ არის ადამიანთათვის აღკვეთილი. მაგრამ ყველაფერა ეს სრულებით

არ უშლის ხელს იმის აღსარებას, რომ ცოდნას აქვს თავისი სპეციფიკური ლოგიკური ნიშანი, რომელიც განასხვავებს მას რწმენისაგან. ეს განსხვავება ყველაზე უფრო ნათლად აშკარავდება იქ, სადაც მოცემულია ცოდნისა და რწმენის უმაღლესი განვითარება. ასეთი მოვლენებია ერთის მხრივ მეცნიერება, მეორეს მხრივ რელიგია.

მეცნიერება ცოდნის უმწვერვალესი ნიმუშია, ისე როგორც რელიგია უმწვერვალესი ნიმუშია რწმენისა. მეცნიერება სისტემაში ჩამოყალიბებული ცოდნაა, ხოლო რელიგია სისტემაში ჩამოყალიბებული რწმენაა. მეცნიერების თვალსაზრისი არის თვალსაზრისი ბუნებრივი, რომელიც მექანიკური მიზეზობრივობის პრინციპს ეყრდნობა. რელიგიის თვალსაზრისი კი არის თვალსაზრისი ზე-ბუნებრივი, რომელიც სასწაულს ჰგულისხმობს. იქ, სადაც რელიგიური აზროვნება საიდუმლო ღვთაებრივი ძალის მოქმედებას ხედავს, მეცნიერული აზროვნება ცდილობს აღმოაჩინოს ბუნებრივ ძალთა მოქმედება.

ჩემი წიგნის საგანია მონოთეიზმის გაჩენა. ეს საგანი მე მეცნიერული გამოკვლევის ობიექტად ვაქციე. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, სადაც რელიგიურ თვალსაზრისზე მდგომი მხოლოდ ზე-ბუნებრივ მოვლენას დაინახავდა, მე ვცდილობ ბუნებრივი მიზეზები აღმოვაჩინო. ჩემის აზრით, მონოთეისტური იდეის გაჩენა შესაძლებელია იმგვარივე ძალთა მოქმედებით ავხსნათ, რომელნიც აჩენენ ყოველს სხვა იდეას. მეტიც შეიძლება ამ შემთხვევაში ითქვას: მონოთეიზმის გაჩენა არამც თუ შესაძლებელია ბუნებრივი მიზეზებით აიხსნას, არამედ მეცნიერების პირდაპირს მოვალეობას შეადგენს სწორედ ასე ახსნას იგი. სადაც მეცნიერი სტოვებს ბუნებრივ მიზეზებს და მისტიციზმის სიღრმეში იძირება, იქ ის მეცნიერებასაც ეთიშება.

ვინც ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას იცნობს, ის დაინახავს, რომ ერთის მხრით ჩემი გამოკვლევა ქსენოფანე კოლოფონელზე მხოლოდ დეტალია იმ დიდი პროგრამის შესასრულებლად, რომელიც უკვე XVIII საუკუნის განმანათლებელთა წინაშე ისახებოდა. მე მხედველობაში მყავს აქ დავით ი უ მ ი, კლოდ ჰადრიან ჰ ე ლ ვ ე ც ი უ ს ი და სხვ., რომელთაც შესაძლებელი გახადეს მეცნიერული მიდგომა სარწმუნოების განვითარების პრობლემისადმი.

ზემონათქვამიდან გასაგები ხდება, რომ კვლევის დროს უწინარეს ყოვლისა ჩემს წინაშე წამოიჭრა ასეთი საკითხი: მართლაც თუ ჰქონდა მონოთეისტური იდეა ქსენოფანე კოლოფონელს? საქმე ის არის, რომ მრავალი მეცნიერი (მათ შორის აქ განსაკუთრებით დასასახელებელია ფ რ ე ი დ ე ნ ტ ა ლ ი, რომელმაც ქსენოფანეს უძღვნა ფრიად მნიშვნელოვანი მონოგრაფია („Ueber die Theologie des Xenophanes") ამტკიცებს, რომ ქსენოფანე იყო არა მონოთეისტი, არამედ პოლითეისტი, ოღონდ სხვა პოლითეისტებისაგან განსხვავებით მან მხოლოდ წინ წამოაყენა ის აზრი, რომ მრავალ ღმერთთა შორის არის ერთი უდიდესი, და იგი სხვებს არა გავს. ასეთს შეხედულებას არ შეიძლება მონოთეიზმი ეწოდოს, და ფ რ ე ი დ ე ნ ტ ა ლ ი ც ქსენოფანეს მსოფლმხედველობას მონოთეიზმის მაგივრად ჰენოთეიზმის სახელწოდებას აძლევს.

დაახლოებით იმავე პოზიციას, რომელზედაც ფრეიდენტალი დგას, იცავს ბევრი სხვა ისტორიკოსი ფილოსოფიისა. ცნობილი მეცნიერი თეოდორე გ ო მ-

პ ე რ ც ი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ქსენოფანე არამც თუ არ იყო მონოთეისტი, რომელიც ახალს შეხედულებას ამყარებდა, არამედ ის იყო უბრალო რესტავრატორი იმ იდეოლოგიისა, რომელიც მეექვსე საუკუნის საბერძნეთისათვის დიდი მანძილით უკან დატოვებული მსოფლმხედველობა იყო. მართალია, ქსენოფანეს მონოთეისტობას ფრიად გამოჩენილი დამცველები ყავდა: ც ე ლ ლ ე რ ი, დ ი ლ ს ი, ვ ი ლ ა მ ო ვ ი ც ი და სხვებიც, მაგრამ აღსანიშნავია მაინც ის გარემოება, რომ ქსენოფანეს მონოთეისტობა, ჩემის აზრით, არ იყო იმდენად მტკიცედ დასაბუთებული, რომ ზედმეტი ყოფილიყო ამ საკითხის ხელმეორედ გადასინჯვა.

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქსენოფანეს მონოთეისტობა სადავო საკითხია, იმაში უნდა ვეძიოთ, რომ წყაროები ქსენოფანეს ფილოსოფიისა საკმაო სიცხადით არ ამოწმებენ მის მონოთეისტობას. ეს წყაროები ორ ჯგუფს ეკუთვნიან: პირველი ჯგუფი ქსენოფანეს ფილოსოფიის შესასწავლი წყაროებისა არის ქსენოფანესაგან დარჩენილი ფრაგმენტები. ესენი გაბნეულნი არიან მოგვიანო ხანის მწერალთა თხზულებებში და ისტორიულ-ფილოლოგიურად გამოკვლეულნი არიან ჰერმან დ ი ლ ს ი ს მიერ, რომლის წიგნითაც („Die Fragmente der Vorsokratiker“) მე მომიხდა სარგებლობა. რა თქმა უნდა, მე ვერ შევძლებდი ჩემი გამოკვლევის დაწერას, რომ დ ი ლ ს ს წინასწარ არ შეესრულებია ამისათვის საჭირო ფილოლოგიური მუშაობა. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჰერმან დ ი ლ ს ი ს ზემოდასახელებულმა წიგნმა თითქმის ახალი ასპარეზი გაუხსნა ისტორიულ-ფილოსოფიურ კვლევას, რადგანაც ფილოლოგიის არასპეციალისტებისათვისაც მისაწვდომი გახადა წინასოკრატული ფილოსოფიის მასალები, და სწორედ ამით აიხსნება ნაწილობრივ ისიც, რომ გამოკვლევათა რიცხვი წინასოკრატული ფილოსოფიის შესახებ დ ი ლ ს ი ს წიგნის გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა.

როგორც ვთქვით, ქსენოფანეს ფრაგმენტები საკმაო სიცხადით არ ამტკიცებენ მის მონოთეისტობას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფრაგმენტია ამ შემთხვევაში εἷς θεός ἔν τε θεοῖσι καὶ ἀνθρώποισι μέγιστος. მაგრამ ბევრმა მკვლევარმა (და მათ შორის განსაკუთრებით ფ რ ე ი დ ე ნ ტ ა ლ მ ა) შესაძლებლად დაინახა ამ ფრაგმენტისათვის პოლითეისტური ინტერპრეტაცია მიეცა.

რაკი ქსენოფანესაგან დარჩენილი ფრაგმენტები საკმაოდ ვერ გვარწმუნებენ ქსენოფანეს მონოთეისტობაში, საჭირო გახდა სხვა წყაროებისათვის მიმართვა, ე. ი. მიმართვა არაპირდაპირი წყაროებისათვის, რომელთა ქვეშ იგულისხმება ძველ მწერალთა მოწმობა ქსენოფანეს მსოფლმხედველობის შესახებ. ყველაზე უფრო გარკვეულად ქსენოფანეს მონოთეისტობაზე მოგვითხრობს ერთი ანონიმური თხზულება, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია და რომელიც ცნობილია სათაურით „De Melisso Xenophane Gorgia“. მაგრამ, ვიდრე ამ თხზულებას დავეყრდნობოდი და მის მიერ მოწოდებულს ცნობას ქსენოფანეს მსოფლმხედველობის შესახებ სანდო მოწმობად ჩავთვლიდი, საჭირო იყო ამ წყაროს შეფასება.

ანონიმური თხზულებისადმი დამოკიდებულებამ მეცნიერულს ლიტერატურაში თვალსაჩინო ევოლუცია განიცადა: თავდაპირველად მის მოწმობას ნდობით ეკიდებოდენ, რადგანაც ფიქრობდენ, რომ ის არის ან არისტოტელის, ან

თეოფრასტოს ნაწარმოები. მაგრამ თანდათან გამოირკვა, რომ არ არსებობს დამარწმუნებელი საბუთი იმისათვის, რომ ეს თხზულება არისტოტელის ან თეოფრასტოს ნაწერად ჩავთვალოთ. ამიტომ ნდობითი დამოკიდებულება ანონიმური თხზულებისადმი უნდობლობით შეიცვალა. თვით ც ე ლ ლ ე რ მ ა, რომლის თვალსაზრისისათვის ანონიმური თხზულება კარგი საბუთი იქნებოდა, მაინც საეჭვო წყაროდ ჩასთვალა იგი ქსენოფანეს ფილოსოფიის შესასწავლად. ც ე ლ ლ ე რ ი ს აზრით, ანონიმური თხზულებით შეიძლება სარგებლობა მხოლოდ როგორც დამატებითი საბუთით ქსენოფანეს შეხედულებათა გამოკვლევის დროს: თუ პირდაპირი წყაროები ქსენოფანეს ფილოსოფიისა, ან არაპირდაპირი, მაგრამ საკმაოდ დამარწმუნებელი მოწმობანი, მოგვითხრობენ ქსენოფანეს შესახებ ისეთს რასმე, რაც ანონიმურ თხზულებაშიც არის ნათქვამი, მხოლოდ მაშინ არის დასაშვები ამ თხზულების ცნობებით სარგებლობა—ამბობს ცელლერი.

ცელლერის დაფასებას ანონიმური თხზულების ღირსებისა ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. განსაკუთრებით მოსახსენებელია აქ ფრანც კ ე რ ნ ი, რომელმაც ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევათა მთელ რიგში სცადა აღედგინა ანონიმური თხზულების ღირსება. დავა ც ე ლ ლ ე რ ს ა და კ ე რ ნ ს შორის ანონიმური თხზულების შესახებ გრძელდებოდა ოციოდე წელს, მაგრამ საკითხი საბოლოოდ მაინც გადაუწყვეტელი დარჩა, და კამათი დამთავრდა იმით, რომ ც ე ლ ლ ე რ მ ა explicite აღიარა, რომ ანონიმური თხზულება შეიძლება ერთი და იმავე უფლებით ჩავთვალოთ, როგორც ისეთ თხზულებად, რომელიც ეწინააღმდეგება ქსენოფანეს ფრაგმენტებში გამოთქმულ შეხედულებებს, ისე იმგვარ თხზულებად, რომელიც ეთანხმება ამ ფრაგმენტებს.

ც ე ლ ლ ე რ ს ა და კ ე რ ნ ს შორის წარმოებული კამათის ასეთი დაბოლოება არ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ანონიმური თხზულების მნიშვნელობის დამამტკიცებელ გარემოებად. ამიტომ საჭირო გახდა ახალი არგუმენტების წამოყენება, და მეც ვცადე ამ არგუმენტებისათვის მიმემართა. მე სრულიად ავიღე ხელი იმის გამორკვევაზე, თუ ვინ იყო ამ ანონიმური თხზულების ავტორი: იყო ის არისტოტელი, თუ თეოფრასტო,—და ვცადე ცხად მეყო ანონიმური თხზულების მნიშვნელობა მისი შინაგანი ნიშნების საშუალებით და აგრეთვე მისი დაპირისპირებით სხვა სანდო მოწმობებთან, როგორიც არის, მაგალითად, მოწმობა სიმპლიკიოსისა, რომელიც აკადემიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. სიმპლიკიოსი სწორედ ისე ახასიათებს ქსენოფანეს, როგორც ანონიმი. შესაძლებელია ისიც კი ითქვას, რომ თავის მოწმობაში ქსენოფანეს შესახებ სიმპლიკიოსი დამოკიდებული უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ანონიმურს თხზულებაზე. თუ სიმპლიკიოსს, რომელიც ანტიკური მწერლობის საუკეთესო მცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს, ანონიმური თხზულება სანდო წყაროდ მიაჩნდა, მაშინ ცხადია, რომ არც ჩვენ გვაქვს საფუძველი მას უნდობლად მოვეპყრათ, ვინაიდან სიმპლიკიოსზე უფრო ახლო ძველი საბერძნეთის ფილოსოფიურს მწერლობას არავინ იცნობს დღეს.

რაკი ანონიმური თხზულების (De Melisso Xenophane Gorgia) მიერ მოწოდებულ ცნობათა მნიშვნელობა ცხადი შეიქმნა, ამით გადაწყდა ჩემთვის ქსენო-

ფანეს მონოთეისტობის პრობლემაც, ვინაიდან ამ ანონიმურს თხზულებაში გარკვეულად დამოწმებულია, რომ ქსენოფანეს მოძღვრება მონოთეისტური იყო.

მას შემდეგ, რაც ქსენოფანეს მონოთეისტობა დამტკიცებულ ფაქტად იქცა, საჭირო იყო ამ მონოთეიზმის დეტალების შესწავლა. უწინარეს ყოვლისა უნდა გამომერკვია ის, თუ როგორ ესმოდა ქსენოფანეს ღვთაება: პანთეისტურად თუ თეისტურად.

ფილოსოფიის ისტორიკოსთა შორის ძალიან გავრცელებულია აზრი, რომ ქსენოფანეს მოძღვრება არის პანთეიზმი. აქ ეთანხმებიან ერთმანეთს ისეთი მეცნიერებიც კი, რომელნიც სხვა საკითხში ერთი მეორეს რადიკალურად ეწინააღმდეგებიან. თუ ქსენოფანე პანთეისტი იყო, მაშინ ის მთლად არ გაშმიჯნია პოლითეისტურს იდეოლოგიას, ვინაიდან პოლითეიზმი არსებითად პანთეისტურს საფუძველზე არის აგებული. პანთეიზმი აიგივებს ღმერთსა და ბუნებას. თუ მივმართეთ ტერმინოლოგიას სპინოზისას, რომელმაც ყველაზე უფრო დასაბუთებული პანთეისტური ფილოსოფია შექმნა, ღმერთი პანთეისტისათვის ბუნების გარეშე კი არ იმყოფება, არამედ ის შიგ ამ ბუნებაშია მოცემული, როგორც მისი სუბსტანცია: Deus est omnium rerum causa immanens, non vero transiens, ამბობს სპინოზა, რომლის „ეთიკა"ში ტერმინი „ღმერთი" ხშირად იხმარება „ბუნება"—სიტყვის ნაცვლად: Deus sive natura.

პოლითეისტური რელიგია იყო ბუნების ძალთა-გაღმერთება. თავდაპირველად წარმართი კაცობრიობა ვერ სწვდებოდა ბუნების მთლიანობასა და ერთობას. მისთვის ბუნება მრავალ მოვლენათა ჯამი იყო, და თითოეულს, მეტად თუ ნაკლებად საყურადღებო მოვლენას, ის ღმერთად აცხადებდა. თანდათან იმის მიხედვით, თუ როგორ წინაურდებოდა კაცობრიობა ინტელექტუალურად, ის სწვდებოდა მოვლენათა ურთიერთ კავშირს, და ამრიგად მრავალი ერთი მეორისაგან ჯერ-განცალკევებული ღმერთები უკავშირდებოდენ მის წარმოდგენაში ერთმანეთს და ერთი მთავარი ღმერთის ქვეშევრდომნი ხდებოდენ. ამით ისინი ჰკარგავდენ პირვანდელს თავის თავადობას. პოლითეისტური რელიგიის ცითარების ამ გზამ უკვე იჩინა თავი საბერძნეთის მისტერიებში, სადაც ძეუსი გამოცხადებულია მსოფლიოს თავად, შუაგულად და ბოლოდ. განსაკუთრებით კი ჩამოყალიბდა ეს პანთეიზმი სტოიელთა სკოლაში, რომელიც ერთი უკანასკნელი ნაყოფია ანტიკური ფიზიკისა.

ქსენოფანეს ფილოსოფია, ჩემი აზრით, არ იყო პანთეიზმი, და ეს გარემოება კიდევ უფრო აშორებს მას პოლითეიზმისაგან და უფრო გარკვეული მონოთეიზმის სახეს აძლევს მის მოძღვრებას. მართალია, ჩვენი წყაროები მთლად ცხადად არ ამტკიცებენ იმას, რომ ქსენოფანე არ იყო პანთეისტი, მაგრამ ეს წყაროები არც იმას ამტკიცებენ საკმაო სიცხადით, რომ მისი მოძღვრება იყო პანთეიზმი,—გარემოება, რომელიც აღიარა უკვე ასეთმა ავტორიტეტიანმა ფილოგმა, როგორიც იყო ბ ე რ კ ი.

რაკი ქსენოფანეს პანთეისტობის პრობლემა არც პირდაპირი, არც არაპირდაპირი წყაროების საშუალებით არ წყდებოდა, საჭირო იყო ან სრულიად ხელის აღება ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ან მიმართვა სხვა გვარის მოსაზრება-

თათვის. სწორედ აქ წარმოდგა ჩემს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით ქსენოფანეს მნიშვნელობა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის.

ქსენოფანე დამაარსებელია ელეატური მიმდინარეობისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ფილოსოფიური აზროვნების ევოლუციაში. უკვე პლატონი, რომლის იდეათა თეორია ელეატიზმის საფუძველზე წარმოიშვა, ქსენოფანეს ელეატიზმის დამაარსებლად სთვლიდა. ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე არისტოტელი, რომელიც ამბობს, რომ პარმენიდე იყო ქსენოფანეს მოწაფეო.

აქ ახალი საშუალება გაჩნდა ჩვენი პრობლემის გამოსარკვევად: ქსენოფანეს პანთეისტობის თუ თეისტობის პრობლემის გადასაჭრელად, მე მივმართე ელეატიზმის სხვა წარმომადგენელთა შესწავლას. განსაკუთრებით დიდი დახმარება გამიწია აქ რეინჰარტმა, რომელმაც 1917 წელს დაბეჭდილს თხზულებაში „Parmenides und die Geschichte der griechischen Philosophie“ ფრიად საყურადღებო კონცეპცია მოგვცა ელეატიზმისა. ამ კონცეპციით ის რადიკალურად გაემიჯნა საბერძნეთის ფილოსოფიის ყველაზე უფრო სახელოვანს მკვლევარს ედუარდ ცელლერს. უკანასკნელის შეხედულებით მთელი წინა-სოკრატული ფილოსოფია იყო ფიზიკა: აქ ჯერ კიდევ არ იცნობდენ ლოგიკისა და ეთიკის საკითხებს. ამ შეხედულების თანახმად ელეატიზმიც რჩება ცელლერის გაგებით ფიზიკის ფარგლებში, და ელეატური τὸ ἐόν (არსი) არის ფიზიკური სუბსტანცია ან განფენილი ნივთიერება. ცელლერი ამტკიცებს, რომ ელეატური ფილოსოფია წარმოიშვა აბსტრაქციის გზით მილეტური ფიზიკისაგან. უკანასკნელი ეძებდა საგანთა საწყისს: ერთმა იპოვა საწყისი წყალში, მეორემ რაღაც უსაზღვროში, მესამემ ჰაერში. ელეატებმა კი საწყისს მოაცილეს კონკრეტული ნივთიერების ნიშნები და შედეგად მიიღეს აბსტრაქტული ცნება ნივთიერებისა. ეს არის სწორედ ელეატების τὸ ἐόν: ის ფიზიკური არსია, რომელსაც არ ამძიმებს არც ერთი კონკრეტული ნივთიერების სპეციფიკურობა. τὸ ἐόν არ არის არც წყალი, არც ჰაერი, არც ცეცხლი, არც სხვა რომელიმე სტიქიონი. ის არის მხოლოდ ნივთიერება საზოგადოდ. აი ასეთი ნივთიერება ჩასთვალეს ელეატებმა მოვლენათა სუბსტრატად, მათ საწყისად. ამრიგად მთელი განსხვავება ელეატური ფილოსოფიისა მილეტურისაგან იმაში მდგომარეობდა, რომ იმ დროს, როდესაც მილეტელები საგანთა სუბსტრატად კონკრეტულ ან გრძნობათა საშუალებით საწვდომს ნივთიერებას აცხადებდენ, ელეატებმა საგანთა სუბსტრატად სცნეს ნივთიერება საზოგადოდ, რომელსაც არც ერთი კონკრეტული ნივთიერების სპეციფიკური თვისება არ ჰქონდა და შეიცავდა მხოლოდ ყველა ნივთიერებათათვის საზოგადო თვისებებს. ასეთი ნივთიერების ცნებამდის კი ელეატები მივიდენ მილეტური საწყისის ანალიზისა და მისგან ზედმეტი ელემენტების გამორიცხვის საშუალებით. ერთი სიტყვით, ელეატიზმი ცელლერის გაგებით, მდებარეობს აზროვნების განვითარების იმავე ხაზზე რომელზედაც იმყოფება მილეტური ფიზიკა. აზროვნების განვითარება არის მხოლოდ განზოგადების ახალ საფეხურებზე ასვლა, ანალიზის გაღრმავება, წინაალმდეგობათა დაძლევა. ელეატიზმიც არის ნაშთი მილეტური ფიზიკის ლოგიკური ანალიზისა, და როგორც ასეთი, თვითონ ისიც ფიზიკის ფარგლებში რჩება

ასეთია დაახლოებით ცელლერის გაგება ელეატური ფილოსოფიისა,—გაგება, რომელსაც საკმაო გრძელი ისტორია აქვს.

სწორედ ამ გაგებას წინააღუდგა რეინჰარტი. მან სრულიად განსხვავებული კონცეპცია მოგვცა ელეატიზმისა. რეინჰარტმა დაამტკიცა, რომ პარმენიდეს ფილოსოფია არ იყო ფიზიკა. მან ცხადჰყო, რომ „პარმენიდე იყო დიდი რევოლუციონერი, რომელიც ფიზიკალურ აზროვნებას პირისახეში სცემდა, სადაც კი ეხერხებოდა“; „პარმენიდეს ეზიზღებოდა აზრთა ფიზიკალური მსვლელობა“, რადგანაც ის იყო „პირველი ლოგიკოსი“. ამის შესაფერისად ესმის რეინჰარტს პარმენიდეს τὸ ἕνი: უკანასკნელი სრულიადაც არ არის საწყისი (ἀρχή) მილეტური ფიზიკის გაგებით. τὸ ἕν არის პარმენიდესათვის ცნება არსისა, და არა ნივთიერება. თუ მილეტის ფიზიკოსებისათვის ἀρχή იყო ფიზიკური მიზეზი საგნებისა, პარმენიდესათვის τὸ ἕν არის ლოგიკური საბუთი არსობისა.

ელეატური ფილოსოფიის ცენტრალური წარმომადგენელის ასეთმა ინტერპრეტაციამ ახალი შუქი მოფინა ქსენოფანეს მოძღვრებასაც. უდავოდ არის ცნობილი, რომ ქსენოფანეს ὁ θεός ეთანაბრება პარმენიდეს τὸ ἕν'ს. მაგრამ თუ τὸ ἕν არ არის ნივთიერი არსი, რომელიც მილეტური ἀρχή'ს მსგავსად მატერიულ სუბსტრატად უდევს მოვლენათა მრავალფეროვანობას, მაშინ არც ქსენოფანეს ὁ θεός უნდა იყოს ნივთიერი არსი, რომლისაგან არიან ფიზიკურად შემდგარი ბუნებრივი მოვლენები. და ეს მით უმეტეს, რომ ამგვარი გაგება ქსენოფანეს მოძღვრებისა გვაიძულებს ქსენოფანე ჰილოძოისტად გამოვაცხადოთ, როგორც ამას დერინგის მაგალითი გვიჩვენებს. დერინგი ამტკიცებდა, რომ ὁ θεός ქსენოფანესათვის იგივე იყო, რაც დედა-მიწა ან ის, რასაც ბერძნულ მითოლოგიაში გაია ეწოდება. მაგრამ უკვე თვით ქსენოფანესაგან დარჩენილი ფრაგმენტები გვიმტკიცებენ, რომ ქსენოფანეს თავისებურობა სწორედ ის იყო, რომ ის წინააღუდგა ნატურალისტური რელიგიის ღმერთებს, მათ შორის გაიასაც, და ღვთაება დასახა გარეშე ადამიანთა და საზოგადოდ მთელი ბუნებისა. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ისიც, რომ ყველა, ვინც ქსენოფანეს θεός'ში ნივთიერებას ხედავს, ვერ ახერხებს ახსნას ერთი ფრიად საყურადღებო მოწმობა თეოფრასტოსი, რომ ქსენოფანეს θεός იყო οὔτε πεπερασμένον, οὔτε ἄπειρον, οὔτε κινούμενον, οὔτε ἠρεμοῦν („არც განსაზღვრული და არც უსაზღვრო, არც მოძრავი და არც უძრავი“). ამ მოწმობის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ მივიღეთ, რომ ქსენოფანესათვის ὁ θεός არ იყო (განფენილი) ნივთიერება, და, როგორც განუფენელი, ის არ იყო ვრცეულად არც განსაზღვრული, არც უსაზღვრო.

ასეთი გაგებით, ქსენოფანე წარმოდგება ჩვენს წინაშე, როგორც პირველი თეისტი საბერძნეთში, რომელიც წინ უსწრებს თვით ანაქსაგორას: ქსენოფანეს ὁ θεός უფრო მაღალი ხარისხის ცნებაა ვიდრე ანაქსაგორის νοῦς, რომელიც ანაქსაგორას ფიზიკალურ ტერმინებში ჰქონდა მაინც განაზრებული. ეს გარემოება აქცევს ქსენოფანეს ფილოსოფიას საყურადღებო მოვლენად არა მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიკოსისათვის, არამედ კულტურის ისტორიკოსისათვისაც. ქსენოფანე საკვირველი მოაზროვნეა მთელს ანტიკურს კაცობრიობაში. ამიტომ საპირო იყო მისი მოძღვრების ფსიქოლოგიური გენეზისის გამორკვევა. ამ პრო-

ბლემის გადასაწყვეტად კი მე მომიხდა გამოკვლევა ქსენოფანეს პიროვნებისა და აგრეთვე იმ საზოგადოებრივი წრისა, რომელშიაც ქსენოფანე ვითარდებოდა. ჩემი ამოცანა აქ ის იყო, რომ ბიოგრაფიული ხასიათის ცნობებში, რაც ჩვენ ქსენოფანეს შესახებ მოგვეპოვება, აღმომეჩინა ისეთი ფაქტები, რომლებიც გასაგებად გახდიდენ ქსენოფანეს მოძღვრების წარმოშობას. აქ მხედველობაში იყო მიღებული ქსენოფანეს პოლემიკა ბერძნული პოლითეიზმის ანთროპომორფიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს პოლემიკა დამახასიათებელია თვით ქსენოფანეს აზროვნებისათვისაც.

შედეგად მთელი კვლევისა ქსენოფანე კოლოფონელის სახით ჩემს წინაშე წარმოდგა დიდი მოქალაქე, დევნილი ამ ქვეყნის უკუღმართობით. ნატურალისტური ოპტიმიზმი ჰომიროსის დინჯი ეპოსისა ასეთს კაცს ვერ დააკმაყოფილებდა, და ის მთელი თავისი ენერგიით წინააღუდგა ჰომიროს-ჰესიოდეს პოლითეისტურს იდეოლოგიას, რომელშიაც ის სჭვრეტდა, როგორც სამშობლო ქვეყნის დაცემისა, ისე საკუთარი თავის უბედურობის მთავარს მიზეზს. პირადი ცხოვრების გამოცდილებამ მოსწყვიტა ქსენოფანე თავის წრეს და მოხეტიალე ინტელიგენტად აქცია იგი. აუცილებელი შეიქმნა ძველი იდეალების გაკრიტიკება, და ამ კრიტიკამ, რომელსაც წმინდა ზნეობრივი საფუძველი ჰქონდა, ახალი მსოფლგანცდის წინამორბედად გახადა ქსენოფანე.

ასე იქნა დაწერილი ჩემი წიგნი. მე არ ვფიქრობ სრულიად, რომ ჩემი ინტერპრეტაცია ქსენოფანეს მოძღვრებისა ყველასათვის მისაღები იყოს. შეიძლება, ზოგს იქ გამოთქმულ დებულებას მეტი დასაბუთება სჭირდებოდა, მაგრამ ისიც საკმარისია, თუ დამეთანხმებიან, რომ ჩემს წიგნში მოცემულია ცდა ქსენოფანეს შესახებ საკუთარი აზრის შედგენისა.

გ. ლამბარაშვილი.

# წამლობის წესის ამორჩევისათვის საშვილოსნოს ფიბრომიომის დროს.

(ტფილ. სახელმწ. უნივერს. გინეკოლოგიური კლინიკიდან—დირექტორი პროფ. გ. ლამბარაშვილი).

თუ საკითხს ფიბრომიომის შესახებ მისი თერაპიის თვალსაზრისით განვიხილავთ, ეს სიმსივნეები შეიძლება დაიყოს 4 ძირითად ჯგუფად:

*პირველ ჯგუფში* მოჰყვება ყველა ის ფიბრომიომები, რომლებიც არავითარ წამლობას არ მოითხოვენ, *მეორეში*—ის შემთხვევები, სადაც ოპერაცია არის საჭირო, *მესამეში*—ის სიმსივნეები, რომლებსაც სხივებით უნდა უწამლოთ და, ბოლოს, *მეოთხე ჯგუფში*—ყველა ის შემთხვევები, სადაც თავისუფლად შეიძლება არჩეულ იქმნეს, როგორც უსისხლო, ისე ქირურგიული წამლობის წესი.

განვიხილოთ ჯერ პირველი ჯგუფი. საერთოდ მიღებულად ითვლება, რომ, თუ მიომა სიმპტომებს არ იძლევა, არც მისი წამლობაა საჭირო. „თუ თქვენ მიომა არ გაწუხებთ—ნურც თქვენ შეაწუხებთ მას“. Lockyer იმასაც კი გვირჩევს, რომ ავადმყოფს არ გაუმჟღავნოთ, თუ მას ფიბრომა აქვს, რომ უნდა გავაფრთხილოთ მხოლოდ მისი უახლოესი ნათესავები: „არ უნდა გააღვიძოთ მძინარე ძაღლი, რომ უფრო უარესი რამ არ მოხდეს“. უსიმპტომო ფიბრომიომების დროს ამ „არ წამლობის“ წესის გამონაკლისს უნდა შეადგენდეს შემდეგი სამი შემთხვევა:

1. როდესაც ავადმყოფს შვილოსნობის უნარი აქვს, მაგრამ საშვილოსნოს ყელზე მიომაა განვითარებული—ასეთი სიმსივნეები მშობიარობის დროს პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს ავადმყოფის სიცოცხლისათვის;

2. თუ თავისი მოცულობით მიომა ახალშობილის თავზე დიდია—ასეთი სიმსივნეები უფრო განიცდიან სხვადასხვა გადაგვარებას, მათ შორის ავთვისებიანსაც;

3. როდესაც საფიქრებელია, რომ მიომა უშვილობისა და ჩვეული მუცლის მოწყვეტის მიზეზს წარმოადგენს.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაჩვენებია ენუკლეაცია—სტერილობის თავიდგან ასაცდენად. *როგორია ავადმყოფების პროცენტი, რომლებსაც მიომა აქვთ და არ ესაჭიროებათ არავითარი წამლობა?* ამ მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე ჩვენ გვაქვს შემდეგი დამაჯერებელი პასუხი

ციფრებში: 3176 ავადმყოფიდგან, რომლებმაც ფრანცს დარიგებისათვის მიჰმართეს, 23,1%-ს სრულებით არ ესაჭიროებოდა წამლობა. Wilsonი (ბირმინგამიდან) გვარწმუნებს, რომ იმ ავადმყოფებიდგან, რომლებიც სიმპტომებს იძლევიან, 70%-ს მარტო კონტროლი ესაჭიროება და მხოლოდ 30%-ს—რადიკალური წამლობა. ოლსჰაუზენმა თავისი მიომიანი ავადმყოფების მხოლოდ 18%-ს უყო ოპერაცია, დანარჩენ 82%-ში ის კმაყოფილდებოდა მარტო პალიატიური ხასიათის რჩევა-დარიგებით. ვარტბურგ-ბოოსის (v. Wartburg-Boos) აზრით კი მიოჰების 90%-ს არ ესაჭიროება წამლობა.

მაშ როგორი უნდა იყოს სიმპტომები, რომლებითაც შეიძლება გამართლება რადიკალური ჩარევისა—ოპერატიული იქნება ეს, თუ სხივების საშუალებით?

გაუსი (Causs) ფიქრობს, რომ დიდ გინეკოლოგიურ თერაპიას მხოლოდ მაშინ უნდა მივმართოთ, როდესაც ძლიერი სისხლნაკლებობაა შეუჩერებელი სისხლის დენის გამო, როცა გართულებას აქვს ადგილი სხვა ორგანოების მხრივ—ფილტვები, ნერვული სისტემა და სხვ. (ფილტვების ტუბერკულოზი, ნევრასტენია და სხვ.); როდესაც სიმსივნის სიდიდის გამო ზედაწოლას განიცდიან მეზობელი ორგანოები—სწორი ნაწლავი, შარდის ბუშტი, კუჭი; როდესაც ფეხზე გადაგრეხის ანდა რეგრესიული და ავთვისებიანი გადაგვარების გამო აღინიშნება სიმპტომები, რომლებიც ავადმყოფის მყუდროებას არღვევენ, ან ემუქრებიან მის სიცოცხლეს.

ამავე აზრისაა ვილსონი (ბირმინგამიდგან), რომელიც ჩვენებად რადიკალური, სახელდობრ, ოპერაციული ჩარევისათვის სთვლის მხოლოდ სახიფათო სიმპტომებს, დანარჩენ შემთხვევებში მას საკმარისად მიაჩნია პალიატიური საშუალებანი და კონტროლი.

გაუსისა და ვილსონის თვალსაზრისი არც ისე ნათელია, როგორც ჩანს. ავადმყოფის მიყვანა იმ მდგომარეობამდე, როდესაც ოპერატიული ჩარევა შეიძლება უკვე სახიფათო იყოს და განსხვავება კი უშედეგო—არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, მით უმეტეს, რომ ჩვენ ისეთი მშვენიერი წესები გვაქვს წამლობისა, როგორიც არის ოპერაცია, რომლისგანაც—დროული ჩარევის შემთხვევაში—სულ მინიმალური ხიფათი მოელის ავადმყოფის სიცოცხლეს და არა ნაკლებ მოქმედი და სრულიად უხიფათო—რენტგენოთერაპია.

იმ ზომამდე განვითარებული ფიბრომიომა, როდესაც კლინიკურად მისი აღმოჩენა შესაძლებელი ხდება, გაცილებით უფრო სერიოზულ დაავადებას წარმოადგენს, ვიდრე ეს, სამწუხაროდ, ჰგონიათ. მაშინაც კი, როდესაც სიმპტომები ნათლად არ არის გამოხატული, ავადმყოფისათვის მოცდითი წესის დანიშვნა დიდი პასუხისმგებლობის აღებას ჰნიშნავს თავის თავზე. თუ პალიატიური საშუალებით სწრაფად ვერ შევაჩერეთ სისხლის დენა, ტკივილები და სხვა სიმპტომები—აქ მოცდა უადგილოა და რადიკალური დახმარება უნდა გაეწიოს. ასეთი შეხედულების სისწორე აშკარა გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ სხვა და სხვა გართულებისა და გადაგვარების დიდ პროცენტს, რომლებსაც მიომები განიცდიან და რომლებიც თავიდან იქნებოდა აცილებული დროული რადი-

კ ა ლ უ რ ი ჩ ა რ ე ვ ი თ. ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს ნობლეს (Chas. P. Noble — ფილადელფიიდან) ციფრები, შედგენილი 9 ამერიკელი ავტორის ნაკრები მასალის მიხედვით. 1905 ნაოპერაციები ფიბრომიომიდგან 695 შემთხვევაში ანუ 36%-ში გ ა რ თ უ ლ ე ბ ა აღმოჩნდა, რომლებიც გამოწვეული იყო, როგორც თითონ საშვილოსნოს, ისე დანამატების დაავადებით. ფრანცის თანახმად—1141 ოპერაციაქმნილი ფიბრომიომიდგან გართულება აღმოჩენილა 265 ე. ი. 23,1%.

სხვადასხვა გართულების დიდ სიხშირეს, როგორც სასქესო, ისე სხვა ორგანოების მხრივ, ცხადჰყოფს სარვეის მიერ (Sarwey) შედგენილი ტაბულა ტიუბინგენის კლინიკის მასალის მიხედვით. 360 მიომიდგან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი გ ა რ თ უ ლ ე ბ ა უნახავთ 293 ჯერ ანუ 81,4%-ში.

მიომიანი ავადმყოფების რადიკალური დახმარება სწარმოებს როგორც ოპერაციის, ისე სხივოსანი თერაპიის საშუალებით.

განვიხილოთ ჯერ პირველი.

როდესაც ერთმანეთს ადარებენ იმ სხვადასხვა ოპერატიულ წესებს, რომლებიც იხმარება საშვილოსნოს მიომების დროს, ჩვეულებრივ, მთავარ კრიტერიუმად მოჰყავთ ოპერაციის შემდეგი სიკვდილიანობა ამა თუ იმ ოპერატიული მეთოდის შესაფასებლად. თუ რამდენად დამაჯერებელია ეს კრიტერიუმი ყველა პირობებში, ამაზე გვექნება ლაპარაკი ცოტა ქვემოთ. ეხლა ნება მიბოძეთ წარმოვადგინო ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სიკვდილიანობის %-ს სხვადასხვა ოპერატიული მეთოდის დროს და რომლებიც შედგენილია ჩვენ მიერ უცხო და რუსული წყაროებიდგან მრავალ რიცხოვანი ნაკრები სტატისტიკის მიხედვით.

| — | სიკვდილიანობა %%-ობით | ავადმყოფების რიცხვი, რომელიც საფუძვლად დაედო სტატისტიკას. |
|---|---|---|
| აბდომინალური სრული ექსტირპაცია . . | 4 | 4915 |
| სუპრავაგინალური ამპუტაცია . | 2,4 | 6934 |
| ვაგინალური სრული ექსტირპაცია . . . . | 2,2 | 5208 |

ამ ჩვენ მიერ შედგენილს რიცხვობრივ მასალას ნება მიბოძეთ დაუმატოთ ალბრეხტის მიერ (Albrecht) შეკრებილი ცნობები ენუკლეაციის შემდეგ სიკვდილიანობის შესახებ:

ვაგინალური ენუკლეაცია იძლევა 2,3% სიკვდილიანობისას (983 ავადმყოფიდან).

აბდომინალური ენუკლეაცია იძლევა სიკვდიალობის 1,6% (1030 ავადმყოფზე).

სულ სხვა სურათს გვიხატავს გაუს კონსერვატიული ოპერაციების შესახებ—ასევე დიდი სტატისტიკური მასალის მიხედვით.

A b l a t i o აბდომინალური წესის დროს იძლევა სიკვდილიანობის 3,5%-ს.
ვიგინალური „ „ სიკვდილიანობის 2%-ს.

E n u c l e a t i o აბდომინალური წესის დროს იძლევა დაახლოებით სიკვდილიანობის . . . . . 5%-ს

ვაგინალური წესის დროს იძლევა დაახლოებით სიკვდილიანობის . . . . . 2,31%-ს

ჩვენი კლინიკის სტატისტიკა რადიკალური ოპერაციების შესახებ სავსებით ეთანხმება ამ ცნობებს:

111 სუპრავაგინალური ამპუტაციიდგან სიკვდილის შემთხვევა იყო 3, რაც უდრის 2,7%-ს; 49 სრული ექსტირპაციიდგან 2 სიკვდილის შემთხვევა—4,08%.

რაც შეეხება აბდომინალურ ენუკლეაციებს—34 ავადმყოფიდგან გარდაიცვალა 2=5,8%.

ამ ციფრებიდან გამოდის, რომ **ერთსა და იმავე პირობებში სუპრავაგინალური ამპუტაცია გაცილებით უფრო ნაკლებ სახიფათო წესია, ვიდრე აბდომინალური სრული ექსტირპაცია, ხოლო ვაგინალური სრული ექსტირპაცია-ყველა ამ წესებზე უფრო ნაკლებ სახიფათოა.**

ეს დასკვნა სწორი იქნებოდა და შესაძლებელიც გახდებოდა იგი საფუძვლად დაგვედო იმ მსჯელობისათვის, თუ რომელ წესს უნდა მიეცეს უპირატესობა, რომ პირობები ერთნაირი იყოს. ეს არის conditio sine qua non ყოველგვარი შედარებისათვის! დაცულია თუ არა ამ შემთხვევაში ეს პირობები? რასაკვირველია, არა! ჩვენ ვიცით, რომ, ჩვეულებრივ, სრული ექსტირპაცია კეთდება გართულებული მიომების დროს და—ყოველ შემთხვევაში—უფრო რთულ შემთხვევებში, სუპრავაგინალური ამპუტაცია კი—უფრო მარტივი შემთხვევის დროს. ამ რიგად, რაკი უმთავრესი პირობა—აუცილებელი ყოველგვარი შედარებისთვის—არ არის დაცული, სრულიად აშკარაა, რომ მიშველი ციფრების მიხედვით ჩვენ ვერ გამოვიტანთ ვერავითარ დასკვნას ოპერაციის ამა თუ იმ მეთოდის ღირებულებისა და ნაკლულოვანების შესახებ. ამიტომ სრულიად გასაგებია, როდესაც **ჰალბანი** (**Halban**) უარყოფს სუპრავაგინალური ამპუტაციისა და სრული ექსტირპაციის შედეგების ერთმანეთთან შედარებას. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ერთნაირი პირობები არსებობს და განვიხილოთ სხვადასხვა ოპერატიული წესის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**ჯერ შევადაროთ ერთმანეთს საშოს ზემო ამპუტაცია და სრული ექსტირპაცია.**

საშოს ზემო ამპუტაციის მთავარ ღირსებად ის ითვლება, რომ მისი გაკეთება უფრო ადვილია და უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე სრული ამოკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2 წლის წინად ჩემს მონოგრაფიაში საშვილოსნოს მიბრომიომის შესახებ ჩვენ სკეპტიკურად შევხედეთ სუპრავაგინალური ამპუტაციის ამ დადებით მხარეს, დღეს უნდა გულახდით განვაცხადოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უარყოფა სუპრავაგინალური ამპუტაციის ამ დიდი უპირატესობისა—მეტად მარტივი ტექნიკისა და მისი გაცილებით უფრო სწაფი შესრულების მხრივ.

მეორე მოტივად ამპუტაციის სასარგებლოდ უნდა დასახელებულ იქმნას ის, რომ საშო აქ არ იხსნება. ეს ამ მეთოდის დადებითი მხარეა უთუოდ, მაგრამ

საშვილოსნოს ყელის დატოვება, რომელიც თითქმის ყოველთვის ინფიციურია, არ უნდა ჩაითვალოს სრულიად უშიშარ ხერხად. მეორე მხრით, საშოს გახსნას ძლიერ დადებითი მხარეცა აქვს—დრენაჟის საუკეთესო პირობები.

შემდეგ, სუპრავაგინალური ამპუტაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს საშოს მთლიანობის დაცვა და დატოვება საშოს-მხრივი ნაწილისა, რაც, რასაკვირველია, ერთგვარ მნიშვნელობას არ არის მოკლებული მეტადრე ახალგაზრდობის დროს.

ესენ-მელერი (Essen-Möller) აღნიშნავს აგრეთვე სრული ექსტირპაციის შემდეგ შემჩნეულს არა სასიამოვნო სიმშრალეს საშოში და introitusში, რასაც ადგილი არა აქვს სუპრავაგინალური ამპუტაციის შემდეგ.

სუპრავაგინალური ამპუტაციის ერთერთ დიდ უარყოფით მხარედ, ეჰვს გარეშეა, უნდა ჩაითვალოს ექსუდატის არა იშვიათი შემთხვევები ნაქტომზე, რაც ოპერაციის შემდეგ მსვლელობას მნიშვნელოვანად ართულებს. თითონ ესენ-მელერი; სუპრავაგინალური ამპუტაციის დიდი ქომაგი, არ უარყოფს სუპრავაგინალური ამპუტაციის ამ ნაკლსა და სრული ექსტირპაციის უპირატესობას ამ მხრივ. ასეთივეა ჩვენი აზრიც და, ამასთანავე, სხვა ავტორთა უმრავლესობისაც.

ამის საწინააღმდეგოდ ლ. კრივსკის (Кривский) აბდომინალური სრული ექსტირპაციის შემდეგ ინფილტრატი უნახავს 22,2%-ში სუპრავაგინალური ამპუტაციის შემდეგ კი მხოლოდ 12, 5%-ში.

დატოვებული ყელის კარცინომატოზური გადაგვარების შესაძლებლობა ზოგიერთ ავტორს მიაჩნია ერთ ერთ მეტად საყურადღებო მოსაზრებად ამპუტაციის წინააღმდეგ. თუ რამდენად საფუძვლიანია ეს მოსაზრება იქიდან ჩანს, რომ ესენ-მელერს 799 სუპრავაგინალური ამპუტაციიდგან და ფრანცს 635 ასეთივე ოპერაციიდგან არც ერთხელ არ უნახავს ყელის ნაქტომის კიბო. ალბრეხტის გამოანგარიშებით 3436 ამპუტაციაზე კარცინომატოზური გადაგვარება შეადგენს 0,32%-ს. ამპუტაციასთან შედარებით სრული ამოკვეთის უპირატესობის დასამტკიცებლად ოტტ (Отт) ემყარება პოლაკს (Pollak), რომელმაც მსოფლიო ლიტერატურის მიხედვით მოახერხა შეეკრიბა ნაქტომის კიბო მხოლოდ 256 შემთხვევაში. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სუპრავაგინალური ოპერაციების კოლოსალურ რიცხვს, რომლებიც გაკეთებულია სხვადასხვა ოპერატორების მიერ ყველა ქვეყნებში—ეს 256 შემთხვევა სრულიად უმნიშვნელო ციფრი აღმოჩნდება.

და ბოლოს, სრული ამოკვეთის მომხრენი სუპრავაგინალურ ამპუტაციას იწუნებენ აგრეთვე იმით, რომ უკანასკნელს ხშირად სდევს გართულება: ტრომბოზი, ემბოლია, ჰემატომა და სხვ. მეორე მხრით კი ცვაიფელ (Zweifel), ამრაიხ (Amreich) და სხვ. ამ გართულებებს უფრო ხშირად სრული ექსტირპაციის შემდეგ ხედავდნენ. საკითხი აღნიშნული გართულებების შედარებებითი სიხშირეს შესახებ ჯერ ჯერობით ღია რჩება, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ *მეთოდის მიუხედავად მიომების ოპერაციის შემდეგ ტრომბოზი და ემბოლია უფრო ხშირია, ვიდრე სხვა ოპერაციის შემდეგ; ამის მიზეზიც გასაგებია* (გაგანიერებული ვენური მილები, შეგუბებითი მოვლენები მენჯის ვენებში, დასუსტებული გულის მოქმედება და სხვა).

სრული ექსტირპაციის სასარგებლოდ ერთ-ერთ მთავარ მოტივად კიდევ ის გარემოება მოჰყავთ, რომ ავადმყოფების ჯანმრთელობის სრული აღდგენა და რაიმე ჩივილის უქონლობა სრული ექსტირპაციის შემდეგ უფრო ხშირად არის, ვიდრე ამპუტაციის მერე. ესენ-მელერი გვაცნობებს, რომ მისი მასალის თანახმად სრული ექსტირპაციის შემდეგ 76,4% ავადმყოფებისა თავს სრულიად კარგადა გრძნობს, სუპრავაგინალური ამპუტაციის შემდეგკი ასე მხოლოდ 59,5%-ია.

არსებითად კი, დასმულ კითხვაზე: სუპრავაგინალური ამპუტაცია თუ სრული ექსტირპაცია, ჩვენ უპასუხებთ: ერთიც და მეორეც—შემთხვევის მიხედვით. რთული ინფიციური შემთხვევებისათვის ანთებით დაავადებული დანამატებით, როდესაც არის ნიშნები ავთვისებიანი გადაგვარებისა აგრეთვე ცერვიკალური ფორმების დროს აუცილებელია სრული ექსტირპაცია, გაურთულებელ შემთხვევებში კი—სუპრავაგინალური ამპუტაცია. მართალია კრივსკი—ამ ორი ოპერატიული მეთოდის შორის არ უნდა არსებობდეს ანტაგონიზმი. ორივე წესს არსებობის უფლება აქვს და ვაგინალურ ექსტირპაციასთან ერთად ორივენი ერთმანეთს სრულ ყოფენ.

დაუსრულებელი კამათი იმის შესახებ — აბდომინალურ მეთოდს უნდა მიეცეს უპირატესობა, თუ ვაგინალურს—არაფრით დამთავრდა. ან, ყოველ შემთხვევაში, მას სიმწვავე დაეკარგა. ამ ჟამად როგორღაც არა ჩანან „გინდა თუ არა" ვაგინალური მეთოდის მომხრენი! ყველა ხელმძღვანელ კლინიკებში ეხლა როგორც აბდომინალურ წესს მიჰმართავენ, ისე ვაგინალურს. ეჭვს გარეშეა, ამა თუ იმ წესის არჩევა ხშირად დამოკიდებულია თითონ ოპერატორის გემოვნებაზე და სწორედ ამით უნდა აიხსნას ერთგვარი განხრა ამა თუ იმ მიმართულებით, რომელსაც ადგილი აქვს მრავალ გინეკოლოგიურ დაწესებულებაში. მაგრამ უდაოა ის ფაქტიც, რომ, თითქმის ყოველგან, უფრო რთულ შემთხვევებში კეთდება მუცლის გაკვეთა, უფრო მარტივ შემთხვევებში კი—მოძრავ, პატარა სიმსივნის დროს—ოპერაციას აკეთებენ საშოს მხრივ. და თუმცა სიკვდილიანობის სტატისტიკა ვაგინალური მეთოდის სასარგებლოდ ლაპარაკობს, მაგრამ ეს საკითხი არ შეიძლება გადაჭრილ იქმნეს მიშველი ციფრების მიხედვით, ვინაიდან შედარებისათვის ჩვენ არ გვაქვს უმთავრესი—პირობების ერთნაირობა. სხვა დანარჩენი პირობების ერთნაირობის დროს კი ვაგინალურ მეთოდს დიდი უპირატესობა აქვს და ეს უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ამ წესის დროს არა ხდება შოკი, არაიშვიათი მოვლენა ლაპაროტომიის შემდეგ—და აგრეთვე ის, რომ ნაწლავების გაგრილება თავიდგან არის აცილებული.

როგორც ვიცით, ორივე ეს მომენტი უდიდეს გავლენას ახდენს ოპერაციის შემდეგ მსვლელობაზე. ვაგინალურ წესს განსაკუთრებული ღირებულება ეძლევა მსუქანი, ძლიერ ხანშესული და საერთოდ დასუსტებული ავადმყოფების ოპერაციის დროს, როდესაც ლაპაროტომია უკვე ერთგვარ რისკს წარმოადგენს.

კერძოდ ფიბრომიომების დროს ჩვენ შემდეგი წესით ვხელმძღვანელობთ: როდესაც შესაძლებელი არის ამოვკვეთოთ სიმსივნე საშვილოსნოსთან ერთად ისე, რომ უკანასკნელი არ გაიკვეთოს, ასეთ შემთხვევაში – თუ სრული ექსტირპაციისათვის ჩვენებები არის, ხოლო სხივოსანი თერაპიისათვის კი — უკუჩვენებები — ჩვენ ვარჩევთ ოპერაციას საშოს მხრივ, და ეს მეტადრე ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს ხანშესულ ან მსუქან ავადმყოფებთან და საერთოდ, გულის სისუსტით თირკმელის დაავადებით შეპყრობილებთან და სხვ.

კონსერვატიული და რადიკალური ოპერაციების ერთმანეთთან შედარების დროს აღნიშნავენ: თვიურის შერჩენას და ორსულობის შესაძლებლობას; მაგრამ მენსტრუაციასთან ერთად ძალიან ხშირად (20—96%) ავადმყოფებს „ენახება" აგრეთვე მენორაგია, ხოლო რაც შეეხება ორსულობის შესაძლებლობას—ესეც 8%-ზე ხშირი არ არის (Strassmann). პროფ. ს. ერდიუკოვი გვაუწყებს, რომ 50 ავადმყოფიდგან, რომლებსაც ენუკლეაცია გაუკეთდა, მარტო ორს მოესპო სისხლის დენა, ყველა დანარჩენ 48 შემთხვევაში კი სისხლის დენა წინანდელი სიძლიერით მიმდინარეობდა. კონსერვატიული ოპერაციების მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს დიდი სიკვდილიანობა ოპერაციის შემდეგ—ხშირად უფრო მეტი და, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლები ვიდრე ეს რადიკალური ოპერაციების დროს ხდება. ენუკლეაციის უარყოფითი მხარეა აგრეთვე სიხშირე ოპერაციის შემდეგი რეციდივებისა და არა იშვიათი შემთხვევები ოპერაციის შემდეგი გართულებებისა (სისხლის დენა, ჰემატომა, ინფექცია).

Engströmისა, Döderleinისა, Муратовისა და სხვ. ნაკრები სტატისტიკით (296 შემთხვევა) კონსერვატიული ოპერაციები რეციდივს იძლევიან 14%-ში.

რაც შეეხება კონსერვატიული ოპერაციების შორეულ შედეგებს (1-3 წელი ოპერაციის შემდეგ) აქ, ჩვენი ასისტენტის მ. მგალობელის გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ ენუკლეაციის შემდეგ ავადმყოფები გაცილებით უფრო ცუდად გრძნობენ თავს, ვიდრე რადიკალური დახმარების შემდეგ. საერთოდ აღმოჩნდა, რომ რაც უფრო რადიკალური იყო ოპერაცია, იმდენად უფრო მაღალი იყო შრომის უნარიანობა. Winterისა, Abelისა და სხვ. გამოკვლევების თანახმად შრომის უნარიანობა რადიკალური ოპერაციების შემდეგ უდრის 97%-ს, კონსერვატიული ოპერაციების შემდეგ კი — 32%-ს.

ესენ-მელერის მასალით ჩივილის უქონლობა სრული ექსტირპაციის შემდეგ გვხვდება 94%-ში, სუპრავაგინალური ამპუტაციის შემდეგ — 79,3%-ში, ენუკლეაციის შემდეგ კი — 60%-ში.

ბოლო დროს კონსერვატიულ წესებს უფრო აძლევენ უპირატესობას. ამ მხრით უკიდურესი პოზიცია ჰენკელს (Henkel) უჭირავს, რომელიც აუცილებლად სთვლის, რომ შენახულ იქმნეს რაც შეიძლება მეტი საშვილოსნოს ქსოვილი — მას მარტო მენსტრუაციის შენარჩუნებისა და ორსულობის შესაძლებლობა არ მოჰყავს მოსაზრებად — მისი აზრით ორგანიზმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს

კუნთოვან ქსოვილს. ამის დასამტკიცებლად ჰენკელი ასახელებს მის მიერ შემჩნეულს გამოვარდნის მოვლენების მძიმე ფორმებს ძლიერ გადიდებული საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ. თუ რამდენად მართალია ჰენკელი თავისი მეტად საინტერესო ჰიპოტეზით—მომავალი გვიჩვენებს. დღეს დღეობით კი ჩვენ არ შეგვიძლიან ანგარიში არ გაუწიოთ კონსერვატიული ოპერაციების ზემო ჩამოთვლილ უარყოფით მხარეებს და ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენუკლეაცია უნდა წარმოებდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირდაპირ აუცილებელია მენსტრუაციის გაგრძელება, მეტადრე შენარჩუნება ან აღდგენა შვილოსნობის უნარიანობისა.

გადავიდეთ ეხლა სხივოსან წამლობაზე. ჯერ კიდევ 1914 წელს სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე, რომელიც იხილავდა კიბოსთან ბრძოლის საკითხებს, ჩვენ მოვახსენეთ ყრილობას 50 ფიბრომიომის რენტგენოთერაპიის შედეგების შესახებ. მაშინ გამოვთქვით აზრი, რომ შესაძლებელია ფიბრომიომის კლინიკური განკურნება მთელი 100%-ით. მას შემდეგ 14 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ხელში გაიარა 800-ზე მეტ ფიბრომიან ავადმყოფმა, რომლებსაც რენტგენის სხივებით ვწამლობდით და ჩვენ ეხლა შეგვიძლიან გაბედულად ვთქვათ, რომ ჩვენი ოპტიმიზმი სავსებით გამართლდა. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რო თუ დიაგნოზი სწორედ არის დასმული, თუ უნაკლო ტექნიკაა ნახმარი და სწორი ჩვენებები არსებობს—შეიძლება მივიღოთ კლინიკური განკურნება მიომის თითქმის ყველა შემთხვევაში.

ჩვენ მიერ ხმარებული მუშაობა ტექნიკის მხრივ იყოფა 2 პერიოდად: I პერიოდი—წამლობა საშუალო და ნაწილობრივი დოზებით კრენიგის ძველი სისტემით—აპარატი აპექსის საშუალებით (1914 წლიდგან 1924 წლამდე—მოსკოვი და ნაწილობრივად ტფილისი). ერთ სეანსში ეძლეოდა 250-400x. სულ—3-4 სეანსი ყოველი 3 კვირის შემდეგ. წამლობის მთელი კურსის ხანგრძლიობა საშუალოდ 3 თვე.

II პერიოდი. ზაიც-ვინცის (Seitz-Wintz) ერთ სეანსიანი წესი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში—ე. წ. II ფრაიბურგის სისტემა (1924 წლის შუა ხანიდან 1928 წლამდე—ტფილისი). ერთ სეანსში ეძლევა სრული კასტრაციის დოზა (34-35% HED). წამლობის მთელი კურსის ხანგრძლივობა—48 წუთიდან 84 წუთამდე. აპარატურა: Neo=Symmetrie R. G. u. Sch. Radio=Transverter K. u. Sch. და Stabilivolt+Siemens.

ამ შრომას საფუძვლად დაედო ჩვენი მუშაობის სწორედ ამ II პერიოდის დაკვირვებები. 1924 წლის შუა თვეებიდან 1928 წლის 1 იანვრამდე ტფილ. სახ. უნივ. გინეკოლოგიურ კლინიკაში რენტგენოთერაპია ვაწარმოეთ 180 ავადმყოფზე, რომლებსაც საშვილოსნოს ფიბრომიომა ჰქონდათ.

რომ მაქსიმალური სისწორით აღგვენიშნა წამლობის შედეგები, ჩვენ გადავწყვიტეთ გვეწარმოებინა ყველა ავადმყოფების მრავალი განმეორებითი გასინჯვა, მაგრამ, მიუხედავად ჩვენ მიერ მიღებული ყველა ზომებისა, 19 ავადმყოფი მაინც არ გამოცხადებულა. დანარჩენები კი მოვიდნენ. განმეორებითი გამოკვლევის დროს წამლობის შემდეგ გასული იყო მინიმუმ 5 თვე და მაქსიმუმ 3½ წელი.

სიმსივნის შეკმუკვნის სახით შედეგი მივიღეთ:

| | | | |
|---|---|---|---|
| სიმსივნის სრული გაქრობა | 105 შემთხვევაში | = | 65,22% [1] |
| შემცირება ერთი ორად და უფრო მეტად | 36 " | = | 22,36 " |
| უმნიშვნელო შემცირება | 17 " | = | 10,56 " |
| უცვლელი | 3 " | = | 1,86 " |
| არ გამოცხადდა . . . . . . . . . . | 19 | | |
| ხულ . . . | 180. | | |

Gausso გვაუწყებს, რომ სიმსივნის სრული გაქრობა უნახავთ 30%-ში (Zweifel, Kauffmann, Lindquist), 37%-ში (Solomon), 50%-ში (Zacherl), 60%-ში (Gellhorn), 66%-ში (Gremaux) და 90,4%-ში (Guedes—Portugal).

რაც შეეხება კლინიკურ განკურნებას, აქ მიღებულია შემდეგი:

გაუსის წინადადებით Johns, Schmidtსა და Erammს შეუკრებიათ მთელი ხელმისაწდომი მასალა მიომების რენტგენოთერაპიის შესახებ, რაც კი ყოფილა გამოქვეყნებული 1921 წლამდე. აღმოჩნდა, რომ 7079 განსხვავებული ავადმყოფიდგან კლინიკურად განიკურნა 6887 ე. ი. 97,3%; ამასთანავე, „კლინიკურად თითქმის ყოველთვის აღინიშნება სიმსივნეს საგრძნობი შემცირება".

მიომა სრულებით არ განიცდის შემცირებას მხოლოდ 6-8 8%-მდე (E. Zweifel და Solomon).

ორი წლის წინად გამოქვეყნებულ ჩვენს მონოგრაფიაში (საკუთარი მასალა 700 შემთხვევაზე მეტი) ჩვენი დაკვირვების თანახმად ეს შედეგები შემდეგნაირია:

| | |
|---|---|
| ამენორეა დადგა . . . | 95,5%-ში |
| სიმსივნის სრული გაქრობა . . . . . | 35 " |
| სიმსივნის შემცირება ზოგჯერ მნიშვნელოვანი | 55 " |
| უცვლელი . . . . . . . . | 10 " |

როგორც ხედავთ უკანასკნელი დროის ჩვენი შედეგები (უკანასკნელი $3^1/_2$ წლის) გაცილებით უფრო უკეთესია, ვიდრე წინანდელი, რაც, ეჭვს გარეშეა დამოკიდებულია უფრო გაუმჯობესებულ ტექნიკაზე.

უკანასკნელი სერიის შემთხვევებიდგან (180 ავადმყოფი) უშედეგო ან სუსტი შედეგიანი იყო 9. ნება გვიბოძეთ მათზე შევჩერდე. სამ შემთხვევაში აღმოჩენილ იყო ლორწოს ქვეშა გრძელ ფეხიანი პოლიპი, ერთ შემთხვევაში მიომასთან ერთად იყო ყელის კიბო, ალბათ განვითარებული განსხივების შემდეგ, ერთ შემთხვევაში ნათლად იყო გამოხატული ტანის კიბოს ყველა კლინიკური ნიშნები (ამ ავადმყოფმა კატეგორიული უარი განაცხადა გამოფხეკაზე), ერთ შემთხვევაში მიომა გართულებული იყო ორსულობით, რაც ვერ იყო ამოცნობილი განსხივების წინ, 1 შემთხვევაში—ლორწოს ქვეშა ფართოდ მიმაგრებული მიომა და ბოლოს 2-ჯერ ძლიერ დიდი მიომა იყო—9 თვის ორსულობის ოდენა.

ამ რიგად ყველა 9 უშედეგო შემთხვევიდგან მხოლოდ უკანასკნელ სამზე შეიძლება ითქვას, რომ განსხივებამ ნაყოფი არ გამოიღო, თუმცა ესეც როგორც ქვემოთ დავინახავთ—ერთგვარი დათმობით; რაც შეეხება დანარჩენ 6 ავადმ-

[1] %% გაშოანგარიშებულია გამოცხადებულთა საერთო რიცხვის—161—მიხედვით.

ყოფს—აქ კასტრაციული დოზის დანიშვნისათვის აბსოლუტური, კონტრაინდიკაცია არსებობდა და გასაგებია, რომ უშედეგობა ამ შემთხვევებში არ უნდა დაბრალდეს რენტგენოთერაპიას.

ყველა ამ 9 შემთხვევაში განსხივებამ მოგვცა მხოლოდ დროებითი ამენორეა 2-6 13 თვემდე; ორსულობით გართულებული მიომის შემთხვევაში მოხდა ნორმალური მშობიარობა და ლაქტაციური პერიოდის შემდეგ თვიურმა მიიღო სრულიად ნორმალური ხასიათი მაშინ, როდესაც განსხივებამდე ამ ავადმყოფს ოთხი წლის განმავლობაში აწუხებდა მენორაგიული სისხლის დენა.

ამ რიგად 3 მართლაც უშედეგო შემთხვევის გამოკლებით, რაც 1,8%-ს შეადგენს, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ე. ი. 98,2%-ში მიღებულია სრული კლინიკური განკურნება.

ზოგიერთ იშვიათ შემთხვევაში სიმსივნის შემცირების პროცესი იწყება მალე განსხივების შემდეგ—ამენორეას დადგომამდე გაცილებით უფრო ადრე. ეს გარემოება აფიქრებინებს Regaudს, Béclèreს და ფრანგული სკოლის სხვა წარმომადგენლებს, თითქოს ფიბრომიომაზე რენტგენის სხივები უშუალოდ მოქმედებენ.

ფრანგი ავტორები არავითარ პრინციპალურ განსხვავებას არა ხედავენ მიომებისა და სხვა დანარჩენი სიმსივნეების რენტგენოთერაპიას შორის და თერაპევტიული ეფექტის მთავარ მიზეზად ისინი ალიარებენ რენტგენის სხივების უშუალო მოქმედებას მიომატოზურ ქსოვილზე, თუმცა ამასთანავე ერთად ისინი არ უარყოფენ საკვერცხეების დანგრევის დიდ მნიშვნელობასაც, როგორც ტროფიული ცენტროსი მთელი სასქესო აპარატისათვის და აგრეთვე მიომისათვის. ასეთი განმარტების საწინააღმდეგოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს ორი მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრება: 1. მიომების უკუგანვითარება აგრეთვე წარმოებს მაშინაც, როდესაც საკვერცხეების ფუნქცია გამორიცხულია სხვა საშუალებით—ოპერატიული კასტრაციისა ან მათი ფიზიოლოგიური ატროფიის გზით. 2) ქსოვილის კუნთოვან—ფიბროზული ელემენტების დანგრევისათვის საჭიროა ძლიერ დიდი დოზა არა ნაკლებ HED 180%-სა, მაშინ, როდესაც Wintzის წესით განსხივების დროს საშვილოსნოს ქსოვილს და მასთან ერთად მიომასაც ხვდება მაქსიმუმ კასტრაციული დოზის 50%, რაც, რასაკვირველია, სრულებითაც არ არის საკმარისი. ეს ფაქტები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ უარვყოთ ჰიპოთეზა რენტგენის სხივების უშუალო მოქმედების შესახებ მიომას ქსოვილზე.

ჩვენ მივედით ეხლა კარდინალურ საკითხთან წამლობის წესის ამორჩევის შესახებ: რენტგენი თუ ოპერაცია? ამბობენ, რომ აქ ანტაგონიზმი არ უნდა იყოს, რადგანაც ყოველი ამ წესთაგანი მოქმედებს თავის გავლენის სფეროში ჩვენებების მიხედვით. ამ დებულების სამართლიანობას ჩვენ ვერ უარვყოფთ, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ სულ სხვას ვხედავთ. მაგალითისათვის მოვიყვანოთ თუნდაც შემდეგი: ფრანკფურტის კლინიკა ფიბრომიომის 90%-ს განსხივებას უკეთებს და 10%-ს კი—ოპერაციას; ბაზელის კლინიკა კი ასხივებს 20%-ს და ოპერაციას აკეთებს 80%-ში.

მაშასადამე, სინამდვილეში ამ ორ წესს შორის არსებობს სასტიკი კონკურენცია. ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს და

ამიტომ ჩვენ უნდა განვიხილოთ თუ რაში მდგომარეობს ამ ორი მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

რენტგენოთერაპიის უმთავრესი უპირატესობა ოპერაციასთან შედარებით—ეს სიკვდილის შემთხვევების უქონლობაა. მიომების ოპერაციის შემდეგ კი სიკვდილიანობა უდრის 2-4%. რაინმანის მიერ (Reinmann) შეკრებილი ცნობებით მიომების რადიკალური ოპერაციის შემდეგ (აბდომინალური და ვაგინალური სრული ამოკვეთა, სუპრავაგინალური ამპუტაცია) საშუალო სიკვდილიანობა, რომელიც გამოანგარიშებულია 18205 ნაოპერაციები ავადმყოფიდან, უდრის 3,83%-ს.

მეორე მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა რენტგენოთერაპიისა იმაში მდგომარეობს, რომ ის გვეხმარება იქ, სადაც ოპერატიული ჩარევა უაღრესად სახიფათოა და პირდაპირ დაუშვებელიც. ასეთია შემთხვევები გულისა, მილებისა, ფილტვებისა და თირკმელების სერიოზული დაავადებისა (გულის მანკები, მიოკარდიტი, არტერიოსკლეროზი, ნეფრიტი, ფილტვების ტუბერკულოზი). შემდეგ, შემთხვევები მძიმე სისხლნაკლებობისა, დიაბეტისა, ბაზედის ავადმყოფობისა.

მაგრამ რენტგენოთერაპიის ეს უპირატესობა ბარიბარ გამოდის იმ შემთხვევების წყალობით, როდესაც ერთად-ერთი ხსნა ოპერაცია არის და სადაც რენტგენოთერაპიისათვის აბსოლუტური უკუჩვენება არსებობს. ასეთია, მაგალ., დიდი საფრთხე ძლიერი სისხლის დენის დროს, სწორი დიაგნოსტიკის შეუძლებლობა, მიომების გართულება საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებით, მიომებისა და საკვერცხეების სიმსივნეების კომბინაცია, ჩირქოვანი პროცესი მიომაში და დანამატებში და შარდის ბუშტისა, ურეტერისა და ნაწლავების გაჭედვის მწვავე მოვლენები. ერთი შეხედვით განსხივების წინააღმდეგ სერიოზულ მოსაზრებას წარმოადგენს ის შიში, რომ შეიძლება „გამოგვეპაროს" სარკომატოზური გადაგვარება. ეჭვს გარეშეა, გამოკვლევის თანამედროვე ჩვენი წესები იმდენად სუსტია, რომ ზოგჯერ სარკომას ამოცნობა არამც თუ ძნელია—ხშირად შეუძლებელიც არის, მაგრამ, ამასთანავე, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენ ამ მხრივ პირდაპირ უნუგეშო მდგომარეობაში ვიმყოფებით: მაინც არსებობს მთელი რიგი სიმპტომებისა (ჩქარი ზრდა, ტკივილები, მეტრორაგია), რომლებიც ავთვისებიან გადაგვარებას ახასიათებენ. ამის გარდა უნდა ითქვას, რომ მიომის სარკომატოზულად გადაგვარების სიხშირე 1-2%-ს არ აღემატება (Pankow), სიკვდილიანობა კი მიომების ოპერაციის შემდეგ—2-4%, ზოგი სტატისტიკით კიდევ—აღწევს 6%. მეორე მხრით:

1. სარკომაზე სულ უბრალო ეჭვის მიტანისთანავე ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გაუკეთოთ ავადმყოფს განსხივება სირკომის დოზით—60-70% HED,

2. თავის დროზე ამოცნობილი სარკომას ოპერაცია რეციდივს არ იძლევა მხოლოდ 25%-ში.

ამ რიგად მთელი ეს შიში საშვილოსნოს სარკომას შესახებ აშკარად გაზვიადებულია.

სერიოზული ყურადღება არც იმ რენტგენოთერაპიის ზოგიერთ მოწინააღმდეგეს მოთხოვნილებას უნდა მივაქციოთ, რომლებიც აუცილებლად სთვლიან საშვილოსნოს ამოკვეთას მიომის დროს იმ მოსაზრებით, თითქოს შემდეგში,

განსხივების შემდეგ, მიომატოზურ საშვილოსნოზე შეიძლება კიბო განვითარდეს. საშვილოსნოს მიომისა და კიბოს კომბინაცია ძლიერ იშვიათია. 1921 წლიდგან 1926 წ-მდე, ე. ი. 5 წლის განმავლობაში 202 ოპერაციიდგან მხოლოდ 3 შემთხვევაში აღმოჩნდა მიომისა და კიბოს კომბინაცია, ე. ი. 1,4%. სხვა ავტორების ციფრები ცვალებადობენ 0,74—2,8%. იმის მოთხოვნა, რომ არ განვასხიოთ მიომა, რადგან შემდეგში ასეთ საშვილოსნოზე შეიძლება კიბო განვითარდეს, ძლიერ შორს წაგვიყვანდა. ასეთ შემთხვევაში ოპერაციის გაკეთება დაგვჭირდებოდა ყოველი მიომატოზური საშვილოსნოს დროს, თუნდაც ასეთი სრულიად უსიმპტომო იყოს, რადგან იმაზედაც შეიძლება კიბო გაჩნდეს.

რენტგენოთერაპიის საწინააღმდეგოდ ყველაზე ძლიერი არგუმენტია—გამოვარდნის მოვლენები, კასტრაციის შემდეგ რომ ვითარდება. როგორც ვიცით, გამოვარდნის მოვლენები გამოიხატება ვაზომოტორული, ტროფიული და ფსიქიური ხასიათის დარღვევათა საერთო მოვლენებში. ყველაზე დიდი მნიშვნელობა სიხშირისა და სიმძიმის მხრივ, რასაკვირველია, აქვს ანგიონევროტიულ დარღვევას: ალები სახეზე, თავში, ყურის შუილი, გულის ფრიალი, თავბრუს ხვევა, გულის რევა, ოფლი, უძილობა და სხვ.. Molimina menstrualia თუ პერიოდულ ხასიათს ატარებს სამაგიეროდ გამოვარდნის მოვლენები შეიძლება მეორდებოდეს არამც თუ ყოველ დღე—ყოველ საათსა და ყოველ წუთსაც. გამოვარდნის მოვლენების ინტენსიობა სხვადასხვანაირია: ხან თუ მეტად მწვავე, მეტად მძიმე ფორმა აქვთ—ხან ეს მოვლენები მეტად ზომიერად არის გამოხატული, ზოგჯერ კი ისე სუსტად მჟღავნდებიან, რომ ავადმყოფები მათ არც კი გრძნობენ. ავადმყოფების უკანასკნელ სერიაში „გამოვარდნის მოვლენებს“ შემდეგი სურათი ჰქონდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| მწვავედ გამოხატული | 36 ავადმყოფს ჰქონდა | = | 22,36%. |
| გარკვევით, მაგრამ არა მწვავედ | 57 „ | = | 35,40 „ |
| სუსტად . . . . | 40 „ | = | 24,84 „ |
| არ ჰქონდა მოვლენები . . | 28 „ | = | 17,40 „ |
| ავადმყოფთა საერთო რიცხვი | 161 | | |

ავტორთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ გამოვარდნის მოვლენები იმდენად უფრო ძლიერ არის გამოხატული, რამდენადაც უფრო ახალგაზრდაა კასტრაცია-ქმნილი ავადმყოფი. სხვა ავტორების მთელი რიგი და უპირველესად ვალტარდტი (Walthardt) ფიქრობს, რომ მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი არის არა ჰასაკი, არამედ ნერვული სისტემის მდგომარეობა. ფსიქო-ნევროტიული კონსტიტუციისა და ლაბილური ნერვული სისტემის მქონე ავადმყოფებს გამოვარდნის მოვლენები ძლიერ მწვავედ გამოაჩნდება ხოლმე, ხოლო ავადმყოფები ძლიერი და საღი ნერვებით კასტრაციას უპასუხებენ მეტად ზომიერად. ჩვენი დაკვირვებებით ჩვენ შეგვიძლიან სავსებით დავადასტუროთ ვალტარდტის აზრი ნერვული სისტემის დიდი მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ წლოვანობის მნიშვნელობის უარყოფა მაინც არ შეგვიძლიან, თუმცა, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ეს ფსიქო-ნევროტიული კინსტიტუტია არის და არა წლოვანობა.

გამოვარდნის მოვლენები განსაკუთრებულ ინტენსიობას აღწევს მაშინ, როდესაც ორივე არასასურველი ფაქტორი შეხვდება ერთმანეთს: ლაბილური ნერვული სისტემა და ახალგაზრდა ჰასაკი, მაგრამ კლიმაქტერიული ხანის ავადმყოფს—თუ ის ნერვებით არის ავად—„გამოვარდნის მოვლენები“ მეტად მწვავედ გამოაჩნდება მაშინ, როდესაც ახალგაზრდა მაგრამ საღი ნერვების მქონე ავადმყოფი საკვერცხეს ფუნქციის გამოვარდნის საპასუხოდ განიცდის ორგანიზმის წონასწორობის მხოლოდ უმნიშვნელო დარღვევას.

რაც შეეხება ფსიქიური ხასიათის დარღვევებს, ეს, ჩვეულებრივ, კასტრაციის შემდეგ იშვიათად არის მწვავედ გამოხატული და მეტ შემთხვევაში არც კი ჩნდება. ფსიქიური ხასიათის დარღვევა, რომელიც აღინიშნება მეხსიერების დასუსტებით, დეპრესიისა და, როგორც გამონაკლისი, მძიმე პსიქოზების სახით, ჩვეულებრივ, ჩნდება მენოპაუზის დადგომის შემდეგ 1—3 წელიწადში.

ტროფიული ხასიათის გამოვარდნის მოვლენები გამოიხატება გასუქებით და მთელი სასქესო აპარატის თანდათანობითი ატროფიით.

ზოგიერთი ავტორის მტკიცება, ვითომ ნაჰისტერექტომიებ ავადმყოფს, რომელსაც ერთი ან ორივე საკვერცხე აქვს დატოვებული, გამოვარდნის მოვლენები არ გამოაჩნდება ნაკლები სიმწვავით, ჩვენ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. იმის მითითება, თითქოს საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ დატოვებული საკვერცხეები ჩქარა განიცდიან ატროფიას—სრულებითაც არ არის სწორი. დამტკიცებულია, რომ ასეთ შემთხვევებში საკვერცხეები კიდევ დიდხანს ცოცხლობენ—3-5 წელიწადს. რელაპარატომიების დროს პანკოვს არა ერთხელ უნახავს კარგი ფუნქციის მქონე საკვერცხეები, რომლებზედაც ყვითელი სხეულის განვითარებოდა აღინიშნება და—აქ ჰისტერექტომიის შემდეგ გასული იყო 5-8 წელიც.

ფრანცი (Franz) გვაუწყებს ლუნდკვისტის (Lundquist) საინტერესო გამოკვლევებს გამოვარდნის მოვლენების ინტენსიობის შესახებ სხივებით თერაპიის შემდეგ და აგრეთვე იმისდა მიხედვით, დაეტოვა თუ არა ავადმყოფს საკვერცხეები. ეს გამოკვლევები გამოიხატება შემდეგი ცხრილის სახით:

| | რენტგენო-თერაპია | რადიო-თერაპია | ოპერაცია | |
|---|---|---|---|---|
| | | | საკვერცხეების ამოკვეთით | საკვერცხეების დატოვებით |
| არავითარი სიმპტომები | 15,6 | 12 | 19,3 | 54,4 |
| მსუბუქი სიმპტომები | 31,3 | 40 | 33,0 | 28,4 |
| მწვავე სიმპტომები | 53,1 | 48 | 47,7 | 17,2 |

ამ ცხრილიდგან ჩანს, რომ ყველაზე მწვავე სიმპტომები ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება რენტგენოთერაპიის შემდეგ (53,1), მერე რადიოთერაპიისა (48%) და ჰისტერექტომიის

შემდეგ საკვერცხეების ამოკვეთით (47,7%); პირიქით, ძალიან ხშირად არავითარი გამოვარდნის მოვლენები არ უნახავთ ოპერაციების შემდეგ საკვერცხეების დატოვებით (54,4%). ჩვენი პირადი დაკვირვებები საერთოდ ეთანხმებიან ამ ცნობებს.

რას განიცდის განსხივების შემდეგ libido sexualis? ჩვენი კლინიკის მასალის მიხედვით რენტგენოთერაპიის შემდეგ libido უცვლელი რჩება 50%-ში, სუსტდება 35%-ში და ძლიერდება 15%-ში.

რენტგენოთერაპიის სხვა დამატებითი მოვლენებს ზემოაღნიშნულის გარდა ეკუთვნის აგრეთვე რენტგენის „ნაბახურეობა" (Röntgenkater), დაზიანება კანისა და ღრმად მდებარე ორგანოებისა.

რენტგენის „ნაბახურეობა"—იმდენად სუბუქია, ხანმოკლე და რაიმე შედეგს მოკლებული, რომ ამაზე არცა ღირს სერიოზული მსჯელობა. ყოველ შემთხვევაში ზოგადი ნარკოზის შემდეგ ინტოქსიკაციის შედეგები გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე „ნაბახურევად ყოფნა" რენტგენის შემდეგ.

კანისა და ღრმად მდებარე ორგანოების დაზიანება. სწორი ტექნიკის დროს კანის დაზიანება არასოდეს არა ხდება; რაც შეეხება კანის პიგმენტაციას—ხან მნიშვნელოვანსაც—კასტრაციული დოზის შემდეგ, ეს უფრო სალი კანის რეაქციას წარმოადგენს ვიდრე, რაიმე პათოლოგიურ მოვლენას. II და III ხარისხის დაწვა არც ერთ ჩვენ ავადმყოფს არ მოსვლია და ძლიერ იშვიათად ხდება. კანის ასეთი მნიშვნელოვანი დაზიანება სხვა და სხვა ავტორის მიერ შემჩნეულია დიაბეტის ზოგიერთი ფორმის დროს, ათაშანგის, ბაზედის ავადმყოფობის დროს და აგრეთვე კანის ეგზემატოზური ცვლილებების შემთხვევებში.

ღრმად მდებარე ორგანოების დაზიანება ფიბრომიომას რენტგენოთერაპიის დროს საერთოდ არა ხდება, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელო კატარალურ მოვლენებს შარდის ბუშტისა და ნაწლავების მხრივ. რაც ყოველთვის შეგვიძლიან თავიდგან ავიცილოთ ავადმყოფების სათანადო მომზადებით (გაწმენდა ნაწლავებისა, შარდის ბუშტის დაცლა).

დიდი პრაქტიკული საკითხი განსხივების დროის ამორჩევის შესახებ დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. Seitzისა და Wintzის დაკვირვებით 81 ავადმყოფიდან, რომლებმაც განსხივება მიიღეს ინტერმენსტრუუმის პირველ ნახევარში, 95%-ს ამენორეა დაეწყო დაუყონებლივ და 5%-ს კი თვიური მოუვიდა ერთხელ კიდევ. ინტერმენტრუუმის მეორე ნახევარში გაშუქებული 79 ავადმყოფიდგან 3,8%-ს ამენორეა დაეწყო დაუყონებლივ, 79,7%-ს თვიური მოუვიდა ერთხელ, 14%-ს — ორჯერ და 2,5%-ს — სამჯერ.

სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მიიღეს Schubertმა და Weigandმა (გაუსის კლინიკა ფრაიბურგში). Schuberto 183 შემთხვევის მიხედვით იმ დასკვნამდე მიდის, რომ ინტერმენსტრუუმის პირველ ნახევარში გაშუქებული 78 ავადმყოფიდან 20,5%-ს ამენორეა დაუყონებლივ დაეწყო, 44%-ს თვიური მოუვიდა ერთხელ, 28%-ს—ორჯერ, 7,5%-ს—სამჯერ და უფრო ბევრჯერ. ინტერმენსტრუუმის მეორე ნახევარში გაშუქებული 105 ავადმყოფიდგან 14%-ში სისხლი შეწყდა დაუყონებლივ, 39%-ში გამოჩნდა კიდევ ერთხელ, 37%-ში—ორჯერ,

10%-ში კი უფრო ბევრჯერ. ამ გამოკვლევების მიხედვით Weigandი დაასკვნის, რომ ამენორეას დადგომის სიჩქარისათვის განსხივების დროს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ამავე დროს კი ზაიცისა და ვინცის თეორიული მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ მეტად მიმზიდველია. ისინი ასე ფიქრობენ: ინტერმენსტრუუმის პირველ ნახევარში სხივებით იმდენად ზიანდება მომწიფებაში ფყოფი ფოლიკული და პროლიფერაციაში მყოფი ყვითელი სხეული, რომ ისინი კარგავენ თავიანთ პრემენსტრუალურ გავლენას საშვილოსნოს ლორწოიან გარსზე. ამ რიგად, ისპობა პირობები, აუცილებელი მენსტრუაციის გამოჩენისათვის და თვიურიც აღარა დგება.

ინტერმენსტრუუმის მეორე ნახევარში კი პრემენსტრუალური სამზადისი უკვე გათავებულია და საკვერცხეების ჰორმონების ნაწილიც უკვე გადასულია სისხლში—ამათ გავლენას განსხივება ვერ მოსპობს და ამიტომ თვიური კიდევ გამოჩნდება.

ჩვენი კლინიკის მასალა ასეთია:

| განსხივება ინტერმენსტრუუმის I ნახევარში. | | | განსხივება ინტერმენსტრუუმის II ნახევარში. | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვიურის რაოდენობა განსხივების შემდეგ | ავადმყოფთა რიცხვი | % % | თვიურის რაოდენობა განსხივების შემდეგ | ავადმყოფთა რიცხვი | % % |
| 0 | 17 | 28,81 | 0 | 22 | 21,57 |
| 1 | 28 | 47,46 | 1 | 36 | 35,29 |
| 2 | 7 | 11,87 | 2 | 28 | 27.45 |
| 3 და მეტი | 7 | 11,87 | 3 და მეტი | 16 | 15,68 |
| სულ | 59 | | სულ | 102 | |

ამ რიგად, ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარეობს, რომ განსხივება, წარმოებული ინტერმენსტრუუმის I ნახევარში, რამოდენიმედ უფრო მალე იწვევს ამენორეას, ვიდრე განსხივება ინტერმენსტრუუმის მეორე ნახევარში, მაგრამ შესამჩნევი განსხვავება მათ შორის მაინც არ არის.

დროებითი კასტრაცია, როგორც ფიბრომიომის წამლობის წესი.

ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ავადმყოფის ახალგაზრდობის გამო მუდმივი ამენორეა სასურველი არ არის, გაუსმა დროებითი სტერილიზაცია შემოიღო. ამ ახალ წესს გაუსი მეტად მოსწრებულად ახასიათებს, როცა კონსერვატიულ განსხივებას ეძახის. უკვე გამოქვეყნებულია ცნობები კონსერვატიული განსხივებით მიღწეული შედეგების შესახებ (Behrendt, Weigand,

Guthmann და Bott), მაგრამ შემთხვევების მცირე რიცხვოვანობის გამო ჯერ ჯერობით ძნელია ამის შესახებ რაიმე საბოლოო აზრის გამოტანა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ახალ წესსაც ყველა კონსერვატიული ოპერაციების უარყოფითი მხარეები ახასიათებს. მაგალ., არის შემთხვევები, როდესაც დროებითი ამენორეას შეწყვეტის შემდეგ სიმსივნე ისევ იწყებს ზრდას და ამის გამო ავადმყოფის მეორე განსხივება არის ხოლმე საჭირო.

დროებითი კასტრაცია ჩვენ გავატარეთ 5 ავადმყოფზე. შედეგები მეტად დამამშვიდებელი მივიღეთ – 5-6 ოთხში ჩვენ გარკვეულ გაუმჯობესებას მივაღწიეთ. ამ საქმის სიახლის გამო ჩვენ საჭიროდ ვცნობთ მოვიყვანოთ თვითეული ამ ავადმყოფის შესახებ მოკლე ცნობები.

1. ავ. პ. 27 წ. აწუხებს მენარაგიები. ობიექტურად: სიმსივნე 5 თვის ორსულობის ოდენა. განსხივების შემდეგ—ამენორეა 6 თვის განმავლობაში, სიმსივნე შემცირდა ერთი ორად. ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში—ნორმალური თვიური.

2. ავ. გ. მენორაგიები. სიმსივნე 4 თვის ორსულობის ოდენა. განსხივების შემდეგ—ამენორეა 10 თვის განმავლობაში, მერე ნორმალური თვიური ყოველ ოთხ თვეში ერთხელ. ობიექტურად: სიმსივნე შემცირდა ერთი ორად. თვალყური ვადევნეთ $2^1/_2$ წლის განმავლობაში.

3. ავ. ლ. 34 წლ. მენორაგიები. სიმსივნე-ჭიპამდე. განსხივების შემდეგ—დროებითი ამენორეა 7 თვის განმავლობაში. სიმსივნეს შემცირება ეთრი ორად. ნორმალური თვიური.

4. ავ. ბ. მენორაგიები. სიმსივნე 3 თვის ორსულობის ოდენა. განსხივების შემდეგ—სიმსივნე აღარ ისინჯება, საშვილოსნო ნორმალური ოდენობის. ნორმალური, ზომიერი თვიური.

5. ავ. ტ. 23 წ. ჩივილი: მენო-მეტრორაგიული ხასიათის ძლიერი სისხლის დენა. სისხლის გამოკვლევა: ჰემოგლობინი 20%. ობიექტურად: სიმსივნე ჭიპამდე. განსხივება HED 30%. ამენორეა 5 თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში საერთო მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესდა. სისხლის გამოკვლევამ მოგვცა უკვე 62% ჰემოგლობინი, მაგრამ სიმსივნე არ დაპატარავებულა. შემდეგ—ისევ ძლიერი სისხლის დენა, რის გამოც ავადმყოფს გაუკეთდა სუპრავაგინალური ამპუტაცია და საკვერცხეების ნაწილობრივი რეზექცია. ოპერაცია ავადმყოფმა ძლიერ კარგად გადიტანა. ოპერაციის შემდეგი მსვლელობა სრულიად გაურთულებლად. ავად. გაეწერა კლინიკიდგან ოპერაციის მერე მე-16 დღეს სრულიად განკურნებული.

ამ მოკლე ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ **ხუთიდან ოთხ შემთხვევაში მიღებულია ძლიერ კარგი შედეგი: ჩვენ არამც თუ შემცირება—ერთ შემთხვევაში სიმსივნის სრული გაქრობაც მივიღეთ, და ამასთან ერთად თვიურს ნორმალური ხასიათი მიეცა.** ტყუილად კი არ დაუძახა Zacherl-მა დროებით სტერილიზაციას იდეალური წამლობა ახალგაზრდა, მიომით დაავადებული ავადმყოფებისათვის. მეხუთე შემთხვევაში დროებით სტერილიზაციამ შედეგი არ მოგვცა, მაგრამ განსხივება მაინც სასარგებლო გამოდგა ავადმყოფისათვის, ვინაიდგან 5

თვის ამენორეას შემდეგ მისი სისხლის შემადგენლობა ძლიერ გაუმჯობესდა (ჰემოგლობინმა 20%-დან აიწია 62%-მდე) და შესაძლებელი გახდა ოპერაციის გაკეთება, რაც მეტად სახიფათო იყო განსხივებამდე, როცა ჰემოგლობინი 20% იყო.

5 შემთხვევის მიხედვით დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, ახლა კიდევ დრო დაკვირვებისა არ არის საკმარისად ხანგრძლივი, მაგრამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მეტადრე ძლიერ ახალგაზრდა ავადმყოფისათვის, დროებითი სტერილიზაცია, როგორც მიომების წამლობის ახალი წესი, ამორჩევის მეთოდს წარმოადგენს. მიუხედავად ასეთი დადებითი მხარეებისა, ეს წესი მაინც ვერ მიიღებს ფართო გავრცელებას ორი მიზეზით:

1) რეციდივის შესაძლებლობა, 2) ჩამომავლობის დაზიანების საშიშროება დაორსულების შემთხვევაში. უკანასკნელი საფრთხის უარყოფა არ შეიძლება მიუხედავად ზოგიერთი ავტორის კატეგორიული განცხადებისა. მართალია, ჯერ ჯერობით ბაშვის არც ერთი სიმახინჯე არ არის აწერილი ჩვენი შეხედულების დასამტკიცებლად, მაგრამ ექსპერიმენტები ცხოველებზე გარკვევით ლაპარაკობენ ასეთ შესაძლებლობაზე. ამისათვის, დროებითი სტერილიზაცია უნდა იყოს ხმარებული მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. განსხივების შემდეგ დამდგარი ორსულობა კი უნდა ხელოვნურად შევწყვიტოთ.

რაც შეეხება განსხივების ტექნიკას, აქ პირველ ყოვლისა ისმება საკითხი: ერთსეანსიანი, თუ მრავალსეანსიანი განსხივება? ყველა შემთხვევაში ჩვენ მივმართავდით ერთსეანსიან მეთოდს—უმთავრესად ვინცის ტექნიკას, ზოგიერთ შემთხვევაში კი ე. წ. II ფრაიბურგის ტექნიკას. ჩვენ მიერ ხმარებული ტექნიკა დაწვრილებით აწერილია ჩვენს მონოგრაფიაში. რასაკვირველია, ერთსეანსიანი რენტგენიზაცია არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას შედეგის მისაღებად. საჭირო კასტრაციული დოზა ე. ი. 34-35% HED შეიძლება მიეცეს რამდენიმე ნაწილობრივი სეანსის სახით 2-3 კვირის ინტერვალით. ამ წესს ძალიან ეტანებიან ფრანგი რენტგენოლოგები. ერთსეანსიანი განსხივების უპირატესობაა—დროის დიდი ეკონომია. ნაწილობრივი რენტგენიზაციის მომხრეები უმთავრესად იმ მოსაზრებას ემყარებიან, რომ თითქოს ამ წესის დროს საკვერცხეები თანდათანობით ატროფიას განიცდიან და გამოვარდნის მოვლენებიც უფრო ზომიერად ვითარდება, ვიდრე ეს ერთსეანსიანი წესის დროს ხდება. ეს მოსაზრება ჩვენ შემცთარად მიგვაჩნია, რადგან გამოვარდნის მოვლენების ინტენსიობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, დამოკიდებულია ავადმყოფის ნერვული სისტემის მდგომარეობაზე.

მეტად დიდი, პრაქტიკული ხასიათის საკითხია ის, თუ როდის შეიძლება და როდის არ შეიძლება ფიბრომიომიანი ავადმყოფის განსხივება, ე. ი. საკითხი რენტგენოთერაპიის უკუჩვენებათა შესახებ. ამასთანავე, აბსოლუტურ, ყველას მიერ აღიარებულ უკუჩვენებებთან ერთად არის მთელი რიგი შემთხვევებისა და დებულებებისა, რომლებშიაც დიდი უთანხმოება არსებობს. რენტგენოთერაპიის აბსოლუტურ უკუჩვენებად ითვლება: 1. როდესაც ეჭვი ეპარებათ დიაგნოზში, აგრეთვე ორსულობით გართულებული მიომა,

ავთვისებიანობის ნიშნები, ე. წ. რეგრესიული ცვლილებები, მიომას კომბინაცია საკვერცხეების სიმსივნეებთან ან სხვა დაავადებასთან, რომელიც კი ოპერატიულ ჩარევას მოითხოვს, სუბსეროზული და სუბმუკოზური მიომა გრძელ ფეხზე. **სადაო უკუჩვენებად** ითვლება: ლორწოს ქვეშა მიომა განივრად მიმაგრებული, ძლიერ დიდი მიომები, ძლიერი ანემია, ავადმყოფების ახალგაზრდა ჰასაკი, დანამატების ანთებადი დაავადებანი. გავარჩიოთ ეს ორი ჯგუფი.

**ფიბრომიომების რენტგენოთერაპიისათვის აბსოლუტურ უკუჩვენებად ითვლება:**

1. **როდესაც იჭვი ეპარებათ დიაგნოზში.** ეს დებულება იმდენად ნათელია, რომ არც ერთი ავტორი მას არ უარყოფს. გაუსიც კი, რომელიც არა სცნობს არავითარ აბსოლუტურ უკუჩვენებას სხივებით წამლობისათვის, ასეთი შემთხვევებისათვის გამონაკლისს უშვებს და მათ ოპერატიული თერაპიის უდაო პრეროგატივას მიაკუთვნებს.

2. **ორსულობით გართულებული მიომები.** აქ განსხივება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან არსებობს დიდი საფრთხე ნაყოფის დაზიანებისა, რომელსაც შეიძლება სხვა და სხვა სიმახინჯე გამოაჩნდეს. ეს დებულება უდაოა და მას არავინ უარყოფს. შმიტის მიერ (v. Schmitt) და ბოლო დროს გუტმანისა და ბოტტის მიერ (Guthmann und Bott) გამოქვეყნებულია ნორმალური ბაშვის ორი შემთხვევა ორსულობის დროს წარმოებული განსხივების შემდეგ. ანალოგიური, თითქმის იდენტიური, შემთხვევა ჩვენს კლინიკაში გვქონდა: კასტრაციული დოზით განსხივება 37 წლის ავადმყოფისა. განსხივების შემდეგ ორ თვეში აღმოჩნდა, რომ ავადმყოფს მიომას გარდა ჰქონდა აგრეთვე ორსულობა, რომელიც განსხივებამდე ამოცნობილი არ იყო. 5 თვის შემდეგ განსხივების მერე ავადმყოფმა წესიერად მოიმშობიარა ნორმალური ბაშვით. ბაშვი ეხლა წლინახევრისაა და არავითარი გადახრა ნორმიდან მას არ ემჩნევა, სრულიად ჯანსაღია და კარგად განვითარებული.

ეს ბედნიერი შემთხვევები გამონაკლისს შეადგენენ და, რასაკვირველია, ისინი ვერ შეარყევენ ძირითად დებულებას.

3. **იჭვი ავთვისებიანობაზე. საშვილოსნოს ტანის კიბოს** ნიშნების დროს საკითხი მეტ შემთხვევაში შეიძლება გადაწყდეს საცდელი გამოფხეკით, რომელსაც უნდა მივმართოთ ყოველთვის, თუნდაც სულ უმნიშვნელო ნიშანი იყოს ავთვისებიანი პროცესისა (მეტრორაგიული ხასიათი სისხლის დენისა, სისხლ ნარევი სეროზული სუნიანი მდინარება, სიმსივნეს სწრაფი ზრდა და სხვ.).

რადგან მიომის დროს საშვილოსნოს ღრუ მნიშვნელოვანად იცვლება, გამოფხეკა ზოგჯერ ტექნიკურად ძლიერ ძნელდება და შეიძლება ამიტომ მას შედეგი არ მოჰყვეს.

რაც შეეხება **სარკომას**, — ჩვენ ზემოთ გვქონდა შემთხვევა გველაპარაკა სარკომას ამოცნობის დიდი სიძნელის შესახებ. საცდელ გამოფხეკას ზოგჯერ შეუძლიან მდგომარეობის გამორკვევა, მაგრამ თუ ეს ავთვისებიანი სიმსივნე საშვილოსნოს კედელში ზის—გამოფხეკა რა თქმა უნდა, არაფერს მოგვცემს.

იმ საკითხის შესახებ, საჭიროა თუ არა საცდელი გამოფხეკის წარმოება მიომას ყველა შემთხვევაში განსხივების წინ, როგორც ამას გვირჩევს კროსენი ვაშინგტონიდან ან გაუსი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისათვის ჩვენ არა გვაქვს საკმარისი საფუძველი, მით უმეტეს თუ მხედველობაში მივიღებთ იმ არა იშვიათ გართულებას, რომელიც ხდება მიომატოზური საშვილოსნოს გამოფხეკის დროს და პირველ რიგში—ინფექციის შესაძლებლობას.

იმ თითქოს სრულიად ურყევი დებულების წინააღმდეგ, რომ დაუშვებელია განსხივება, როდესაც იქვია მიტანილი ავთვისებიანი პროცესის არსებობაზე საშვილოსნოში, ბოლო დროს უკვე გაისმის ხმები. ასე, გაუსი ავთვისებიანობის შესაძლებლობას (ეჭვს გარეშეა, სარკომა ჰქონდა მხედველობაში) უკვე აღარა სთვლის რენტგენოთერაპიისათვის უკუჩვენებად. სწორედ ასევე პანკოვი სარკომის ნიშნების დროს შესაძლებლად სცნობს სხივებით წამლობას (სარკომას დოზა 60—70 % HED). ასეთი შეხედულება ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ჩვენ ისევ ვადგევართ იმ პრინციპალურ თვალსაზრისს, რომ ავთვისებიანი სიმსივნეების ოპერაბილურ ფორმებს დაუყონებლივ ოპერაცია უნდა გაუკეთდეს. ამასთანავე გაუსისა და პანკოვის შეხედულება არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ხელმძღვანელი კლინიკების მნიშვნელოვანი ნაწილი მეტადრე გერმანიაში, პრინციპალურად უარყოფს ოპერატიულ ჩარევას საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეების დროს.

4. ე. წ. რეგრესიული ცვლილებები (ნეკროზი, ჰიალინური, ლორწოვანი გადაგვარება, დაჩირქება, სიმსივნეს ლპობითი დაშლა) და ფეხის გადაგრეხა. ფეხის გადაგრეხის დროს აბსოლუტური უკუჩვენებაა რენტგენოთერაპიისათვის და ჩვენებაა დაუყონებლივი ოპერატიული ჩარევისათვის.

რაც შეეხება ე. წ. რეგრესიულ ცვლილებებს აქ, როგორც ჩანს, საკითხი არც ისე უბრალოდ დგას, როგორც წინათ ეგონათ. წინათ ყველანი იმ აზრს იზიარებდნენ, რომ რეგრესიული ცვლილებები კონტრაინდიკაციად ითვლება განსხივებისათვის, მაგრამ უკანასკნელ დროს გაუსმა სრულიად სამართლიანად მიაქცია ყურადღება სწორი დიაგნოსტიკის განსაკუთრებულ სიძნელეს ამ შემთხვევაში, რის გამოც შეიძლება დავასკვნათ, რომ ხსენებული ცვლილებები ალბათ გაცილებით უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ეს აშოცნობილია ხოლმე. გაუსი ემყარება აგრეთვე Seitz-Wintzსა და de Backerს, რომლებსაც ასეთი შემთხვევების დროს რენტგენოთერაპიის კარგი შედეგი უნახავთ. ჩვენ არ უარვყოფთ გაუსის საფუძვლიან დასაბუთებას, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, და ეს არის სხვა ავტორების დიდი უმრავლესობის აზრიც, რომ ე. წ. რეგრესიული ცვლილებების დროს, თუნდაც ასეთი უბრალო ეჭვს ჰპადებდეს, ნაჩვენებია ოპერაცია.

5. კომბინაცია მიომისა და საკვერცხეების სიმსივნეებისა ან სხვა ავადმყოფობისა, რომელიც ოპერატიულ ჩარევას მოითხოვს (აპენდიციტი, გამოვარდნა, თიაქარი და სხვა). აქ კომენტარიები ზედმეტია, რადგან ასეთ შემთხვევებში თავის თავად ცხადია, რომ რენტგენოთერაპიის ხმარება არ შეიძლება. რაც შეეხება ასეთი შემთხვევების წამლობის „კომბინირურ“ წესს, გაუსი რომ გვირჩევს ე. ი. ამოკ-

ვეთოს საკვერცხეს სიმსივნე და შემდეგ მოხდეს მიომას განსხივება—ამ წესის მიზანშეუწონლობა იმდენად ცხადია, რომ კომენტარიებს არ საჭიროებს.

6. გრძელ ფეხიანი სუბსეროზული და სუბმუკოზური მიომები. სუბსეროზული ფორმის დროს რენტგენოთერაპია არ არის ნაჩვენები შემდეგი მოსაზრებით: ასეთ მიომებში, მათი ცუდი კვების გამო, ხშირად ხდება ნეკროტული პროცესები. ახლა კიდევ შეიძლება მოხდეს ფეხის გადაგრეხა ყველა თავისი სახიფათო შედეგებით. გადაუგრეხავადაც კი ეს სიმსივნეები თავისი ქანაობით აღიზიანებენ ხშირად პერიტონეუმს და ამის შედეგად კი ვიღებთ შეხორცებებსა და ასციტს.

რაც შეეხება ლორწოს ქვეშა გრძელფეხიან მიომებს, აქ ყოველივე, რომლითაც კი ნაჩვენები არ არის რენტგენოთერაპია, იმდენად ნათელია, რომ არავითარი ახსნა განმარტება არა სჭირდება. ასეთ პოლიპებს უბრალოდ კვეთავენ მაკრატლით.

უკუჩვენება სადაოა შემდეგ პირობებში:

1. ლორწოსქვეშა მიომის დროს. როგორც ვიცით, ავტორების დიდი უმრავლესობის აზრით რენტგენოთერაპია არ არის ნაჩვენები ყველა ლორწოს ქვეშა მიომების დროს იმის მიუხედავად, გრძელი ფეხი აქვს მიომას თუ ფართო მიმაგრება. ამ შეხედულების გაზიარება ძალიან ძნელია. გრძელ ფეხიანი ლორწოს ქვეშა მიომა, რასაკვირველია, მოკვეთილი უნდა იქმნეს. ეს სრულიად ნათელია და ამის საწინააღმდეგოდ არაფერი ითქმის. ამას გაუსიც აღიარებს, რომელიც მაინც საჭიროდ სცნობს აქაც აღნიშნოს, რომ გრძელ ფეხიანი ლორწოს ქვეშა მიომას რენტგენოთერაპიამ შეიძლება კარგი შედეგი მოგვცეს.

რაც შეეხება განივრად მჯდარ ლორწოს ქვეშა სიმსივნეებს, აქ ჩვენ გაუსისა, ზეიც-ვინცისა, პანკოვისა, ბეკლერისა, ეიმერის, დოდერლეინის და სხვ. თანახმად ვფიქრობთ ავტორთა უმრავლესობის საწინააღმდეგოდ, რომ ჩვენ არა გვაქვს საკმარისი საბუთი სხივებით წამლობის უარყოფისათვის. საქმე იმაშია, რომ, თუმცა ლორწოს ქვეშა მიომას დროს სისხლის დენა შეიძლება რამოდენიმედ დამოუკიდებელი ხასიათისა იყოს, გამოწვეული ადგილობრივი მიზეზებით, მაგრამ მთავარ მიზეზად, ისევე, როგორც სხვა ყველა ფორმებისათვის უნდა ჩაითვალოს საკვერცხეების დისფუნქცია და ამიტომაც რენტგენის სხივები, რომლებიც სპობენ სისხლის დენის ძირითად მიზეზს-საკვერცხეების ფუნქციას, აუცილებლად უნდა იწვევდენ სისხლისდენის შეჩერებასა და სიმსივნის განლევას. ამას ვხედავთ სინამდვილეშიც. თვითეული შემთხვევები, როდესაც განივრად მჯდარი მიომას სხივებით წამლობა უშედეგო დარჩა — ვერ დაარღვევს ამ ზოგად დებულებას. რაც შეეხება ერთ ასეთს უშედეგო ჩვენ შემთხვევას, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ეს შემთხვევა მართლაც იმდენად საინტერესოა და ყურად საღები მრავალ მხრივ, რომ ჩვენ საჭიროდ ვცნობთ ამაზე ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ. ავადმყოფობის ისტორია მოკლედ: ავად. გ., 42 წლისა, მეტრორაგიული ხასიათის ძლიერი და შეუჩერებელი სისხლის დენით. ობიექტური გამოკვლევა: სუბსეროზული მიომა 3 თვის ორსულობის ოდენა. მეტრორაგიების გამო რომ საშვილოსნოს ტანის კიბო გამოგვერიცხა— ავადმყოფს ორჯერ გაუკეთდა საცდელი გამოფხეკა: ერთხელ კერძოდ, მეორედ

ჩვენს კლინიკაში. ორივე შემთხვევაში სრულიად უარყოფითი შედეგი მივიღეთ: გამონაფხეკი ვერც ერთხელ ვერ მივიღეთ. სიმსივნეს სუბმუკოზური ხასიათი ვერ იქნა აღმოჩენილი. ავადმყოფს მიეცა კასტრაციული დოზა მით უმეტეს, რომ ფილტვების ტუბერკულოზისა, ნეფრიტისა, მიოკარდიტისა, ძლიერი ანემიისა (ჰემოგლობინი 35%) და საერთო სისუსტის გამო ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა. განსხივების შემდეგ ავადმყოფს 13 თვის განმავლობაში ჰქონდა ნამდვილი ამენორეა. ამ ხნის განმავლობაში ის ძალიან მოკეთდა მაგრამ მერე ისევ სისხლის დენა დაეწყო. ავადმყოფს ხელმეორედ მიეცა კასტრაციული დოზა და დამატებითი დოზა ელენთაზე. ამის შემდეგ რამდენიმე თვით სისხლის დენა შეჩერდა, შემდეგ კი ისევ დაეწყო, მაგრამ სისხლი ცოტ-ცოტა სდიოდა და ისიც 2-3 თვეში ერთხელ. მეორე განსხივების შემდეგ ასე გაიარა 14 თვემ და მერე ავადმყოფს ისევ დაეწყო პროფუზული სისხლის დენა პირდაპირ არაჩვეულებრივი ხასიათისა. ავადმყოფი დაუყონებლივ იქმნა მოყვანილი კლინიკაში და—მიუხედავად იმისა რომ უკუჩვენება იყო გულისა, ფილტვებისა და თირკმელების მხრივ—მას გაუკეთდა სრული ექსტირპაცია საშვილოსნოსი და დანამატებისა, ოპერაციის შემდეგ მსვლელობა სრულიად გაურთულებელი და 21 დღის შემდეგ ავადმყოფი გაეწერა კლინიკიდგან განკურნებული. მარტო ოპერაციის შემდეგ გახდა შესაძლებელი ამოგვეცნო დაავადების ნამდვილი სურათი: სუბსეროზულ სიმსივნესთან ერთად იყო აგრეთვე სუბმუკოზური მიომა ქათმის კვერცხის ოდენა. რენტგენოთერაპიის უშედეგობის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ განსხივებამ ავადმყოფს მაინც სარგებლობა მოუტანა. საკმაოდ ხანგრძლივი წინასწარი ამენორეას გამო ავადმყოფი იმდენად მომჯობინდა, რომ ოპერაციის წინ მეტად ძლიერი სისხლის დენის მიუხედავად ის გაცილებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე პირველი განსხივების წინ. შესაძლებელია უმთავრესად სწორედ ამითაც აიხსნებოდეს ოპერაციის კარგი შედეგი.

ამ რიგად, არც ეს ერთად ერთი უშედეგო შემთხვევა გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, ვითომ განივრად მჯდარი სუბმუკოზური მიომის დროს რენტგენოთერაპია არ იყოს ნაჩვენები.

Seitzი და Wintzი გვაუწყებენ 34 უდაო და 33 სათუო ლორწოს ქვეშა მიომას შესახებ, რომლებსაც რენტგენის სხივებით უწამლეს და კარგი შედეგი მიიღეს; აქ ყველა შემთხვევაში ნამდვილი ამენორეა იყო მიღებული. Beclére აგრეთვე აღნიშნავს, რომ ფართოდ მიმაგრებული ლორწოს ქვეშა მიომას დროს ყოველთვის სრულ განკურნებას იღებდა, როცა კი წამლობა წესიერად იყო გატარებული. მან უწამლა რენტგენით 700 მიომას და აქედგან მხოლოდ 7-ჯერ ვერ მიაღწია სისხლის დენის შეჩერებას. ყველა ამ შემთხვევებში აღმოჩნდა ლორწოს ქვეშა გრძელ ფეხიანი მიომა. ამავე თვალსაზრისს ადგა Döderleinი და Eymerი.

ყოველივე ეს ჰნიშნავს თუ არა იმას, რომ ლორწოს ქვეშა მიომების დროს არ უნდა გაკეთდეს ოპერაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამორჩევა წამლობის ამა თუ იმ წესისა სწორედ სუბმუკოზური მიომების დროს უნდა ხდებოდეს სასტიკი ინდივიდუალიზაციის გზით.

საერთოდ კი ჩვენ შემდეგი წესებით ვხელმძღვანელობთ: პროფუზული სისხლის დენის დროს აუცილებლად ვცნობთ ოპერაციას, ხო-

ლო, თუ სისხლის დენა ძლიერი არ არის—მეტადრე მენორაგიული ხასიათის დროს—უპირატესობა განსხივებას ეძლევა.

2. ძლიერ დიდი მიომისა, მეზობელ ორგანოების გაჭედვისა და ასეთებზე დაწოლის დროს (შარდის ბუშტი, ურეტრა, სწორი ნაწლავი). მეზობელი ორგანოების დაწოლისა და გაჭედვის მწვავე მოვლენების დროს, რასაკვირველია, ნაჩვენებია სასწრაფო ოპერაცია. იმ შემთხვევებში კი, როცა მიომა, თავისი სიდიდისა თუ ლოკალიზაციის გამო, აწვება მეზობელ ორგანოებს, მაგრამ გაჭედვის მწვავე მოვლენებს არა აქვს ადგილი, ოპერაცია შეიძლება არ დავაჩქაროთ, რადგან რენტგენოთერაპიასაც შეუძლიან კარგი შედეგების მოცემა. ამ თვალსაზრისს, რომელსაც მე დავადექი მიომის რენტგენოთერაპიის 14 წლის გამოცდილების შემდეგ, იზიარებს მხოლოდ ავტორთა მცირე ნაწილი, რომელთა შორის არის გაუსი, ზაიც-ვინცი, პანკოვი, დოდერლაინი, კრენიგი და სხვ.. უმრავლესობა ავტორებისა კი ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ოპერაციის მომხრეა. ზაიც-ვინცსა და გაუსს გასაკვირველი შედეგები მიუღიათ როცა მიომის რენტგენოთერაპია უწარმოებიათ მეზობელ ორგანოებზე დაწოლისა და ასეთების გაჭედვის მოვლენების დროს..

ძლიერ დიდი მიომების (ჭიპს ზემოთ) რენტგენოთერაპიის საწინააღმდეგო მოსაზრებანი იმას ემყარება, რომ ასეთ შემთხვევებში საკვერცხეები შეიძლება მდებარეობენ ზევით მუცლის ღრუში ან სიმსივნის მეტად სქელი ნაწილის ქვეშ და ვითომ სხივები ვერც კი მიაწევენ ამ საკვერცხეებამდე. ეს მოსაზრებები სწორია, თუ რომ სახეში რენტგენიზაციის ჩვეულებრივად ხმარებული წესი გვექნება. მაგრამ, თუ ჩვენ ე. წ. ფრაიბურგის წესი ვიხმარეთ ე. ი. ერთი დიდი არეს განსხივება წინიდგან (20$\times$20), ასეთივე—უკანიდგან და ამავე დროს შორ მანძილზე (40-50 სანტ.), მეტ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება საკვერცხეეზზე სრული კასტრაციული დოზის მიცემა. ამ გზით მე არა ერთხელ მიმიღია ძლიერ დიდი ფიბრომების მნიშვნელოვანი დაპატარავება. რენტგენიზაციის ჩვეულებრივი საშუალო დოზებითაც კი ყოფილა მიღებული უშეღლებელი სიმსივნის—9 თვის ორსულობის ოდენა მიომის საგრძნობი შემცირება. ამავე დროს, ავადმყოფთა უკანასკნელი სერიის მიხედვით (180 შემთხვევა) ორ შემთხვევაში ჩვენ აშკარად ვერავითარი გაუმჯობესება ვერ მივიღეთ—მიუხედავად ფრაიბურგის მეთოდის ხმარებისა: სიმსივნე მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა და ამენორეაც დროებითი აღმოჩნდა (5 და 13 თვე). შემთხვევები, როდესაც ძლიერ დიდი სიმსივნეების დროს არავითარი გაუმჯობესება არ მიუღიათ—გამოქვეყნებულია სხვა ავტორების მიერაც. აღნიშნული უშედეგო შემთხვევების გამო ჩვენ, თუმცა არ უარვყოფთ იმ დებულებას, რომ თავისთავად სიმსივნეს დიდი ზომები—ავთვისებიანი გადაგვარების ნიშნების უქონლობის დროს—არ წარმოადგენს აბსოლუტურ უკუჩვენებას რენტგენოთერაპიისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საკითხი წამლობის წესის შესახებ უნდა გადაწყდეს ყოველ ცალკე შემთხვევაში.

საერთოდ კი უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი დებულებით: როდესაც ოპერაცია არ არის ნაჩვენები—განსხივება; დანარჩენ შემთხვევებში კი წამლო-

ბის წესის ამორჩევა—ოპერატიული თუ სხივებით—დამოკიდებული უნდა იყოს ავადმყოფის ინდივიდუალურ თვისებებზე, მის კონსტიტუციაზე, წლოვანობაზე და სხვ.

3. ძლიერი ანემიის დროს. შეიძლება უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ ავტორთა მთელი რიგი (Mackenrodt, Opitz, Beclére და სხვ.) ანემიის მძიმე ფორმას უკუჩვენებად სთვლიან სხივოსანი წამლობისათვის. რენტგენოთერაპიის მოწინააღმდეგეთა მთავარ მოტივს წარმოადგენს შიში სისხლის დენის გაძლიერებისა გაღიზიანების გამო (Reitzblutungen). ეს არგუმენტი დამაჯერებელი იყო იმ დროს, როდესაც წამლობას აწარმოებდენ ნაწილობრივად—მცირე და საშუალო დოზებით, დღეს კი—ერთ სეანსიანი ინტენსიური თერაპიის ხმარების ხანაში, ეს მოტივი აღარ გამოდგება, ვინაიდგან ერთმომენტიანი წესით მიცემული სრული კასტრაციული დოზის შემდეგ „Reitzblutungen“ ძლიერ იშვიათად ხდება და ამასთანავე—ამ გამონაკლის შემთხვევებშიაც სისხლის დენის ინტენსიობა არასდროს არ არის საშიში. პირიქით, როგორც წესს, ჩვენ ვხედავთ მაშინვე განსხივების შემდეგ სისხლის დენის ძლიერ შემცირებას და ხან შეწყვეტასაც, ხოლო საბოლოოდ—მუდმივ ამენორეას. მძიმე ანემიის დროს რენტგენოთერაპიის მომხრეები (Gauss, Krönig, Döderlein, Menge, Eymer, Gugisberg, Gilbert და სხვ.) სამართლიანად ფიქრობენ, რომ სწორედ ასეთ შემთხვევებშია ნაჩვენები რენტგენოთერაპია, რადგან სისხლნაკლებობის მძიმე ფორმების დროს ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ავადმყოფებთან, რომლებსაც გულის მოქმედების სისუსტე და აშლილობა ახასიათებს და, მაშასადამე, ოპერატიული ჩარევა სახიფათოა. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, მაგრამ, მეორეს მხრით, საჭიროდ ვცნობთ გადაჭრით განვაცხადოთ, რომ იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც სისხლის დენის ინტენსიობა სიცოცხლისათვის სახიფათო ხდება—დაუყონებლივი ოპერაცია აბსოლუტურ ჩვენებას წარმოადგენს.

ჩვენი საბოლოო დასკვნა ამ საკითხზე სავსებით ეთანხმება ალბრეხტის (Albrecht) შემდეგ თეზისებს: სიცოცხლისათვის სახიფათო პროფუზული სისხლის დენის დროს აუცილებელია ოპერაცია. თუ ძლიერი სისხლნაკლებობის დროს სისხლის დენა მენორაგიული ხასიათისაა და სიცოცხლისათვის საშიში არ არის—განსხივება წარმოადგენს ამორჩევითი მეთოდს. მეტრორაგიების დროს კი ოპერაციაა საჭირო, ვინაიდან რენტგენოთერაპია ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს.

4. როდესაც ავადმყოფი ახალგაზრდაა. ავტორთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ 40 წელზე ქვევით ქალს სხივოსანი თერაპია არ უნდა გაუკეთდეს, თუ კი ოპერაცია არ არის ნაჩვენები გულის, თირკმელების დაავადებისა და სხვა მიზეზების გამო. ჰალბან და ალბრეხტ ამ საზღვარს უფრო მაღლა სწევენ—42-ნ 45 წლამდე. მეორე მხრით, სხვა ავტორების მთელი რიგი (გაუს, ოპიც, ვალტარდ, შტრასმან, შიკელე, ტალერ და სხვ.) ავადმყოფების ახალგაზრდა ჰასაკს არა სთვლის უკუჩვენებად რენტგენოთერაპიისათვის. გაუსის აზრით, ის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოს განსხივების შემდეგ გა-

მოვარდნის მოვლენები უფრო მძიმე ხასიათისაა ახალგაზრდა ჰასაკში, არამც თუ არ არის დამტკიცებული — შეუძლებელიც არის.

ჩვენი 180 ავადმყოფიდგან 52=28,5% იყო 40 წელზე ქვევით. სისწორისათვის მოგვყავს ცხრილი განსხვავებული ავადმყოფების წლოვანობისა.

| წლოვანობა | ავადმყოფების რაოდენობა | %% |
|---|---|---|
| 20—25 | 1 | 0,5 |
| 25—30 | 2 | 1 |
| 30—35 | 13 | 7 |
| 35—40 | 36 | 20 |
| 40—45 | 54 | 30 |
| 45—50 | 55 | 31 |
| 50—55 | 18 | 10 |
| 55—60 | 1 | 0,5 |
| | სულ 180 | |

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენ ავადმყოფებში ძლიერ ახალგაზრდებიც იყვნენ, მაგრამ მათმა დაწვრილებითმა გამოკითხვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ სიმძიმის ცენტრო გამოვარდნის მოვლენების დროს ძევს არა ავადმყოფების წლოვანობაში, არამედ მათ ფსიქო-ნევროტიულ კონსტიტუციაში. როგორც ეს ვალტარდტმა დაამტკიცა. ლაბილური ნერვული სისტემის მქონე ავადმყოფები, წლოვანობის მიუხედავად, კასტრაციას უპასუხებენ გაცილებით უფრო მწვავედ, უფრო მძაფრად გამოხატული გამოვარდნის მოვლენებით, ვიდრე მაგარი ნერვების მქონე ავადმყოფები, მაგრამ არც წლოვანობის უარყოფა შეიძლება. ეჭვს გარეშეა, რომ თანაბარ პირობებში, რაც უფრო ახალგაზრდაა ავადმყოფი, მით უფრო ძლიერად არის გამოხატული გამოვარდნის მოვლენები და ასეთებს მეტად მწვავე ფორმა აქვთ ახალგაზრდა ფსიქო-ნევროტიულ ავადმყოფებზე.

აქ დასმული კითხვების გადასაჭრელად სულ სხვა ხასიათის მოსაზრებები მოჰყავს ზოგიერთ სხვა ავტორს (ოპიცი და სხვ.). ახალგაზრდა ჰასაკს ისინი არა სთვლიან რენტგენოთერაპიისათვის უკუჩვენებად; მათი აზრით—საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ, თუ საკვერცხეები დატოვებულია, გამოვარდნის მოვლენები თავისი სიმწვავით არ ჩამოუვარდება იმ შემთხვევებს, როდესაც სასქესო ჯირკვლები ამოკვეთილია. ამ დასაბუთების გაზიარება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან დამტკიცებულია, რომ საკვერცხეების ფუნქცია შეიძლება

გაგრძელდეს კიდევ დიდხანს საშვილოსნოს ამოკვეთის შემდეგ. ჰისტერექტომიის 5-8 წლის შემდეგ განმეორებითი ლაპაროტომიის დროს ჰანკოცს არაერთხელ უნახავს კარგად მომქმედი საკვერცხე ყვითელი სხეულის განვითარებით. ჩვენი ასისტენტი ლ. ელიაშვილის ექსპერიმენტალური ცდები ბაჭიებზე სავსებით ადასტურებს ამ ცნობებს.

5. მიომა, გართულებული დანამატების ანთებადი დაავადებით. როგორც ვიცით, წინად ადნექსიტების დროს მიომების რენტგენოთერაპია არ იყო ნაჩვენები. ამ ჟამად კი, როდესაც უკვე არსებობს ადნექსიტების წამლობის დამოუკიდებელი მეთოდი დროებითი სტერილიზაციით, რომელიც ძალიან კარგ შედეგებს იძლევა, შეიძლება ითქვას, რომ მიომას გართულების დროს დანამატების ანთებადი დაავადებით რენტგენოთერაპია ნაჩვენებია ერთიორად. მართლაც და, ჩვენი პირადი დაკვირვებიდგან ჩანს რომ დროებითი კასტრაციას შეუძლიან მოგვცეს ადნექსიტების სრული კლინიკური განკურნება 56,5%-ში, ხოლო დანარჩენ 43,5%-ში—ობიექტური აშკარა გაუმჯობესება ტკივილების სრული დაკარგვით.

ამასთანავე, დროებითი სტერილიზაციის ორივე დაჩრდილული მხარე, სახელდობრ, მემკვიდრეობის დაზიანების შესაძლებლობა და ის, რომ დოზის სწორი განსაზღვრა ვერა ხერხდება, თავის მნიშვნელობას კარგავს სამუდამო კასტრაციის დროს და ამიტომ უნდა მოიხსნას. აბსოლუტური უკუჩვენება რენტგენოთერაპიისათვის არსებობს მხოლოდ დანამატების ჩირქოვანი პროცესის დროს. აქ უნდა მოხდეს ოპერატიული ჩარევა, რომელიც—უნდა აღინიშნოს—არც ისე უხიფათოა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არის შემთხვევების მთელი რიგი, სადაც ნაჩვენებია მხოლოდ და მხოლოდ ოპერატიული თერაპია, მეორე მხრით აგრეთვე—შემთხვევების მთელი რიგი, სადაც განსაკუთრებით ნაჩვენებია რენტგენოთერაპია და, ბოლოს, მთელი რიგი შემთხვევებისა, სადაც შეიძლება თავისუფალი არჩევანი მოხდეს ამ ორი რადიკალური წესის შორის.

მაშასადამე, დასმულ კითხვაზე წამლობის წესის ამორჩევის შესახებ, პასუხი უნდა შეუფარდოთ მხოლოდ ავადმყოფების უკანასკნელ კატეგორიას, რადგან ყველა დანარჩენი შემთხვევების დროს ჩვენ არა გვაქვს თავისუფალი არჩევანი.

ამრიგად, ყოველივე ხსენებულის შემდეგ, დასმულ კითხვას: რენტგენი თუ ოპერაცია?—ჩვენ გარკვევით უპასუხებთ: სხივებით წამლობა, ვინაიდგან ეს სავსებით უხიფათოა და თითქმის ყოველთვის აღწევს მიზანს.

### რადიოთერაპია.

საშვილოსნოს ფიბრომიომის წამლობისათვის რადიუმი ფართოდ იხმარება იმ ქვეყნებში, სადაც რადიოაქტიურ ნივთიერებათა დიდი მარაგია, როგორც, მაგალ., საფრანგეთი და ამერიკა. რენტგენოთერაპიის მეტად დიდი გავრცელების გამო გერმანეთში ამ მიზნებისთვის რადიუმით გაცილებით უფრო ნაკლებ სარგებლობენ.

რადიუმის მთავარი უპირატესობა რენტგენის სხივების წინაშე—ეს მისი სისხლის შემაჩერებელი სწრაფი მოქმედებაა. ამიტომ ძლიერი სისხლის დენის დროს იქ, სადაც სისხლი სასწრაფოდ უნდა იქმნეს შეწყვეტილი, რადიუმი თითქმის შეუდარებელია. ასეთ შემთხვევებში რადიუმს დამოუკიდებლად ხმარობენ ან როგორც დამატებით დოზას რენტგენის სხივებით გაშუქების შემდეგ

იმის გამო, რომ რადიუმის სხივების გავლენის სფერო განსაზღვრულია მეტად მცირე სიღრმეზე, ჩვეულებრივ მას ხმარობენ მცირე სიმსივნეების წამლობის დროს. ავტორების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ რადიუმის პრეპარატების ზეგავლენით სიმსივნის შეჰმუჰვნა უფრო სწრაფად წარმოებს, ვიდრე რენტგენოთერაპიის შემდეგ. სხვა უპირატესობა რადიუმისა რენტგენის სხივების წინაშე—„ნაბახურობა“ რადიუმის შემდეგ ნაკლები სიმწვავით გამოიხატება და „გამოვარდნის მოვლენებიც“ ჩვეულებრივ სუსტად არის გამოხატული.

ამენორეას მისაღებად საჭიროა დაახლოებით (შემთხვევის მიხედვით) რადიუმის 1000-ნ 3000 მილიგრამ-საათამდე. ხმარება—საშვილოსნოს შიგნით და საშოს შიგნით.

რადიოთერაპიის უარყოფითი მხარე შედარებით რენტგენოთერაპიასთან ის არის, რომ რადიოწამლობის დროს შესაძლებელია სიკვდილის შემთხვევები, თუმცა ეს მეტის მეტად იშვიათად ხდება—არა უმეტეს 0,2%-სა და რენტგენოთერაპიის შემდეგ კი სიკვდილის შემთხვევებს ადგილი არ აქვს. სიკვდილის მიზეზი რადიოთერაპიის დროს—ინფექცია.

გაუსის წინადადებით მისი მოწაფეების მიერ (John, Schmid, Framm) ლიტერატურული წყაროებიდგან შეკრებილია ფიბრომიომის 2054 შემთხვევა, რომლებიც 1921 წლამდე რადიუმით უწამლიათ. ამ ცნობების თანახმად, კლინიკური განკურნება მიუღიათ 96,2%-ში, სიკვდილიანობა კი ყოფილა 0,19%.

ფიბრომიომის წამლობისათვის რადიუმის პრეპარატით ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ვსარგებლობდით. 13 წლის განმავლობაში რადიუმის ხმარება დაგვჭირდა სულ 68 შემთხვევაში—უმთავრესად იმისათვის, რომ გაგვეძლიერებინა და დაგვეჩქარებინა რენტგენის სხივების მოქმედება.

სანამ დავათავებდეთ მოხსენებას, გვინდა შევეხოთ ერთ მეტად მნიშვნელოვანსა და საინტერესო საკითხს—ე. წ. Myomherz-ის შესახებ და სისხლის წნევას მიომის დროს.

სამწუხაროდ ეს საკითხი ჯერჯერობით ნაკლებად არის გაშუქებული.

არის თუ არა გულის სპეციფიური დაავადება, გამოწვეული მიომას არსებობით ორგანიზმში? როგორც ვიცით, Strassmann ძალიან მტკიცედ იცავს გულის დაავადებათა სპეციფიურობას მიომის დროს. ეს ავტორი ამ ცვლილებებს ხსნის საკვერცხეების დისფუნქციით, რომელიც ერთის მხრით იწვევს სიმსივნეს განვითარებას საშვილოსნოში და მეორეს მხრით სპეციფიურ გავლენას ახდენს გულის კუნთზე. ავტორების დიდი უმრავლესობა უარყოფს Strassmann-ის გამოკვლევებს „Myomherz“-ის შესახებ, მაგრამ მართალია თუ არა Strassmann—ეს საკითხი ჯერ ვერ ჩაითვლება საბოლოოდ გადაჭრილად—ერთი კი ეჭვს გარე-

შეა, რომ მიომების დროს უფრო ხშირად გვხვდება ავადმყოფი გული, ვიდრე სხვა გინეკოლოგიური დაავადების დროს. ჩვენი ასისტენტი ელიაშვილის გამოკვლევით მიომატოზური ავადმყოფების გულის სიგანივრე და მისი მოქმედების სხვა აშლილობანი გვხვდება 38,5%-ში.

რაც შეეხება საკითხს ჰიპერტონიის შესახებ მიომატოზურ ავადმყოფებზე, Strassmann გვარწმუნებს, რომ ფიბრომიომიან ავადმყოფებს საშუალოდ აქვთ წნევის მომატება 20 mm Hg. ჩვენი გამოკვლევების მიხედვით, ჩვენ არ შეგვიძლიან ამ ცნობების სისწორის დადასტურება. ჩვენ არავითარი დამოკიდებულება არ შეგვინიშნავს სიმსივნესა და სისხლის წნევის სიმაღლის შორის, მაგრამ ჩვენ შევნიშნეთ, რომ სისხლის წნევის სიმაღლე დიდად არის დამოკიდებული ავადმყოფის წლოვანობაზე და იმაზე—აქვს თუ არა ავადმყოფს სისხლის დენა.

F. v. Müller, რომელიც აგრეთვე ფიქრობს, რომ მიომა სპეციფიურად მოქმედებს გულზე, გვირჩევს აუცილებლად ოპერაცია ვაწარმოოთ და არა რენტგენოთერაპია იმ შემთხვევებში, როდესაც ჰიპერტონია აქვს ავადმყოფს,— ეს იმიტომ, რომ ამ ავტორს მარტო ოპერაციის შემდეგ შეუნიშნავს სისხლის წნევის შემცირება ასეთ შემთხვევებში. განსხივების დროს ეს მას არ უნახავს. Strassmann, პირიქით, ასეთ შემთხვევებში გვირჩევს განსხივებას და არა ოპერაციას, რადგან მისი აზრით განსხივება არ მოქმედებს გულზე ცუდად, არა სცვლის სისხლის წნევას, მაშინ, როდესაც ოპერაცია ბევრ რამეს მოითხოვს გულისაგან და, მაშასადამე, სახიფათოა. პირადად ჩვენ ძლიერ გვაინტერესებდა საკითხი სისხლის წნევის ცვლილებებისა ოპერაციასთან ან განსხივებასთან დაკავშირებით. ჩვენი გამოკვლევები ამ მიმართულებით ჯერჯერობით იმდენად გაურკვეველია, რომ ძლიერ ძნელია რაიმე წესად მიღებული ხაზის შეჩნევა თუკი ასეთი საერთოდ არსებობს ანალოგიურ შემთხვევებში. ამიტომ ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ ჩვენი აზრის გამოთქმისაგან ამ საკითხის შესახებ.

ბ. ღოღობერიძე.

# საშვილოსნოს დამატებით რქაში HAEMATOMETRO-ს დიაგნოზისათვის.

(ტფილისის I საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკური განყოფილებიდან; გამგე ბ. ღოღობერიძე).

Haematometro-ს დიაგნოზი ჩვეულებრივ არაა ძნელი, როცა ატრეზია სასქესო არხის ქვემო სეგმენტს ეხება; უფრო ძნელია იგი ყელის არხის ატრეზიის შემთხვევებში; ფრიად ძნელია-კი, როცა სისხლი დაგროვილია საშვილოსნოს დამატებით რქაში. გარდა იმისა რომ საშვილოსნოს ორმაგი სიმახინჯე იშვიათი დაავადებაა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გვარ შემთხვევებში საშვილოსნო სუსტადაა ხოლმე განვითარებული, რის გამოც არც ჰემატომეტრას ექნება ადგილი, ვინაიდან მენსტრუალური ფუნქცია სრულებითაც არ არსებობს.

დიაგნოზის სიძნელე ერთის მხრივ აიხსნება ასეთი შემთხვევების იშვიათობით; მართლაც მისაწვდომ ლიტერატურაში მე არ შემხვედრია არც ერთი, გარდა Мандельштамм-ის შემთხვევისა, რომ ვისმეს ამ დაავადების სწორი დიაგნოზი დაესვას ოპერაციის წინ. პირიქით არის ორიოდე შემთხვევა, სადაც ლაპარატომიის დროსაც არ იყო სწორი დიაგნოზი დასმული, რამაც გამოიწვია განმეორებითი ოპერაციის წარმოება (C. Donati, A. Calmann). ყველა ავტორი, ვისაც კი ასეთი შემთხვევები უნახავს, აღნიშნავს, რომ ამ დაავადების დიაგნოზი ფრიად ძნელია (Menge, Славянский, Pozzi, Sohn, Zillessen, Donati).

1925 წ. 23/XII ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური საზოგადოების სხდომაზე ექ. Мандельштамм-ის მიერ გაკეთებულია დემონსტრაცია დამატებით რქაში ჰემატომეტრის შემთხვევისა. დიაგნოზი დასმული იყო ოპერაციის წინ. კამათში იყო აღნიშნული, რომ ამ დაავადების ამოცნობა ფრიად იშვიათ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს (პროფ. Гентер-ი, პროფ. Кривский). ზოგმა კი ეჭვი გამოსთქვა საზოგადოდ ამ გვარი დაავადების ოპერაციამდე ამოცნების შესაძლებლობაზე.

ამისათვის ჩემის აზრით ინტერესს არ იქნება მოკლებული იმ ორი შემთხვევის აღწერა, რომელიც შემხვდა ჩემს განყოფილებაში.

**I შემთხვევა.** 1923 წ. მე მომმართა ავადმყოფმა მ. 32 წლის მუცლის მარჯვენა ნახევარში ძლიერი ტკივილების გამო, რომელიც აწუხებს მას უკვე 2 წელია და რომელთაც პერიოდული ხასიათი აქვთ. ყოველნაირი თერაპიული საშუალებანი მხოლოდ დროებით შედეგს იძლეოდა, და 2-3 კვირის შემდეგ ტკი-

ვილების შეტევა ისევ მეორდებოდა. ავადმყოფი გათხოვილია 12 წელიწადი, სქესობრივი ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობს, თვიური წესი არ უნახავს არასოდეს. ბიმანუალური გასინჯვით საშვილოსნო ნორმალური სიდიდისაა, თავის ადგილზეა, მოძრავი, უმტკივნელო, მის მარცხნივ ისინჯება ნორმალური დანამატები. საშვილოსნოს მარჯვენა კუთხეს უშუალოდ უერთდება სიმსივნე ქათმის კვერცხის ოდენა, მაგარი კონსისტენციისა, შეზღუდული მოძრაობისა და ოდნავ მგრძნობიარე. ამ სიმსივნის მარჯვნივ ბუნდოვანად ისინჯება მარჯვენა დანამატები და მარჯვენა მრგვალი იოგი. ვინაიდან კონსერვატიული წესებით წამლობა არ იძლეოდა არავითარ შედეგს, წინადადება მიეცა ოპერაციისა, რაზედაც ის დათანხმდა.

განყოფილებაში დაწოლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი საშუალო ტანისაა სწორი აგებულობისა, ზომიერი კვებიანობისა. შინაგანი ორგანოების მხრივ არავითარი არანორმალობა არ აღინიშნება. გინეკოლოგიურმა გასინჯვამ მოგვცა შემდეგი: ძუძუები საკმარისადაა განვითარებული. ბალანი ბოქვენზე სუსტადაა განვითარებული. მცირე ჩარბები პატარა, სუსტად განვითარებული, დიდი ჩარბები ნორმალური. საშო არავითარ არა-ნორმალობას არ წარმოადგენს. საშვილოსნოს ყელი და საშვილოსნო, როგორც აღნიშნულია ზემოთ, ნორმალურია. დანამატებისა და სიმსივნის მხრივ აღნიშნულია ზემოთ. საშვილოსნოს ზონდით გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ ზონდი მიდის ყელში მხოლოდ 1 სანტიმეტრის მანძილზე. ყელი დახშულია. ჩვენი დიაგნოზი იყო საშვილოსნოს ფიბრომიომისა და დამატებით რქის შორის; უფრო ვფიქრობდით დამატებითი რქის შესახებ.

4/VII 1923 წ. გაუკეთდა ოპერაცია, რომლის დროს აღმოჩნდა რომ საშვილოსნო ნორმალური სიდიდისაა, მის მარცხნივ ნორმალური დანამატები დევს; საშვილოსნოს მარჯვენა კუთხისაგან კი გამოდის დამატებითი რქა საკუთარი დანამატებით, რომელნიც კარგად არიან განვითარებული. საშვილოსნოსაგან დამატებითი რქის მოკვეთის დროს გადმოიქცა სისხლიანი, სქელი, ყავის ფერის სითხე დაახლოვებით 100 კ. ს, რაოდენობით. დამატებითი რქისა და საშვილოსნოს ღრუ შეერთებულია, და ამ სითხეს შეიცავდნენ ორივენი. დამატებითი რქის მოკვეთის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ ზონდი შეგვეყვანა საშვილოსნოს ყელში, მაგრამ უკანასკნელი დახშული აღმოჩნდა მთელ მის მანძილზე. ამის გამო საშვილოსნოს ტანიც მოკვეთილია საშოს ზემოთ. ოპერაციის შემდეგი ხანა ნორმალურად ჩატარდა. ავადმყოფი გაეწერა სალი 19/VII. ამის შემდეგ ავადმყოფი არა ერთხელ მინახავს და კარგად გრძნობდა თავს, ტკივილები შეუწყდა.

II შემთხვევა 1927 წ. მარტში ჩემ განყოფილებაში გადმოყვანილია ქალაქ თბილისის სხვა გინეკოლოგიურ განყოფილებიდან. ავადმყოფი კ. 20 წლისა, რომელსაც 1 თვის წინ ლაპარატომიის საშუალებით მოაშორეს ცისტისებურად გადაგვარებული მარცხენა საკვერცხე, მის მიდამოში ძლიერი ტკივილების გამო. ოპერაციის შემდეგ ტკივილებმა კიდევ იმატა. ავადმყოფი ქალწულია, თვიურს ხედავს 15 წლიდან, ყოველ თვეს 4-5 დღის განმავლობაში, ძლიერი ტკივილებით. ეს ტკივილები თანდათან ძლიერდებოდა და აიძულა ავადმყოფი ოპერაცია გაეკეთებია. ოპერაციის შემდეგ კი ტკივილებმა აუტანელი ხასიათი მიიღო. წინეთ

ტკივილებს პერიოდული ხასიათი ჰქონდა, ოპერაციის შემდეგ კი—მეორდეა თითქმის ყოველ დღე და შეტევები ეწყება უფრო ხაშუადღევის საათებში (დაახლოვებით 5 საათიდან) და გრძელდება რამოდენიმე საათს.

ავადმყოფი საშუალო ტანისაა, ასტენიური აგებულობისა, სუსტი კვებიანობისა, ოდნავ სისხლნაკლული. ძუძუები სუსტად აქვს განვითარებული, ბალანი ბოქვენზე უხვად განვითარებული. გარეთა სასქესო ორგანოები ნორმალურად აქვს განვითარებული, ჰიმენი მთელია, თავისუფლად უშვებს მაჩვენებელ თითს. ბიმანუალურ გასინჯვით მარჯვნივ ისინჯება პატარა საშვილოსნო, მის მარცხნივ ისინჯება მაგარი კონსტიტენციის სიმსივნე, ოდნავ მტკივნეული, შეზღუდული მოძრაობისა, რომელიც საშვილოსნოს ყელთან არის შეერთებული. სიმსივნე სიდიდით ბატის კვერცხის ოდენაა. სიმსივნის გასინჯვისას ავადმყოფი მიგვითითებს, რომ სწორედ ეს სტკივა მას შეტევის დროს.

იმ ექიმის დაკითხვისაგან, რომელმაც მას გაუკეთა პირველი ოპერაცია, გამოირკვა, რომ ლაპარატომიის დროს აღმოჩენილი იყო ორმაგი საშვილოსნო და მოშორებული იყო მხოლოდ მარცხენა მხარის დანამატები.

ვინაიდან კონსერვატიულმა წამლობამ არ მოგვცა არავითარი შედეგი და პირიქით ტკივილები კიდევაც გაუძლიერდა: შეტევები უმეორდებოდა თითქმის ყოველ დღე და სრულებით აუტანელი ხასიათისა იყო, გაუკეთდა ოპერაცია, რომელმაც გვიჩვენა, რომ მარცხენა საშვილოსნო ბატის კვერცხის ოდენა იყო, და ავსებული სქელი შოკოლათისებური სისხლით. ამ რქის მედიალური ბოლო მარჯვენა რქის ყელზე იყო მიმაგრებული, ლატერალური ბოლო კი უშუალო კავშირში აღმოჩნდა S რომანუმთან (შეხორცება პირველი ოპერაციის შემდეგ), რომელმა გარემოებამაც ოდნავ გაართულა ოპერაცია. მარცხენა საშვილოსნო მოშორებულია მთლიანად. ოპერაციის შემდეგი ხანა ჩატარდა ნორმალურად, ტკივილები შეუწყდა ავადმყოფს. ორი თვის შემდეგ ვნახე ავადმყოფი, რომელიც კარგად გრძნობდა თავს და არავითარ ტკივილებს არ ჩიოდა.

ამ ორ შემთხვევაში სწორი დიაგნოზი იყო დასმული მხოლოდ მეორეში. პირველში კი დიაგნოზი ირყეოდა სუბსეროზულ ფიბრომიომასა და საშვილოსნოს დამატებით რქას შორის, ხოლო ჰემატომეტრის შესახებ ჩვენ აზრი არა გვქონდა.

ჩვენს პირველ შემთხვევაში სწორი დიაგნოზის დასმას კიდევ ის გარემოება უშლიდა ხელს, რომ დამატებითი რქა გამოდიოდა საშვილოსნოდან არა ყელის მიდამოში, როგორც ამას აქვს ადგილი ჩვეულებრივ, არამედ საშვილოსნოს ფსკერის მარჯვენა კუთხისაგან, სადაც ნორმალურ პირობებში დანამატები უნდა იყოს მიმაგრებული. ამ შემთხვევაში, თუმცა ბუნდოვანად ისინჯებოდა სიმსივნეზე მიმაგრებული დანამატები, მაგრამ მაინც ასეთი არაჩვეულებრივი მიმაგრება სიმსივნისა არ გვაძლევდა შესაძლებლობას გადაჭრით დაგვესვა დიაგნოზი დამატებითი რქისა. მისაწვდომ ლიტერატურაში ასეთი მიმაგრების შემთხვევა მე შემხვდა მხოლოდ ერთი, სახელდობრ Boijeiu. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მის შემთხვევაში დამატებითი რქის ღრუ არ იყო შეერთებული საშვილოსნოს ღრუსთან, ჩვენს შემთხვევაში კი ასეთი შეერთება იყო, დახშული იყო მხოლოდ საშვილოსნოს ყელი. ჩვენს მეორე შემთხვევაში რომ საშვილოსნოს

ორმაგ სიმახინჯეს ჰქონდა ადგილი, ეს ვიცოდით პირველი ლაპარატომიის შემდეგ.

ორსავე შემთხვევაში დამატებითი რქის შიგარსის რაოდენობა მცირე იყო ავადმყოფთა წლოვანობის მიხედვით. სახელდობრ: პირველ შემთხვევაში 32 წლის ავადმყოფს დაგროვილი სისხლის რაოდენობა საშვილოსნოში და დამატებითი რქაში ძლიერ მცირე იყო, რომ მივიღოთ, რომ სისხლის დაგროვება უნდა დაწყებულ იყო 13-14 წლიდან, ე. ი. როცა ჩვეულებრივ იწყება მენსტრუალური წესი. მაგრამ ვინაიდან ავადმყოფს ტკივილები დაეწყო მხოლოდ 2 წლის წინ, უნდა ვიფიქროთ, რომ მენსტრუალური პროცესი მას დაეწყო სწორედ იმ ხანაში, ე. ი. ფრიად გვიან. ამის შესახებ Славянский, Menge აღნიშნავენ, რომ ისეთ საშვილოსნოს ღრუ, რომლის გარეთა პირი დახშულია, ანუ დამატებითი რქის ღრუ, შესაძლებელია დიდი ხნის განმავლობაში უცვლელად იყოს, ვინაიდან მასში სეკრეტის, ლორწოსა და სისხლის დაგროვება არა ხდება. უმეტეს ნაწილად რაიმე იმპულსია საჭირო, რომ დაავადებულ მხარეზე ფიზიოლოგიური ფუნქცია დაიწყოს. ამის გამო შესაძლებელია სისხლის დაგროვება დაიწყოს მშობიარობის შემდეგ, მელოგინეთა რაიმე ავადმყოფობის შემდეგ, ან გადამეტებული სქესობრივი ცხოვრებისა გამო.

რაც შეეხება მეორე ავადმყოფს, მას რიგი დაეწყო 5 წლის წინ და დაახლოვებით ამ ხანაშივე დაეწყო ტკივილები. რომ დავუშვათ, რომ მენსტრუალური სისხლის რაოდენობა ნორმალური იყო, მაშინ დაგროვილი სისხლის რაოდენობა დამატებით რქაში მეტი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, სუსტად განვითარებული რქა გამოჰყოფდა ნაკლებ რაოდენობას სისხლისას, რის გამოც მისი დაგროვება ოპერაციის დროს მცირე აღმოჩნდა. ამ გარემოებას კი შეუძლია ხელი შეუშალოს სწორი დიაგნოზის დასმას.

ორსავე შემთხვევაში სწორი დიაგნოზის დასმას უშლიდა კიდევ ის გარემოება, რომ ტკივილებს არა ჰქონდა წესიერი პერიოდული ხასიათი თვიური წესის ციკლის მიხედვით, არამედ პირველ შემთხვევაში მეორდებოდა 1-2-3 კვირეში ერთხელ, მეორე შემთხვევაში კი ტკივილების შეტევები მეორდება თითქმის ყოველ დღე. უნდა ვიფიქროთ, რომ haematometraში ტკივილებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი არა მარტო თვიური წესის დროს, არამედ მის გარეშეც, მაგალითად სიარულის დროს, საჭმლის მონელების დროს და სხვა; ამასვე აღნიშნავენ Lackie, Calmann, Wilbert. Opitz, Donati. უკანასკნელ ავტორთა შემთხვევებისა და ჩვენი მეორე შემთხვევის გარჩევის შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მუცლის ღრუში შეხორცებებს, განსაკუთრებით haemotometrის სხეულთან. რაიმე მიზეზისა გამო გაღიზიანებაზე პასუხად შეიძლება საშვილოსნოს რქის შეკუმშვითი მოძრაობა დაიწყოს, რაც, ცხადია, იწვევს ტკივილებს. ჩვენ მეორე შემთხვევაში, მაგალითად, ერთ ხანს ტკივილების შეტევები უმეორდებოდა ყოველ დღე ნასადილევს, რაც გვაიძულებს საჭმლის მოსანელებელ აპარატის პერისტალტურ მოძრაობის მნიშვნელობაზე ვიფიქროთ, მეტადრე, რომ ოპერაციის დროს აღმოჩნდა მჭიდრო შეხორცება haematometrისა და S რომანუმის შორის. ასეთი მჭიდრო შეხორცებანი გაჩდნენ, უნდა ვიფიქროთ, პირველ ოპერაციის შემდეგ, ვინაიდან სწორედ ამ დროიდან ტკივილები გაუძლიერდა და მისი შეტევები თითქმის ყოველ დღე უმეორდებოდა.

ფრიად დამახასიათებელია უეცარი დაწყება ტკივილებისა, ყოველ შესამჩნევ მიზეზის გარეშე და აგრეთვე დამოუკიდებელი გაქრობა ტკივილებისა (ცხადია ნარკოტულ საშუალებებით ტკივილების შემსუბუქება ადვილია).

დასასრულ ნებას მივსცემ ჩემ თავს რამოდენიმე მოსაზრება გამოვსთქვა დამატებით რქაში ჰემატომეტრის დიაგნოზის შესახებ:

1) დამატებითი რქის ჰემატომეტრის სიდიდე არაა დამოკიდებული ავადმყოფის წლოვანობაზე: ახალგაზრდა ქალს შეიძლება დიდი სიმსივნე ჰქონდეს და ჰემატოსალპინქსიც, და პირიქით, ხანში შესულ ქალს შესაძლებელია ჰემატომეტრა პატარა ჰქონდეს.

2) ზოგ შემთხვევაში სწორ დიაგნოზს შეიძლება ხელი შეუწყოს სიმსივნესთან შეკავშირებულ დანამატებისა და მრგვალი იოგის გასინჯვამ; ეს უკანასკნელი არც ისე ადვილია.

3) ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი ამგვარი დაავადების ამოსაცნობანად არის ტკივილების შეტევები, რომელიც ზოგჯერ პერიოდიულად მოსდით ხოლმე იმ ვადებში, როცა თვიური წესი უნდა იყოს. მაგრამ ასეთ სწორ პერიოდიულ ტკივილებს ყოველთვის არა აქვს ხოლმე ადგილი. ტკივილების შეტევები შეიძლება მეორდებოდეს უფრო ხშირად, ზოგჯერ ყოველ დღე. ფრიად პათოგნომონიურია ის გარემოება, რომ ტკივილი ჩვეულებრივ იწყება უეცრად, ყოველ შესამჩნევ მიზეზის გარეშე, და ამგვარადვე თავისთავად ქრება. ტკივილი ჩვეულებრივ საშინელია, და ავადმყოფს ლოგინად დააგდებს. ტკივილის შეტევის ხანგრძლივობა შესაძლებელია სხვადასხვანაირი იყოს: რამოდენიმე საათიდან რამოდენიმე დღემდე; ყოველ შემთხვევაში ეს ტკივილები დრო-და დრო, პერიოდულად, მენსტრუაციის ციკლის მიხედვით შეიძლება კიდევ გაძლიერდეს.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1) Мандельштам, მოხსენება ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიურ საზოგადოებაში 1927 წ. რეფ რუსულ ჟურნალში მეანობისა და ქალთა სნეულებისა.

Menge. Kapitel „Bildungsfehler d. weiblichen Genitalien in Veits Handbuch d. Gynäkologie. B. IV, 2 S. 944.

5. Bei der Ableitung der Gleichung (5) wurde vorausgesetzt, dass die Dichte der Flüssigkeit überall, die Oberflächenschicht eingeschlossen, eine und dieselbe $\delta$ ist.

Nehmen wir jetzt an, dass die Dichte der Oberflächenschicht $\delta'$ kleiner als die Flüssigkeitsdichte $\delta$ ist. In diesem Falle, wie nicht schwer zu sehen, ist der Innendruck K gleich $^2/_3\,\pi\ \delta'\Delta\int_0^c \xi^3 f(\xi)\,d\xi$, wo $\Delta$ eine Grösse, die zwischen $\delta$ und $\delta'$ liegt. Wählt man eine entsprechende Zahl $\alpha$, so bekommt man $\delta'\Delta = (\delta-\alpha)^2$. Bezeichnet man wie früher $^2/_3\pi\int_0^c \xi^3 f(\xi)\,d\xi$ durch a, so ergibt sich für die Grösse des Innendruckes K der Ausdruck
$$K = a\,(\delta - \alpha)^2,$$
oder durch das spezifische Volumen angedrückt
$$K = \frac{a}{(v+\beta)^2}, \tag{14}$$
wo $\beta$ eine positive Grösse ist.

In diesem Falle erhält die Gleichung (11) die Form

$$\left(p - \frac{T}{(v+\beta)^2}\int\frac{adt}{T^2}\right)\omega(v) = T. \tag{15}$$

Wenn man die einfachste Voraussetzung von der Art der Abhängigkeit a von T macht, d. h. wenn man annimt, dass $a = \frac{C}{T}$ ist, und gibt der Funktion $\omega$ ($v$), wie früher, die einfachste Form: $\omega$ (v)=M($v-b$), so folgt aus (15) die Gleichung

$$\left(p + \frac{m}{T(v+\beta)^2}\right)(v-b) = AT, \tag{16}$$

d. h. die erste Zustandsgleichung von Clausius.

Nimmt man an, dass $a = \frac{L + NT^k}{T^n}$, wo $k \lessgtr n$, und unter derselben Voraussetzung über die Art der Funktion $\omega(v)$, so bekommt man nach dem Integrieren

$$\left(p + \frac{BT^{-n} + CT^{-m}}{(v+\beta)^2}\right)(v-b) = AT, \quad (17$$

wo $m = n - k$, eine Gleichung, die mit der Gleichung von Batelli zusammenfällt. Nimmt man $k = n$ an, so bekommt man die zweite Zustandsgleichung von Clausius.

$$\left(p + \frac{BT^{-n} + C}{(v+\beta)^2}\right)(v-b) = AT. \quad 18$$

Physikalisches Laboratorium.

## ნ. აკინფიევი.

# შინაგანი წნევა და მდგომარეობის განტოლება

(დასკვნა).

თერმოდინამიკის ძირითადი დებულებანი საშუალებას გვაძლევენ ვიპოვოთ იმ მუშაობის სიდიდე, რომელიც წარმოებს სხეულის შინაგანი ძალების წინააღმდეგ, რაც თავის მხრით განსაზღვრავს $T\frac{dp}{dt}-p$ სიდიდეს, ე. წ. შინაგან წნევას.

მეორე მხრით, სითხისათვის (და აირისათვისაც) მოლეკულური თეორიის თანახმად, შეგვიძლიან ვიპოვოთ მოლეკულური ანუ ნორმალური წნევა.

ორივე ეს სიდიდენი, როგორც ერთი და იმავე მიზეზის შედეგები, არსებითად იგივენი არიან და ამიტომ თუ ერთმანეთს გავუთანასწორეთ, მივიღებთ დიფერენციულ განტოლებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს მდგომარეობის განტოლება ვიპოვოთ.

თუ დაუშვებთ, რომ სითხისა და მისი ზედაპირული ფენის სიმკვრივე ერთნაირია, მაშინ მოლეკულურ წნევისათვის მივიღებთ $\frac{a}{v^2}$ სიდიდეს და დიფერენციული განტოლება ასეთ სახეს მიიღებს:

$$T\frac{dp}{dt}-p=\frac{a}{v^2}\,.$$

ანუ

$$T^2\frac{d}{dt}\left(\frac{p}{T}\right)=\frac{a}{v^2}\,,$$

თუ ვიგულვებთ, რომ $a$ მუდმივა არის და შინაგანი წნევა მხოლოდ მოცულობის ფუნქციაა, მივიღებთ:

$$\left(p+\frac{a}{v^2}\right)\,\omega\,(v)=T$$

განტოლებას $\omega\,(v)=o$ აქვს მხოლოდ ერთი ნამდვილი ფესვი $b$ და ამიტომ თუ $\omega\,(v)=C\,\,(v-b)$, ასეთ განტოლებას მივიღებთ:

$$\left(p+\frac{a}{v^2}\right)\,\left(v-b\right)=AT.$$

ე. ი. Van-der Waals-ის განტოლებას.

თუ ფესვი $m$-ჯერადია, მაშინ მდგომარეობის განტოლებას შეგვიძლიან ასეთი სახე მივსცეთ:

$$\left(p+\frac{a}{v^2}\right)v\cdot\varphi\,(v,b)=AT,\ \text{სადაც}$$

$$\varphi(v,b)=\frac{\left(1-\frac{b}{v}\right)^m}{1+k_1\frac{b}{v}+k_2\frac{b^2}{v^2}+\dots+k_{m-1}\left(\frac{b}{v}\right)^{m-1}},$$ რომელიც იგივეა, რაც განტოლება Kammerling-Onnesისა.

თუ $a$ ტემპერატურის ფუნქციაა, მაშინ მივიღებთ განტოლებას:

$$\left(p-\frac{T}{v^2}\int\frac{adt}{T^2}\right)\cdot\ \omega\,(v)=T$$

თუ $\omega\,(v)$ უმარტივესი სახისა გვაქვს, $C\,(v-b)$ და $a=\frac{n}{T}$, მაშინ მივიღებთ Schulzeს განტოლებას:

$$\left(p+\frac{C}{T^m v^2}\right)\cdot\ (v-b)=A.T,$$

რომელიც, იმ შემთხვევაში თუ $m=1$, გადიქცევა D. Berthelotს განტოლებად.

როდესაც ზედაპირული ფენის სიმკვრივე ნაკლებია, ვიდრე სითხის სიმკვრივე, მაშინ ასეთი განტოლება გვექნება:

$$\left(p-\frac{T}{(v+\beta)^2}\int\frac{adt}{T^2}\right)\ \omega\,(v)=T,$$

რომელიც, როცა $a=\frac{n}{T}$, მოგვცემს Clausiusის მდგომარეობის პირველ განტოლებას, თუ ვიგულვებთ რომ $\omega\,(v)=M\ (v-b)$:

$$\left(p+\frac{m}{T(v+\beta)^2}\right)\cdot\ (v-b)=A\cdot T$$

და თუ $a=\frac{L+NT^k}{T^n}$, სადაც $k<n$ იმავე გულვების დროს $\omega\,(v)$ ფუნქციის შესახებ, მივიღებთ Batelliს განტოლებას:

$$\left(p+\frac{B\,.\,T^{-n}+C\,.\,T^{-m}}{(v+\beta)^2}\right)(v-b)=A\cdot T,$$

სადაც $m=n-k$ და ეს განტოლება თუ $k=n$ გადიქცევა Clausiusის მდგომარეობის მეორე განტოლებად:

$$\left(p+\frac{B\,.\,T^{-n}+C}{(v+\beta)^2}\right)\cdot\ (v-b)=A\,.\,T.$$

ფიზიკური ლაბორატორია.

## ა. შანიძე.

# ქართული ხელნაწერები გრაცში.[1])

1927 წელს, 7 მაისს, ავსტრიიდან, ქალ. გრაციდან, მომივიდა ქართული ენის ცნობილი მკვლევრის ჰ. შუხართის მიერ[2]) გამოგზავნილი ნაშრომი, რომელიც შეიცავდა მისს ამ ოცდაათიოდე წლის წინად დაწერილ შენიშვნებს ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ ამ სათაურით Mittheilungen aus georgischen Handschriften. ეს შენიშვნები ჩემთვის გამოეგზავნა დიდ მეცნიერს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში და ჯერ მიღებულიც არ მქონდა, რომ მოასწრო ცნობამ მისი გარდაცვალების შესახებ. შუხართის შენიშვნები ძალიან საყურადღებო აღმოჩნდა მრავალი მხრით და საჭიროდ მივიჩნიე, გამომექვეყნებია იგი მთლად და დავბეჭდე კიდეც „ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე“ში (ტ. VIII, გვ. 347 — 376, ტაბულითურთ). ამ ნაშრომში, სხვათა შორის, ერთ ნაწყვეტში (დაბეჭდილის მიხედვით გვ. 366 — 369) საუბარი იყო რომელიღაც ქართ. ხელნაწერზე, რომლის ბიბლიური ნაწილიც შუხართს ნაბეჭდი ტექსტის შესაფერის ადგილებთან შეედარებინა და ვარიანტები აღენიშნა. შედარებისას მოყვანილი იყო ძველი ხელნაწერიდან ისეთი ფორმები (სულ ხუთი: „ხეტყ.“, „ხეშინოდა“, „ხრქ̄ა“, „მოხუ̄ადეს“, „ხუწყი“), რომლებიც უეჭველს ყოფდენ, რომ მკვლევარს ხელთ უნდა ჰქონოდა რაღაც ხანმეტი ხელნაწერი. რა უნდა ყოფილიყო იგი თავის შინაარსით? რადგანაც ხელნაწერისა და ნაბეჭდი ტექსტების შედარებისას ნაჩვენები იყო როგორც ხელნაწერის გვერდები, ისე თავი და მუხლები ახალი აღთქმის წიგნებისა, ამიტომ ბიბლიური ტექსტების თანმიმდევრობა ხელნაწერის 53 გვერდზე (მათე 28, 9—18; მარკოზ 16, 2—8; ლუკა 24, 1—9; იოანე 20, 1 — 28; გალატელთა 6, 15—16; მათე 24, 30 — 32; რომაელთა 15, 25 — 29; ლუკა 12, 32 — 33) თავისთავად მიგვითითებდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო საკითხავების წიგნი ანუ ლექციონარი. მეორე მხრით აღნიშნული ხელნაწერის სადაურობას არკვევდა ერთი ადგილი შუხართის წერილისა, რომელიც გამოგზავნილი იყო 16. X. 1926 წელს და რომელიც შეეხებოდა მის მიერვე 1926 წელს აგვისტოში გამოგზავნილს ფოტოგრაფიულ სურათს სომხურ-ქართული პალიმფსესტის ერთი

[1]) მოხსენებულია „საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 22 მარტს 1929 წელს.

[2]) ვწერ: „ჰ. შუხართი“ (Hugo Schuchardt), თუმცა ეგების აჯობოს, რომ ვწეროთ: „გ. შუხართი,“ როგორც ვკითხულობთ მისსავე ხელის მოწერას Über das Georgische გამოკვლევის მიძღვნილობაში: „ნიშნად მადლობისა ვუძღვნი ჩემს საყვარელს მეგობარს პროფესსორს პ. მელიქიშვილს. გ. შუხართ.“ გ.=გიგო=ჰუგო?

გვერდისას, სადაც სომხურად მოთავსებული იყო იოან. 8, 13—15, ქართულად კი ფსალმ. 79, 13—15. ეს გვერდიო, მატყობინებდა შუხართი, გადაღებულია იმ ხელნაწერიდან, რომელიც ა. ცაგარელს მეორე ნომრად აქვს აღწერილი სინას მთის ქართული ხელნაწერების კატალოგშიო და განაგრძობდა: „ეს ხელნაწერი ეკუთვნის სინას მონასტრის სიას, ისე როგორც ოთხი სხვა, რომლებიც მასთან ერთად გასული საუკუნის მიწურულში შევიძინეო. ამათგან ორია ლიტურღიკული წიგნები, შემდეგ არის იოანე ოქროპირის ჟამის წირვა და სვიმეონ სალოსის ცხოვრება მე-9—10 საუკუნისაო. ერთმა ვენელმა მხატვარმა ეს ხელნაწერები ვენაში მოიტანა და შესაძენად შესთავაზა ვენის სასახლის ბიბლიოთეკის დირექტორს ფონ ცაისბერგს, მაგრამ ამან, ხელნაწერთა საეჭვო წარმოშობილობის გამო, უარი თქვა მათს შეძენაზე, რაიცა ყველას ძალიან ეწყინა, ვისაც საქმისა გაეგებოდაო და ამგვარად ხელნაწერებმა ჩემამდე მოაღწია“-ო. შემდეგ დასძენდა: „რადგანაც მთელი ჩემი ბიბლიოთეკა გრაცის უნივერსიტეტს ვუანდერძე, ამიტომ ეს ხუთი ხელნაწერი ეხლა უკვე გადაცემული მაქვს იქა“ო. აქედან ირკვეოდა, რომ ხანმეტი ლექციონარი სინას მთიდან გამოტანილი უნდა ყოფილიყო.

საკითხი წამოიჭრა საინტერესო ხელნაწერის ფოტოგრაფიული სურათების გამოსაწერად. რადგანაც ამ ხანებში საზღვარ-გარეთ ეპირებოდა პროფ. ჩუბინაშვილი, რომელსაც ვენაში საქმე ჰქონდა, ამიტომ ვსთხოვე მას, ბარემ გრაცშიც შეევლო, ქართული ხელნაწერები გაეშინჯა და ხანმეტი ლექციონარის ფოტოგრაფიები დაეკვეთა. რაკი ჩუბინაშვილს წასვლა დაუგვიანდა, წერილით ვსთხოვე შუხართის მოამაგესა და ნების აღმასრულებელს Franz Mairhuberს გამოეგზავნა რამოდენიმე გვეოდის სურათი იმ ხელნაწერისა, რომელიც ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა და მან დიდად დამავალა და აგვისტოს ბოლო რიცხვებში გამომიგზავნა ფოტოგრ. სურათები შემდეგი გვერდებისა: 1, 2, 17, 19, 45 და თან შემატყობინა ხელნაწერის გარეგნული ნიშნები: ფორმატი, ფურცელთა რაოდენობა, აკინძულია, მაგრამ ყდა არა აქვსო. ამ ხუთი გვერდის გაშინჯვამ სავსებით დაადასტურა ჩემი მოსაზრება, რომ ხელნაწერი ხანმეტი ძეგლი უნდა ყოფილიყო. რადგანაც ხელნაწერი სინური იყო, ამიტომ რაღა თქმა უნდა, რომ ცაგარლის სინას მთის ხელნაწერთა კატალოგს მივჰმართავდი[1]), რომ იქ მეპოვა ისეთი, რომლის აღწერილობაც ამ ხუთი გვერდის ნიშნებს ძიუდგებოდა. აქ უმალვე ჩემი ყურადღება მიიპყრო მეცხრე ნომრით აღწერილმა წიგნმა, რომელიც, ცაგარლის თანახმად, იოანეს სახარებას უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ რომ-იგი იოანეს სახარება არ უნდა ყოფილიყო, იქიდან ჩანდა, რომ ხელნაწერი, რომელსაც თავში და ბოლოშიც ჰკლებია, ასე იწყებოდა[2]): „შეძრწუნდეს მცჳელნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუდარნი. მიუგ ანგელოზმან მან და ჰრქუა დედათ მათ: ნუ გეშინინ თქჳენ, ვიცი, რამეთუ იესოს ჯუარცმულსა ეძებთ“,

---

[1]) ეს კატალოგი შედის, სხვა-და-სხვა პაგინაციით, ა. ცაგარლის ორ წიგნში: 1) Сведения о памятниках грузинской словесности. Вып. 2. (СПб. 1889), გვ. 51—98 და 2) Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае (=Православный Палестинский Сборник. Том IV, Выпуск первый. СПб. 1888). Приложение II, გვ. 193—240. როდესაც ამ კატალოგს ვიმოწმებთ, პაგინაციას ორივე წიგნისას გუჩვენებთ ხოლმე.

[2]) მოგვყავს იმ ორთოგრაფიით, როგორც ცაგარელს აქვს დაბეჭდილი.

ხოლო თავდებოდა ასე: „ცათა შინა, სადა იგი მპარაენი არა.... და არცა მღილი... სადაცა იყოს საფასე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“. აქ მოყვანილი ადგილები იოანეს სახარებისა კი არ არის, არამედ მათესი და ლუკას სახარებისა, სახელდობრ დასაწყისია მათე 28, 4—5, ბოლო კი ლუკა 12, 33—34. მაშასადამე, არც თავი და არც ბოლო არ ამართლებს ცაგარლის ცნობას, თითქო იგი იოანეს სახარება იყოს. პირიქით, რომ იგი სწორედ ის ლექციონარი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ ავსტრიაში მოხვედრილა, ამაზე მიგვითითებდა ერთი მხრით შუხართის მიერ ხელნაწერის პირველ გვერდებზე მათეს სახარების 28, 9—18 მუხლების დასახელება და მეორე მხრით ბოლოში ლუკას 12, 32—33 მუხლის ჩვენება. ამას გარდა, შუხართი თავის შენიშვნას ამ ხელნაწერის შესახებ ასეთი სიტყვებით იწყებდა: Indem ich die biblischen Texte dieser Handschrift mit dem Neuen Testament vergleiche, საიდანაც ცხადი იყო, რომ შიგ უნდა ყოფილიყო არა-ბიბლიური ტექსტიც, მაშასადამე, წიგნი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახე ლექციონარისა. ეს ჩემი მოსაზრება ძეგლის შესახებ გავაცან კიდეც საქართ. ისტ და ეთონოგრ. საზოგადოებას 3 ოქტ. 1927 წელს წაკითხულ მოხსენებაში, რომელსაც საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა.

გ. ჩუბინაშვილი გრაცში მივიდა 3. I. 1928. და შუხართისეულ ხელნაწერების აღწერაზე მუშაობდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რამოდენიმე საათის განმავლობაში. სურათები დაუკვეთა: ხანმეტი ლექციონარისა მთლიანად, დანარჩენებისა კი მხოლოდ ნიმუშები. ეს სურათები, შესრულებული გრაცის უნივერსიტეტის ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტის ფოტოგრაფის მიერ, ტფილისში მივიღე. 1 მარტს 1928 წელს. სურათებს თან მოჰყვა შუხართის ორი პატარა რვეული, სხვა-და-სხვა ზომისა, ერთი (№ 1) 19,5×12 cm. 40 ფურცელი და მეორე (№ 2) 16,5×10,3 cm., 62 ფურც., რომლებშიაც მოიპოვება შუხართის შენიშვნები საზოგადოდ მისი ნაქონები ქართული ხელნაწერების შესახებ და კერძოდ ხანმეტი ძეგლის შესახებაც. ეს რვეულები გამოგზავნილი იყო დროებით სარგებლობისათვის და აპრილში უკანვე დავუბრუნე გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას[1]).

გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოიპოვება ჰ. შუხართის მიერ ნაანდერძევი ხუთი ქართული ხელნაწერი და ნაწყვეტები ორი ხელნაწერისა, სულ შვიდი სხვადასხვა წიგნი თუ ფრაგმენტი, რომლებიც სინას მთიდან არის გამოტანილი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში. ეს ხელნაწერები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებოდ შევჩერდეთ თვითეულ მათგანზე.

[1]) პროფ. გ. ჩუბინაშვილს გრაცში უნახავს კიდევ შუხართის სხვა რვეულებიც, სადაც მას შენიშვნები ჰქონია ქართული ხელნაწერების შესახებ; ესენი ყოფილა: 1) Berlin. Ms. Orient. Fol. 926. 5 verschiedene Rollen (გადაწერილი ყოფილა ტექსტი და მოიპოვება თითო-ოროლა შენიშვნაო), 2) Wiener Liturgie (კიდევ ნაკლები), 3) Messe des Ghrysostomus (მ ი ს ი ხელნაწერიდან გადმოწერილი: აღწერილობა, ნაწყვეტები და შენიშვნ.), 4) Wiener Hds. Cod. Georg. Liturgia georgica (Neuer Einband) ამოკრებილი ადგილები და შენიშვნ.), 5) სიმეონ სულელის (თუ სალოსის?) ცხოვრება (ჩუბინაშვილით: Житие Симеона Сулели.).

## 1.

**ხანმეტი ლექციონარი.** ამ ხელნაწერის ვითარების გასათვალისწინებლად მოგვეპოვება: 1) შუხარტის შენიშვნები, 2) ჩუბინაშვილის აღწერილობა და 3) ფოტოგრაფიული სურათები მთელი ძეგლისა.

შუხარტის შენიშვნები ხანმეტი ძეგლის შესახებ მოიპოვება ორსავე რვეულში [1]) (I=პირველი რვეული, II=მეორე რვეული). მოვიყვანოთ უმთავრესები:

1) ხელნაწერის გარეგნული დახასიათებისათვის ცნობები ცოტაა: „Loses Blatt beginnt mit Matth. 28,7“ (II, 17v), 28 გვერდის შემდეგ „Zwei Blätter ausgeschnitten, aber es findet keine Unterbrechung statt“ (I. 18), ან კიდევ (II, 27v): „Zwischen S. 26 und S. 27 [იკითხე: 28 und 29] sind zwei Blätterstumpfe“.—„Auf S.39 [= 41] sind die je ersten Buchstaben in Folge der Heftung nicht oder nicht ganz zu lesen“ II, 33v). სხვადასხვა ადგილას მოხსენებულია „Rothe Überschrift“ ან „Rothe Schrift“, ან კიდევ უბრალოდ „roth“ სახელდობრ ძეგლის შემდეგი გვერდებისათვის: 10, 14, 29, 38, 39, 43, 46, 48, 51, 53. აღნიშნულია, რომ წითური წარწერები გადალეულია და ძნელი წასაკითხავია. 20 გვერდის შესახებ: „Neue Minuskel-chutsuri gibt die erste beschädigte Zeile wieder“ (II, 23v).

2) შუხარტის მიერ ამოკრებილი ვარიანტები ხელნაწერისა ნაბეჭდ ტექსტთან შედარებით, რაიცა რვეულებში გაბნეულია სხვადასხვა ადგილას, შემოკრებულად დაბეჭდილია კიდეც მისი გადათათრებული ნაწერის მიხედვით [2]).

---

[1]) პირველ რვეულში ხანმეტი ძეგლი დამოწმებულია ნაწილობრივ ფურცლებისა და ნაწილობრივ გვერდების მიხედვით, მეორე რვეულში კი მხოლოდ გვერდობლივ. როგორც ჩანს, შუხარტს თავდაპირველად სათვალავში არ მიუღია წიგნის თავში ერთი მოხეული ფურცელი, ამიტომ მისი გვერდების აღნიშვნა ოროლით ნაკლებია. ასე რომ, მისი გვერდების ჩვენება რომ ჩვენი გამოცემისას შევუფარდოთ, ოროლი უნდა წავუმატოთ ხოლმე. მაგალითად, მისი 3 უდრის ჩვენს 5-ს, მისი 16 ჩვენს 18-ს, მისი 39 ჩვენს 41-ს და ასე ბოლომდის. ასევეა ფურცლობით აღნიშვნის დროსაც, მაგალ. 9r=19, 23r=51 და მისთ. როცა შემდეგში შეცთომა შეუნიშნავს, ერთხელვე დასმული ციფრები კი არ გადაუსწორებია, არამედ ხელუხლებლად დაუტოვებია (რაიცა სურათზედ კარგად ჩანს აქა-იქ) და სამაგიეროდ პირველი ფურცლის გვერდები ასე აღუნიშნავს: 1a და 1b. როცა შუხარტის შენიშვნები მოგვყავს, სათვალავს ვასწორებთ და გვერდებს ისე ვუჩვენებთ, როგორც საქმის ნამდვილ ვითარებას შეეფერება, მით უმეტეს, რომ თვითვე გაუსწორებია დასაბეჭდად დამზადებულ ნაწყვეტში, რომელიც ამ ძეგლს შეეხება (Mittheilungen..., ტფ. უნივ. მოამბე VIII, გვ. 366—368).

პირველ რვეულში ჯერ (ფ.ფ. 9—13r) ზოგიერთი გვერდია გადმოწერილი (სახელდობრ: 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 16, 17, 18, 19), მერმე (ფფ. 13v—14r) წითურად ნაწერი ნაკვეთები (Abschnitte) არის ნაჩვენები, შემდეგ (ფ. 15—17) ტექსტუალური ხასიათის შენიშვნებია, უფრო კი ვარიანტები ნაბეჭდ ტექსტთან შედარებით და აქა-იქ ხანების ამოფხეკის შესახებაა ნათქვამი; ფფ. 17v—19 ნაჩვენებია გვერდების უკანასკნელი სტრიქონების ბოლო სიტყვები და თითოოროლა შენიშვნებია წითური სტრიქონების შესახებ. მეორე რვეულში (ფფ. 17v=49r) მარჯვენა გვერდების შენიშვნები თითქმის სულ ხანმეტი ფორმების შესახებაა, მარცხენა გვერდებისა კი დანარჩენ მოვლენებს ითვალისწინებს.

[2]) ტფილ. უნივ. მოამბე, VIII, გვ. 366—369.

3) დაკვირვებანი ძეგლის ენის შესახებ[1]) თითქმის მხოლოდ ხაწმეტობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. შუხართი გვერდობლივ მისდევს ძეგლს და იწერს ზმნის ფორმებს, სადაც ფორმა მის ყურადღებას იპყრობს ან იმით, რომ ხ არის ხმარებული, ან იმით, რომ ზოგ ფორმაში იგი არ არის. როდესაც ხ ფორმაში გვხვდება, წაუშლელი თუ წაშლილი სახით, იგი ამ ფორმას ამოიწერს ხოლმე და ხანს ქვეშ ხაზს გაუსვამს. მაგალითად 20-25 გვერდიდან ამოწერილია შემდეგი ზმნები[2]): „v. 15 ხიყო, მიხეახლა, ხუეიდოდა, v. 16. ხიყვნეს (aber gleich darauf იცნან), v. 17 ხრქუა (= ჰ), ჰიცილობით (ჰ = ხ), v. 18 მიხუგო, ხრქუა, ხუწყი, ხიქმნა, v. 19 ხრქუა, ხრქუეს, ხიყო, v. 20 მიხცეს (= მიჰსცეს), v. 21 ხუესავთ (deshalb auch უ für ვ), ხიქმნა, v. 22 პოვეს (= ჰპ.), v. 23 თქუეს (= ჰსთ.), ხილვაჲცა (im Eifer ist auch dies ganz berechtigte ხ angegriffen worden), [იხილეს (ohne ხ.)!], ხრქუეს (= ჰ), v. 24 პოვეს, თქვეს (= ჰსთ.), [იხილეს!], ხრქუა. ხიტყოდეს, v. 26 ხიყო“ (II, 24 — 26). ეს მაგალითებიც საკმარისია შუხართის კვლევითი ნიჭისა და დაკვირვებითი უნარის დასახასიათებლად. როგორც ჩანს, იგი ძალიან კარგად ერკვეოდა ძეგლის ენაში. რაკი პრეფიქსი ხ ჩვეულებრივია ზმნის განსაზღვრულ ფორმებში, ამიტომ შუხართი კითხვას სვამს, ხანის ნაცვლად ჰაეს გაჩენა მომდევნო ხანის გავლენით ხომ არ აიხსნებაო: „ჰიხილოთ! [13, 9] (wegen des folg. ხ“?), ამიტომ „განხეხუნეს“ ფორმის შესახებ (27, 8) შენიშნავს: „oben ჰ—ხ“, ე. ი. ამით უნდა თქვას: ზემოთ ერთ სიტყვაში ორი ხანის ნაცვლად დისიმილაციის გზით ჰ—ხ მივიღეთო (ხიხილოთ > ჰიხილოთ), აქ კი არაო. „ხუშორესადრე“ ფორმის შესახებ (26, 6) ვკითხულობთ: „Kein Verb; in den verwandten Sprachen Spuren des ჯ-?“. ხანის ფართედ გამოყენებას ზმნის ფორმებში თავიდანვე მიუქცევია მისი ყურადღება, უცვნია, რომ ამ პრეფიქსს საზოგადოდ განუდევნია ჰ და ამიტომ შენიშნავს: „ჰ existirt doch z. B. in აჰა“ (I, 14v.). შემდეგ კი, როცა ჰაე ზმნის ფორმებშიც უნახავს („შეჰიძრნენ“ (გვ. 48), „ჰიტყებდენ“ (გვ. 49), მათთვის ოროლი გაკვირვების ნიშანი დაუსხამს, და „ჰიხილოთ“ ფორმისათვის კი (გვ. 50) სამი ასეთივე ნიშანი („შეჰიძრნენ!!“ „ჰიტყებდენ!!“ „ჰიხილოთ!!!).“

ხანები ჩვენს ძეგლში ზოგი ამოუფხეკელია და ზოგიც ამოფხეკილი. შუხართი ამოფხეკილების შესახებ შენიშნავს ხოლმე: „Das ხ ist aber wegradirt“, „ხ ausradirt“, ხ halb ausradiert“, ხ fast ganz ausradirt,“ და მისთ. მაგალითად გვ. 15-ზე: „მოხაქუნდა ხ ausradirt, მოხემზადა dies ხ ist geblieben.“ მეორე რვეულში მაინც თითქმის ყველა ამოფხეკილი ხ არის ნაჩვენები, თანაც ისე, თუ რამდენადაა ამოფხეკილი: მთლიანად. სამ მეოთხედად, ნახევრად, თუ მეოთხედად.

იმას ვერ ვიტყვით, რომ შუხართი სრულიად გარკვეულიყოს ხანის (resp. ჰაეს) პრეფიქსებად ხმარების საკითხში, ყოველ შემთხვევაში ეს არ ჩანს მისი რვეულებიდან), მაგრამ რომ იგი თითქმის სავსებით მისულა საკითხის გამორკვევამდე, ამაში ეჭვი არ არის. სამწუხაროა, რომ ეს ძეგლი არ იქმნა გამოცემუ-

[1]) ფრჩხილებში ვუჩვენებთ ძეგლის სათანადო გვერდსა და სტრიქონს, რომელშიაც შუხართის მიერ დამოწმებული ფორმა მოიპოვება.

[2]) ხაზ-გასმული ხანები აქ შავად არის დაბეჭდილი. „ოჳ“ ჯგუფი აქ მარტივად არის გადმოცემული: „უ“.

ლი თავის დროზე. სამწუხაროა იმიტომ, რომ, მართლაც, ამ ოცდაათიოდე წლის წინად რომ იგი გამოეცა ისეთ ნიჭიერსა, დაკვირვებულსა და საფუძვლიან მკვლევარს, როგორიც იყო შუხართი, ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმე დღეს, უთუოდ, ბევრად წინ იქნებოდა წაწეული. ახლა კი ისღა დაგვრჩენია, აღვნიშნოთ, რომ ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება პირველად მაინც შუხართის სახელთან იქნება დაკავშირებული.

გ. ჩუბინაშვილმა, ჩემი თხოვნის თანახმად, ვრცლად აღწერა ხელნაწერის ის მხარეები, რომელთა შესახებაც ფოტოგრაფიული სურათის მიხედვით ან ვერას გავიგებთ, ან თუ გავიგებთ, ძალიან ცოტას. აი მისი სიტყვები:

„ხელნაწერი შეიცავს 54 გვერდს. [1]) იგი ნაკლულოვანია: როგორც თავში ჩანს ჩამოჭრილი ფურცლები, ისე განსაკუთრებით ბოლოს მოხეულები, ასე რომ ორი-სამი ფურცლისაგან ნაფლეთებიღაა დარჩენილი, რომელთაგანაც ორზე მოჩანს ძეგლისავე მსგავსი ხელით ნაწერი (გამოხუნებული) ასოები, მაგრამ ხელნაწერის გარდიგარდმო, წიგნის ზურგის იგრძივ, მაგრამ მოჩანს მ ხ ო ლ ო დ თვითეული მათგანის ცალ მხარეს (თითქო ბერძნულიაო). ბოლოში მოიპოვება კიდევ სწორეთ ასეთივე სიგანის გამაგრებული ტილოს ნაჭერი წიგნის ზურგისა, ისეთივე, როგორიცაა ის, რომელზედაც მიწებებულია ხელნაწერის ნაშთი (ე. ი. დიდი ხანი არ იქნება, შედარებით, მას შემდეგ, რაც იგი ო რ ჯ ე რ მსხვილი ყოფილა!). ეს ტილო, როგორც ჩანს, ორსავე მხარეს ჩამოუჭრიათ მას შემდეგ, რაც ხელნაწერს ახლანდელი მდგომარეობა მიუღია.— ო რ ჯ ე რ დიდი ხელნაწერი გაუკერავთ (დამატებით?) უკვე არა რვეულების მიხედვით, არამედ მთლიანად, ერთი მხრიდან მეორემდე, რის გამოც წიგნი მთლიანად და ადვილად ვერ გადაიშლება. ხელნაწერი დაზიანებულა კიდევ ხმარებისაგან — გვერდების ზემოთ ჩანს კვალი, თითქოს, შეტუსვისა და წყლის ნაწვეთებისა. ამის გამოისობით (?) იგი ზემოთ წაუჭრიათ და ზემო სტრიქონი ნაწილობრივ დაზიანებულა. ამასთან დაკავშირებით აქა-იქ ქვემოდან მიუწერიათ ნუსხურად ან ასომთავრულად.

ზომა: [სიმაღლე] ზურგის მიხედვით 18, 8 cm., გარეთა აშიისა კი სხვადასხვანაირად: 18—17,5 და სხვ. (ე. ი. საშუალოდ $18^1/_2$ cm.). ზემო სტრიქონის ზემო ხაზიდან ქვემო სტრიქონის ქვემო ხაზამდე პირველ გვერდზე 16, 5 cm., შემდგომებზე კი აქა-იქ 17,5 cm.- იც განი ხელნაწერისა: 16, 1 cm. საშუალო ნაწილში, ზემოთ და ქვემოთ არ არის თანაბრად ჩამოჭრილი; სტრიქონის განი 1 გვერდზე (გადალეული) ჩარჩოს მიხედვით — 10,6 cm., ფაქტიურად ასოები აქა-იქ, რასაკვირველია, იმის გარეთ გამოდიან, 11 cm.-მდე; შემდეგში გვერდზე სტრიქონები უფრო ფართოებია, 12, 5 — 13 cm.-მდე.

მთელი ძეგლი ნაწერია ერთი ხელით და ერთი ზომის ასოებით. მხოლოდ გვერდები 1 — 11 ათ-ათი სტრიქონის ვარაუდით არის დახაზული, 13 — 54 კი — თორმეტ-თორმეტისა. მე-12 გვერდი შეიცავს 11 სტრიქონს, — „ტრანსპა-

[1]) აქ ჩუბინაშვილი უმატებს: „მხოლოდ გვერდები 7—8 შეცთომით ორჯერაა დასმული, რომ უფრო მოხერხებული იყოს, მე აღვნიშნავ მათ შემდეგში ასე: 7 — 8 და 7a — 8a“. ხელნაწერის აღწერისას ჩუბინაშვილი მისდევს ხელნაწერზე დასმულ პაგინაციას, რომელიც შუხართის ხელით უნდა იყოს გაკეთებული. მაგრამ აქაც მისი ჩვენება გვერდებისა გადაყვანილია ჩვენის გამოცემისაზე: მაგალ. 7a = 9, 8a = 10, 9 = 11, 52 = 54 და მისთ.

რანტი“ ოდნავ ზემოთ აუწევიათ და ქვემოთ მეთერთმეტე სტრიქონი დაუტევიათ. ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-11 გვერდზედაც ჩვეულებრივი 10 სტრიქონის შემდეგ მიმატებულია ქვეშ მეთერთმეტე. როგორც ვთქვით, მე-13 გვერდიდან თანაბრად მიდის თორმეტ-თორმეტი სტრიქონი, სხვა, უფრო ვიწრო „ტრანსპრანტის“ მიხედვით.

მელანი მე-11 გვერდამდე (ამიანად) ერთია, მოყვითალო ფერისა, და არათანაბარი სისქისა,—სადაც ცენტრში დაჭირებულია, იქ უფრო სქელია და შავი და სადაც კალამი მხოლოდ მოსმულია შეუჩერებლად, იქ მკრთალადაა. 11, 11-იდან მოყოლებული კი ბოლომდე ძეგლი დაწერილია სხვა მელნით, სრულიად შავით, რომელიც (როგორც ჩანს) თითქმის არ მიჰკარებია ეტრატს და აქა-იქ მოსცილებია კიდეც.

უკანასკნელი 46 — 54 გვერდები იმგვარივე შავი მელნითაა ნაწერი, როგორც წინაები, მაგრამ ნაწერი ძალიან მკრთალია, — თითქო მაშინვე დაადვეს საშრობი ქაღალდიო. ეს გვერდები უტრანსპრანტოდაა ნაწერი და ამიტომ სტრიქონები აქა-იქ მრუდეა და ყველგან უსწორ-მასწორო.

წითურად ნაწერი სტრიქონები უმეტეს შემთხვევაში მოპირისპირე გვერდზე (vis-à-vis) გადასულან და ამასთანავე სულ გადღაბულან აქა-იქ. პირველი 11 გვერდის მელანს ძლიერ გაუღენთია ეტრატი და ხშირად ფურცლის მეორე გვერდზე გაუტანებია მწვანედ (განსაკუთრებით გვ. 9).

პირველ 11 გვერდზე არსად ჩანს, რომ „ზედმეტი“ ხანები ამოფხეკილი იყოს, მაგრამ მე-12 გვერდზე უკვე (ე. ი. სადაც მელანი იცვლება) ქვემო სტრიქონზე, „ხეძიებთ“ ფორმაში ამოფხეკილია ხ. და ასე მიდის შემდეგ. ეს თვალში ეცემა კაცს ხელნაწერის გადაფურცვლისასაც. ხანები ამოუფხეკიათ, როგორც ჰგავს, კითხვის გასაადვილებლად, მაგრამ ამოუფხეკიათ აქა-იქ, ყველა კი არა, არამედ მხოლოდ Im Grossen und Ganzen.

28 და 29 გვერდებს შუა წიგნის შემმოსელს (პირველს?) ჩაურთავს, რვეულის დასამაგრებლად, ეტრატის ნაჭერი, რომელზედაც გამოხუნებული (ბერძნული?) ასოებია. ეს არის საგანგებოდ ჩართული ძველი, „გამოუდეგარი“ ნაჭერი (ეგების ასეთივე წარმოშობისა და დანიშნულებისა იყოს ნაფლეთიც ბოლოში?).

შენიშვნები ცალკე ადგილების შესახებ:

11, 1: მერმე ჩაუწერიათ წყლისაგან დაზიანებულ ადგილას: „ეტყოდეს“; აგრეთვე „ერ“ 11, 2; 11, 11 „და“: დონის მარცხენა ნახევარი ნაკერშია მოყოლილი, როგორც ხშირად სხვა მთავრული ასოები; 14. 7-9 წითური სტრიქონებია; 20, 1 ძალიან არის წაჰრილი, ამიტომ [მერმე] ძალიან მრუდედ მოუწერიათ; 22, 2 და 23, 2 ნაწერი დაზიანებულია წყლის მიერ; 25, 1 და 26, 1 ეტრატის ნაპირი მოცრეცილია (abgebröckelt) (უახლოეს დროში); 28, 11 და 12 შეკეთებულია (подправлены) ზოგიერთი ასო: მეთერთმეტე სტრიქონში პირველი და მეორე (ათ), მე-12-ში პირველი და მეორე (და) და შემდეგ მეათე და მე-11-ე (მა) და მე-15 (ნ); 29, 1 ეტრატი ამოცრეცილია (выкрошилась) შუაში და წაჰრილია სტრიქონის ბოლო; 29, 9 და 38, 11 გამყოფი ხაზი ტექსტებს შორის ორი ფერისაა (შენაცვლებით: შავი - წითელი); 29, 10 - 12 სათაური წითურად; 30, 1 როგორც 29, 1 vice versa; 31, 1 და 32, 1 შუაზე მოცრეცილია;

33, 1 ძ 34, 1, 35, 1 და 36, 1 შუაზე მოკრეცილია, ბოლოში გადაჭრილი; 37, 1 და 38, 1 შუაზე მოკრეცილია; 38, 12-ის ნაცვლად ორი სტრიქონია წვრილად ნაწერი: მე-12 წითურად, მე-13 შავად; ორივე ცუდად არის შენახული, განსაკუთრებით წითური; 39,1 - 2-ის ნაცვლად მოცემულია სამი წვრილი სტრიქონი, რომლებიც 38, 12 - 13-ის გაგრძელებას წარმოადგენენ; მათ შორის მესამე (sic) წითურია; 42, 43, 50, 51 ქვემო აშიაზე ნუსხური მინაწერებია; 43, 1 - 3-ის ნაცვლად კვლავ წვრილი სტრიქონებია, როგორც 38-39-ზე, სულ ხუთი, რომელთაგანაც მეხუთე (sic) წითურია; 46, 1-2 წითურად; სტრიქონები უფრო წვრილია, ნაწილობრივ გადღაბული; 48, 1 წითურად, უფრო წვრილად; 49, 1 — 50, 1 წაჭრილია; 51, 8 - 9 წითურად, უფრო წვრილად; 52, 11 - 12 გვერდით ჩამოსცლია ნაწილი; 53, 6 წითურად, უფრო წვრილად; 54 ატყვია მეორე გვერდიდან, შავიდანვე, გადმოსული ასოების მოხაზულობანი. გვერდები ჩამოჭხვეია".

პირველი ჩემი შენიშვნა ხანმეტი ლექციონარის შესახებ შეეხება საკითხს, შეიძლება თუ არა საბოლოოდ ვიცნათ მასში ის ხელნაწერი, რომელიც პროფ. ა. ცაგარელს სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგში მეცხრე ნომრად აქვს აღწერილი. ჩემი პასუხი ამაზე გადაჭრით „ჰო" იქნება. დიახ, ეს არის სწორედ ის ხელნაწერი, რომელიც ცაგარელმა შეცთომით იოანეს სახარებად ალიარა. რომ მისი მეცხრე ნომერი იოანეს სახარება არაა, ეს იქიდან ჩანს, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც მის მიერ დასაწყისად მოყვანილი მუხლი და არც ბოლოში დასახელებული სიტყვები იოანეს სახარებას არ ეკუთვნის. იოანეს სახარებიდან წიგნში მხოლოდ საკითხავებია შეტანილი. პირიქით, რომ იგი ლექციონარია და სწორედ ჩვენი ლექციონარი, ამაზე მიგვითითებს ჯერ ერთი ცაგარლის აღწერილობის დეტალები, რომლებიც ჩვენი ხელნაწერის ვითარებას საესებით შეეფერება: იგი დაწერილია ერთ სვეტად, მეტად მსხვილი ასოებით, აკლია თავსა და ბოლოში, არ არის მოხატული. გვხვდება წითურად დაწერილი ფრაზები, თავდება სწორედ იქ, სადაც ცაგარელი უჩვენებს,[1] თუმცა იწყება ცოტა უფრო ქვემოთ, ვიდრე ცაგარლის დროს ყოფილა: მათე 28,7 (და არა 28,4). ზომა ცაგარელს ვერშოკობით აქვს ნაანგარიშევი ($4 \times 3^1/_2$), რაიცა არსებითად იგივეა, რაც სანტიმეტრობით აღნიშნული გ. ჩუბინაშვილის მიერ. რაშია განსხვავება? ცაგარელი გვერდზე 9 სტრიქონს ანგარიშობს, მაშინ როდესაც შუხართისეულ ხანმეტ ლექციონარში არის 10 ან 12 სტრიქონი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გვერდს, სადაც სათაურები წვრილად არის გამოყვანილი). საეჭვო კია, მაგრამ შეიძლება მართლაც 9 სტრიქონი იყო იმ ფურცელზე, რომელიც, უთუოდ, თავში იყო ცაგარლის დროს და ამჟამად აღარ მოიპოვება. უფრო საფიქრებელი კია, რომ ცაგარელი ცთება სტრიქონების აღნიშვნის დროს, ისე როგორც შეცთომით აღნიშნავს ფურცლების რაოდენობასაც: ცაგარლის დროს ხელნაწერი უნდა ყოფილიყო 29 ფურცლისაგან (და არა 28-ისაგან) შემდგარი. გრაცის ხანმეტ ლექციონარში ამჟამად 27 ფურცელია სულ; იმასთან შედარებით, რაც ცაგარლის დროს უნდა ყოფილიყო, მას აკლია ერთი

[1] ლუკა 12, 34 (შემდეგ ხელნაწერში კიდევაა 35-ე მუხლის სამი სიტყვა, მაგრამ მათ ცაგარელი არ აღნიშნავს).

ფურცელი თავში და ერთიც ბოლოში. იმ ერთ წინა ფურცელზე დაეტეოდა, — არც მეტი და არც ნაკლები — სწორედ იმდენი ტექსტი, რამდენსაც წარმოადგენს ნაწყვეტი მათედან (28, 4-7) „შეძრწუნდეს მცველნი იგი“ ვიდრე „თქუენ გალილეად“, რომელი სიტყვებითაც ამჟამად იწყება წიგნი. რაიცა შეეხება უკანასკნელ ფურცელს, მასზე მარტო მინაწერი უნდა ყოფილიყო, რომელიც თავში შემოკლებულად მოჰყავს ცაგარელს[1]): „...შეიმოსა.... წმიდა ესე წიგნი სინა-წმიდას კელითა იოვანე ფ̃დ ცოდვილისათა, ბრძანებითა და მოღუაწებითა მიქაელ პატიოსნისა მღუდლისა კათამონელისა, დღეთა ოდენ ფგუნურად და ბოროტად მოხუცებულებისა ჩჵႠნისათა, სალოცჵႠლად ჩჵႠნდა, დასაბამიდგან წელთა ქართულად ხჳპზ და ქორონიკონი იყო ქართულად სგ. ქ̃ე შ̃ე მიქაელ, იოანე, ზოსიმე და ყოველნი ძმანი მისნი“. მინაწერი, რომელიც ეკუთვნის 985 წელს, იხსენიებს არა სამს პირს, როგორც შეიძლება კაცს ცაგარლის დაბეჭდილის მიხედვით ეგონოს, არამედ ნამდვილად ორს: მიქაელ კათამონელს, რომელსაც წიგნის შემოსვა უბრძანებია და თვით შემმოსელს იოანეს, რომელიც ზოსიმეს სახელითაც არის ცნობილი და ორმაგ სახელს ხმარობს[2]). ამიტომ წარწერის ბოლო ასე უნდა შესწორდეს: „ქ̃ე შეიწყალე მიქაელ, იოანე-ზოსიმე და ყოველნი ძმანი მისნი“. თუ ცაგარელი ამ შემთხვევაში როგორმე არ შეცთა და ის ფურცელი, რომელზედაც იოანე-ზოსიმეს ეს მინაწერი იყო, უეჭველად ამ ხელნაწერის კუთვნილებაა, და არ არის რომელიმე სხვა ხელნაწერის აღწერილობიდან აქ შემთხვევით გადმოსული, მაშინ ხანმეტი ლექციონარის შედგენილობა ა. ცაგარლის სინას მთაზე ყოფნის დროს (1883 წელს, თებერვალში) ასე გამოიხატება: 1+27+1, ანუ 29 ფურცელი. ის მცირეოდენი განსხვავება, რომელიც მოიპოვება ცაგარლის ჩვენებასა და საქმის ნამდვილ ვითარებას შორის (სტრიქონებისა და ფურცლების რიცხვი, აგრეთვე წიგნის შინაარსი) უეჭველია აიხსნება იმ სიჩქარით, რომლითაც იგი აწარმოებდა სინას მთის ხელნაწერების აღწერას მეტად მძიმე პირობებში[3]). თუ აღვნიშნავთ თავში დაკარგული ფურცლის გვერდებს ასე: 01 და 02, ბოლოში დაკარგულისას კი ამგვარად: I და II, მაშინ ჩვენი ხელნაწერი ამ ორმოცდაექვსიოდე წლის წინად ასეთი სახით წარმოგვიდგება: 02+54+II გვერდი.

არის კიდევ ერთი საბუთი, რომელიც აძლიერებს ჩვენს მოსაზრებას, რომ შუხართისეული ხანმეტი ლექციონარი და ცაგარლის სინას მთის ხელნაწერების კატალოგის მეცხრე ნომერი ერთი და იგივე წიგნია: ერთი მხრით გვაქვს პროფ. Blakeის ცნობა, რომ სინას მთის ქართული ხელნაწერებიდან ამჟამად სინაზე უკვე აღარ არის რამოდენიმე ნომერი, და მათ შორის: 2, 9, 29, 79, ამათგან №№ 2,

[1]) მინაწერი მოგვყავს უცვლელად, ცაგარლის ორთოგრაფიით.

[2]) შეადარე ქვემოთ მინაწერი იაკობ მოციქულის ჟამის წირვისა.

[3]) ცაგარელი წერს: „ზამთარი სინაზე საზოგადოდ მკაცრია და არ არის ხელსაყრელი დრო მონასტერში მეცადინეობისათვის, — ჩემს იქ ყოფნის დროსაც ძალიან ციოდა: გარეთ და ოთახებში თითქმის ყოველთვის ნოლს ქვევით იყო, რადგანაც არ მოიპოვება არც შეშა, არც ბუხარი, კარები და ფანჯრები ცუდად იხურება, იატაკი ქვისაა და თანაც სამი დღის განმავლობაში ქარბუქი იყო და თოვლი მოდიოდა, ყველაფერი ირყეოდა და შხიოდა მონასტერში, ქარი ზუზუნებდა, ზარებს იქეთ-აქეთ ძლიერ აქანებდა და რეკავდა“ (Памятники груз. старины, გვ. 18—19).

29 და 79, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უეჭველად გრაცშია, ისე როგორც გრაცშივეა ორი ფურცელი ცაგარლის მიერ 80 ნომრად აღწერილის სინას მთური ხელნაწერისა. რადგანაც, მეორე მხრით, შუხართი თავის ხუთ ქართულ ხელნაწერს ერთმანეთს არ აშორებდა და ყველას სინურად თვლიდა, არა გვგონია, რომ ჩვენი დასკვნა შემცთარი იყოს.

დავუბრუნდეთ მინაწერის საკითხს. მინაწერიანი ფურცელი დღეს-დღეობით არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში გრაცში არ არის, და არცა მგონია, რომ მას საზოგადოდ შუხართამდე მიეღწიოს. გ. ჩუბინაშვილი, რომელიც ადრევე იცნობდა ჩემს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი ის უნდა იყოს, რომელიც ცაგარელს მეცხრე ნომრად აქვს აღწერილი და, რა თქმა უნდა, გრაცში მისვლისას ხელნაწერის ბოლოს აღნიშნულ მინაწერს მოელოდა, იტყობინებოდა, რომ შუხართისეულ ქართულ ხელნაწერებში არავითარი მაგ წარწერის მსგავსი არ მოიპოვებაო. აღმოჩნდება იგი ოდესმე სადმე თუ არა, არ ვიცით; შეიძლება იგი ისევ სინას მთაზე იყოს დამრჩალი, ან წამოღებული იყოს იქიდან და ვისმე ჰქონდეს და შეიძლება, რომ სრულებითაც დაღუპული იყოს. ერთი კი შეგვიძლია ახლაც დანამდვილებით ვთქვათ: მინაწერი ეკუთვნის იმავე იოანე-ზოსიმეს, რომელსაც იმავე სინას მთაზე ორი წლის შემდგომ (985 წელს) იაკობ მოციქულის ჟამის წირვა გადაუწერია.

ამ ჟამის წირვის მინაწერში ძალიან საგულისხმო ცნობაა დაცული: დედანი, საიდანაც ვწერდი, თავიდან ბოლომდე ნაკლულევანი იყოვო, თანაც, რაც იყო, იგი არც იმას უდგებოდა, რაც ჟამის წირვის ჩემს სხვა ხელნაწერებში ეწერა, არც იმას, რაც ნასწავლი მქონდა მოძღვართაგანო, მაგრამ ვინც ამას მაწერიებდა, მთხოვდა: მარტოოდენ ის დამიწერე, რაც მაგაში მოიპოვებაო. ამიტომ მეც მარტო ის დავწერე, რაც დედანში იყოვო. დედანს კი ჰკლებია „მრავალი განგებაჲ და ლოცვები და სიტყუები თავითგან ვიდრე დასასრულამდე", ე. ი. იგი ძველი რედაქციის ხელნაწერი ყოფილა და თანაც დაზიანებული, თუ რომ უკვე მეათე საუკუნის მიწურულში არა თუ ცალკე ლოცვები, არამედ ცალკე სიტყვებიც აკლდა. ამიტომ ლიტერღიკული ლიტერატურის თვალსაზრისით ამ ძველი ძეგლის კოპიო, შესრულებული მე-X საუკუნეში, უსათუოდ მაღალი მნიშვნელობისა იქნება. შეიძლება იგი ალმოჩნდეს ენის მხრივაც არა ნაკლებ საინტერესო, ყოველ შემთხვევაში ის პიროვნება, რომელმაც იოანე-ზოსიმეს ნაკლულევანი ხელნაწერი გადააწერინა, ძალიან განათლებული ვინმე უნდა ყოფილიყო, რაიცა იქიდანა ჩანს, რომ იგი ისტორიული მნიშვნელობის წიგნებს აფასებდა და კოპიოს გადაღების საშუალებით მათ ავრცელებდა და იცავდა. მის სახელს იოანე-ზოსიმე, სამწუხაროდ, არ გვეუბნება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ალბათ ისევ ის მიქელ კათამონელია, რომლის ბრძანებითაც იოანე-ზოსიმეს ჩვენი ლექციონარი შეუმოსია. ამ წიგნს ხომ დაღუპვა მოელოდა იმ დროს, მარტო „მეტი" ხანების ამოფხეკა აბა რას გადაარჩენდა?! მაგისთანა ენით ნაწერ ძეგლებს უკვე კაი ხანია მოჭმული ჰქონდათ დრო, ყოველ-დღიური ცხოვრებისათვის აღარ ვარგოდა და საპალიმფსესტე მასალად თუღა გამოდგებოდა. ამიტომ საჭირო იყო მზრუნველი ხელი ტვინიანი კაცისა, რომ ასეთი რამ კი არ გამქრალიყო, არამედ მომავლისათვის შენახულიყო. ასეთი გაგებული კაცი ყოფილა, როგორც ჩანს,

მიქელ კათამონელი, რომელსაც იოანე-ზოსიმესთვის უბრძანებია უკვე იმ დროსთვის შედარებით იშვიათი წიგნის შემოსა, რათა მომავლისათვის ის მაინც შენახულიყო, რასაც მის დრომდე მოეღწია.

მინაწერიანი ფურცელი, თავის წარმოშობით, ალბათ, ძველს, ხანმეტ ხელნაწერს კი არ ეკუთვნოდა, არამედ იოანე-ზოსიმეს მიერ იყო დართული წიგნის შემოსის დროს. ეს შემოსა არც პირველი უნდა ყოფილიყო და არც უკანასკნელი. პირველი იმიტომ, რომ ძნელი საფიქრებელია, რომ მეშვიდე საუკუნეში დაწერილი წიგნი მეათემდე შეუმოსელი დარჩენილიყო და მაშინღა დაეწყოთ ფიქრი მის შემოსაზე. უკანასკნელი კი იმიტომ, რომ ის ნუსხური მინაწერები, რომლებიც 42-43 და 50-51 გვერდების ქვემო აშიებზე მოიპოვება და რომლებიც ერთი ხელითაა შესრულებული, დაახლოებით მეთორმეტე საუკუნეში, ჩამოჭრილია.

ამ მინაწერს 43 გვერდზე მხედრული იერი გადაჰკრავს დონების მოხაზულობაში. ამ მინაწერისა ამჟამად მარტო 42 გვერდზე ჩანს ორი სტრიქონი, მაგრამ აქაც მეორე სტრიქონი გადაკვეთილია, სხვა გვერდებზე კი (43, 50, 51) თითო სტრიქონიღაა. უკანასკნელ მათგანზე (გვ. 51) თითქო კიდევ მოჩანს მეორე სტრიქონის დასაწყისიცაო. მინაწერები შინაარსით ღარიბია, ყოველ შემთხვევაში, რაც გადარჩენილა და რისი გარჩევაც შეიძლება, ბევრს არაფერს გვაძლევს:

[გვ. 42] **რ͞ი ქალწულისაგან უ... | .... ქ͞ე ღ͞ო რ͞ისა...**

[გვ. 43, თითქო გაგრძელება წინა გვერდისა] **რ͞ი (?) ....თ ღდისათ...**

[გვ. 50] **...ა ერ....ეს... აჲ (?)**

[გვ. 51] **განანათლე ქ͞ე ღ͞თის მ (?)**

სრულიად სხვა ხელითაა შესრულებული ორი მინაწერი, რომელიც არსებითად ცდას წარმოადგენს დაზიანებული ადგილების ალსადგენად: მე-11-ე გვერდზე თავში, პირველი სტრიქონის გადალეული „ხეტყოდეს" აღდგენილია, მაგრამ უხანოდ: „ეტყოდეს". იქვე მეორე სტრიქონში „ურთიერთას" სიტყვის „ერ" მარცვალიც აღდგენილია. მე-20 გვერდზე კი გარდაკვეთილი სტრიქონი მთლად არის აღდგენილი, მაგრამ აღდგენილია თავისებურად: „რ͞ლსაჲ სახელი ივმაოზ". ამათი გადაწერის დროც დაახლოებით მე-12 საუკუნეა.

არის თუ არა მთელი ხელნაწერი ერთი პირის მიერ გადაწერილი? პროფ. გ. ჩუბინაშვილს ამის შესახებ ეჭვიც არ ებადება, მაგრამ საყურადღებოა, რომ მელნის მიხედვით იგი ხელნაწერს ორ ნაწილად ჰყოფს: 1-11 გვ. და 12-54 გვ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სხვა მელანი, უფრო შავი, რომელიც ნაკლებ მოჰკიდებია ეტრატს, მეთერთმეტე გვერდის უკანასკნელი სტრიქონიდან იწყება. მე მგონია, რომ მელნის სხვადასხვაობასთან ერთად გადამწერიც სხვადასხვაა: პირველი თერთმეტი გვერდი (უკანასკნელი სტრიქონის გამოკლებით) ერთი პირის მიერ უნდა იყოს გადაწერილი, დანარჩენი კი მეორისა. აი ამისი საბუთები:

1) საერთო მოხაზულობა ასოებისა პირველ ნაწილში სხვაა, მეორეში სხვა: პირველში ასოები მაღალია და ვიწრო, მეორეში დაბალი და განიერი, ანუ დატყლაპული. პირველში ლამაზი და მოხდენილი, მეორეში ოდნავ უშნო. ასოების დატყლაპულობას მეორე ნაწილში სტრიქონის სივიწროვით ვერ ავხსნით: ასოების სიმეტრია თანაბარია მსხვილად წერს კაცი, თუ წვრილად.

2) ერთი ჯგუფის ასოებს, რომელთაც ბოლოები ძირს ჩამოუდის (ფ, ქ, ყ, წ, კ), პირველ ნაწილში ეს ბოლოები ირიბად აქვს ჩამოკვეთილი მარჯვნიდან მარცხნივ. მეორე ნაწილში კი ეს ხასიათი მთლად თუ დაკარგული არაა, შეცვლილია მაინც ძალიან. აქ უმეტესად ბოლოები უშნოდ თავდება კალმის აღების დროს უნებლიედ შუაზე ჩამოსული წვრილი წვეტით.

3) ცალკე ასოთაგან ძალიან დამახასიათებელია სხვადასხვაგვარი წერა ნარისა: ეს ასო პირველ ნაწილში ორ პარალელ ვერტიკალ ხაზს შუაა მოთავსებული, მაშინ როდესაც მეორე ნაწილში მისი ცხვირი წაგრძელებულია და მეორე ხაზს გადაშორებული.

4) აბზაცების წინ მოკლედ გათავებულ სტრიქონში პირველი ნაწილი სასვენებელ ნიშანს წერტილებს ურთავს ბოლოში (მაგ. 5,3; 10,3; 11,2), მაშინ როდესაც მეორე ნაწილის ასეთ ადგილებში წერტილები არ მოიპოვება.

5) მძიმე, რომელიც სტრიქონის ზემო ხაზის გასწვრივ იწერება ხოლმე, მეორე ნაწილში ხშირად უალაგო ალაგას გვხვდება, სიტყვის შუა: ა'რა (14,4; 41,10, 42,11), ა'პა (19,8), მო'ხეკსენ'ნეს (17,9), ამიე'რითგან (47,4); ხერ'ქუა (41,9) გამო'ძიებასა (20,6), ერთ'მან (21,7) და მისთ. ერთი სიტყვის ასე გაკვეთის შემთხვევა პირველ ნაწილში არა მოიპოვება.

6) ძალიან დამახასიათებელი ამბავია, რომ სიტყვა **ხრქუა** სამჯერ გვხვდება პირველ ნაწილში და სამჯერვე ასეა შემოკლებული ქარაგმის ქვეშ: **ხქა** (2,2; 2,8; 7,8), მაშინ როდესაც მეორე ნაწილში იგი ოცდაერთჯერ გვხვდება და ან სულ შეუმოკლებლად არის დაწერილი, **ხრქუა** (12,7; 21,1; 22,2; 24,12; 31,1; 35,6; 36,2,7,12: 37,2,8; 38,10; 40,5; 42,3; 44,1; 44,9,11), ან არადა ასეა შემოკლებული: **ხრქა** (40,12; 43,13).

7) პირველ ნაწილში ვკითხულობთ: **ხიხილოთ** (1,2), მაშინ როდესაც იგივე ზმნა მეორე ნაწილში ორჯერ გვხვდება და ორჯერვე **ჰიხილოთ** არის (13,9; 50,10).

8) მელანი მეთერთმეტე გვერდამდე ერთი ყოფილა, მეთორმეტიდან კი სხვა, როგორც აღნიშნავს პროფ. ჩუბინაშვილი.

9) იგივე მეცნიერი აღნიშნავს, რომ გვერდები პირველ ნაწილში ათ-ათ სტრიქონად არის დახაზული, შემდეგ კი თორმეტ-თორმეტადაო. მეთორმეტე გვერდზე მეორე გადამწერს სხვისი ნახაზების მიხედვით ათი სტრიქონი უნდა გამოეყვანა, მაგრამ იგი ცდილა მაინც, რომ სტრიქონების რიცხვი გაედიდებინა და ათის ნაცვლად თერთმეტი გამოუყვანია.

თვითეული აქ ჩამოთვლილ საბუთთაგანი, ცალკ-ცალკე აღებული, რა თქმა უნდა, საკმაო არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ძეგლის გადამწერად ორი პირი აღვიაროთ, მაგრამ ერთი მეორეს აძლიერებს, მეორე მესამეს, ამას კიდევ მეოთხე და ყველა ერთად კი სავსებით ცხად-ყოფს, რომ შუხართისეული ხანმეტი ლექციონარი ორი პირის მიერ უნდა იყოს გადაწერილი.

მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ხელი ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ, თუ თვითეულ დეტალს არ დაუკვირდა კაცი, შეიძლება სხვა-და-სხვა ხელი ერთი მეორისაგან ვერ გაარჩიოს.

ჩვენს ძეგლს, როგორც ჰგავს, ბევრი აკლია. აკლია როგორც თავში, ისე ბოლოში. როგორი მოცულობისა უნდა ყოფილიყო წიგნი თავდაპირველად, ამისი თქმა ძნელია, მაგრამ საყურადღებოა პროფ. ჩუბინაშვილის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც წიგნი შედარებით ახლო ხანში ორჯერ დიდი ყოფილა. ეს კია, რომ რაც შენახულა და რასაც გრაცამდე მოუღწევია, მთლიან ნაწყვეტს წარმოადგენს. მოღწეულ ნაწილში ფურცლები ყველა მოიპოვება. დაზიანება მხოლოდ ფურცლების აშიებს შეეხება, განსაკუთრებით ზემო აშიას, რომელიც ხშირად პირველ სტრიქონზეა გადაკვეთილი ისე, რომ ზოგი ასოს უმთავრესი ნაწილი თან გაჰყოლია ჩამონაჭერს. მაგრამ მაინც პირველი სტრიქონების წაკითხვა, ასოთა გადარჩენილი ნაწილების მიხედვით, სიძნელეს არ წარმოადგენს და ტექსტის აღდგენა თითქმის ყველგან უცთომლად შეიძლება. უკანასკნელი ფურცლისა დაზიანებულა გვერდის აშიაც და კარგ-დაც დაზიანებულა. ტექსტის აღდგენა, რა თქმა უნდა, აქაც ადვილი საქმეა, მაგრამ დაბრკოლებას წარმოადგენს მხოლოდ ერთი რამ: 54 გვერდზე მეათესა და მეთორმეტე სტრიქონში ხანმეტი ფორმით აღვადგინოთ სიტყვები, თუ ჰაემეტით: „[ხი]ყოს", „[ხიყ]ვნედ", თუ „[ჰი]ყოს", „[ჰი]ყვნედ". ძეგლის საერთო ხასიათის მიხედვით მე ხანები დავუსხი, თუმცა იქვე (54,11) ეგევივე ფორმა ჰაეთი იკითხება: „ჰიყოს".

სინური ხანმეტი ძეგლი, რომელიც ამჟამად გრაცშია დაცული, შინაარსით წარმოადგენს აღვსების (ე. ი. აღდგომის) საკითხავებს ცისკრად (?) და მწუხრად. საკითხავებში მარტოოდენ ახალი აღთქმის ადგილებია. ძველი აღთქმიდან არაფერი გვხვდება, დასახელებულია მხოლოდ 149 ფსალმუნი „ხუგალობდით უფალსა გალობითა ახლითა" (ორჯერ: გვ. 39 და 43). იოანეს სახარების მეოცე თავი მთლიანად არის შესული შიგ, მაგრამ იგი სამ საკითხავადაა გაკვეთილი. ლოცვათაგან მარტო „ნათელი მხიარული"ა დასახელებული (გვ. 38). რამდენადაც შეიძლება კაცმა ივარაუდოს მიღწეული ნაწყვეტის მიხედვით, ჩვენი ძეგლი ლექციონარის ადრინდელ რედაქციას უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც სიმარტივე ახასიათებს.

რა დროსაა გადაწერილი ხანმეტი ლექციონარი? ცაგარელი ფიქრობდა, რომ მეცხრე ნომერი მისი სინას მთის ხელნაწერთა კატალოგისა „შ ე მ ო ს ი ლ ი ა მხოლოდ სინას მთაზე, ეგებ დაწერილიყოს პალესტინაში და სინას მთაზე მღვდელ-მონაზონ მიქელ [კათამონელ]ს მიეტანოსო, თანაც დაწერილიყოს IX-X საუკნეში, X საუკუნის გასულს კი შეუმოსიათ". თუ არ ვცდებით, რომ ცაგარლის მეცხრე ნომერი და შეხართისეული ლექციონარი ერთი და იგივე წიგნია, მაშინ მის დათარიღებაში ეჭვი უნდა შევიტანოთ. იგი არც მეცხრე საუკუნის ძეგლია და არც, მით უმეტეს, მეათისა. საეჭვოა, რომ იგი მერვისაც იყოს, მისი პირველი ნახევრისაც კი. ჩემი ფიქრით იგი დაწერილია მეშვიდე საუკუნეში. მის მეორე ნახევარში, ცაგარელს შეიძლება ერთში დავეთანხმოთ. ძეგლი სინაზე თითქო პალესტინიდან უნდა იყოს მიტანილი, ალბათ იერუსალიმიდან, როგორც ბევრი სხვა ხელნაწერი. დაიწერა იგი თუ არა თვით პალესტინაში, არ ვიცით. თუ იქ დაიწერა, უნდა ვიფიქროთ, დაიწერა ადრე, ვიდრე იქ ხანმეტი ძეგლების ნაცვლად „საბაწმიდურები" გაჩნდებოდა. ჯერ კარგად არ ვიცით, როდიდან იწყება ის ორთოგრაფიული მიმართულება, რომელსაც გიორგი მთაწმიდლის თქმით

საბა-წმიდური ეწოდება, მაგრამ ცხადია, რომ იგი ადრე უნდა დაწყებულიყო, მე-8 საუკუნის დასაწყისში მაინც, იმიტომ რომ საბა-წმიდაში 864 წელს გადაწერილი მრავალთავი, რომელიც ამჟამად სინას მთაზეა დაცული, სხვა ნორმებს გვიჩვენებს ენობრივად, ვიდრე ჩვენი ხანმეტი ძეგლი. ამ ნორმების შისაღებად უეჭველია კარგა ხნის მუშაობა უნდა ყოფილიყო ჩატარებული სალიტერატურო სკოლებში საბა-წმიდის ლავრის მეთაურობით. ამ ორთოგრაფიული მიმდინარეობისათვის ცოცხალ ენას უნდა მიეცა მტკიცე დასაყრდენი. ეს იმას ნიშნავს, რომ სასაუბრო ენაში ხანმეტობა ამ რეფორმის დროს იმდენად გადავარდნილი უნდა ყოფილიყო, რომ გადასწორება და გადაკეთება ძველად ნაწერი წიგნებისა მისაღები ყოფილიყო მასების თვალში. ჩვენი ძეგლი კი ისეთ დროსაა გადაწერილი, რომ ხანმეტობა მკვიდრი და ცოცხალი მოვლენაა სასაუბრო ენაში: რომ იგი მკვდარი რამ ყოფილიყო და მხოლოდ მწიგნობრული გზით შემონახული, არ შეიძლება სასაუბრო ენის ცოცხალ ფორმას სადმე თავი არ ეჩინა, როგორც ამას ვხედავთ სხვა შემთხვევაში: „იგია“ 23,3 (=იგი არს), „აქაიამან“ 52,1 (=აქაია).

უძველესი პერიოდის უთარიღო ხელნაწერთა დათარიღებისათვის, მარტოოდენ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება მკვიდრი საფუძველი. პირველი თარიღიანი ხელნაწერი მეცხრე საუკუნის შუა ხანებს ეკუთვნის. ეს გახლავს სინას მთის მრავალთავი (ა. ცაგარლის კატალოგით № 83), რომელიც გადაწერილია იერუსალიმში, საბა-წმიდის ლავრაში, 864 წელს და რომლის ორი გვერდის სურათიც ცინკოგრაფიულად არის გამოცემული [1]). ამაზე ადრინდელი ხელნაწერები კარგა ძალია, მაგრამ ყველა უთარიღოებია. წარწერათაგან კი პირდაპირ წელს მარტო ატენისა ასახელებს, მაგრამ იგი 853 წლის ამბებს მოგვითხრობს [2]) და, იმავე წელსაც რომ იყოს ამოკვეთილი, ბევრით არ იქნება დაშორებული სინას მთის მრავალთავის გადაწერის დროიდან. იქით კი, მერვე, მეშვიდე, მეექვსე საუკუნეებისათვის, არაფერი მოიპოვება ზედსაყრდენად, გარდა მცხეთის ჯვრის საყდრის წარწერებისა, რომლებიც, ასე თუ ისე, ისტორიული პირების მოხსენებით არის დათარიღებული. ისინი მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნიან [3]). მცხეთის ჯვრის საყდრის წარწერების გარშემო, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, თავს იყრის უთარიღო წარწერები ბოლნისის ტაძარზე [4]) და საჰაკ-დუხტის ხატზე [5]). მართალია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ასოების მოხაზულობა ერთნაირად და პარალელურად ვითარდებოდეს, მიუხედავად იმისა, ქვაზე იქნება ისინი ამოკვეთილი, თუ ეტრატზე გამოყვანილი, მაგრამ მაინც შეიძლება მათი შედარება საერთო ხასიათის მიხედვით. ამ მხრივ კი ჩვენს ძეგლს ბევრად ვერ დავაშორებთ მცხეთის წარწე-

[1]) А. Генко: Тексты и разыскания по Кавказской филологии, т. I. 1924.

[2]) ი. ჯავახიშვილი. Христианский Востокъ. т. I, 1912.

[3]) ი. ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩ. უძველესი ქართ. ხელნაწერები (ტფ. უნივ. მოამბე II, 1923): ქართული პალეოგრაფია. გვ. 151 და შემდ.

[4]) ი. ჯავახიშვილი, ib.

[5]) გამოცემულია, სურათითურთ, გ. ბოჭორიძის მიერ („საქართველოს არქივი“, III 1927, გვ. 207)

რების ეპოქას. დაწვრილებით ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, მე არა ვხედავ საბუთს, რომ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ხანმეტი ლექციონარი მეშვიდე საუკუნეს გადმოვაცილოთ და მერვეში გადმოვიტანოთ.

ხანმეტი ლექციონარი, ხანმეტი ხელნაწერიო, ვამბობთ ჩვენს ძეგლზე, მაგრამ არის კი სავსებით შესაფერისი მისთვის ეს სახელწოდება? არა და თითქო ჰოც. არა იმიტომ, რომ ძეგლში გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც „მეტი" ხანების ნაცვლად „მეტი" ჰაები გვაქვს. ესენია: „ჰიხილოთ" (ორჯერ: 13,9; 50,10). „ჰიცილობთ" (21,3), „შეჰიძრნენ" (48,10), „ჰიტყებდენ" (49,1), „მიჰეხებისა" (54,7), „ჰიყოს" (54,10). სულ არის, მაშასადამე შვიდი შემთხვევა, სადაც ხანის ნაცვლად ჰაე ჩანს ფორმებში. აღსანიშნავია ის გარემოება. რომ შვიდსავე შემთხვევაში ჰაეს ხმოვანი მოსდევს და თანაც ი (ექვსჯერ) ან ე (ერთჯერ: „მიჰეხებისა"). თანხმოვნების წინ ჰაეს ხმარების შემთხვევა არ მოიპოვება, ისე როგორც არ მოიპოვება ასეთი შემთხვევა დაბალი (ა, უ) ხმოვნების წინ. [1]) რომ დარწმუნებული ვიყვნეთ იმაში, რომ პრეფიქსული ჰაე ხანისაგან იყოს წარმოშობილი, რომ საერთო ქართულში ამ შემთხვევაში ხ გვეგულებოდეს და არა ჰ, მაშინ ზემორე მოყვანილი შვიდი შემთხვევა ძალიან კარგი მაგალითი იქნებოდა ხანის ჰაედ ქცევის პროცესის გასათვალისწინებლად: ხანის ჰაედ ცვალება ჯერ უნდა დაწყებულიყო ინის წინ, რომელიც უმაღლესი ხმოვანია (ხი>ჰი), შემდეგ ენის წინაც (ხე>ჰე), მას უკან კი ეს მოვლენა უნდა განზოგადებულიყო და ყველა ხმოვნისა და თანხმოვნის წინაც უნდა შეცვლილიყო. ჩვენი ძეგლი მაშინ ამ გარდამავალი საფეხურის მაჩვენებელი იქნებოდა. მაგრამ ჯერ მრავალი საკითხია გადასაწყვეტი, რომელთა შესახებაც აქ უადგილო იქნებოდა ლაპარაკი და ამიტომ სიტყვა მოვჭრათ და საკითხი პრეფიქსული ხანისა და ჰაეს ურთიერთობის შესახებ იმ მდგომარეობაში დავტოვოთ, როგორშიაც იგი იყო, როცა ჰაემეტი ძეგლი გამოვეც [2]).

ჰაემეტობა ჩვენს ძეგლში სპორადული მოვლენაა. ძირითადი მისი ნიშანი კი ხანმეტობაა და ამ ძირითადი ნიშნის მიხედვით არის დარქმეული სახელი. მართლაც ხანმეტსა და ჰაემეტ ფორმებს შორის [3]) ასეთი შეფარდებაა: 165 : 7, ე. ი. ხანმეტი ფორმაა 95,8%, ჰაემეტი კი 4,2%.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ხანთან ერთად ჰაეს ხმარება შეიძლება მარტო ამ ძეგლს არ ახასიათებდეს. ხანმეტი პალიმფსესტების საბოლოო ამოკითხვა ალბათ სხვაგანაც დაადასტურებს ჰაეს არსებობას. მაგრამ ახლაც შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ამ მხრივ ლექციონარის ენა ყოველ შემთხვევაში განმარტოებით არ დგას, მას მხარს უჭერს ხანმეტი იერემიის ტექსტი, სადაც

[1]) ონის წინ ქართულში ხ არ არის პრეფიქსად მოსალოდნელი.

[2]) ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923).

[3]) „ხარ" ფორმა არ არის მიღებული მხედველობაში, რადგანაც იგი საყოველთაოდ გავრცელებულია.

ოქსფორდის ნაწყვეტებში მხოლოდ ხანები გვხვდება, კემბრიჯისაში კი ხანებიცა და ჰაებიც [1]).

ხანმეტი ლექციონარის ენა ბევრი მხრით არის საინტერესო. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ხ (ან ჰ) სწორედ იქ არის, სადაც მოსალოდნელია იგი ამგვარი ძეგლების საერთო ნორმების მიხედვით. არავითარი გადახვევა ნორმიდან არ მოიპოვება. საყურადღებოა, რომ ხანმეტობა მარტო ბიბლიურ ტექსტში კი არ გვხვდება, არამედ სათაურშიაც, ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს არა „ხუგალობდით“ ფორმა, რომელიც ორჯერ გვხვდება (39,1 და 43,3), რადგანაც არსებითად იგიც ბიბლიურ ნაწილს ეკუთვნის, არამედ „ხითქუას“ (38,13). მაშასადამე ამ ძეგლისათვის ხ (ან ჰ) პრეფიქსის ხმარება სამი ფუნქციით (a. სუბ. პრეფიქსად 2 პირისა, b. ობ. პრეფიქსად მესამე პირისა, c. შედარ.-აღმ. ხარისხის მწარმოებელი პრეფიქსის თავკიდურად) ნორმად უნდა ჩაითვალოს. რა დიდი განსხვავებაა ამ მხრივ მასა და ხანმეტ მრავალთავს შორის [2]), სადაც ჩვენი პრეფიქსების ნორმები უკვე დარღვეულია და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის ძეგლი, რომ ხანმეტობა, როგორც გარკვეული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენა, მასში უფრო მწიგნობრული გზით არის დაცული, ვიდრე სასაუბრო ენის გავლენით. ლექციონარს კი ასეთი რამ არ ატყვია. ხანმეტ-ჰაემეტობის თვალსაზრისით იგი თავიდან ბოლომდე მკვიდრი ნორმების მაჩვენებელი ძეგლია.

ფონეტიკის მხრივ აღსანიშნავია კიდევ ხანის შენახვა ჟანის წინ: „რას ჟამს“ (50,4,10) და დიფთონგი „ავ“ „ხშორავს“ (19,11), წარავლ(ი)ნნეს (49,8), პავლჱსი 46,2 (მაგრამ ქვემოთ დიფთონგს ადგილი აღარ აქვს: პავლჱსა 51,9); მორფოლოგიაში კი მრავლობითი რიცხვის წარმოება ნ ბოლოკიდურიან ზმნებში მხოლობითი რიცხვის ფორმაზე პირდაპირ თ ელემენტის დართვით, უინოდ: „ჰოიმოწაფენთ“ 8,3, „განყიდენთ“ 53,12. სიტყვათა წარმოებიდან აღსანიშნავია „ჰრომელთა“ (51,8), რომელიც ნაწარმოებია „ჰრომე“ ფუძისაგან.

შუხართისეულ ლექციონარს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აქამომდე ყველა ცნობილ ხანმეტ ხელნაწერებს შორის. იგი ერთად-ერთი ძეგლია, რომელსაც პირვანდელი სახით მოუღწევია ჩვენამდე. ხანმეტობის ნაშთები შეიძლება ჩვენ მე-IX-X და მერმინდელი საუკუნეების ძეგლებშიაც დავიჭიროთ (როგორც ეს საგანგებოდ იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები), მაგრამ გაბმული ხანმეტი ტექსტები ჯერ-ჯერობით მხოლოდ პალიმფსესტებიდან არის ცნობილი. გამონაკლისს მხოლოდ ეს ძეგლი შეადგენს და ამ მხრივ, რასაკვირველია, მეტად დიდია ამ ძეგლის მნიშვნელობა, თითქმის განუზომელიც. „პირვანდელი სახით მოუღწევია“ო, რომ ვამბობთ, ამას, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება „მეტი“ ხანების ამოფხეკა. ჯერ ერთი ეს ამოფხეკა ყველა „მეტ“ ხანს არ შეჰხებია (მეორე გვერდზე, მაგ. ექვს „მეტ“ ხანთაგან მხოლოდ ერთია გადაფხეკილი და ისიც ისე, რომ ეს გადაფხეკილიც მშვენივრად იკითხება). ამოფხეკა

---

[1]) ხანმეტი იერემიას კემბრიჯულ ნაწყვეტებზე საგანგებოდ მექნება მსჯელობა ზოგიერთი სტორიულ-ლიტერატურული საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებით.

[2]) ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი მრავალთავი (ტფ. უნივ. მოამბე, VII).

არ შეჰხებია სრულებით „მეტ" ჰაებს. ამას გარდა ამოფხეკილ ხანებსაც კარგად უჩანს ხან თავი, ხან ტანი, ხან ბოლო. სავსებით რომ ამოფხეკილი იყოს ხანი ისე, რომ აღარაფერი კვალი ეჩნეოდეს, ამისთანა მაგალითი თითქმის არცაა. ამიტომ მე შესაძლებლად დავინახე ამ გამოცემაში ამოფხეკილი ხანები ყველა



ხანმეტი ლექციონარი (გვ. 2).

აღმედგინა. რადგანაც ვამზადებ აგრეთვე ძეგლის ფოტოტიპიურ გამოცემასაც, რომელიც მალე უნდა გამოვიდეს, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის შესახებ, თუ სად არის ამოფხეკილი ხანები, რამდენად, ან სად გადარჩენილან. ნიმუშებს კი როგორც ამოფხეკილის, ისე ამოუფხეკელი ხანებისას ამასთანავე დართულ ცინკოგრაფიულ სურათზედაც იპოვის მკითხველი.

ამ მოკლე წერილში ვერ შევჩერდებით იმ საკითხზე, თუ საიდან მიმდინარეობს ჩვენი ძეგლის თარგმანი. ეს ვრცელსა და დაწვრილებით შედარებას მოითხოვს სომხურ და ბერძნულ ვერსიებთან და შეიძლება მერმისისათვის გადავდოთ.



ხანმეტი ლექციონარი (გვ. 35-37).

გამოცემის შესახებ უნდა აღვნიშნო შემდეგი:

აშკარა შეცთომები გასწორებულია: 1) მომეხები 37,9 (ხელნაწერში: მომე-ბი) 2) წინა დაუცუეთელებაჲ 46, 10-11 (ხელნაწ.: წინა დაუცუეთილებაჲ;) 3) განრყუნის 54,9 (ხელნაწერში: განრყუნეს); 4) წარავლინნეს 49,8 (ხელნაწ.: წარავლნნეს). მაგრამ უცვლელად დავტოვე ხელნაწერის „ვ̄ე კიდედ მისი“ (=მისა?) 50,2 და „ხუწყოდით“ 50,7 (=ხუწყით?).

ზოგან ხელნაწერში თეშდიდური მოვლენები გვხვდება: ერთი ასოა ხოლმე დაწერილი ორი ერთნაირის ნაცვლად:

1) ერთსა მას შაბათასა 14,10=ერთსა მას შაბათთასა (შდრ. 30,1; 39,5); 2) ორნი მათგანი 19,8-9=ორნი მათგანნი; პეტრესა 30,10, 33,7=პეტრესსა (შდრ. 31,12); 4) დაქაიამან 52,1=და აქაიამან. გამოცემაში მეორე ასო აღდგენილია მხოლოდ უკანასკნელ მაგალითში.. ამათგან უნდა იყოს გარჩეული ორი შემთხვევა, სადაც დაუწერელ მსგავს ასოს ხმოვანიც ახლავს და თანაც სიტყვას ქარაგმა უზის: „მათთან̄ი“ 18,6 (=მათთანანი), „მივიდ̄ეს“ 26,4 (=მივიდოდეს).

სამაგიეროდ მეცხრამეტე გვერდის უკანასკნელ სტრიქონებზე იკითხება: „ი̄ესა ! ასსამეოც უტევან“, სადაც, ერთის ნაცვლად, ორჯერ არის ზედი-ზედ დაწერილი ა. როგორც ჩანს, „ასსამეოც“ სიტყვა გადამწერს წინა სტრიქონზე დაუწყია, მაგრამ შემდეგ დაჰვიწყნია ეს ამბავი და მეორე სტრიქონზედ, იმის მაგივრად, რომ მარტო „სსამეოც“ დაეწერა, მთლად დაუწერია: „ასსამეოც“. ამის გამო ისე გამოვიდა, თითქო იკითხებოდეს: „ი̄ესა ასსამეოც“, მაშინ როდესაც ნამდვილად თითქო ასეა გამოყვანილი: „ი̄ეს. აასსამეოც“. „ი̄ესა“ ფორმა ძველს ტექსტში მოსალოდნელი არაა, არც არის იმავე ძეგლის მეორე ადგილს, 21,10, სადაც „ი̄ეს“ იკითხება და თუ მაინც ხელნაწერის ორივე ა დავტოვე და პირველი მათგანი წინა სიტყვას მივაკუთვნე, ასეთი ფორმის ახსნის შესაძლებლობაც არსებობს მეორე საკუთარი სახელის ახალ ფორმასთან დაკავშირებით („აქაიამან“ 52,1).

სასვენ ნიშანთაგან მარტო წერტილები და ორ-წერტილები შევინახე; მძიმეები კი, რომელთა ხმარებაშიაც ხელნაწერი დიდ უსისტემობას იჩენს, ყველა ამოვიღე. ნაბეჭდი ტექსტი გვერდობლივ და სტრიქონ-სტრიქონ მისდევს ხელნაწერს. გამოცემაში ისეთი დეტალიც კი არის შენახული, როგორიცაა უადგილობის გამო ზემოთ ან ქვემოთ მოწერილი მომცრო ასო (ან ასოები) სტრიქონის ბოლოს. დაზიანებული ადგილების ასოები ფრჩხილებშია ჩასმული, თუ ისინი შუა ადგილისანი არიან. ხოლო თუ დაზიანებული ადგილი სტრიქონის თავში ან ბოლოშია, მაშინ რომელი ასოებიც აკლია, ვერტიკალი ხაზის გარეთ არის გატანილი (ნ. განსაკუთრებით გვ. 53 და 54). მხედრული ტრანსლიტერაციის დროს იძულებული ვიყავ, სათანადო მხედრული ნიშნის უქონლობის გამო, „ჳ“ ნიშნით გადმომეცა ის ასო, რომელიც ძველად ოთხასის აღმნიშვნელი იყო. „უ“ ნიშნით ყოველთვის ორი ასოა გადმოცემული (ოჳ), გარდა იმ შემთხვევათა, სადაც ერთი ბგერის აღმნიშვნელი ეს ორი ასო, სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის გადატანისას, ერთი-მეორისაგან არის დაცილებული.

ხელნაწერის წითური სტრიქონები აქ „აკადემიური“ შრიფტით არის გადმოცემული, ხოლო მომცრო ასოებით ნაწერი სტრიქონები კორპუსით.

ფოტოტიპიური გამოცემა, რომელიც მზადდება. ყველას საშუალებას მისცემს უფრო ახლოს გაეცნოს ამ იშვიათსა და შესანიშნავს ძეგლს ქართული ენისა და ლიტერატურისას.

## მ ა თ ე XXVIII, 7—13.

### 1

თქუენ გალილეად
მუნ ხიხილოთ იგი
აჰა ჟგერა გარქუ
8 თქნ: ხ̃ იგინი წარ-
ვიდეს ადრე მიერ
საფლავით შიშითა
და სიხარულითა
დიდითა: მირბი-
ოდეს თხრობად
მოწაფეთა მისთა:

### 2

9 და აჰა ი̃ჳ შეხემთ-
ხჳა მათ და ხქ̃ა გი-
ხაროდენ:
ხ̃ იგინი მოხუ-
ჴდეს და შეხუვრ-
დეს ფერჴთა მისთა
და თაყუანის ხცეს
10 ას: მაშინ ხქ̃ა
მათ ი̃ჳ ნუ გეში-
ინ წარვედით და

### 3

ხუთხართ ძმათა
ჩემთა რ̃ა წარვი-
დენ გალილეად და
მუნ მიხილონ მე:
და იგინი წარვიდეს 11
და აჰა ესერა და-
სისა მისგანნი მო-
ვიდეს ქალაქად
და ხუთხრეს მღ-
დელთმოძღუარ-
თა

### 4

მათ ყ̃ი ესე რაჲცა
ხიქმნა: ხ̃ იგინი 12
შეკრბეს მოხუ-
ცებულთა თანა
და ზრახვა ყვეს:
ვეცხლი დიდძალი
მიხცეს ერისაგან-
თა მათ. და ხრქუ- 1
ეს: ესრე თქუთ
ვ̃დ მოწაფენი მის-
ნი

## მ ა თ ე XXVIII, 13—19.

5

ღამჱ მ(ოვი)დეს და
წარიპარეს იგი ჩ̃ე
ჩ̃ნ მემინა:-
14 Უკუეთუ ხე̃მეს
ესე მთავარსა
მას ჩ̃ნ ხუარწმუ-
ნოთ მას და თქ̃ნ
უზრუნველ გყვ-
15 ნეთ : ხ̃ მათ მიი-
ღეს ვეცხლი იგი :

6

და ყვეს ეგრე ვ̃ა ის-
წავეს მათგან :-
Და განხითქუა სიტ-
ყუაჲ ესე ჰურია-
თა შორის ვ̃ე დღეს-
დღლად დღჱდმდე
Ხ̃ ათერთმეტნი იგი
მოწაფენი წარვი-
დეს გალილეად მთა-
სა მას სადაცა

7

იგი ხუბრმანა
მათ ი̃ჳ : და იხილეს 17
იგი და თაყუანის
ხცეს მას. ხ̃ რ̃ლნი-
მე შეორგულდეს
Და მოხუკდა მათ
ი̃ჳ ხეტყოდა მათ 18
და ხქ̃ა : მომეცა
მე ყოველი ჴელმ-
წიფებაჲ ცათა შო-
ნა

8

და ქუეყანასა ზ̃ა
წარვედით და მო- 19
იმოწაფენთ ყო-
ველნი წარმართ-
ნი : და ნათელ
სცემდით მათ
სახელითა მამი-
საჲთა და ძისაჲ-
თა და სულისა
წმიდისაჲთა :

### მ ა თ ე XXVIII, 20.

9

20 Და სასწავებდით
მათ დამარხვად
ყ̃ი რ̃ი გამცენ თ̃ქ̃ნ
Და აჰა ესერა მე
თ̃ქ̃ნ თანა ვარ
ყ̃ლთა დღეთა და
ვ̃ე აღსასრულა-
მდე სოფ-
ლი-
:სა :

10

მარკოზის თავისაგანი
XVI წმიდის სახარებისა
საკითხავი:...
2 Და ნიად განთიად-
სა მას ერთშაბა-
თისასა :
მოვიდეს საფ-
ლავსა მას ზ̃ა
მერმე აღმოსლვა-
სა ოდენ მზისასა

### მ ა რ კ ო ზ XVI, 2—6.

11

და ხიტყოდეს ურ- 3
თიერთას :-
Ვინ გარდაგჳგორ-
ვოს ჩ̃ნ ლოდი იგი
კარისა მისგან საფ-
ლავისა : და მიხხე-
დეს და იხილეს რ̃ გარ-
დაგორვებულ ხი-
ყო ლოდი იგი რ̃ი ხი-
ყო დიდ ფრიად :
Და შე- რა - ვიდეს 5

12

საფლავსა მას იხი-
ლეს ჭაბუკი მჯდო-
მარჱ მარჯუენით
კერძო შემოსილი
სამოსლითა სპეტა-
კითა და განკრთეს
ხ̃ მან ჰრ̃ქუა მათ 6
ნუ განხკრთებით :
Ი̃ჳს ჯუარს ცუმო-
ჳლსა ნაზორეველ-
სა ხემიებთ :-

მარკოზ XVI, 6—8.

13

ალდგა არა არს აქა
აჰა ადგილი სადა
დადვეს იგი :-
ა̃დ წარვედით და ხო-
ჯთხართ მოწაფეთა
მისთა და პეტრეს :
ვ̃დ აჰა ეგერა წინა
გიძღჳს თქ̃ნ გალილე-
ად მუნ ჰიხილოთ
იგი ვ̃ა გარქუ თქ̃ნ
8 Და მათ ვ̃ა· ხესმა ესე
გამოვიდეს და ხივლ-

14 (ვით)

ტოდეს მიერ საფლა-
რ̃ შეძრწუნებულ
ხიყვნეს ·და დაკჳრ-
ვებულ : და არა
რაჲ ვის ხუთხრეს
რ̃ ხეშინოდა :-

ლუკაჲს თავისაგანი
XXIV წმიდისა სახარებისა
საკითხავი

ხ̃ ერთსა მას შაბათა-
სა ცისკარსა ჰს-
თუად მოვიდეს

ლუკა XXIV, 1—6.

15

საფლავსა მას
Და მოსაქუნდა რაჲ
იგი მოხემზადა ხულ-
ნელები და სხუანი
ვინმე მათ თანა :
Და ჰოვეს ლოდი იგი 2
გარდაგორვებუ-
ლი საფლავისა მისგან
შე- რა -ვიდეს შინა არა 3
ჰოვეს გუამი იგი
ო̃ლისა ი̃ჳჲსი :-
Და ხიყო განზრახვა-

16

სა მას მათსა ამის
თჳს : და აჰა ორ· კ̃აც
ზედა მოხადგეს მათ
სამოსლითა ელვარფ̃თა
Და ვ̃რ შეშინებულ ხიყ-
ვნეს იგინი და დახედ-
რიკნეს პირნი მათნი
ქუეყანად : ხრქუეს
მათ რაჲსა ხეძიებთ
ცხოველსა მას მკუ-
დართა თანა არა 6
არს აქა ა̃დ აღდგა

## ლ უ კ ა XXIV, 6—16.

17

მოიჴსენეთ ვრ იგი გეტ-
ყოდა თქუენ ვე ხიყო
და იგი გალილეას და თქა:
რ ჯერ არს მისა კაცისა
მიცემად ჴელთა კაცთა
ცოდვილთასა ჯუარს·
ცუმად: და მესამე-
სა დღესა აღდგომად:
8 და მოხეჴსენნეს სიტ-
9 ყუანი ესე და მისიქ-
ცეს და ხუთხრნეს
სიტყუანი ესე ა-

18

თერთმეტთა მათ და
სხუათა ყლთა:-
10 ხ ხიყვნეს მაგდანელ
მარიამ და იოჰანა.
და მარიამ იაკობისი.
და სხუანი მათთანი
ხუთხრობდეს მოცი-
ქულთა ამას და ხო-
ჳნდეს სიტყუანი მათ-
ნი ვა სიჩქურისანი
მათ წინაშე და არა
ხრწმენა მათი:-

19

ხ პეტრე აღდგა და მირ-
ბიოდა საფლავად:
და შთახხედა და იხილნა
ტილონი იგი ხ მდებ-
არჱნი და წარჳიდა
თჳსაგან და დახუ-
კჳრდა საქმჱ ესე:-
და აჰა ორნი მათგა-
ნი მივიდოდეს მას-
ვე დღესა შინა დაბა-
სა რი ხშორაჳს იჱმსა
ას სამეოც უტევან

20

რლსაჲ სახელი ემმა(ოს)
და ესენი ზრახვიდეს
ურთიერთას ყლისა
მისთჳს რი ხიქმნა:-
და ხიყო ზრახვასა მას
მათსა და გამოძიე-
ბასა და თავადი იჳ
მიხეახლა მათ და თ-
ანა ხუვიდოდა:
16 ხ თუალნი მათნი შეპ-
ყრობილ ხიყვნეს
რა ვერ იცნან იგი:-

## ლ უ კ ა XXIV, 17—25.

### 21

დაჲ ჰრქუა მათ რაჲ
არიან სიტყუანი ეგე
რ̃ლთა ჰჭცილობთ ურ-
თიერთას სლვასა ში-
ნა და ხართ თქუენ
მწუხარე :-
მიუგო ერთმან
რ̃ლისა სახელი კლეო-
პა და ჰრქუა მას
შენ ხ̃ მწირ ხარ ი̃ლმს
და არა უწყი რაჲ
ესე იქმნა მას შინა

### 22

ამათ დღეთა :-
19 და მან ჰრქუა მათ
რ̃ი ხ̃ მათ ჰრქუეს იჳჲს
თჳს ნაზარეველისა:
რ̃ი იყო კაცი წინაწარ-
მეტყუელ ძლიერ საქ-
მითა და სიტყჳთა მისი-
თა წინაშე ღ̃თისა და
ყ̃ლისა ერისა :-
20 ვ̃რ იგი მისცეს მღდ-
ელთმოძღუართა.
და მთავართა ჩ̃ნთა

### 23

სამშჯელსა სიკუდილისა-
სა და ჯუარს აცუეს იგი
ხ̃ ჩ̃ნ ვესავთ ვ̃დ იგია 21
რ̃ნ იჴსნეს ი̃ჱლი : და ა-
მას ყ̃ლსა თანა ესე მე-
სამჱ დღჱ არს ვინაჲთ-
გან ეგე იქმნა
ა̃დ დედათაცა ვიეთმე 22
ჩ̃ნთაგანთა დამაკჳრვეს
ჩ̃ნ: ვ̃რ მივიდეს იგინი
ცისკარს საფლავსა
მას : და არა პოვეს 23

### 24

გუამი იგი მისი:-
მოვიდეს და თქუეს
ვ̃დ ხილვაჲცა ანგელ-
ოზთაჲ იხილეს რ̃ლთა
ჰრქუეს მათ ვ̃დ ცხო-
ველ არს იგი
და მი- ვინმე -ვიდეს ჩ̃ნთა- 24
ნნი საფლავად და
პოვეს ეგრე ვ̃ა დედა-
თა მათ თქუეს
ხ̃ იგი თავადი ვერ იხილეს
ხ̃ მან ჰრქუა მათ

## ლ უ კ ა XXIV, 25—33.

25

ჱ უცნობელნო და მ-
მიმენო გულითა სარ-
წმუნოებისათჳს ყ̃ლ-
სა ზ̃ა რ̃ლსა ხიტყოდეს
წინაწარმეტყუელნი
ანუ არა ესრ̃ჱთ ჯერ
ხიყო ვნებად ქ̃ჱსა:
და შესლვად დიდება-
სა თჳსსა: და იწყო
მოსჱსითგან და წინა-
წარმეტყუელთა
და გამოსუთარგმა-

26

ნებდა მათ ყ̃ლთაგან
წიგნთა მისთჳს:-
28 და მიხეასლნეს დაბა-
სა მას ვ̃ეცა მივიდ̃ეს:
ხ̃ თავადმან მისჱს ყო
ხუშორჱს-დრ̃ე წარს-
29 ლვად: იგინი ხაიძუ-
ლებდეს მას და ხეტყო-
დეს დახადგერ ჩ̃ნთა-
ნა. რ̃ მწუხრ არს და
მიდრეკილ არს დღჱ
და შევიდა დადგრომ-
ად.

27

მათ თანა: და ხიყო 30
ინაკით ჯდომასა მას
მისსა მათ თანა:-
მოიღო პური აკურთ-
ხა და განტეხა. და
მიხცემდა მათ
ხ̃ მათ თუალნი მათნი
განხეხუნეს და იცნეს
იგი და თავადი მიხე-
ფარა მათგან
და იგინი ხიტყოდეს ურ̃-
თიერთას. ანუ არა

28

გული ჩუენი განკო-
ჯრჱბულ ხიყო ჩუენ
შორის. ვ̃რ იგი მეტყ-
ოდა ჩ̃ნ გზასა ზედა:
და ვ̃რ იგი გამოგჳთარ-
გმანებდა ჩ̃ნ წიგნ-
თა: და აღდგეს მას- 33
ვე ჟამსა შინა და
მოხიქცეს ი̃ჱმდ და
ჰოვნეს კრებულად
ათერთმეტნი იგი
და სხუანი მათთანა-
ნი:

ლ უ კ ა XXIV, 34—35.

29

34 Და ხიტყოდეს ვითარმედ
ნანდჳლვე აღდგა ო̄ი
და ხეჩუენა სიმონს
Და იგინი ხუთხრობ-
დეს ჳზისასა მას :
და ვ̄რ იგი გამოხეც-
ხადა მათ განტეხა-
სა მას პურისასა :

იოჰანნ̄ს თავისაგანი
XX წმიდის სახარებისა
საკითხავი

30

Ერთსა მას შაბათთა-
სა მარიამ მაგდანე-
ლი : მოვიდა განთიად
ვ̄ე ბნელღა ხიყო საფ-
ლავსა მას და იხი-
ლა ლოდი იგი აღებუ-
ლი კარისა მისგან
საფლავისა
2 Რბიოდა და მოვიდა
სიმონ პეტრჱსა და
ერთისა მის მოწაფი-
სა რ̄ი ხუყუარდა ი̄ჳს

ი ო ა ნ ე XX, 1—7.

31

1 Და ხრქუა მათ აღი-
ღეს ო̄ი საფლავისაგან
და არა უწყი სადა
დადვეს იგი
5 Გამოვიდა პეტრე და 3
ერთი იგი მოწაფჱ.
7 და მოვიდოდეს საფლა-
8 ვად : რბიოდეს ორნი-
ვე ხოგად : ხ̄ ერთი ი-
გი მოწაფჱ წინა რბი-
11 ოდა ხუადრეს პეტრ-
12 ჱსსა და მოვიდეს

32

პირველად საფლავად
Შთახხედა საფლავსა
მას და იხილნა ტილო-
ნი მდებარენი ხ̄ შინა ·
არა შევიდა
6 Მოვიდა ხიმონ პეტრე-
7 ცა შემდგომად მისსა
8 და შევიდა საფლავად
Და იხილნა ტილონი იგი
10 მდებარენი და სუდა-
რი იგი რ̄ლ ხიყო თავსა
მისსა . არა ტილოთა

ი ო ა ნ ე XX, 7–16.

33

თანა (მდე)ბარჱ ა̄დ
თჳსაგან შეკეცილი
ერთსა ადგილსა :-
მაშინ შევიდა ერთი-
ცა იგი მოწაფჱ რ̄ი
მოვიდა პირველ
პეტრჱსა საფლავად.
და იხილეს და ხრწმე-
ნა რ̄ არდა იცოდეს
წერილისაჲ ვ̄დ ჯერ ა-
რს მისი მკუდრეთით
აღდგომაჲ :-

34

10 წარვიდეს (კუ)ლად
თჳსაგან მოწაფენი
ხ̄ მარიამ დგა გარე-
შე საფლავსა თანა
და ტიროდა. და ვ̄რ
ტიროდა შთახხედა
საფლავსა მას :
12 და იხილნა ორნი ან-
გელოზნი მოსილნი
სამოსლითა სპეტა-
კითა მსხდომარენი
ერთი თავით და ერთ
ი

35

ფერჴ(ით) სადა იგი
ხიდვა გუამი ი̄ჳსი :
და ხრქუეს მას ან- 13
გელოზთა მათ დედა-
კაცო რაჲსა ხტირ
ხ̄ მან ხრქუა მათ
რ̄ აღიღეს ო̄ი ჩემი სა-
ფლავით და არა
უწყი სადა დადვ-
ეს იგი : ესე რა თ̄ქა
გარე მიხიქცა და ი-
ხილა ი̄ჳ მდგომარჱ

36

და არა უწ(ყ)ოდა
რ̄ ი̄ჳ არს : ხრქუა 15
მას ი̄ჳ დედაკაცო
რაჲსა ხტირ ვის ხე-
ძიებ : მას ხეგონა
ვ̄დ მებტილჱ იგი არს
ხრქუა მას ო̄ო̄ უ-
კუეთუ შენ აღხიღე
მითხარ მე სადა დ-
ახდევ რ̄ა მე წარ-
მოვიღო იგი :-
ხრქუა მას ი̄ჳ მარია
მ :

## იოანე XX, 16—22.

37

გარე მიიხილა მან
და ხრქუა მას ჰებ-
რაელებრ რაბუნი
რ͠ლ ხითქუმის მო-
ძღუარ :-
და მირბიოდა შემ-
თხუევად მისა.
17 ხრქუა მას ი͠ჳ ნუ
მომეხები მე რ͠ არღა
აღსრულ ვარ მა-
მისა ჩემისა : -
წარვედ ძმათა ჩემ-

38

თა და ხარქუ მათ
აღვალ მამისა ჩემი-
სა და მამისა თქო-
ჳენისა ღ͠თისა ჩემი-
სა და ღ͠თისა თქუენი-
18 სა მოვიდა მარიამ
მაგდანელი თხრო-
ბად მოწაფეთა მის-
თა: რ͠ იხილა ო͠ი და
ესე ხრქუა მას:
ˇ ˇ ˇ ˇ ˇ ˇ
[დღე]სა აღუსებასა მწუხრი ნათელი
მხიარული და წართქუან ხითქ͠ას

39

ლობი-
ფსალ͠ი (რმთ) ხუგალობდით ო͠ა გა-
თა ახლითა ქებაჲ მისი ეკლესიასა წმი͠ა
სახარებაჲ იოჰანნჱს თავისაგანი
და ხიყო მწუხრ დღჱ იგი
ერთშაბათთაჲ და კარ-
ნი იგი დაკსულ ხიყვნეს
სადა იგი ხიყვნეს მო-
წაფენი დამალულ ში-
შისათჳს ჰურიათაჲსა
მოვიდა ი͠ჳ დადგა შოვ-
რის მათსა და ხრქუა
მათ. მშჳდობაჲ თქ͠ნ
თანა: და ესე ვ͠ა თქ͠ა

40

ხუჩუენნა მათ
კელ͠ი და გუერდი-
ცა თჳსი: განიხარეს
მოწაფეთა იხილეს
რა ო͠ი: ხრქუა მათ 21
მეორედ ი͠ჳ მშჳდობ-
აჲ თქუენ თანა:
ვ͠ა მომავლინა მე
მამამან მეცა წარ-
გავლინებ თქუენ:
და ესე რა თქუა შთა- 22
ხბერა და ხრქ͠ა მათ

## ი ო ა ნ ე XX, 22–29.

### 41

მ|იიღეთ სული წმიდაჲ :
24 უკუეთუ ვიეთნი-
მე მიხუტევნეთ ცო-
დ|ვანი მიხეტევნენ:
უკუეთუ რ̄ლთანი
მ|ეხიპყრნეთ შეპყრო-
ბილ ხიყვნენ: ხ̄ თომა
ე|რთი იგი ათორმეტ-
თაგანი რ̄ლსა ხერქო-
ჯა მარჩბივ: არა
ხიყო მათ თანა რ̄ქს
იგი მოვიდა ი̄ჳ :-

### 42

25 ხუთხრობდეს მას |მო-
წაფენი ვიხილეთ
ო̄ი: ხ̄ მან ხრქუა მა|თ
უკუეთუ არა ვიხ|ი-
ლო კელთა მისთა ს|ა-
ხჱ იგი სამჭუალთა|ჲ
და დახუდვა თითი
ჩემი სახესა მას ფე-
რცთასა: და დახუ-
დვა კელი ჩემი გუერ|დ-
სა მისსა. არა სადა
მრწმენეს

### 43

დღესა ახუსებისა ზატიკსა მწო
ჳხრი სა(....)სა ჟამსა ფსალ̄ი რმთ
ხუგალობდით ო̄ა გალობითა ახლითა
ქებაჲ მისი ეკლესიასა წმიდათასა.
სახარებაჲ იოჳანჱს თავისაგანა.
და შემდგომად რვისა
დღისა კულად ხიყვნეს
მოწაფენი ერთსა ად-
გილსა და თომაცა
მათ თანა: შევიდა ი̄ჳ
კართა კსულთა:
და დადგა შორის
მათსა და ხრქ̄ა მათ
მშჳდობაჲ თქ̄ნ თანა:

### 44

მერმე ხრქუა თომას
მოუყვენ თითნი შენნი
აქა: და იხილენ კელნი
ჩემნი: და მოუაკ კელი
შენი და დახდევ გუე-
რდსა ჩემსა და ნუ
ურწმუნო ხიქმნები:
ა̄დ გრწმენინ:-
მიხუგო თომა და ხრ-
ქუა მას ო̄ი ჩემი და ღ̄ი
ჩემი ხრქუა მას ი̄ჳ: 29
რ̄ მიხილე მე და გრწმენ-
ა

იოანე XX, 29—31. გალატელთა VI, 14—18. მათე XXIV, 29—30.

45

ნეტარ ხიყვნენ რ̃ლთა 1
არა ხუეხილვო და 2
ხურწმენე მრავალ- 3
ნი სხუანიცა სასწავ-
ულნი ქმნნა ი̃ჳ წინა- 5
შე მოწაფეთა მისთა : 6
რ̃ლ არა დაწერილ არიან
წიგნსა ამას : ხ̃ ესე 8
დახიწერა რ̃ა გრწმე- 9
ნეს რ̃ ი̃ჳ ქ̃ჱ არს ძ̃ჱ ღ̃ჲ : 10
და რ̃ა გრწმენეს და ცხოვ 11
რებაჲ გაქუნდეს სახე- 12
ლითა მისითა:-

46

VI გალატელთა მიმართ წიგნი სა- 1
მოციქ(უ)ლოჲ პავლჱსი 2
ხ̃ ჩემდა ნუ ხიყოფინ სი-
ქადულ გარნა ჯუარ-
ითა ო̃ლისა ჩ̃ნისა ი̃ჳ ქ̃ჱსით
რ̃ლისათჳს სოფელი ჩემდა 6
ჯუარს ცუმულ არს
და მე სოფლისა : არცა 8
წინადაცუეთილებაჲ 9
რაჲ არს და არცა წინა- 10
დაუცუეთელებაჲ ა̃დ 11
ახალი დაბადებული 12

47

და რ̃ლნი წესსა მას ზ̃ა
ხევნენ მშჳდობაჲ მათ ზ̃ა
და წყალობაჲ და ი̃ჱლსა
ზ̃ა ღ̃თისასა ამიერით-
გან შრომას ნუ ვინ შე-
მამთხუევნ მე რ̃ მე
ვნებანი იგი ო̃ლისა ი̃ჳსნ-
ნი კორცთა შინა ჩემ-
თა მიტჳრთვან
მადლი ო̃ლისა ჩ̃ნისა ი̃ჳ
ქ̃ჱსი სულისა თქ̃ნისა თ|ა-
ნა ძმანო ამენ

48

სახარებაჲ მათჱს თავისაჲ XXIV
მეყსეულად შემდგო- 29
მად ჭირისა მის მათ
დღეთაჲსა მზჱ დაბნელ-
დეს და მთოვარემან
არა გამოხცეს ნათელი
თჳსი და ვარსკულავნი
გარდამოცჳვენ ზეცით
და ძალნი ცათანი შე-
ჰძრნენ და მაშინ 30
გამოჩნდეს ნიში მისა
კაცისაჲ ცათა შინა

**მ ა თ ე XXIV, 30—35.**

### 49

და მაშინ ჰიტუებდენ
უ̃ლნი ტოჳმნი ქუეყა-
ნისანი: და იხილონ
ძჱ̃ კაცისაჲ მომავა-
ლი ღრუბელთა თანა
ცისათა ძალითა და
დიდებითა დიდითა
31 და წარავლინნეს ანგე-
ლოზნი თჳსნი ნესტჳ-
თა დიდითა. და შეკრი-
ბნეს რჩეულნი მისნი
ოთხთაგან ქართა

### 50

კიდითგან ცისაჲთ
ვ̃ე კიდედ მისა: ხ̃ ლეღჳსა-
გან ისწავეთ იგავი ესე:
ვ̃ა იგი რას ჟამს რტო-
ნი მისნი დაჩჩუნიან
და ფურცელი გამოვა-
ლნ სუწყოდით რ̃ ახ-
ლოს არნ საფხული:
33 ეგრეცა თქუენ:-
რას ჟამს ჰხილოთ
ესე/ყოველი. უწყოდით
რ̃ ახლოს არს კართა ზ̃ა

**ჰ რ ო მ ე ლ თ ა XV, 25—28.**

### 51

ამენ გეტყჳ თქუენ რ̃ 34
არა წარჴდეს ნათესა-
ვი ესე ვ̃ემდის არა ესე
ყ̃ი ხიყოს. ცაჲ და ქუე-
ყანაჲ წარჴდენ:-
ხ̃ სიტყუანი ჩემნი არა
წარჴდენ:-

ჰრომელთა მიმართ წიგნი
სიმოციქულოჲ პავლჱსი: XV

აწ ესერა მივალ ი̃ლჱმდ 25
მსახურებად წმიდად
რ̃ ჯერ იჩინა მაკედონია 26

### 52

და აქაიამან ზიარება
რაჲსმე ყოფად გლახაკ-
თა მათ თჳს წმიდათა
რ̃ლნი არიან ი̃ლჱმს ჯერ იჩი-
ნეს და თანამდებცა ა-
რიან მათა: უკუეთუ
სულიერთა მათთა ხე-
ზიარნეს წარმართნი
თანა ხაც კორციელითა-
ცა მსახურებად მათა
ესე აღსრულო და და- 28
ხუბეჭდო ნაყოფსა მას
მათსა

ჰ რ ო მ ე ლ თ ა XV, 28—29. ლ უ კ ა XII, 32—35.

53

და წარვიდე თქ͠ნ მიერ
სპანიად: ესე უწყი მ|ე
რა ვიდოდი თქ͠ნდა ს|ავ-
სებითა მით კურთხევი-
თა ქ͠ჱსითა მოვიდე:-
XII სახარებაჲ ლუკაჲს თავისაგანი
ნუ გეშინინ მცირესა
მაგას სამწყსოსა რ͠
სათნო იყო მამამან
თქ͠ნმან მოცემად |თქ͠ნ-
და სასუფეველი
33 განყიდენთ მონა|გებნი

54

თქ|უენნი და მიხეცით
ქვ|ელის საქმჱ: ყავთ·
თა|ვისა თქუენისა
ლ
ს|აფასჱ რ͠ი არა დაძუე-
დეს საუნ(ჯ)ჱ მოუკლე-
ბელი ცათა შინა სადა
იგი მპარავი არა მიჭე-
ხების და არცა მღილ|მან
გ|ანრყუნის სადაც|ა 34
ხი|ყოს საფასჱ თქუენი
მ|უნცა ჰიყოს გული თქ͠|ნი:-
სიყ|ვნედ წელნი თქ͠ნნ|ი· 35

## 2

**ᲓᲐᲕᲘᲗᲜᲘ.** ეს ძეგლი უკვე აღწერილია ა. ცაგარლის მიერ (Каталог рук. Син. мон., № 2, გვ. 54/196).

ჩუბინაშვილის აღწერილობით, იგია ყდიანი. ბოლო თითქო აკლიაო. წინ ჩართულია ეტრატზედვე ნუსხურად ნაწერი 8 გვერდი, რომელთაგანაც პირველი დაუწერელია. ძირითადი ტექსტი, ასომთავრული, 12 სტრიქონიანი, პალიმფსესტია. გარდიგარდმო ჩანს გამომქრალი სტრიქონები, ირიბად ნაწერი უნციალი სომხური ასოებით. არა ნაკლებ 23 რვეულისა. თან ახლავს კიდევ ცალკე ფურცლები კონვერტში. 13,3×10,8 cm.

ამ ხელნაწერისა მომეპოვება ორი გვერდის სურათი. ერთია გვ. 9, საიდანაც იწყება ძველი ნაწილი დავითნისა. ქვეშ მოჩანს ორი სომხური სტრიქონი, რომელთაგანაც მარტოოდენ ერთის გარჩევა შეიძლება. სომხური შესრულებულია ევ. წოდ. ერკათაგირით. სომხურის გარდიგარდმო ზემოდან იკითხება თორმეტი სტრიქონი ქართულად (ფსალმ. 1, 11-12—2, 1-2)[1]):

**Ⴈ**ქადოდიან შენდამი ყ̃ლნი, რ̃ლთა უყუარს სახელი შენი:-რ̃ შენ აკურთხო მართალი, ო̃ო, და ვ̃ა ჭურითა სათნოვებისაჲთა, გჳრგჳნოსან მყვენ ჩ̃ნ:- (შემდეგ წითურად სათაური, რომელიც ძალიან მკრთალად ჩანს):- „**Დ**ს̃ლსა მერვისათჳს ფს̃ლი დ̃თ[ისა]“. (და მერმე ისევ შავად:) „**Ო**̃ო, ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე:- მიწყალე მე, ო̃ო, რ̃ უძლურ ვარ, მილხინე მე, ო̃ო, რ̃ შემძრწუნდეს ძუალნი ჩემნი“:-

მეორე გვერდი იმავე ხელნაწერისა წარმოადგენს აგრეთვე პალიმფსესტს[1]), რომლის პირვანდელი ტექსტი, სომხური, შეიცავს იოანეს სახარების ნაწყვეტს (8, 13—15), ერკათაგირულად, თორმეტ სტრიქონად. აქ თითქმის გარკვეულად იკითხება:

*ԱՍԵՆ ՑՆԱ ՓԱՐԻՍԵՑԻՔՆ| ԴՈՒ ՎԱՍՆ ԱՆՁԻՆ ՔՈ ՎԿԱՅԵՍ | ԵՒ ՎԿԱՅՈՒԹԻՒՆ ՔՈ ՉԷ ՃՇՄԱՐԻՏ ՊԱՏԱՍԽԱՆԻ ԵՏ Ց̃Ս |ԵՒ ԱՍԷ ՑՆՈՍԱ ԹԵՊԷՏ [ԵՒ] | ԵՍ ՎԿԱՅԵՄ ՎԱՍՆ ԱՆՁԻՆ Ի|ՄՈՅ ՎԿԱՅՈՒԹԻՒՆՆ ԻՄ| ՃՇՄԱՐԻՏ Է ՁԻ ԳԻՏԵՄ ՈՒՍՏԻ ԵԿԻ ԵՒ ՅՈ ԵՐԹԱՄ ՔԱՅՑ ԴՈՒՔ ՈՉ ԳԻՏԵՔ ՈՒՍՏԻ ԳԱՄ | ԿԱՄ ՅՈ ԵՐԹԱՄ ԴՈՒՔ ԸՍՏ | ՄԱՐՄՆՈՅ ԴԱՏԻՔ ԵՍ ՈՉ ԴԱ|*.. როგორც ვხედავთ, ეს ტექსტი თითქმის იგივეა, რაც პროფ. გრ. ხალათიანის მიერ ფოტოტიპიურად გამოცემული 887 წლის სახარებაში, რომელიც ძველად მოსკოვის ლაზარაანთ ინსტიტუტს ეკუთნოდა (გამოცემულია მოსკოვს 1899 წ.), მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი პალიმფსესტის ტექსტი გაცილებით უფრო ძველია მასზე.

სომხური ტექსტი, როგორც ჩანს, არ გადაუფხეკიათ, არამედ მარტოოდენ გადაურეცხიათ და ზემოდან დაუწერიათ ქართულად. აქ უკვე თექვსმეტი სტრიქონია, რომლებიც ასე იკითხება (ფს. 79, 10-15):

„**Დ**აფარნა მთანი გრილმან მისმან და ბაბილოთა[2]) მისთა ნაძუნი ღ̃ისანი: მისწუადნა რქანი მისნი ზღუამდე და მდინარემდე მწუერვალნი მისნი:- აწ რად

[1]) ხელნაწერის აბზაცები გამოცემაში აღნიშნულია შავი ასოებით.

[2]) ხელნაწერში: „ბალოთა“.

მოჰკადე ზღუდჲ მისი, და მოჰყურძნიან მას ყ̃ლნი თანაწარმავალნი გზისანი:- შანრყუნა იგინი ეშუმან მალნარისამან და ბრანგუმან მძვნვარემან მოძოა იგი:- ღ̃ო ღ̃ო ძალთაო, მოიქეც აწ, გარდამოიხილე ზეცით და იგულე:- მოხედე ვენაჴსა ამას და და...“.


დავითნი (ფს. 79, 10-15)

ამ ხელნაწერის შესახებ შუხართი შენიშნავს (რვ. № 1, ფ. 21): 4 Blätter 7 Seiten Minuskel. 285, etwa 300 Seiten (16—17 Zeilen per Seite); breit: fast 12 cm., hoch fast 15 cm. [1]) შემდეგ ამოუწერია ზოგიერთი ადგილი და ერთგან აღნიშნავს: 136r die untere Schrift gut zu lesen: armenisch [1]). სხვათა შორის უნდა აღნიშნულ იქმნეს, რომ სწორედ ეს ხელნაწერი უნდა ჰქონდეს მხედველობაში შუხართს, როცა იგი პალეოგრაფიული საკითხების კვლევა-ძიებისას ამბობს: მე შემთხვევა მქონდა დედნისთვის შემედარებინა ერთი იმ ნიმუშთაგანი, რომლებიც ა. ცაგარელს მოთავსებული აქვს მისი Сведения'ს პირველი წიგნის ბოლოს დართულ პალეოგრაფიულ ტაბულაზედო [2]). მართლაც ცაგარელს აღნიშნულ ტაბულაზე ამ ფსალმუნის დაწერილობის ნიმუში მესამე ნომრად აქვს მოყვანილი.

ცაგარელს ეს ხელნაწერი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, მე-VIII—IX საუკუნის ძეგლად მიაჩნდა. მე კი მგონია, რომ იგია დაახლოვებით მეათე საუკუნის პირველი ნახევრისა.

## 3.

**სვიმეონ სალოსის ცხოვრება** (ა. ცაგარელი, Каталог Син. Мон. № 69, გვ. 84/226). შუხართის შენიშვნები (რვეული № 1, ფ. 25v) ამ ხელნაწერის შესახებ: „1 Blatt fehlt, 2 Bogen zu 8 Blätter (also Oktav), bezeichnet კ̃ Bogen, vom კ̃ა-ten Bogen 3 Blätter, Fragment vom 4-ten, ganz unbedeut. vom 5. Bl. Der Anfang: „რ̃ლ არს ცათა შინა. ხ̃ რ̃ლ სიტყჳთ (?) ოდენ ასწავებდეს მის რ̃ა (?) თქუმული იგი ო̃ჲ სახარებასა შინა: ორგულო პრვლად აღმოიღე დირჲ თვალისაგ̃ შ̃ნისა და მაშინღა [იხი]ლო აღმოღებად წუელი თვალისაგან“.— ჩუბინაშვილის შენიშვნები: „სიმეონის ცხოვრება, ყდიანი. ნუსხური, 10 სტრ.; 11╳10 cm. კ̃ა რვეული: თავში უკეთაა ნაწერი, შემდეგ უფრო და უფრო დაუდევრად.

[1]) შეიძლება ეს იყოს ის გვერდი, რომელიც აქვეა მოთავსებული.
[2]) Mittheilungen... ტფილ. უნივ. მოამბე, VIII, გვ. 350.

ია (რვეული)დან იწყება სხვა ხელი ბოლომდის. უკანასკნელი ფურცელი მოხეულია". ამ ხელნაწერისა მომეპოვება ორი გვერდის ფოტოგრ. სურათი: ია რვეულის პირველი გვერდი (r.), სადაც თორმეტ სტრიქონზე იკითხება: „და წიგნთაგ̃ნცა მოიღებდა წამებასა. და ამით დაამტკიცებდა ს̃ტყსა თჳსა, ვ̃რ იგი მცქ̃ლი იტყჳს, ნუ თავისასა ხ̃ ეძიებთ, ა̃დ მოყუსისასაცა და კ̃ლად ყ̃ლთა ვექმენ ყ̃დ, რ̃ა ყ̃ნი ვაცხ̃ვნნე. და თქმ̃ლი იგი ო̃ჲ სახარებასა შინა". სურათის გადამღების შენიშვნის თანახმად, ამ გვერდის დედნის სიმაღლეა 11.2 cm.. უკანასკნელი გვერდი შეიცავს 14 სტრიქონს: „და ძალი თ̃ნა მამით და ს̃ლით წმიდითურთ ოკ̃ი ოკ̃ე ა̃ნ. ესე თავი მე თ̃ე წყუდელელმ̃ნ გავასრულე წ̃დისა მთისა სინისათჳს, ღ̃ნ დაგაჯეროს. ვინ აღმოიკითხვიდეთ, ს̃ლი ჩემი ცოდვილი მოიჴსენეთ წ̃სა ლოცვასა თქ̃ნსა. და ს̃ლი ი̃ვნე კუმურდოელის̃ჲ". ამ სურათს აწერია გადამღების ხელით: Blatthöhe des Orig. 11,2 cm. Vom folgenden Blatt, das noch 7 Zeilen und dazu am unteren Rand 2 Zeilen enthält, ist nur ein schmaler Streifen erhalten".



სჳმეონ სალოსის ცხორება
(თევდორე წყუდელელის მინაწერი)

## 4.

**კონდაკი.** ჩუბინაშვილით „ხელნაწერს აკლია, არ მოიპოვება ა რვეული. ნაწერია მსხვილი ასომთავრულით (19×14 cm.), ბ-იგ რვეული; უკანასკნელი გვერდი ცარიელია, იმის წინა გვერდნახევარი ნუსხურ მინაწერს უჭირავს. შემდეგ მიკერებულია კიდევ ერთად ორი რვეული, ასომთავრულად, სხვა ხელით, უპაგინაციოდ". თითქო ეს ის ძეგლია, რომელიც ა. ცაგარელს თავის კატალოგში 31-ე ნომრად აქვს აღწერილი (გვ. 68/210). ხელნაწერი შედგება ორი ნაწილისაგან:

A) პირველი ნაწილი (გვ. 1—190[1], რვეულები ბ-იგ) წარმოადგენს **იაკობ მოციქულის ჟამის წირვას**, რომელიც გადაწერილია იოანე-ზოსიმეს მიერ სინას მთაზე 985 წელს.

იაკობის ჟამის წირვის ქართული ვერსია კარგად ცნობილი ძეგლია. იგი ჯერ თარგმნა რუსულად პროფ. კ. კეკელიძემ[2]) და მერმე ქართული დედანიც

[1]) შეხართით (რვ. № I, ფ. 1r), პირველი ნაწილი ამ ხელნაწერისა შედგება 93 ფურცლისაგან.

[2]) Литургические грузинские памятники..., ტფ. 1908, გვ. 6—32.

გამოსცა[1]), ხოლო შემდეგ ინგლისურად თარგმნეს Fred. Conybeareმა და Ol. Wardropმა[2]). აქამომდე ეს ჟამის წირვა ცნობილი იყო საეკლესიო მუზეუმის ორი ხელნაწერით (№№ 81 და 86), რომელთა მიხედვითაც შესრულებულია გამოცემა. ამათ ემატება ახლა შუხართისეული ხელნაწერი მეათე საუკუნისა: თუ არ ვცთებით, რომ ეს ხელნაწერი და ცაგარლის 31-ე ნომერი ერთი და იგივე ძეგლია, მაშინ გამოდის, რომ იაკობის ჟამის წირვა სრული ყოფილა ცაგარლის სინაზე ყოფნის დროს, რადგანაც მისი 31-ე ნომერი ასე იწყებოდა:[3]) „მღჳდელი რაჟამს წირვად განემზადების—ესე ლოცჳაჲ წარმოსთქჳას: ღმერთო, უფალო, შემოსლვასა ამის ჩემსა ტაძარსა წ҃სა დიდებისა შენისასა ღირს-მყჳენ მონანი შენნი მადიდებელად სახელისა შენისა წ҃სა“. მაგრამ ამჟამად ა҃ რვეული გრაცში არ მოიპოვება და ბ҃ რვეულის პირველ გვერდზე კი (როგორც ფოტოგრ. სურათიდან და შუხართის I რვეულიდანაც ჩანს), ასე იკითხება: „წმიდა ხარ, ღ҃თო ჩ҃ნო, რ҃ლი წ҃თა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა და ყ҃ლთაგ҃ნ ძალთა ზეცისათა თაყუანის იცემები და იდიდები:. წმიდა ხარ ღ҃თო ჩ҃ნო, რ҃ლი ექუსექუს ფრთეთა ქეროვბინთა და სერაბინთაგან სამგზის წ҃დასა გალობასა შეიწირავ, შეიწირ҃ე ჩ҃ნიცა ულირსთა მონა...“. მაშასადამე, სინური ჟამის წირვა იაკობისა ამჟამად იწყება იმ ადგილიდან, რომელიც კ. კეკელიძის გამოცემით მე-11-12 გვერდზეა მოთავსებული, ხოლო თავდება ამ სიტყვებით (გვ. 188): „რ҃ლნი გმადლ҃ბთ შ҃ნ. რ҃ კურთხეულ არს სუფევაჲ შენი და დიდებაჲ შენი, მამისა და ძისა და წმიდისა სულისაჲ, აწ, და მ҃ს, და ოკ҃ი ოკ҃ე. ამენ“. ამას მოსდევს ორი სტრიქონი ისევ მრგვლოვანი ხელით, მაგრამ უფრო პატარა ასოებით: „დაესრ҃ლა ჟ҃მის წირვაჲ. ქ҃ე შ҃ე ი҃ნე, მჩხ҃კლი ამისი. ღ҃ცყონ:“

აქედან ირკვევა, რომ შუხართისეული იაკობის ჟამის წირვის ტექსტი თავდება იმ ადგილას, რომელიც დასახელებულ გამოცემაში 85-ე გვერდზეა მოთავსებული.

ჟამის წირვის ბოლოს რვა სტრიქონი კუთხოვან (ნუსხურ) მინაწერს უჭირავს: „წ҃ნო მღდ҃ლნო ქ҃ႾსნО, რ҃ლნი იმსახურებდეთ ამათ ჟამის წირვათა, ღ҃თისათჳს გჳედრი (sic) წ҃სა ღ҃ცსა თ҃ქნსა მჩხ҃კლი ამისი ი҃ონე ფ҃დ ც҃ოდლი და მშ҃ბლნ (sic) და ძმანი ჩ҃მნი, და ყ҃ლნივე ჩემ҃ლნი ცოცხ҃ლნი და მიც҃ვლნი, რ҃ მე ფ҃დ მრწს თქ҃ნი ღ҃ცჲ. და თქნცა ქ҃ნ შეგ҃ყნ. ამ҃ნ“.

189 გვერდზე 26 სტრიქონიან მინაწერში ცნობაა დედნის ვითარების შესახებ. პირველ სტრიქონზე მრგვლოვანით იწყება და შემდეგ სულ კუთხოვანია:

„წ҃ნო მ҃მნო, შემიდვეთ: ამის ჟამის წირვისა დედასა მრავალი განგებაჲ და ლოცვები და სიტყუები აკლდა თავითგ҃ნ ვ҃ე დასს҃ლმდე, ვითა მე ვიცოდე მოძღ҃რთაგ҃ნ[4]) და ჩემთა ჟამის წ҃რვათა შინა ეწერა. და ვერ დიად ჩემისა გულისაჲ იყო. ხ҃ ვინ მაწერიებდა მევედრებოდა ფ҃დ, რ҃ა რაჲ მაგას შინა სწე-

---

[1]) Древне-грузинский архиератикон. ტფილისს 1912.

[2]) The Georgian version of the Liturgy of Saint-James (Revue de l'Orient Chrétien, t. XIX, 1914).

[3]) ცაგარლის ორთოგრაფიას კვლავ უცვლელად ვტოვებთ.

[4]) ეს სიტყვა ძალიან გადალეულია.

რია, იგიაჲ ოდენ დამიწერეთ. აწ იგიაჲ ოდენ დამიჩხ~კია.....[1]) ყ~ლი დაკლბ~ლე-ბაჲ ჩ~მი შმ~დთ ღ~თისათჳს და თქ~ენ ვითა გინა ყ~ვთ, გარნა ლ~ცსა წ~სა თქ~ნსა მომიკს~ნბდით. Ოდეს ესე ჟ~მისწვაჲ დაიწერა სინა წ~დას, კელითა ი~ნე ფ~დ ც~დლსა ზ~სმსთა, დღეთა ოდენ ბ~როტდ მოხ~ცებისა ჩჳმის~თა[2]), სალ~ცვლად ჩ~მდა და ყ~ლთავე ჩემეულთთ~ს, Ⴃასბმ~გნი წ~ლნი იყ~ნეს ქართულად: ხ~ფ~პ~თ~: და ქ~რკნი იყო :ხ~ე~: აწ კლ~დცა გევ~დბი ყ~ი დაკლ~ბლებაჲ ჩემი შემიდევეთ ღ~ი-სათს და ლ~ცსა წ~სა თქ~ნსა გვ~დიეთ მე ფ~დ ც~დლი და ყ~ლნი ზემო წერილნი და თქ~ნცა ქ~ნ შეგ~წყნ ყ~ნი ერთობით. ა~ნ".



იაკობის ქამის წირვა (გვ. 188 და 189)
(იოანე-ზოსიმეს ანდერძი).

ამ მინაწერის მნიშვნელობის შესახებ ზემოთ (გვ. 319) გვქონდა საუბარი.

B) მეორე ნაწილი, რომელიც ორი რვეულისაგან შედგება[3]), თითქო უნდა შეიცავდეს **გრიგოლ დიოლოღოსის** (?) **„წესს სიწმიდის განახლებისას"**, რამდენადაც შეიძლება კაცმა დაასკვნას შუხართის შენიშვნის მიხედვით (რვეული I, ფ. 24r): Die zweite Hälfte beginnt: „+ წესი განახლებისა რ~ეს სიწ~დე განახლებდეს (?) ფ~ლი (?) წესი სამწუხროჲ აღასრულონ (bis hierher roth) და შემდგომად ჰამარ ჩ~ნოსა თქ~ნ კელთა ბ~ნისაჲ რ~ლ მას კრ~კესა ეთქ~ას"...

[1]) აქ სამი თუ ოთხი სიტყვა გადალეულია ძალიან. ირჩევა: „დედის (?) გ~ლის (?) კლებუ-ლებაჲ (?)", თუ რაღაც ამგვარი.

[2]) დღეთა... ჩემისათა] შემდეგ არის ჩამატებული, მის მიერვე.

[3]) შუხართით (I რვ., 1r), მეორე ნაწილში 15 ფურცელია.

მთელი წიგნის ბოლოს, შუხართით (რვ. I, 4v), მოიპოვება ნუსხური მინაწერი; რომლის მიხედვითაც მეორე ნაწილის „მჩხრეკელიც“ თითქო იგივე იოანე(-ზოსიმე) ყოფილა, ხოლო წიგნის მომგებელი კი კვრიკე: „ქ̃ე შ̃ე კ̃ე, ამის წიგნისა მომგებ̃ლი, და იოვ̃ნე მჩრკ̃ლი“ [1]).

## 5.

ႯႠႫႨႱ ႼႨႰႥႠ ႨႭႠႬႤ ႭႵႰႭႮႨႰႨႱႠ გრაგნილზე (=ა. ცაგარელი, Каталог рук. Син. мон., № 29). ჩუბინაშვილით: „განი 23,5 cm., სამი ნაჭერი (66+56+60) გადაკერებულია ერთმანეთზე (დასაწყისი სურათითურთ extra). [ნაწერია] ორთავე მხარეს“. ამ ხელნაწერიდან გადაღებულია დასაწყისი, რომელიც ასე იკითხება:
„ხ̃ლმ ჟ̃მის წირვჲ წ̃ისა ი̃ე ოქროპირისჲ [2]).



ოქროპირის ჟამ-ს წირვა (გრაგნილზე).

შე- რაჲ ·ვიდეს ღ̃კნი სადიაკ̃ნესა შ̃ა და იტყ̃დეს ლ̃ცვსა: Ⴓ̃ო ღ̃ო ჩ̃მო, გარდამომივლინე მე ძ̃ლი მ̃ღლით და გ̃ნმაძლიერე მსახ̃რბსა ამ̃ს შ̃ნსა დაუსჯ̃ლდ წ̃რდგომად წ̃ა და საშინელსა და შესაძრწუნებ̃ლსა სკბ̃ელსა შ̃ნსა და შეწირვად შ̃ნდა უსისხლოჲ იგი მსხ̃რპლი, რ̃ შ̃ნი არს ს̃ფვჲ ძ̃ლი და დ̃ბჲ მ̃მისა და ძ:- ალმოჰკუმთდეს რაჲ, იტყ̃დის: Ⴃაიკლვის ტარიგი ღ̃ჲ, ძე მ̃მისჲ, ამხუმ̃ლი ც̃დვათა ს̃ფლისთა ცხ̃რბისათჳს ს̃ფლისა, ვ̃ა ცხ̃ვარი კლვად მიიგუარა და ვ̃ა ტარიგი წ̃ე მრისუველისა თჳსისა უჴმობ̃ლი“.....

— —

ნაწყვეტები, რომლებიც შუხართისეულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაშია, აღწერილიცაა და შესწავლილიც თვით შუხართის მიერ. ესენია ფურცლები A, B და C, როგორც იგი აღნიშნავს მათ. ამათგან B და C ერთი ხელნაწერიდანაა ამოღებული, ასე რომ ნაწყვეტები ორ ხელნაწერს ეკუთვნის. შუხართის

[1]) ალბათ ეს მინაწერია, რომელსაც ცაგარელი ასე კითხულობს (გვ. 68/210): „ქრისტე შეიწყალე ამის წიგნისა მომგებელი იოვანე მრეკელი“.

[2]) აქამდე მთლად წითურად. შემდეგ კი აქ შავად დაბეჭდილია ის ასოები, რომლებიც სურათზე მკრთლად არის გამოსული და დედანში წითური ყოფილა.

შენიშვნები ამ ნაწყვეტების შესახებ დაბეჭდილია.[1]), მაგრამ რომ ეს შენიშვნები უფრო ნათელი გახდეს, მე ტექსტებს მოვიყვან ფოტოგრ. სურათების მიხედვით.

## 6.

**ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან**, ერთი ფურცელი (შუხართით A), რომელიც, მგონია, იმ ლექციონარიდან უნდა იყოს ამოღებული, რომელიც ა. ცაგარელს მე-13 ნომრად აქვს აღწერილი. ეს ხელნაწერი, ცაგარლის მიხედვით, ზომით არის 7×5,5 ვერშოკი (ე. ი. 31.5×24.75 cm), ნაწერია ეტრატზე ერთ სვეტად ლამაზი მრგვლოვანი ხელით. შუხართისეული ფურცლის ზომაც იგივეა თითქმის (31,1×25 cm), ნაწერია აგრეთვე ლამაზად, ცალ სვეტად. აქ იკითხება:

**იოანე XV, 8-19.**

r. „ჩემდა მოწაფე. [9] ვ̃ა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქ̃ნ. დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზ̃ა. (10) უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, ჰგიეთ სიყუარულსა ზ̃ა ჩემსა, ვ̃ა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზ̃ა მისსა. (11) ამას გეტყოდე თქ̃ნ, რ̃ა სიხარული ჩემი თქ̃ნ თანა ეგოს და სიხარული თქ̃ნი სავსე იყოს. (12) რ̃ ესე არს მცნებაჲ ჩემი. რ̃ა იყუარობდეთ ურთიერთას, ვ̃ა მე შეგიყუარენ თქ̃ნ. (13) უფროჲსი ამისსა სიყუარული არავის აქუს, ვ̃რმცა თავი თჳსი დადვა მეგობართა თჳსთა ზ̃ა,



ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან
(ფურც. A. დასაწყისი მეორე გვერდისა)

(14) თქ̃ნ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ რ̃ლსა ესე გამცნებ თქ̃ნ. (15) არღარა გეტყჳ თქ̃ნ || v. მონად, რ̃ მონამან არა უწყის, რასა იქმნ ო̃ი თჳსი, ხ̃ თქ̃ნ გარქუ მეგობარ, რ̃ ყ̃ი რავდენი მესმა მამისა ჩემისაგან, გაუწყე თქ̃ნ. (16) არა თქ̃ნ გამომირჩიეთ მე, ა̃დ მე გამოგირჩიენ თქ̃ნ და დაგადგინენ თქ̃ნ, რ̃ა თქ̃ნ წარხჳდეთ და ნაყოფი გამოიღოთ და ნაყოფი თქ̃ნი იყოს სავსე, რ̃ა რაჲ იგი ჰთხოოთ მამასა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქ̃ნ. (17) ამას გამცნებ

[1]) Mittheilungen...: ტფ. უნივ. მოამბე, VIII, გვ. 369 და შემდ.

თქ~ნ, რ~ა იყუაროჳდეთ ურთიერთას. (18) უკუეთუ სოფელი გძულობს (sic) თქ~ნ, უწყოდეთ, რ~ პირველად მე მომიძულეს. (19) უკუეთუმცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თჳსთა ჰყუარობდა. რ~ არა სოფლისაგანნი ხართ თქ~ნ, ა~დ მე გამოგირჩიენ თქ~ნ სოფლისაგან, ამისთჳს სძულთ თქ~ნ სოფელსა".

მოყვანილ ნაწყვეტში საყურადღებოა ფორმა „ჰთხოოთ" (მ. 16), სადაც ჰ შენახულია თანის წინ, როდესაც იგი ძილის წინ უკვე ხანად ქცეულა („სძულთ": მ. 19).

## 7.

**ნაწყვეტი მრავალთავიდან**, რომელიც ცაგარელს სინას მთის კატალოგში ჱე-80 ნომრად აქვს აღწერილი, ორი ფურცელი (შუხართით B, C). აქ იკითხება:

B. r [1] „თავნი თჳსნი შეწირვად მსხუერპლად სათნოდ ღ~ისა. ჭეშმარიტად, საყ~რლნო ო~ისა მიერ, რ~ ვ~ა გნიერთა მივსწერ თქ~ნდა, რ~ შემძლებელ ხართ გ~ლის კმის ყოფად თავთა თჳსთა. იცით ესე, რ~ რ~ლნ გ~ლისკმა ყო თავი თჳისი, მ~ნ იცის ღ~ი და მოღოაწებანი მისნი, რ~ლთა ჰყოფს თჳსთა ზ~ა დბ~დბლთა. ცხად იყავნ თქ~ნდა ს~ტყუა ესე, რ~ არა კორციელი სიყუარული მაქუს მე თქ~ნდა მიმართ, ა~დ საყ~რლი ს~ლიერი ღ~ის მსახურებისაჲ, რ~ ღ~ი იდიდების ზრახვასა წ~თასა. გ~ნმზადენით თავნი თჳსნი, ვ~ემდე მეოხნი გოისხენ-ღა, რ~ლნი სთხოვენ ღ~ა, რ~ა ცეცხლი ეგე, რ~ლსათჳს მიფენად მოვიდა ი~ჳ ქუ~ნსა ზ~ა, მოცეს გ~ლთა თქ~ნთა, რ~ა შეუძლოთ დაწყობად გ~ლთა თქ~ნთა და | r [2] საცნობელთა თქ~ნთა, რ~ა იცოდით თქ~ნ გამორჩევად კეთილი ბოროტისაგ~ნ, მარჯუენეჲ და მარცხენეჲ, სიმტკიცეჲ და ოძლოჲრებაჲ. იცოდა ესე ი~ჳ, რ~ ძალი ეშმაკისაჲ არს ნივთი ესე [1]) ამის სოფლისაჲ, მოუწოდა თჳსთა მოწაფეთა და რქ~ა მათ; «ნუ იურჯებთ თქ~ნ ქუ~ნსა ზ~ა და ნურცა ზრუნავთ ხვალისათჳს, რ~ ხვალემ~ნ თჳით იზრუნოს თავისა თჳსისათჳს». ჭეშმარიტად, საყუარელნო, ვ~ მსა მას ქრისა დაყუდებისასა ნავის მხერველი იქადინ, ხ~ ქარისა ძლიერისა და წინააღმდგომისა ჟ~მსა ყ~ლივე მეცნიერი ნავის მხერვალი გამოჩნდის [2]). აწ გ~ლის ხმა ყავთ, ჟ~მი ესე, რ~ლსა მოვიწიენით, რაჲ ესე არს. ხ~ მწლილადისა მისთჳს სტ~ყსა აზნაურებისა არიან მრავალ თხრობად თქ~ნდა. ა~დ სცე თუ || v [1] მიზეზ ბრძენსა, უბრძნეს იყოს. გიკითხავ თ~ქნ შვილთა საყუარელთა მცირითგ~ნ ვ~ე დიდამდე თქ~ნდა ო~ისა მ(ი)ერ, ა~ნ.

ეპისტოლეჲ ანტონისი მეშდეჲ EBICTOAH ANTONIC.... Z. ანტონი საყ~რლითა ძმათა გიკითხავ ო~ლისა მიერ, გხ~დნ! არა მოვიწყინო მოკსენებაჲ თქ~ნი, ასოთა მაგათ კათოლიკე ეკლესიისათაჲ, და ოწყებაჲ თქ~ნი მნებავს სიყუარულისაჲ, რ~ლი მაქუს თქ~ნდა მიმართ. რ~ არა არს კორციელი, ა~დ ს~ლიერი ღ~ის მსახურებისაჲ, რ~ კ~რცთა ჩ~ნთა ს~ყუარლი დაუმტკიცებელ არს და დაოდგომ და შერყეულ ოცხოთა გ~ნ ქ~რთა. და ყ~ლნი მოშიშნი ღ~ისანი და

[1]) „ესე" ჩამატებულია შემდეგ ნუსხური ხელით.

[2]) ან: „გამოჩნდეს".

რ˜ლნი იზარხვენ მცნებათა მისთა, მ˜ნანი არიან ღ˜ისანი. ხ˜ მ˜ნებაჲ იგი, — არა არს მას შინა სროლება, ა˜დ სამართალი არს, რ˜ი ოძლოის | v² შეილებად მიმართ. ამისთოისცა წ˜ნწრმტყ˜ლნი და მ˜ცქლნი და ყ˜ლნი კრებ˜ლნი წ˜თნი, რ˜ნი ღ˜ისა მიერ გამორჩეოლ იყვნეს და რწმონებლ იყო მათა სამ˜ცქლოჲ იგი ქადაგებაჲ, მ˜მსა და ღ˜ისა სახიერებითა კროლ იყვნეს იგინი ი˜ჳ ქ˜Ꮽსგ˜Ꮾ. რ˜ პ˜ვლე მ˜ცქლი იტყოის, პ˜ვლე ი˜ჳ ქ˜Ꮽსი, რჩეოლი მცქ˜ლი, რ˜ა დ˜წრილი იგი რჩოლი შემწე თქ˜ნდა იყოს კეთილითა მით მონებითა, ვ˜ემდე შეოძლოთ ოფლებად ყ˜ლთა ვნებათა ზ˜ა კრცთასა და სროლებაჲ იგი მოვიღოთ კეთილითა მით მსახორებითა ს˜თნოებისაჲთა სამოციქოლოითა მით ცხორებითა. ოკოეთო ვინმე მახლობელ იქმნეს მოღებად მ˜დლისა, მაშინ რქ˜ას მას ი˜ჳ: არღარა გიწოდე თქ˜ნ მონად, ა˜დ გიწოდე თქ˜ნ მეგობრად და მმად რ˜ რ˜ი ძაოწყა მე"..



ნაწყვეტი მრავალთავიდან
(ფურც. B. დასაწყისი მეორე გვერდისა)

C. r¹ ღ˜ისაგ˜ნ ჰრცხვენისმცა ქცევისა შ˜ნისაგ˜ნ სოფელსა. ნუ ვის ყ˜ლითვრთ თ˜ესა შ˜ნსა შესაპყრობელ ჰყოფ, რ˜ რ˜ლი შ˜ნ ოფროჲსად შეჰრაცხო ყ˜ისა, იგი გევფლოს შ˜ნ: პატივ ეც შ˜ნ უმჯობᲟსსა, რ˜ უმჯობᲟსი გეოფლოს შ˜ნ. იმაწე დიდ ყოფად წ˜ე ღ˜ისა, ხ˜ წ˜ე კ˜ცთა კშვრველ იქმენ, განიბანე, კ˜ცთანი ღ˜ისა მიერ არიან შემტკიცებლ. აწ იქმოდე ყ˜ლსა, ვ˜ა შეილი ღ˜ჲ, ღ˜ა ევედრებოდე და რ˜ლსაცა საქმესა იყო, იგი გ˜ლსა იპყარ. Ꮻ ყავ ნვ საგონებელად, ა˜დ ჰეშმარიტად მართლ, რ˜ იჳ კ˜ცთაგ˜ნ არსებასა მიიტაცებს. ფრთხილი კ˜ცი ქველის მოქმედ არს წ˜ე ო˜ისა. სიჩქვრისაგ˜ნ ივლტოდე და გ˜ნზრახვაჲ კეთილისაჲ შეიწყნარე, სძლე გ˜ლის თქვმასა, სძლე კ˜რცთა ამათ ყ˜ლითა [..]როებისა [1] აღსასრვლი, ჯმნაჲ პირველად გ˜ნიზრახე და მერმე ზრახევდი:-

შევაიწროთ ძმანო თ˜ლთა ჩ˜ნთა ზ˜ა ცხორებაჲ ჩ˜ნი და შეეეყენნეთ სენაკთა ჩ˜ნთა და იყავნ საზრდელად ჩ˜ნდა მცირედ პური და წყალი საკმარად ოდენ კ˜რცთა ჩ˜ნთა. მრავლით | r² შრომითა, მღვძარებითა და ზედგომითა ღამე ყოელ, მკორვალედ ღ˜ცვითა და მვალთ დრეკითა და ქ˜ყნსა ზ˜ა წოლითა უსაგებლოდ, ტირილითა და ცრემლითა და შემვსრვილითა გ˜ლითა, ფსალმვნებითა და

[1]) თითქო უნდა იყოს „შვროებისა" (=შურევებისა?).

გ˜ლბითა და ლ˜ოცვითა საიდუმლოდ დღჱ და ღამე, მრავლითა გ˜ნსაცდელითა და ფ˜დითა შრომითა და აურაცხელითა ჭირითა დაუთმოთ სიბოროტესა ეშ-მ˜კთასა, რ˜ნი არა დასცხრებიან ცხადად და იდუმალ ბრძოლად ჩ˜ნდა და ჰნე-ბავს წარწყმედად ჩ˜ნი, არათუმცა წყალობაჲ ო˜ჲ შემწე ჩ˜ნდა. და იგი შემრაცხს ჩ˜ნ წ˜თა მისთა თანა, რ˜ეს მოიხილის მაღლით წ˜დით მისით და გუხილნის ჩ˜ნ გ˜ნსაცდელსა შინა დღჱ და ღამე სახელისა მისისათჳს და მ˜თ შინა ო˜ლებასა მისსა აღვიარებდით ნებითა ჩ˜ნითა და ს˜ლითა იხარებენ ჩ˜ნ ზ˜ა და შემეწევიან ჩ˜ნ მ˜დლითა თჳსითა. აწ უკუე ვისწრაფოთ და ვაჩუენოთ წამებაჲ ჩ˜ნი ქ˜ესა. დალაცათუ სხუათა მიერ არა ვიტანჯებოდით, თ˜ვით თჳსით შევაიწროთ ჩ˜ნ ზ˜ა მისთჳს და შრომითა მოვაკუდინნეთ კ˜რცნი ჩ˜ნნი სიყ˜რულისა მისისათჳს. და-ლაცათუ არა მიეეცნეთ მახჳლსა, რ˜ნ იგი მსწაფლ (sic) გ˜ნარინის გ˜ნსაცდელ-თაგ˜ნ, არა არს თუალთღება ‖ v [1] ღ˜ისა თანა, ვ˜რმცა არა შემრაცხნა მოწამეთა მისთა თ˜ნა. რ˜ი არა ჰმონებდეს ნებასა თჳსსა, იგი არს მ˜ზნებაჲ [1]).



ნაწყვეტი მრავალთავიდან.
(ფურც. C. შუა ადგილი მეორე გვერდისა)

Ïვლტოდე,[2]) ძმაო, ბოროტთაგ˜ნ და ნუ თანა ექცევი მ˜თ, რ˜ა არა მოიგო ჩუე-ულებაჲ მათი ბოროტი და მოიკლა ს˜ლი შ˜ნი მ˜თ თანა ც˜დვასა შინა. რ˜ ხჱ ბუნებით სჳპუქი არს და, შთა- რაჲ -ვარდის იგი ზღუასა, არა დაითქის, ა˜დ იქცევინ იგი პირსა ზ˜ა წყლისასა. ხ˜ ოდეს გამოების მას ლოდი ქვისაჲ, გინა მძიმჱ რაჲმე, დაითქის იგი უფსკ˜რულთა. ესრეჱთვე არს მოყსობაჲ ბორო-ტისაჲ და რ˜ი თანა იქცეოდის უკეთურთა. დაათქის და წარწყმიდის იგი მო-ყუსობამ˜ნ მ˜თმ˜ნ. ევლტოდე უკუე ა[..] ბოროტთა მათ და მოიძულე (მ)ოყუსობაჲ მათი, რ˜ა განერე დათქმისაგ˜ნ და შეეყავ სიყუარულით სათნოთა მათ და ღირს-თა, რ˜ა საქმეთა მ˜თთა მსგავსებითა და სათნოებათა მ˜თთა მიბაძვითა აჰმა-ღლდე, ვ˜ა ხჱ ზღუასა ზ˜ა და არა რაჲ | v [2] გავნოს შენ სიმძაფრემან ღელვა-თამან, ა˜დ მიიწიო ნავთსაყუდელსა მას მყუდროსა, რ˜ლ არს სს˜ფლი ცათაჲ. ხ˜ ღ˜ა ჩ˜ნსა მ˜დლი და დბ˜ჲ, აწ და მ˜ს და ოკ˜ი ოკ˜ე, ა˜ნ.

---

[1]) ამ სიტყვის შემდეგ (რომელიც „მონაზონებად“ უნდა წავიკითხოთ) სამი სტრიქონი ცარიელია.

[2]) ამ სიტყვის წინ აშიაზე სწერია: ო˜დ.

თქ̃ა წ̃ნ პიმენ: რ̃ ე̃ა მარილი რაჲ გამოვალს წყლისაგან და წყალსა შინა დადნების და წარწყმდების, ეგრეცა კ̃ცნი დედათაგ̃ნ გამოვლენ და დედათაგ̃ნ წარწყმდებიან.

**თქ̃ლი წ̃სა კლემაქსისი განგებისათჳს მ̃მასახლისობისა. თავი ლ̃ა̃.**

არა საკჳრველ არს მოძღჳრისაგ̃ნ, რ̃ნ გ̃ნსწავლნის ყრმანი გონიერნი სიბრძნესა მიუშდომელსა, ა̃დ ესე საკჳრველ არს, რ̃ნ უგუნურნი განაბრძენის ბრმანი[1]). ე̃ა საცნაურ არს ახოვნებაჲ მჴედართაჲ და მარჯუედ ქცევაჲ, რ̃ეს იგი ასხდიან ეტლთა მალედ მორბედთა და აჴრბიან და გ̃ბაოინნიან ცხენნი მათნი, მაშინ იქნიან ყ̃თაგ̃ნ. Ⴀკუეთჳ მოცემკლ არს შ̃ნდა მეცნიერებაჲ ვნებათაჲ და ხედავ ღელვათა აღძრულთა, განაკრძალენ, რ̃ნი არიან ნავსა შენსა შენთანა. უკუეთჳ არა უწყოდე"...

ხელნაწერი № 80, საიდანაც ამოღებულია ჩვენი ნაწყვეტები, ცაგარელს მე-X — XI საუკუნის ძეგლად მიაჩნდა. მე კი მგონია, რომ თამამად შეიძლება მისი მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში გადმოწევა.

---

ზემოთ აღნიშნული შვიდი ნომერი (ხუთი ხელნაწერი და ორი ნაწყვეტი) სინას მთიდან გამოუტანიათ მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, მაგრამ თუ რომელ წელს, ეს არ ვიცით. მეოცე საუკუნის დამდეგს კი, სახელდობრ 1902 წ., სინას მთაზე ქართული ხელნაწერების აღსაწერად იყვნენ პროფ. ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. მათი ვრცელი აღწერილობა ხელნაწერებისა, სამწუხაროდ, აქამომდე არ არის დაბეჭდილი, რომ შემოწმებულ იქმნეს, თუ რომელი ნომრები აღარ დახვდათ მათ ცაგარლის სიასთან შედარებით. 1927 წლის გაზაფხულზე კი იმავე მთაზე და იმავე მიზნით იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი (R. Blake)[2]). როგორც ბლეიკი იტყობინებოდა (პროფ. ი. ჯავახიშვილისადმი 12. VI. 1928 წ. გამოგზავნილ წერილში), მის დროს აღარ მოიპოვებოდა სინას მთაზე შემდეგი ნომრები ა. ცაგარლის კატალოგის მიხედვით: 1, 2, 9, 28, 29, 40, 65, 66, 69, 81, 92 და 93. ამათგან ოთხი ნომრის ბედი უკვე ვიცით: ისინი ავსტრიაში მოხვედრილან და ამჟამად გრაცის უნივერსიტეტშია, სახელდობრ: № 2 ფსალმუნი, № 9 ხანმეტი ლექციონარი (ცაგარლით: იოანეს სახარება), № 29 ჟამის წირვა ი. ოქროპირისა გრაგნილზე, № 69 სიმეონ სალოსის ცხოვრება, იქვეა აგრეთვე სინას მთიდანვე წამოღებული ერთი ნაწყვეტი, თითქო ლექციონარიდან (№ 13) და ორი ნაწყვეტიც მრავალთავიდან (№ 80). იმავე გრაცშია სინადანვე გამოტანილი კონდაკი, რომელშიაც მოთავსებულია 985 წელს გადაწერილი ჟამის წირვა იაკობ მოციქულისა, რომელიც თავის ნიშნებით, ასე თუ ისე, უდგება ცაგარლის აღწერილობის 31-ე ნომერს[3]). რა მოუვიდა ნეტავ დანარჩენ ნომრებს, რომლებიც ბლეიკს აღარ დახვედრია? ანდა არი კი იმისი იმედი, რომ მომავალ მკვლევარს, რომელიც სინას მთაზე მოისურვებს გამგზავრებას, ქართული ხელნაწერები დახვდება ისეთი შედგენილობით მაინც, როგორც 1927 წელს იყო?

---

[1]) ამ სიტყვის ნაცვლად შუხართის შენიშვნებში (გვ. 375) „ყრმანი" დავბეჭდე, თუმცა მის ხელნაწერებშიაც „ბრმანი" იყო (თარგმანმა შეპაცთინა: dumme Knaben).

[2]) ამის შესახებ ჯერ-ჯერობით გაკვრით: The Harvard Theological Review, vol. XXI, № 1, January 1928, p. 1.

[3]) ბლეიკი ამ ნომერს დაკარგულად არ ასახელებს, იქნებ იმიტომ, რომ შეიძლება პირველი რვეული ისევ სინას მთაზედ იყოს დარჩენილი.